

ჭიორაგი ჯიბლაძე

შოლოხოვის ეპოსი

გამომცემლობა „მერანი“. თბილისი, 1980

8 Г 2
899.962.109
ჯ 476

აკადემიკოს გიორგი ჯიბლაძის მონოგრაფია „შოლოხოვის ეპოსი“ ავტორის ხანგრძლივი მუშაობის ნაყოფია.

მონოგრაფიაში ბევრი ახალი მოსაზრებაა გამოთქმული „წუნარი დონის“, „დონური მოთხრობების“, „გატეხილი ყამირის“, „ბედი კაცისას“ და „სიძულვილის მეცნიერების“ შესახებ.

განსაკუთრებით ვრცლად არის განხილული მიხეილ შოლოხოვის ჯერ კიდევ დაუმთავრებელი რომანი — „ასინი სამშობლოსათვის ბრძოლნენ“.

მთელი თავი ეძღვნება მონოგრაფიის ავტორისა და სხვა ქართველი მოღვაწეების პირად შეხვედრებს შოლოხოვთან როგორც საქართველოში, ისე სტანიცა ვეშენსკაიაში.

ჯ 70202—50
М 604(08)—80 79—80

© გამომცემლობა „მერანი“, 1980

შოლოხოვის ეპოსი

I

შ ე ს ა ვ ა ლ ი

უძველესი ელადის „ყველაზე რომანტიკულმა პოეტმა“, როგორც მას ბელინსკი უწოდებდა, ტრაგიკოსმა ევრიპიდემ ერთი გვარის ლითონს მაგნიტი უწოდა. ეს სიტყვა ოცდახუთი საუკუნეა კაცობრიობის ლექსიკონში ალიბეჭდა და დღემდე ემსახურება პრომეთეს მოდგმას. „ელექტრას“ ავტორმა, ეტყობა, კარგად იცოდა მაგნიტის თვისებები, მაგრამ არა მგონია სცოდნოდა, რომ ამ სიტყვას მისი უმცროსი თანამედროვე პლატონი პირველად მიუყენებდა, ნეგატიური აზრით, პოეტურ მუზას, პოეტურ შემოქმედებას, პოეტის დამსახურებას. დროთა ვითარებაში მხატვრული სიტყვის გენიოს ოსტატებს მაგნიტური მიზიდულობის ძალა მიაწერეს სავსებით დამსახურებულად, და თუ ვინმეზე შეიძლება თანამედროვე მწერალთაგან ეს ითქვას, პირველ ყოვლისა, მიხეილ შოლოხოვი უნდა დავასახელოთ.

მართლაც უჩვეულოა შოლოხოვის მხატვრული შემოქმედების მაგნიტური მიზიდულობის ძალა. ჩვენს ქვეყანაში 78 ენაზე თითქმის რვაასჯერ გამოცემულმა მისმა წიგნებმა ორმოცდაათი მილიონი ტირაჟი შეადგინეს, ხოლო საზღვარგარეთ შვიდასზე ჩეტჯერ გამოცემულმა — ათეული მილიონები. ეს ციფრები შეუჩერებლად იზრდებიან და არაერთგზის გვიდასტურებენ, რომ შოლოხოვის სახით თანამედროვეობას მისი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მხატვრული სიტყვის ლევიათანი ჰყავს.

ოდითვე ცნობილია ის ელემენტარული ჭეშმარიტება, რომ ისტორიაში ყოველ დიდ ეპოქას დიდი სულიერი გამომხატველიც ებედება. ისტორიკოსები მიმზიდველად მოგვითხრობენ თითოეული ეპოქის შინაგან დრტვინვათა გამომთქმელებზე. ასინი ცო-

ტანი როდი არიან, მაგრამ ჰეშმარიტი გენიოსები—მხოლოდ ერთეულნი. პერიკლეს დრო აღინიშნა ფილოსოფიისა და ლიტერატურის, არქიტექტურისა და ქანდაკების, ფერწერისა და სამხედრო ხელოვნების მანამდე უნახავი განვითარებით. ალექსანდრე მაკედონელის ეპოქას — სტაგირელის გენია ამშვენებს, ხოლო რენესანსმა ტიტანები წარმოშვა. მე-17 საუკუნეს გენიოსების მთელი წყება თან მოჰყვა.* მომდევნო საუკუნეები თითქოს ცდილობდნენ ვალში არ დარჩენოდნენ წინამორბედებს და უნიჭიერესი ადამიანების თაობები გამოზარდეს. უცნაური აქ არაფერია, ვინაიდან დიდი ეპოქის დიდი სულიერი ღელვა არ იქნებოდა, დიდი ადამიანები რომ არ ყოფილიყვნენ. ისინი მთელი ხალხის სულიერ დრტვინვას ისე ძლიერად გამოთქვამენ, რომ წარუშლელ კვალს ტოვებენ კაცობრიობის ისტორიაში.

ჩვენს საუკუნეს ორგანული შინაგანი იმპულსი აღმოაჩნდა გენიოსების ნიჭის განვითარებაში. ერთი მათგანია მიხეილ ალექსანდრეს ძე შოლოხოვი, რომლის სახელსაც დღეს მთელი კულტურული კაცობრიობა იცნობს. ოცდაათიანი წლებიდანვე შოლოხოვმა ლიტერატურაში ქვეყნიერება შეასძრა. მხატვრული აზროვნების ჰეშმარიტმა დამფასებლებმა შვებით ამოისუნთქეს, როგორც კი „წყნარი დონის“ პირველი წიგნი გაიცვნეს. გენიოსები ყოველთვის ამ განმაცვიფრებელი ეფექტით შემოდიან ხელოვნების სამყაროში, ხდებიან პოპულარულნი, საყოველთაო დიდებით მოსილნი.

თანამედროვე საბჭოთა მწერალთაგან შოლოხოვი მართლაც ყველაზე პოპულარულია მსოფლიოში. მისი ნაწერების თარგმანები საბჭოთა ხალხებისა და მსოფლიოს მრავალ ენაზე, როგორც ვთქვით, ამ დებულების საუკეთესო დამადასტურებელია. 1974 წლის 19 სექტემბერს «Литературная газета»-მ შოლოხოვის სამწერლო მოღვაწეობის 50 წლისთავს მიუძღვნა სპეციალური წერილი, თუ რა ენაზე და რამდენჯერ გამოვიდა „წყნარი დონის“ ავტორის თხზულებანი: უცხოეთის 43 ქვეყნიდან შოლოხოვის წიგნები დაიბეჭდა „ბულგარეთში—33-ჯერ, უნგრეთში—50, პოლონეთში—38, რუმი-

* მე-17 საუკუნის დახასიათება იხ. წიგნში: Георгий Джибладзе, Философия Каменского, Тбилиси, 1973 г., т. I, стр. 24—70.

ნეთში—42, ჩეხოსლოვაკიაში—70, იუგოსლავიაში—28, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში—73, ამერიკის შეერთებულ შტატებში—27, ინგლისში—26, საფრანგეთში—18, იაპონიაში—54-ჯერ".

ეს დიდი ხელოვანის, გენიოსი მწერლის ნამდვილად მსოფლიო აღიარებაა! გასაკვირიც არ არის, ვინაიდან შემოქმედების ძალმრწთა და ძალით, ოსტატობის მასშტაბებით შოლოხოვი გვერდით უდგას მხატვრული სიტყვის ისეთ გიგანტებს, როგორიც არიან ტოლსტოი და გორკი, ბალზაკი და გოგოლი. მთელი მისი შემოქმედება ჟანრობრივად, მართალია, ეპოსს განეკუთვნება, მაგრამ ავტორის ლირიზმი ისევე საგრძნობია, როგორც ჰომეროსის ბატალიებში. ცხოვრების, სინამდვილის არაჩვეულებრივი სისრულით ცოდნა, იდეური მიმართულების გამოკვეთილობა, თავიდან ბოლომდე ხალხურობის სიბრძნე, მხატვრული სახეებისა და ტიპების ბუნებრიობა, უშუალობა, კოლორიტულობასთან შეერთებული ცრემლიანი გრძნობისა შოლოხოვს ხელსაყრელად გამოარჩევს სიტყვის თანამედროვე დიდოსტატებისაგან. მის შესახებ სამართლიანად წერენ, რომ თავის ნაწარმოებებში შოლოხოვი მრავალფეროვანი შემოქმედია, რომელსაც განსაკუთრებული ტალანტი აქვს ხალხურ აზროვნებას მაღალი პოეტურობა მისცეს, ხოლო პოეტურს — ხალხურის ყველა ღირსება შესძინოს. ორიგინალურისა და ხალხურის ასეთი ჰარმონიული მთლიანობა იშვიათად თუ დაებედება ხელოვანს, ვინაიდან სიუხვით განთქმული ბუნება ტალანტის ჩაშორიგებაში ერთობ ძუნწია, წყალობას მხოლოდ გამონაკლისის სახით იმეტებს რჩეულთათვის. შოლოხოვი ბედნიერია, რომ იგი ბუნებამ თავის ამ რჩეულთა შორის მოახვედრა და გენიოსის შარავანდედიც დაადგა.

ერთმა ხელოვანმა შესანიშნავად თქვა: „შოლოხოვის პროზაში ისეთი სახვითი ძალაა, ისეთი ამოურწყავი სიცოცხლის ტრფიალი და იუმორი, რომლის ბადალი... არც ყოფილა და არც არის ჩვენს ლიტერატურაში. მისი ჰეშმარიტად ხალხური ტალანტი ანგითარებს პუშკინისაგან, გოგოლისაგან, ლევ ტოლსტოისაგან მოძღვინარე ტრადიციებსო"*. მაგრამ ეს არ არის ერთეული აზრი,

* სერგეი ბონდარჩუკის წერილიდან, გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი", № 59, 1975 წლის 17 მაისი.

მარტოოდენ ერთი გამოჩენილი, თან აღტაცებული მკითხველის შთაგონება. ყველა, ვისაც რაიმე გაეგება ხელოვნებაში, ვისაც ოდნავ მაინც შეუძლია ობიექტურ შემფასებლად დარჩეს ლიტერატურული თხზულებების მიმართ, ამ აზრამდე უეჭველად მივა, თუ ხელში აიღებს შოლოხოვის მოთხრობებს, რომანებს და ერთხელ მაინც გულდასმით წაიკითხავს.

შეუძლებელია დღეს ვინმე შემოგვედაოს, თუ ვიტყვით, რომ შოლოხოვის მოთხრობები და რომანები თავიდანვე ლიტერატურული ყამირების გადახვნაც იყო. ადამიანები, რომლებსაც მწერალი ხატავდა, იმდენად იყვნენ მისთვის ნაცნობნი და გასაგებნი, რომ შეიძლებოდა ავტორს იმდენი შრომა აღარ დაეხარჯა მათ კანქვეშ ჩასახედად, რამდენიც მოანდომა თითოეული მათგანის წარმოსახვას, მაგრამ შოლოხოვი იმიტომაა შოლოხოვი, რომ ყველაფერს ღრმად სწავლობს, ყველაფერს ბოლომდე წვდება. მისი დაუღალავი მუშაობა „წყნარ დონსა“ და „გატეხილ ყამირზე“ — მარტო ამ ორი რომანის მაგალითიც საკმარისია იმის დასადასტურებლად, თუ რა გზით მიდიოდა მწერალი, როცა ადამიანების სახეებს, მათ ფსიქო-იდეოლოგიას გვიხატავდა, როცა ლიტერატურულ ტიპებს ძერწავდა. ყველა პასაჟი, ყველა დეტალი, ყველა სიტყვა შოლოხოვს მხატვრული აზროვნების უაღრესად ზუსტ სასწორზე ჰქონდა დადებული და არსად არცერთი მხარე გადახრილი არ არის; წლის რომელიმე დროს გვიჩვენებს, ჟარგონით ამეტყველებს გმირებს თუ ბატალურ სცენებს აღწერს, შოლოხოვი ყველგან ანცვიფრებს მკითხველს სინამდვილის ენციკლოპედიური ცოდნით. შოლოხოვი ადამიანის სულის ანატომია, რომელიც შეუცდომლად გადმოალაგებს მის თითოეულ ნაწილს, დაშლის და შეკრავს, მაგრამ არც პირველ, არც მეორე შემთხვევაში მთლიანობას არ არღვევს, პირიქით, დაშლითა და შეკვრით აღწევს მთლიანობას, როგორც კლასიკოსი ქართველი არქიტექტორები დისჰარმონიით აღწევდნენ ეპოქალურ ნაგებობათა ანსამბლების უმშვენიერეს ჰარმონიას, მსგავსად სვეტიცხოვლისა.

ჯერ კიდევ ოცდაათიან წლებში ბევრს ლაპარაკობდნენ ტოლსტოისა და შოლოხოვის რაღაც საერთო შტრიხებზე. განვლილმა დრომ ამ პოსტულატს ერთი ფერმენტიც მიუმატა — არის რაღაც სიმპტომატური, რომ „ომისა და მშვიდობის“ ავტორი იასნაია

პოლიანადან ხედავდა სამყაროს, ხოლო „წყნარი დონის“ შემოქმედმა ვეშენსკაიას კალეიდოსკოპი აირჩია თავისი ცმირების მორგებულ საშვრეტად. ეს ფერმენტი ორგანულად ჩაექსოვა შოლოხოვის მხატვრული შემოქმედების ბუნებას. და თუ ყოველ მწერალს თავისი რაღაც სპეციფიკური აქვს, რომელიც მისი ძირითადი შემოქმედებითი მეთოდის მხატვრული ანსამბლის თავისებურებას გვიდასტურებს, შოლოხოვთან ეს უკვე ფენომენია, ყველგან რომ აშკარად გვიჩვენებს თავის თავს. ამიტომ, თუ გინდა შოლოხოვი ძთლიანად შეიცნო, უფრო ღრმად გაიგო, ძველი ჰეშმარიტება უნდა გამოიყენო. ეს ჰეშმარიტება გვეუბნება: როცა მწერლის შემოქმედებას სწავლობ, მისი სამშობლოც უნდა ნახო და შეისწავლოო. ეს განსაკუთრებით დიდ, სახალხო მწერლებზეა ნათქვამი, რომლებმაც თავიანთი სამშობლო და ხალხის ცხოვრება მთელი ძალით მხატვრულად წარმოსახეს. დაკვირდით შოლოხოვის მხატვრულ სამყაროს: რა აუტანელი ტანჯვა, რა შეუპოვარი ბრძოლები, ზღვა განცდები და ცრემლებია წარმოსახული სულ ცირე ბედნიერებასთან ერთად, მაგრამ როგორ მკაცრ, ტრაგიზმამდე მისულ სინამდვილეს არ უნდა გვიჩვენებდეს, შოლოხოვის მხატვრული მეთოდის ერთ-ერთი უმთავრესი მიღწევაა ყველაფრის მიუხედავად ჰუმანიზმის, ადამიანობის თვალით განკვრეტა. ერთადერთი, ვისაც არ ინდობს, ახალი ქვეყნის მტრებია. ვერსად თქვენ ვერ დაინახავთ ამ პრინციპიდან გადახვევას, არამარტო იქ, სადაც ამბები თუ სიტუაციები თავისთავად ჰქმნიან საამისო პირობებს, სხვა შემთხვევებშიაც, როცა მდგომარეობა გრძნობისათვის ნაკლებად ტოვებს ადგილს და მთლიანად ამოქმედებს სასტიკი ტანჯვა-წამების გენიას. წონასწორობა არსად ირღვევა, თუმცა ყოველთვის მოელი საშიშროებას, მაგრამ ყოველთვის ისეთი გამოსავალი ჩნდება, რომ აღტაცებული ვრჩებით დიდი მწერლის ტალანტის საოცარი მიგნებებით. ყველგან და ყველაფერში ასეა. სრულიად მოულოდნელი, ორიგინალური გზით სვლა შოლოხოვის გენიას ისე ჩელშესახებად, ადვილად გამოარჩევს, როგორც ადამიანისათვის იოლია თეთრისა და შავის განსხვავების დადგენა. დადებით გმირებს უაღრესად გვაყვარებს, ხოლო უარყოფითი ცმირებით უაღრესად გვაინტერესებს. ორივე შემთხვევაში ადამიანებს ვხედავთ თავიანთი ღირსებებითა და მანკიერებებით. ორივე შემთხვევაში

მკითხველი გატაცებით ჩისდევს რომანისა თუ მოთხრობის მკაცრად რაფინირებულ სიუჟეტურ ქარგას, რომელშიაც ცალკე აღებული დეტალებიც კი შეუმჩნეველად ახდენენ მასზე მომაჯადოებელ გავლენას. შოლოხოვი ყველაფერს მოურიდებლად ეუბნება მკითხველს, არაფერს უმალავს, ყველგან შეჰყავს, მიჰყავს და მოჰყავს, როგორც მებადური მძლავრად გამოსწევს ხოლმე სავსე ბადეს და ნადავლს გაქცევის საშუალებას არ აძლევს. აი, მაგალითად, ღამით ნაგულნოვი ზის მაგიდასთან, თვითმასწავლებლის დახმარებით ეუფლება ინგლისურ ენას, ოთახს კი ხუთხაზოვანი ელნათურა ანათებს. თითქოს უმნიშვნელო დეტალია ეს „ხუთხაზოვანი" ელნათურა, მაგრამ დააკვირდით ოცდაათიანი წლების რა თავისებური კოლორიტია.

მაგრამ წვრილმანების გამოკიდებით ზოგი მწერალი ნატურალიზმში ვარდება. შოლოხოვი ამ საშიშროებისაგან აბსოლუტურად დაზღვეულია. არც ერთ მის ნაწარმოებს ნატურალიზმის ნიშანწყალი არ ეტყობა. პირიქით, შოლოხოვს, როგორც დიდ შემოქმედს, დიდ მხატვარს, ნატურალიზმის ზერელობა და ზედაპირულობა ჭეშმარიტი ხელოვნების მტრებად მიაჩნია. შოლოხოვი ღრმად იხედება ცხოვრების წვრილმანებში და არაფერს ტოვებს გამოუაშკარავებლად. ყველა მისი ნაწარმოები ამ შემოქმედებითი პრინციპის მხატვრული ცხადყოფაა. ხშირად ისეთ წვრილმანსაც გვიჩვენებს, რომელსაც ვერავინ შენიშნავდა, ცხოვრებაგავლილი ადამიანიც. მაგრამ ერთია შენიშნო, მეორეა — წვრილმანს მისცე ნამდვილად დიდი შემოქმედებითი სუნთქვა. შოლოხოვთან ყველა წვრილმანს რაღაც უცნაური ძალა, უცნაური ჟღერადობა აქვს, როგორც ზამბარას რთულ მექანიზმში, რომელიც მის გარეშე ნორმალური მუშაობის ფუნქციას ჰკარგავს.

ამავე დროს, შოლოხოვი სრულიად მოულოდნელი წვრილმანების, თვალით შეუმჩნეველი დეტალების შეუდარებელი ოსტატია. მაგრამ არასოდეს მის ამგვარ დეტალებს მარტოოდენ ლოკალიზებული ღირებულება არა აქვთ. თითოეულ მათგანს მწერლის ხელში ისეთი განზოგადება ეძლევა, რომ კერძო მაღლდება ზოგადის სახით, როგორც ცხოვრების ორგანული ფენომენი. ეს დეტალები მკითხველს ყოველთვის იტაცებენ, უჩვეულოდ იზიდავენ თა-

ვიანთი უშუალო არსებით, ქალწულებრივი ბუნებით, ჩვენ კი, შოლოხოვის მკვლევარებს, გვანცვიფრებენ მიგნებითა და ოსტატური გადმოცემით. ისიც გაკვირვებას იწვევს, რომ შოლოხოვისებური დეტალი არასოდეს დეტალად არ რჩება, ყოველთვის სინამდვილის არსებაში მწერლის ღრმად შეჭრის გამოხატულებას წარმოადგენს. შოლოხოვოლოგები ბევრ საინტერესო ამბავს მოგვითხრობენ, თუ როგორ იცის ცხოვრება და მაინც როგორ სწავლობს სინამდვილეს „გატეხილი ყამირის“ ავტორი. ცოტაა თქვა — შოლოხოვი სტანიცაში ცხოვრობსო! შეიძლება ცხოვრობდე ვეშენსკაიაში და მის შესახებ მცირეოდენიც არ იცოდე. ვეშენსკაიაში შოლოხოვი ცხოვრობდა და მუშაობდა, თავის გმირებთან ერთად 30-იან წლებში საკოლმეურნეო მშენებლობაშიც აქტიურად მონაწილეობდა. ყველაფერი, რაც „გატეხილი ყამირის“ ორივე წიგნშია, შოლოხოვს საკუთარი თვალით უნახავს, თუმცა არასოდეს ასლისათვის არ მიუმართავს, არც სოფლის, არც ადამიანების სახეები ფოტოგრაფიულად არ გადაუღია. ბევრი თავის თავს პოულობს შოლოხოვის გმირებში, ცოცხალ პროტოტიპებსაც ასახელებენ, მაგრამ... „გატეხილი ყამირის“ ლიტერატურული გმირები, აბსოლუტურად ცხოვრებისეულნი, მაინც ლიტერატურულ გმირებად რჩებიან ცხოვრებასთან ერთად, თუმცა კონკრეტულად არცერთი არ გამოხატავს რომელიმე ანდრეის, რომელიმე აქსინიას, რომელიმე პეტკას, გრიგორის ან ნატალიას. შოლოხოვი თვითონვე აღიარებს, რომ მისი გმირები მრავალთაგან აღებული შტრიხების ერთში თავმოყრაა, შემოქმედებითი წარმოსახვაა, რითაც იქმნება შემკრები სახე, ესოდენ აუცილებელი დიდი ლიტერატურისათვის.

ძველთაგანვე ცნობილია, რომ დიდი ლიტერატურა არ არსებობს, თუ იგი ვერ ჰქმნის გმირებს, ტიპებს, სახეებს, რომლებიც თავისი დროის ადექვატური გამოსახვის პარალელურად, ისტორიასაც რჩებიან მუდმივ თანამგზავრებად. გრიბოედოვის ჩაცკი, პუშკინის ონეგინი, ლერმონტოვის პეჩორინი, ტოლსტოის ლევინი, ტურგენევის ბაზაროვი, გონჩაროვის ობლომოვი, ბარათაშვილის „მერანის“ ლირიკული გმირი, ჭავჭავაძის თათქარიძე არამარტო თავიანთი დროის გამოხატულებაა, დღესაც ჩვენს წინაშე ცოცხლად დგანან, როგორც ისტორიული მხატვრული სახეები. მათი საშუალებით ჩვენ უკეთესად ვგრძნობთ ეპოქის სუნთქვას, დრო-

ის თავისებურებას. ამაღე კატეგორიაში არიან მოქცეულნი შოლოხოვის გრიგორი მელეხოვი, დავიდოვი, ნაგულნოვი, აგრეთვე მთელი გალერეა დონის მოთხრობების მოქმედი პირებისა. შოლოხოვი დიდი ხანია აღიარებულია თანამედროვე რევოლუციური ეპოქის მხატვრულ მემატიანედ, რომელიც ადამიანებს ასწავლის დიადი მიზნებისადმი ერთგულებას, ბრძოლაში მამაცობას, ცხოვრებაში კეთილშობილებას. მთელი მისი შემოქმედება, ესოდენ დაძაბული, ესოდენ აღსავსე ტრაგიკული ისტორიებით, თავიდან ბოლომდე ოპტიმისტურია, ადამიანში — ადამიანურის, საზოგადოებაში — საზოგადოებრივის, კაცობრიობაში — კაცობრიულის გამარჯვებას უმაღლესი მხატვრული რანგით რომ უმღერის. მაგრამ ეს გამარჯვება ჰეშმარიტების პასიური ჰვრეტით კი არა, მისთვის მხოლოდ თავდადებული შრომითა და ბრძოლით მოიპოვება, — გვასწავლის შოლოხოვი.

შოლოხოვის უაღრესად კოლორიტულმა გმირებმა იციან, რომ ცხოვრება ბრძოლაა, მაგრამ განა არსებობს ბრძოლა, რომელსაც შესვენება, განსაცდელთან ერთად სიხარული, ტანჯვასთან ერთად ნეტარებაც არ ჰქონდეს? ცხოვრება რომ ბრძოლაა, ოდითვე ცნობილი ჰეშმარიტებაა, ფაქტების ლოგიკაა, რომელიც ერთ აზრს შეიცავს, მაგრამ ათასგვარი ფორმით გამოითქმება. ლოგიკურ ჰეშმარიტებას ერთი, ერთადერთი, მარტო მისთვის დამახასიათებელი ფორმა რომ არა აქვს, თვით ლოგიკის კანონებით მტკიცდება. თუ ცხოვრება ბრძოლაა, მაშინ ბრძოლაც ცხოვრებაა, გარდა ამისა, ეს ელემენტარული, მაგრამ დიადი ჰეშმარიტება შეიძლება იმ მხატვრული თქმებითაც ბრწყინვალედ გამოიხატოს, რომლებსაც დიდი მწერლების შემოქმედებაში ვხვდებით. განა ჰეშმარიტება — „ცხოვრება-ბრძოლაა" არ არის ნათქვამი ილია ჭავჭავაძის ცნობილი მეტაფორითაც, რომ „ცხოვრებას თუ ერთხელ თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა"? ეს „თვალმოუხუჭაობა" და „ცხოვრება-ბრძოლაა" — ერთი და იგივე ჰეშმარიტების — ლოგიკური ჰეშმარიტების გამოთქმაა. მსგავსად ბარათაშვილის პოეტური ღაღადებისა: „არც კაცი ვარგა რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნეოს". შოლოხოვის გმირებმა

შესანიშნავად იციან ამგვარი ჰეშმარიტებანი, მაგრამ არა წიგნების, არამედ პრაქტიკული ცხოვრების ყველაზე მღელვარე ფურცლებიდან ამოკითხვით. ამიტომ მოხდა, რომ მებრძოლი ადამიანების ბედის უაღრესად სწორი ასახვით, თითოეული მათგანის საოცარი მხატვრული ჰეშმარიტების ჩვენებით შოლოხოვის გმირები ახლობელნი, საყვარელნი, მიმზიდველნი და გასაგებნი შეიქნენ თანამედროვე მსოფლიოს ხალხებისათვის. ისინი მოგზაურობენ მსოფლიო მერიდიანებზე, როგორც ახალი სამყაროს შვილები, და მიაქვთ თავიანთი მდიდარი გამოცდილება ისტორიის მიერ განწირულ, მაგრამ ჯერ კიდევ ძლიერ მტრებთან თავდადებულ ბრძოლაში.

ვინც ეს გმირები, ეს მებრძოლები ლიტერატურულ სახეებში ასე შთამაგონებლად გვიჩვენა, მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე თვითონ იყო შეუპოვარი მებრძოლი, თვითონვე კარგად იცოდა ბრძოლის სიმწარე და სიტკბო. მისი ბიოგრაფია სავსეა მძიმე ბავშვობით, ბატალიებით, შემართებებითა და გამარჯვებებით.

მიხეილ ალექსანდრეს ძე შოლოხოვი დაიბადა 1905 წლის 24 მაისს, დონის მხარის ერთ-ერთ ულამაზეს სტანიცა ვეშენსკაიას სოფელ კრუჟილინში. ის პატარა, მშობლიური სახლი, სადაც მოშავალმა დიდმა მწერალმა თვალი პირველად გაახილა, დღეს უკვე ალარ არის. ამიტომ ერთგვარი სევდა შემოგვაწვა, როცა დავდიოდით მის ნასახლარზე. მეორე პატარა სახლს, რომელშიაც ყმაწვილი შოლოხოვი ერთხანს ცხოვრობდა, ხოლო ახლა მემორიალია, მუზეუმის დანიშნულებას რომ აკრულებს, სიხარულით ვათვალიერებდით, მაგრამ ჩვენთვის არ შეეძლო პასეისტური გრძნობა მთლიანად დაეკმაყოფილებინა, თუმცა სითბო არ დაუკლია. იმ პირველით გამოწვეული გულის რეჩხი უცვლელი დაგვრჩა, რაც უკან დაბრუნების დროს, დიდ მწერალთან საუბარში, არ დაგვიმალავს.

შოლოხოვის მშობლები წარმოშობით სხვადასხვა მხრიდან იყვნენ: დედა—ანასტასია დანიელის ასული ჩერნიკოვა—უკრაინიდან, მამა ალექსანდრე მიხეილის ძე შოლოხოვი — რიაზანის გუბერნიიდან. თავის მოკლე ავტობიოგრაფიაში შოლოხოვი აღნიშნავს, რომ მამამისი რაზნოჩინეცი იყო (რა თქმა უნდა, სოციალურად),

1925 წლამდე (გარდაცვალებამდე) პროფესიებს იცვლიდა, ერთხანს პირუტყვის შემსყიდველად და ორთქლის წისქვილის მმართველად მუშაობდა, პურს სთესავდა, ნოქარიც ყოფილა. დედაზე კი მწერალს პირდაპირ ასე აქვს ნათქვამი: «Мать—полуказачка, полукрестьянка. Грамоте выучилась, когда отец отвез меня в гимназию, для того чтобы, не прибегая к помощи отца, самостоятельно писать мне письма. До 1912 г. и она и я имели землю: она как вдова казака, а я как сын казачий, но в 1912 г. отец мой, Шолохов, усыновил меня (до этого был он не венчан с матерью), и я стал числиться «сыном мещанина»*.

როგორც ამ მოკლე ავტობიოგრაფიაშია აღნიშნული, შოლოხოვს უსწავლია სხვადასხვა გიმნაზიაში. ეს სწავლა გაგრძელებულა 1918 წლამდე, შემდეგ კი, სამოქალაქო ომის დროს, შინ დაბრუნებულა, 1920 წლიდან სამსახური დაუწყია. «Долго был продработником»,—წერს შოლოხოვი.—„Гонялся за бандами, властвовавшими на Дону до 1922 г., и банды гонялись за нами. Все шло как положено. Приходилось бывать в разных переплетах, но за нынешними днями все это забывается»**. შემდეგ ასევე მოკლედ არის ნათქვამი, რომ წერას ხელი მიჰყო 1923 წლიდან, იბეჭდება კომკავშირულ ჟურნალ-გაზეთებში, პირველი წიგნი გამოსცა 1925 წელს, „წუნარ დონზე“ მუშაობს 1926 წლიდან, განზრახული აქვს 1931 წელს დაამთავროს.—«Вот и все»***. ასე ძუნწად, მოკლედ წერს შოლოხოვი თავის თავზე, იმ მღელვარე ცხოვრებაზე, რომელიც უაღრესად დაძაბული, ქარიშხლიანი იყო, და რომლის სურათები, ავტორის მიუთითებლად, მის შემოქმედებაში ლიტერატურულ გმირებს მიეწერა.

შოლოხოვის ბიოგრაფები დაწვრილებით გადმოგვცემენ მწერლის ახალგაზრდობისდროინდელი ცხოვრების ამბებს. წერა-კითხვა მომავალ მწერალს სახლში უსწავლია სოფლის მასწავლებელ ტიმოფეი ტიმოფეევიჩ მრიხინის ხელმძღვანელობით. ვიქტორ გურას

---

* Ю. Лукин, «Михаил Шолохов», М. 1962 г., стр. 4. ავტობიოგრაფიის ტექსტს ვიღებთ ამ წიგნიდან.

** Ю. Лукин, «Михаил Шолохов», М. 1962 г., стр. 5.

*** იქვე.

შემდეგი ამონაწერი მოაქვს მრიხინის მოგონებიდან: «Мише тогда было около семи лет. Родители его пригласили меня поработать с ним на дому—обучить грамоте, на что я охотно согласился. Он был хрупким, но очень живым и любознательным мальчиком... Работа с Мишей доставляла мне полное удовлетворение, так как я видел, что мой труд щедро вознаграждается прекрасными успехами моего прилежного ученика. За шесть-семь месяцев Миша прочно усвоил курс первого класса.* ამით არ დამთავრებულა მრიხინთან შოლოხოვის ურთიერთობა. როცა წამოიზარდა, თხუთმეტი წლის ყმაწვილი, შინ დაბრუნებული, ისევ მრიხინს უკავშირდება, მონაწილეობას ღებულობს კარგინსკის სცენის მოყვარეთა წრეში, რომელსაც ეს მზრუნველი მასწავლებელი ხელმძღვანელობს. შოლოხოვს მაყურებლის დიდი მოწონება დაუმსახურებია კომიკურ როლებში, მის ყოველ გამოსვლას თურმე ხშირი ტაშით აჯილდოებდნენ. მაყურებლები წინასწარ კითხულობდნენ—ითამაშებდა თუ არა მიშკა შოლოხოვი, უმისოდ სპექტაკლი ისეთ საინტერესო არ იქნებაო** . მერე-და რა არ იდგმებოდა: ოსტროვსკის „სილარიბე ბიწიერება ♦არ არის“, „სხვის მარხილში ნუ ჩაჯდები“, „ჩვენიანები ვართ-მოვრიგდებით“, გარდა ამისა, ანტონ ჩეხოვის „დათვი“, „წინადადება“, „იუბილე“*** . თამაშის დროს შოლოხოვი აძლიერებდა როლს, „ამძაფრებდა კომიკურ სიტუაციას“, თავისი მხრიდანაც უმატებდა სასაცილოსო. ამ დროს შოლოხოვს თვითონაც დაუწერია პიესები, მაგალითად, „გენერალი პობედონოსცევი“ (სამოქალაქო ომის თემაზე), „არაჩვეულებრივი დღე“, რომელშიაც თვითონვე შეუსრულებია კომიკური როლი“**** .

სცენის, განსაკუთრებით ლიტერატურის სიყვარულმა ნიჭიერ ყმაწვილს კიდევ უფრო გაუძლიერა სურვილი ღრმად შეესწავლა როგორც დიდი რუსი, ისე ევროპელი მწერლების შემოქმედება. ეს შესწავლა ადრე დაიწყო და ათეული წლები გაგრძელდა. მიუ-

---

* В. В. Гура, «Жизнь и творчество М. А. Шолохова», 1960 г., стр. 14.

** В. В. Гура, «Жизнь и творчество М. А. Шолохова», 1960, г., стр. 16—17.

*** იქვე, გვ. 17.

**** იქვე.

ხედავად სკოლური განათლების შეფერხებისა, თვითგანათლებით შოლოხოვმა იმდენი შეიძინა, რასაც თვით სკოლა ძნელად თუ მისცემდა.

სამოქალაქო ომში მონაწილეობამ, მძიმე ბრძოლებმა, ათასგვარმა გაჭირვებამ და ხიფათმა, სიკვდილის კლანჭებში არაერთგზის ყოფნამ, მდიდარი ცხოვრებისეული მასალა შესძინა მწერალს, რომელმაც შემდეგ ყოველივე ეს არაჩვეულებრივი მხატვრული ოსტატობით გადმოგვცა თავის უბრწყინვალეს მოთხრობებსა და რომანებში. «В 1921 году,—წერს გურა,—когда на Дону появились банды Фомина, Мелихова, Маслакова, когда прорывались сюда из соседней Воронежской губернии банды Антонова и Кондратьева, Шолохов плечом к плечу с коммунистами и комсомольцами находился в походах, «служил и мыкался по Донской земле» вплоть до 1922 года, пока эти банды не были полностью разгромлены... Во время боя под хутором Коньковым Шолохова захватили в плен. Допрашивал его сам Махно. пригрозив юноше в случае новой встречи виселицей»*.

ამ უკანასკნელ ფაქტს, ისევე, როგორც მწერლის სხვა ბიოგრაფიულ მასალებს, ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით, როცა შოლოხოვის მხატვრული შემოქმედების მსოფლიო აღიარებაზე ვილაპარაკებთ, დაწყებული „მოლოდაია გვარდიას“ ჯგუფიდან, როცა პირველი ნაბიჯები გადადგა შომავალმა დიდმა მწერალმა რუსულ ლიტერატურაში, პატარა, სულ უცნობი „მ. შოლოხი“ იქცა თანამედროვეობის უდიდეს რომანისტ „მ. შოლოხოვად“, რომლის სახელს ასე მუდროდ გადაეჯდო საბჭოთა მწერლის ღირსება და ავტორიტეტი.

1974 წელს პროგრესულმა კაცობრიობამ ღრმა პატივისცემითა და სიყვარულით აღნიშნა თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი მწერლის, აკადემიკოსის, სოციალისტური შრომის გმირის, ხალხთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის დაუცხრომელი მებრძოლის მიხეილ შოლოხოვის ლიტერატურული მოღვაწეობის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე.

---

* В. В. Гура, «Жизнь и творчество М. А. Шолохова», 1960 г., стр. 18.

1975 წელს მთელ მსოფლიოში ფართოდ აღინიშნა ნობელის პრემიის ლაურეატის, გენიალური რუსი მწერლის, ეროვნის მოთხრობების, „წყნარი დონის“, „გატეხილი ყამირის“, „სიძულვილის მეცნიერების“, „კაცის ბედის“, „ისინი სამშობლოსათვის იბრძოდნენ“ სახელგანთქმული ავტორის — მიხეილ შოლოხოვის დაბადების 70 წლისთავი, რასაც მონოგრაფიის ბოლოს კვლავ შევეხებით.

მიხეილ შოლოხოვი მთელი ეპოქაა როგორც რუსული, ისე მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში. ძნელია სიტყვით გამოხატო მისი როლი და მნიშვნელობა. თავიდანვე კოლოსის საჭით წამოიმართა ტანად პატარა ეს კაცი და ისეთი ქარიშხალი მოიტანა მხატვრულ აზროვნებაში, რომ ყველამ ერთბაშად იგრძნო აღელვებული მდინარის გადმოსვლა ნაპირებიდან. ის ორეულივით არავის ჰგავდა და მასაც ვერავინ დაემსგავსა. ასე იციან გენიოსებმა — განმარტოვდებიან თავისთვის და ახლოს არავის მიიკარებენ, თვითონ კი ახლობელი ხდებიან ყველასათვის. გენიოსთა შორის შოლოხოვი ამ მხრივაც გამონაკლისი არ არის. პირად ურთიერთობაში საოცრად თბილი, ეზრუნველი, ახლოს მდგომი ადამიანებთან, მწერლებთან, შემოქმედებით სრულიად განცალკევებული, შორს მდგომია, ვინაიდან მის მხატვრულ სიმაღლეს ვერავინ წვდება და ვერავინ უტოლდება.

თავისებურად დაიწყო მიხეილ შოლოხოვის ლიტერატურული მოღვაწეობაც. 18 წლის ყმაწვილმა გაზეთში «Юношеская правда» გამოაქვეყნა თავისი პირველი ნაწარმოები—„გამოცდა“ («Испытание») და მას შემდეგ მისი სახელი აღარ ჩამოსულა ყოველდღიური პრესის ფურცლებიდან.

მარტოოდენ გენიალურ ადამიანს შეეძლო 22 წლის ასაკში დაეწერა უცნაური ძალის რომანის „წყნარი დონის“ პირველი და მეორე წიგნი; რაც შეეხება მთელ ნაწარმოებს — რომანის ოთხივე წიგნს, როგორც ეპოსს, — ეს არის ნამდვილად შედევრი არაწარტო საბჭოთა, თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურაშიც. ასეთი მხატვრული თხზულებანი საუკუნეებში მხოლოდ ერთხელ იბადებიან. მაგრამ გაიხსენეთ „გატეხილი ყამირი“, „ისინი სამშობლოსათვის იბრძოდნენ“, შოლოხოვის მთელი შემოქმედებითი

ცხოვრების გზა, დაწყებული პირველი მოთხრობიდან — „გამოცდა“, დამთავრებული ბოლო რომანით — „ისინი სამშობლოსათვის იბრძოდნენ“! როგორც უკვე ვთქვით, ეს მთელი ეპოქაა საბჭოთა ლიტერატურაში. მაგრამ თვით შემოქმედებაში ასახულია ისტორიული ეპოქა — პირველი მსოფლიო ომის წინადღეებიდან ჩვენს დრომდე. „წყნარი დონი“ იწყება 1914 წლამდე, მთავრდება 1921 წლით, „დონის მოთხრობები“ მოიცავენ ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის პერიოდს, „გატეხილი ყამირი“ ასახავს ოცდაათიან წლებს, ხოლო „სიძულვილის მეცნიერება“, „ბედი კაცისა“, „ისინი სამშობლოსათვის იბრძოდნენ“ ოპოზიციას, მეორე მსოფლიო ომს და მის შედეგებს. როგორც ვხედავთ, შოლოხოვის ეპოსი არსებითად მოიცავს კაცობრიობის განვითარების სამოცდაათწლიან პერიოდს — 900-იანიდან ჩვენს დრომდე. ამ პერიოდის ყველაზე დიდი მოვლენები — პირველი მსოფლიო ომი და ოქტომბრის რევოლუცია, სამოქალაქო ომი, კოლექტივიზაცია, სამამულო ომის უმაგალითო ოდისეა, რომლის მსგავსი ისტორიას არასოდეს ჰქონია, შოლოხოვმა ხელოვნების უმაღლეს რანგში წარმოგვისახა. „წყნარი დონი“, „გატეხილი ყამირი“, „ისინი სამშობლოსათვის იბრძოდნენ“ თავისებურ ტეტრალოგია-ტრილოგიად გვევლინებიან, ჩვენი ცხოვრების სამ დიდ პერიოდს მხატვრულად რომ უკვდავყოფენ. დონის მოთხრობები თითქოსდა ავსებენ დროის ლაკუნებს, ეპოსს ამთლიანებენ, ხოლო პუბლიცისტიკა ლოგიკურად ანათებს ამ დიდი შემოქმედების მთელ კრედოს.

შოლოხოვი არამარტო დიდი მწერალი — რომანისტი, არამედ დიდი მოქალაქე და მოღვაწეა. მას ეკუთვნის და თვითონვე უყვარს უბეშმარიტესი დეფინიცია, რომ „ისტორია ამოწმებს ადამიანებს საქმეში და არა სიტყვებით“. ჩვენც შევამოწმოთ მისი საქმეები, დავგირგვინებულნი მისივე მხატვრული შედევრებით, რომლებსაც უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტი ისტორია აქვთ. ეს ისტორია თავისთავად ამოწმებდა მწერალსაც და მის შემოქმედებასაც. არაფერი დარჩენილა კრიტიკის, განხილვის, ანალიზის გარეშე. რა არ იწერებოდა, რა არ დაიწერა, რა არ იწერება, მომავალშიც რა არ დაიწერება, მაგრამ ყველგან შოლოხოვის ტალანტზე ერთს ლაპარაკობდნენ, ერთს აღნიშნავდნენ, დღესაც ხაზ-

გასმით მიუთითებენ, ხოლო მომავალზე ეჭვიც არ არსებობს — გენიოსის უკვდავების დაფნის გვირგვინი არასოდეს ძირს არ ჩამოვარდება, ზევით, სულ ზევით აიწევს დროთა სვლაში, როგორც ბარიდან აფრენილი მთის არწივი მძლავრი ფრთებით ჰაერს გაპობს და ცაში ელვასავით აიჭრება.

ეს არწივისებური გაფრენა ლიტერატურაში სრულიად ჭაბუკმა შოლოხოვმა ბელეტრისტიკით დაიწყო და პირველივე გამოჩენისთანავე თავისი უზადო მხატვრული ტალანტი ერთბაშად გამოაბრწყინა, როგორც მზე დიდებულად ამოანათებს ხოლმე საუკუნეთა განთიადზე. ეს განთიადი შოლოხოვის დიდ შემოქმედებაში „დონის მოთხრობებია", რომლის კრიტიკულ გარჩევასაც ჰომეროსი თავში შევუდგებით. წინასწარ კი იმას დავსძენთ, რომ თუ „დონის მოთხრობები" შოლოხოვის ჯერ კიდევ ჭაბუკური ტალანტის პირველი გამოჩენაა, „წყნარი დონი" და „გატეხილი უღმირი" უკვე დასრულებული ნიჭია, რომელიც „ილიადას" ავტორის მხატვრული ძალით გვეცნობება, სადაც მოქმედებაა მისი სულის შინაგანი სტიქია, ხოლო რომანში — „ისინი სამშობლოსათვის იბრძოდნენ", „ილიადა" გადასულია „ოდისეაში" — მოქმედება პრევალირებულია თხრობით, როგორც ჰომეროსთან. „დონის მოთხრობების" ანალიზიდან მკითხველი ნათლად დაინახავს, მართლაც, რა უზადო ტალანტი მოევლინა რუსულ ლიტერატურას იმ დროს ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა შოლოხოვის სახით!

II

ახალგაზრდა შოლოხოვის უზადო ტალანტი

დონის მოთხრობები

გენიოსთა შემოქმედებითი ბიოგრაფიები მრავალ ჭეშმარიტებასთან ერთად იმასაც გვაუწყებენ, რომ მათი პირველი ნაწარმოები, ჭაბუკობის წლებში შექმნილი, როგორი სუსტიც არ უნდა იყოს, მომავალი ტალანტის ძირითად თვისებებს უეჭველად ამჟღავნებს. თუ რომელიმე გენიოსს შეიძლება ეს დებულება მივუ-

ყენოთ, შოლოხოვი პირველთა რიგში უნდა დავასახელოთ. მისი ადრინდელი მოთხრობები, დაწყებული 1923 წელს გამოქვეყნებული „გამოცდით“, როცა ავტორი 18 წლის ყმაწვილი იყო, დამთავრებული სამი წლის შემდეგ, 1926 წელს დაწერილი „სხვისი სისხლით“, შეიცავენ ყველა იმ დამახასიათებელ შემოქმედებითს თვისებას, რომლებიც ასე რელიეფურად გამოარჩევენ „წყნარი დონისა“ და „გატეხილი ყამირის“ დიდოსტატს. ჩვენ შორსა ვართ იმ აზრიდან, რომ დონის მოთხრობათა ავტორი, ოსტატობის მხრივ, სტატიურ მდგომარეობაში დავტოვოთ, თითქოს ის არ გაზრდილიყოს, რაც ხსენებული პროზაული ნაწარმოებები შექმნა, მაგრამ არ შეგვიძლია ბაზგასმით არ აღვნიშნოთ „დამწყები“ და „დამთავრებული“ შოლოხოვის დამახასიათებელი თვისებების ერთიანობა. რეალური ცხოვრების ღრმა ცოდნა, ეპიკური ასახვა, იდეურობა, ლაკონური სტილი, დიალექტებისა და ყოფითი დეტალების უხვად გამოყენება, მძაფრი სიუჟეტები, სახეებისა და ტიპების მკვეთრად გამოკვეთა, პეიზაჟების ორგანული ჩართვა ფაბულის განვითარებაში, ბუნებრივი, მოხდენილი დიალოგები, — ყველა ეს შოლოხოვისებური შტრიხები თავიდანვე გამოარჩევდნენ დონის მოთხრობებს. ყველა ეს თვისება „წყნარ დონსა“ და „გატეხილ ყამირში“ უფრო მაღალი რანგით წარმოსდგა, აგრეთვე განათდა „სიძულვილის მეცნიერება“, „ბედი კაცისა“ და ჯერ კიდევ დაუმთავრებელი რომანი — „ისინი საბრძოლოსათვის იბრძოდნენ“.

იმ დროს, როცა გაზეთ „მოლოდოი ლენინეცში“ სრულიად ჭაბუკმა, უცნობმა ახალგაზრდა მწერალმა შოლოხოვმა გამოაქვეყნა ექვსი პატარა თავისაგან შემდგარი მოთხრობა — „ხალი“, ვერავინ იფიქრებდა თუ მისი სახით XX საუკუნის მსოფლიო ლიტერატურას მოევლინებოდა თავისი ერთ-ერთი დამამშვენებელი, საბჭოთა მწერლობის სიამაყე, გენიოსი ხელოვანი!

ვამბობთ ამას და გვახსენდება თვით შოლოხოვის სიტყვები, თუ როგორ იწყებდნენ დიდი მწერლები საკუთარ შემოქმედებითს ბიოგრაფიას. არ გვინდა ვინმემ იფიქროს, თითქოს ჩვენი დებულებები ოდნავ მაინც ეწინააღმდეგებოდნენ ან არ ეთანხმებოდნენ ამავე საკითხზე „წყნარი დონის“ ავტორის მოსაზრებებს. ეჭვი

შეიძლება იმან დაბადოს, რომ ჩვენ დასკვნა გავაკეთოთ, ჩვენთვის საჭირო და აუცილებელი, შოლოხოვს კი არ გაუკეთებია, ვინაიდან მისთვის ეს დასკვნა არც საჭირო იყო, არც აუცილებელი. გაუგებრობა რომ გაიფანტოს, თვით შოლოხოვის სიტყვებს მოვიტანთ: „... დიდ მწერალთაგან ვინ იწყებდა გენიალური ნაწარმოებებით? როგორც წესი, მათი პირველი ნაწარმოებები ყოველთვის იყო საშუალო“ (ტ. 8, გვ. 430). ეს აზრი აბსოლუტურად სწორია. ჩვენც ამას ვამტკიცებთ, და მისგანვე კეთდება დასკვნა, რომ „საშუალოს“, „სუსტის“ მიუხედავად, დიდი მწერლების პირველი ნაწარმოებები, რითაც ისინი იწყებენ შემოქმედებითს ბიოგრაფიას, შეუძლებელია რაიმეთი მაინც არ ამჟღავნებდნენ მომავალ ავტორს, თუ მან შეიძლო გამხდარიყო დიდი მწერალი, ამავე დროს, პირველ ნაწარმოებებში იმას ეხებოდა, რაც მისთვის ორგანულ მოთხოვნას შეადგენდა. შოლოხოვთან ეს საკითხი ნათლად არის გარკვეული. პირველ მოთხრობებში მისი ტალანტის ყველა ძირითადი ნიშანი მოცემულია, ზოგან ძლიერად, ზოგან ემბრიონალური სახით, მაგრამ ორივეგან ისე მკაფიოდ, რომ არამარტო ლიტერატურული კრიტიკოსი, ოდნავ დაკვირვებული მკითხველიც ადვილად შეამჩნევს. ამიტომ ჩვენ გზადაგზა, როცა ამ მოთხრობებს მიმოვიხილავთ, შევეცდებით კონკრეტული ფაქტები მოვიშველიოთ.

შოლოხოვმა იმით დაიწყო ლიტერატურაში შემოსვლა, რაც მისი სულის შინაგანი სტრუქტურა იყო, რაც საკუთარი თვალით ჰქონდა ნახული და რაც ასე მძაფრად განიცადა, როგორც ადამიანმა, როგორც სამოქალაქო ომის მონაწილემ. „ხალში“ აღწერილი ტრაგედიაც სამოქალაქო ომის სინამდვილიდან არის აღებული. სიუჟეტი განვითარებულია ეპიკური თხრობით. დიალოგებისა და პასაჟების უაღრესად ზომიერი გამოყენებით.

გავეცნოთ შინაარსს.

წითლების ესკადრონს მეთაურად ჰყავს თვრამეტი წლის ყმაწვილი, კომკავშირელი ნიკოლკა კოშევოი, რომელსაც მშობლები მხოლოდ ბავშვობის მოგონებით ახსოვს. ხუთი-ექვსი წლისას მზრუნველი მამა — კაზაკი ასწავლიდა ცხენის ტარებას, დედა კი უღიმოდა გახარებული, რომ შვილი ვაჟკაცად ეზრდება.

შემდეგ ცხოვრება უცნაურად დატრიალდა: მამა გერმანიის ომში უგზოუკვლოდ დაიკარგა, მისი ასავალ-დასავალი ვერავინ შეიტყო. ხოლო დედა მოულოდნელად გარდაიცვალა. ობლად დარჩენილმა ბიჭმა, მამისაგან რომ ისწავლა ცხენების სიყვარული და მამაცობა, მემკვიდრეობით მიიღო მარცხენა ფეხზე მტრედის კვერცხის ოდენა ხალიც — მამასაც ასეთივე ხალი ჰქონდა. თხუთმეტ წლამდე ნიკოლკა დაქირავებული შრომით ირჩენდა თავს, შემდეგ, წითლების არმიაში ნებაყოფლობით წასული, სულ ყმაწვილი ებრძოდა ვრანგელს. ერთხელ, ზაფხულს, დონში ბანაობის დროს, სამხედრო კომისარმა, შენიშნა თუ არა ნიკოლკას მარცხენა ფეხზე ხალი, უთხრა: „ბედნიერი ხარ! ხალი — ეს, ამბობენ, ბედნიერებააო". ნიკოლკამ წყლიდან ამოუყვირა: „მე პატარაობიდანვე ობოლი ვარ, მუშაობაში მთელი ცხოვრების მანძილზე ვიღუპებოდი, ეს კი მეუბნება — ბედნიერებააო!"*.

ყმაწვილი ოცნებობს სწავლაზე, მან ხომ სამრევლო სკოლის დამთავრებაც ვერ მოასწრო, სიტყვების სწორად დაწერაც კი არ იცის, რის გამო სამხედრო კომისარი ხშირად არცხვენს. და ამ დროს ნიკოლკა — თვრამეტი წლის ბიჭი, ესკადრონის მეთაური, ღებულობს თავმჯდომარის თხოვნას — შენი ესკადრონით გამოდი, ბანდას შეებრძოლეო. ნიკოლკა შეებრძოლება და კვდება ბანდის მეთაურის ხელით. ატამანი, როცა მოკლულის ძარცვას იწყებს, შენიშნავს მის მარცხენა ფეხზე ხალს, რაღაც ეცნაურება, გადმოაბრუნებს სისხლში მოსვრილ ნიკოლკას და ყრუდ ამოიგმინებს: „შვილიკო!... ნიკოლუშკა!.. მშობლიურო!... ჩემო სისხლხორცო!" (ტ. I, გვ. 14). დაკარგულმა მამამ შვილი მოჰკლა, ის შვილი, რომელსაც ხუთი-ექვსი წლისას ცხენის ტარებას ასწავლიდა, რომ ეჭკაცი კაზაკი გაეზარდა. ცხოვრებამ კი ისინი მტრებად აქცია. რაღა დარჩენოდა შვილის მკვლელს? არაფერი, გარდა იმისა, რომ ძირში ჩაიდო მაუზერის ლულა და გაისროლა. შემაზრზენი სურათია, რომლის არაერთ ანალოგიას შემდეგ მრავალჯერ ვნახავთ შოლოხოვის ეპიკურ შემოქმედებაში.

---

* М. Шолохов, Собрание сочинений в восьми томах, 1962 წ., ტ. I, გვ. 6. ჩვენს მონოგრაფიაში ყველგან ეს გამოცემა იქნება გამოყენებული. ამიტომ ტექსტში ჯერ მხოლოდ ტომს, შემდეგ კი გვერდებს მივუთითებთ.

მოთხრობა „მწყემსი“, რომელიც 1925 წელს დაიწერა, სოფლის ცხოვრებას გვიხატავს საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში. ხუტორის კრებაზე აღმასკომის თავმჯდომარე აცხადებს, რომ ძველმა მწყემსმა უარი თქვა მუშაობაზე — საზღაური ცოტაა, ხელს არ მაძლევსო, ამიტომ ჩვენ მის ადგილზე გთავაზობთ გრიგორი ფროლოვს, ობოლ ბიჭს, კომსომოლისტს, რომლის მამა ხარაზი იყო, ახლა მას დაიკო დუნიატკას მეტი არავინა ჰყავს, მშივრები არიან, ლუკმა-პური არა აქვთ, ვფიქრობ, მათ გაჭირვებას ანგარიშს გაუწევთ, დაიქირავებთ ჯოგის დარაჯადო. წინააღმდეგი გამოდიან შეძლებული, მორწმუნე გლეხები, მიხეი ნესტოროვი და იგნატი — მეწისქვილე, რომლებიც მტრულად არიან განწყობილი ახალი ხელისუფლებისადმი, სძულთ კომუნისტები, კომკავშირელები, მიაჩნიათ, რომ „კომუნისტები აქ არაფერ შუაში არიან... ლოცვა-კურთხევით უნდა“ ჯოგის მოვლა და არა სხვანაირად. თავმჯდომარე დიდი გაჭირვებით ახერხებს გრიგორის დანიშვნას ჯოგის მწყემსად, ცდილობს ყოველმხრივ დაეხმაროს ობოლ და-ძმას. მეორე დღესვე ჩააკითხავს, ბათმან სიმინდის ფქვილსა და ერთ ჩანთა ხორბალს ჩაუტანს, შემოდგომაზე ჰპირდება სასწავლებელში გაგზავნას — მე თვითონ წაგიყვანო. უნებლიედ გაგახსენდება „გატეხილი ყამირიდან“ სემიონ დავიდოვი, რომელიც ასევე ეხმარება ვარკას და თვითონვე მიჰყავს ქალაქში სასწავლებლად. „მწყემსის“ თავმჯდომარე უეჭველად სემიონ დავიდოვის ლიტერატურული პროტოტიპია, რომელიც ისევე ებრძვის ხუტორის ბობოლებს, როგორც დავიდოვი კულაკებს. ბობოლები ახერხებენ გადააყენონ საბჭოთა ხელისუფლების ერთგული აღმასკომის თავმჯდომარე, მის ადგილზე ნიშნავენ ბობოლა მიხეი ნესტოროვის სიძეს. მანამდე კი უბედურება ხდება: ჯოგს, რომელსაც ობოლი და-ძმა ფროლოვები მწყემსავენ, საქონლის ავადმყოფობა მუსრს ავლებს, ასორმოცდაათი სული დაეღუპება. ჩამოდიან მიხეი ნესტოროვი და იგნატი — მეწისქვილე. ისინი დაემუქრებიან გრიგორის, რომელსაც ლენინის სურათი უკიდია კარავში, და საქონლის დაღუპვას მწყემსის უღმერთობას მიაწერენ. მეორე დღეს ჩამოდის მჭედელი ტიხონი. ის აცნობებს გრიგორის სამწუხარო ამბავს: ძველი თავმჯდომარე შე-

ცვალეს, მის ადგილზე დანიშნეს მიხეი ნესტოროვის სიძე, რომელმაც უკანონოდ გაანაწილა მიწა, ღარიბებს ცუდი დაურიგა, შეძლებულებს — ყველაზე კარგი, მდიდრები ისევ ზურგზე დაგვასხდნენო. გრიგორი სიმინდის ფუჩეჩზე სწერს კორესპონდენციას და გაზეთ „კრასნაია პრავდას“ უგზავნის ტიხონის ხელით.

ვიდრე მოთხრობის შინაარსის გადმოცემას გავაგრძელებდეთ, მკითხველს გვინდა ვაცნობოთ, რომ 1925 წელს დაწერილი „მწყემსის“ მჭედელი ტიხონი „გატეხილი ყამირის“ მჭედელ შალის ლიტერატურული პროტოტიპია. ტიხონი ისევე ერთგულია საბჭოთა ხელისუფლებისა, როგორც შალი, მაგრამ, თუ ის ეპიზოდურ როლს ასრულებს მოთხრობაში, „გატეხილი ყამირის“ მჭედელი დასრულებული, ერთ-ერთი მთავარი გმირია. ტიხონის ეპიზოდურობა იქ თავდება, სადაც ჩვენ ვგებულობთ, რომ მან პირნათლად შეასრულა გრიგორის თხოვნა — გაზეთს ჩააბარა კორესპონდენცია. ჩააბარა და კიდევაც დაბეჭდეს. ეს შეიქნა საბედისწერო გრიგორისათვის. ორი ცხენოსანი მივიდა მასთან, ერთი მათგანი იყო მიხეი ნესტოროვის სიძე — ახალი თავმჯდომარე, ბობოლების ინტერესების დამცველი, მეორე კი იგნატ-მეწისქვილეს ვაჟი. პირველმა მოკლე საუბრის შემდეგ ნაგანი ამოიღო. გრიგორის შეკითხვაზე — რატომ?.. , — ბობოლა თავმჯდომარემ უპასუხა: „იმიტომ, რომ შენს გამო სასამართლოში მივდივარო!“ (იქვე, გვ. 23). ამის შემდეგ მიხეი ნესტოროვის სიძე — თავმჯდომარე ჰკლავს გრიგორის, ხოლო იგნატ-მეწისქვილის ვაჟი ბილწავს მოკლულ კომკავშირელს.

მარტოდ დარჩენილი დუნიატკა, ძმის დაკრძალვის შემდეგ, მიდის „ქალაქში, სადაც საბჭოთა ხელისუფლებაა, სადაც პროლეტარები სწავლობენ იმისათვის, რათა მომავალში იცოდნენ რესპუბლიკის მართვა.

ასეა ნათქვამი ლენინის წიგნაკში“ (ტ. I, გვ. 26).

ამ სიტყვებით მთავრდება „მწყემსი“, რომელიც „ხალის“ მსგავსად ლღნავადაც არ გვაგრძნობინებს, რომ მისი ავტორი ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდაა, ყმაწვილია არამარტო ლიტერატურაში — ცხოვრებაშიც!

ლონის მოთხრობების ციკლიდან მესამე ნაწარმოებია 1925 წლით ღათარიღებული **„სურსათის კომისარი“**. „ხალის“ ტრაგე-

დია — მამა-შვილის სასიკვდილო ურთიერთობა აქ გაშლილია უფრო მძაფრ სოციალურ და იდეოლოგიურ ასპექტებში. სამოქალაქო ომმა გააშიშვლა ადამიანების ურთიერთობა, თითოეულისაგან მოითხოვა სრული პასუხისმგებლობა — პროლეტარიატთან თუ ინტერვენციასთან, ახალი სამშობლოს დასაცავად თუ მტრის დაჭირავებულ ბანდებთან?

მოთხრობა იწყება სურსათის საოლქო კომისრის ჩამოსვლით ოკრუგში, სადაც იგნაშკა ბოდიაგინი ამავე მოვალეობას ასრულებს. იგი ენერგიული, მარჯვე ახალგაზრდა კაცია, თავდაუზოგავად მუშაობს წითელი არმიისა და ცენტრისათვის სურსათის შესაგროვებლად — გასაგზავნად. ერთი თვის ვადა მისცა უფროსმა კომისარმა. ისიც დაავალა — ამ დღეებში ტრიბუნალი ჩამოვა, ვინც პურს ბოროტი განზრახვით მალავს — სიკვდილით დასჯეთო.

ბოდიაგინიც თავისი სასურსათო რაზმით დარბის ოკრუგში, დიდ წინააღმდეგობებს აწყდება, ბევრი პურს მალავს, სახელმწიფოს არ აძლევს. სიცივესა და თოვლში ბოდიაგინი მიადგა სტანიცას, სადაც დაიბადა, მაგრამ აგერ ექვსი წელია არ უნახავს. წარსული გაიხსენა: თოთხმეტი წლის იყო, როცა მამის უკანონო მოქმედებას წინ აღუდგა. ამისათვის დაისაჯა — მამამ სახლიდან გააგდო ულუკმაპუროდ. ახლა მამის სახლი ახლოსაა. ცნობისმოყვარეობით ჰკითხა ბინის პატრონს: „მოხუცი ბოდიაგინი ცოცხალია?“ პასუხად მიიღო: „სულ მდიდრდება... ახალი ქალი მოიყვანა, მოხუცი ცოლი დიდიხანია მოკვდა, შვილი სადღაც დაიკარგა, ის კი ბებრუცუნა, ჯარისკაცივით დარბის...“ (გვ. 28).

მეორე დღეს, დილით, რევოლუციური ტრიბუნალის გამსვლელი სესიის თავმჯდომარემ ბოდიაგინს უთხრა: გუშინ ორი კულაკი აგიტაციას ეწეოდა კაზაკებში — პური არ ჩააბაროთო; გაჩხრეკის დროს მათ წინააღმდეგობა გაუწიეს და სცემეს ორ წითელარმიელს. საჩქენებელ სასამართლოს მოვაწყობთო.

ტრიბუნალმა ორივე კულაკს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. მეორე კულაკი ბოდიაგინის მამა იყო. მამა-შვილს შორის, უკანასკნელ წუთებში, ასეთი დიალოგი გაიმართა:

„— წითლებთან ხარ, შვილიკო?

— მათთან ვარ, მამილო.

— ეს—ე—ე...— გეერდზე გაიხედა.

დაჩუმდნენ.

— ექვსი წელია ერთმანეთი არ გვინახავს, მამილო, და სათქმელი არაფერია?" (გვ. 29).

როგორ არა, აღმოჩნდა სათქმელი, მაგრამ ამ თქმამ ის პატარა, საბოლოო სუსტი ძაფიც გაწყვიტა, დღემდე რომ მამა-შვილს ჯერ კიდევ აერთებდა. მამა — კონტრაა — სიკვდილმისჯილი, შვილი კი ღარიბების საქმისათვის იბრძვის. და როცა შვილმა უკანასკნელად უთხრა თავისი აზრი მამას — შენ კეტით შეხვდი მუშებისა და გლეხების ხელისუფლებას, ამიტომ დაისჯებიო, — მამამ უპასუხა: „შენ ჩემი შვილი არა ხარ, მე შენი მამა არა ვარო". სამგზის წყევლაც მიაყოლა, ანათემა შეუთვალა, მიაფურთხა კიდეც: ხოპრადან კაზაკები მოდიან შენი ხელისუფლების დასაკლავად. თუ არ მოვკედი, ჩემივე ხელებით სულს ამოგართმევო (გვ. 30).

ცოტა ხნის შემდეგ იგნაშკა ბოდიაგინი ტრიბუნალის კომენდანტ ტესლენკოსთან ერთად იღუპება, სიკვდილის წინ კი ეცდება გზადშეხვედრილი, უპატრონო პატარა ბიჭი, რომელსაც მზრუნველობა გაუწია, სიკვდილს გადაარჩინოს (გვ. 31—32).

უცნაური, თითქოს დაუჯერებელი ამბავია მოთხრობილი „შიბალკოს ოჯახში" (1925 წელი), მაგრამ განა შეიძლება რაიმე უცნაური ან დაუჯერებელი იყოს, როცა ომების ისტორია სავსეა წარმოუდგენელი თავგადასავლებითა და კონტროვერზას ოკეანეებით?! აი, სათვალიან ქალს, საბავშვო სახლის გამგეს, ასეულის მეტყვიამფრქვეველ იაშა შიბალკო ემუდარება: მეორე წელში გადამდგარი ჩემი ბიჭიკო მიიღე, დედა არ ჰყავსო. გამგე უარზეა — ძალიან პატარაა, ვერ მივიღებო. შიბალკო ჰყვება თავის ოდისეას, რომელიც მოკლედ შეიძლება ასე გადმოიცეს: შარშანწინ იაშა განსაკუთრებული დანიშნულების ასეულში იბრძოდა. დონის სტანიცებში მუსრავდა იგნატიევის ბანდის მებრძოლებს. ერთხელ გზაზე დაინახავს იგნატიეველების მიერ გაუპატიურებულ, გონებადაკარგულ ქალს, რომელსაც მოასულიერებს, თან წაიყვანს, ასეულში საქმეს გაუჩენს. მაგრამ, როცა შესთავაზებს, — წადი სხვაგან, თორემ ჩვენთან ტყვიას ვერ გადაურჩებიო, — ქალი უარს იტყვის: „ადგილზევე დამხვრიტეთ, ძვირფასო კაზაკებო, თქვენგან კი არ წავალო" (გვ. 34). სხვა ქალურ საქმებთან ერთად, დარია (ასე

ურქვა მას) ყოჩაღი მეეტლეც აღმოჩნდა. იაშას ოთხთვალას, რომელზეც ტყვიამფრქვევი იდგა, მამაკაცივით დააჭროლებდა. მოხდა ისე, რომ ასეულს ვაზნები გაუთავდა, მომტანიც არავინ იყო. ხუტორში დაბანაკებული ასეულის ყველა წევრი ამას საიდუმლოდ ინახავდა, მოსახლეობას არ უმხელდა, მით უფრო, რომ ხუტორის ერთ ბოლოში ბანდა იდგა, მეორეში — თვით ასეული. საიდუმლო ვერაცამ გასცა და უთანასწორო ბრძოლაში ასეულის ნახევარი გაწყდა. ვინც გადარჩა, ხუტორიდან თხუთმეტ კილომეტრზე ტყეს შეაფარა თავი, მათ შორის იაშამ და დარიამ, რომელმაც უნდა იმშობიაროს. საშინელი სცენაა აღწერილი — წააგავს გორკის „ადამიანის დაბადებას“, მაგრამ უფრო ამაზრზენია. შშობიარე ქალის ტკივილები, კვნესა, ტირილი, ცრემლები, კივილი, კრუნჩხვები მართლაც ოსტატური ზომიერებით გადმოუცია ახალგაზრდა ავტორს. იაშა ხედავს, რომ დარია მიუშველებლად ვერ იმშობიარებს, მივარდება ტყეში დაწოლილ ქალს, ხელებს დაიკაპიწებს და ბავშვი გამოჰყავს დედის მუცლიდან. „მიხდებოდა ხოლმე ადამიანების მოკვლა — ლაჩრობას არ ვიჩენდი, აქ კი...“ (გვ. 36—37). მცირე ხნის შემდეგ, როცა დარიამ ღმუილი შეწყვიტა, იაშას უთხრა, რომ მან გასცა საიდუმლო, ბანდაში თავისი სურვილით წავიდა, ატამან იგნატიევთან დაკავშირებული იყო, ერთი წლის წინათ ასეულში შემოგზავნის მიზნით გაუპატიურების ინსცენირება მოაწყვეს, ცნობები უნდა ეგზავნა ბანდისათვის... ასეული ავალებს იაშას თავისივე ხელით მოჰკლას ორივე — დარიაც და მისი შვილიც, თორემ თვითონ მას გაისტუმრებენ იმ ქვეყნად. მაგრამ როგორ მოჰკლას შვილი, რომელიც მისივე სისხლხორცია. ასეული თანახმაა მარტო დედა მოჰკლას. ასეც მოხდა, ბავშვი კი, ერთზე მეტი წლის განმავლობაში, ასეულთან იყო, პირველად ცხენის ძრახვ კვებავდნენ — სხვა საშუალება არ გააჩნდათ.

ასეთია „შიბალკოს ოჯახის“ ისტორია, რომელიც თითქოს უცნაურიც არის და დაუჯერებელიც, მაგრამ ვინ იცის რამდენი მსგავსი, უფრო საშინელიც მომხდარა უკუღმართად მოწყობილ ქვეყანაზე, ომების გრიგალსა და ქარიშხალში. ჩვენი სქემატური გადმოცემა მოთხრობის შინაარსისა, ცხადია, მკითხველს ვერ მისცემს წარმოდგენას ნაწარმოების მხატვრულ ღირსებაზე. ეს

ღირსება კი ნამდვილად დიდია, საკვირველიც, რომ ოცი წლის ყმაწვილი ავტორი ასე ოსტატურად წერს. როცა კითხულობთ „შიბალკოს ოჯახს“, ისეთი ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით ვითარდება მოთხრობის სიუჟეტი, ისე ბუნებრივად, რომ ეჭვი არაფერში გეპარებათ, — ყველაფერი ცხოვრებისეული ჩანს, როცა ადამიანები ერთმანეთს მშიერი მგლებივით დასძგერებიან. დიდი სოციალური და იდეოლოგიური კატაკლიზმების დროს ასეთი უცნაურობანი, ტრაგედიები ბუნებრივის სახეს ღებულობენ, სხვა გამოსავალი არც კი ჩანს. ყველა და ყოველგვარი ნიღაბის ჩამოხსნა, რაც ლევ ტოლსტოის პროზას გამოარჩევდა, შოლოხოვის პირველივე მოთხრობებში გამოჩნდა, როგორც მისი შემოქმედებითი მეთოდის ორგანული თვისება.

იმავე წელს შოლოხოვმა დაწერა „ილუხა“ — მშვენიერი მოთხრობა 20-იანი წლების ერთ-ერთ პირველ კომკავშირელებზე, რომლებიც თავდადებულად სწავლობენ და ემზადებიან ახალი ქვეყნის მშენებლობაში ღირსეული ადგილის დასაკავებლად.

ნაწარმოებში ორი მთავარი გმირია — სოფლელი ბიჭი ილუხა და ქალაქელი კომკავშირელი გოგონა ანა. ოცდაერთი წლის ილუხა ტოვებს სოფელს, დედ-მამას და მოსკოვში ჩადის ბიძაშთან, რომელიც „მოსსელპრომის“ საფუნთუშეს გამყიდველად მუშაობს. ყმაწვილმა ორი მიზეზის გამო დატოვა სოფელი: არ სურდა მედუქნე ფედიუშინის ქალიშვილი ცოლად შეერთო, რასაც დედ-მამა აძალებდა, გარდა ამისა, როგორც გამომშვიდობების დროს მამამ — ტროფიმ ნიკიტიჩმა გულმოსულად უთხრა — „კუმსამოლით ხარ მოწამლულიო“ — სწავლას ესწრაფებოდა. უკან დასაბრუნებელი გზა ილუხას უკვე აღარ ჰქონდა, ვინაიდან მამისაგან გაიგონა სიტყვები — წადი, მაგრამ სახლში აღარ შემოიხედოო!

მოსკოვში ჩასული ილუხა ბიძამ ხუროდ მოაწყო. როცა ღამით შინ ბრუნდებოდა, ყმაწვილმა შეამჩნია მდიდრულად ჩაცმული, მთვრალი მამაკაცი, რომელიც ახალგაზრდა ქალს შეურაცხყოფას აყენებდა, თან უმტკიცებდა: „...ჩვენს დროში ეს ასე უბრალო საქმეა. წუთიერი ბედნიერება...“ (გვ. 41). ილუხამ დაიცვა ქალი, რომელიც აღმოჩნდა კომკავშირელი ანა, მოსკოვის მკვიდრი, ჭკვიანი და განათლებული. ანასთან დაახლოებამ, მასთან სა-

ხლში სიარულმა ბევრი რამ შეასძინა ყმაწვილს: ასწავლა გამართულად წერა-კითხვა, კომკავშირელი გახადა. ილუხამ იგრძნო, რომ გულწრფელად შეუყვარდა თავდაჭერილი, სათნო, მშვენიერი ანა, განიზრახა მასთან დარჩენილიყო ღამის გასათევად, რაკი გვიანობამდე შერჩნენ საუბარს, მაგრამ... აქ მოხდა ის, რასაც ილუხა სულ არ მოელოდა. ანამ იგრძნო, რომ ყმაწვილი შეყვარებულია და გულწრფელად განუცხადა — გათხოვილი ვარ, ქმარი მყავსო. ადვილი წარმოსადგენია რა უნდა განეცადა პირველ სიყვარულშივე იმედგაცრუებულ ყმაწვილს. ორი კვირა სამუშაოზე არ გამოცხადებულა. გათქვირებული და გალურჯებული იწვა. ორი კვირის შემდეგ ილუხა ავრონომიულ კურსებზე გააგზავნეს. ერთი კვირის შემდეგ, როცა შინ ბრუნდებოდა, ანას შეხვდა. მათ შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

«—Ну, как живешь? Я слышала, что ты учишься?

— Помаленьку и живу и учусь. Спасибо, что грамоте научила.

Шел рядом, но от близости красной повязки уже не кружилась голова. Перед прощанием спросила, улыбаясь и глядя в сторону:

—А та болячка зажила?

—Учусь, как землю от разных болячек лечить, а на эту...— махнул рукой, перекинул инструмент с правого плеча на левое и зашагал, улыбаясь, дальше—грузный и неловкий» (გვ. 45).

ალეგორიულად ყველაფერია ნათქვამი, მაგრამ ვინ იცის შემდეგ რა მოხდება. თუ იმ ბრძენს დავუჯერებთ, რომელიც გვარწმუნებს, რომ ასი ქალის გულის მოგება უფრო ადვილია, ვიდრე ერთისაგან თავდაბსნაო, მაშინ უნდა ვიფიქროთ, ანასა და ილუხას სიყვარული ასე იოლად, როგორც მათ ჰგონიათ, არ დამთავრდება. ყოველ შემთხვევაში, პირველი თაობის კომკავშირელთა ცხოვრების ერთ-ერთი სურათი, ერთ-ერთი შტრიხი აქ ძალიან კარგად არის ნაჩვენები, თანაც ეგრძნობთ, რომ ეს ილუხები, ეს ანები სულ მალე სათავეში მოექცევიან ახალ ცხოვრებას, რათა წინ წასწიონ სოციალიზმის საქმე. მოთხრობის ძირითადი აზრი, კვინტესენცია აქ ამღლავნებს თავის თავს, როგორც ნაწარმოების იდეური მაგისტრალი.

1925 წელს დაიწერა აგრეთვე „ალიოშკას გული“ — შემაძრწუნებელი ამბებით სავსე მოთხრობა. მისი შინაარსის გადმოცემას ჩვენ ვერ შევიძლებთ — მაშინ მთელი ნაწარმოები უნდა ამოვწეროთ. მაგრამ დაახლოებითი წარმოდგენა მაინც რომ მივცეთ ჩვენს მკითხველს, მხოლოდ ზოგიერთ ფაქტზე შევაჩერებთ ყურადღებას.

ორი წელია დონზე გრძელდება საშინელი გვალვა. აღმოსავლეთის სასტიკმა ქარმა, ყაზახეთის ველებიდან რომ ჰქროდა, ორი ზაფხულის განმავლობაში წეწა პურის გაქარცებული კვირტები, გააშრო გამოცხმარი ველისაკენ მიქცეული გლეხების თვალი და მათი ძუნწი ცრემლები. დონზე საშინელი შიმშილობაა. უჭმელობით დასიებული, დაავადებული, ჩონჩხად ქცეული ადამიანები განუკითხავად იხოცებიან. შიმშილისაგან დავრდომილ თოთხმეტი წლის ალიოშკას შიმშილი წარმოდგენილი ჰყავს ძალიან დიდ „უთვალო კაცად, რომელიც უგზო-უკვლოდ მოდის, ხელის ცეცებით ჩხრეკავს დაბებს, ხუტორებს, სტანიცებს, ახრჩობს ადამიანებს“ და სადაცაა მასაც მისწვდება (გვ. 46). მეხუთე თვეა ალიოშკას პური არ უნახავს. სიხარულისაგან ცას ეწია, როცა მეზობლის მკვდარი კვიცის ხორცის ნაჭერი იშოვა. საღამოს, შეჭამა თუ არა ბანჯგვლიანი ხორცი, სული განუტევა ალიოშკას შავთვალებიანმა უმცროსმა დამ. ბაღის იქით თხრილში დამარხეს. დასუსტებულმა დედამ და ალიოშკამ ძლივს შეიძლეს ცოტა მიწა დაეყარათ „საფლავზე“. მეორე დღეს, მეზობლის ბიჭებმა უთხრეს ალიოშკას: ძალლებმა შეჭამეს მკვდარი კვიცი, შენი დაც—ნიურატკა თხრილიდან ამოთხარეს და ჯიგარი ამოუჭამესო.

გავიდა ერთი კვირა. უკვე სამი დღეა ალიოშკას დედა საწოლიდან ვერ დგება. ალიოშკაც ისე დასუსტდა, რომ ქარი აქცევს. უფროსმა დამ პოლკამ განიზრახა მდიდარი მეზობელი ქალის — მაკარჩიხას სახლში შეპარულიყო და რაიმე შეეჭამა. მაკარჩიხამ, რომელიც თავისი ბოროტებითა და სისასტიკით ყველა დომოსტროის უკან მოიტოვებს, მოუსწრო, იმდენი სცემა საწყალ გოგოს, რომ სული ვეაცხებინა, გაუქმებულ ჭაში ჩააგდო, მიწა ჭწრაფად მიაყარა. ყველაფერი ეს საბრალო ალიოშკამ საკუთარი თვალით დაინახა, მაკარჩიხამ ასეთივე დღე დააყენა ალიოშკასაც, როცა იგი მალულად ღამით შეიპარა მის სახლში და რძე დალია.

ნაცემ-ნაბეგვი ბიჭი შლიმში ჩააგდო ვერაგმა დედაკაცმა. ალიოშკა სიკვდილს გადაურჩა, მაგრამ მოუკვდა დედა, სულ მარტო დარჩა. ეკლესიიდან ბრუნდება მღვდელი, რომელსაც ტომარა სავსე აქვს ნამცხვრებითა და დამარილებული ხორცით. აჩრდილად ქცეული ალიოშკა სთხოვს საჭმელს, რელიგიის მსახური მოკლედ უპასუხებს — „ღმერთი მოგცემსო“ და გზას განაგრძობს (გვ. 50). სხვა უბედურებასთან ერთად, ალიოშკას თავში მატლები გაუჩნდა. მოასულიერა პოლიტკომისარმა სინიცინმა. მზრუნველობა გაუწია. შემდეგ მძიმე დღეები მოჯამაგირეობისა კულაკ ივან ალექსეევთან. ალიოშკას უაღრესად სათნო, კეთილი გული, რომლის შესახებაც დედა ელაპარაკებოდა — უჩემოდ დაიღუპები, ასეთი გულით ცხოვრებას ვერ შეიძლებო, — კარგად გრძნობს ვის მხარეზეა სიმართლე. გადამწყვეტ მომენტში, კონტრრევოლუციურ ბანდასთან შეტაკების დროს, ალიოშკა გმირობას ჩაიდენს, პოლიტკომისრის — თავისი მზრუნველის დავალებას მამაცურად შეასრულებს, მტერზე გამარჯვებას ხელს შეუწყობს, სიკვდილს გადაურჩება. გრანიტის ნამსხვრევმა ალიოშკას გულთან ახლოს გაიარა, მაგრამ ვერ დააზიანა.

ასევე დაიბადა სამოქალაქო ომისდროინდელი კომკავშირელი ალექსეი პოპოვი, რომელსაც პოლიტკომისარმა ბილეთი პირადად ჩააბარა (გვ. 60). ვინ იცის რამდენი ასეთი პოპოვი იყო იმ მრისხანე წლებში, როცა ახალი სამყაროსათვის ეპიკური ბრძოლა უშიშარი რაინდების მთელ თაობებს ბადებდა და მასობრივი გმირობის სასწაულებს ახდენდა. ახალგაზრდა შოლოხოვმა ყველაფერი ეს დონის მოთხრობებში არაჩვეულებრივი მხატვრული ძალით გვიჩვენა.

ახლა გავეცნოთ „მებაღჩეს“ (1925 წელი), რომელშიაც ისევ დონზე სამოქალაქო ომის მძიმე სურათებია აღწერილი. თოთხმეტი წლის მიტკას დიდი ხანია თავისი მამა — ანისიმ პეტროვიჩი ასე გაღიმებული არ უნახავს. სტანიცის ატამანს თურმე იგი დაუნიშნავს სამხედრო-საველე სასამართლოს კომენდანტად. — გერმანიის ომში ჩემი დამსახურება, ოფიცრობა და ვაჟკაცობა უფროსობამ არ დამივიწყაო, — ამბობს ანისიმ პეტროვიჩი. უფროს ვაჟიშვილს — ოცი წლის ფედორს კი აფრთხილებს — ბოლშევიკებთან ნუ დადიხარო. შვილი წინააღმდეგობას უწევს. განრისხე-

ბული მამა სასტიკად გალახავს მოსწრებულ ვაჟს. მიტკას დახმარებით ფედორი გაიპარება წითლებთან. გაპარვის წინ ძმას ეუბნება: „მოითმინე, მიტია! ვაებაში სულ არ ვიქნებით, მამას კი, ანისიმ პეტროვიჩს, ჩემი სიტყვები გადაეცი, თუ შენ ან დედაჩემს თითს დაგაწებთ, სასტიკად გაგისწორდები მას...“ (გვ. 64). ძმის წასვლას შემდეგ მიტიაც ოცნებობს ბოლშევიკებთან, წითლებთან წავიდეს, რაკი მათთან, როგორც ფედორმა სთქვა, სიმართლეა.

ღამით სტანიცაში მორეკეს ტყვე წითელგვარდიელების ჯგუფი. ისინი ყოველ ღამე გაჰყავთ დასახვრეტად. მიტია დედის დახმარებით ახერხებს კვირაში ორჯერ საშველი მიუტანოს ტყვეებს. როცა ანისიმ პეტროვიჩი — მხეცად ქცეული ფანატიკოსი ამას შეიტყობს, სასიკვდილოდ სცემს მეუღლეს, მიტია კი სახლიდან გაიპარება. მებაღჩედ დაიწყებს მუშაობას, კარავში ცხოვრობს. ერთხელ, მოულოდნელად გაიგონებს ყვირილს, განუწყვეტელ სროლას... გამთენიისას, კარავთან მოესმის ფაჩუნი და კვნესა. თურმე მიტიას უფროსი ძმა ფედორია, რომელიც დახვრეტას გადაურჩა, ფეხში დაჭრილი, შველას მოითხოვს. მიტია ეხმარება ძმას, კარავში შეიყვანს, მაგრამ გამოჩნდება ანისიმ პეტროვიჩი, შვილს მოსაკლავად დაეძებს. და იმ დროს, როცა გამძვინვარებულმა მამამ ფედორი უნდა მოჰკლას, მიტია ნაჯახს დაარტყამს მშობელს, თავს გაუხეთქავს. ძმები დიდი ტანჯვით გადასცურავენ დონს და წითლებს შეუერთდებიან.

ასე მთავრდება მოთხრობა, დონზე გაჩაღებული სასტიკი ბრძოლების კიდევ ერთი შოლოხოვისებური მხატვრული ტილო!

საკმაოდ ვრცელ მოთხრობაში — „გზა-ბილიკი“ (1925 წელი) ახალგაზრდა მწერალმა მისთვის უკვე ჩვეული ოსტატობით გაშალა ნაცნობი საყვარელი თემა. მაგრამ, თუ წინა მოთხრობებში მამა-შვილის სასიკვდილო მტრობა გვიჩვენა, აქ პირიქით, ქრემნევების მაგალითზე მშობლიური გრძნობა დაგვირგვინებულია იდეური ერთიანობით, ორივე — თომაც და პეტიაც თავგანწირულად იბრძვიან მშრომელთა ინტერესებისათვის, თომა ორმოცდამეჩვიდმეტე წელიწადშია, მოხუცებულობას უჩივის, ავადმყოფობა აწუხებს, პეტკა — ჩვიდმეტისაც არ არის. ისინი წვრილი ხელოსნები არიან — თექის ჩექმებს კერავენ და თავს ამით ირჩენენ. თომას მეუღლე დიდი ხანია გარდაიცვალა — მთელ

ოჯახს მამა-შვილი შეადგენს. თვითონ მშრომელები, ისინი ურიგოდ როდი ერკვევიან პროლეტარიატის ინტერესებში, მსგავსად მეზობელ სიდორისა, რომელიც მშედელია, კომუნისტი, ახლო მეგობრობა აქვს თომასთან, ყოველდღე ახალ-ახალ ამბებს უამბობს მამა-შვილს.

სტანიცაში თეთრები არიან, მაგრამ ყველაფრიდან ჩანს, რომ წითლები უტევენ, სადაცაა უნდა მოვიდნენ. ამ მოსვლას სულგოუთქმელად ელოდებიან თომაც და სიდორიც. პირველი შვილს უნერგავს ახალი ცხოვრებისადმი ერთგულებას — რაკი მუშებად დავიბადეთ, მოვალენიც ვართ „ჩვენს მუშურ ხელისუფლებას მხარი დავუჭიროთო“ (გვ. 78). ორი გზა-ბილიკით არავინ დადის, ჩვენ ერთი შეგვხვდა, იმით იარე სიკვდილამდე, არ გადაუხვიოო!

ასე ფიქრობს თომა კრემნელი, ასე ზრდის იდეურად თავის ერთადერთ პირმშოს.

თეთრებს გაუჭირდათ. დაიწყო მოსახლეობისათვის ყველაფრის ჩამორთმევა, რაც დაჭირავებულ ბანდას სჭირდება. თომას წაართვეს დამზადებული თექის ჩექმები, ერთიც არ დაუტოვეს. წინააღმდეგობა გაუწია მოხუცმა, ბოლშევიკი ხარო, დააპატიმრეს, სცემეს, გასამართლების ინსცენირება მოუწყვეს და საჯაროდ დასაჯეს სიკვდილით. მეორე დღეს კომუნისტი მშედელი სიდორიც მოჰკლეს. პეტკა სულ მარტო დარჩა. დაუკავშირდა უთვისტომო ალექსანდრეს, რომელსაც გვარიც კი არა აქვს. მას მეფე ალექსანდრე მესამეს სახელი ჰაბუკობის წლებში აუგად მოუხსენებია, თავისი თავისთვის ალექსანდრე მეოთხე უწოდებია, რის გამო სასიკვდილოდ უცემიათ. ალექსანდრე ჩეტვორტის ჰყავს ვაჟიშვილი იაშა. იგი კომუნისტია, უშიშარი მებრძოლი. პეტკა მამა-შვილის შთაგონებითა და დახმარებით თეთრების საწყობს ააფეთქებს. გაქცევის დროს სამიევს შეიპყრობენ, ალექსანდრე ჩეტვორტი იღუპება, იაშა და პეტია კი ბრძოლას აგრძელებენ. თეთრები მარცხდებიან, მაგრამ ატამან ნესტორ მახნოს ბანდები ისევ შემოესევიან სტანიცას, პეტკა სასწაულით გადაურჩება დახვრეტას, მახნოს ბანდაში ტოვებენ — ის კი, უკვე კომკავშირის უჯრედის მდივანი, გმირობას იჩენს, მახნოს ერთი ასეულის ჰკუაზე მოსულ მებრძოლებს წითლებთან მიიყვანს.

ამ ორნაწილიან მოთხრობაში, ისევე, როგორც წინა მოთხრო-

ბებში, შოლოხოვმა რელიგიის მსახურთა უარყოფითი სახეებიც წარმოსახა. მღვდელი და ფოფოდია აქაც თეთრების მხარეზე არიან. შემთხვევითი არ არის, რომ თეთრებს შტაბი ფოფოდიას სახლში აქვთ მოწყობილი. მშვენიერი სახეა მანჟულო, გონებაგახსნილი კაცი, რომელიც თეთრების ასეულს უმტკიცებს: „ბატკო ჩვენ შახტზე გავლით რუმინეთის საზღვართან მიგვიყვანს, იქ კი ჯარს მიაგდებს და მარტო წავა რუმინეთში“ (გვ. 111). მანჟულო პეტკას გადაარჩენს აშკარა დაღუპვისაგან და მასთან ერთად ასეულის მებრძოლებს წითლებთან მიიყვანს. ეს არის საბჭოთა ლიტერატურაში ერთ-ერთი პირველი მოთხრობა, რომელშიაც ატამან ნესტორ მახნოს სახე დიდი მხატვრული დამაჯერებლობით წარმოისახა.

თავისებურად ორიგინალურია მოთხრობა „ნაბიჭვარი“ (1925 წელი), რომელშიაც სამოქალაქო ომი ასახულია რვა წლის მიშკა კორშუნოვის განცდებისა და აზრების კალეიდოსკოპიდან. აქაც მამა-შვილის უსაზღვრო სიყვარული ნაჩვენებია ახალი ცხოვრების განმტკიცებისათვის ბრძოლაში. წინათ მეზღვაური, ახლა წითელი გვარდიის მეომარი, კომუნისტი თომა კორშუნოვი, სტანიცაში დაბრუნებული, თავის ერთადერთ ბიჭს საბჭოთა ხელისუფლებისადმი ერთგულებას უნერგავს, როგორც თომა კრემნევი პეტიას. კორშუნოვი ოქტომბრის რევოლუციის მონაწილეა, სმოლნში მორიგეობდა, ლენინს რამდენჯერმე შეხვდა, ესაუბრა კიდეც ამ დიდ კაცს. ყველაფერ ამას კორშუნოვი თავის ბიჭ-კოს უამბობს, რათა მის გულში ლენინის საქმისადმი ერთგულების გრძნობა თავიდანვე გააღვივოს. მამისათვის — მინკა, დედისათვის — მინიუშკა, პაპა აკიმისათვის — მიხაილო ფომიჩი — ეს რვა წლის ბიჭუნა ისეა გატაცებული მისთვის გაურკვეველი „ლენინის ჯარით“, რომ გადაწყვიტა სტანიცაში გზად მიმავალ წითლების ნაწილს თან გაჰყოლოდა „საბრძოლველად“. ნაწილის ჰკეიანმა მეთაურმა ბავშვს გული არ გაუტეხა, დაჰპირდა წაგიყვანო, ისე გააცრუა, როგორც ჩვეულებრივად უფროსი ადამიანები პატარებს ტყუილით დააშოშმინებენ ხოლმე. ყოფილი მწყემსის, კომუნისტ თომა კორშუნოვის ბიჭი მეზობელი მდიდრების — მღვდლისა და მეფუტკნის შვილებისაგან „შევიწროებულია“. ერთხელ სცემეს კიდეც, ნაბიჭვარი უწოდეს, მამაც აუგად მოუხსე-

ნიეს — ომში მკბენარებს ხოცავდა, როცა მოკუდები, ღმერთი ჯოჯოხეთში ჩაგაგდებს, რაკი კომუნისტის შვილი ხარო! მაგრამ პატარა მიშუტკა, რომელსაც ნაბიჭვარს იმიტომ უწოდებენ, რომ მშობლების ჯვარისწერა მისი დაბადებიდან ერთი თვის შემდეგ მოხდა, შეუპოვარია. მღვდლის შვილს ვიტკას, მედუქნის ქალვაჟს — პროშკასა და ნატაშკას ტოლს არ უდებს.

ერთხელ, როცა უცნობი კაცი ქალაქიდან ჩამოვიდა, რათა სოფლის აღმასკომის თავმჯდომარის არჩევნები ჩაეტარებინა, მიშუტკამ პირველად ნახა ლენინის სურათი, სთხოვა ძიას — მაჩუქეო, სამაგიეროდ თავისი ავლა-დიდების მიცემა აღუთქვა. კრებაზე წავიდა, მამის არჩევას ხმა მისცა — სამოცდამეხუთე მისი თითი იყო. მაგრამ, როცა მედუქნის სიძეს — პროხორ ლისენკოვს — მამის მოწინააღმდეგესაც ხელი აუწია, ხმების დამთვლელმა კრებიდან კინწისკვრით გამოაგდო. პროხორმა მხოლოდ ოცდარვა ხმა მიიღო, მდიდრებისა და ერთიც ეგორ-მეწრაქვილისა.

ცოტა ხნის შემდეგ სტანიცას თავს დაესხა კონტრრევოლუციური ბანდა. თომა კოროშუნოვი ღამით ბრძოლაში დაიღუპა — საშინლად დასახიჩრებული. მიშკამ თავისი საყვარელი მამიკო მკვდარი რომ ნახა, ოთხთვალაზე უძრავად დადებული, შეძრწუნებისაგან ძირს ჩამოვარდა. ღრმად მოხუცმა პაპა აკიმმა ცხენი შეკაზმა, რაკი თვითონ არ შეეძლო შემჯდარიყო, შვილიშვილი შესვა და მეზობელ სტანიცაში გააგზავნა ექ დაჭანაკებული წითელი არმიის ნაწილისათვის მომხდარი უბედურების შესატყობინებლად. დიდი ვაი-ვაგლახით მიშუტკა შეიძლებს მიაღწიოს სტანიცას და „ლენინის ჯარს“ აცნობებს, რაც მოხდა. ფინალი ალეგორიულად გვაგრძნობინებს ბანდის განადგურებას (გვ. 144).

როგორც უკვე განხილულ, ისე ამ მოთხრობაში გვაოცებს ახალგაზრდა ავტორის უაღრესად მდიდარი ლექსიკური ფონდი, ცხოვრების ღრმა ცოდნა, ფაბულის თანმიმდევრული განვითარება, სიუჟეტის ისე შეკვრა, რომ ნაწარმოების მხატვრული მთლიანობა დიდ ეფექტს აღწევს. ყველაფერი ნათლად არის წარმოსახული, ყველაფერს ისე ეხედავთ, როგორც სარკეში ჩანს საკუთარი თავი. თითქოს ძუნწი, თითქოს ფრაგმენტული პეიზაჟებიც ორგანულ მხატვრულ კასკადებს წარმოადგენენ, ხოლო დონი, ოდითვე წყნარი დონი, ცეცხლოვანი ქარიშხლების პირბადეებშია გახვეუ-

ლი. ადამიანები, სახეები, ტიპები ისეა გამოკვეთილი, რომ თითოეულს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი შინაგანი სამყარო ამოძრავებს. ძირითადი თემა თუმცა ერთია, მაგრამ რამდენი ვარიაცია აქვს, რამდენი სიახლე, რამდენი განზომილება! არ მეგულება მეორე რომანისტი, რომელსაც ოცი წლის ასაკში ის გაეკეთებინოს, რაც მიხეილ შოლოხოვმა თავისი მძლავრი ტალანტით შეიძლო. საოცარია დიალექტების ასე ბუნებრივად გამოყენება. საოცარია უთვალავი დეტალი, რომლებითაც საესეა დონის მოთხრობები.

ყოველივე ამით მდიდარია აგრეთვე მოთხრობა „მორევი" («Коловерть,» 1925 წელი). მძვინვარე სამოქალაქო ომის დროს მამა-შვილის დამოკიდებულების პრობლემა, რასაც წინა მოთხრობებში უკვე გავეცანით, აქ სხვაგვარადაა წარმოდგენილი. პატიოსან, მშრომელ ღარიბ პეტრე პახომიჩ კრამსკოვს სამი ვაჟიშვილი ჰყავს— გრიგორი, იგნატი და მიხაილო. ამ უკანასკნელის გარდა, ყველა ერთგულია წითელი გვარდიისა, მიხაილო კი დამხობილ მეფის ტახტს ფანატიკურად ემსახურება, მზად არის საკუთარი მამა, ძმები გაჰყიდოს, ოღონდ დაწინაურდეს, ჩინ-მედლები მიიღოს. პახომიჩი რვა წლის მანძილზე არენდით მუშაობდა მემამულე პოლკოვნიკ ბორის ალექსანდროვიჩ ჩერნოიაროვის მიწაზე. ბორისი გულქვა, ენაბლუ, დამხობილი მონარქიის ერთგული კაცია. იცის, რომ პახომიჩი წითელგვარდიელებს. ემხრობა, ამიტომ სულ პატარა მიზეზიც ჰყოფნის სასტიკად სცემოს ღრმად მოხუცს. თავისთავად ცხადია, რომ „პახომიჩი თავის დღეში ვერ დაივიწყებს პოლკოვნიკ ბორის ალექსანდროვიჩ ჩერნოიაროვს" (გვ. 148). მიხაილო კი ამ გარეწარს მონურად ემსახურება.

შვილის ეს განსხვავება ღვიძლი მამისა და ძმებისაგან გამოწვეული იყო არაერთი მიზეზით. შოლოხოვი თითოეულ მოთხრობაში ამ მიზეზებს გვიჩვენებს, აქაც მითითებული აქვს, რომ მიხაილო შრომას ვერ შეეგუა, სახლიდან წავიდა, კარიერის გზა მეფის ტახტისადმი ფანატიკურ ერთგულებაში დაინახა. მისი რენეგატული სული უკვე მოწამლულია და საკუთარი კლასის ღალატისაგან ვერავინ გადაარჩენს. ღარიბი გლეხის შვილს არისტოკრატიული მანერები შეუსწავლია, ხელებიც „ოფიცრული" აქვს, აზ-

რაც და მისწრაფებაც სალდაფონურ-მონარქიული. ნოვოჩერკასკიდან ორ თვით ჩამოსულს, მშობელი დედის ხვევნა-ალერსიც კი ეუცხოება — „ქუჩაში უხერხულიაო", — ეუბნება (გვ. 148). მამასა და ძმებსაც ზევიდან დაჰყურებს — ხუმრობა ხომ არ არის, ოფიცერია, ატამანის სპეციალურ დავალებას ასრულებს, წითელგვარდიელების წინააღმდეგობა უნდა მოსპოს! — კი მაგრამ, რა საჭიროა ეს? — ეკითხება იგნატი. — „შენ არ იცი? — უპასუხებს მიხაილო, — ბოლშევიკები კაზაკობას ჩვენ გვართმევენ და კომუნა სურთ გააკეთონ, რათა ყველაფერი იყოს სათემო — მიწაც და დედაკაცებიც" (გვ. 149). როცა იგნატი საწინააღმდეგო აზრს გამოთქვამს — „დედაკაცის ზღაპრებს ჰყვები!.. ბოლშევიკები ჩვენს ხაზს ატარებენო", — მიხაილო იკითხავს: „რომელ თქვენს ხაზს?" და უმალ ღებულობს იგნატისაგან პასუხს: „მიწას პანებს ართმევენ და ხალხს აძლევენო"... მიხაილო დარწმუნდა, რომ იგნატი ბოლშევიკებს იცავს, ისიც გაიგო, თუ როგორ ერთპირად შეკრულან მამა-შვილები — პახომიჩი, იგნატი, ცხრამეტი წლის ყმაწვილი გრიგორი. ოჯახში მდგომარეობა იძაბება. მიხაილო წინააღმდეგობას უწევს მამასა და ძმებს, უკრძალავს პოლკოვნიკ ჩერნოიაროვის მიწის დამუშავებას, თუმცა ეს მიწა უკვე სახალხო კუთვნილებაა. საქმე ხელჩართულ ბრძოლამდე მიდის.

ხუტორში მობილიზაცია გამოცხადდა წითელ გვარდიასთან საბრძოლველად. მობილიზაცია რომ აიცდინონ, თანაც წითლებს შეუერთდნენ, მოხუცი პახომიჩი შვილებთან ერთად ღამით ხუტორიდან გაიპარება. ოჯახში რჩებიან მიხაილო, მისი დედა, იგნატის ექვსი წლის ბიჭუნა, რომელსაც ოფიცერი ბიძა ზიზღით უყურებს, როგორც ბოლშევიკის ნაშიერს. შეიტყობენ თუ არა მამა-შვილების გაქცევას, პოლკოვნიკი ჩერნოიაროვი, მიხაილოსთან ერთად, ხუტორელების თავყრილობას მოიწვევს, პროვოკაციული სიტყვით გამოდის, ენაბლუ თავს არ იზოგავს, აქებს და ადიდებს მიხაილო კრამსკოვს, რომელმაც თურმე პირველმა აცნობა მას თავისი მამისა და ძმების გაქცევა ბოლშევიკებთან. გამოაქვთ დადგენილება: „ჩვენი ხუტორის კაზაკებს პეტრე პახომის ძე კრამსკოვს და მის შვილებს იგნატი და გრიგორი კრამსკოვებს, როგორც წყნარი დონის მტრების მხარეზე გადასულთ, ჩამოერთვათ კაზაკური წოდება, აგრეთვე ყველა სამიწათმოქმედო წილი და ნა-

დელები, და შეპყრობისთანავე გადაეცეთ ვეშენსკაიას მოძრავი კარავის სამხედრო-საველე სასამართლოს“ (გვ. 153).

თუ რამდენად ვერაგი გამხდარა მიხაილო კრამსკოვი, შეგვიძლია დავინახოთ დედასთან მისი დიალოგით. იმის გამო, რომ „ბოლშევიზმს ძირიანად სპობს“, გუშინდელი მედროშე უკვე ასისთავად დაუწინაურებიათ. შვილის აზრებით გაოცებული დედა კიდევ უფრო საშინელ სიტყვებს ისმენს მიხაილოსაგან: „მე, დედიკო, როგორც ოფიცერმა და წყნარი დონის ერთგულმა შვილმა, არავითარ ნათესაურ კავშირებს ანგარიში არ უნდა გაუწიო. თუნდაც მამა იყოს, თუნდაც ღვიძლი ძმა — სულერთია, სასამართლოს გადავცემ“ (გვ. 156). ასეთი ვერაგისაგან რა არ არის მოსალოდნელი და მოხდა კიდეც: გენერალ-მაიორმა ივანოვმა დამხობილი მონარქის ერთგულ ლაქიას ასისთავ მიხაილო კრამსკოვს ახალი სამხედრო წოდება მიანიჭა, კომენდანტადაც დანიშნა იმ დამსახურების გამო, რომ „თავგანწირულად და დაუღალავად მუშაობდა ზემო-დონის მხარის საზღვრებში ბოლშევიზმის ამოსაძირკვავად“ (გვ. 157). საშინელება დაატრიალა გარეწარმა: მისი ხელშეწყობით დაიღუპა მამაც — პახომიჩი, ორივე ძმა — იგნატი და გრიგორი. მოთხრობა აქ თავდება, მიხაილო ჯერ კიდევ ცოცხალია, თავის გამარჯვებას ზეიმობს, მაგრამ ისტორიის მძიმე ბორბალი ულმობლად მუშაობს, აგრძნობინებს მკითხველს, რომ მიხაილოების სასტიკი აღსასრული მოახლოებულია — თვეების კი არა, მხოლოდ დღეების საქმეა!

შემაძრწუნებელი სურათებია დახატული მოთხრობაშიც-„ოჯახის კაცი“ (1925 წელი). სტანიციდან მომავალი ავტორი დონის გადასასვლელთან ესაუბრება მებორნეს, რომელსაც მიკიშარა ჰქვია. ცხრა შვილის მამაა, ცოლი მეცხრე შვილის დაბადებას გადაჰყოლია, ორი ვაჟიშვილი დაღუპვია, ახლა შვიდი ჰყავს—ჰყვებავს და უელის მათ. ქალიშვილი ნატაშკა, ჩვიდმეტი წლის გოგონა, მამას ეუბნება: «Гребостно мне с вами, батя, за одним столом исть. Как погляжу я на ваши руки, так сразу вспомню, что этими руками вы братов побили: и с души рвать меня тянет». (გვ. 164). რატომ, რა მოხდა? იმისათვის, რომ თვითონ არ ჩაეჭოლათ, თვითონ არ მოეკლათ (მაშინ ვინ გაზრდიდა დარჩენილ შვიდ ბავშვს), მიკიშარა საკუთარი ხელით

ჰკლავს ჯერ დანილას, უმცროს ვაჟს, რომელიც ყველაზე მეტად უყვარდა, შემდეგ კი მოტყუებით ტყვიას ესვრის უფროს ვაჟიშვილს, ცოლშვილიან ივანეს. ვაჟიშვილების დანაშაული მხოლოდ ის იყო, რომ წითლებს მიემხრნენ, კონტრას ებრძოდნენ. თავისი თავი გადაირჩინა შვიდი შვილისათვის, ორი შვილი კი გასწირა „ოჯახის კაცმა“—ძნელია, მკითხველის შეგნებაში თითქოს გადაუწყვეტელი რჩება პრობლემა: სწორად მოიქცა თუ არა მიკიშარა? ცივი გონება ამ პრობლემას იოლად გადაწყვეტს—გაამტყუნებს ან გაამართლებს, მაგრამ ელემენტარული ადამიანური მორალი უეჭველად ბრალს დადებს შვილების მკვლელ მამას, რომელსაც შვილების ხარჯზე საკუთარი სიცოცხლის გადარჩენის თუნდაც ნაპერწკალი საზარელ ცოდვად მიეთვლება. დარჩენილი შვილები? მთავარია, რომ ისინი ცოცხლები დარჩნენ, განა უდედმამო ბავშვები ცოტა აღუზრდია საზოგადოებას? რატომ მათაც არ აღზრდიდა? მიკიშარა დამნაშავეა, მძიმე დანაშაულის ჩამდენია და ნატაშას საყვედურები მამისადმი ელემენტარული ადამიანური პროტესტის გამოხატულებას წარმოადგენს. მდგომარეობას ვერ შეამსუბუქებს ის გარემოება, რომ შვილების მოკვლას ბრბო ავალებს—წინააღმდეგ შემთხვევაში შენ მოგსპობთო. ცხოვრობს მიკიშარა, ზრდის თავის შვიდ ბავშვს, მაგრამ ორი შვილის მკვლელს რა ცხოვრებაც ექნება—ადვილი გასაგებია. მებორნე განაგრძობს ბრძოლას ცხოვრებისათვის დაჭრილი გულით, რომლის გამთელება შეუძლებელია.

სამოქალაქო ომის დროს მრავალი უცნაურობა ხდებოდა, ზოგჯერ წარმოუდგენელი გაუგებრობაც. ერთი ასეთი პარადოქსი აღწერილი პატარა მოთხრობაში — **„რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე“** (1925 წელი). ნამდვილად ეს რესპუბლიკა კი არ არის, დონის ერთ-ერთი ჩვეულებრივი ხუტორია, რომლის თავმჯდომარედ მოქალაქეებმა აირჩიეს ბუდიონის არმიიდან დემობილიზებული, ორი წითელი დროშის ორდენის კავალერი ბოგატირიოვი — ვრანგელის წინააღმდეგ უშიშარი მებრძოლი.

რაკი მეზობელი სოფლები ბანდებს პურმარილით უმასპინძლდებიან წინააღმდეგობის გაწევის ნაცვლად, ახალი თავმჯდომარე თანახუტორელებს უკრძალავს მათთან ურთიერთობას, მიმართავს

შემდეგი სიტყვებით: „აბა, მე ასე ხუტორში ყველა პროლეტარიატის სახელით გთხოვთ თქვენ დაიცვათ საკუთარი ავტონომია და მეზობელ ხუტორებში შეწყვიტოთ მოძრაობა, იმიტომ რომ ისინი კონტრები არიან და ძალიან სასირცხვილოც კია ჩვენ მათთან ერთად ერთი საცალფეხო გზა ვთელოთ... ხოლო ჩვენი ხუტორი ამიერიდან წოდებული იქნება არა ხუტორად, არამედ რესპუბლიკად, და მე, თქვენს მიერ არჩეული, ვნიშნავ ჩემს თავს რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარედ და ვაცხადებ ირგელივ საალყო მდგომარეობას“ (გვ. 169—170).

ასე გამოაცხადა ბოგატირიოვმა — საბჭოთა ხელისუფლების ყერთგულესმა კაცმა, „რესპუბლიკა“, რომელსაც ახალგაზრდა კაზაკობამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი. თავმჯდომარემ მოუწოდა ხუტორს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ებრძოლა ბანდის წინააღმდეგ, ვინაიდან იგი წარმოადგენდა ჰიდრას და საჭირო იყო ძირფესვიანად მისი ამოძირკვა საყოველთაო სოციალიზმის გამარჯვებისათვის.

იარაღისა და საჭურველის მისაღებად ბოგატირიოვი „სეკლეტარ“ ნიკონოვთან ერთად გაემგზავრა სტანიცის აღმასკომში, მაგრამ გზაზე შემოეყარა ბანდის ხუთი წევრი, რომლებმაც ნიკონოვი იქვე მხეცურად მოჰკლეს. ჯერი მიდგა ბოგატირიოვზე. მას არავითარი იარაღი არ ჰქონდა. ადგილიც არახელსაყრელი იყო — ცარიელი მინდორი, ბუჩქიც არსად ჩანდა თავშესაფარებლად. მაგრამ ბრძოლაში ნაცადი ბუდიონელი როდი შეშინდა. მან გაბედული პასუხი გასცა ბანდის მეთაურ ფომინს, თხოვნაც არ შეუსრულა თამბაქო მიეცა. სასტიკად სცემეს ბოგატირიოვს, სიკვდილის პირას მიიყვანეს, მაგრამ ამ დროს გამოჩნდნენ წითლები, ფომინი თავის ბანდასთან ერთად გაიქცა, თავმჯდომარე სიკვდილს გადაურჩა, თუმცა ორი თვე უგრძნობლად იწვა და ცალი ფეხი მოჰკვეთეს.

ხუტორში ჩამოვიდა სტანიცის სამხედრო კომისარი, რომელსაც დავალებული ჰქონდა გაერკვია, თუ როგორ მოხდა პატარა სოფლის „რესპუბლიკად“ გამოცხადება. ბოგატირიოვს ისიც უთხრა: „შენ იცი, რომ ჩვენ ერთი რესპუბლიკა გვაქვს? რა მიზეზით შემოიღე ავტონომია?“ (გვ. 173). დააკვირდით ბოგატირიოვის განმარტებას, რომელიც აღსავსეა სოციალიზმის საქმისადმი ფანა-

ტიკური ერთგულებით. „გთხოვთ თქვენ, ამხანაგო, — ეუბნება იგი მოვლინებულ კომისარს, — აქ ნუ სერიოზულობთ, ხოლო რესპუბლიკის თაობაზე შემიძლია აგიხსნათ: ის შეიქმნა ბანდის გამო, ახლა კი, მშვიდობიანი დამოკიდებულების დროს, იწოდება ხუტორ ტოპჩანსკად. მაგრამ იქონიეთ თქვენთვის მხედველობაში: თუ საბჭოთა ხელისუფლებას კვლავ თავს დაესხმებიან თეთრი ჰიდრები და სხვა არამზადები, მაშინ ჩვენ თითოეული ხუტორიდან შევიძლებთ გავაკეთოთ ციხე-სიმაგრე და რესპუბლიკა, მოხუცებსა და ბიჭებს ცხენებზე შევსვამთ, და მე თუმცა ერთი ფეხი დაკარგული მაქვს, პირველი მე კატეგორიულად წავალ სისხლის ღასაღერელადო“ (გვ. 173). ყოველივე ამის მოსმენის შემდეგ რაღა ღარჩენოდა სათქმელი ან გამოსარკვევი სტანიცის კომისარს? ისიც ადგა და წავიდა, მაგრად ჩამოართვა რა თავისი ხელი ცალფეხა თავმჯდომარეს.

როგორც ვხედავთ, აქ სამოქალაქო ომისდროინდელი ერთი უღრესად კოლორიტული სურათია დახატული, მაგრამ ვინ იცის, თუ რამდენი სხვა პარადოქსალური შემთხვევა იქნებოდა, როცა გააფთრებული ინტერვენციის პირობებში ხალხის მასები ცველა საშუალებით გმირულად იცავდნენ რევოლუციის მონაპოვარს. შინაგანი მსუბუქი იუმორი ამ პატარა მოთხრობას გარკვეულ შემეცნებით ღირებულებას აძლევს, ორიგინალური სიუჟეტი კი მკითხველს ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს.

მოულოდნელობანი, რაც ცხოვრებაში ხდება, ზოგჯერ პერიპეტიულ ხასიათს ატარებს, და შოლოხოვი ისე ოსტატურად გადმოგვცემს თითოეულ მათგანს, რომ შეუძლებელია მკითხველი არ მოიხიბლოს. საკმარისია დონის მოთხრობების ციკლიდან დავასახელოთ 1925 წელს დაწერილი „მრუდე საცალფეხო გზა“.

თანასოფლელი გოგო-ბიჭი ნიურკა და ვასკა ისე წამოიზარდნენ, ისე გახდნენ დასაქორწინებლები, რომ ვერც კი ვაიგეს—რა მალე გასულა დრო. ამ თემაზე ერთ-ერთი შეხვედრისას საუბარში ნახევრად ხუმრობის კილოთი ისინი ერთმანეთს სიყვარულსაც უმჟღავნებენ. ნიურკა მორცხვი ღიმილით ვასილი პეტროვიჩს ეუბნება: „თუ მოგწონვარ — მაჭანკლები გამოგზავნეო“ (გვ. 175). თქვა და წავიდა. ვასკას ეჭვი შეეპარა: დამცინის, თუ მართალს ამბობს? ეჭვი იმის გამოც დაებადა, რომ ღარიბია, უმამო, დედისა და დის

მეტი არავინ არა ჰყავს. მამამისიც ღარიბი მწყემსი იყო. მერე რა ვუყოთ, რომ კარგი ბიჭია. ნიურკას უკეთესი ოჯახი აქვს — ბევრად უფრო შეძლებული.

როცა დედა მიუხვდა შვილის განზრახვას, ვასიას უთხრა: მეეჭვება, რამე გამოვიდეს, მაგრამ წავალ ოსიპ მაქსიმოვიჩთან, ვთხოვ ნიურკას ხელს, კარგი, მშრომელი, ჰკვიანი გოგოა. ტიმოფეევნა წავიდა კიდეც, მაგრამ უარი მიიღო: შეიძლება მე წინააღმდეგი არა ვარ, შენი ვასილი ჩვენი მეურნეობისათვის შესაფერისია, მაგრამ ქალიშვილს ვერ გავათხოვებთ, მისთვის ჯერ ადრეაო, — უთხრა ოსიპ მაქსიმოვიჩმა. ხელმოცარული დაბრუნდა ტიმოფეევნა, ცხადია, უკმაყოფილოც.

ამის შემდეგ, განსაკუთრებით შემოდგომაზე ვასკა და ნიურკა ხშირად, თითქმის ყოველდღე ხვდებიან ერთმანეთს. დამოკიდებულება კარგი აქვთ, თითქოს ცხოვრების ქარიშხალი არა ჩანს, გარდა ერთისა: სიყვარული ახალგაზრდა კაცებზე სხვადასხვანაირად მოქმედებს — ზოგი სულიერად მაღლდება, სიხარულს ეძლევა, ზოგი კი სევდა-ნაღველისაგან სნეულდება, ჩხირად იქცევა. ვასკასაც ასე დაემართა: «Поглупел парень, высох весь, работа в руках не держится»... (გვ. 177).

ერთ დღეს ვასკასთან მოირბინა გახარებულმა გრიშკამ — სტანიცის კომკავშირული უჯრედის მდივანმა. აცნობა, რომ სამი დღის შემდეგ არმიაში გვიწვევენ, ქვეყანას ვნახავთ, ვისწავლითო. ვასიას თავზარი დაეცა — ნიურკას რა ეშველება? როგორ დატოვებს ორი წლით? და იმავე ღამით ოსიპის ბაღში შეყვარებულები ერთმანეთს ხვდებიან. ვასკას კითხვაზე — რას იზამს ნიურკა, ორ წელიწადს მოუცდის, თუ სხვაზე გათხოვდება? — ნიურკა ჩუმი სიცილით, ისე, რომ საწყალ ბიჭს მისი ხმაც და სიცილიც უცხო, უცნობი ეჩვენა, უპასუხებს: „მე შენ გეუბნებოდი ადრე, რომ მამას დედასთან ერთად არ შევხედავ, შენ წამოგყვები და წამოგყვებოდი კიდეც... მაგრამ ახლა არ წამოგყვები!... ორი წელიწადი ცდა ეს ხუმრობა როდია!.. შენ იქ, შესაძლოა, ქალაქელს გამოეძებნი, მე კი ქალიშვილად ვიქნები. ახლა ბრიყვები არ არიან. სხვას სთხოვე, შესაძლოა, მოინახება ისეთი, რომ მოგიცდეს“ (გვ. 178). ვასკას ხვეწნა-მუდარამ, ერთგულების ფიცმა არაკითარი შედეგი არ

ჭამოიღო, ნიურკა დაჟინებით იმეორებდა: არა, არა! ბოლოს ისინი მწარე სიტყვებით დაშორდნენ ერთმანეთს, არც კი გამომშვიდობებიან.

სიყვარულში გაწბილებული ყმაწვილი მიიღებს ყოველად მცდარ გადაწყვეტილებას: არმიაში გაწვევას თავი აარიდოს, სოფლიდან ოთხ კილომეტრზე ტყეს შეეფაროს მდინარის ახლოს. მეტყევე სემიონ მიხაილოვიჩს გამოართმევს შაშხანას, თითქოს სანადიროდ, გაიკეთებს პატარა გამოქვაბულს და ოთხ დღეს იქ გაატარებს დეზერტირობაში. პირველ ღამესვე ღრმა ფიქრებში წასულმა იგრძნო, არასწორ გზას დაადგა, რომ მის წინააღმდეგ აღსდგნენ ნიურკაც და თანატოლებიც. გადაწყვიტა კიდეც გამოცხადებულიყო სადაც ჯერ არს, მაგრამ იმის ფიქრმა, რომ სამ წელს მაინც მიუსჯიდნენ, უკანვე დააბრუნა.

გაქცევიდან მეექვსე დღეს ვასკას სახლიდან წამოღებული ცოტა ფქვილი და პური გაუთავდა. სალამოს გადაწყვიტა სოფელში მისულიყო და ნიურკა ენახა. ძალიან მოუნდა მასთან შეხვედრა. ოსიპის კალოდან გარკვევით ჩანდა ნიურკას განათებული სახლი. ვასკა შეევიდა, ოსიპი და ნიურკა შეკრთნენ, როცა ის შაშხანაჩამოკიდებული დაინახეს. ნიურკამ სთხოვა — წადი, თორემ მილიციაა მოსული და შეგიპყრობენო. ქალიშვილმა დასძინა — „მე შემიცოდე". ვასკამ არ დაუყოვნა ეპასუხნა — „შენ კი მე მიცოდებდი?" (გვ. 181).

ნიურკას დედამ ისარგებლა სოფელში შემოსული მილიციის რაზმით, გამოუძახა მას. ვასკამ ძლივს დააღწია თავი პატიმრობას. მან იცნო მილიციელი პროშინი, გაქცევის დროს სროლა დაუწყო და იგი სასიკვდილოდ დაჭრა. თვითონაც დაიჭრა მეორეს ხელით. მშიერმა და დაჭრილმა ძლივს, მეორე დღეს შებინდებამდე მიაღწია თავის ბუნაგს. მდინარესთან შენიშნა ქალი — იცნო ნიურკას დედა. შურისძიებით ესროლა შაშხანა. ჯერ აცდინა, მაგრამ გაუმართლა მეორემ. როცა მოკლულს შეხედა, აღმოჩნდა არა ნიურკას დედა, არამედ თვით ნიურკა. მგელივით ყმუილი მორთო. სტანიცელი კაზაკები გამოიქცნენ სროლის ხმაზე. ფინალი ეს არის, მაგრამ უკვე გრძნობს მკითხველი რა დაემართება ვასკას — სიყვარულით სწორ გზას აცდენილ ჭაბუკს, რომლის ტრაგედია რაღაც ანტიკურ იერს ატარებს და სრული პერიპეტიის განსახიერებას წარმოადგენს.

პერიპეტიულია მოთხრობაც — „განაწყენება“, დაწერილი 1925 ან 1926 წელს. უმოსავლიანობამ მძიმე განსაცდელში ჩააგდო ხუტორ დუბროვინსკის მოსახლეობა. გვალვისაგან „იმედიც გადაიწვა პურთან ერთად“ (გვ. 185). შიმშილი მუსრს ავლებს გლეხობას. ასეთივე მდგომარეობაშია პატიოსანი, დაუზოგავად მშრომელი სტეპან პროკოპიჩი, რომელიც ორმოცდაათი წლისაა, უქმელობისაგან ლასლასებს, მაგრამ რა ჰქნას?! მეუღლის გარდა, რვა სული ჰყავს სარჩენი, სამოქალაქო ომში დაღუპული შვილის ბავშვები. ერთი კაცი ინახავს ამდენ სულს, ობოლ შვილიშვილებს. მეორე წყვილ ხარებს გაჰყიდის — ნაგვით სავსე ორმოც ფუთ პურად. შემოდგომა კარზეა მომდგარი — სათესლე პური კი არა აქვს. თავმჯდომარე ჰპირდება სოფელს — საშემოდგომო ხვნა არ შეწყვიტოთ, თესლს ცენტრი მოგვცემსო. დიდი ხნის ლოდინის შემდეგ ხუტორში ცნობას მიიღებენ—თესლი წაიღეთო. სხვებთან ერთად სტეპანიც მიდის ასორმოცდაათ კილომეტრზე მდებარე სტანიცაში. დღიურად მხოლოდ 30—40 კილომეტრის გავლას ძლივს ახერხებენ შიმშილისაგან დაუძლურებული ხარები და ადამიანები. სტეფანეს თან ახლავს მეზობელი ახალგაზრდა კაზაკი აფონკა — თესლი ერთად უნდა ჩამოიტანონ. დიდი გაჭირვებით მიაღწევენ ელევატორამდე, მიიღებენ ოცდაერთ ფუთ სათესლე პურს და უკან ბრუნდებიან. ისედაც დაუძლურებული ხარები რომ არ დაეღალა, სტეპანი ფეხით მიდიოდა სტანიცისაკენ. დიდი სიცივეების გამო ერთ-ერთ სოფელში დაიწყეს ბინის ძებნა ღამის გასათევად. ყველამ უარი განაცხადა. თავშესაფარი არავინ მისცა განაწამებ სტეპანს და აფონკას. „მგლები არიან, და არა ადამიანები!... ისინი შუა ზამთარში თოვლსაც არ მოგცემენო“, — ამბობს განაწყენებული სტეპანი (გვ. 189). მაგრამ ეს განაწყენება ჯერ კიდევ არაფერია. უარესი ხდება შემდეგ. ხუტორიდან ოცდაათ კილომეტრზე მოილაპარაკეს შეესვენებინათ, მაგრამ უმალ ამჯობინეს გზის გაგრძელება. ღამით მიაღწიეს სახაზინო ტყეს, დაეშვნენ პატარა ხევში და სწორედ აქ მოხდა უბედურება: ოთხმა შეიარაღებულმა კაცმა მათ სათესლე პური წაართვა. შინდაბრუნებულ სტეპანს მეორე უბედურება ეწია — ხარები დაეკარგა. რამდენიმე დღის ძებნამ კვალიც ვერ მიაგნებინა. საღამო ხანს ერთ მეურმეს შეხვდა. იცნო, რომ ეს კაცი იყო, რომელმაც სათესლე პური წაართვა. — ცოლი მომიკვ-

და, ეს პატარა ბიჭი დამრჩა, ამიტომ ჩავიდინეო — აღიარა მეურმემ. განაწყენებული და მოთმინებიდან გამოსული სტეპანი ჰკლავს მეურნეს, მის ბავშვს კი სახლში წამოიყვანს გასაზრდელად. მოთხრობა იქ თავდება, სადაც ბიჭიკო არ ემორჩილება მამის მკვლელს, სტეპანი კი მამობრივად ეალერსება და მოფერებით აწყნარებს. მთელი ეს ფაბულა გაშლილია მიმზიდველად, შოლოხოვისებური ოსტატობით, სიუჟეტი ვითარდება პერიპეტიული გრადაციებით.

მოთხრობაშიც „ორჭიწრიანი" (1925 წელი) ახალგაზრდა მწერალი მისთვის უკვე ჩვეული მხატვრული პრინციპების ერთგული რჩება. ცხოვრებას გვიხატავს მუდმივ განვითარებაში, წინააღმდეგობებით სავსეს, ბოროტი და კეთილი საწყისების შეუჩერებელ ჭიდილში, სოციალური თუ იდეოლოგიური მოვლენების დაპირისპირებით, რასაც ემატება პირადი, ინდივიდუალური განცდები და მისწრაფებები. მშრომელი ადამიანები ბრძოლით ამენებენ ახალ ცხოვრებას, შეძლებულები კი ხელს უშლიან, ცდილობენ არამარტო სახელი გაუტეხონ, ბოლოც მოუღონ.

ხუტორ კაჩალოვკის კოლექტივის თავმჯდომარედ მუშაობს ახალგაზრდა კაცი — ოცდაშვიდი წლის არსენი ანდრეევიჩი. მისი გული სიხარულით არის სავსე, როცა ხედავს, თუ როგორ აბრუნებს შავმიწიან ყამირს კოლექტივის ტრაქტორი. პირველად ცდიან მანქანას. პაპა არტემიც უყურებს და წარსულ ცხოვრებაზე განაწყენებული ამბობს: „ორმოცდაათი წელიწადი მე ხარისათვის, ხარი კი ჩემთვის მუშაობდა... დღით ხნავ, ღამით ჰკვებავ მას, ძილის დრო არა გაქვს... ზამთარში ისევ მოელი სიგამხდრეს.. ახლა კი როგორ შემიძლია მე ეს გადავიტანო?" (გვ. 189). ახალ ცხოვრებას ბევრი სიკეთე მოაქვს, მაგრამ არაერთი გულისტკივილიც თან ახლავს. რას იზამ: ვარდ-ეკლის ფილოსოფია ოდითვე დაედო მტკიცე საფუძვლად ამქვეყნიურ ცხოვრებას და დღემდე მას ვერავინ გაექცა.

კაჩალოვკაში ცხოვრობს აგრეთვე მშვენიერი, ლამაზი ახალგაზრდა გლეხი-ქალი ანა სერგეევნა. მისი ქმარი ალექსანდრე ვრანგელის არმიაში იბრძოდა, შემდეგ თურქეთში გადასულა და იქ მომკვდარა, როგორც ჯარიდან დაბრუნებულმა კაზაკებმა თქვეს. არსენის გულწრფელად უყვარს ანა, ეს უკანასკნელიც დიდ წინა-

ძლიერ ბედნიერად იცხოვრონ. ანა გვერდში ამოუდგება მეორე ქმარს. კოლექტივში ენერგიულად იწყებს მუშაობას. მალე ბავშვიც შეეძინებათ — მშვენიერი ბიჭუნა. ბედნიერად ცხოვრობს ახალი ოჯახი. მაგრამ მოდის ცნობა: ანას პირველი ქმარი ალექსანდრე იტყობინება, რომ მალე ჩამოვა

კოლექტივში საქმე კარგად მიდის. ტრაქტორმა გლეხობის შეგნებაში კვალი გაავლო. ისინი გაოცებული შეჰყურებენ უცნაურ მანქანას, რომელმაც ბეღლები სიუხვით აავსო. პაპა არტემი, რომელიც „გატეხილი ყამირის“ პაპა შჩუკარს როგორღაც ენათესავება. თითქოს მისი წინამორბედი იყოს, არსენის თხოვს ღარიბი გლეხების ერთი ჯგუფის სახელით — „კოლექტივში“ მიგვიღეო. ოცდაშვიდი ოჯახი ემატება კოლექტივს. მუშაობა დუღს. ორმაგად იზრდება წევრთა რიცხვი. ღარიბი გლეხობა იმედით შეჰყურებს ახალ ცხოვრებას, მდიდარი იაშჩეროვი კი, თანამზრახველებთან ერთად, „უღმერთოებს“ დაღუპვას უწინასწარმეტყველებს.

ამ დროს ჩამოდის ანას პირველი ქმარი ალექსანდრე. მივა და სთხოვს ყოფილ ცოლს — დამიბრუნდიო. ანა უარზეა. მაგრამ დროთა განმავლობაში ალექსანდრე შეიძლებს ტკბილი სიტყვებით გადაიბიროს ანა, რომელიც ღამით ჩვილ ბავშვთან ერთად მალულად გაიქცევა არსენის სახლიდან.

თავდაპირველად ყველაფერი წესიერად მიდის. ალექსანდრე ცოლს ეალერსება, პატივისცემით ეპყრობა. მაგრამ უცვლელი რა არის ქვეყნად? მეორე თვიდან დაიწყო ქარიშხალი. დედამთილი ხშამალა საყვედურობს ვაჟიშვილს — ნათრევი დედაკაცი მოიყვანა, „კომუნური სული“ შემოიტანა, მუქთახორა ნაბიჭვრიანად მიიღო. ალექსანდრე კი, რომელიც ანას პირველი უარის გამო კოლექტივის ზვინების რამდენიმე ხანძარს აწყობს, ვინმე ლუშკა-არყისმბდელთან ღამეებს ატარებს, ლოთობს, უკვე იწყებს ცოლის შეურაცხყოფას, სასტიკად დამცირებას. საქმე იქამდე მიდის, რომ ანა ეკითხება ქმარს: „შენ მე ადამიანადაც კი არ მთვლი?“ ალექსანდრე უპასუხებს: „ჰაკი არ არის ცხენი, დედაკაცი არ არის ადამიანიო“ (გვ. 210). აი, გამხეცებული კაცის მორალი! ამის შემდეგ ქმარი ისე სცემს ანას, რომ ქალი გრძნობას დაჰკარგავს, იატაკზე დავარდნილს საღამომდე არავინ მიხედავს. საღამოს კი გონმოსულ ანას დედამთილისაგან ესმის საშინელი ლანძღვა-გინე-

ბა, ენით გამოუთქმელი დამცირება. ბრუნდება გალეშილი ალექსანდრეც.

რაღა დარჩა საბრალო ქალს? ღამით აიყვანა თავისი ბიჭიკო, გაიპარა სახლიდან, თოვლსა და ყინვაში მივიდა სოფლის გუბურასთან, დაინახა ყინულჭრილი; იმ იყო წყლისათვის უნდა მიეცა თავი, მაგრამ სწორედ ამ დროს ბავშვმა ტირილი დაიწყო, ანაში უმალ გაიღვიძა დედობრივი მოვალეობის გრძნობამ და თავის დახრჩობის ნაცვლად იგი კოლექტივისაკენ გაიქცა. ქარები გაეღო არსენიმ, რომელიც ამ ორი თვის მანძილზე ღარდიაგან გამხდარა და გაყვითლებულა. ის დიდი სიყვარულით, ალერსითა და მხრუნველობით შეხვდა დაბრუნებულ ცოლ-შვილს. ანას კი დამშვიდება დაუწყო: „მე ამიტომ არ მოვდიოდი შენსკენ... ვიცოდი, რომ შენ დაბრუნდებოდი კოლექტივში, და მალე დაბრუნდებოდი!..“ (გვ. 212).

აქეთია მოთხრობის ფინალი, რომელიც მკითხველს ეჭვმიუტანლად აგრძნობინებს ახალი ცხოვრების გამარჯვებას, თუმცა ეს გამარჯვება ბრძოლით, ტანჯვით, მძიმე განცდებითა და ადამიანური ტკივილებით არის განპირობებული.

უფრო მძიმე ცხოვრებისეული სურათებია აღწერილი მოთხრობაში — „**მომავალი მტერი**“. თუ აქამდე განხილული ყველა მოთხრობა 1925 წელს იყო დაწერილი, ეს პირველი ნაწარმოებია, რომელიც შოლოხოვმა მომდევნო 1926 წელს შექმნა. „ორქმრიანით“ თავდება დონის მოთხრობების 1925 წლის ციკლი და „მოზაკვდავი მტრით“ იწყება 1926 წლის სერია, ორიოდეს გამოკლებით, ამიტომ ქვემოთ განხილული მოთხრობების თარიღს ორის გარდა, აღარ მივუთითებთ, ვინაიდან ყველა დანარჩენი შექმნილია 1926 წელს.

„მომაკვდავი მტერი“ იწყება დაისის აღწერით, შოლოხოვისებური მინიატურული, მაგრამ პირდაპირ ფერწერული პეიზაჟით. ღამდება. ხუტორში კრებაა — სოფლის თავმჯდომარე და მდივანი უნდა აირჩიონ. ერთ მხარეზე არიან ბობოლები — იგნატ ბორშჩევი სიძით, ვლას ტიმოფეევიჩი — მეწისქვილე, იგნატის მომხრე, ხუთიოდე მდიდარი და საშუალო გლეხობის ნაწილი, მეორე მხარეს კი შეადგენენ ეფიმ მიკოლაიჩ ოზეროვი — ღარიბების მე-

თაური და სოფლის მშრომელი, ღატაკი მოსახლეობა. მართალია, დიდი უმრავლესობა ეფიმსა და ივან დონსკოვს უჭერს მხარს, მაგრამ სოფლის მდიდრების ძალა ჯერ კიდევ ისე ძლიერია, რომ ისინი ახერხებენ თავმჯდომარედ თავისი კაცი — კულაკ იგნატ ბორშჩევის სიძე — პროხორ რვაჩევი გაიყვანონ, ეფიმს კი მდივნად ირჩევენ.

დამოკიდებულება ხუტორის მდიდრებსა და ღარიბებს შორის ძალიან დაძაბულია. განსაკუთრებით მტრულად არიან განწყობილი ერთმანეთისადმი იგნატ ბორშჩევი და ეფიმ ოზეროვი. მათი საუბარი ყოველთვის ანტაგონისტურია, არც ერთი არაფრის დამთმობი არ არის. იგნატ ბორშჩევი ტიპიური კულაკია არამარტო ქონებით, ფსიქოიდეოლოგიითა და სიხარბით. დაქირავებული შრომით ტყავს აძრობს ღარიბებს. დუწყა ვორობიოვას მთელი დღე შეუსვენებლად ამუშავებს. შემდეგ სახლიდან ულუკმაპუროდ გააგდებს. საბრალო ქალი ეფიმის დახმარებით განცხადებას აგზავნის სტანიცის ალმასკომში. იგნატს სამოც მანეთ ჯარიმას გადაახდევინებენ. ის პროხორ რვაჩევის — თავისი სიძის მეშვეობით შეიტყობს, რომ ეს საქმე ეფიმის ნახელავია. იგნატის ბოღმა, სოფლის თავმჯდომარეობიდან გადაყენების შემდეგ, კიდევ უფრო გაძლიერდა. სამაგიეროს იმით უხდის ეფიმ ოზეროვს, რომ მგელს დააგლეჯინებს მის ერთადერთ ძროხას, აგრეთვე ორ ცხვარს. ეფიმსა და მაშას პატარა — ექვსი თვის ერთადერთი ბავშვი ჰყავთ, რომელიც ურძეოდ რჩება. გამწარებული ეფიმი ნაჯახით თავს გაუპობს იგნატის ჯიშიან ძაღლს, რომელიც ხბოიანი ძროხის ფასად ჰქონდა ნაყიდი. იგნატი მანამდეც სიკვდილით ემუქრებოდა ოზეროვს. ეს უკანასკნელიც აცხადებდა: „ახლა ვნახოთ, ვინ ვის" მოერევაო (გვ. 218).

ერთხელ, როცა იგნატ ბორშჩევი და ვლას ტიმოფეევიჩი შინ ეახლნენ ეფიმ ოზეროვს, რათა მისთვის შეეთავაზებინათ დახმარება — კალინოვკაში შეეძინა უკეთესი სახლი, ვიდრე მისი ქონი იყო, სოფლის მდივანმა ისინი კინწისკვრით გააგდო. ხელისკვრამ იგნატი ძირს დასცა, ტუჩი გაუხეთქა, სისხლი წარმოადინა. ღამით ორი შეიარაღებული კაცი სასიკვდილოდ თავს დაესხა ეფიმს, მაგრამ ეს უკანასკნელი სიკვდილს გადაურჩა. ეფიმი მიხვდა. რომ ეს ორი კაცი იგნატ ბორშჩევი და მისი სიძე — სოფლის თავმჯდომარე პროხორ რვაჩევი იყო. ეფიმი სტანიცაში მიემ-

გზავრება სოფლად შექმნილი მდგომარეობის გასაცნობად. მილიციასაც აცნობებს მომხდარი ფაქტის შესახებ, რასაც ის წინათ არ აკეთებდა, თუმცა ერთგული მეგობარი იყან დონსკოვი აჩქარებდა — მილიციას შეატყობინეო (გვ. 227). ვასკა ობნიზოვიც სიყვარულით ეუბნებოდა: „თუ შენ მოგკლავენ — ოცი ახალი ეფიმი იქნება. გაიგე? გასაგებად გეუბნები! იცი, როგორც ზღაპარშია გოლიათებზე? ერთს მოჰკლავენ, ისინი კი ორად იქცევიან... ჰო, ჩვენ ორი კი არა, ოცი ვართ!“ (გვ. 227). ეფიმსაც არ ეშინია, იცის, რომ სიმართლე და მოსახლეობის დიდი უმრავლესობის მხარდაჭერა აქვს. მაგრამ შინაურ მტერთან ბრძოლის ტაქტიკის უცოდინარობა, მეტისმეტი თვითდაჯერებულობა მას დაღუპვამდე მიიყვანს. ეფიმი წითელ არმიაში იყო, რამდენიმე წელიწადი თეთრებს გმირულად ებრძოდა. ეს ბრძოლა მან კარგად იცოდა, მაგრამ ჯერ კიდევ არ ჰქონდა სოფლის ბობოლებთან თავისებურად ძნელი ომის გამოცდილება.

სტანიციდან დაბრუნებისას, სალამო ხანს, ხუტორიდან ერთი კილომეტრის დაშორებით, მას ვერაგულად, სადისტურად ჰკლავს სანდრი ადამიანი. საშინელია ამ საზარელი მკვლელობის სცენა. შოლოხოვისებური ოსტატობითაა აღწერილი. შეუძლებელია ერჟოლამ არ აგიტანოს (გვ. 227—228). მწერალი არ ასახელებს, მაგრამ მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ ეს მკვლელები არიან იგნატ ბორშჩევი, მისი სიძე — პროხორ რვაჩევი, სოფლის თავმჯდომარე, რომელიც მდიდრების ინტერესებს იცავს, და ვლას ტიმოფეევიჩი. ახალი ცხოვრების გარიჟრაჟზე ეფიმ ოზეროვი ნაადრევად კვდება, მაგრამ ცნობიერების უკანასკნელი ნაპერწკლები მის გონებაში ანათებენ ვასკა ობნიზოვის იმედიან სიტყვებს: „...ოცი ახალი ეფიმი იქნება!.. როგორც ზღაპარშია გოლიათებზე...“

მოთხრობის ძირითადი აზრი, როგორც მკითხველს ადვილად შეეძლო მიხვედრილიყო, ის არის, რომ, თუმცა იგნატ ბორშჩევი და მისი კლასი ისტორიის მიერ უკვე განწირულია დასაღუპავად, მოამაკვდავია, მაგრამ უბრძოლველად როდი თმობს ასპარეზს, პირიქით, შეუძლია საშინელ დანაშაულობათა ჩადენა, დიდი ზიანის მიყენება, ამიტომ საჭიროა შეუპოვარი, მოფიქრებული, გააზრებული მოქმედება სასიკვდილოდ განწირული მტრის ასალაგმავად.

ცხოვრებაში ყველაფერი წინააღმდეგობებსა, ბრძოლასა და სასტიკ კანონებზეა დამყარებული. მოთხრობა „კვიცი“, რომელიც უაღრესად ორიგინალურ თემაზე დაწერილი ნაწარმოებია, გვხიბლავს თავისი ღრმა შინაგანი ჰუმანიზმით. არამარტო ადამიანები არიან მძიმე მდგომარეობაში, ცხოვრებისა და ბრძოლის ულმობელი ლოგიკა ერთნაირად მძიმე ტვირთია ყველასათვის, ვინც იბადება, არსებობას იწყებს, ვისაც სიცოცხლე სწყურია. შრაპნელების აფეთქებების დროს, ტყვია-წამლების კვამლსა და თოფების გრიალში იბადება ტროფიმის წაბლა ჰაკის მშვენიერი წითელი კვიცი. დედის საშოში ის წყნარად, მშვიდად იყო, არაფერი ესმოდა ამ ქვეყნისა, აქ კი, დაბადებისთანავე ორომტრიალში მოხვდა. „შიში იყო პირველი გრძნობა, რომელიც იგემა აქ, მიწაზე“,— გვეუბნება ავტორი (გვ. 299) და ამ სიტყვებით ბევრ რამეს გვაგრძნობინებს. იქვე ახლო დაჭრილი მეტყვიამფრქვეველი იტანჯება. ქვემეხების გრიალმა მამალს ყრუ ყივილი დააწყებინა. კვიცმა პირველად იგრძნო სიცოცხლის ძალა, დედის ალერსის სიტკბო, თუმცა ირგელივ გრუხუნი არ წყდება.

ტროფიმს თავსამტერევი საკითხი გაუჩნდა. რა ეშველება კვიცს? ესკადრონში, რომელიც ყოველდღე იბრძვის, მისი მოვლა ვის შეუძლია!? გარდა ამისა, მეთაურმა უბრძანა — ტყვიით მოჰკალი, ესკადრონი ბოშათა თაბორი ხომ არ არის, სარდალმა რომ ნახოს, მთელ წითელ არმიაში შევრცხვებით, თავი მოგვეპრებაო. ტროფიმის შემპარავმა სიტყვებმა, საიდანაც ჩანდა, რომ კარგი კვიცია, მისი მოკვლა ცოდვააო, — მეთაურს გადაწყვეტილება ვერ შეაცვლევინა. „მე არც მესმის, ტროფიმ — ეუბნება მეთაური, — როგორ შეგეძლო ეს დაგეშვა? გახურებული სამოქალაქო ომია და უცებ ამგვარი გარყვნილება... ეს სამარცხვინოცაა, ცხენების მეთვალყურეებს მკაცრი ბრძანება: ულაყები ცალკე იყოლიონ“ (გვ. 231).

მეორე დღეს, დილით, ტროფიმი შედის საჯინიბოში, მაგრამ კვიცის მოკვლას ვერ ახერხებს. უკან დაბრუნებული ტყუილს ამბობს: შაშხანა არ ისვრისო. გადარჩება ახლადშობილი კვიცი: «Черт с ним! —ეუბნება ტროფიმს ესკადრონელი, — Пущай при матке живет. Временно и так далее. Кончится война — на нем еще того... пахать.

А командующий на случай чего войдет в его положение, потому что молокан и должен сосать... И командующий титьку сосал, и мы сосали, раз обычай такой, ну, и шабаш! А боек у твово винта справный». (გვ. 232).

მართლაც, ვინ არ ყოფილა ახლადშობილი, ვინ არ წოვდა ძუძუს, სულ ერთია — სარდალია თუ ჯარისკაცი. კვიცმა რა დააშავა, რომ დაბადებიდანვე ბოლო მოუღოთ? რას იზამ: მისი „დანაშაული“ მხოლოდ ერთია — მებრძოლი ესკადრონის საჯინიბოში დაიბადა, ომის ქარცეცხლია, სადმე სხვაგან რომ მოსულიყო ამ ქვეყნად, არა თუ მოჰკლავდნენ, პირიქით, მოუვლიდნენ და ზრუნვას არ მოაკლებდნენ.

გავიდა ერთი თვე. ესკადრონი მძიმე ბრძოლებით დონის მეორე ნაპირზე გადადის, მტრის ცეცხლქვეშ. ბევრი იღუპება. დედასთან ერთად კვიციც მდინარეს ებრძვის, მაგრამ მორევმა ჩაითრია. საკუთარი სიცოცხლის განწირვით, ტროფიმი მიეშველება კვიცს. თრევით აიყვანს ნაპირზე. იქ კი, ესკადრონისაგან ჩამოშორებულს, მტრის ტყვია წამოეწევა. გულში ჩამწვდომი ფინალია: დედა ცხენი თავის კვიცს ლოკავს, ეალერსება, მისი გადამრჩენელი ტროფიმი კი კვდება ისე, რომ მის გალურჯებულ ტუჩებს ხუთი წელია შვილებისათვის არ უკოცნია (გვ. 236). მოდით და გული ნუ აგიტირდებათ!

მოთხრობაში — „ჭიანაჭამი“ შოლოხოვი კვლავ დაუბრუნდა ოციანი წლების კომკავშირული ცხოვრების თემას. მწერალმა ოსტატურად გვიჩვენა, თუ რა სიძნელეების წინაშე იდგნენ სოფლად მომუშავე ახალგაზრდები, რომლებიც ზოგჯერ მშობლების სასტიკ წინააღმდეგობასაც აწყდებოდნენ, გარდა ნათესავ-ნაცნობებისა. ეს იქდროინდელი რთული პროცესი შოლოხოვმა წარმოსახა ერთი ახალგაზრდის სახით. ისტორიიდან ჩვენ ვიცით, თუ რა გმირული თავდადებით იბრძოდნენ კომკავშირელები სამოქალაქო ომის ფრონტებზე, როგორ სწირავდნენ სიცოცხლეს საბჭოთა ხელისუფლებას, რა ვაჟკაცური შემართებით სპობდნენ შემოსეულ მტრებს. ზემოთ განხილულ დონის მოთხრობებში ეს სახეები უკვე დახასიათებული გვაქვს. აქ კი, „ჭიანაჭამში“ კომკავშირელის სხვა სახეა დახატული. ის ფრონტზე არ არის, ვრანგელს არ ებრძვის, ოცი

წლის ყმაწვილია, წინათ კულაკის, ახლა შეძლებული საშუალო გლეხის შვილია, კომკავშირელი, კრებებს ესწრება, კლუბში დადის, ათეისტობს, მშობელ მამას, რომელიც ნახევრად კონტრა კაცია, ეურჩება, მასაც ებრძვიან ახლობლები, პირველ ყოვლისა, მამა — იაკობ ალექსეევიჩი და უფროსი ძმა — მაქსიმი, ცოლიანი, ოცდარვა წლის. ეს უკანასკნელი მამის აზრების ერთგული დამცველია, ყველა საქმეში მხარს უჭერს. საგულისხმოა, რომ მაქსიმის ცოლს აქსინია ჰქვია — სახელი, რომელსაც „წყნარი დონის“ ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი ატარებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ მოთხრობა დაიწერა 1926 წელს, როცა შოლოხოვმა თავისი გენიალური რომანის პირველ წიგნზე დაიწყო მუშაობა, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ დროისათვის მას უკვე ჰქონდა „წყნარი დონის“ არა მარტო ზოგადი მონახაზები, მოქმედ პირთა პერსონალური სახელებიც.

ავტორი გვეუბნება, რომ შეძლებითაც და გარეგნობითაც იაკობ ალექსეევიჩი ტიპიური კულაკი იყო, ისეთი, როგორსაც იმდროინდელი გაზეთები უკანასკნელ ცვერდებზე ხატავდნენ. შემდეგ ქონების ნაწილი გაჰყიდა, საშუალო გლეხის კონდიციამდე დავიდა, მაგრამ კულაკური ფსიქოლოგია როდი შეცვალა. ისევ ხრიკებს მიმართავს. თავის საქონელს სხვის ბალახს მალულად აჭმევს, ორი წლის თივას აზვინებს, შემდეგ მეზობლებში ჰყიდის ცეცხლის ფასად, ერთი სიტყვით, სოფლის წურბელაა. მაგრამ იაკობ ალექსეევიჩის ოჯახს ფუტურო გაუჩნდა — უმცროსი ვაჟი სტეპკა კომკავშირში შევიდა. აქედან დაიწყო მამა-შვილის დიდი უსიამოვნება, რაც თანდათან ისე გაძლიერდა, რომ ტრაგიკულად დამთავრდა.

ჯერ იყო და მამის შეგონებანი შვილმა უარჰყო. ამ ჯიუტობამ ისე გააბრაზა იაკობ ალექსეევიჩი, რომ შეშინებულმა დედამ შვილი გააფრთხილა — მამაშენი რაღაც ცუდს გიმზადებსო (გვ. 238). მერე იყო და სტეპკასთან შეკამათებამ მაქსიმი ისე გამოიყვანა მოთმინებიდან, საქმე ცემა-ტყეპამდე მიიდა. უფროსმა ძმამ პირველად აღმართა ხელი უმცროსი ძმის წინააღმდეგ, სისხლი ადინა, კაენის მსგავსად, თუმცა იმ განსხვავებით, რომ სტეპკა არ მომკვდარა.

რთული მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბა, როცა ხუტორში

ნათესების აღრიცხვა დაიწყო. იაკობ ალექსეევიჩმა, მაქსიმის მეთაურობით, განიზრახა: ოცი დესიატინის ნაცვლად, შვიდი ეჩვენებინა, რათა ნაკლები გადასახადი ჰქონოდა. იქ, სადაც კრებაზე ნათესების აღრიცხვა ხდებოდა, იაკობ ალექსეევიჩმა სტეპკაც წაიყვანა — რაკი კომკავშირელია, იქნებ ნაკლები გადასახადი შემოგვაწერონ, ეს სარგებლობა მაინც ვნახოთო. მაგრამ, როცა ოცის მაგიერ შვიდი დესიატინა დაასახელა, კომკავშირელმა სტეპკამ სტატისტიკოსს უთხრა: მამაჩემი ცდება, მას დავიწყებული აქვს, ოცი დესიატინა დავთესეთო. იაკობი შერცხვა, უკანა რიგებიდან ხალხმაც სიცილი დააყარა, აქ კი გაწყდა მამა-შვილს შორის უკანასკნელი შემაერთებელი ძაფი.

ღარიბმა მეზობელმა პროხორ გოკინმა, შაბათს ხარები ეთხოვა იაკობ ალექსეევიჩს. ეს დილით მოხდა, ნათესების აღრიცხვის დაწყებამდე. იაკობმა უარი უთხრა ბუდიონელის ქუდით მოსულ გოკინს. სტეპკას დაჟინებით, იაკობი დაეთანხმა, მაგრამ შვილს უთხრა: ჩემს ხარებს სხვის ხელებს ვერ ვანდობ, თუ შენ გინდა, ზიდე თივა დღესასწაულის დროსო. სტეპკა მიხვდა, ნათესების აღრიცხვისას მომხდარი ფაქტის შემდეგ, მამამისი პროხორს ხარებს აღარ ათხოვებდა. ამიტომ კრებიდან უმალ წამოვიდა, ხარები შეაბა და გოკინთან ერთად გაემართა თივის მოსატანად. იაკობმა სცადა დაწეოდა შვილს, ხარები უკან დაებრუნებინა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ყველა ზომა მიიღო, მამის ცდები აღეკვეთა. ღამით, როცა სათიბზე ეძინათ, ხარები სადღაც გაჰქრა. მთელი დღის ძებნამ ვერავითარი კვალი ვერ აღმოაჩინა.

რაკი სტეპკა და პროხორი დროით ვერ დაბრუნდნენ, იაკობი და მაქსიმი თვითონ გაემგზავრნენ სათიბზე. როცა შეიტყვეს ხარების დაკარგვა, გაიფიქრეს: ალბათ სტეპკამ პროხორთან მოილაპარაკა, ხარები გაჰყიდესო. მამა შვილს ეცა, მაქსიმი კი პროხორს. სასიკვდილოდ სცემეს ორივეს. მაქსიმმა ფოცხის კბილები მკერდში ჩაურჭო პროხორს, სისხლი წამოადინა... ორივე დატოვეს უგრძნობლად. უკან დაბრუნებულ იაკობ ალექსეევიჩსა და მაქსიმს დაკარგული ხარები შინ დახვდათ!

თუ რა დაპირისპირება იყო მამა-შვილს შორის, მას შემდეგ, რაც სტეპკა კომკავშირელი გახდა, ნათლად ჩანს მოთხრობის შემდეგი სიტყვებიდან: „განსხვავება თანდათან გადადიოდა ჯერ პა-

ტარა ღვარძლში, ხოლო ღვარძლი შესცვალა სიძულვილმა" (გვ. 243). მამა ეუბნებოდა შვილს: „ადამიანები მე თვალში მაფურთხებენ შენს გამო, უწმინდურო". კომკავშირელი ბიჭები კი სტეპკას უსაყვედურებდნენ — რატომ არ ალაგმავ მამაშენს, ის ხომ ღარიბებს აღატაკებს, სირცხვილიაო. სტეპკასაც რცხვენოდა, რომ ასეთი მამა ჰყავდა, გრძნობდა „გულში უკვე აღარ იყო არც წინანდელი ღვიძლი სიყვარული, არც სიბრალული" იმ კაცისადმი, რომელიც მამად იწოდებოდა (იქვე). ავტორმა ისიც გვითხრა, რომ «С того дня, как стал Степка комсомольцем, откололась от него семья. Сторонились и чуждались, словно заразного" (იქვე).

ახლა გავეცნოთ მოთხრობას — „ლაზორევის ტრამალი" — დონზე სამოქალაქო ომის უაღრესად მძიმე სურათების მხატვრულ აღწერას.

მართალია, ფაბულა შეიცავს დროის ვრცელ მონაკვეთს — ამბავი იწყება ჯერ კიდევ ბატონყმობიდან. მაგრამ თვით მოთხრობაში ძირითადი აქცენტი გადატანილია სხვა თემაზე, ლოკალიზებულია სამოქალაქო ომის ირგვლივ. მთელი ნაწარმოები დაწერილია პირველი პირით, ცხადია, დიალოგები ჩვეულებრივად არის გამოყენებული. ეს პირველი პირი გახლავთ სამოცდაცხრა წლის ღრმად მოხუცი პაპა ზახარი, ცხვრის ფარის მწყემსად რომ მუშაობს, ზის მდინარის ნაპირზე და მკბენარებს იხილავს. როცა დაიჭერს, აკანკალებული თითებით გაუშვებს, თან მიაყოლებს: «Уползай, тварь! Жить, небось, хочешь? А? То-то оно... Ишь ты, насосалась.... помещица!...» (გვ. 252). ასე გულმოწყალეა პაპა ზახარი, თვითონ კი, თუ რა ტანჯვა აქვს გადატანილი, მოსასმენადაც ძნელი და აუტანელია.

ზახარი ჰყვება თავისი ცხოვრების უმძიმეს თავგადასავალს. შორიდან იწყებს, როცა დაბა ტოპოლევკა პანების საკუთრება იყო. პანი ევგრაფ ტომილინი, რომელთანაც მთელი ცხოვრება მეეტლეობაში გაატარა ზახარის მამამ, თავისი ახირებული ხასიათითა და ვერაგობით გამოირჩეოდა. გარდაეცვალა თუ არა მამა, ზახარიც ევგრაფ ტომილინის მეეტლე გახდა. პანი ამ დროს უკვე სამოც წელს მიღწეული იყო, მაგრამ თავისას არ იშლიდა. ზახარის ახლადშერთულ ცოლს აეკიდა, რამდენჯერმე ტანსაცმელი შეუხაია, მკერდი დაუსისხლიანა. სამაგიეროდ, როცა ქოხში მისულ

ნახა, თუ როგორ აწვალებდა საწოლზე თავის მსხვერპლს, ზახარ-შა ტყვიით დამძიმებული მათრახი იმდენი ურტყა პან ევგრაფ ტომილინს, რომ შუბლგატეხილმა ძლივს მოასწრო ფანჯრიდან გადახტომით თავისათვის ეშველა. ორი წლის შემდეგ პანი გარდაიცვალა, მემკვიდრე გახდა მისი შვილი — ოფიცერი, რომელიც ყველაფერში მამას დაემსგავსა. ბავშვობიდანვე სადისტური გრძნობებითა და მისწრაფებებით გამოირჩეოდა. ალბათ შემთხვევითი არ იყო, რომ გერმანიის ომის დროს ტყვეთა ბანაკს უფროსად დანიშნეს ციმბირში. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ტოპოლევკაში დაბრუნდა. მეორე გადატრიალების შემდეგ ახალგაზრდა პანი მამულიდან გააძევეს. ამ დროს პაპა ზახარს მიცვალებული ვაჟისაგან ორი შვილიშვილი ჰყავდა — სემიონი და ანიკუშკა. ორივე ბატონების წინააღმდეგ შეუპოვარი მებრძოლი შეიქნა. სემიონს უკვე მეუღლე ჰყავდა, ჩვილბავშვიანი, ანიკუშკა ჯერ არ იყო ჯვარდაწერილი. შვილიშვილები პაპასთან ცხოვრობდნენ, ტკბილი ურთიერთობა ჰქონდათ.

როგორც კი მამულიდან პანი გააგდეს, სემიონმა გლეხებს ურჩია ვემამულის სავარგულები გავინაწილოთ, ხოლო ქონება სახლებში წავიღოთო. ასეც გააკეთეს. ერთი კვირის შემდეგ ხმა გავრცელდა: პანი მოდის კაზაკებით ჩვენი დაბის ასაკლებადო. გლეხებიც მოემზადნენ: სტანიცაში დაბანაკებული წითელი გვარდიისაგან იარაღი ჩამოიტანეს, სანგრები გათხარეს, ბრძოლისათვის მოემზადნენ. სემიონი და ანიკუშკა აქტიურად ჩადგნენ ებრძოლთა რიგებში. ორჯერ მოიგერიეს თავდამცველებმა თავდამხველები, რომლებსაც პანი წინ მოუძღოდა თავისი თეთრი ჩორთით მოსიარულე ცხენით. პაპა ზახარმა იცნო პანიც და მისი ცხენიც. მესამე შეტაკების დროს გლეხები დამარცხდნენ. გამარჯვებულმა პანმა იმ დღეს ოცდათორმეტი თანასოფლელი დახვრიტა. მათ შორის იყო პაპა ზახარის ორივე შვილიშვილი და რძალი, რომელიც ქმარს არ მოშორებია განსაცდელის ჟამს. ისინი გმირულად შეხვდნენ სიკვდილს. რაღაც საოცრებით, დახვრეტილი ანიკუშკა სიკვდილს გადაურჩა, მაგრამ ზარბაზნების ბორბლებით ფეხებდაღეწილი, ახლა, ოცდახუთი წლის კაცი მიწაზე დახოხავს — ორივე ფეხი მოკვეთილი აქვს. სევდა ჰკლავს, რომ მიწის ხვნა არ შეუძლია, იმ მიწისა, რომელსაც სიცოცხლე შესწირეს უფროსმა ძმამ

სემიონმა, მისმა ცოლმა ანისიამ, ოცდაათმა მეზობელმა და თვითონაც ასე დასახიჩრდა. სემიონის პატარა ბიჭუნა კი, უდედმამო, იზრდება დიდი პაპის — ზახარისა და ფეხებმოკვეთილი, მაგრამ კეთილი ბიძის მზრუნველობით.

თუ რა ვერაგია პანი, როგორი ულმობელი და სადისტი, შოლოხოვმა გვიჩვენა არაერთი მაგალითით. სულ ბოლო სცენაში, როცა შვილიშვილების დახვრეტის წინ, პანს ემუდარება პაპა ზახარი — გაითვალისწინე ჩვენი ოჯახის ამაგი თქვენზე, მამათქვენზე, სემიონი და ანიკუშკა გამითავისუფლეო, — პანი ჯერ უარს ეტყვის, შემდეგ კი ეუბნება: უთხარი შენს შვილიშვილებს — მოვიდნენ ჩემთან, შეწყალება მთხოვონ, როზგებით დავკმაყოფილდები, შემდეგ ჩემს რაზმში ჩავრიცხავ, იქნებ თავიანთი სამარცხვინო დანაშაული მონდომებით გამოისყიდონო. მაგრამ პაპა ზახარმა ვერ შეიძლო შვილიშვილების დაყოლიება. პანისამდი შეწყალების ეხოვნაზე მათ სასტიკი უარი განაცხადეს. სიკვდილის წინ კი, ცოლთან ერთად შეკრულმა სემიონმა პანის სიტყვები რომ გაიგონა — იქნებ ბავშვის გულისათვის შეწყალებას მთხოვო, და კვნესით ითხოვა, — პანმა უპასუხა: „სთხოვე, მხოლოდ ღმერთს... დაგვიანე ჩემთვის თხოვნაო". (გვ. 259). მიწაზე განრთხმული, ერთმანეთს თოკით მიკრული ცოლ-ქმარი — სემიონი და ანისია უმალ სიცოცხლეს გამოასალმებს.

ასე დამთავრდა პან ტომილინების ვამულის — ტოპოლევკის ტრაგედია, რომელშიაც კალეიდოსკოპურად ჩანს თეთრგვარდიელი ბანდების საშინელი დანაშაული გაჩაღებული სამოქალაქო ომის დროს.

დონის მოთხრობებს შორის „მოჯამაგირეები" ერთ-ერთი ვრცელი ნაწარმოებია, რომელშიაც ახალგაზრდა ავტორი კვლავ უბრუნდება სოფლად პირველი კომკაშირული თაობის ცხოვრებას და ბრძოლას. მაგრამ აქ თემა სულ სხვა მიმართულებით ვითარდება. აქცენტი გადატანილია ერთ სოფელში ორი სოფლის ურთიერთდაპირისპირებაზე უმთავრესად ეკონომიური ფაქტორის წინ წამოწევით. ამიტომ დანილოვსკის ორი ქუჩა: პირველი — მდიდარი გლეხებისა, ხოლო მეორე — ღარიბებისა სიმბოლურად განასახიერებენ ამ დაპირისპირებას. საგულისხმოა, რომ არამარტო თუნუქ-კრამიტით გადახურული დიდი სახლები პირველ ქუჩაზე და

ღარიბი ქოხმახები მეორეზე ქმნიან მკვეთრ განსხვავებას — თვით ჭუჩებიც: პირველი მთავარი, დიდი ქუჩაა, მეორე კი მრუდე და ვიწრო (გვ. 261). ამ უკანასკნელს ხუთი წლის წინათ სხვა უბედურებაც შეეყარა: ხანძარმა ყველაფერი გადაწვა, ქოხმახებთან ერთად სასოფლო-სამეურნეო იარაღებიც. ისედაც გაძვალტყაეებული, არაფრის მქონე გლეხობა სრულიად გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა. გვალვამაც მოსავალი გაანადგურა. ბევრი სხვაგან წავიდა სამუშაოდ, თუმცა მშობლიური კუთხის სიყვარულმა ისევ უკან დააბრუნა, მდიდარ გლეხებთან კაბალური მოჯამაგირეობა დააწყებინა.

ერთი ასეთი ღატაკი, მაგრამ ჯან-ღონით საესე მშრომელი გლეხია ნაუმ ბოიცოვი. ქოხის გარდა არაფერი აქვს — არც ცხენი ჰყავს, არც ხარები. მისი გამრჯე ცოლი და თექვსმეტი წლის ყმაწვილი ფედორი წელზე ფებს იდგამენ, ძლივს ირჩენენ თავს. ერთ დღეს, მღვდელ ალექსანდრეს მიერ დაქირავებულ ნაუმს, გაუხედნავი კვიცი წიხლებით გულმკერდს ჩაუნგრევს. ნაუმი დიდი ტანჯვა-წვალებით უმაღ გარდაიცვლება. გაჭირვებული ოჯახისათვის ეს იყო სრული დაღუპვა. ნაუმის დაკრძალვიდან სამი თუ ოთხი დღის შემდეგ დედა-შვილმა გადაწყვიტეს სხვის კარზე დაქირავებული შრომა დაეწყოთ, რათა ერთი წლის შემდეგ დანაზოგით იქნებ ცხენი შეეძინათ და ისევ საკუთარ ქოხს დაბრუნებოდნენ. ფედორი მეზობელ დაბა ხრენოვსკის შეძლებულ გლეხთან — ზახარ დენისოვიჩთან იწყებს მოჯამაგირეობას — თვეში ერთ მანეთად (ბობოლა ზახარმა ჯერ ათი შაური შეაძლია, მაშინ, როცა შვიდი მანეთი ითვლებოდა მინიმუმად). ვერაგი, ხარბი, წურბელასავით სისხლისმსმელი აღმოჩნდა ზახარ დენისოვიჩი. სულსა და ტყავს აძრობდა ყმაწვილს, ცუდადაც ჰკვებავდა. ეს იყო ფედორის განუკითხავი ექსპლოატაცია, დღე და ღამ განუწყვეტელი შრომა, არც დასვენება ჰქონდა, არც უქმე. ზახარი კი ყმაწვილს უსირცხვილოდ ეუბნებოდა: „შენ გახსოვდეს ჩემი სიკეთე“, მამობას გიწევო.

ორი თვის შემდეგ დედამ მოაკითხა შვილს. მათ ერთმანეთი ამ ხნის განმავლობაში არ ენახათ. ფედორი გაოცდა: „ორი თვის მანძილზე დედა მოხუცებულა ათი წლით“ (გვ. 276). ფეხზე ძლივს მდგომ, მშიერ ქალს საჭმელიც არ აჭამეს, თუმცა შვილმა სთხოვა

ზახარ დენისოვიჩის ცოლს. მხოლოდ ვახშამზე დააჯინეს, დაქირავებულ მუშებთან ერთად, ისიც აგრძნობინეს, რომ ცოტა ეჭამა. მეორე დღეს, ფედორის დედა, უსაუზმოდ წავიდა, შეწუხებული, რომ ზახარ დენისოვიჩი, რომელიც შრომაში ჰკლავს მის ერთადერთ შვილიკოს, ამავე დროს უწოდებს უქნარასა და არაფრის გამკეთებელს. ვახშმის დროს უსიამოვნება ჩამოვარდება ზახარსა და მის ძიერ დაქირავებულ მუშებს შორის. წითელ არმიაში ნამყოფი, ნაომარი, ახლა დაქირავებული მუშა ფროლ კუჩერენკო თვალებს უხელს ფედორს, ასწავლის როგორ მოიქცეს. ზახარ დენისოვიჩი იმ მცირე გასამრჯელოსაც არ აძლევს, რომელსაც შეჰპირდა. დედის წასვლისთანავე უმაწვილმა გადაწყვიტა (რაკი შეიგნო, რომ შვიდი მანეთი მაინც ღირდა მისი შრომა, მანეთს დაჰპირდნენ, მაგრამ არც იმას აძლევენ) თავი დაენებებინა პატრონისათვის. წალაპარაკების დროს ერთი მაგრად დაბეგვა სისხლისმწოველი და უფულოდ, უბარგოდ გამოექცა ზახარს ბედის საძიებლად.

გზაზე ფედორი შეხვდება ფროლ კუჩერენკოს. როცა ეს უკანასკნელი შეიტყობს, რომ ზახარ დენისოვიჩმა ორი თვე უქმად აშრომა თავისი მოჯამაგირე, სულ ცოტა თხუთმეტი მანეთი მაინც უნდა გადაეხადა, მაგრამ არაფერი მისცა, ურჩია ფედორს: წადი ხუტორ დუბოვსკოიში, იქ კომკავშირული უჯრედია, დაგიცავენ, შენი ღვიძლი მშობელი ის არისო. მე წითელ არმიაში ვიბრძოდი, ახალ ცხოვრებას მივესალმები, მაგრამ არ შემიძლია პარტიაში ვიყო „შთამომავლობით სისუსტის გამო“ (გვ. 283). რა სისუსტეზეა ლაპარაკი? „არაყს ვსვამ,— ამბობს ფროლი,—ხოლო საბჭოთა სოციალიზმის დროს ამის მსგავსი არ შეიძლება“... (იქვე). ნასვამი ფროლი წნული ღობის ქვეშ მიიძინებს, ფედორი კი ღრმა ფიქრს გაჰყვება და ვერ შენიშნავს, თუ როგორ მოხდა, რომ....«бежавшая мимо собачонка, обнюхав пьяного зубаря (ე. ი. ფროლი—გ. ჯ.), подняла ногу и, помочившись на него, зачикиляла дальше» (გვ. 284).

დააკვირდით რამდენი რამ არის ნათქვამი ამ პატარა დეტალით!

ხუტორ დუბოვსკოიში მისულ ფედორს კომკავშირელები სიყვარულით მიიღებენ. მდივანი რიბნიკოვი ურჩევს სასამართლოს საჩივარი გაუგზავნოს. ბინასაც მისცემენ კომკავშირელ ეგორთან, რომლის დედამ ფედორი შვილივით მიიღო. შოლოხოვი ძალიან დამაჯერებლად, მხატვრული ოსტატობით აღწერს პირველი კომ-

კავშირული თაობის წარმომადგენლების შრომას და ბრძოლას სოფლად (რიბნიკოვამდე, რომელიც უკვე მარჩხს კითხულობს, უჯრედს თურმე კულაკის შვილი ხელმძღვანელობდა, მუშაობა ჩაგდებული იყო). ფედორი მალე თვითონვე ხდება კომკავშირელი — კრებაზე ერთხმად მიიღებენ წევრად. ამ დროს სასამართლო ზახარ დენისოვიჩ ბლაგუროდოვს მიუსჯის 12 მანეთის გადახდას ფქვედრო ნაუმის ძე ბოიცოვის სასარგებლოდ, უწლოვანის ექსპლოატაციის გამო დაჯარიმებს ოცდათი მანეთით (ან იძულებითი შრომით) და გადაახდევინებს სასამართლო ხარჯებს. სიმართლემ გაიმარჯვა! გახარებული ფედორი სტანიციდან უკან ბრუნდება დუბოვსკოიში, მაგრამ წამოეწევა მარხილში მჯდომი ყოფილი მეპატრონე და ხელნებს დაატაკებს. ფედორი წაიქცევა, დაინახავს ზახარ დენისოვიჩს, რომელიც მას, თოვლში წაქცეულს, შოლტით სცემს. გაცოფებული ფედორი ცდილობს წამოეწიოს, მაგრამ გაქცეულ მარხილთან რა შეუძლია გააწყოს.

ყოველივე ამის შემდეგ ფედორის ცხოვრებაში ახალი პერიოდი იწყება. იგი ემშვიდობება კომკავშირელ მეგობრებს, რომლებმაც ამდენი ამაგი დასდეს დუბოვსკოიში ყოფნის დროს, მიეშურება სამუშაოდ — ისევ მოჯამაგირეობა უნდა დაიწყოს. მოხვედება ხრენოვსკის შეძლებულ გლეხთან — პანტელეი მიროშნიკოვთან, რომელიც კეთილი ადამიანია, ომში დალუპული სამი შვილის მამაა. თვეში სამ მანეთს დაუნიშნავს, ხელშეკრულებასაც გაუფორმებს, ალერსით და კეთილად ექცევა. ფედორიც თავდადებულად მუშაობს. არ ივიწყებს რიბნიკოვის დავალებასაც — მოჯამაგირეები შემოიკრიბე, აგიტაცია ჩაუტარე, უჯრედი ჩამოაყალიბეო. სოფელში თერამეტი მოჯამაგირეა, მათ შორის თხუთმეტი ახალგაზრდაა. ერთი მათგანი — მიტკა ზახარ დენისოვიჩთან მუშაობს, იმავე ტანჯვაშია, რასაც მანამდე თვით ფედორი განიცდიდა. ფედორი აწყობს მოჯამაგირეების გაფიცვას გახურებული სასოფლო სამუშაოების დროს. დამქირავებლები გაცოფდნენ, პანტელეი მიროშნიკოვის გარდა. ის მხარს უჭერს ფედიას, რომელიც მოთავეა. როცა ღამით მოჯამაგირეები დაიშალნენ, ფედიას ჩასაფრებულმა სამმა კაცმა სასიკვდილოდ სცემა. აყალმაყალზე სახლიდან გამოვიდა ნახევრად მძინარე პანტელეი მიროშნიკოვი და იარაღით დაიცვა თავისი მოჯამაგირე. იყვნენ, უეჭველად იყვნენ

ასეთი კეთილი ადამიანებიც! თავდამსხმელები კი აღმოჩნდნენ ზახარ დენისოვიჩი, რომელსაც სასამართლომ შვიდი წლის პატიმრობა და სამი წლით უფლებების აყრა მიუსაჯა, მიხაილა დერგაჩევი და კუზკი — ხრენოვსკელი სპეკულანტი. თითოეულ მათგანს ხუთ-ხუთი წლით პატიმრობა აკმარეს.

საავადმყოფოში მოთავსებული, სიკვდილს გადარჩენილი ფედორი წერილს ღებულობს რიბნიკოვისაგან. მეგობრების სახელით ის ატყობინებს, რომ დამნაშავენი სასამართლოს მიერ დასჯილნი არიან, ხრენოვსკის კომკავშირულ უჯრედს, შენი თხუთმეტის გარდა, ექვსიც მიემატა; მე გადავყავართ რაიკომში სამუშაოდ, ყველანი მოველით შენს გამოჯანმრთელებას და ჩვენთან დაბრუნებასო. ეგორმა დანილოვსკიში თერთმეტკაციანი უჯრედი ჩამოაყალიბა. პაპა პანტელეი მიროშნიკოვი მალე გინახულებს საავადმყოფოში და საშველ-საბმელსაც მოგიტანსო. „მალე გამოჯანმრთელდი და ჩამოდი, სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია, დრო კი მიხტის, როგორც დუშაყ გაწყვეტილი ცხენი“, — სწერს რიბნიკოვი (გვ. 391).

სამუშაო მართლაც ბევრი იყო, დრო მართლაც ისე მირბოდა, როგორც კომკავშირელ რიბნიკოვს ეჩვენებოდა, ის დრო, რომელიც შოლოხოვის მიერ ასე ოსტატურად აღწერილი შემორჩა თაობათა მეხსიერებას.

იმ დროის ერთ-ერთი ორიგინალური კოლორიტული შტრიხია წარმოდგენილი პატარა მოთხრობაში — „დონის სასურსათო კომისრისა და დონის სასურსათო კომისრის მოადგილის ამხანაგ პტიცინის განსაცდელთა შესახებ“. მოთხრობას თარიღად უზის 1923-1925 წლები. იგი დაწერილია მსუბუქი იუმორით, ფელეტონის ჟანრში, ამბავს ჰყვება თვით იგნატ პტიცინი—მოთხრობის ერთადერთი მთავარი გმირი. ყველა მისი თავგადასავალი აღსავსეა კომიკური ტიპისათვის დამახასიათებელი სიტუაციებით, მსგავსად შეეიკისა, რომელიც ვერ გრძნობს თავის სასაცილო მდგომარეობას. თვითდაჯერებულობა პტიცინისა, როგორც საერთოდ თვითდაჯერებულობა ადამიანისა, რომელიც თავისუფალია გრძნობისაგან—შეამჩნიოს წინააღმდეგობა მის სურვილსა და რეალურს შორის, დაინახოს რომ მისი თვითდაჯერებული

მოქმედება შეუთავსებელია სალ აზრთან, ტიპიურია ამგვარი პირებისათვის და შოლოხოვმა ბრწყინვალედ გამოჰკვეთა მსოფლიო ლიტერატურაში არაერთი კუთხით ნაჩვენები ეს სახე*. პტიცინი ბოლომდე თვითდაჯერებულია, მაშინაც, როცა საკუთარ თავს ახასიათებს, კარიერაზე ფიქრობს, 1919 წელს სამხრეთის ფრონტის მეცხრე არმიისათვის პურს „ამზადებს“ თავის ანგელოზ კაზაკებთან ერთად, მაუზერით, ორი გრანატითა და შაშხანით შეიარაღებული; თვითდაჯერებულია, როცა დაუჯერებელ ამბებს ჰყვება რკინიგზით მოგზაურობის დროს, ქალებთან დამოკიდებულებაში, როცა უსიამოვნო ამბებზე ყოველთვის ამბობს: სასიამოვნოაო. მშვიდ, ეტყობა ნიჭიერ, მცოდნე გოლდინს—თავის მეგობარს ახასიათებს, როგორც ქალწულებრივს, რაკი ქალიშვილივით წუნარია, თან უკვირს—რატომ აწინაურებენ, როცა პტიცინივით უხეში და ტლანქი არ არის. მიუნჰაუზენის ტყუილებსა ჰგავს პტიცინის მტკიცება, რომ იერიშის დროს იუნკრული ტყვია საშარდე ბუშტში მოხვდა და ახლაც იქ არის (გვ. 303). თავისთავზე სერიოზულად ასე ლაპარაკობს: «Глаза у меня были быстрые, веселые, ажно какие-то ужасные: бабы, бывалочка, пугались. Примолвшись какую-нибудь на походе, а она после, как освоится, и говорит: «Фу, Игнаша, до чего ваши глаза зверские, глядишь в них, никак не наглядишься» (გვ. 302).

ჭკვიანი გოლდინი პტიცინს ეუბნება, რომ იგი მკაცრი ადამიანია, ბრიყვიც, სირბილე არა აქვს. პტიცინი ყოველივე ამას არაფრად მიიჩნევს, სირბილეზე კი ამბობს: მართლაც ცოტა მაქვს, თუმცა რად მინდა, „დედაკაცი ხომ არა ვარ“ (გვ. 303).

ან აიღეთ პტიცინის ნაამბობიდან ის ადგილი, სადაც გოლდინის დავალების შემდეგ ვკითხულობთ: «Иду я обратно и качаю хлеб. И до того докачался, что осталась на мужике одна шерсть. И тово добра бы лишился, на валенки обобрал бы, но тут перевели Гольдина в Саратов» (გვ. 304). ასეთი კაცია პტიცინი და უკვირს, თუ რატომ უხდება ამდენი ლოდინი, რათა დონის სურსათის

---

* კომიკური ტიპის შესახებ იხ. გიორგი ჯიბლაძე, „კომედიები გიორგი ერისთავისა“, წიგნში: კრიტიკული ეტიუდები, ტ. I. 1958 წ., გვ. 157—197; გიორგი ჯიბლაძე, „კომიკურის ბუნება პოლიკარპე კაკაბაძის კომედიებში“, კრიტიკული ეტიუდები, ტ. V, 1974 წ., გვ. 198—208.

კომისრის მოადგილე გახდეს. ხოლო, როცა თვითმარქვია „კომისრის მოადგილე“ პტიცინი სულ უადგილოდ რჩება, უკვირს: როგორ შეჰბედეს მას წასულიყო სალსკის მხარეში აგენტად. ახალ კომისარზე კი გაოცებული ამბობს: „გაფუჭდა ოლქში საქმე. როგორიღა დონის სურსათის კომისარი დადგება მისგან? ხმა წუნარი აქვს და თვითონაც შეხედულებით სწაელულია. ჰოდა, წუნარი ხმით ხომ ერთ ფუთსაც ვერ გამოართმევ. მე, ხანდახან, როგორც კი დავიყვირებდი, ეჰ, რა ვილაპარაკო! ჩვენ არც აღმრიცხველები გვყავდა, არც ქალიშვილები ფრჩხილებიანები არ იყო, საქმეს კი ვაკეთებდით!“ (გვ. 307).

ამ სიტყვებით მთავრდება მოთხრობა, რომელიც დაძაბული ინტერესით იკითხება, სავსეა იუმორისტულ-სატირული ნაკვესებით და მკითხველს დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს.

ერთი უცნაური სიყვარულის ისტორიაა გადმოცემული მოთხრობაში — „კალოშები“. აქ არ არის სამოქალაქო ომი, არც არავის ჰკლავენ, მაგრამ ტანჯვას, ხელჩართულ შეტაკებას მაინც აქვს ადგილი, სიყვარულსაც კი უბედურება მოაქვს. ტრადიციული სამკუთხედი იმდენად ორიგინალურ ფაბულას ეყრდნობა, რომ მსგავსი დღემდე არ გვინახავს ლიტერატურაში. შოლოხოვმა მეტად თავისებური, მხოლოდ მისი ტალანტისათვის მორგებული ნაწარმოები მოგვცა, რომელშიაც ტრადიციული თუ ტრაფარეტული თემა სიყვარულისა, მსოფლიო ხელოვნებაში გაცვეთილი და უთვალავჯერ დამუშავებული, სრულიად ახლებური ჟღერადობით წარმოგვიდგინა. არ გამოუყენებია სამკუთხედის არცერთი ძველი ბტრიხი, არცერთი გრადაცია. მთლიანად დარჩა თავის სტიქიაში, თავისი მხატვრული სამყაროს უკვე დადგენილი კანონების ერთგული.

მოთხრობა პირდაპირ კვანძის გახსნით იწყება. სოფლელმა ბიჭმა სემკამ იგრძნო, რომ მას შემდეგ, რაც მათთან ჩამოდიან სტანიცელი უმაწვილები დროს გასატარებლად, მარინკას გული შეიცვალა მისადმი, უცებ გაცივდა. მანამდე კი როგორ უყვარდათ ერთმანეთი, სატრფოსაგან ქისაც მიიღო საჩუქრად, რომელსაც ოთხივე კუთხეში ამოქსოვილი ჰქონდა ოთხი ასო: К-Л-Т-Д, რაც ნიშნავდა— «кого люблю-тому дарю». ამაზე მეტი რაღა უნდოდა გულწრფელ შეყვარებულ სემკას, მაგრამ ახლა, რაც გრიშკა მოვიდა გარმონითა და

ტოლ-ამხანაგებით მეზობელი სტანიციდან, ყველაფერი გადატრიალდა. სემკამ შეატყო, რომ მარინკა არამარტო გრიშკას დაკვრა-სიმღერით არის გატაცებული, არამედ. პრიალა კალოშებითაც. თვალს არ აშორებს. ეს კალოშები ყმაწვილს აცვია ჩექმებზე, უხდება ბუმბულიანი გალიფე ლამპასებით, სემკა კი ყოველთვის (სამუშაო დღეა თუ დღესასწაული) ნაქსოვი წუღებითა და დაგლეჯილი შარვლით დადის. ამ საღამოს იგი, დავიწყებული. საბრალო შესახედავი, კუთხეში იყო მიმალული, უცქეროდა არა მარინკას და გრიშას, არამედ იმ საბედისწერო კალოშებს. ცეკვა-თამაშის დამთავრების შემდეგ მარინკა გრიშამ ვააცილა სახლამდე, ხოლო სემკა მათ გაჰყვა მალულად, ღობე-ღობე, უცქეროდა ხელგაყრილებს, რომლებიც ტკბილად, მიჯნურთა ენაზე ლაპარაკობდნენ. შემდეგ მარინკას ეზოსთან ახლოს მოჭრილ ტირიფზე ჩამოსხდნენ, ღობის უკან მიმალულ სემკას მათი საუბარი კარგად ესმოდა. ცოტა ხანიც და გაისმა გრიშკას ხმადაბალი სიმღერა გარმონზე:

«—Ох, Марина, сам не знаю,
По тебе я как страдаю.
Обрати внимание
На мое страдание!..»

სიმღერის დამთავრებისას მარინკამ ჰკითხა გრიშკას — გრიგორი კლიმიჩ, სად შეიძინეთ კალოშები? რა მიეცით? ასე ძვირად ღირს (ხუთმანეთნახევარი) და თქვენ კი მტვერში განგლავთ. სემკამ დაინახა, თუ როგორ დაიხარა მარინკა და გრიშკას კალოშებს წმენდა დაუწყო. სტანიცელმა ლოველასმა შეაწყვეტინა — საჭირო არ არისო. შემდეგ გარმონი მხარზე გადაიკიდა, როცა გაიგონა მარინკას ახალი შეკითხვა: თქვენთან სტანიცაში ქალიშვილებიც კალოშებით დადიანო? გრიშკამ უპასუხა, რომ დადიან, მაგრამ ჩვენს შესაფერისს ვერ ვპოულობო, ტუჩები სახელოთი მოიწმინდა და დიდხანს მიეკრა მარინკას ლოყას. როცა ამურმა იძალა, სემკამ გაიგონა სიტყვებიც — ხვალ საშჭედლოსთან შევხვდეთო. ეს კი ველარ მოითმინა, პალოს დაავლო ხელი და მოქიშპეს შეუტია. ჩხუბის შემდეგ ნაცემმა გრიშკამ თავს უშველა (გარმონიც დაუმტვრიეს), ხოლო სემკასა და მარინკას ისეთი ურთიერთ

შეურაცხმყოფელი ლაპარაკი ჰქონდათ, როგორც მოსისხლე მტრებს. „მარინკას ჭიშკართან ახლოს ამ ღამეს მოკვდა სემკას სიყვარული, რომელიც ორი თვის წინათ დაიბადა“... (გვ. 311—312).

იწყება სემკას ტანჯული დღეები. კალოშები რომ იყიდოს, ერთადერთ ხარს ჰყიდის სტანიცაში, სამოც მანეთად. დედის თხოვნის მაგიერ, რომ ექვს და-ძმას რაიმე ჩასაცმელი მოუტანოს, ზამთრისათვის პური შეიძინოს, თვითონაც შარვალი გამოიცვალოს, დედას კი ხალათი ესაჭიროება, თითქმის შიშველია, სემკა, არაყით მთვრალი, მთელ ფულს თავის კალოშებსა, ფეხსაცმელსა და ტანსაცმელში დახარჯავს, შინ კი მარტოოდენ ორ კაპიკს მოიტანს. ფინალი ასეთია: «Семка, дергая ногами, пятился к дверям, а она ползла за ним на коленях, синея, давилась криком, и на измазанные Семкины калоши текли слезы» (გვ. 319).

ეს ხდება გამთენიისას, როცა ყველას სძინავს და არავის შეუძლია გაიგოს სემკას დედის — სტეფანოვნას კივილი ან დაინახოს მისი ცხარე ცრემლები. თვით სემკას ჯერ არაფერი ესმის, არაყისაგან უგონოდ მთვრალია, მაგრამ ადვილი წარმოსადგენია, თუ რა დაემართება გამოფხიზლებულს, საკუთარი თვალით რომ იხილავს სიყვარულის მიზეზით დამსხვრეულ უკანასკნელ იმედს, ძირგამოთხრილ მშიერ ოჯახს და საშინელი დღის სინათლეს.

როგორც ფორმის, ისე შინაარსის მხრივ სხვაგვარია მოთხრობა **„ჯოლჩაკის, ჭინჭრიხა და სხვათა შესახებ“**. ეს ნაწარმოები ფორმით ენათესავება პტიცინზე მოთხრობას, შინაარსი კი მისგან აბსოლუტურად განსხვავებული აქვს, სავსეა იუმორით, გონებამახვილობით, კომიკური სიტუაციებით, შოლოხოვისებური სარკაზმი ამშვენებს მის თითოეულ სტრიქონს.

აი, დგას მომრიგებელი მოსამართლის წინაშე ხუტორის მცხოვრები ფედოტი, სთხოვს მას განმარტებას, თუ რა კანონები არსებობენ, როცა ხელით ცემაა და შეურაცხმყოფელი ქმედება, კერძოდ, ჭინჭრით ცემა. ვფიქრობ, საბჭოთა ხელისუფლების დროს ასეთი რამ არ უნდა ხდებოდესო. ჩემთვის მოქალაქეებს რომ ეცემათ, ეს კიდევ ნახევარი უბედურება იქნებოდა, მაგრამ დედაცებმა მცემეს, ამის შემდეგ ცხოვრება გულს მირევს, ჩემს სიტყვებს ენდეთო.

მთელი ნაწარმოები ფედოტის მონათხრობია, ისევე. როგორც თავგადასავალი პტიცინისა, და პირველი პირით ნაამბობში კვლავ ორგანულად არის ჩართული დიალოგები, პასაჟებთან ერთად. თურმე ფედოტის უბედურება მაშინ დაიწყო, როცა ხუტორში ნასტიამ ქალთა აღმასკომის მსგავსი რაღაც თანამდებობა დაიკავა. თავმჯდომარე სტეშკას თხოვნით, ფედოტს თემში უნდა წაეყვანა ნასტია დანიშვნის ქაღალდის მისაღებად. ვიდრე ფედოტი ცხენს დაიჭერდა, ნასტიამ საუბარი გაუბა მის ცოლს, შეიტყო, რომ ქმარი ხშირად სცემს თავის მეუღლეს. როცა ნასტია შეეკითხება ფედოტს — ცოლს რატომ სცემო, იგი უპასუხებს: „წესრიგისათვის. თუ არ სცემ — ფუჭდება. დედაკაცი ცხენივითაა — არ სცემ — არ გასწევს" (გვ. 321). ნასტიამ უსაყვედურა: არა თუ ცოლის, ცხენის ცემაც არ შეიძლებაო. ჰოდა, თუ ცხენის ცემა არ შეიძლება, ფედოტმა განზრახ არ წაიღო მათრახი, და როცა ნასტია თხოვს — ჩქარა წადიო, — ფედოტი უპასუხებს: როგორ შემიძლია ჩქარა ვიარო, თუ ცხენის ცემა არ შეიძლებაო. სტანიციდან თემამდე სულ თვრამეტი ვერსი იყო, მაგრამ ფედოტმა ისე ზლაზვნით იარა, რომ გზას დილამდე მოუნდნენ. ნასტიამ ტირილი დაიწყო და ფედოტს უნამუსო უწოდა. უკან დაბრუნებისას, გაბოროტებულმა ფედოტმა ტელეგრაფის ბოძის სიჩქის წნელი გააკეთა და თავის ცხენს კუდიდან ფერფლი ადინა. ურტყა და ურტყა, რაკი „თანასწორუფლებიანობა მოისურვა" (გვ. 322). შინ ცოლიც სულ სხვა გუნებაზე დახვდა. აღარ ემორჩილებოდა. აქედან დაიწყო ჩვენს შორის „სამოქალაქო ომიო" (გვ. 322). დღე და ღამ ჩხუბს, ყვირილს, ალიაქოთს ქალმა ვეღარ გაუძლო და პროტესტის ნიშნად ქმარს გაექცა, ოდესღაც პანების საჯინიბოში დაიდო ბინა თავის ბავშვებთან ერთად.

დიდი ვაი-ვაგლახი დაატყდა თავზე ფედოტს. უქალოდ დარჩენილი ოჯახი სულ აირ-დაირია. ქალის საქმეს მიუჩვეველი კაცი რას გააწყობდა. ყველაფერი თავდაყირა გადატრიალდა. ხუთი დღის შემდეგ მეზობელ ანისიმის ცოლმაც მიატოვა ოჯახი და საჯინიბოში გადავიდა ფედოტის მეუღლესთან. რამდენიმე დღეც არ იყო გასული, რომ თავმჯდომარე სტეშკას ცოლი და ცოლისდაც იქ, საჯინიბოში გადავიდნენ პროტესტის ნიშნად. მალე ორი მეზობლის ცოლებმაც იგივე გააკეთეს. სულ რვა ქალი შეიკრიბა,

მთელი ბანაკი გაჩნდა, კაცებს კი ოჯახის მეურნეობა ენგრევათ. ბაშინ გონს მოვიდნენ, ფედოტის წინადადებით გადაწყვიტეს — აღარ მოეთმინათ დედაკაცების მხრივ ასეთი დამცირება, ძალით გამოეთრიათ ისინი საჯინიბოდან და სახლებში წაეყვანათ. მეთაურად თავმჯდომარე სტეშკა დაასახელეს, მაგრამ ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა — თიაქარი მაქვს და ვერ შევიძლებო. ფედოტს კი უთხრა: შენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის სისხლი დაგიღვრია, სახითაც კოლჩაკს ჰგევხარ, შენ უფრო შეგფერისო. ფედოტმაც იკისრა ამბოხებული დედაკაცების ასალაგმავად დარაზმული მამაკაცების მეთაურობა. როცა საჯინიბოსთან მივიდნენ, მან უთხრა თავის „მებრძოლებს“: მოდი ჯერ სკანდალს ნუ ავტეხავთ; მე წავალ მათთან დელეგატივით და ვეტყვი შინ დაბრუნდნენ, თქვენზე ამნისტია გამოვიდა-თქო.

შევიდა თუ არა საჯინიბოში, ქალები ეცნენ ფედოტს, სისხლისმსმელი და ძაღლიშვილი უწოდეს. ძლივს მოასწრო ეთქვა: თავი დაანებეთ, დედაკაცებო, სულელობას! ამნისტიაა... სთქვა თუ არა ეს, ქალებმა, მათ შორის ყველაზე მეტად ფედოტის ცოლმა, იმ სცემეს „დელეგატს“, თანაც ველური ჭინკრით, რომ მთელი კვირა ადამიანურად ჯდომა არ შეეძლო, მუცლით ჯდომა უხდებოდა. ცემის დროს ქალები თან ეუბნებოდნენ: „შენ თვითონ ხარ ამნისტია (რაღაც სალანძღავი სიტყვა ეგონათ), ჩვენ კი პატიოსანი დედაკაცები ვართ!“ დაგამახსოვრებთ, რომ „ჩვენ ქუ?ის ამნისტიები კი არა ვართ, არამედ ქმრიანი ცოლები!“ (გვ. 324).

მეორე დღეს ოქმი შეადგინეს—ამიერიდან დედაკაცებს აღარ სცემონ და მათ აღმასკომს ათი დესიატინა მიწა დაუმუშაონ მზესუმზირას დასათესად. მართალია, ქალები დაბრუნდნენ სახლებში, მათ შორის ჩემი ცოლიც, მაგრამ დღემდე სიცოცხლე აღარა მაქვს—ბავშვები დამცინიან, „კოლჩაკი! კოლჩაკი!“ მეძახიან იმის გამო, დედაკაცებს რომ ვებრძოდიო. «Да разве ж мне не обидно?—ეუბნება მოსამართლეს ფედოტი,—Всю жизню хлебопашеством занимался, а теперь превзошел вдруг Колчака. У Стешки кобеля так кличут; значится, и я на собачьем положении? Не-е-ет, не согласен... Вот я спрашиваю—то к тому: ежели подать на баб в суд, то могете

вы им, гражданин судья, приклепать подходимую статью за собачье прозвище—Колчак—и подобное крапивное оскорбление?..“ (გვ. 325).

ფინალის ეს სიტყვები თავისთავად მოწმობენ ფედოტის არამარტო გონებრივ შეზღუდულობას, შინაგან ღრმა კომიკურ ხასიათსაც, პტიცინის სრულ ანალოგიას, რომელიც ჩვენ ხსენებული მოთხრობის გარჩევის დროს გავაანალიზეთ.

1927 წელს დაწერილ მოთხრობაში—„ერთი ენა“ შოლოხოვი ყოფაცხოვრებითი ფაბულის დამუშავებიდან, რასაც უკვე გავეცანით, პოლიტიკურ თემაზე გადადის, კერძოდ, ეხება პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის ფრონტებზე თუ როგორ ხდებოდა ეგრეთწოდებული „დაძმობილება“ ერთმანეთის წინააღმდეგ მებრძოლი არმიების ჯარისკაცთა შორის. მოთხრობა იმით იწყება, რომ ომი დამთავრებულია, რევოლუციის პირველი წლებია, სტანიცა ლუჟინში საბჭოების რაიონული ყრილობაა. სახალხო სახლი სავსეა დელეგატებით. პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანი მოხსენებას აკეთებს საერთაშორისო მდგომარეობაზე. კითხულობს ჩემბერლენის ნოტას, რომელსაც დამსწრენი უკმაყოფილო წამოძახილებით—„ნუ ღავღავებს!“ ხვდებიან (გვ. 326). ყრილობის თავმჯდომარე წესრიგისაკენ მოუწოდებს. მოხსენების შემდეგ ცხადდება შესვენება, რომლის დროსაც ერთმანეთს ხვდებიან ძველი ნაცნობები—მოთხრობის ავტორი და მაიდანიკოვი—ხუტორ პესჩანის თავმჯდომარე. კულუარებში ჩემბერლენის ნოტაზე აგრძელებენ საუბარს. ერთნი ამბობენ—ვიომებთო, მეორენი დაუფარავად გამოსთქვამენ შიშს—კუდს მოგვამტვრევენო, მესამენი ოპტიმისტურად არიან განწყობილნი: მართალია, ტექნიკა აქვთ, მაგრამ „ხალხის გარეშე ტექნიკა იგივეა, რაც ცხენი უკაზაკოთ!“ (გვ. 327). ნუთუ ხალხი არა ჰყავთ? როგორ არა, მაგრამ საქმე სხვა რამეშია. მაიდანიკოვი იგონებს თავის გაწვევას მეფის არმიაში 1915 წელს, იმ ტანჯვა-წამებას, რასაც ჯარისკაცები ფრონტზე განიცდიდნენ. მის ნაამბობში ძალიან დამაჯერებლად არის ნაჩვენები, თუ რა ერთნაირად აუტანელ პირობებში ჩავარდნენ ყველა ქვეყნის მუშები და გლეხები—ფრონტებზე გაწვეულნი. წყეულმა კითხვამ—რატომ იბრძვიან, რატომ ჰკლავენ ერთმანეთს, რატომ მიატოვეს მშიერ-მწყურვალი ოჯახები, რა აზრი აქვს ამ საშინელ ხოცვა-

ქლეტას? — ფარაჯაგადაცმულ თითოეულ ჯარისკაცში ანტისაომარი შეგნება გააღვიძა. დაიწყო ფრონტებზე სხვადასხვა ერთმანეთის წინააღმდეგ მებრძოლი არმიების ჯარისკაცთა დაძმობილება, რასაც ხელი ვერ შეუშალა ენის უცოდინარობამ. ერთი ქვეყნის მუშებმა და გლეხებმა ძმობა გამოუცხადეს მეორე ქვეყნის მუშებსა და გლეხებს, განაცხადეს, რომ ერთმანეთს აღარ ესვრიან, ლაპარაკიც დაიწყეს: „მოდით, ძმებო ომი დავამთავროთ! არაფრისმაქნისია ეს საქმე“ (გვ. 330). იმის შეგნებამდე მივიდნენ, რომ საჭიროა ხიშტები იმათ წინააღმდეგ მიმართონ, ვინც ისინი ომში ჩააბა. ეს შეგნებაა ის ერთი ენა, რომელიც უყვარს ქვეყნის მშრომელს, მუშასა და გლეხს, ერთ ძმურ კავშირში აერთიანებს. მშვენივრად ამთავრებს მაიდანიკოვი თავის მონათხრობს: «Тут люди одним языком загутарили, а ты вот брешешь: война, война. Война будет известная: как доберемся до солдатов ихних, мозоль об мазоль черканется, и загутарим...“ (გვ. 331). მთლად ასე არ გამოვიდა, მაგრამ იმ დროს ასე სწამდათ, ასე ეგონათ, ვერც გავამტყუნებთ!

ექსპოზიციის გარდა, მაიდანიკოვის ნათქვამი, მისი თავგადასავალი შეადგენს მთელ მოთხრობას — „ერთი ენა“, რომელშიაც ახალგაზრდა შოლოხოვმა ისეთი ოსტატობით აღწერა პირველ მსოფლიო ომში ჯარისკაცთა საშინელი ხვედრი, რომ დამჯერებლობის, რეალისტური წარმოსახვის უეჭველად დიდ სიმაღლეს მიაღწია. ასე წერა, სინამდვილის ასე კოლორიტული, ღრმა ფსიქოლოგიური ჩვენება მხოლოდ უზადო ტალანტს, მხოლოდ დიდ ხელოვანს შეეძლო.

ეს არაჩვეულებრივი ტალანტი მშვენივრად გაიშალა დონის მოთხრობათა ციკლის ბოლო ნაწარმოებშიც — „სხვისი სისხლი“, რომელიც ადამიანური მშობლიური გრძნობის ბელეტრისტულ სიმფონიას წარმოადგენს.

სტანიცა ფილიპოვკაში ცხოვრობს მოხუცი გავრილა. მას ერთადერთი ვაჟი ჰყავდა პეტრო, რომელსაც ცხენი უყიდა, მამაპაპეული იარაღი მისცა და ომში გაისტუმრა. თან დააბარა: მამაშენივით იბრძოლე, „დონის ჯარი და წუნარი დონი არ შეარცხვინო! შენი პაპები და პაპისპაპები მეფეს ემსახურებოდნენ, შენც უნდა ემსახუროო!..“ (გვ. 322) პეტროც წავიდა, წავიდა და დაიკარგა.

თურმე წითლებს ებრძოდა, ურიადნიკის პაგონებს ღებულობდა. ერთ თვეში წითლები მოვიდნენ, როგორც მტრები გავრილასათვის. პროტესტის ნიშნად, გავრილამ მეფის დროს მიღებული ყველა წარჩინების ნიშანი მკერდზე ჩამოიკიდა, ლამპასებიანი შარვალიც ჩაიცვა, აგრეთვე გვარდიული ნარინჯისფერი პუზემენტიანი კაზაკური ხიფთანი, რომელსაც ვახმისტრული პაგონების კვალი აჩნდა, კვირაობით ეკლესიაში დაიწყო სიარული, კურტკის არშიებს განზრახ იხსნიდა, რომ ყველას დაენახა მონარქისადმი ერთგული სამსახურისათვის რა ჯილდოებიც ჰქონდა მიღებული.

სტანიცაშიც სამოქალაქო ომი მძვინვარებს. ხან თეთრები მოდიან, ხან წითლები. ყველა პურსა და ცხენს მოითხოვს. გლეხები მძიმე მდგომარეობაში არიან. იფერფლება ათეული წლების ნაამაგარი. გავრილა კი თავის მოხუც ცოლთან ერთად, გულგატეხავად ელოდება პეტროს დაბრუნებას. მშობლები ახალ კურტკას, ქუდს, ჩექმებს უკერავენ შინმოუსვლელს, ისე, როგორც ცოცხალ ადამიანს, შვილის სიკვდილის არა თუ დაჯერება, გაგონებაც არ უნდათ. როცა თურქეთიდან პეტროს თანაპოლკელი პროხორ ლიბოვიდოვი ჩამოვიდა სტანიცაში და მოხუც მშობლებს აუწერა, თუ როგორ დაიღუპა მათი შვილი ნოვოროსიისკის ახლო წითლებთან ბრძოლაში, სენინის მეთაურობით, დედ-მამამ მაინც არ დაიჯერა, თუმცა მთელი ღამე შვილზე ტირილში გაატარეს.

სტანიცაში ხმა გავრცელდა—სურსათს აგროვებენ, დონის ქვემო წელიდან ბანდები მოდიანო. გავრილა ძალიან გაოცდა, როცა კვირას აღმასკომის თავმჯდომარე მოადგა შაშხანიანი სამი კაცით. საკეებისა და თესლის გარდა, ზედმეტი პური უნდა ჩაგვაბაროთო. ერთი მათ შორის იყო ცხრამეტი წლის ყმაწვილი, ქერათმიანი, რომლის მშვიდი ღიმილი და სიტყვები—წინააღმდეგობას ნუ გაგვიწევ, ამაოა, დღესვე მიიტანე პუნქტშიო,— რატომღაც გადამწყვეტი აღმოჩნდა მოხუცისათვის. თანხმობა განაცხადა, მაგრამ სწორედ ამ დროს გზიდან მოიჭრნენ ბანდები, წითლები დახოცეს, გაძარცვეს, გავრილასაც ცუდი დღე აყარეს და გაიქცნენ. სამი დახოცილი და გაძარცული კაცი (წითლებისა) ეყარა გავრილას ზვინის ახლოს თოელში. ერთი მათგანი ის ქერათმიანი ცხრამეტი წლის ყმაწვილი იყო, რომელიც დაუვაებით მოექცა. ახლა გაძარცული და მოკლული, მაგრამ ჯერ

კიდევ ოდნავ მფეთქავი გულით თოვლში ეგდო. გავრილამ და მისმა ცოლმა მოუარეს, დიდი ვაი-ვაგლახით მოასულიერეს, ცალხელა ყმაწვილი ძნელად მომჯობინდა, მხოლოდ თექვსმეტი დღის შემდეგ გაახილა თვალი და მისუსტებული ლაპარაკიც შეიძლო. სახელად ნიკოლაი ჰქვიებია, კომუნისტი, კომისარი ყოფილა, ობოლი, მამა გარდაცვლია შვიდი წლისას, დედას კი მიუტოვებია, ურალში თუჯის ჩამომსხმელ ქარხანას აღუზრდია, მუშაა.—პარტიული ხარ?—შეეკითხა გავრილა.—კომუნისტი,—უპასუხა ნიკოლაიმ, რომელსაც გავრილა და მისი ცოლი საკუთარი შვილის სახელს პეტროს ეძახიან... და ავტორი დასძენს: «...ответил Петро, ясно улыбаясь... И от улыбки этой бесхитростной уже не страшным показалось Гавриле чуждое слово» (გვ. 346).

ნიკოლაი — პეტრო შვილივით მიიღეს. გავრილა ყოველდღე გრძნობს, რომ ნამდვილი პეტროს ხსოვნა თანდათან სუსტდება, სამაგიეროდ ძლიერდება სიყვარული ახალი შვილისადმი. ეს უკანასკნელიც შვილზე ნაკლები სიყვარულით როდი ეკიდება გავრილას და მის ცოლს, დედ-მამას უწოდებს. ყანაშიც ერთად მუშაობენ. გავრილამ ნამდვილად უსაყვარლესი ადამიანი — შვილი იპოვა. მოხუცი ცოლ-ქმარი განსაკუთრებული მზრუნველობით ეკიდებიან, პირდაპირ თვალებში შესცქერიან პეტროს. მაგრამ... ამ ქვეყნად სად არის სრული ბედნიერება?!

ერთ დღეს წერილი მოდის ურალიდან გავრილას სახელზე, ნიკოლაი კოსიხისათვის გადასაცემად. გაურკვეველი შეშფოთება იგრძნო გავრილამ. ისიც გაიფიქრა — კონვერტი გაეხსნა და წაეკითხა რას სწერდნენ პეტროს. მაგრამ არა, შინ დაბრუნებულ პეტროს გაუხსნელი წერილი მისცა. თურმე ურალელი მეგობრები ატყობინებდნენ ნიკოლაის: ქარხანას, რომელიც 1917 წლიდან იდგა, მალე ავამუშავებთ, ჩამოდიო. ეს ხომ ნიკოლაის აღმზრდელი ქარხანა იყო!

აქ ისეთი სცენაა, ისეთი მგრძნობიარე განცდებია, რომ უმჯობესია მკითხველმა თვითონ წაიკითხოს თვით მოთხრობაში. ჩვენ რომ გადმოვსცეთ, ან მთლიანად უნდა ამოვწეროთ ეს ადგილი, ან კიდევ ძალიან გრძელი ლაპარაკი მოგვიწევს, მაგრამ ადექვატურ ეფექტს მაინც ვერ მივაღწევთ. ბოლოს, როცა პეტრო გადაწყვეტს

ურალში გაემგზავროს, შეწუხებული გავრილა სთხოვს: ჩემს მოხუცს ტყუილი უთხარი, დაპირდი, რომ დაბრუნდები, თორემ სევდასა და დარდს გადაჰყვება, შენ ერთი გვყავდი ჩვენო... შეუძლებელია ეს სიტყვები გულის სიღრმემდე არ ჩასწვდეს მკითხველს, განსაკუთრებით ის სიტყვები, რომლებსაც გავრილა ჩურჩულით ეუბნება პეტროს: «А может, в самом деле возвернешься? А? Неужели не пожалеешь нашу старость, а?...» (გვ. 349).

მაგრამ დაბრუნდება? ვინ იცის?! გავრილამ და მისმა ცოლმა უსაყვარლესი შვილივით გაისტუმრეს პეტრო ურალში, ცრემლებიც ბევრი დაღვარეს, გამოთხოვება მწარე იყო, თუმცა დაბრუნების რაღაც იმედის მსგავსი ნაპერწკალი ოდნავ კიაფობდა ორი მოხუცებულის მშობლიურ გულში.

ამით ჩვენ ვამთავრებთ დონის მოთხრობების ანალიზს, მაგრამ გვინდა შენიშვნები გავაკეთოთ სამ პატარა ნაწარმოებზე, რომლებიც წინ უსწრებენ უკვე განხილულთ და წარმოადგენენ მწერლის პირველ ნაბიჯს მხატვრულ ლიტერატურაში. არ მესმის, რატომ შეიტანეს ეს სამი ნაწარმოები მერვე ტომში, სადაც მოთავსებულია ნარკვევები, ფელეტონები, წერილები, გამოსვლები, როცა ისინი არცერთ ამ ჟანრს არ განეკუთვნებიან. ჯამიანი ნაწარმოები პროზაა, პატარა მოთხრობებს წარმოადგენს, პირველად შოლოხოვის სახელი მკითხველმა მათი საშუალებით გაიცნო და გაუგებარია რატომ არ მიიჩნიეს ისინი ღირსად პირველ ტომში მოეთავსებინათ. თუ ფიქრობენ ჰესტიაო, — ცდებიან; თუ ფიქრობენ ძალიან პატარებიაო,—ისევ ცდებიან; თუ ფიქრობენ—ამით ვერ დავიწყებთ შოლოხოვის თხზულებათა კრებულის გამოცემასო, — ისევ და ისევ ცდებიან. შოლოხოვმა ამით დაიწყო ლიტერატურული მოღვაწეობა და რა უფლება გვაქვს ამითვე არ დავიწყოთ მისი თხზულებების კრებული? სამივე ნაწარმოები „გამოცდა“ (1923 წელი), „სამი“ (1923 წელი), „რევიზორი“ (1924 წელი) რატომღაც მიკუთვნებულია ფელეტონის ჟანრისათვის, როცა არცერთი ფელეტონს არ წარმოადგენს. ფელეტონად მათი გამოცხადება დიდი გაუგებრობაა და მკითხველის დაბნეულობის მეტს არაფერს გამოიწვევს. თუ ფელეტონი არ არის, მაშინ რა ჟანრს მიეკუთვნება ეს სამი ნაწარმოები? თავსდება პროზის რომელიმე ფორმაში? დიახ, ეს ფორმა მინიატურული მოთხრობაა, რომელიც არც ნოვე-

ლაა, მით უფრო არც ფელეტონი. მინიატურული მოთხრობა დიდი ხანია ცნობილია პოეტიკაში, მას ავტორებად ჰყავს არა მარტო ახალგაზრდა, დამწყები მწერალი, სახელგანთქმული ბელეტრისტებიც, მსგავსად ო' გენრისა და ა. ჩეხოვისა. მინიატურული მას ეწოდება მარტოოდენ პატარა მოცულობის გამო, თუმცა შინაარსი ყოველთვის აჭარბებს გამოთქმის ფორმას.

შოლოხოვის ეს სამი მინიატურული მოთხრობა ჩვენთვის ძვირფასია, როგორც გენიოსი მწერლის პირველი თვალის გახელა. დაკვირვებამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ მსგავსად დონის მოთხრობებისა, აქაც ჩანასახ მდგომარეობაშია მომავალი დიდი მწერლის შემოქმედებითი სულის არაერთი დამახასიათებელი ნიშანი. სახეების მკვეთრად გამოკვეთა, დაძაბული სიტუაციების შექმნა, ცოცხალი დიალოგები, პერიპეტიები, სინამდვილის ბელეტრისტული აღქმა, ძალდაუტანებელი, ბუნებრივი მეტყველება, იუმორი და გონებამახვილობა — ყველაფერი ეს აქ წარმოდგენილია საწყის მდგომარეობაში და პირდაპირ ექსპოზიციად ემსახურება კრიტიკოსს, როცა ის ანალიზს უკეთებს შოლოხოვის დიდ შემოქმედებას თავიდან ბოლომდე. მისთვის ნათელი ხდება, რომ ოსტატობის გზა, „გამოცდიდან" უკანასკნელ რომანამდე, 'ბუნებრივი,, სწორად მთლიანი, აღმავალია; რომ ვინც შოლოხოვს ჯერ სულ ბოლოდროინდელი რომანით გაიცნობს, ხოლო შემდეგ ამ სამ მინიატურულ მოთხრობას წაიკითხავს, უმალ დარწმუნდება შემდეგ ჭეშმარიტებაში: „გამოცდა" არის ჯერ ნორჩი, ასაკით პატარა შოლოხოვი, უკანასკნელი რომანი კი დამთავრებული, დიდი შოლოხოვია. წაართვა მკითხველს ამის შესაძლებლობა, არ უჩვენო ყოველივე ეს თვალნათლივ — არამარტო შეცდომაა, ლიტერატურული დანაშაულიცაა.

ახლა გავეცნოთ სამივე ნაწარმოებს და ვნახოთ რა არის მათში ემბრიონალურად მოცემული დიდი შოლოხოვის გენიალური შემოქმედებიდან.

პირველი მოთხრობა — „გამოცდა" დაიბეჭდა გაზეთ „იუნოშესკაია პრავდას" 1923 წლის 19 სექტემბრის ნომერში. ამ დროს შოლოხოვი 18 წლის ჭაბუკი იყო. ნაწარმოები იწყება დიალოგით: კომკავშირის სამაზრო კომიტეტის მდივანი დავალებას აძლევს პარტიის ყოფილ წევრს ტიუტიკოვს: გაემგზავრე კომკავშირის სათე-

მო უჯრედის მდივან პოკუსაევთან ერთად სადგურამდე; მე კარგად არ ვიცნობ მას, „გაიგე მისი აზრები კომკავშირზე, მისი კომუნისტური რწმენა“ (ტ. 8, გვ. 229). სადგურიდან მაცნობე — მომწერე მშვიდობიანად ჩახვალ თუ არაო.

ტიუტიკოვმა, რომელიც ტიპიურ „ნეპმანს“ ჰგავდა გარეგნულად (მსუქანი კეფა, კარგი პალტო, სათვალეები), კმაყოფილებით მიიღო ეს დავალება, თან დაჰძინა: „თავისებურად პატარა პოლიტიკური გამოცდაა!“.

პოკუსაევი გამოფენაზე იყო გაგზავნილი და როცა ფორანში ჩასხდნენ, ტიუტიკოვი შეუდგა დავალების შესრულებას. მან აუგად მოიხსენია გამოფენა, კომკავშირლებს ხულიგნები, საძაგლები, უღმერთოები უწოდა, მათ ინიციატივას — აეშენებინათ საჰაერო ფლოტი — დასცინა, მაგრამ ვერ მოასწრო სიტყვა გაეგრძელებინა, მოხდა შემდეგი: რაკი აღშფოთების რეპლიკებმა არ გასჭრა, პოკუსაევი მისწვდა ტიუტიკოვს, მაგრად სცემა, პალტოიანად ტალახში აგორავა. ტიუტიკოვს ვერ უშველა კვნესით ნათქვამმა სიტყვებმაც — მდივანმა მთხოვა, ხუმრობა არისო. ვიდრე გული არ იჯერა, პოკუსაევი არ მოეშვა. მოთხრობა ასე თავდება:

«Парень, несомненно, благонадежный.—писал на станции Тютиков,—но...—он окинул взглядом грязное пальто, потрогал ушибленное колено и что-то беззвучно шепнул вспухщими губами,—но...“

Тютиков с тоской посмотрел на выбитое стеклишко пенсне, почесал карандашом синюю переносицу и, безнадежно махнув рукой, закончил:

«... несмотря на все это, я доехал благополучно» (ტ. 8, გვ. 231).

დამეთანხმებით, რომ უალრესად გონებამახვილური ფინალია. განა აქ პატარა შოლოხოვის თვალიდან დიდი შოლოხოვის თვალი შორეულად არ გვიცქერის?! ჩემთვის ეს სრულიად უეჭველია.

მეორე ნაწარმოები — „სამი“ იმავე გაზეთში დაიბეჭდა ერთი თვის შემდეგ — 30 ოქტომბერს. ახალგაზრდა ავტორმა იგი მიუძღვნა პოკროვსკის სახელობის მუშათა ფაკულტეტს. ეს მხატვრული მოთხრობა, თავისი ფაბულის ორიგინალობის გამო,

შეიძლებოდა, უკიდურეს შემთხვევაში, ფელეტონის ჟანრისათვის მიგვეკუთვნებია, მაგრამ, არსებითად, მაინც უფრო მოთხრობაა, ვიდრე ფელეტონი.

ნაწარმოები არაჩვეულებრივად იწყება — ფოლაქების დახასიათებით: „ადრე ისინი ორი იყო. ერთი — დიდი, ძვლისა, არისტოკრატიულ-მობუზღუნე სახით და ძლივს შესამჩნევი ოდეკალონის სუნით. მეორე — პატარა, ხისა, წითელი მაუდით შემოკერილი.

უკანასკნელი — ლითონისა, ცისფერი — მხოლოდ ამ დღეებში იქნა მოტანილი". მეეზოვეს უნახავს დილით, სახლში მოუტანია, რაფაზე შეუგდია და ცოლისთვის უთქვამს: „ქვეშსაცმელებს მიაკერე, ანა, თორემ ჩემი დაიკარგაო" (ტ. 8, გვ. 232).

ეს სამი ფოლაქი იწყებს საუბარს, თუ ვის ეკუთვნოდნენ, ვინ იყვნენ მათი პატრონები, თითოეულის დახასიათება ალეგორიად გვევლინება, ღიმილის მომგვრელიცაა და გონებამახვილურიც.

პირველი თურმე ეკუთვნოდა წინათ ფაბრიკის მფლობელს, შემდეგ რომელიღაც ტრესტის მუშაკს, დიდფულიან კაცს, რომელსაც არტისტი ქალი ჰყავდა სატრფოდ, დიდ ფულს ახარჯავდა, სულ ენებინოდა არ დაეჭირათ. ფოლაქი ამაყობს, რომ ამ ვაჟბატონის უმშვენიერეს პალტოზე ზევიდან მესამე ადგილი ეკავა, მაგრამ ორი ოვის წინათ, უსიამოვნების დროს, იმ ქალმა ხელი ჩამავლო, მომწყვიტა, თავის სატრფოს მიაფურთხა, მე კი ქვაფენილზე გადამისროლა. დიდი წვალების შემდეგ აქ მოვხვდი, თავის მოკვლას სერიოზულად ვფიქრობ, რადგან ვერ ავიტან „ამყრალებულ გლეხურ ნიფხავს" ვამშვენებდეო.

მეორე ოდესღაც წითელი მეთაურის „ბუდიონოვკაზე" იყო მიკერებული. რა არ უნახავს: ბრძოლები ვრანგელის, მახნოს წინააღმდეგ, ბევრჯერ გაუგონია ტყვიების ზუზუნი, პერეკოპზე კაზაკის ხმალმა კინალამ ორად არ გასჭრა. ყოველივე ეს გაჰქრა, როგორც სახელოვანი სიზმარი. ჩამოვარდა სიწყნარე. წითელმა მეთაურმა დაიწყო მათემატიკისა და სხვა ბრძნული საგნების შესწავლა. მაგრამ გაიცნო ქალიშვილი — მბეჭდავი მემანქანე და ყველაფერი დაიფერფლა.

მესამე ეკუთვნოდა მუშათა ფაკულტეტის მოსწავლე კომკავშირელის შარვალს. ის შეუპოვრად სწავლობდა, მეცადინეობებს შორის

ვაგზალზე ტომრებს ეზიდებოდა, „ახალგაზრდა გვარდიას“ მღეროდა. პირადად იკლებდა, დანაზოგით ახალ შარვალთან ერთად მე მიყიდაო,—გატაცებით ჰყვება ლითონის ფოლაქი. ვერვ იტყვი მარტო მას ვემსახურებოდი, მისი მსგავსი ხუთი სახელოვანი გლეხი ბიჭიც მიმსახურებდაო. „შარვალს ისინი იცვამდნენ რიგ-რიგობით, და მათგან, ახალგაზრდებისა და ძლიერებისაგან, სუნი სდიოდა არა ოდეკალონისა, არამედ ახალგაზრდობისა და ჯანმრთელობისა. ჩემი პატრონი ბევრს კითხულობდა, რაიკომში სიტყვებსაც ამბობდა. «Когда не находил подходящего выражения, любил поддергивать штаны. Хотя часто их приходилось поддергивать и оттого, что у него ничего не было в желудке. И, поверьте, я чувствовала себя хорошо и уютно» (ტ. 8, გვ. 233-234). მაგრამ ერთხელ ბიჭებს უნდა ეყიდათ „ისტორიული მატერიალიზმი“, გამოეწერათ „იუნოშესკაია პრავდა“, ფული კი არ ჰქონდათ. ორ საათს სდუმდნენ და ფიქრობდნენო. დაისვა კითხვა: მუშათა ფაკულტეტი დაამთავრონ, თუ ახალი შარვლით იარონ? გადაწყდა ახალი შარვალი გაეყიდათ. შეიქნა ერთი ალიაქოთი. «В суматохе меня и оборвали...—აგრძელებს თხრობას მესამე ფოლაქი.—Через полчаса, лежа на полу, ребята вслух читали «Исторический материализм», а я под койкой думала: «Если из этого выхрастого парня со временем выйдет стойкий боец—коммунист, то этому отчасти причиной буду и я...»

—Да, конечно...—конфузливо залепетала костяная.

Но металлическая пренебрежительно сплюнула на пол и повернулась к соседкам спиною» (ტ. 8, გვ. 234).

დააკვირდით, რამდენი რამ არის ნათქვამი მოთხრობის ამ ფინალით. მართლაც შოლოხოვისებური ფინალია. განა აქაც, პატარა შოლოხოვში, ვერ შეიცანით მომავალი დიდი შოლოხოვი?! ჩემთვის ეს სრულიად უეჭველია.

მესამე ნაწარმოები — „რევიზორი“, რომელსაც ავტორი ნამდვილად მომხდარ ამბავს უწოდებს, თავიდან ბოლომდე მოთხრობაა და მასში ფელეტონური აბსოლუტურად არაფერია. იგი გამოქვეყნდა გაზეთ „მოლოდოი ლენინეცის“ 1924 წლის 12 აპრილის ნომერში.

ოთხი მცირე თავია ამ პატარა, ორგვერდიან მოთხრობაში.

ნაგრამ შინაარსი ისეთი აქვს, შეიძლებოდა ავტორს მოცულობითაც ჩვეულებრივი ნორმალური მოთხრობა დაეწერა. როგორია ეს შინაარსი?

ცარიცინის გუბერნიის ბუკანოვის საკრედიტო ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარეს აცნობეს მოლარე-რევიზორი ჩამოვიდაო. თან დასძინეს: შავი პალტო აცვია, ბოროტია, როგორც სატანა, მე თვითონ ვნახეო. თავმჯდომარეს მსუქანი ბარძაყები აუკანკალდა, იგი აღელდა. ეს „რევიზორი“ იყო კომკავშირელი კოსობუგროვი, ანეკდოტურად დაბნეული ახალგაზრდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, როგორც ავტორი გვეუბნება, წარჩინებულ მუშაკად ითვლებოდა. ამიტომ გამოაგზავნეს ბუკანოვში ღარიბთა შორის სამუშაოდ. მისი დაბნეულობის ასეთი მაგალითებია მოტანილი: ანტირელიგიური დისპუტის დროს, კოსობუგროვმა «вместо платка высморкался в рясу попа, сидевшего рядом. Плевал и бросал окурки в калоши, а пепельницу пытался надеть на ногу» (ტ. 8. გვ. 235). ბუკანოვში მას ყველაფერი უცნაურად ეჩვენა: შეეცარმა პალტო რომ ჩამოართვა, ავეჯმაც გააკვირვა. კომკავშირელები მოხუცებულებად მოეჩვენა. მოითხოვა—„თქვენობის“ მაგიერ „შენობით“ მელაპარაკეთო. ყველას ხითხითი აუტყდა. როცა თავმჯდომარემ მორცხვად უთხრა, მაგიდასთან ჯდომის დროს, მეოთხე კერძის მირთმევის შემდეგ, ცოტა დანაკლისი გვაქვსო, კოსობუგროვმა იკითხა—ლიტერატურაშიო? ქამარი მოუშვა და ხმამაღლა დაიწყო ლაპარაკი, თუ როგორ უნდა მოაწყონ ღარიბთა შორის მუშაობა, როგორ გამოიყენონ კომკავშირი. ყველას ეცინებოდა მის საუბარზე, ბოლოს, როცა თავი და ბოლო ვერ გაიგეს, ჰკითხეს—თქვენ ვინ ბრძანდებითო. კოსობუგროვმა განაცხადა: მანდატის წარმოდგენა დამავიწყდა, მე ჩამოსული ვარ კომკავშირის საგუბერნიო კომიტეტიდან ღარიბთა შორის მუშაობის ორგანიზაციის თაობაზეო. ამის შემდეგ «Кто-то ахнул, с кем-то сделалась истерика, зазвенела разбитая посуда, у рыхлого председателя вывалился посиневший язык.

А Кособугров, стараясь перекричать шум, стоя на стуле, зычно читал свой мандат и обводил всех круглими глазами» (ტ. 8, გვ. 236-237). რევიზორი ეგონათ და ღარიბთა შორის მომუშავე აღმოჩნდა. გოგოლისებური სიტუაცია შეიქმნა!

რით დამთავრდა კოსობუგროვის დაბნეულობა?

ფინალი გვაძლევს პასუხს: «На базаре Кособугрова встретил милиционер, и, ничего не объясняя, свел его в милицию.

У начальника с него стащили чье-то чужое лохматое пальто, а уполномоченный РКИ, сердито брызгая слюнями, утверждал, что именно он, Кособугров, на постоялом дворе (სადაც ჩამოსვლის დღიდან ის ღამეებს ათევდა—გ. ქ.) спер у него пальто; и, захлебываясь негодованием, громил безнравственность нынешней молодежи» (ტ. 8. გვ. 237).

რამდენი ირონიაა, რამდენი სიმართლე, და ყველაფერი როგორი ფორმით არის ნათქვამი. განა აქ, პატარა შოლოხოვის ნიჭში დიდი შოლოხოვის მხატვრული გენია შორიდან არ გვიცქერის?! ჩემთვის ეს სრულიად უეჭველია.

სამივე მინიატურული მოთხრობა, ვიმეორებთ, და არა ფელეტონი, იმდენად ამჟღავნებს ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა ავტორის ტალანტს, რომ შეუძლებელია ლიტერატურის სპეციფიკაში ოდნავ დაკვირვებული ადამიანი არ დაგვეთანხმოს, როცა მოვითხოვთ შოლოხოვის თხზულებათა კრებულის ამ ნაწარმოებებით დაწყებას. ამ საკითხზე მეტის თქმა სრულიად ზედმეტი იქნებოდა, თუმცა ლაპარაკი დაუსრულებლად შეიძლება.

ჩვენ განზრახ შევაჩერეთ მკითხველის ყურადღება ახალგაზრდა მიხეილ შოლოხოვის პირველ მოთხრობებზე. მიზნად არამარტო ის გვქონდა დასახული — გვეჩვენებინა, თუ რა შეუდარებელი ტალანტი გამოამჟღავნა 18—21 წლის შოლოხოვმა, როგორც პროზაიკოსმა. ეს, ცხადია, მთავარი იყო, მაგრამ ამითვე ვემზადებოდით მომდევნო კლასიკური რომანების — „წყნარი დონისა“ და „გატეხილი ყამირის“ კრიტიკული ანალიზისათვის. როცა დონის მოთხრობებს გაეცნობა, მკითხველი უმალ დარწმუნდება, რომ ვინც ეს ნაწარმოებები ჰაბუკობის ასაკში შექმნა, მხოლოდ მას და მხოლოდ მას შეეძლო ორიენ ეპოპეა დაეწერა უფრო მოწიფულობის დროს, ვინაიდან ის, რაც დონის მოთხრობებშია ცალკე ტილოების სახით გაფანტული, ერთ მთელად შეკრებილი ჩანს „წყნარ დონსა“ და „გატეხილ ყამირში“, ოღონდ განსხვავებულად: პირველთან ჯანსაღი კვირტებია, მეორესთან მშვენიერი მწიფე

ნაყოფი. ყველა ძირითადი თემა, ყველა ძირითადი პრობლემა ორივე ეპოსისა, ჩანასახის ფორმით უკვე მოცემულია დონის მოთხრობებში. სამოქალაქო ომი და კოლექტივიზაციის პირველი ნაბიჯები — ძირითადი თემები „წყნარი დონისა“ და „გატეხილი ყამირისა“, როგორც მკითხველს ვუჩვენეთ, ძირითადი თემებია აგრეთვე დონის მოთხრობებისა. მხატვრული ფორმის მხრივაც საოცარი ერთიანობა გვაქვს: ცხოვრების სრული გაშიშვლება, რეალიზმის ტრიუმფი ნატურალიზმის აბსოლუტური უარყოფით, პეიზაჟების ოსტატური ჩართვა სიუჟეტის განვითარებაში, მისი ზოგჯერ ექსპოზიციად, ზოგჯერ კი ფინალად გამოყენება, ეთნოგრაფიული მასალის ზომიერი სიუხვე, დიალექტების ორგანული კავშირი ლიტერატურულ მეტყველებასთან, სახეების, ტიპების არაჩვეულებრივი მკაფიობით გამოკვეთა, დაძაბული, დრამატიზებული სიუჟეტები, ხშირად ტრაგედიაში გადასული, ყველგან ბუნებრიობა, ნათელი იდეა, ლოგიკურის პერიპეტიული გაშლა მხატვრულ სახეებად, — ყველაფერი ეს, და კიდევ ბევრი რამ ერთნაირად გვხვდება, თუმცა განსხვავებული ძალით, დონის მოთხრობებსა, „წყნარ დონსა“ და „გატეხილ ყამირში“. აქ განსხვავება მხოლოდ ისეთია, როგორიც გვაქვს ახალგაზრდა შექსპირის პოემებსა და მოწიფული ასაკის იმავე შექსპირის ტრაგედიებს შორის.

დონის მოთხრობებში ახალგაზრდა შოლოხოვი ჰგავს ვიწრო კალაპოტიან შეშუპებულ ხოპერს, „წყნარ დონსა“ და „გატეხილ ყამირში“ კი ტრამალებზე ფართოდ გაშლილ დონს. ვისაც ორივე ეს მდინარე უნახავს, დაგვეთანხმება, რომ შედარება გამართლებულია, რამდენადაც ნაპირზე მყოფი ადამიანისათვის ძნელია გაარჩიოს თუ წინასწარ არ იცის, მის წინაშე რომელია, იმდენად ერთნაირი ჩანს მისთვის ხოპერიცა და დონიც. კითხულობთ დონის მოთხრობებს და გრძნობთ „წყნარ დონსა“ და „გატეხილ ყამირს“, კითხულობთ ამ უკანასკნელებს და თქვენს თვალწინ გაიელვებენ ხოლმე დონის მოთხრობები. ახალგაზრდობისა და მოწიფულობის დროს ტალანტის ასეთი ერთიანობა მარტოოდენ გენიოსთა ხვედრია, შოლოხოვიც ამ კატეგორიას თავიდანვე მიეკუთვნა, როგორც სიტყვის განუმეორებელი ოსტატი, პროზის ჯადოქარი.

თითქოს დაუჯერებელია, რომ დონის ეს მოთხრობები ორ

წელიწადში დაწერა ოცი-ოცდაერთი წლის ყმაწვილმა — მიხეილ შოლოხოვმა. მაგრამ ისიც დასაჯერებელია, რომ ამგვარი ნაწარმოებები შეეძლო დაეწერა არამარტო ტალანტს, რომელსაც ბედმა გაუღიმა, არამარტო ხელოვანს, რომელსაც ოსტატობა ჰქონდა, არამედ, მხოლოდ იმ ადამიანს, ვისაც უზადო ნიჭთან ერთად მეორე დიდი ღირსებაც გააჩნდა — ხალხურობის გრძნობა. შოლოხოვი სულ ხალხთან იყო, ხალხთან ცხოვრობდა, ტრიალებდა იმ წრეში, რომელსაც მხატვრულად ანსახიერებდა, რომელსაც დედის რძესავით შეეზარდა, რომლის ჭირ-ვარამი ბავშვობიდანვე გაიზიარა, რომლისთვისაც სამოქალაქო ომის ფრონტზე იბრძოდა, ერთი სიტყვით, რასაც წერდა, ბევრი რამ თვითონვე ჰქონდა განცდილი და გადატანილი. ამ სოციალურ გარემოს, ხალხს, ეშრომელი ადამიანების მწარე ხვედრს შოლოხოვი არასოდეს გაქცევია — არც თაყვანდებულ შრომაში და არც სიმართლისათვის შეუპოვარ ბრძოლაში. დონის ყოველ მოთხრობაში ახალგაზრდა შოლოხოვი ჩანს მისთვის დამახასიათებელი მხატვრული თვალით, ვხედავთ იმ შოლოხოვს, რომელიც შემდეგ მოგვცემს გენიალურ „წყნარ დონსა“ და „გატეხილ ყამირს“. მაგრამ ის. ვინც დონის მოთხრობები დაწერა, თავისი ასაკის მიუხედავად, უეჭველად გენიოსი იყო, და რა გასაკვირია, თუ მსოფლიო ლიტერატურულმა კრიტიკამ არ დააყოვნა ეს რანგი უდიდესი შემოქმედისა მისთვის უყოყმანოდ მიენიჭებინა.

შეუძლებელია ისიც არ აღვნიშნოთ, რომ შოლოხოვის დონის მოთხრობებს დიდი ინტერესით კითხულობდნენ, კითხულობენ და მომავალშიც წაიკითხავენ არამარტო როგორც მხატვრული ოსტატობის ეხრივ ჭეშმარიტად ლიტერატურულ შედევრებს. ცხოვრების სავსებით რეალისტური გამოსახვა, სინამდვილის საოცარი გაშიშვლება თითოეულ მათგანში ყოველთვის მიიზიდავს მკითხველთა უთვალავ მილიონებს. იმ ცხოვრება, რაც ამ მოთხრობებშია, დონზე დიდი ხანია უკვე აღარ არის, ისტორიის საკუთრებად იქცა, მაგრამ შოლოხოვის ლიტერატურულ ძეგლებში ის დარჩა მთელი თავისი პანორამული სისავსით. და თუ ადამიანისათვის ისტორიას, წარსულის სურათებს რაიმე ღირებულება აქვთ, დონის მოთხრობები ამ მხრივაც, ე. ი. წმინდა ისტორიული თვალსაზრისითაც უკვდავი დარჩებიან მხატვრული ლიტერატურის საგანძურში.

არავის, არც ერთ მწერალს ეს ცხოვრება ისე ფართოდ, ვრცელი პანორამის სახით, პირდაპირ ენციკლოპედიურად არ უჩვენებია, როგორც შოლოხოვის საოცრად ძლიერ ტალანტს. დონის მოთხრობებიც უეჭველად უნდა მივიჩნიოთ მეოცე საუკუნის ოციანი წლების კაზაკობის ცხოვრების მხატვრულ ენციკლოპედიად.

მაგრამ ეს ენციკლოპედია სრულად გადაიშალა უმაღლესი რანგის ეპიკურ მხატვრულ შედევრში — „წყნარი დონი", რომელიც სავსებით კანონიერად იმსახურებს ეპითეტს — ახალი დროის ილიადა! თუმცა, ნუ დავივიწყებთ ისტორიას: „წყნარი დონი" პირველად შეადარა „ილიადას" ევროპის მარქსისტულმა ლიტერატურულმა კრიტიკამ ჯერ კიდევ 1930 წელს. ამის შესახებ ჩვენ ცალკე ვიტყვით მონოგრაფიის VIII და IX თავებში. არის რაღაც სიმპტომატური, რომ დასავლეთ ევროპის ლიტერატურულმა კრიტიკამ მე-19 საუკუნეში პირველმა უწოდა ლევ ტოლსტოის „პროზის შექსპირი", ხოლო მიხეილ შოლოხოვს მე-20 საუკუნეში — ჩვენი დროის ჰომეროსი — „წითელი ილიადას" ავტორი!

III

ახალი დროის „ილიადა"

„წყნარი დონი"

I

კრიტიკოსს, ვინც ხელი შემართა „წყნარი დონის" განხილვას, არა მგონია, ამ ნაწარმოებისადმი უდიდეს პატივისცემასთან ერთად, მოკრძალება და ერთგვარი პროფესიული შიში არ ეგრძნო. თუ ვინმე იყო თავისუფალი ყოველივე ამისაგან, ჩვენ მათ კატეგორიას არ ვეკუთვნით. როცა ხელს ვკიდებთ ურთულეს ამოცანას — „წყნარი დონის" კრიტიკულ ანალიზს, პატივისცემისა და მოკრძალების გრძნობასთან ერთად, პროფესიული შიშიც გვიპყრობს — შევიძლებთ კი აღმოვჩნდეთ მოწოდების სიმაღლეზე? შე-

ვიძლებთ კი რომანი ისე დავახასიათოთ, როგორც მას შეჰფერის? შევიძლებთ კი უკმაყოფილო არ დაგვრჩეს მკითხველი, რომელიც ჩვენგან რაღაც განსაკუთრებულს მოელოდა, მაგრამ იმედი გაუცრუვდა?

„წყნარი დონი“ გენიალური ნაწარმოებია, რომანისტიკაში მხატვრული სიტყვის მწვერვალია და ასეთი შედევრის ოდნავ მაინც დამაკმაყოფილებელი ანალიზი კრიტიკოსისაგან ძალიან დიდ შრომას მოითხოვს პასუხისმგებლობის დიდ გრძნობასთან ერთად. ნუ იფიქრებთ ყოველივე ამას თავმდაბლობით ან ლამაზი სიტყვებისათვის ვამბობდეთ. ეს ნამდვილად ასეა, ხოლო ვისაც სხვაგვარად მოეჩვენება, მხოლოდ იმის მომასწავებელი იქნება, რომ „წყნარ დონზე“ სწორი წარმოდგენა არა აქვს.

ჩვენი ეს მოკრძალებული აღიარება შეუძლებელია ამით დაეამთავროთ. არის კიდევ ერთი მომენტი, რომლის გათვალისწინება აუცილებელია. მხედველობაში გვაქვს კრიტიკოსის მიდგომა ნაწარმოების შინაარსისადმი. თუ შინაარსს არ შეეხო, კრიტიკოსი ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეიძლებს განსახილველი თხზულების სრულ ანალიზს. ეს მით უფრო ეხება ისეთ ვრცელ ტილოს, როგორიც შოლოხოვის რომანი „წყნარი დონია“, რომლის ფორმა და შინაარსი არამარტო ჰარმონიულ ერთიანობას, ადექვატურ ურთიერთობასაც განასახიერებს. შოლოხოვის რომანებსა და მოთხრობებს იდეალურად უდგება თეორიული პოეტიკის დებულება, რომ ფორმა არის მხატვრული ნაწარმოების იდეური სამყაროს ხილული სახე. ამ ფორმულას ბევრთან არ უპოვია ისეთი ხორცშესხმა, როგორსაც მიხეილ შოლოხოვის ბელეტრისტულ შემოქმედებაში მიაღწია.

წინასწარ გვინდა მკითხველი გავაფრთხილოთ, რომ ჩვენ ვერ შევიძლებდით გვეკისრა ტეტრალოგია „წყნარი დონის“ ფორმალურ-მხატვრულ ანალიზთან ერთად დაწვრილებითი შინაარსის გადმოცემა. ეს რომ ვინმემ გააკეთოს, დამატებით ერთი დიდი ტომის დაწერა მაინც იქნება საჭირო. ოთხი წიგნისაგან შემდგარი ვრცელი რომანი იმდენი მასალის შემცველია, იმდენი დეტალისა და ნიუანსისა, რომ კრიტიკოსი ვერ აუქცევს გვერდს ვერც ერთ მათგანს, რაც თავისთავად გამოიწვევს შინაარსის გადმოცემის დროს გადაუ-

ლახავ სიძნელეებს. ამიტომ იძულებული ვართ „წყნარი დონი“ მხოლოდ ზოგადად, ძირითად ხაზებში დავახასიათოთ, ანალიზის დროს განსაკუთრებული ყურადღება შევაჩეროთ რომანის მთავარ შინაარსზე, მხატვრული ოსტატობის პრობლემებზე, რაც საკმარისი იქნება მკითხველს მივცეთ სწორი, ამავე დროს საფუძვლიანი წარმოდგენა დონის ამ ტოლუპოვარ ილიადაზე. მაგრამ ვისაც სურს მიიღოს სრული ესთეტიკური სიამოვნება, გაეცნოს შოლოხოვის ამ გენიალური შედევრის იდეურ სამყაროს, მისი როგორც მხატვრული ნაწარმოების მთელ ბრწყინვალებას, ვურჩევდით ჯერ თვით რომანი წაეკითხა, ხოლო შემდეგ კრიტიკული განხილვა. რომანი მას გაცილებით მეტს ეტყოდა, ვიდრე, რომელიც გნებავთ, კრიტიკული გამოკვლევა, ეს უკანასკნელი კი იმ მხრივ დაეხმარებოდა, რომ პროფესიულად ის შეეტყო, რაც ჩვეულებრივი თვალით არ შეეძლო დაენახა. კრიტიკისა და კრიტიკოსის ამოცანაც ხომ ეს არის — მკითხველს ის უთხრას, რასაც ის ჩვეულებრივად ვერ შენიშნავდა. დაწვრილებით შინაარსს, ცხადია, ყველა, ოდნავ კულტურული მკითხველი, სხვის დაუხმარებლადაც კარგად გაიგებს. ვიმეორებთ, რომანი „წყნარი დონი“ ტეტრალოგიაა, ოკეანისებური სიღრმე აქვს, იმდენად ვრცელი ეპიკური ტილოა, რომ მისი თუნდაც მოყოლილი სრული შინაარსი მოზრდილ ტომშიაც ვერ ჩაეტევა. ამიტომ, როგორც ვთქვით, უნდა დავკმაყოფილდეთ ზარტოოდენ ზოგადი დახასიათებით, ცალკეული ადგილების იდეურ-მხატვრული ანალიზით, სანიმუშო ილუსტრაციებით, ერთი სიტყვით, საჭიროა ყოველმხრივ ვეცადოთ მკითხველს მაქსიმალური წარმოდგენა შევუქმნათ ჩვენი დროის ამ უდიდეს მხატვრულ ტილოზე, რომელსაც დღემდე ბადალი არ გააჩნია მთელ საბჭოთა ლიტერატურაში. და არ არის, რომელიც გნებავთ, მეორე საბჭოთა რომანი, მსოფლიოში უფრო პოპულარული შინაარსით უფრო ცნობილი, ვიდრე შოლოხოვის „წყნარი დონია“. ამიტომ მისი განხილვა იმავე მეთოდით, როგორც „დონის მოთხრობებს“ მივუდეგით, ყოველად შეუძლებელია. შესაძლოა ამ მეთოდით გავაანალიზოთ რომანები „გატეხილი ყამირი“, „ისინი სამშობლოსათვის იბრძოდნენ“, მაგრამ „წყნარ დონს“, უკვე აღნიშნული მიზეზების გამო ვერავითარ შემთხვევაში ასე ვერ განვიხილავთ. ყოველივე ამის შემდეგ მკითხველმა უნდა გვაპატიოს, თუ მონოგრაფიის ამ

თავში „წყნარი დონის“ შესახებ ბევრი რამ ვერ იქნება ნათქვამი, ბევრი რამ მოუხსენიებელიც დარჩება. ჩვენი მონოგრაფია, თავისი მოცულობით, მარტო „წყნარ დონს“ რომ ეძღვნებოდეს, მაშინაც მდგომარეობა ბევრად სახარბიელო არ იქნებოდა. ასეთი დიდი მხატვრული ტილოს ყოველმხრივი კრიტიკული ანალიზი, სულ ცოტა, ორ ტომს მაინც საჭიროებს — ერთს მოკლე შინაარსის, მეორეს — თვით კრიტიკოსის მსჯელობისა და დასკვნებისათვის, არა ცალ-ცალკე, ერთად და მთლიანობაში.

კრიტიკულ ლიტერატურაში დიდი ხანია ცნობილია, რომ მიხეილ შოლოხოვის მთელი შემოქმედება, „წყნარი დონით“ დაწყებული და სულ ბოლო რომანით დამთავრებული, ეპიკურ ჟანრს განეკუთვნება. მაგრამ ეს არ არის ეპოსი ძველი გაგებით. ძველ ეპოსს რეალური და ფანტასტიკური (თავდაპირველად მითოლოგიური) ერთ ფოკუსში ჰქონდა მოქცეული, ხოლო შოლოხოვი ჰარტოოდენ რეალურს გამოხატავს, მდიდარი ფანტაზიით, ამასთან ფანტასტიკურის უკუგდებით. ძველი ეპოსი ჰომეროსის შემდეგ ანტიკურ რომანად იქცა, ანტიკურმა რომანმა სათავე დაუდო შუასაუკუნეების, რენესანსის ეპოქისა და ახალი საუკუნეების რომანებს; ძველი ეპოსი მითოლოგიურ ან ნახევრად მითოლოგიურ ოლიმპიურ მწვერვალზე დარჩა, ხოლო შოლოხოვმა ეპოსი როგორც ჟანრი, ამ მწვერვალიდან ძირს ჩამოიყვანა, რათა ბელეტრისტიკის რეალურ ოლიმპიურ მწვერვალზე აეყვანა. ეს უკვე გენიოსური აქტი იყო.

შოლოხოვის ეპოსი, როგორც ვთქვით, თავიდან ბოლომდე რეალისტურია, მაგრამ მისი რეალობა, როგორი სასტიკიც არ უნდა იყოს, ყოველთვის ამაღლებულია დიდ ხელოვნებამდე, თუმცა ასევე ყოველთვის დარჩენილია ჭეშმარიტ სინამდვილედ.

ჩვენი დროის დიდმა სოციალურმა ძვრებმა, გრანდიოზულმა მოვლენებმა როგორც პოლიტიკის, ისე ეკონომიკის, ხალხების სულიერი ცხოვრების ყველა დარგში განაპირობეს ძველი ეპოსის ახალი სახე — ეპოპეა-რომანი, რასაც მოწმობენ გორკის, სერაფიმოვიჩის, შოლოხოვის, ფადეევის, ფურმანოვის, ალექსეი ტოლსტოის რომანები. სხვაგვარად ვერ განვიხილავთ „კლიმ სამგინის ცხოვრებას“, „რკინის ნიაღვარს“, „წყნარ დონს“, „გატეხილ ყამირს“, „ისინი საშობლოსათვის იბრძოდნენ“, „ტანჯვის

გზებს", „განადგურებას", „უკანასკნელ უდეგელს", „ახალგაზრდა გვარდიას", „ჩაპაევს". შოლოხოვის ეპოსი უდიდესი მოვლენაა მთელ საბჭოთა მწერლობაში და მისი მნიშვნელობა ნამდვილად განუზომელია თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურისათვის.

სად უნდა ვეძიოთ შთაბეჭდილების ძალის მხრივ ის „საიდუმლოება", რაც ასე გვხიბლავს „წყნარი დონის" ოსტატობაში?

ეს „საიდუმლოება" უშუალოდ მომდინარეობს შოლოხოვის მძლავრი ტალანტისაგან, რომელიც არავის წინაშე უკან არ იხევს, ყველაფერს წვდება, ყველაფერს ხედავს და ყველაფერი ტილოზე გადააქვს რეალური ქვეყნის ულმობელი სიმკაცრით, მაგრამ დიდი ხელოვნების ჯადოქრული ენით ამეტყველებული. მისთვის თითქოს არ არსებობს გამოხატვის სირთულე, რადგან ყველაფერს „ადვილად" იმორჩილებს. ეს არის უშუალო დიდი ტალანტი და ტალანტის დიდი უშუალობა.

ამიტომ, როცა შოლოხოვს კითხულობთ, სულ ფიქრობთ, რომ მისი წიგნი დ ა წ ე რ ი ლ ი ა, რომ ყველაფერი ეს ადამიანის ხელითაა შესრულებული; აღარ ფიქრობ ხელოვნების არც კანონებზე, არც მწერლის შრომაზე, ყველაფერი თითქოს თავისთავად მიდის, თავისთავად შეიქმნა, ყველაფერს თითქოს ხედავთ, როგორც გასაგნებულს, ცოცხალს, არსად კვალი არა ჩანს შემოქმედებითი იფლისა, მარტოდენ სილაღე, ბუნებრივობა, თავისთავადობა წერისა და გამოხატვისა იცქირება ქალწულებრივი სახით. ასე წერა, ასე ჩვენება მხოლოდ გენიოსებს შეუძლიათ და შოლოხოვის ნაწერებიდან სწორედ გენიოსი მხატვრის მომნუსხველი თვალი იცქირება. რაც უნდა უსიამოვნო სიტუაცია შეიქმნას გმირების ურთიერთდამოკიდებულებაში ან ამაზრზენი მოვლენები წარმოიშვან, რომლებსაც ჩვეულებრივი მწერლები ჩვეულებრივად მრავალწერტილით თავს აარიდებენ ხოლმე, რაკი მათი გამოსახვის უნარი არ შესწევთ, შოლოხოვის პალიტრა, პირიქით, გვერდს ავლის მაგიერ ისე შეიჭრება მათ არსებაში, როგორც უშიშარი ფრთაგაშლილი არწივი დააცხრება ხოლმე მცირე ონავრების გუნდს ან ამხედრებული კაზაკი ხმლით ჩეხავს შემოსეულ მტრებს. და საოცარ სურათებს საოცარი სურათები მოსდევენ, რაც მკითხველის გაოცებასთან ერთად აღტაცებასაც იწვევს გამოუვალი შედგომარეობიდან ერთადერთი გამოსავლის სწორი მიგნებით. ეს

არის ამაღლებული გრძნობა და შოლოხოვის გენიის ერთ-ერთი პირველი ნიშანი, მისი უდიდესი მხატვრული სიმართლის პრედიკატი. როგორც შემოქმედი, არსად ის შიშს არ განიცდის, რა დაბრკოლებასაც არ უნდა წააწყდეს; და განა ამაღლებულს შეიძლება ეშინოდეს? ის თვითონ არის მიზეზი სხვისი შიშისა. შოლოხოვის უმდიდრესი მხატვრული ფანტაზია ყველგან გმირულ შემართებაშია სინამდვილესთან, რომ ეს უკანასკნელი ბოლომდე გააშიშვლოს და არც ერთი ნაწილი თავისაბურავში არ დაუტოვოს. სწორედ ეს გმირული შემართება ბადებს ამაღლებულს. ხელოვნების ძალით შოლოხოვი ამ მხრივ ლევ ტოლსტოის გვერდით დგას, როგორც ყველა და ყოველგვარი ნიღაბის უშიშრად ჩამომგლეჯი. მის მიერ აღწერილი ქვეყანა მკაცრი და მრავალფეროვნებია, სადაც ბრძოლის ხმაური ისეთივე ძალით გვესმის, როგორც ძველი ელინების ყურთასმენას ბერძნული მითოლოგიიდან მომდინარე კურეტების საშინელო ცეკვის ხმაური მოსვენებას არ აძლევდა.

მაგრამ ეს ქვეყანა სავსეა არა ფანტასტიკით, მსგავსად ანტიკური ეპოსისა, არამედ, სავსეა არაადამიანური ტკივილებით, გმირობით, უმკაცრესი ნორმებით, სიყვარულითა და სიძულვილით, სიმართლის ძიებით, ჭეშმარიტების განდიდებით, ყველაფრით, რაც ძველისა და ახლის ისტორიული შეჯახების ფონზე მოქმედებს.

და მხატვრის თვალი, რომლითაც შოლოხოვი გვიჩვენებს ამ უცნაურ ქვეყანას, არამარტო დროის რომელიმე მონაკვეთშია ორიგინალური, დღემდე სრულიად თავისებურია. თანამედროვე მსოფლიოს პროგრესული ლიტერატურის ისტორიაში დღეს ჩვენ ძნელად გვეგულება მეორე მწერალი, რომელსაც ასე სადად, ასე ფართოდ, ღრმად და ყველაფრის ულმობელი გაშიშვლებით წარმოესახოს ტკბილ-მწარე სინამდვილე. როგორ უყვართ მის გმირებს ეს ცხოვრება, თუმცა მათთვის ბევრი სახარბიელო იქ არა არის რა. ერთი ეარდი თუ სადმე კიაფობს, ათიათასი ლენცოფა თავს ეხვევა. და მაინც ისინი მზად არიან მზის ერთი თბილი სხივისათვის გაყინული დონი გადასცურონ, ცხოვრება უყვართ და ათჯერ სიკვდილსაც არ გაექცევიან ერთი სიცოცხლისათვის. ყველა ისინი, კაცები და ქალები, თითქოს ფოლადის ძვლებისაგან არიან გამოჭედილნი, ხორციც და ძარღვებიც ლითონად გადაქცე-

ვიათ. მათთვის თითქოსდა ცხოვრების პრაქტიკულ ფილოსოფიად ქცეულა უძველესი გალური ანდაზა: „ნუ მოკვდები, ვიდრე ცოცხალი ხარ!“ და ისინიც არ კვდებიან, სანამ თუნდ ერთი ცოცხალი ნერვი მაინც შერჩენიათ! ასე იქცევიან არამარტო დადებითი, უარყოფითი გმირებიც. როგორი ამაზრზენიც არ უნდა იყოს ამ ნეგატიურ ადამიანთა საზარელი საქმეები, როგორ უსულო ქვადაც არ უნდა ჰქონდეთ გადაქცეული ეშმაკეულ არსად შეცელილი შავსისხლიანი გული, ისინი სიცოცხლის შენარჩუნებისათვის ყველაფერს აკეთებენ, თუმცა მწერალი მთელი ძალით გვიჩვენებს მათი ცდების ამაოებას. დანაშაულსა და მკელელობაში უკანასკნელ საზღვრამდე მისული ადამიანები გულით კი არა, გულის ადგილზე მოთავსებული ჟანგიანი რკინით მოქმედებენ, თუმცა გარეგნულად ჯერ კიდევ ადამიანის ფორმა შეუნარჩუნებიათ. ტყუილად როდი ეუბნება თეთრგვარდიული ბანდის მეთაური ფომინი, უშიშარი კაცისმკვლელი, თავისსავე ორეულს ამ უბინძურეს საქმეში, ჩუმაკოვს: „ველარ შეეჩვიე?.. რამდენი ხალხი დაგიხოცია და ველარ შეეჩვიე!..“ თითქოს ეკალ-ბარდების აჩეხვაზე იყოს ლაპარაკი და არა ცოცხალი ადამიანის ცოცხლად ჩაფლვაზე. და რამდენი ირონიაა აქ, ირონია თვით მწერლის გულიდან მომდინარე. ვერ შეეჩვიე!.. თითქოს ვილაცას ფეხზე წამოდგომას ასწავლიდნენ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ და არა გულგრილად კვლას, ხოცვას, ძლეტას. მწარეზე მწარე სინამდვილეა, რომელიც ადამიანის გავლურებამდეა მისული; იმ საზღვართან დგას, სადაც ადამიანში ყოველგვარი შინაგანი ადამიანური ჰქრება და გამხეცება იწყება. სიკვდილის გარდა უკვე აღარაფერს შეუძლია ამ პროცესის შეჩერება. ბოლოს სიკვდილიც მოდის ცალ-ცალკე ან ერთად და ყველაფერს მიწასთან ასწორებს.

ცალკე მიადგა ეს სიკვდილი ფომინის ბანდის უშიშარ წევრს ვაჩილი სტერლიადნიკოვს. ადრე დაზიანებულ მარცხენა ფეხში დაჭრა ძალიან მტკივნეული იყო, ტყვიამ ლავიწში გაუარა, მაგრამ ცხე იტანდა, როგორც უბრალო გაკაწრვას — მხოლოდ ოხრავდა. ჭრილობის შეხვევაზე ზრუნვას მაშინ შეუდგა, როცა „ჩექმა სისხლით გაეესო“. მაგრამ ჩუმაკოვს მარვლის გაჭრის უფლებაც არ მისცა დაჭრილი ფეხის განთავისუფლებისათვის—კარგი მარეალია,

ნუ დახევო, და ისევ ტანჯვით გახდა ამჯობინა. დოლბანდზეც უარი თქვა — თვითონ დაიყარა დენთი ხელის გულზე, ნერწყვით დასველებულ მიწაში აურია და ჭრილობის ორივე მხარე ტალახით ამოილესა. შემდეგ კმაყოფილებით თქვა: „ეს საქმე გამომიცდია, ჭრილობა გახმება და ორი დღის შემდეგ ისევ მომიშუშდება, როგორც ძაღლსო“. ძაღლად ქცეული — ძაღლს ეტოლება! მაგრამ სულ საწინააღმდეგო მოხდა — სტერლიადნიკოვს ეტყობა სისხლი ცოეწამლა, ფეხი უსაშველოდ გაუსივდა, აღარც სიარული შეეძლო, აღარც ცხენზე ჯდომა, და იგი თხოვს თავის მეგობრებს, რომლებიც გარბიან, მომკალითო — თან ადგილს უჩვენებს სად მოარტყან ტყვია — წარბებშუა, რომ სინათლე უცბად დაუბნელდეს!

აი, აქ, ამ ადგილას ხდება ის, რაც მხოლოდ გენიოს მწერალს შეუძლია დაინახოს, მოიგონოს, ერთი, პატარა დეტალით ღრმად ჩაგაფიქროს. აბა, წაიკითხეთ ეს ადგილი, უჩემოდაც კარგად დაინახავთ მას, და მერე ვილაპარაკოთ ამ დეტალზე. იმ დროს, როცა შლეგი ჩუმაკოვი ბოდიშს იხდის მეგობრის წინაშე, რომ სურვილს უსრულებს, რაკი სხვები არ აკეთებენ, „...გაფითრებული სტერლიადნიკოვი დუმდა და ელოდა სიკვდილს, მხოლოდ მზისაგან ატრუსული წამწამები უთრთოდა, მარცხენა ხელის თითები უკანკალებდა და რატომღაც ცდილობდა, მკერდზე შეეკრა გიმნასტურაზე დაკერებული მომტვრეული ღილი“*.

ეს უკანასკნელი სტრიქონი მთელ მოთხრობად ღირს. ამის ბეჭდნევა მარტო დიდ ფსიქოლოგსა და დიდ მწერალს შეეძლო. გიმნასტურაზე დაკერებული მომტვრეული ღილი! ხომ არ არის ეს მომტვრეული ღილი თვით სტერლიადნიკოვის პიროვნული ალეგორია? და რატომ ცდილობს საშინელი სიკვდილის მოლოდინში ეს ცოცხალ-მკვდარი კაცი მკერდთან, გიმნასტურაზე დაკერებული მომტვრეული ღილი შეიკრას? განა მეტი საზრუნავი არაფერი აქვს? ან რას მისცემს ეს ღილი, თუნდაც შეკრული იყოს. ან გახსნილი? რატომ მიაქცია მას ყურადღება? იმიტომ, რომ „საქმე“ გაიჩინოს, „საქმით“ გაერთოს და სიკვდილი

* მიხეილ შოლოხოვი, „წუნარი დონი“, მეოთხე წიგნი, ქართული გამოცემა, ი. ჯავახიშვილის თარგმანი, 1959 წ., გვ. 522.

მოულოდნელი გახადოს. ატრუსული წამწამების თრთოლვა, მარცხენა ხელის თითების კანკალი უკვე ნიშნავს, რომ სტერლიადნიკოვი სიკვდილის ცახცახს აუტანია, მაგრამ ადამიანი მაინც ადამიანია და იგი ცდილობს ნაკლებად შეწუხდეს — ამიტომ ეს „საქმე“ გამონახა: მკერდზე დაკერებული მომტვრეული ღილი სურს შეიკრას, თითქოს მეტი სადარდებელი არ ჰქონდეს, სურს ამით გაერთოს, დრო გაიყვანოს და სიკვდილზე უფრო მწარედ აღარ იფიქროს. შეიძლება ცნობიერად ამას ვერც გრძნობდა სტერლიადნიკოვი, მაგრამ მის არსებაში ყველაზე გადამწყვეტ დროს ქვეცნობიერი იმასვე აკეთებდა, რასაც ცნობიერი გააკეთებდა.

შესაძლოა აქ თავდაცვისა და თვითშენახვის ინსტინქტის უკანასკნელი სუსტი ძალებიც ჰოქმედებდნენ? შესაძლოა აქ იყო ავტოფსიქოთერაპია? იქნებ ავტოჰიპნოზიც? ხომ ცნობილია, რომ ჰიპნოფსიქოთერაპია ნერვულ სისტემაზე ზემოქმედებაა შთაგონების და შეგონების გზით, რასაც შეუძლებელია არ ვერწმუნოთ, თუ პავლოვის პირობითი რეფლექსის მეცნიერულ ექსპერიმენტებს არ გავაუბრალოებთ. მექანიკურად არაფრის გამოყენება არ ვარგა. ფროიდის თეორიას, მიუხედავად იდეალისტურ-მისტიკური ხასიათისა, ბევრ შემთხვევაში ჰქონდა პრაქტიკული შედეგები, მაგრამ მხოლოდ გარკვეულ უბანზე ადამიანის ფსიქოლოგიური შესწავლის მიმართულებით. როცა მისი დასკვნები ფსიქოლოგიიდან ლიტერატურაზე მექანიკურად გადაიტანეს, საშინელი უვიცობა, დამახინჯება და გაუგებრობა მივიღეთ. „ოიდიპოსის კომპლექსის“ ავტომატურმა მიყენებამ ჰამლეტის მერყეობასთან, ახსნის მაგიერ, რისი პრეტენზიაც მას ჰქონდა, წარმოუდგენელი პარადოქსი, პრობლემის სრული დამახინჯება გამოიწვია: ჰამლეტს დაბრალდა საკუთარი დედის — ჰერტრუდასადმი ქვეცნობიერი სქესობრივი მიდრეკილება და ამის გამო ძმისმკვლელი ბიძის—კლავდიუსის შეძულება. უფრო ყალბი, ანტიმეცნიერული ახსნა ჰამლეტის მერყეობისა, მოაზროვნე გონებას არ შეუძლია წარმოიდგინოს. ჩვენ მექანიკურად არ ვუყენებთ ფსიქოლოგიურ სამედიცინო კანონს სტერლიადნიკოვის სიკვდილისწინა ქცევას; მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ნაკლებ განვითარებული კაცი, სრულიად შეუგნებლად იყენებს ავტოჰიპნოფსიქოთერაპიას, როგორც მთელი ორგანიზმის უკიდურესად კრიტიკული მდგომარეობის ბუნებრივ შედეგს.

ალბათ არც შოლოხოვი ფიქრობდა ამ სცენის დაწერის დროს წმინდა მეცნიერულ-ფსიქოლოგიურ კანონებზე: მას მხოლოდ თავისი გმირის სულიერი და ფიზიკური არსების მომენტისეული სიღრმე აინტერესებდა ეჩვენებინა, რაც ჰეშმარიტად დიდმა მხატვარმა განმაცვიფრებელი სიზუსტით გადმოგვცა. ეს არის ფსიქოლოგიური ჩაღრმავება, შოლოხოვს რომ ყველგან გამოარჩევს, მსგავსად ისეთი გიგანტი მხატვრებისა, როგორიც არიან ტოლსტოი და ბალზაკი, ჰომეროსი და შექსპირი, საერთოდ მათი მსგავსი ოსტატები. თუ ფსიქოლოგები დაინტერესდებიან ამ კუთხით წაიკითხონ „წყნარი დონი", ისინი იქ ბევრ საგულისხმოს ნახავენ თვით ფსიქოლოგიური მეცნიერებისათვის.

ანალოგიური ფსიქოლოგიური ჩაღრმავებით შოლოხოვი იძენს დიდი შთაბეჭდილების ძალას, რომლითაც იგი მკითხველზე ახდენს უაღრესად ძლიერ ზემოქმედებას. ეს არის მხატვრული ოსტატობის ძალა, მხატვრული ეფექტი, როცა ნაწარმოების მოქმედი გმირი შეგიყვარდება ხოლმე ან შეგძულდება.

აქ, ამ სიყვარულსა და სიძულვილში ჩნდება ამაღლებულის გრძნობა და არა თვით ფაქტში. სტერლიადნიკოვი ვერასოდეს ვერ გამოიწვევს ამ გრძნობას, მაგრამ თვით სცენის აღწერა ოსტატის მიერ უკვე გადადის მხატვრულ ამაღლებულში.

თუ მწერალი ისე შეგაყვარებს თავის გმირებს, რომ მათთან განშორება გიმძიმს, — ან შეგაძულებს ისე, რომ ვეღარ ივიწყებ, როგორც მტერს, — იგი უკვე დიდი ხელოვანია, ხოლო ეს სიდიადე თავისთავად ამაღლებულს გვანიშნებს. დამისახელეთ თუნდაც ერთი მკითხველი, რომელსაც შოლოხოვის გმირები არ მიეჩვნიოს თავის გატაცებად, თავისი გულისა და სულის მოზიარედ, მეგობრად ან მტრად. მელეხოვის ტრაგედიაში ბევრი თავის თავს იგრძნობს, იმიტომ, რომ ძნელად გვინახავს კაცი, რომელსაც თავის ცხოვრებაში, მოქმედებასა და აზრებში მერყეობა არ ჰქონდეს, როგორც მელეხოვს. და განა დიდი ადამიანებიც, სოლონიდან და პერიკლედან მოყოლებული, მერყეობის გრძნობას არ განიცდიდნენ? ჩვენ არ გვინახავს ქალი, რომელსაც ნატალიას ან აქსინიას ტრაგედია არ განეცადოს — ერთგული მეუღლის პენელოპასი და გულწრფელად შეყვარებული ანა კარენინასი. ეს მთელი ცხოვრებაა თავისი პოზიტიური და ნეგატიური ნიშანსვეტებით, მაგრამ

ცხოვრებაა ყველა ასპექტში. თქვენ გულწრფელად შეეჯიდეთ ამ ნიშანსვეტებს და მაშინ მითხარით თქვენივე მსჯავრი. მე მოგისმენთ, მაგრამ საბოლოო სიტყვის უფლებასაც დავიტოვებ — გეტყვით, რომ ცდებით: ცხოვრება ბრძოლაა და ამ ბრძოლაში ჭეშმარიტების პოვნა მარტოოდენ დიდი სულის კაცს შეუძლია. დიდი სულის კაცი კი ამაღლებულის განსახიერებაა. თუმცა ხშირად პარადოქსებიც ხდება. ეს სული ჰქონდა, მაგრამ ჩამორჩენილობის გამო მელეხოვს არ ეყო, ხოლო, ვინც მასზე სულით დაბლა იდგა, მაგრამ მეტი ცოდნა თუ გაგება ჰქონდა, მან გაიმარჯვა!

და რას გვეუბნება შოლოხოვი? დიდ სულს ცოდნაც მივუმატოთ, თუ გვინდა წინ ვიაროთ, თუ გვინდა ისე მარტო არ დავრჩეთ ცხოვრებაში, როგორც შემოდგომის ფოთლებგაცვენილ ხესავით მარტო დარჩა მელეხოვი მიშუტკას და მისთვის საშინელი მომავლის წინაშე. თავიდანვე კი სხვაგვარად იყო, თავიდანვე მელეხოვი ამაღლებულთან ახლო იდგა პირადი ღირსებებით, მაგრამ ყველაფერს ჰკარგავდა მოქმედებით. მოქმედება კი მთავარია. ეს ჩვენი დროის ფილოსოფიაა და ვინც მას გვერდს აუვლის, აუცილებლად ჭეშმარიტ გზას აცდება.

ნუ აცდებით ამ გზას: ემსახურეთ თქვენს დროს, თქვენს ეპოქას, მაგრამ ჭეშმარიტების ლამპრით — გვასწავლის „წყნარი დონი". ამ ლამპარს რომ არ ანთებდეს, მაშინ შოლოხოვის რომანებში ჩვენ ჭეშმარიტებას ვერ ვიპოვიდით. ცხოვრების აღწერა, თუ მას დიდი მიზანი არ ექნება, ფაქტების მშრალ რეგისტაციად მოგვევლინება და საკუთარ თავს იქ ვერ დავინახავთ. ხელოვნებაში კი ყოველთვის ჩვენი თავი უნდა ვიპოვნოთ. ის რა ხელოვნებაა, სადაც კაცი ადამიანობას ვერ იგრძნობს. ხელოვნება ჩვენივე გულისა და სულის ამორძალია გონების პრიზმაში. მოაშორეთ მას რომელიმე ეს ფერმენტი და თქვენ ხელოვნებისაგან გათავისუფლდებით. შოლოხოვი არც ერთი ამ ფერმენტისაგან არ გვათავისუფლებს და ეს არის მისი გამარჯვების უპირველესი დიაგონალი.

შოლოხოვი რჩება ცხოვრების, ნამდვილი ცხოვრების მხატვრად. ის არაფერს არ აფერადებს, როგორც მარტოოდენ რომანტიკოსი, არაფერს არ აძლევს არარეალურობას, ცხოვრებიდან გამოდის და ცხოვრებას ასახავს, მაგრამ როგორც დიდი მწერალი, რო-

მელსაც ყველაფერი მხატვრულ სახეში გადააქვს, მაშასადამე, ცხოვრება აჰყავს ხელოვნებამდე და ხელოვნება დაჰყავს ცხოვრებამდე. ამ აზრით ის რეალისტია, შთაგონებული რეალისტი, რომელსაც ამაღლებული გრძნობა ამოძრავებს და ამაღლებულის ჰვრეტასთან ერთად მისი შექმნაც ეხერხება. სწორედ ამ ქმნადობას თანა სდევს რომანტიკული ამაღლება, ურომლისოდ დიდი ხელოვნება არ არსებობს, მაშასადამე, რომანტიკოსებიც საჭირონი არიან ცხოვრებაში, ძალიან საჭირონიც; მაგრამ რეალისტებიც გვჭირდება, რომლებმაც ცხოვრება რომანტიკოსებზე არანაკლებ იციან. და ჩვენ გვიკვირს, საიდან შეიძინა ჭაბუკმა შოლოხოვმა, იმ დროს სრულიად ახალგაზრდა კაცმა, ცხოვრების ამდენი დაკვირვება? საიდან იცის მან, ჯერ კიდევ ჭაბუკმა, ამდენი, რამ, თუ რა არის ცხოვრება და რა გრადაციები შეიძლება მას ექნეს? როცა „წყნარ დონს“ წერდა, ის ხომ სრულიად ახალგაზრდა იყო? აქედან მხოლოდ ერთი დასკვნა შეიძლება გაკეთდეს: თუ შემოქმედებითი ნიჭი გაქვს, შემოქმედებითი შრომითაც ცხოვრების შანგანა გაიარე, მაშინ შეიძლება ამაღლებულის გრძნობას მისწვდე, დიდი მწერალი გახდე.

დიდი მწერლობა კი თავისუფალი, ძალდაუტანებელი, მხატვრულად ამეტყველებული წერაა ცხოვრებისა, რითაც ის თავისთავს ამეცავნებს, როგორც ამაღლებული ფენომენი. როგორი მეტაფიზიკური თემაც არ უნდა აღლოს, ნამდვილი მწერალი მას აუცილებლად ცხოვრებასთან მოიყვანს, ცხოვრებასთან, რომელიც ასე ჭრელი და ასე რთულია, მაგრამ მთლიანობაში ყოველთვის ამაღლებულია. როცა მელეხოვს კითხულობთ, თქვენ გგონიათ ცხოვრება თვითონ ლაპარაკობს თავის თავზე, მაშასადამე, გზა ეძლევა ამაღლებულს. არც წინასწარ აკვიატებული კანონები, არც ძალდატანება, არც შემოქმედებითი ოფლი, არც ფრაზების ხელოვნური აგება — ყველაფერი ბუნებრივია, ყველაფერი საოცრად შემოქმედებითია. დღემდე არ წამიკითხავს ბელეტრისტი მწერალი, რომელსაც ცხოვრება ასე უშუალოდ, ასე გაბედულად ეესახოს ჩვენს დროში, როგორც ეს შოლოხოვმა გააკეთა. მისთვის ადამიანი, ვინც არ უნდა იყოს, ადამიანად რჩება თავისი შეცდომებით, უცოდინარობით, აკვიატებული აზრებით ან ეპოქის მორევში გზადაბნეული, როგორც მელეხოვი.

გრიშკა მელეხოვი!

რა კარგი იქნებოდა, ის რომ ვინმეს სწორ გზაზე დაეყენებინა! მაგრამ დადგებოდა? მისი განთქმული სიჯიუტე არ შეუშლიდა ხელს? შეუშლიდა, მაგრამ დადგებოდა, რაკი სიმართლის შინაგანი ძალა დიდი აქვს. ახლა კი რა არის? — მამაშენი გზადაბნეულიაო, — ეუბნება ნატალია თავის შვილს გრიგორი მელეხოვზე. და ვინ არის ეს მელეხოვი? ნატალიას ქმარი, იმ შვილის მამა! ნიჭიერი კაცი, არაერთი ღირსებით შემკობილი, და ცუდ გზაზე დამდგარი! ჩუმაკოვიც ნატალიას მსგავსად ამბობს მელეხოვზე: „კარგი კაზაკია! ყველაფრით კარგია, ყველაფრით მოხერხებული, მხოლოდ გზააბნეულია... თავის გზას გადაუხვია!“ რაც კარგი ჰქონდა — ვაჟკაცობა, გმირობა, უშიშროება, ძალა, ენერგია—ამაღლებულს განეკუთვნებოდა, მაგრამ მოქმედებით ყველაფერი დაამდაბალა, ყველაფერი ამაღლებულს განაშორა. მტერიც ვერ უზამდა იმას, რაც მელეხოვმა თავის ამაღლებულობას, თავის ღირსებებს დამართა. ამ მხრივ არამარტო „რაღაც უცნაური“, „მხოლოდ უცნაური“ კაზაკია, როგორც პირველი ნახვისთანავე ამბობს მის შესახებ ახალგაზრდა მეურნე ქერივი ქალი (წიგნი მე-4, გვ. 397), არამედ, პიროვნული დიდი ღირსებების გვერდით თავისებურად „ავადმყოფი“, თავისებურად „დაავადებული“ ადამიანია, რომელსაც მკურნალობა ესაჭიროება. მაგრამ არა ყოველგვარ მკურნალობას შეუძლია მელეხოვის გადარჩენა. ჩვეულებრივი ქირურგიული ჩარევა მის სულში რეალურ შედეგს ნაკლებად მოგვცემს. გრიგორი მელეხოვის მკურნალობა შეიძლება მხოლოდ იმ მეთოდით, რომელიც ერთნაირი ძალით ეპყრობა როგორც ავადმყოფს, ისე ავადმყოფობას. აქ არ გამოდგება, როგორი ბრძნულიც არ უნდა იყოს, ჩვენი ძველი, საყვარელი ჰიპოკრატეს განთქმული დეფინიცია: „ექიმი უნდა მკურნალობდეს არა დაავადებებს, არამედ დაავადებულსო“*. მელეხოვი თავისებურად „დაავადებულია“, მას უცნაური „დაავადებები“ აქვს, მაგრამ ვერაფერი უშველის, თუ მხოლოდ პირადად მას ვუმკურნალეთ, როგორც უჩვეულო „დაავადებულს“. საჭიროა მისი „დაავადებების“ მკურნალობაც, ვინაიდან შეუძლებელია მე-

* მოგვყავს წიგნიდან: С. С. Юдин, «Размышления хирурга», 1968 წ., გვ. 248.

ლეხოვი მოვარჩინოთ, თუ იმ დაავადებებსაც ბოლო არ მოეღო, რაც მის ირგვლივ და მის არსებაშია. ამიტომ არის ასე მძიმე, ასე ძნელი, ასე რთული მელეხოვის განკურნება. ერთი რომ იყოს, მელეხოვის პრობლემაც აღარ იქნებოდა. მაგრამ არიან მელეხოვები — სწორ გზას აცდენილნი, დაბნეულნი, უიალქნოდ მოსრიალენი ცხოვრების თვალუწვდენ ზღვაზე. განა ცოტაა ასეთი ადამიანი? და განა ცოტანი იყვნენ ისინი გარდატეხის ეპოქებში? რიცხვი მათი უთვალავია. ამ რიცხვზე შოლოხოვმა რომანი კი არ დაწერა, მთელი ეპოპეა შექმნა და ამ ეპოსით ის ცხოვრება გვაჩვენა, რომელსაც მეცნიერულ ისტორიაში ვერ ვიხილავდით, ან მშრალ დებულებებში ჩვენ რომ გაგვეგო, სხვას მაინც ვერ გავაგებინებდით. მარტო ის რადა ღირს, როცა ცოლ-შვილს უკანასკნელად ეთხოვება ეს ტანჯული კაცი — გრიგორი მელეხოვი. მიშუტკას ვაჟკაცობა, შენდევ ცრემლები, მამის წამწამების ხისველე და გამოთხოვება შვილთან განა თქვენ არ მოგაგონებთ ჰექტორის გამოთხოვებას ანდრომაქესა და ასტინიაქთან? ამის შემდეგ განა ვინმეს შეუძლია გაუკვირდეს, რომ შოლოხოვი ჩვენი დროის ჰომეროსად მოგვევლინა ამ დეტალითაც და თავისი ეპოპეითაც? შოლოხოვზე მძაფრი და მართალი მწერალი, როგორიც იგი „წუნარ დონში" გვევლინება, ჯერ კიდევ არ ჰყოლია მე-20 საუკუნის რუსულ ლიტერატურას გორკისა და მაიაკოვსკის შემდეგ. ეს სამი დიდი კაცი ცალ-ცალკე უდიდესი ბოძია მე-20 საუკუნის ლიტერატურისა და რაც არ უნდა დაემართოს ამ ეპოქის მწერლობას, ვერავინ იტყვის, რომ მათი სახით ჩვენი დროის რუსულ ლიტერატურას სამი დიდი გენიოსი არ ჰყავდა პროზასა და პოეზიაში.

შოლოხოვის გენია თავიდანვე გამოეცნდა მძაფრი სიუჟეტების ოსტატურ გაშლაში. დონის მოთხრობების ტრაგიკულმა ფაბულებმა, რომლებსაც ჩვენ უკვე გავეცანით, უეჭველად შეამზადეს მწერლის მძლავრი ფანტაზია ახალ საფეხურზე ასასვლელად. მძაფრი სიუჟეტებით ბევრი დასავლეთევროპელი ბელეტრისტი გამოირჩეოდა, მაგრამ ხშირად ისინი სტილიზაციას მიმართავდნენ, იკარგებოდა უშუალო ცხოვრებისეული შტრიხები. წუნს ვერ დავდებთ პროსპერ მერიმეს „ტამანგოს", „მატეო ფალკონეს",

„კარმენს", სტენდალის ქრონიკებს. ოსტატობაც და მძლავრი სიუჟეტებიც მათ შემოქმედებაში იმდენად ძლიერია, რომ მკითხველზე ნამდვილად წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენენ. მაგრამ ეს იყო მე-19 საუკუნეში, როცა ჯერ კიდევ ძლიერი იყო რომანტიზმის სასიცოცხლო ტრადიცია, ადამიანს რომ ცენტრში მოაქცევდა, როგორც ცხოვრების ფენომენს, ბუნებისაგანაც არ თიშავდა. იმავე საუკუნემ მიაღწია რომანტიზმისა და რეალიზმის ორიგინალურ სინთეზს, მაგრამ ეს დაირღვა მეოცე საუკუნის დასაწყისში, წამოვიდა მძაფრი სიუჟეტების არამარტო სტილიზებული, უფრო ხშირად ხელოვნური ნაკადები. შოლოხოვმა უარი თქვა ორივე ფენომენზე, ის დაემყარა ცხოვრებისეულ სინამდვილეს, რათა „წყნარ დონში" მძაფრი სიუჟეტი ხელოვნების ოლიმპიური სიმაღლისათვის გაღაეცა. მელეხოვების ოჯახის ტრაგედია, ესოდენ ძლიერად შეპირობებული იმდროინდელი სოციალურ-პოლიტიკური დაძაბულობით, მძაფრ სიუჟეტად გაიშალა ოთხი დიდი რომანის— ტეტრალოგიის 137 თავში, ისე, რომ მწერალს არსად არაფერი შეშლია, არაფერი დაუწყებია, არაფერი გამორჩენია. თითქოს უსასრულო, ვეებერთელა მასალა, წრეშეუწერელი შინაარსი რომანისა შოლოხოვმა ისე ააწყო, ისე გამოჰკვეთა, ისეთი დამთავრებული სახით წარმოგვიდგინა, როგორც გენიალური მოქანდაკე ჯერ კიდევ ტალახმოუშორებელი მარმარილოდან უმშვენიერეს სახეს გამოგვიძერწავს. მარტო ერთი საქმე — მოერიო ასე დიდ მასალას ერთ რომანში, რომელიც საყოველთაო აღიარებით მხატვრული შედევრია — უკვე ნიშნავს გენიოსობას!

მაგრამ ყოველ დიდ მწერალს ჰუმანიზმის თავისებურება გამოარჩევს ხოლმე და შოლოხოვის პროზაში ვინც ახალი დროის კაცთმოყვარეობას მთელი ძალით ვერ დაინახავს, არ შეიძლება მას ვუთხრათ რომ „წყნარი დონის" ავტორი იცოდეს. შოლოხოვის ჰუმანიზმი არც ვიწროა, არც შეზღუდული, არც კამერულია, არც უსაზღვრო, მასში სულ არ არის ამ ფენომენის ინდივიდუალისტური გაგება. შოლოხოვის ჰუმანიზმი, მართალია, ადამიანს ემყარება, ადამიანიდან ამოდის, ადამიანს ემსახურება, მაგრამ სწორედ ეს ადამიანები ჰქმნიან საზოგადოებას და ამ უკანასკნელის ბედნიერებისათვის ადამიანი უნდა იბრძო-

დეს, თუ მას საკუთარი კეთილდღეობა სურს. შოლოხოვი ადამიანში საზოგადოებას ავლენს და საზოგადოებაში ადამიანს ხედავს. განა შეიძლება ნამდვილი იყოს ერთი ადამიანის ბედნიერება, თუ მის ირგვლივ ბედნიერები საერთოდ არ არიან? შეიძლება ერთი გიყვარდეს და სხვების სიძულვილით ეს ერთი გაამართლო? ყველას სიყვარული უკვე სიყვარული აღარ არის, — ამბობდნენ ფილოსოფოსები. სიყვარული გამორჩევას ნიშნავს, ეს ორი ადამიანის სიყვარულია, მაგრამ ადამიანის სიყვარული, კაცთმოყვარეობა შეუძლებელია ორი ან რამდენიმე ადამიანის სიყვარულამდე დაიყვანოთ. ჰუმანიზმი კლასობრივ საზოგადოებაში უაღრესად რელატიური ცნებაა და ვისაც სურს მთელი არსებით დაინახოს მისი საზღვრები, ვურჩევთ შოლოხოვის რომანები წაიკითხოს. იქ თქვენ ნახავთ, თუ რა არის ჰუმანიზმი, რა ძნელია არამარტო ემსახურო მას, არამედ, ოდნავ მაინც დაიცვა, როცა ცხოვრება უზარმაზარ მორევს წარმოადგენს და ყველაფერი ერთმანეთს სტიქიურად ეჯახება. შოლოხოვის რომანები მკითხველს ასწავლიან კაცთმოყვარეობას ყველაზე დიდი რწმენის სიმაღლეებიდან. ყველაზე დიდი, ნამდვილი ჰუმანისტი ის არის, ვინც სხვისთვის უყოყმანოდ თავს სწირავს ამქვეყნიურ სამართლიანობას, ხოლო სამართლიანობა ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრის მოსპობაა — ეს კი თავისთავად ამაღლებული ფენომენია.

ამგვარი ჰუმანიზმის პარალელურად ირონია, ჰუმორი, სატირა. შოლოხოვის მხატვრული პროზის ერთი უძლიერესი მხარეა. მძიმე მდგომარეობაა, თუ შეღარებით ჩვეულებრივი, ირონია ან სატირა. უფრო ხშირად ჰუმორი ბუნებრივად ჩნდება, როგორც რეალური ცხოვრების ორგანული ინგრედიენტი. განა თქვენ გინახავთ ცხოვრება, როგორი სახეც არ უნდა ჰქონდეს, ტრაგედიის გვერდით კომიკურს თავი არ ეჩინოს, ირონიის, სატირის, ჰუმორის გარეშე ყოფილიყო? შოლოხოვის მხატვრულმა გენიამ ეს ყველაზე უკეთესად იცის და არამარტო სასიხარულო, ყველაზე მძიმე, ტრაგიკულ სიტუაციებშიც კი მას ეს საკუთარი ცხოვრებისეული ფენომენები შეაქვს. თითქოს პასაჟებად იყენებდეს, დაძაბულ მომენტებს ერთ-ერთი მათგანით ისე გაანეიტრალებს, როგორც ელვა გაანათებს ხოლმე კუპრივით შავ ცას. ამ შემთხვევაშიაც შოლოხოვის რეალიზმი საოცარი ძალით ვლინდება ხოლმე. სწორედ ეს საოცრება

ბადებს ამაღლებულის გრძნობას. ამავე დროს შოლოხოვმა იცის, შესანიშნავად იცის, რომ გრანდიოზულს ზოგჯერ პარადოქსალუ-ი შემთხვევა დააქვეითებს, სერიოზულს — კურიოზული შეცვ-ლის, კომიკურს — ტრაგიკული, მაგრამ ჰეშმარიტი იდეა რომ მა-ინც უეჭველად გაიმარჯვებს — შოლოხოვმა ყოველთვის კარგად იცის!

ყველაფერი ეს „წყნარი დონის“ ავტორს ნაჩვენები და გაშ-ლილი აქვს პროზის იმ ხერხებით, რომლებიც ბელეტრისტიკის პოეტიკაში ცნობილია. მაგრამ ერთია შემოქმედებითი პრინციპი, მეორეა ოსტატურად მისი გამოყენება. შოლოხოვი გვანცვიფრებს არა პოეტიკური კანონებით, რაც ასე უხვად გეხვდება „წყნარ დონში“, არამედ მათი ხორცშესხმის უდიდესი ოსტატობით. ის სრულიად გვერდს უვლის ზოგიერთ ხერხს, მაგრამ ბევრს მიმარ-თავს, როგორც აუცილებელს. მწერლის ღირსება ხომ მარტო ის არ არის, თუ რამდენ კანონს იყენებს პოეტიკიდან, მთავარია რას და როგორ ასხამს ხორცს. ეს მეორე მხარეა შოლოხოვის ტალან-ტის ყველაზე ძლიერი ფენომენი. მას, ბუნებრივია, ესაჭიროება, მაგალითად, ოდითვე ცნობილი ხერხი ბელეტრისტიკაში — ეპის-ტოლარული,* რომელსაც წარმატებით იყენებდნენ ლონგი (II—III საუკუნეები), ხარიტონი (II საუკუნე), მერჩულე (IX საუკუ-ნე), რუსთაველი (XII საუკუნე), (რუსო „ახალი ელოიზა“), ვოლტერი (სპარსული წერილები“) და მრავალი სხვა მწერალი ანტი-კური ხანიდან ჩვენს დრომდე. ამ ხერხს შოლოხოვიც იყენებს, გრძნობს მის აუცილებლობას, მაგალითად, პირველ წიგნში, ევგე-ნი ლისტნიცკი მამას უგზავნის საკმაოდ ვრცელ წერილს (გვ. 319-320). ამავე დროს, ხშირად, ძალიან ხშირად, მიმართავს დიალო-გებსა და პეიზაჟებს, რომლებსაც მის რომანებში (აგრეთვე მოთ-ხრობებში) პრევალირებული მდგომარეობა უკავიათ. ორივე ხერ-ხის გამოყენებაში შოლოხოვი ისეთ ოსტატობას იჩენს, როგორიც მხოლოდ გენიოს მწერლებს ახასიათებს. ყველა მისი დიალოგი უაღრესად ცოცხალი, დინამიური, გონებამახვილური, ცხოვრები-სეულია, როგორც პეიზაჟი — ათასგვარი ნიუანსისა და დეტალე-

* პროზასა და პოეზიაში ეპისტოლარული ხერხის დაწერილებითი ანალიზი ან-ტიკური ხანიდან მოყოლებული იხილეთ წიგნში: გიორგი ჯიბლაძე, „რუსთაველის ესთეტიკური სამყარო“, 1966 წ., გვ. 101—109.

ბის შემცველია. შოლოხოვი ამ მხრივაც პირდაპირ სანიმუშო მწერალია. სანიმუშოა აგრეთვე ხალხური პოეზიის — ფოლკლორული მასალების გამოყენებაში. შემთხვევითი როდია რომანის პირველი წიგნის დაწყება ძველი კაზაკური სიმღერით წყნარ დონზე, სიმღერით, რომელშიაც ამ მიწა-წყლის ოდისეა გადმოცემულია ტრაგიკულ-ირონიული ფორმით. გავეცნოთ ეპიგრაფს.

«Не сохами—то славная землюшка наша распахана...
Распахана наша землюшка лошадиными копытами,
А засеяна славная землюшка казацкими головами,
Украшен-то наш тихий Дон молодыми вдовами,
Цветен наш батюшка тихий Дон сиротами,
Наполнена волна в тихом Дону отцовскими, материнскими слезами.

Ой ты, наш батюшка тихий Дон!
Ой, что же ты, тихий Дон, мутнехонек течешь?
Ах, как мне, тиху Дону, не мутну течи!
Со дна меня, тиха Дона, студены ключи бьют,
Посередь меня, тиха Дона, бела рыбица мутит».

გარდა ამ ეპიგრაფისა, პირველი წიგნის პირველივე გვერდებზე (20, 21, 27, 33, 34, 35, 193 და ა. შ.) გვხვდება ხალხური ლექსების ნიმუშები, რომლებიც ორგანულად არიან ჩართულნი სიუჟეტის განვითარებაში. ამონაწერებია ლოცვანიდანაც. ისევ ხალხური ლექსები გვხვდება 268, 269, 272, 376 გვერდებზე. ასეა მთელ რომანში, ყველა წიგნსა და ყველა ნაწილში. რაც შეეხება ეპისტოლარულს (ნატალიას პირველი წერილი გრიგორისთან განშორების შემდეგ და ოთხსიტყვიანი პასუხი მელეხოვისა, პეტრე მელეხოვის ბარათი მშობლებისადმი, რომ გრიგორი არ მომკვდარა, თუმცა ოჯახმა სამხედრო ნაწილის შეტყობინება მიიღო, გენერალ კრასნოვის ოფიციალური წერილი გერმანიის იმპერატორისადმი და ა. შ.), შოლოხოვს მოჰყავს ამონაწერები ბრძანებებიდან და სხვა დოკუმენტებიდან, რითაც დიდ დამაჯერებლობას აძლევს რომანს, მასში აღწერილ ფაქტებსა თუ მოვლენებს. გამოყენებულია

აგრეთვე გრიგორის მიერ ნახული უცნობი მოკლული კაზაკის დღიურები (პირველი წიგნის მესამე ნაწილში — გვ. 293—307). დაუსრულებლად შეიძლება წერო შოლოხოვის მხატვრულ პრინციპებზე, გაავლო პარალელები, ერთი სიტყვით, კრიტიკოსისათვის აქ მასალების ოკეანეა.

მაგრამ ყველა იმ მხატვრულ საშუალებათა შორის, რომლებსაც „წუნარი დონის" ავტორი იყენებს, ერთ-ერთ პირველ ადგილზე უნდა მოვათავსოთ დიალოგები, როგორც პროზის განუყრელი ინგრედიენტები.

დრამატული ხელოვნების შემდეგ პროზა ყველაზე მეტად იყენებს დიალოგებს, ხოლო შოლოხოვი დიალოგების უდიდესი ოსტატია. ვერ ნახავთ ვერც ერთ ნაწარმოებს, რომელშიაც არ გხიბლავდეთ მოქმედი გმირების გასაუბრება, აღსავსე ცხოვრებისეული დეტალებით. შოლოხოვის დიალოგებს ყოველთვის ახასიათებს უშუალობა, ბუნებრიობა, სიცოცხლე და მიმზიდველობა. პლასტიკურობა მეტყველებისა, გონებამახვილობა, აღწერილ სიტუაციასთან სრული თანხმობა — პირდაპირ საოცარია და მკითხველის უდიდეს გატაცებას იწვევს. გმირები ისე საუბრობენ, თითქოს მათ გვერდით ახლოს იდგეთ და თქვენც გესმოდეთ მათი მეტყველება. თითოეული მათგანი ლაპარაკობს ისე, როგორც მის ხასიათს, მწერლის მიერ ჩვენთვის დახატულს, შეეფერება, და არსად ეს წესი არ იცვლება. აღწერა, რომ არ მოეცა, მარტოოდენ დიალოგებში გაშლილი ხასიათითაც ადვილად გავიგებდით თითოეულის ბუნებას, არსებასა თუ ხასიათს. შოლოხოვის პროზის ესოდენ დიდი გამარჯვება უეჭველად ოსტატური დიალოგებითაც არის შეპირობებული. შეიძლება მითხრან: ეს ხომ ყველა ნიჭიერ რომანისტს გამოარჩევსო! მართალია, მაგრამ შოლოხოვის დიალოგები გენიოსის ოსტატობით არიან აღბეჭდილნი და ამითვე გამოერჩევიან ნიჭიერი მწერლების შემოქმედებაში მოცემულ დიალოგებს. როცა ამ დიალოგებს კითხულობთ, თქვენ თითქოს მაღლდებით საკუთარ თავზე, გეუფლებათ ის გრძნობა, რომელიც სიტყვით ამაღლებული გამოიხატება და რომლის შექმნა, როგორც გრძნობისა, არაფერს შეუძლია ხელოვნებაში, გარდა დიდი ტალანტისა.

რამდენიმე ნებისმიერი მაგალითიც საკმარისი იქნება ჩვენი დებულების საილუსტრაციოდ, მაგრამ მათი არც მოტანაა საჭირო და არც დასახელება. როცა წაიკითხავთ შოლოხოვის რომანებსა თუ მოთხრობებს, თქვენ ისინი შეგიძლიათ ყველგან ნახოთ.

ამ დიალოგებს არაჩვეულებრივად აცოცხლებენ, სიბრძნისა და კოლორიტს აძლევენ მოქმედ გმირთა მშობლიური პეიზაჟები, ასე უხვად გადმოცემული შოლოხოვის ბელეტრისტიკაში.

შოლოხოვი მართლაც ერთი უდიდესი პეიზაჟისტია მსოფლიო ლიტერატურაში; იგი ამჩნევს ბუნების ისეთ დეტალებს, რაც ჩვეულებრივი ადამიანური თვალისათვის სრულიად მიუწვდომელია. ხატავს ბუნებას, როგორც უმშვენიერეს ფენომენს, ცალკე აღებულს, თუ ადამიანთან ურთიერთობის გაშლილ ფონზე, შოლოხოვი გვევლინება ლირიკოსად, რომლის პალიტრას უხვ ფერებში საოცრად ლამაზი ჰანგებიც აუმეტყველებია. მაგალითები რომ მოვიტანოთ, მთელი გვერდები უნდა ამოვწეროთ. საილუსტრაციოდ კი ერთი ადგილიც საკმარისი იქნება.

გავიხსენოთ „წყნარი დონის" მეოთხე წიგნიდან აქსინიას უკან დაბრუნება, მეუღლესთან — სტეფანე ასტახოვთან შეხვედრის შემდეგ. ქმრისაგან წამოსული, მაგრამ გრიგორი მელეხოვზე ჯიქრში გართული, იგი დონზე ბუნების სილამაზეს მიაქცევს ყურადღებას. სროლის ხმაურის შეწყვეტა წუთიერად მას მშვენიერების მიწიერ სამეფოს აზიარებს: „შემდეგ სროლა თითქოს შეწყდა, აქსინიას წინ სამყარო გაიშალა თავისი იდუმალი მშვენიერებით: ქარზე თრთოდნენ და შრიალებდნენ იფნის მწვანე, თეთრსარჩულიანი და მუხის კუწუბიანი სქელი ფოთლები; ახალგაზრდა ვერხვის ნიავარიდან განუწყვეტელი გუგუნი ისმოდა; სადღაც შორს გუგული გაურკვეველი და ნაღვლიანი ხმით რომელიღაც სულიერს დღემოკლებულობას ამცნობდა, ხოლო ტბაზე გადაფრენილი ქოჩორა პრანწია თითქოს ვიღაცას ეკითხებოდა: „ვისი ხარ? ვისი ხარ?" რომელიღაც პაწაწინა ნაცრისფერი ჩიტუნია, აქსინიასაგან ორი ნაბიჯის მანძილზე, გზის ნაგუბარში წყალსა სვამდა, თავს უკან იწევდა და სიამოვნებით ჰუტავდა თვალს; ბზუოდნენ მტვერიანი, ხავერდოვანი ბუზანკლები; მინდვრის ყვავილების გვირგვინზე ირეოდნენ გარეული მუქი ფუტკრები. უცებ მოს-

წყდებოდნენ ხოლმე ყვავილს და გრილ დაჩრდილულ ფუღუროში მიჰქონდათ სურნელოვანი მტვერი. ალვის ხის ტოტებიდან წვენი ჩამოწინწკლავდა. კუნელის ბუჩქებს შარშანდელი დამპალი ფოთლების მწკლაკე და დამათრობელი სუნი ასდიოდა.

აქსინია გაუნძრევლად იჯდა, ხარბად სუნთქავდა მის გარშემო ტყიდან მონაბერ ათასნაირ სურნელებას. საკვირველი და მრავალხმოვანი ტყე ძლიერი და პირველყოფილი სიცოცხლით ცხოვრობდა. მინდვრის ნოტიო ნიადაგი გაზაფხულის ნესტით საკმარისად იყო გაჟღენთილი. ამ დედამიწას ისეთი მდიდარი სხვადასხვაობით ამოეხეთქა და გაეზარდა ბალახი, რომ აქსინიას თვალი უჭრელდებოდა საკვირველი ყვავილების და ბალახების შხერით.

აქსინიამ ღიმილით და ტუჩების ცმაცუნით ამოარჩია უსახელო, უბრალო, ცისფერი ყვავილების ყლორტები, შემდეგ მთელი ტანით საყნოსავად გადაიხარა, და უცებ შროშანას საამო და გამაბრუებელი სუნი იგრძნო. ხელები მოაფაცუნა და შროშანა იპოვნა. იგი იქვე ამოსულიყო, დაბურულ სქელ ბუჩქთან. განიერი, ოდესღაც მწვანე ფოთლები ჯერ ისევ იფარავდნენ მზის სხივებისაგან დაბალ, წახრილ ღეროს, რომელზედაც თოვლივით თეთრი ყვავილების ფურცლები ეკიდა. ნამით დაფარული და ყვითელი, ჟანგისფრად მოელვარე ფოთლები უკვე კვდებოდნენ. თვით ღეროსაც მოხვედროდა სიკვდილის მსახვრელი ხელი: ქვევითა ორი ჯამი დასჭკნობოდა და გაშავებოდა. მხოლოდ წვერი, რომელზედაც ნამის ცრემლები ნაპერწკლებივით ციმციმებდა, უცებ თვალისმომჭრელად თეთრად აბრჭყვიალდა მზეზე. და აქსინიას სწორედ იმ წუთას, როდესაც ცრემლებით სავსე თვალებით ყვავილს ათვალიერებდა და ყნოსავდა, რატომღაც მოაგონდა ახალგაზრდობა და მთელი ხანგრძლივი სიხარულით ღარიბი სიცოცხლე. რას იზამ, ალბათ დაბერდა აქსინია... განა ახალგაზრდა ქალი იტირებს, როდესაც გულს შემთხვევით მოგონება დაუსერავს?"*

და რამდენი ასეთი ბრწყინვალე ადგილი უნდა ამოწეროს კრიტიკოსმა შოლოხოვის წიგნებიდან, რომ უჩვენოს, თუ რა დიდი ხელოვანია „წყნარი დონის" ავტორი და რა ამაღლებული გრძნო-

* მიხეილ შოლოხოვი, „წყნარი დონი", მეოთხე წიგნი, ქართული გამოცემა, თ. ჯავახიშვილის თარგმანი, 1959 წ., გვ. 12—13.

ბების გამოწვევა შეუძლია მკითხველში უწყინარი პეიზაჟებითაც. უველგან, უველა ტომში „წუნარი დონისა“ თქვენ იხიბლებით ბუნების არა იმდენად სილამაზით, რამდენადაც მისი ულამაზესი აღწერებით. შოლოხოვის კალამი პეიზაჟებშიაც ოქროა, ხოლო შემოქმედებითი ფანტაზია ბუნებაში ბუნებაზე მეტს გვიჩვენებს.

მაგრამ ამბობენ: ყოველ მწერალს, როგორი ტალანტიც არ უნდა ჰქონდეს, ნიჭიერი კრიტიკოსი ესაჭიროებაო. ეს მართალია. მაგრამ გენიოს მწერლებს სახელისათვის მარტო კრიტიკოსები არ ესაჭიროებათ. მათი ქმნილებანი თვითონვე აკეთებენ ამას უველაზე უკეთესად, რასაც ვერც ერთი კრიტიკოსი ვერ შეიძლებდა. კრიტიკოსი შეიძლება მხოლოდ დაეხმაროს მკითხველს მწერლის ღრმად გაგებაში. ეს სხვა საქმეა და შოლოხოვს ეს პირდაპირ ეხება. რად უნდა მას მკითხველთა შორის პოპულარობისათვის კრიტიკოსი, როცა მისი ნაწერები თვითონვე შესანიშნავად ასრულებენ ამ დიდ მისიას“! დაიწყეთ მისი ნაწარმოებების კითხვა და თქვენ მათ ველარ მოსცილდებით. გენიოსი მწერლის სახელს შორს სტყორცნის არა მარტო კრიტიკოსი, თვით შემოქმედება! ცათ შორის დგას მიხეილ შოლოხოვი, როგორც გენიოსი ხელოვანი, სიცოცხლეშივე კლასიკოსად აღიარებული.

მაგრამ სიცოცხლეშივე ცოცხალ კლასიკოსად აღიარება მხოლოდ ერთეულთა ხვედრია. ამ ერთეულთა შორის დგას შოლოხოვი — მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი უდიდესი ლევიათანი, რომელსაც მსგავსი არაეინა ჰყავს და სრულიად ორიგინალურია როგორც თავისი რომანების თემით, ისე შემოქმედებითი დიაპაზონით. ის ცხოვრობს ვეშკაში, სადაც მისი საყვარელი გმირების თავგადასავალი ღატრიალდა, ჰქმნის ვეშკაში, გარშემორტყმული მისივე შემოქმედების ცოცხალი ადამიანებითა და მათივე ორეულებით. მხატვრული სამყარო შოლოხოვისა იმდენად ფართო, იმდენად ვრცელია, რომ გაოცებული ხართ მისი სიღრმითაც და სიმაღლითაც. რამდენი ცხოვრებისეული ნათელი ფურცელია იქ, მაგრამ რამდენი ლექსიკაა და ტალახიც. არც ერთის სრულად. მთელი სიღრმე-სიგანით გამოხატვას შოლოხოვის პალიტრა არ მორიდებია, თითქოს ჩვენი დიდი ილიას მოთხოვნა შეესრულებინოს — არც ერთი მათგანის გამოხატვას მწერალი არ უნდა მოერიდოსო. შოლოხოვი არა თუ მორიდებია, არ გვეგულება ჩვენი

დროის მეორე მწერალი, რომელსაც გუშინდელ ჩვენს ცხოვრებასა და ისტორიაზე ამდენი სიმართლე ასე გაბედულად, პირდაპირ რაინდული თავგამეტებით ეთქვას. ეს შოლოხოვია — ჩვენი დიდი შოლოხოვი, რომელსაც მხოლოდ ერთი მხატვრული მეტრი აქვს — სიმართლე და მხოლოდ ერთი ბარიერი გააჩნია — სიმართლე! ამით იღებს ის ყველა სიმაღლეს თავის დიდ შემოქმედებაში და ამითვე ძლევს ყველა და ყოველგვარ დაბრკოლებას, თუკი ოდესმე შეხვედრია მხატვრული შთაგონების გზაზე. მაგრამ შეხვედრია? შემოქმედება სდუმს, როგორც დუმილით უვლიან გვერდს ანალოგიურ კითხვას გენიოსთა ქმნილებანი. აპრიორი კი თავის თავს არღვევს და აშკარად გვეუბნება: გადაულახავი წინააღმდეგობანი იყო, მაგრამ ტიტანისათვის ისინი არ არსებობდნენო.

ეს ტიტანი შოლოხოვია და თვითონვე განასახიერებს ამაღლებულს, როგორც შემოქმედი, ხელოვანი, ოსტატი. ამგვარი ოსტატები უცვლელნი რჩებიან თავიანთი მხატვრული სიმაღლით, როგორც ჩვენი მყინვარი სახეს არ იცვლის წლის დროთა მიხედვით.

შოლოხოვი ყველგან დარჩა შოლოხოვად. ასე ამბობენ ხალხში „წყნარი დონის“ ავტორზე. ასე იტყვიან ყოველთვის, როცა გაიხსენებენ გალაკტიონ ტაბიძის სიტყვებს: „ბევრი მიეცა ტალახსა და ლექს“. მაგრამ შოლოხოვი დარჩა შოლოხოვად. ის არსად არ წასულა ძველი შოლოხოვისაგან. ღმერთმა ნუ ქნას რომ სხვაგან წავიდეს. ის უნდა დარჩეს შოლოხოვად. და განა ჩვენთვის ყოველთვის სასახელო არ იქნება, რომ შოლოხოვი ყოველთვის შოლოხოვი იყოს? დიახ, ეს სასახელოა და შოლოხოვს მხოლოდ ერთ რამეს ვუსურვებთ: შოლოხოვი ყოველთვის შოლოხოვი იყოს ცხოვრებაშიც და თავის განუმეორებელ ეპოსში, რომლითაც ამაღლებულის გრძნობას გვიღვივებდა და თვითონაც ამაღლებული სახით წამოიმართა მკითხველის ცნობიერებაში.

როგორც ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“ დარჩა ყველაზე უდიდეს მხატვრულ ძეგლად პირველი სამამულო ომისა, ისე შოლოხოვის „წყნარი დონი“ საბჭოთა ლიტერატურის ისტორიას ყოველთვის დაამშვენებს 1914—1921 წლების მანძილზე ორი ომისა და რევოლუციის ოსტატური ასახვით. შემთხვევითი არ იყო, რომ

შოლოხოვის პირველი წიგნის გამოქვეყნებისთანავე ლიტერატურულმა კრიტიკამ რაღაც საერთო დაინახა ტოლსტოისა და შოლოხოვის მხატვრულ მეთოდთა შორის. რა თქმა უნდა, შოლოხოვს არ მიუმართავს ტოლსტოის მხატვრული მეთოდისათვის, მაგრამ კალმის მოსმის დიაპაზონით, ფსიქოლოგიური ჩაღრმავებით, ხასიათების, ტიპების, სიტუაციების გადმოცემის ძიძლიერით რომ მართლაც იყო ბევრი საერთო, — ეს სრულიად უეჭველია. მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა მწერალი ერთბაშად ავიდა მსოფლიო რანგის ხელოვანის კვარცხლბეკზე და მისი წიგნები სწრაფად მოედო კონტინენტს. ასეთი ნახტომი მხოლოდ გენიოსს შეუძლია გააკეთოს და დღეს ვერავინ უარყოფს, რომ მიხეილ შოლოხოვი ნამდვილად გენიოსი რომანისტია.

უადგილო არ იქნება გავიხსენოთ ერთი ისტორიული ფაქტი. როცა 1934 წელს ინგლისში გამოვიდა „წყნარი დონი“, შოლოხოვმა ინგლისელი მკითხველებისათვის დაწერა თავისი წიგნის სპეციალური წინასიტყვაობა, რომელშიაც მოკლედ, მაგრამ მთელი პირდაპირობით სთქვა ჭრელი სიმართლე, თუ რას წარმოადგენს მისი შემოქმედება და რა არის რომანში ნაჩვენები. „წყნარ დონს“ ინგლისელი მკითხველი და პრესა (ბუნებრივია, შედარებით ლიბერალური და პროგრესული), გულთბილად შეხვდა. ამან გაახარა მწერალი, განსაკუთრებით იმიტომ, რომ „ინგლისი — სამშობლოა დიდი მწერლებისა, რომლებმაც მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში შეიტანეს საკმაო ღირებულებანი და ხელი შეუწყვეს თავიანთი უკვდავი შემოქმედებით ინგლისელ მკითხველთა გემოვნების აღზრდას“.* ასეთი მკითხველისათვის „წყნარი დონი“ შეიძლება ბოლომდე გაგებული არ აღმოჩენილიყო, მით უფრო, რომ ზოგიერთმა ინგლისელმა კრიტიკოსმა დაუფარავად გამოთქვა აზრი, რომელსაც შესაძლოა არაერთი მკითხველი დაიჯერებდა. ამიტომ შოლოხოვმა არამარტო პასუხი გასცა ინგლისურ კრიტიკას, ზოგადადაც განმარტა საკუთარი შემოქმედების არსება, კვინტ-ესენცია, როგორც თეორეტიკოსები იტყვიან.

რაში მდგომარეობს ეს კვინტ-ესენცია?

„ჩემს ამოცანაში შედის, — წერს შოლოხოვი, — არამარტო

* მიხეილ შოლოხოვი, „სულის კარნახით“, 1970 წ., გვ. 225 (რუს. გამ.).

ეჩვენო დონის მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ფენები ორი ომისა და რევოლუციის დროს; არამარტო კვალდაკვალ მიყვე ტრაგიკულ ბედს ადამიანებისა, რომლებიც მოხვდნენ მძლავრ მორევში ამბებისა, 1914—1921 წლებში რომ ხდებოდა, არამედ, ეაჩვენო ადამიანები საბჭოთა ხელისუფლების მშვიდობიანი მშენებლობის წლებშიც. ამ ამოცანას ეძღვნება ჩემი უკანასკნელი წიგნი — „გატეხილი ყამირი"*.

შოლოხოვის შემოქმედების უკეთესი მოკლე დახასიათება შეუძლებელია. ეს პირდაპირ მორგებული გაბაღებია სწორად ახსნა და განმარტო „წყნარი დონის" ავტორის მხატვრული სპეციფიკის ძირითადი საკითხი — მისი ოსტატობის ინდივიდუალობა. ეს უკანასკნელი იმდენად ღრმა, ორიგინალური, იმდენად დიდი, კოლორიტული და სრულიად თავისებურია, რომ ანალიზი უალრესად ვრცელ გამოკვლევაშიც ძნელად თუ ჩაეტევა. როდი კმარა შოლოხოვის რომანები, მოთხრობები, პუბლიცისტური წერილები გაარჩიო. კრიტიკული განხილვის ამ ჩვეულებრივი გზით საკითხს ვერ ამოწურავ. საჭიროა ღრმად ჩაწვდე „წყნარი დონის" ავტორის მხატვრული სპეციფიკის მთელ საიდუმლოებას, მის პოეტიკას, ესთეტიკას, ცხოვრებისეულ ფილოსოფიას, ადამიანის სულის ნიუანსების ცოდნას, ფსიქოლოგიას. თითოეულ ამ დარგში შოლოხოვმა ახალი სიტყვა თქვა, ახალი ფურცელი გადაშალა, მხატვრული წარმოსახვა მეცნიერული შემეცნების დიდ სიმაღლეზე აიყვანა. ყოველივე ამან, მძაფრ სიუჟეტებთან ერთად, უეჭველად განაპირობა ვიოშკელი ბრძენის უმაგალითო წარმატება ყმაწვილობის ასაკიდანვე, როცა მისი პირველი წიგნები მკითხველებმა შიიღეს და ერთბაშად აიტაცეს. ყველგან, სადაც შოლოხოვის მხატვრული სიტყვა მივიდა, სადაც მისი გმირები გამოჩნდნენ, მკითხველმა მასებმა უმალ იგრძნეს გენიოსის შთამაგონებელი ძალა და ოსტატობა. გემოვნებით დაჯილდოებული ინგლისელი მკითხველი ამ მხრივ გამონაკლისს არ შეადგენდა. კრიტიკას რაც შეეხება, მოწონების პარალელურად მან აღნიშნა, როგორც თვით შო-

---

* მიხეილ შოლოხოვი. „სულის კარნახით", 1970 წ., გვ. 225 (რუს. გამ.).

ლოხოვი ამბობს, „სინამდვილის „სასტიკი“ ჩვენება“, „საერთოდ“ რუსული ზნე-ჩვეულებების სისასტიკე“*.

როგორი პასუხი გასცა ამ საყვედურებს თვითონ მწერალმა?

„პირველს რაც შეეხება, — წერს შოლოხოვი, — ვღებულობ რა ამ საყვედურს, მაშინ, მე ვფიქრობ, რომ ცუდი იქნებოდა ის მწერალი, რომელიც შეალამაზებდა სინამდვილეს სიმართლის პირდაპირ საზიანოდ და შეიბრალებდა მკითხველის გრძნობიერებას ყალბი სურვილით შეგუებოდა მას. ჩემი წიგნი არ განეკუთვნება თანრიგს იმ წიგნებისა, რომლებსაც სადილის შემდეგ კითხულობენ და რომელთა ერთადერთი ამოცანაა ხელი შეუწყოს მშვიდობიან საშშლის მონელებას.

ხოლო რუსული ზნე-ჩვეულებების სისასტიკე საეჭვოა აღემატებოდეს რომელიმე ჩვენი ერის ზნე-ჩვეულებათა სისასტიკეს... და განა უფრო მეტად სასტიკნი და არაადამიანურნი არ იყვნენ ის კულტურული ერები, რომლებიც 1918—1920 წლებში თავიანთ ჯარებს აგზავნიდნენ ჩემი გატანჯული სამშობლოს წინააღმდეგ და შეიარაღებული ხელით ცდილობდნენ თავიანთი ნება-სურვილი მოეხვიათ რუსი ხალხისათვის?“**

დამეთანხმებით, რომ აბსოლუტურად ზუსტი და სწორი პასუხია გაცემული ინგლისურ კრიტიკაზე. შოლოხოვის „წყნარ დონის“ ერთი უდიდესი ღირსებათაგანი, ისევე, როგორც მისი „დონური მოთხრობებისა“ და „გატეხილი ყამირისა“, საერთოდ, მთელი შემოქმედებისა, სწორედ ის არის, რომ არსად, არცერთ პასაჟშიაც კი მწერალს არაფერი შეულამაზებია, არაფერი შეუფერადებია მხატვრული სიმართლის საზიანოდ, არ შეუბრალებია მკითხველის გრძნობიერება, რომ მისი გული ყალბად მოეგო, პირიქით, დაუნდობლად მიჰყავდა იგი მთელი რომანის თითოეულ გვერდზე, უმძიმეს განცდათა ხვეულებთან ერთად აზიარებდა ჭეშმარიტ სურათებს, რომლებშიაც სოციალური უკუღმართობანი, კლასობრივი ბრძოლები, ანტაგონისტური ძალები ისე ირეოდნენ ერთმანეთში, როგორც ურაგანის დროს გზადშეხვედრილი ქარავნების ნაფლეთები.

---

* მიხეილ შოლოხოვი, „სულის კარნახით“, 1970 წ., გვ. 225 (რუს. გამ.).

** იქვე, გვ. 226.

როცა შოლოხოვს კითხულობთ, თქვენს წინაშე გადაიშლებიან დონის სტეპები — უსასრულონი, მკაცრნი, აღსავსენი ათასგვარი სიუხვით და კიდევ უფრო მდიდარნი ზღაპრული თქმულებებით: გამოჩნდებიან ბისი ამაყი შვილები, პურმარილიანნი, ნაბუსიანნი და შეუპოვარნი, განსაცდელს რომ არ გაურბიან, პირიქით, ფანატიკურად გადაეშვებიან ხოლმე თავგადასავალთა მორევში. ეს შვილები კაზაკები არიან. კაზაკობამ მისცა რუსეთის ისტორიას მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლი ისეთი დიდი მეომბოხენი, როგორიც იყვნენ სტენკა რაზინი და ემელიანე პუგაჩოვი — ხალხის უნაპირო რისხვის გამომხატველი ეს ორი უშიშარი რაინდი, ორი ლევიათანი. დონის ველები მოწმენი არიან მათი უმაგალითო შემართებისა და დონის ველებს დღემდე არ დავიწყნიათ თავიანთ დიდ შვილებზე ხალხის მიერ შეთხზული მიმზიდველი ლეგენდები. ეტყობა, კაზაკობას ემართა აგრეთვე მიეცა რუსეთისათვის მეორე რაზინი, მეორე პუგაჩოვი — ტალანტის, სიმართლის, სიმამაცის, ხალხის დამცველის, ექსპლოატაციის წინააღმდეგ უშიშარი მებრძოლის განსახიერება ლიტერატურაში — შოლოხოვის სახით. ამ გაგებით შოლოხოვი ჩვენი ლიტერატურის სტენკა რაზინი და ემელიანე პუგაჩოვია. მან დედის რძესავით შეიწოვა თავისი მშობლიური მხარის ყველა ძვირფასი რელიქტი, რომელსაც ბევრი პიროვნული ღირსებაც მიუმატა. არავისათვის საიდუმლო არ არის, რომ დონის ველებზე კაზაკების სულიერ ცხოვრებას იშვიათად როდი შეედინებოდა რუსულ-უკრაინული და კავკასიური სპეციფიკური კულტურის თავისებურებანი. შოლოხოვის რომანებსა და მოთხრობებში ეს შედინება ორგანულ ნაწილად გაუხდია კაზაკურ სულს, აღზრდილს დონის ველთა სიუხვესთან ერთად ბუნების მკაცრი ცვალებადობითაც. იქ ზაფხულის სიცხე ხშირად წვავს არემარეს, ხოლო ზამთრის ყინვები, ქარიშხლით გამძაფრებულნი, ლეწავენ ძვალსა და რბილს. რა უნდა ქნას ადამიანმა, სოციალური უსამართლობით ისედაც მძიმე განსაცდელში ჩავარდნილმა, როცა შეუპოვარი ბრძოლის დროს ამ ყინვასა და ქარიშხალში მოხვდება? მას არაფერი დარჩენია, გარდა უკანასკნელი ძალების დაძაბვისა, უკანასკნელი გაბრძოლებისა სიკვდილის წინ, და ის კვდება, კვდება უსახელოდ, დაუტირებლად, ან იმარჯვებს როგორც დონელი პიროსი, რომელ-

საც სულთმობრძავი სიცოცხლის მეტი უკვე აღარაფერი დარჩენია. ჩაცრია სინამდვილე, კიდევ უფრო მძიმეა ანტაგონისტური სოციალური ყოფა, ყოველივე ეს კი აყალიბებს ადამიანის ისეთ ფსიქიკურ წყობას, რომელშიაც უდრეკ სულს რკინისებური ნებისყოფა მოდგამს, ხოლო სიყვარულის გრძნობას — სიცოცხლისადმი უსაზღვრო ლტოლვასთან ასოცირებული სინაზე და სისასტიკე. ყველაფერი ეს შეიძლება დაინახოთ მარტო გრიგორი მელეხოვის, აქსინიას და ნატალიას ტრაგიკულ ბედში, რომანის სხვა გმირებზე აქ რომ არაფერი ვთქვათ.

მეორე საყვედურს თუ განვიხილავთ, მთელმა მსოფლიომ, უახლესმა ისტორიამ ძალიან კარგად იცის, თუ რა მოხდა პირველი მსოფლიო ომის დამთავრებისა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, როგორ დაიწყო სამოქალაქო ომი საბჭოთა რუსეთში, ვინ და რა რაოდენობის შეიარაღებული ძალები მოაყარა ჩვენს ქვეყანას კონტრრევოლუციის დასახმარებლად. გაიხსენეთ ანტანტა, კბილებამდე შეიარაღებული თოთხმეტი იმპერიალისტური სახელმწიფოს „ლაშქრობა", სამოქალაქო ომის უაღრესად მძიმე, ტრაგიკული სცენები, შეადარეთ ერთმანეთს ის სისასტიკე, რომელსაც მომხვდურნი და დამხვდურნი იჩენდნენ და თქვენთვის უფრო ნათელი გახდება ინგლისურ კრიტიკაზე შოლოხოვის პასუხის მთელი სიდიადე. ინგლისურ კრიტიკაში პარადოქსალური ჩანს თვით საყვედურის არსება. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანს ჩხუბი აუტეხო და შემდეგ უსაყვედურო— რატომ ჩხუბობდიო!

ახლა ვნახოთ, თუ რა არის „წყნარ დონში" მოცემული და რას წარმოადგენს თვით რომანი, როგორც ტეტრალოგია.

2

„წყნარი დონის" პირველი წიგნი იწყება მელეხოვების კარგიდამოს აღწერით და უკანასკნელი მეოთხე წიგნი მთავრდება იმავე სურათით, მაგრამ სულ სხვა სიტუაციაში: შვიდი წლის შემდეგ აღარავინაა შინ, მამიდა დუნიაშა და მიშატკას მეტი. ნაომარი, ტანჯული გრიგორი ეს-ესაა დაბრუნდა, შვილი, რომელმაც ძლივს იცნო წვერიან, „გარეგნულად საშინელ ადამიანში მამა", აიყვანა,

„მშრალი აგზნებული თვალებით“ დაუწყო ყურება... მთელი ეს სურათი, ზამთრის სიცივის შეგრძნებასთან ერთად, კიდევ უფრო გვიყინავს სულს ავტორის ბოლო რემარკით: „რას იზამ, აუსრულდა კიდეც გრიგორის ის პატარა ნატვრა, რაზეც იგი უძილო ღამეებში ოცნებობდა. იგი მშობლიური სახლ-კარის წინ იდგა, ხელში ვაჟიშვილი ეჭირა...

ეს იყო უველაფერი, რაც მას ცხოვრებაში დარჩა, რაც ჯერჯერობით კიდევ აკავშირებდა მას მიწასთან და მთელ ამ უშველებელ, ცივი მზის ქვეშ ბრწყინვალე სამყაროსთან“ (ტ. V, გვ. 552).

მრავლისმთქმელია ეს „ცივი მზე“, ფიზიკურად და სულიერად, უკეთესი ეპითეტი ვერც მოინახება ზემოდაღწერილი სურათის დახასიათებისათვის. მანამდე კი, სახლთან მოახლოებამდე, ჩუმაკოვის განადგურებული ბანდიდან მოსულმა გრიგორიმ „შაშხანა და ნაგანი წყალში ჩაყარა, თან შემდეგ ვაზნებიც მიაყოლა და ფარაჯის კალთებზე კარგად გაიწმინდა ხელები“. ეს იყო მძიმე წარსულთან კავშირის გაწყვეტა, დანაშაულის გამოსყიდვის გულწრფელი ცდა, მაგრამ... ვერავინ იტყვის რა შედეგი მოჰყვებოდა ამას, ავტორიც არაფერს გვეუბნება, ის თავის გმირს ამის შემდეგ აღარც გვიჩვენებს. ასე უჩვეულოდ მთავრდება „წყნარი დონი“, მისი დასაწყისი კი არანაკლებად ასევე უჩვეულოა.

მელეხოვის კარმიდამოს ძალიან მოკლედ აღწერის შემდეგ ავტორი გვაცნობს რომანის მთავარი გმირის გრიგორი მელეხოვის გენეალოგიას.

გრიგორის მამა პანტელეი უცნაურად მოვიდა ამ ქვეყნად. თურქეთის ომიდან დაბრუნებულმა პროკოფი მელეხოვმა ცოლიც მოიყვანა — ტყვე თურქი გოგონა, რაც ოჯახმა და მთელმა ხუტორმა შეურაცხყოფად მიიღო. პროკოფიმ ცალკე აიშენა ქოხმახი, შიგ მოთავსდა ცოლთან ერთად, მაგრამ საშინელი უბედურება ეწვია: ხმა გაავრცელეს — პროკოფის თურქი ცოლი ჯადოქრობს, ძროხა რომ მოწველა, ის ძროხა მოკვდა, მანამდე კი რძე გაუშრაო. იმ წელს საქონლის დიდი დაცემა იყო ხუტორში, ეს ჭირი მიაწერეს საბრალო ქალს, შეუვარდნენ ოჯახში, თმებით ათრიეს და გვემით სიკვდილის პირამდე მიიყვანეს. საღამოს პროკოფის ცოლი გარდაიცვალა, ცემისაგან უდროო მშობიარობას გადაჰყვა. ახლადშობილი ბავშვი, რომელსაც პანტელეი უწოდეს, მამის მხრივ

ბებიამ წაიყვანა გასაზრდელად, თვით პროკოფი, რომელმაც ცოლის დაცვა სცადა და კაზაკებს შეება, კატორღაში გააგზავნეს. თორმეტი წლის შემდეგ პროკოფი დაბრუნდა კატორღიდან, შვილი აღზარდა, მშვენიერი ჰაბუკი გამოვიდა, სახით დედის მსგავსი, ენერგიული და მშრომელი, თუმცა ახალგაზრდობის დროს, დოღზე საიმპერატორო დათვალიერების დროს მარცხენა ფეხი მოიტეხა, დაკოჭლდა. პანტელეის ცოლად შერთეს მეზობლის კაზაკი ქალი, რომლისაგან სამი შვილი ეყოლა — პეტრე — უფროსი ვაჟი, გრიგორი — ექვსი წლით უმცროსი, დუნიაშკა — ქალიშვილი. ამ დროიდანო, — გვეუბნება ავტორი, — თურქის სისხლი შეერია კაზაკისას, ლამაზი მელეხოველების თაობა წამოვიდა, რომელსაც ზედმეტსახელად თურქებს ეძახდნენ. პეტრემ ცოლად შეირთო დარია, მათ ჰყავთ პატარა ბავშვი და ეს არის მელეხოველების მთელი ოჯახი იმ დროს, პირველი მსოფლიო ომის დაწყების წინ, როცა პროკოფი უკვე აღარ არის ცოცხალი. ოჯახის მეთაური პანტელეი პროკოფიჩია, რომლის პრაქტიკულმა ჭკუამ და შრომისმოყვარეობამ, რასაც თან ერთვოდა უფროსის სიფიცხესთან დაკავშირებული სიმკაცრე, უზრუნველჰყო სოფლის კეთილობაზე გვარიანად ეცხოვრათ.

პირველი წიგნის მეორე თავიდან იწყება ამ ცხოვრების მხატვრული აღწერა, რამაც მთელი ეპოსი შეადგინა. ჩვენ ვხედავთ განთიადისას დონის ლამაზ ბუნებას, ცაზე ვარსკვლავების ლივლივს, ღრუბლებიდან ამომტყდარ ბორიოს, ნისლს, მთებიდან გველივით რომ ეშვება ძირს, მელეხოველების სახლში ყველაზე ადრე გაღვიძებულ პანტელეის, შემდეგ დარიას—ძროხების მოსაწველად რომ მიდის—ერთი სიტყვით, კაზაკური ხუტორის ჩვეულებრივი დღე გადმოცემულია მთელი თავისი ყოფითი დეტალებითა და ეთნოგრაფიული ნიუანსებით. პანტელეი აღვიძებს გრიგორის და სათევზაოდ მიჰყავს დონზე. თევზაობის სცენა გადმოცემულია ამ საქმის არაჩვეულებრივი შოლოხოვისებური ცოდნით, რასაც ის შემდგომაც გვიჩვენებს არამარტო „წყნარ დონში“, არამედ, „გატეხილ ყამირსა“ და სხვა ნაწარმოებებში. მაგრამ მკითხველი გრძნობს, რომ ეს თევზაობა მიზეზი თუ ფონი იყო პანტელეის მიერ შვილისათვის დიდი საიდუმლოს გამხელისა. ყოველთვის მკაცრმა და ტრადიციების ერთგულმა პანტელეიმ შვილს უთხრა—

სტეფანე ასტახოვის ცოლს აქსინიას თავი დაანებე, მეზობლის შეურაცხყოფა იქნება, შეიძლება დანაშაულშიც გადაიზარდოსო. გრიგორი, რომელიც ნამდვილად შეყვარებულია აქსინიაზე, ყალბად უარყოფს ბრალდებას, რაზეც მამა, გამწარებისაგან, შვილს „ძაღლისშვილს“ უწოდებს. რას იზამთ: პანტელეის სიფიცხე ზოგჯერ გაშმაგებამდე მიდის და, რა გასაკვირია, თუ ახლაც ასე იქცევა.

აქ პირველად გაისმის აქსინიას სახელი. მკითხველი მხოლოდ შემდეგ გებულობს, რომ მანამდე უკვე არაერთი უბედურების გადამტან ქალს გრიგორიზე თავიდან არც კი უფიქრია. საამისოდ მას არც ეცალა: ჯერ იყო და საკუთარმა მამამ, ორმოცდაათი წლის მოხუცმა თექვსმეტი წლის ასაკში ნამუსი ახადა (გვ. 37-38), რასაც ჩვენ მეოთხე წიგნის განხილვისას დაწვრილებით შევეხებით. ერთი წლის შემდეგ გაათხოვეს სტეფანე ასტახოვზე, რომელმაც ქორწინების მეორე დღეს სასიკვდილოდ სცემა. წლინახევრის შემდეგ ბავშვი შეეძინა და იმავე დღეს დედამთილი გარდაეცვალა. ერთი წლისაც არ იყო შვილი, როცა მოუკვდა. მართალია, იმ საბედისწერო ცემის შემდეგ აქსინიას უკვე აღარ ჰქონდა ქმრისადმი გრძნობა, მაგრამ შვილის გამო სტეფანესთან მას აკავშირებდა „მწარე ქალური სიბრალული და ჩვევა“ (გვ. 39), როგორც ავტორი გვეუბნება. ამიტომ რა მართებულია მისივე სიტყვები: «И когда Мелехов Гришка, заигрывая, стал Аксинье поперек пути, с ужасом увидела она, что ее тянет к черному ласковому парню. Он упорно, с бугаиной настойчивостью, ее обхаживал. И это-то упорство и было страшно Аксинье. Она видела, что он боится Степана, нутром чуяла, что так он от нее не отступится, и, разумом не желая этого, сопротивляясь всеми силами, замечала за собой, что по праздникам и в будни стала тщательней наряжаться, обманывая себя, норовила почаще попадаться ему на глаза» (გვ. 39).

თუ ავტორის ამ სიტყვებს კარგად დაეუკვირდებით, უეჭველად მივხვდებით, რომ აქსინიას ხასიათში ეროტიული გრძნობა პრევალირებული არ არის, როგორც ზოგიერთს შეიძლება მოეჩვენოს. მამისადმი წინააღმდეგობა თუ სავსებით ბუნებრივია, სტეფანესადმი ერთგულება სამი წლის მანძილზე, იმ პირობებში, რო-

ნელშიაც მოექცა, მას უეჭველად ქალურ სისპეტაკედ უნდა ჩაეთვალოს. ის არ არის ავხორცი მაშინაც კი, როცა ლამაზი გრიგორი მელეხოვი ათასგვარი ფანდით ცდილობს მისი გულის მოგებას, — თავს იკავებს, გულცივად ხვდება, არ ეშინია, რომ მოერევიან (თავიდანვე რწმენა აქვს გაუძლოს შემოტევას), მაგრამ, როცა იგრძნო თავის არსებაში სიმპათია „მოალერსე შავი ბიჭისადმი", რასაც ამ უკანასკნელის ძლიერი შეუპოვრობა ემატებოდა, უკვე შეშინდა — ეს შეუპოვრობა საშინელ ძალად წარმოესახა. შემდეგ ყველაფერი ბუნებრივად წავიდა: მისთვის თბილი და სასიამოვნო შეიქნა გრიგორის შავი თვალების ალერსიანი გამოხედვა, დილით ძროხების მოწველის დროს, უნებლიეთ ფიქრობდა, რომ იყო რაღაც სასიხარულო — ეს იყო გრიგორი, გრიშკა, რომლის სახელი მას აშინებდა, მაგრამ რომელმაც მთელი მისი არსება მოიცვა. მიუხედავად ასეთი გატაცებისა, ბანაკში ქმრის წასვლის შემდეგ, მარტო დარჩენილი აქსინია მტკიცედ გადაწყვეტს, რომ გრიგორის რაც შეიძლება იშვიათად შეხვდეს. ესეც უეჭველად ლაპარაკობს აქსინიას ქალურ თავშეკავებასა და პატიოსნებაზე. და მხოლოდ ერთხელ, როცა გრიგორისაგან საყვედური მიიღო — **რატომ ასე უმეხად მელაპარაკებიო,** — აქსინიამ თავი ძლივს შეიკავა, ნაგრამ ბოლოს უარი მაინც უთხრა — დიდ თამაშობაზე არ მოვალო. ასეთია თავდაპირველი აქსინია, ტრაგიკული გრძნობისა და დრამატული სიყვარულის ოკეანეში აზვირთებულ ტალღებზე მოთამაშე, ბედის ანაბარად მიტოვებული, ბედისა, რომელიც მისთვის ყოველთვის სასტიკი, ყოველთვის ულმობელი იყო, გარდა გრიგორისთან ხანმოკლე, ზიგზაგი ცხოვრების წამიერი ნეტარებისა.

ეს წამიერი ნეტარება დაიწყო მას შემდეგ, რაც დრომ და ძლიერმა სიყვარულმა თავისი გაიტანა. გრიგორის გონება, მთელი მისი არსება აქსინიამ დაიპყრო, ხოლო ამ უკანასკნელსაც კარგი დღე არ ადგა: მელეხოვი გადაულახავ კლდედ აღიმართა მის წინაშე. ბალახის თიბვის დროს თუმცა გესლიანად დასცინოდა გრიგორის, სიძულვილით შეჰყურებდა, თითქოს შურს იძიებდა დაუვიწყარი შეურაცხყოფისათვის, მაგრამ გვიან ღამით როგორღაც თვითონვე გაემართა მელეხოვისაკენ, რომელიც მისკენ ასევე მოდიოდა. «У нее подгибались в коленях ноги, дрожала вся, сотрясаясь, вызванивая зубами» (გვ.

48). ასეთ პირობებში, ასეთი უძლიერესი განცდების მონობაში რა არ შეიძლება მოხდეს: ცეცხლისაგან რკინა დნება, სიყვარულის ცეცხლისაგან ქალი თავს როგორღა დაიხსნის! მით უფრო ისეთი კაცის ხელში, როგორიც ჰაბუკი მელეხოვია. «Рывком кинул ее Григорий на руки—так кидает волк к себе на хребтину зарезанную овцу...» (იქვე). ბრწყინვალე შედარებაა—მართლაც შოლოხოვისებური; კაზაკურია, როგორც მომდევნო სცენა:

«—Ой, Гри-и-иша... Гришень-ка!.. Отец...

—Молчи!..

Вырываясь, дыша в зипуне кислиной овечьей шерсти, давясь горечью раскаяния, Аксинья почти крикнула низким, стонущим голосом:

—Пусти, чего уж теперь... сама пойду!...» (გვ. 48).

და წავიდა, წაჰყვა მელეხოვს ეროტის ქვეყნისაკენ.

მაგრამ ქვეყანას, სოფლის თვალს რა დაემალება და გრიგორის ურთიერთობამ აქსინიასთან ყველა აალაპარაკა. ყველაზე გვიან ვაჭარ მოხოვისაგან ეს შეიტყო პანტელეი პროკოფიჩმა. გამწარებული მოხუცი ხუტორში დაბრუნებისთანავე აქსინიასთან მიიჭრა, ეგონა მუქარით ჭკუაზე მოიყვანდა ქმრის მოღალატე ქალს, მაგრამ სასტიკად მოტყუვდა. აქსინია ვერ შეაკრთო პანტელეის სიტყვებმაც—სტეფანეს ყველაფერს მივწერო. გარეთ გამოაგდო, მწარე სიტყვებიც მიახალა: «Ступай, откель пришел! А Гришку твоего, захочу—с костями съем и ответа держать не буду!.. Вот на !Выкуси! Ну, люб мне Гришка. Ну? Вдаришь, что ль? Мужу пропишешь?... Пиши хучь наказному атаману, а Гришка мой! Мой! Мой! Владаю им и буду владать!» (გვ. 50).

დამეთანხმებით, რომ ეს არის არამარტო უსაზღვროდ შეყვარებული ქალის, არამედ თავგანწირვამდე მისული ადამიანის შინაგანი სულის კივილი, რასაც ვერაფერი ჩაახშობს და ვერაფერი შეაჩერებს, გარდა თვით სიყვარულით ტკბობისა. სიყვარულს ხომ გიგანტური ძალა აქვს: როგორი ნაზიც არ უნდა იყოს, შეუპოვარია, როგორც აქსინია პანტელეი მელეხოვისადმი. ეს შეუპოვრობა კაზაკ ქალში იმ დღიდანვე გაჩნდა, როგორც კი გრიგორისთან იცხოვრა. თითქოს დაღი ამოუწვეს, იმ დღიდან უკვე სხვა აქსინიად

იქცა, ახალ აქსინიად, რომელიც მზადაა გრიგორისათვის ყველაფერს გაუძლოს, ყველაფერი აიტანოს. გრიგორი მელეხოვიც ასეთი ხდება, თუმცა ზოგჯერ იძულებულია მრისხანე მამის არაერთი სურვილი დააკმაყოფილოს. სასტიკად სცემა მამამ, რომელიც ის-ის იყო აქსინიასაგან შერცხვენილი და გამწარებული დაბრუნდა. მუქარაც გაიგონა — სულელ მარფუშკას ცოლად დაგისვამ, ხვალვე დაგინიშნაო.

ყველაფერი ეს ხდება სტეფანე ასტახოვის დაბრუნებამდე. დარჩენილია კვირანახევარი. მაგრამ სტეფანემ ბანაკში გაიგო აქსინიასა და გრიგორის ურთიერთობის ამბავი. ანდრეი ტომილინის ცოლმა ქმარს უთხრა, ქმარმა სტეფანეს, რომელიც ავად იყო და რომელსაც აქსინიას ღალატმა თავზარი დასცა. რაღაც ჯოჯოხეთს მოელის აქსინია, ბობოქარი თავის მწარე სიყვარულში. გრიგორი, მიუხედავად პანტელეის მუქარისა, ყოველ ღამეს აქსინიას სარეცელში ათევს, მაგრამ უფრო დამშვიდებულია. მრავლისმთქმელია ავტორის სიტყვები, რომ «За две недели вымотался он (Григорий -გ. ჯ.), как лощадь, сделавшая непосильный пробег». ერთხელ, როცა აქსინიამ უთხრა: სტეფანეს ჩამოსვლამდე ცხრა დღე დარჩა, მე რა უნდა ვქნაო,—გრიგორიმ უპასუხა,—რა ვიცი! არც ერთს არავითარი გეგმა არა აქვს, გიეურ ტრფობას კი ეტანებიან. შოლოხოვი დიდი დამაჯერებლობით გვიჩვენებს ამ ტრფობის არამარტო შინაგან, გარეგან ნიშნებსაც:

«От бессонных ночей коричневая кожа скуластого его (Григория — გ. ჯ.) лица отливала синевою, из ввалившихся глазниц устало глядели черные, сухие глаза.

Аксинья ходила, не кутая лица платком, траурно чернели глубокие ямы под глазами: припухшие, слегка вывернутые жадные губы ее беспокойно и вызывающе смеялись.

Так необычайна и явна была сумасшелшая их связь, так исступленно горели они одним бесстыдным полымем, людей не совестясь и не таясь, худея и чернея в лицах на глазах у соседей, что теперь на них при встречах почему-то стыдились люди смотреть» (გვ. 53-54). მათი სიყვარული მართლაც გიჟურია, მაგრამ ისე მოტივირებული ავტორის მიერ, ფსიქოლოგიურად

ისე დასაბუთებული, ისე გახსნილი თუ ახსნილი ყველა ნიუანსში, რომ ბუნებრივობა თავის თავს არსად ღალატობს. აქსინიასა და გრიგორი მელეხოვის სიყვარული ერთ-ერთი უძლიერესი ფურცელია ბხატვრული ლიტერატურის ისტორიაში, ფურცელი, რომელიც მანამდე არსებულ უნიკალურ ძეგლებს გვერდს უმშვენებს, თავისი ორიგინალობითაც სრულიად გამორჩეულია.

აი, საუბრობენ საწოლში ერთმანეთს ჩახვეული აქსინია და გრიგორი. თუ პირველს ქმრის დაბრუნება აშინებს, მეორეს ამის დარდი არა აქვს — მხოლოდ ის აწუხებს, რომ მშობლებს სურთ ნატალია მირონოვნა კორშუნოვა ცოლად შერთონ. ეს ამბავი აქსინიამ პირველად შეიტყო და გრიგორის უმალ მიაგება: ნატალია ლამაზი გოგოა, მეტად ლამაზი, შეირთეო! მაგრამ გრიგორის არაფრად მიაჩნია ნატალიას სილამაზე. — მე შენი ქმრობა მინდაო, — ეუბნება აქსინიას. რა გამოსავალია? აქსინია თხოვს გრიგორის — წავიდეთ ხუტორიდან, შახტში მკვიდრი ბიძა მყავს, დაგვეხმარება, ყველაფერს მივატოვებ, ოჯახსაც, ქმარსაც, ერთად ვიცხოვრებთო. მაგრამ გრიგორი მელეხოვი სოფლის კაცია, ქალაქში ვერ გაძლებს, მიწას ვერ მიატოვებს, ხუტორიდან ვერსად ვერ წავა, — ასე ეუბნება აქსინიას. ეუბნება და მართალია — მიწაზე დაბადებულ კაცს, მთელი არსებით მიწასთან შეზრდილს, ასე იოლად როდი შეუძლია მიწის მიტოვება, მელეხოვი გლეხია, გლეხური ბუნების ყველა თვისება ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი და ქალაქის კვამლს როგორ შეეგუება მიწის სურნელებით აღზრდილი კაცი.

დადგა სტეფანე ასტახოვის ჩამოსვლის დღეც. აქსინიას თავისი ცოდვა მეუღლისათვის არც დაუმალავს. ორომტრიალი შეიქნა. სტეფანემ ჯერ უღმერთოდ სცემა აქსინია, შემდეგ ძმები გრიგორი და პეტრე ეძგერნენ ასტახოვს. შეზობელ ოჯახებს შორის მტრობამ დაისადგურა. ამ სცენებს შოლოხოვი ისე გადმოგვცემს, რომ ტანში ჟრუანტელი დაგივლით. არის აქ რაღაც სპეციფიკური — კაზაკური, რომლის სრული შეცნობა ტექსტით უფრო მოსახერხებელია.

ამ ჩხუბისა და აყალმაყალის შემდეგ მელეხოვები აჩქარებენ შვილის დაქორწინებას. გრიგორი ცოლად ირთავს ნატალია კორშუნოვას. იმ დროს, როცა პანტელეი, ილინიჩნა, გრიგორი ხუ-

ტორ ტატარსკში კორშუნოვებთან არიან ნიშნობისათვის, მკითხველის წინაშე პირველად გამოჩნდება თვრამეტი წლის ნატალია, რომლის გარეგნობას შოლოხოვი გადმოგვცემს არა აღწერით, არამედ, მოქმედებაში, როგორც ეს ჰომეროსსა და საერთოდ დიდ მწერლებს ახასიათებთ. სახეების, ფაქტების, მოვლენების, ტიპების, ხასიათების, ბატალური სცენების მოქმედებაში ჩვენება ერთერთი ძირითადი მხატვრული კანონია, რომელიც ჰომეროსისა და შოლოხოვის ეპოსს ერთნაირი ძალით ახასიათებს. დააკვირდით, როგორაა ნაჩვენები ნატალია რომანში პირველი გამოჩენის დროს: ის პორტრეტულად კი არ არის აღწერილი, გრიგორის თვალითაა დანახული თავიდან ბოლომდე. დაუძახეს თუ არა მშობლებმა ნატალიას, რომ მელეხოვებისათვის მომავალი სასძლო ეჩვენებინათ, შოლოხოვი თავის გმირს ასე წარმოგვიდგენს:

«Под черной стоячей пылью коклюшкового шарфа смелые серые глаза. На упругой щеке дрожала от смущения и сдержанной улыбки неглубокая розовеющая ямка. Григорий перевел взгляд на руки: большие, раздавленные работой. Под зеленой кофточкой, охватившей плотный сбитень тела, наивно и жалко высовывались, поднимаясь вверх и врозь, небольшие девичьекаменные груди, пуговками торчали остренькие соски.

Григорьевы глаза в минуту обежали всю ее—с головы до высоких красивых ног. Осмотрел, как барышник оглядывает маткукобылицу перед покупкой, подумал: «хороша»-и встретился с ее глазами, направленными на него в упор. Бесхитростный, чуть смущенный, правдивый взгляд словно говорил: «Вот я вся, какая есть. Как хочешь, так и суди меня».—«Славная»,—ответил Григорий глазами и улыбкой» (გვ. 69).

ესაა მთელი ნატალია, თვრამეტი წლის გოგონა, რომელიც ნიშნობის წინ გვიჩვენა ავტორმა მოქმედებაში, თუმცა სცენა სიტუაციის გამო უფრო სტატიკურია, სამაგიეროდ, შინაგანი მოქმედებითაა სავსე. მოსაწყენი აღწერა, მსგავსად ჰომეროსისა, შოლოხოვს არ უყვარს, რომლის მაგალითებსაც ჩვენ არაერთგზის ვიხილავთ „წუნარ დონში“.

ერთი ასეთი მაგალითია გრიგორისა და აქსინიას ურთიერთობის შეწყვეტა, რაც შეეძლო მწერალს გაეკეთებინა სულ უბრალოდ — მკითხველისათვის ეთქვა: სტეფანეს ჩამოსვლის შემდეგ ისინი ერთმანეთს აღარ ხვდებოდნენო. მაგრამ შოლოხოვი სულ სხვა გზით მიდის. მთელ თავის უთმობს იმ ღრმა ფსიქოლოგიური განცდების ჩვენებას, ურომლისოდ ჩვენ ვერ გავიგებდით გრიგორის, აქსინიას, სტეფანეს სულიერ მდგომარეობას, რომელიც უეჭველად სამივეს სტანჯავდა მომხდარი მძიმე ამბების შემდეგ. რადა ღირს შარტო იმის შეცნობა, რომ აქსინიას ღალატის შემდეგ ასტახოვმა, სევდისა და სიძულვილის გრძნობის, მეუღლესთან ცუდად ცხოვრების მიუხედავად, გაიგო, თუ როგორ ჰყვარებია იგი— ნძიმე, მძულვარე სიყვარულით (გვ. 70). შესანიშნავია ეს „მძულვარე სიყვარული“, უკეთეს სიტყვებს ვერავინ იპოვნიდა სტეფანე ასტახოვის სულიერი ჭეყანის დასახასიათებლად. ის თითქმის ყოველდღე სცემს მეუღლეს, უსირცხვილოდ მოითხოვს მისგან დაწვრილებით მოჰყვეს როგორ იცხოვრა მელეხოვთან, მაგრამ აქსინია არაფერს ამბობს, ურჩევნია მოკვდეს, ვიდრე თქვას. კიდევაც ეუბნება სტეფანეს: „მომკალი, მომკალი, ღვთის გულისათვის!..“-ო (გვ. 70). ერთხელ, როცა სტეფანე სამუშაოდ წავიდა, აქსინია და გრიგორი პირველად შეხვდნენ ერთმანეთს იმ კოშმარული დღის შემდეგ. ცოტა როდი ისაუბრეს, თუ ვინ იყო დამნაშავე, მიზეზების რკეევაც სცადეს, და როგორც ყოველთვის მანამდე, გრიგორი ტლანქი სჩანს სიყვარულში, ნაცელად იმისა, რომ დაიცვას გზააბნეული ქალი, რაშიაც თვითონაა დამნაშავე. ბოლოს პირდაპირ ეტყვის: „...Надумал я, давай с тобой прикончим“... აქსინიას ეგონა გრიგორი იტყოდა —„прикончим Степана“, მაგრამ, როცა მიხვდა — ეს მათ შორის ურთიერთობის გაწყვეტას ნიშნავდა — უხმოდ ადგა და წავიდა.

ასე დამთავრდა აქსინიასა და გრიგორი მელეხოვის სიყვარულის პირველი დიდი ფურცელი.

აკვირდები ამ კაცს, უეჭველად უცნაურს თავისი ხასიათით, ხედავ, რომ მელეხოვი ტიპიური კაზაკია, სისხლით და ხორცით, დონის ტრამალების ღვიძლი შვილია, ვაჟკაცი, შეუპოვარი, დაუნდობელი, აქვს ადამიანური თბილი გრძნობა, მაგრამ უხეშობა,

სიტლანქეც ახასიათებს. ერთი სიტყვით, მელეხოვების ღირსეული წარმომადგენელია, ბევრ რამეში მამის პირდაპირი ასლია. გრიგორის სწორედ ეს ხასიათი აფიქრებს მიტკა კორშუნოვს, რომელიც თავის დას ნატალიას გათხოვების წინ ეუბნება: გრიშკას მე ვიცნობ, მეგობრები ვართ. ეს ისეთი ხვადია — გიკბენს და არ გეტყვის რატომ გიკბინა. მასთან დაიღუპები. გაუთხოვარი დარჩე ჯობია. გააგდე აქედან. მთავარი ისაა, რომ მშრალი კაცია. უარი უთხარი. ახლავე ცხენს შევკაზმავ, წავალ და ვეტყვი: ნუღარ გამოჩნდები-თქო (გვ. 86). ყოველივე ამას მიტკა კორშუნოვი გულწრფელად ამბობს, დას იცოდებს, იცის, რომ სათუთი, ნაზი, სპეტაკი ნატალია ისეთი კაცის ხელში, როგორიც მელეხოვია, ბედნიერი ვერ იქნება. ანტიპოდური ტიპებია. ჩვენ ქვევით არაერთხელ შევეხებით გრიგორის ხასიათის ნიუანსებს, ვინაიდან მელეხოვი „წყნარი დონის“ ყველაზე ცენტრალური ფიგურაა მოქმედ გმირთაგან, ის ჰკრავს მთელ რომანს, მთელ სიუჟეტს პანტელეი პროკოფიჩის, აქსინიას, სტეფანე ასტახოვის, ნატალიას და მრავალი სხვა პერსონაჟის ფონზე.

მაგრამ ისევ დავუბრუნდეთ ნატალიას საქორწილო მზადებას. შოლოხოვი ისე მხატვრულად აგვიწერს კორშუნოვების ოჯახში ამ დღეებს, რომ შეუმჩნევლად არ ტოვებს არც ერთ დეტალს, არც ერთ ნიუანსს. ჩვენ ვხედავთ მთელ ოჯახს, ყველა რაღაცას აკეთებს. მოწვეულ მკერავს ეხმარება ნატალიას დედა ლუკინიჩნა, უმცროსი დები — თორმეტი წლის მარიშკა და რვა წლის გრიპკა მოუთმენლად ელიან მათთვის ჯერ უცნობ ქორწილის დღეს. თვით ნატალია ხელსაქმობს, გრიგორისათვის რაღაცას ქსოვს. ქორწილამდე თერთმეტი დღეა დარჩენილი — გრიშა მოვიდა ნატალიას სანახავად. საჩუქარი მიიღო საცოლესაგან. უნდოდა მისთვის ხელი მოეხვია და ეკოცნა, მაგრამ ნატალიამ ნება არ მისცა — შეგვხედავენ, სირცხვილიაო. გრიგორის, როგორც ასეთ საქმეებში უკვე გამოცდილ კაცს, ეს გრძნობა არა აქვს. ნატალიას ამიტომ ეუბნება: ასე პირველად ხდებაო (გვ. 90).

რაც შეეხება ნატალია კორშუნოვას, ის გულუბრყვილო, სპეტაკი, ნაზი გოგონაა, თვრამეტი წლის ასაკშია და თავისი სახით ბაღიან მოგვაგონებს კლასიკური რუსული ლიტერატურის გმირ ქალებს, რომლებსაც იგივე ღირსებები ჰქონდათ, რაც მელეხოვის

საცოლეს. რაღა ღირს თუნდაც ის სიტყვები, რასაც ნატალია დედას ეუბნება: მე გრიშკა მიყვარს, სხვას არავის გავყვები ცოლად, სხვები არ მინდა, მონასტერში აღვიკვეთებიო (გვ. 80). მას გრიშკა პირველი შეხედვისთანავე შეუყვარდა, ეს სიყვარული კი, მიუხედავად უმძიმესი ცხოვრებისა, სამარეში თან ჩაიტანა, ბოლომდე შეინახა ქმრისადმი ნაზი მეუღლის ერთგულება.

მაგრამ წინ ნუ გავიქცევით, ჯერ ქორწილი არც დაწყებულა, არც დამთავრებულა, ჯერ ნაადრევია ვთქვათ რა მოხდება. ქორწილი კი დანიშნულ დროზე დაიწყო, მელეხოვებმა რძალი მოიყვანეს, ორივე ადგილას — კორშუნოვებთან მისვლა ნატალიას წამოსაყვანად და შემდეგ თვით ქორწილი პანტელეი პროკოფიჩის სახლში შოლოხოვს აღწერილი აქვს ვრცლად, პირდაპირ ფერწერულად, როგორც დიდი ეთნოგრაფიული ტილო. ჩვენ ვერ შევიძლებდით ყოველივე ამის გადმოცემას. წმინდა ყოფითი თვალსაზრისით იმდენი ნიუანსი, იმდენი დეტალია ქორწილის სცენებში, რომ კრიტიკოსის კალამს ვერ დაემორჩილება ვერც ერთი, ვერც მეორე. ეს ადგილები მკითხველმა თვითონ უნდა წაიკითხოს, კრიტიკოსის დაუხმარებლად მიიღოს ესთეტიკური სიამოვნება, ჩვენ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ მარტოოდენ შოლოხოვის ტალანტს შეეძლო ასე ბუნებრივად გადმოეცა კაზაკური ქორწილი ხუტორში.

ამ ქორწილით მთავრდება „წუნარი დონის“ პირველი წიგნის პირველი ნაწილი. მეორე იწყება სერგეი პლატონოვიჩ მოხოვის ცხოვრების აღწერით, რასაც სიუჟეტში ახალი შტრიხი შემოაქვს, თუმცა ეს შტრიხი ეპიზოდურად პირველ ნაწილშიაც იყო მოცემული.

ვინ არის მოხოვი?

წარმოშობით ვორონეჟელი გლეხის შთამომავალი, მაგრამ პეტრე პირველის დროს წინაპარს — ნიკიშკა მოხოვს ვაჭრობა დაუწყია, თან ამბები მიჰქონდა უფროსებთან, რომ სტანიცის კაზაკები ჯერჯერობით წუნარად არიან, რაიმე ბოროტმოქმედებაზე არ ფიქრობენო. ეს ცნობები სჭირდებოდა ხელისუფლებას, ვინაიდან ათი წლის წინათ ჩიგონაკის კაზაკებმა მდინარე ხოპრეს შესართავთან ახლოს მეფის ბარჟა გაძარცვეს, ჩაძირეს, მცველები მოჰკლეს.

ხელისუფლებმა თავდამსხმელები სასტიკად აწამეს და დასაჯეს, პატარა კაზაკური ქალაქი ჩიგონაკი გადაწვეს. მაგრამ იმავე ადგილზე ისევ დაიწყეს გადარჩენილმა კაზაკებმა ცხოვრება, თუმცა, ბუნებრივია, ხელისუფლებს ეშინოდათ ხუტორელებს შური არ ეძიათ, ამიტომ ვაჭარ ნიკიშკა მოხოვს აგზავნიდნენ თვალყურის სადევნებლად. ამ ნიკიშკა მოხოვისაგან იწყება ვაჭარ მოხოვების გენეალოგია, რომლის უკანასკნელ წარმომადგენელსაც — სერგეი პლატონოვიჩს მკითხველი უკვე გაეცნო რომანის პირველ წიგნში. საგულისხმოა, რომ ვაჭრები, ისევე როგორც ნიკიშკა მოხოვი, ყოველთვის, ყველა ქვეყანაში ორ ფუნქციას ასრულებდნენ — ვაჭრობის პარალელურად ცნობებს კრებდნენ იმ ქვეყნის, იმ კუთხის შესახებ, სადაც მიდიოდნენ, უფრო ხშირად, მზვერავის როლს ასრულებდნენ.

ეინაიდან მამა გაუკოტრდა, ქონება დაეწვა, სერგეის ყველაფრის დაწყება თავიდან მოუხდა. ოჯახის ტრადიციამ და გამოცდილებამ თავისი გაიტანა — სერგეი პლატონოვიჩმა საკმაოდ დიდი ქონება შეიძინა ტატარსკში. ჯერ იყო და საგალანტერიო პატარა დუქანი გახსნა, ცოლად შეირთო ნახევრად გიჟი მღვდლის ქალიშვილი, საკმაოდ მდიდარი მზითევებით. სულ მალე წამოიჭიმა სერგეი პლატონოვიჩის მანუფაქტურული მაღაზია, მისი ქონება სწრაფად გაიზარდა, ვაჭრობა იმდენად გაცხოველდა, რომ ახლომახლო სტანიცების კაზაკობა მარტოოდენ მისი კლიენტი გახდა. სერგეიმ კარგად იცოდა რა სჭირდებოდა სოფელს, ის ვაჭრობდა ყველაფრით, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო იარაღებით, მოაწყო ორთქლის მანქანით მომუშავე წისქვილი, ერთი სიტყვით, ტატარსკსა და მის ახლომახლო ხუტორებში პირველი ვაჭარი გახდა.

სერგეის შეეძინა ორი შვილი — ლიზა და ვლადიმერი. პირველი მეუღლის ადრე გარდაცვალების გამო ბავშვები თითქმის უპატრონოდ დარჩნენ. მამა სულ მოგზაურობაში იყო, ნერვული, უშვილო დედინაცვალი ანა ივანოვნა კი გერებს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. ორივე ბავშვი ბედის ანაბარა იზრდებოდა. და-ძმაც უცხონი დარჩნენ ერთმანეთისათვის. ლიზა იზრდებოდა გარყვნილი მოსამსახურეების წრეში, როგორც «в лесу куст дикой вольчей ягоды» (გვ. 107). ვლადიმირი უკვე გახდა გიმნაზიის მეხუთე კლასის მოსწავლე, მაგ-

რამ ავადმყოფური ტიპის ბავშვს მხოლოდ ეიწრო, შეზღუდული ინტერესები ამოძრავებს.

ასეთია სერგეი პლატონოვიჩ მოხოვის ოჯახი, სადაც ზოგჯერ იკრიბებიან ხუტორის ინტელიგენტები — მოსკოვის ტექნიკური სასწავლებლის სტუდენტი ბოიარიშკინი, ჭლეჭითა და დიდი თავმოყვარეობით დაავადებული მასწავლებელი ბალანდა, მასთან მცხოვრები მასწავლებელი ქალი — მარფა გერასიმოვნა, ფოსტის ჩიხელე, უცოლო კაცი, რომელსაც ახირებული ხასიათი აქვს, მემამულისა და თავადის — ლისტნიცკის ვაჟი ევგენი — სამხედრო პირი. ისინი მიირთმევენ ჩაის, მუსაიფობენ ათასგვარ ამბებზე. როცა ლაყბობა მოსწყინდებათ, გრამაფონს უკრავენ. ამ წრეს იშვიათად შეუერთდება ხოლმე მოხოვის კომპანიონი ემელიან კონსტანტინეს ძე ატეპინი. ყოფილ უსტ-მედვედიცკელ მონაზონთან თხუთმეტი წლის მანძილზე ერთად ცხოვრებამ მას რვა შვილი შესძინა. ემელიანე — თვითონ მლიქვნელი, შვილებსაც მლიქვნელობას უნერგავს. ისინი მამის წინ ცერებზე დადიან, მლიქვნელურად ელაპარაკებიან. ასეთია ორი ვაჭრული ოჯახი კომპანიისა — „ს. პ. მოხოვისა და ე. კ. ატეპინის სავაჭრო სახლი".

თუ „წყნარი დონის" უშუალო მკითხველებს არ დაავიწყდათ, რომანის პირველ ნაწილში სერგეი პლატონოვიჩის ქალიშვილ ლიზას მიტკა კორშუნოვი დაჰპირდა — სათევზაოდ წაგიყვანო. მეორე ნაწილში მიტკა ასრულებს თავის დაპირებას, გამთენიისას ლიზა მოხოვა მიჰყავს სათევზაოდ, მაგრამ ხდება ის, რაც ნებაზე მიშვებულ ჰაბუკ ქალ-ვაჟს ემართება ხოლმე თავშეუკავებლობის გამო. მიტკა სთხოვს ლიზას მამას — შენი ქალიშვილი ცოლად მინდა შევირთო. მაგრამ სერგეი მოხოვი, შეძლებული ვაჭარი, კატეგორიულ უარს ეუბნება კაზაკი გლეხის ბიჭს, საცემრად მიიწევს, ძაღლიშვილსა და საძაგელს უწოდებს, ქოფაკებსაც მიუსევს, რომლებსაც უმაწვილმა ძლივს დააღწია თავი.

ასე დამთავრდა ნატალიას ძმის — მიტკა კორშუნოვის პირველი ნაბიჯი ცოლის შესართავად.

რაც შეეხება თვით ნატალიას, თავისი კეთილი, ნაზი ხასიათითა და შრომისმოყვარეობით, მელეხოვების ოჯახში მას დედამთილ-მამამთილის დიდი სიყვარული აქვს მოპოვებული. მაგრამ გრი-

გორი მელეხოვი გრძნობს, რომ მეუღლე ცივია, აქსინია ცეცხლი იყო, ნატალიასთან ცხოვრება კი უსიყვარულოდ მარტოოდენ ცოლ-ქმრული მოვალეობის შესრულებაა. ყოველი შეხვედრა აქსინიასთან, მისი ალერსიანი თვალების გამოხედვა გრიგორის უკვე სტანჯავს. ასე მიდის დრო. სტეფანე ასტახოვი თითქოს ურიგდება თავის ბედს. ცოლს ეალერსება, მასთან ერთად მღერის კიდევაც, ზოგჯერ ქართულ მოტივსაც. გრიგორის არ ელაპარაკება, მასთან ურთიერთობა არა აქვს, თუმცა რა გასაკვირია — განა ხუტორ ტატარსკში ყველას თავისი გასაჭირი არა აქვს? ყველა ოჯახი თავისი ტკბილ-მწარე ცხოვრებით ცხოვრობს, თითოეულს თავისი ხვედრი აწუხებს!

აქ უნდა დავსვათ წერტილი, ვინაიდან რომანის სიუჟეტს ახალი შტრიხი ემატება. ხუტორ ტატარსკში საცხოვრებლად მოდის, მეუღლესთან ერთად, ზეინკალი იოსიფ დავიდოვიჩ შტოკმანი. როგორც ავტორი გვეუბნება, იგი ლატვიური წარმოშობის რუსია, რომელიც ფედოტ ბოდოვსკოვის რჩევით ოროთახიან ბინას დაიკავებს ქვრივი ქალის — ლუკეშკა პოპოვას სახლში. საღამოობით შტოკმანთან იკრიბებიან სოფლის კაცები — ხრისტონია, ვალეტი, დავიდკა, კოტლიაროვი, ფილკა, მიშკა კოშევოი, კითხულობენ ნეკრასოვს, ნიკიტინს, „დონის კაზაკობის მოკლე ისტორიას“, ეცნობიან პუგაჩოვის, რაზინის, კონდრატე ბულავინის ცხოვრებას და ბრძოლას. მოხოვის წისქვილში დიდი ჩხუბის შემდეგ, მკითხველი გებულობს საქმის გამომძიებლისაგან, რომ შტოკმანი თურმე 1907 წელს ციხეში მჯდარა, რკინიგზის სახელოსნოებში არეულობის გამო, გადასახლებულიც ყოფილა. ბატონკაცურად, მბრძანებლური კილოთი მოლაპარაკე გამომძიებელი „ურჩევს“ შტოკმანს დასტოვოს ტატარსკი. მიზეზს არ ეუბნება, გარდა ერთისა — რაზე ელაპარაკებოდი მოხოვის წისქვილში ჩხუბის დღეს კაზაკებსო.

ახლა აქაც შევჩერდეთ და ისევ მივუბრუნდეთ ძირითად სიუჟეტს.

დონზე მკაცრი ზამთარია. ხუტორს ცოტა საზრუნავი როდი აქვს. ყველა შრომობს, მათ შორის მელეხოვებისა და ასტახოვების ოჯახები. არის კიდევ ერთი — ივან ავდეიჩ სინილინი. — სამხედრო სამსახურში წავიდა როგორც სინილინი და დაბრუნდა

როგორც ცრუპენტელა, — გვეუბნება ავტორი (გვ. 141). ავდეიჩის მონათხრობი, თუ როგორ დაავალა იმპერატორმა ციხიდან გაქცეული ბოროტმოქმედის შეპყრობა, როგორ გაეხარდა მეფეს და მარია ფეოდოროვნასაც ახარა — ავდეიჩი მოვიდა, ჩქარა, ადექი, სამოვარი დაადგიო, — მართლაც სასაცილოზე სასაცილოა! ამგვარი ყოფა-ცხოვრებითი შტრიხებით მკითხველი დიდ სიამოვნებას განიცდის რომანის დაძაბული სიუჟეტის კითხვის დროს.

გარეგნულად მელეხოვების ოჯახში სიმშვიდეა, მაგრამ შინაგანი დაძაბულობა ძლიერდება. პანტელეი პროკოფიჩის არწივისებური თვალი კარგად ხედავს, რომ გრიგორსა და ნატალიას ურთიერთობა სრულებით არა ჰგავს ახლადდაქორწინებულთა ცხოვრებას. ნატალია შესამჩნევად გახდა, თვალებიც დაუსევდიანდა. პროკოფიჩი, რომელიც რძლის ყველა ღირსებას გრძნობს, შვილს ამტყუნებს, ხშირად წაეჩხუბება კიდეც. ცდილობს მდგომარეობა გამოასწოროს, მაგრამ განა შეიძლება ამის მიღწევა, როცა გრიგორის ისევ და ისევ აქსინია უყვარს, ნატალიას კი მთვარეს ადარებს—არც ათბობს, არც აციებს. საკმარისი იყო აქსინიას ერთი სიტყვა—«Ну, Гриша, как хошь, жить без тебя моченьки нету» და მელეხოვმა უმალ მკერდზე მიიკრა საყვარელი არსება.

ყოველივე ამის შემდეგ, ბუნებრივია, თუ ჩუმი და წყნარი ნატალია გადაწყვეტს დატოვოს მელეხოვების ოჯახი, მშობლებთან დაბრუნდეს. ხოლო, როცა პროკოფიჩი შვილს გააფრთხილებს—თუ ნატაშკასთან არ იცხოვრებ, იქ წადი, სადაც თვალი მიგიწვდებაო,—გრიგორი მამას ასეთ პასუხს აძლევს: «Не я женился, а вы меня женили. А за Натальей я не тянусь. Хочет, нехай идет к отцу» (გვ. 158). —შენც აქედან წადიო,—ეუბნება გრიგორის პანტელეი პროკოფიჩი. შვილი მზადაა დატოვოს მამის ოჯახი, წავიდეს სხვაგან. ის მიდის ზამთრიან ღამეში, უკანასკნელად ესმის ნატალიას ძახილი „გრიშა, დაბრუნდი!-ო", მაგრამ განა მელეხოვს დაბრუნება შეუძლია? მთავარია სადმე თავი შეაფაროს ამ სიცივეში. ამჯობინა მიშკა კოშეევი და მასთან შევიდა ღამის გასათევად. მეორე დღეს კი განზრახული აქვს აქსინიასთან ერთად ყუბანში წავიდეს, ტატარსკიდან შორს, რაც შეიძლება შორს. მაგრამ ეს „შორს" მარტოოდენ თორმეტ კილომეტრში გამოიხატა—გრიგორი მეეტლედ დაუდგა, რაკი ვაჭარმა მოხოვმა

სამუშაოს მიცემაზე უარი უთხრა, გადამდგარ გენერალს, რუსეთ-თურქეთის ომის გმირს ნიკოლაი ალექსეევიჩ ლისტნიცკისა და მის შვილს ევგენის. თვეში აღუთქვეს რვა მანეთი მეუღლესთან ერთად. იმავე ღამეს აქსინია გაიქცა სახლიდან, მიატოვა სტეფანე და გრიგორისთან ერთად ცხოვრება დაიწყო დაქირავებული შრომით ლისტნიცკების მამულ იაგოდნოეში. ეს სცენები დიდი ფსიქოლოგიური დაკვირვებითა და მხატვრული ოსტატობით არის გადმოცემული. იწყება აქსინიასა და გრიგორი მელეხოვის ურთიერთობაში ახალი ფურცელი. ნატალიას აღარაფერი დარჩა, გარდა მშობლებთან უკან დაბრუნებისა. ის მუხლებზე დაჩოქილი ევედრება მამას—მირონ გრიგორიჩს, შეისახლოს, თავის თავს ადარებს ბორბლებით გათელილ ადამიანს, რომელმაც მთელი ცხოვრება დაჰკარგა. და ნატალია მართალია: გათხოვებას მისთვის ტანჯვის მეტი არაფერი მოუტანია.

ლისტნიცკების სახლში გრიგორისა და აქსინიას გარდა მუშაობენ: ლაქია ვენიამინი, მზარეული ლუკერია, მეჯინიბე საშკა და ბიჭუემსი ტიხონი. საშკა ძალიან ჰგავს „გატეხილი ყამირის“ პაპა შჩუკარს. გენერალს მეუღლე დიდი ხანია გარდაცვლილი ჰყავს, ეარშავაში მოუკლავთ. ევგენი სულ პატარა დარჩენია. ახლა ასისთავია, მამასთან თვენახევრით არის ჩამოსული, ლაზარეთში მკურნალობის შემდეგ. ტიხონი ცხოვრობს ლუკერიასთან და იმდენად გატაცებულია ამ ზორბა ტანის ქალით, რომ ეშვიანობს კიდეც — მეჯინიბე, მოხუც, ლოთ საშკასთან ხომ არ მღალატობსო. მერე ყველას მიმართ ეშვი·აქვს.

გრიგორი და აქსინია ყოფილი მეეტლის ბინაში მოთავსდნენ. ევგენი ლისტნიცკიმ რატომღაც დიდი ყურადღება გამოიჩინა, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენია არამარტო აქსინიას, გრიგორი მელეხოვსაც. ახალგაზრდა ბატონი გრიგორის თანდასწრებით აქსინიას სილამაზის ქებასაც არ ერიდება, უსაქმოდ ზის მასთან და გამომწვევი ანთებული თვალებით ემასლაათება.

მძიმე მდგომარეობაშია მშობლებთან საცხოვრებლად გადასული საბრალო ნატალია. სოფლის ჭორებმა, რომ თითქოს მამამთილთან შეცდა, ქმარმა ამიტომ გამოაგდო, ძმის — მიტკას ბოროტმა განზრახვამ — გრიგორის მაგიერობა გაეწია, ქმრისაგან მიღებულმა უარმა — მარტო იცხოვრეო, — ეს გულუბრყვილო,

სინაზის, ერთგულებისა და სათნოებისათვის დაბადებული ქალი საშინელ თვითმკვლელობამდე მიიყვანა. გადაურჩა სიკვდილს, მაგრამ თავი გვერდზე მოხრილი აქვს. რძლის მდგომარეობას მწარედ განიცდიან პანტელეი პროკოფიჩი და ილინიჩნა. ერთხელ, როცა პანტელეი ნატალიას შეხვდა მოხოვის მაღაზიასთან, სიბრალულით უთხრა საყვარელ რძალს: შენ გრიგორზე ნუ დარდობ, ის ძაღლიშვილი შენს ფრჩხილადაც არა ღირსო (გვ. 180).

დაწყებული ტრაგედია დღითი-დღე ძლიერდება. დიდი ბატონის ნადირობის დროს, გრიგორი დაინახავს მათთან მისულ სტეფანე ასტახოვს, რომელიც მას მშვიდად ეტყვის: ნუ გეშინია, ახლა არა გცემ, მაგრამ ადრე თუ გეიან მე შენ მოგკლავ, რაკი ასეთი დიდი შეურაცხყოფა მომაყენეო.

აქსინია კი ამ დროს გრიგორისაგან უკვე ორსულადაა. მისი მშობიარობა ისეთ უცნაურ, უმძიმეს პირობებში ხდება, სრულიად უადგილო ადგილას, რომ გრიგორის თვითონ უხდება მომყოლის ძაფით მოშორება. უძლიერესია რომანში ეს სცენა. უნებლიეთ გაგახსენდებათ გორკის მშვენიერი მოთხრობა — „ადამიანის დაბადება". პროზის ორი დიდი ოსტატი მართლაც შეუდარებელი ოსტატობით გადმოგვცემს ამ სცენებს. აქსინიაც ძლივს გადაურჩება სიკვდილს, ქალიშვილის დედა ხდება, გოგონა მამის ასლია, თუმცა გრიგორის ზოგჯერ ეჭვი ეპარება — სტეფანესი ხომ არ არისო, მით უფრო მას შემდეგ, რაც პანტელეი პროკოფიჩმა უთხრა — ვინძლო სხვის ბღარტს არ ზრდიდეო. აქსინიას მდგომარეობა უარესდება. მალე გრიგორი ოთხი წლით მიჰყავთ სავალდებულო სამხედრო სამსახურში და იგი ჩვილი ბავშვით სრულიად მარტო რჩება ლისტნიცკების სახლში.

გენერალმა ლისტნიცკიმ თუმცა გრიგორის აღუთქვა — ცოლზე ნუ იდარდებ, ჩვენ მოვუვლით, შენ მხოლოდ იმაზე იფიქრე, რომ პაპა და მამა არ შეარცხვინო, მათ ყოჩაღი კაზაკების სახელი ჰქონდათო, — დიდი იმედი როდი იყო გრიგორისათვის, მით უფრო აქსინიას როგორ დაამშვიდებდა, როცა უმთავრესს, რასაც ყველაფერი შესწირა — გრიგორის შორდება. მას არც ამ უკანასკნელის სიტყვებმა მისცა რაიმე იმედი — შვებულების დროს ჩამოვალო (გვ. 212).

ცხოვრება კი თავისი გზით მიდის. იაგოდნოეში გენერალი ლისტნიცკი თავის ლაქია ვენიამინს დილ-დილობით ეძახის და ეუბნება — წუხელი რა სიზმარიც ნახე — მომიყევიო. როცა სიზმარი უინტერესოა ან საშინელი ამბებით არ არის სავსე, გულმოსული ბატონი ლანძღავს მსახურს: სულელი და პირუტყვი ხარ! სულელს სიზმრებიც სულელური აქვსო! (გვ. 207). ვენიამინი იძულებულია მოიგონოს და მოიგონოს სიზმრები, მაგრამ, აბა სად შეუძლია მის გონებას ყოველდღე ახალ-ახალი, საინტერესო, თან საშინელი ამბებით სავსე სიზმრები შესთხზოს. როცა ერთხელ ნათქვამს გაიმეორებს, რაკი ვეღარაფერი მოიგონა, ბატონი ისევ განრისხდება ხოლმე. ვენიამინი თავს იმით იცავს, რომ განუცხადებს ნიკოლაი ალექსეევიჩს: ქრისტეს გეფიცებით, მეორედ ვნახეო.

ასე მიდის დრო იაგოდნოეში, ტატარსკელებთან კი შტოკმანი, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი 1907 წლიდან, ძალიან ფრთხილად მუშაობს, მარქსის იდეებს ტაქტის დაცვით აცნობს ღამღამობით მის ბინაში შეკრებილ მეგობრებს. ნუ დავივიწყებთ, რომ ეს ხდება 1914 წელს, პირველი მსოფლიო ომის კვირაძალში, სწორედ იმ წელს, მარტში, ნატალია დაუბრუნდა ქმრის ოჯახს, სადაც დიდი სიყვარულით მიიღეს, განსაკუთრებით აღფრთოვანებული შეხვდა მას პანტელეი პროკოფიჩი, რომელსაც მტკიცედა აქვს გადაწყვეტილი — რადაც არ უნდა დაუჯდეს, გრიგორი ცოლთან შეარიგოს.

ამ მიზნით ძველი კაზაკი მეორე დღესვე ქალიშვილ დუნიაშკას უკარნახებს გრიგორისადმი წერილის ტექსტს, სთხოვს იფიქროს ნატალიაზე, რომელიც ამიერიდან მათთან იცხოვრებს, როგორც მელეხოვების კანონიერი, ღირსეული რძალი. «Про жену не забывай, мой тебе приказ,—წერს პანტელეი.—Она ласковая баба и в законе с тобой. Ты борозду не ломай и отца слухай» (გვ. 224). მაგრამ გრიგორი პასუხს აყოვნებს. შემდეგ მოკლე წერილში მამას სწერს, რომ ნატალიას ვერ დაუბრუნდება, რაკი აქსინიასთან შვილი ჰყავს, თანაც პირობის მოცემა როგორ შეუძლია, როცა ომი კარზეა მომდგარი, ვინ იცის—ცოცხალი გადარჩება?

ქმრისა და ოჯახის მოყვარული ნატალია ენერგიულად მუშაობს, გასართობებზე არ დადის, გრიგორისაც წერილებს ვერ უგ-

ზავნის — ეუხერხულება. სადღაც იმედი აქვს, რომ ქმარი დაუბრუნდება.

უკვე ზაფხული მოვიდა, საშინლად ჩამოცხა; ველებზე გახურებული მუშაობაა, ოფლისაგან თავით ფეხამდე სველი კაზაკები, ქალები და კაცები, სულს ძლივს ითქვამენ. ამ დროს მთელი სოფელი შეიტყობს, რომ მობილიზაცია გამოცხადდა, ომი დაიწყო, კაზაკების ეშელონები რუსეთ-ავსტრიის საზღვართან მიჰყავთ.

ვიდრე ომი გამოცხადდებოდა, რამდენიმე მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა — ტატარსკოესა და მისგან შორს — თავადის ქალის ურუსოვას მამულ რაჭივილოვოში, სადაც მელეხოვის ასეული დგას. ხუტორში შეიპყრეს იოსებ შტოკმანი და სადღაც წაიყვანეს. დააპატიმრეს მასთან სალაშოობით მოსიარულე კაზაკებიც. რაჭივილოვოში ოცეულმა, რომელშიაც გრიგორი მელეხოვი მსახურობდა, ჯგუფურად გააუპატიურა ახალგაზრდა პოლონელი დამლაგებელი ფრანია. როცა ეს ამბავი შეიტყო, გრიგორი სასტიკად აღშფოთდა, სცადა დაეცვა საბრალო ქალი, მაგრამ ამაოდ: ოცეულის ჯარისკაცებმა, რაკი დაინახეს მელეხოვი მათი თანამონაწილე კი არ ხდება, ფრანიას იცავსო, გაჯოჯეს, საშუალება არ მისცეს ვაჟკაცის კეთილშობილი მისია შეესრულებინა. გამხეცებულ ჯარისკაცებს, როცა პირუტყეული ვნება დაიკმაყოფილეს, სეირის ყურებაც მოუნდათ — სურდათ ენახათ, თუ როგორ შეიძლებდა წამოდგომას ხულთმობრძავი, ორი ათეული კაცისაგან ნამუსახდილი, გათელილი, ილაჯგაწყვეტილი ფრანია. საშინელია ეს სცენა, მაგრამ ნამდვილია, ვინ იცის რამდენი ასეთი ფაქტი მომხდარა, რამდენი ამგვარი ტრაგედია დატრიალებულა!

ხუტორი ტატარსკოე კი ცხოვრობს ჩვეულებრივად, შრომითა და ოფლით, ათასგვარი მწუხარებით, სულ მცირე სიამოვნების პირობებში. პანტელეის ოჯახი წელზე ფეხს იდგამს, პეტრო, დარია, დუნიაშკა, ნატალია დღე-ღამეს ასწორებენ, რომ სოფლის ყველა საქმე მოასწრონ. ჰაერში რაღაც უცნაური სუნი ტრიალებს, იგრძნობა რაღაც დიდი უბედურების მოახლოება.

რუსეთ-ავსტრიის საზღვარზე შეტაკებები ხდება. სოფელ ბერესტეჩკოში პირველად გამოჩნდება პოლკის მეთაური ვასილი მაქსიმოვიჩ კალედინი. გრიგორის აძლევენ მძიმე დავალებებს.

ერთ-ერთი ასეთი ოპერაციის დროს ის პირველად ჰკლავს ავსტრიელ ჯარისკაცს და უნებლიეთ აკვირდება მოკლულს, რომელსაც თითქოს პატარა, ბავშვური სახე აქვს. გრიგორიმ შინაგანი ძლიერი ქენჯნა განიცადა ყოველივე იმით, რაც გააკეთა და რაც იხილა. ასეთ სულიერ ტრავმას როდი განიცდის მისი ცოლის ძმა მიტკა კორშუნოვი, რომელიც ეს-ესაა მობილიზაციით ჩამოვიდა მე-3 პოლკში და მზად არის „საგმირო" საქმეები ჩაიდინოს.

პირველი აგვისტო ჯერ კიდევ არ მოსულა, მაგრამ საზღვარზე შეტაკებები უკვე ხდება. 27 ივლისს ერთი ასეთი შეტაკება მოხდა, რომელიც შოლოხოვმა დაწვრილებით აგვიწერა, რათა ეჩვენებინა, თუ როგორ სიყალბეზე იყო აგებული მთელი იმდროინდელი წყობა. კაზაკ კრიუჩკოვის დაჯილდოება გიორგის ორდენითა და სამი ჯვრით, იმპერატორის ჩასვლა ბანაკში, კრიუჩკოვის ნახვა — მკითხველს კარგად აგრძნობინებს მეფის ხელისუფლების მთელ შინაგან სიდამპლესა და მოშლილობას. აქ, როგორც კალეიდოსკოპში, თითქოს თავმოყრილია მისი ნეგატიური მხარეები.

ომის გამოცხადების შემდეგ ფრონტი ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ გაფორმებული, როცა ბრუსილოვის მეოთხე არმიის ფრონტის წინ მიდიოდა გენერალ კალედინის მეთორმეტე დივიზია. გრიგორი მელეხოვი აქ არის, შესამჩნევად გამხდარი, სულიერად შეშფოთებული, იმ პირველი ავსტრიელი ჯარისკაცის მოკვლის შემდეგ მოსვენებადაკარგული. დღე და ღამ არ შორდება მას აჩრდილი მოკლულისა, ცდილობს მოიშოროს და ვერ იშორებს. ამ სულიერ ღელვაში კარგად მჟღავნდება მელეხოვის შინაგანი სულიერი ქვეყანა, რომ ის ბუნებით არ არის ბოროტი ადამიანი, არც სისხლის მოყვარულია, როგორც მიტკა კორშუნოვი, მაგრამ გარემოება აიძულებს ჩაიდინოს ის, რაც მის არსებას ეწინააღმდეგება. მელეხოვმა ჯერ არ იცის, არც შეიძლება იცოდეს, რომ ავსტრიელი ჯარისკაცის მოკვლა, რასაც ასე მწარედ განიცდის და ნანობს, მხოლოდ პირველი მერცხალია, პირველი ბორიო, რასაც შემდეგ სამინელი ქარიშხალი მოჰყვება. მანამდე კი მისი ხასიათი შეუმჩნევლად იწყებს ცვლას, როგორც თვითონვე გრძნობს, თუ როგორ იცვლებიან ასეულელი მეგობრები — პროხორი ზიკოვი, ეგორკა ჭარკოვი, ემელიან გროშევი (გვ. 286). მაგრამ თვით მელეხოვის

ცელა ნელი, დამქანცველი, ხანგრძლივია. როცა მის ასეულთან მოვიდა ახალი ნაწილი, რომელშიაც იყვნენ სტეფანე ასტახოვი, ანიკუშკა, მიშკა კოშევოი და პეტრო, ძმასთან საუბარში გრიგორის არ დაუმალავს, რომ მძიმე სულიერ მდგომარეობას განიცდის, თითქოს გათელილია, ირგვლივ მტრობა და ღვარძლია. პეტრომ არ დააყოვნა ეკითხა, — მოჰკლა თუ არა ვინმე, — და გრიგორიმ თითქმის წამოყვირებით უპასუხა, — მოვკალიო! შემდეგ ძმას მოუთხრო, რომ სხვანაირად არ შეიძლებოდა, თუმცა რატომ ავჩეხე, ტყუილ-უბრალოდ, არ მესმის, მის შემდეგ სინდისი მკლავს, ძილში მესიზმრება, განა დამნაშავე ვარ? (გვ. 289—290). ასეთია მელეხოვი, შინაგანი განსჯის, თვითანალიზის დროს, ჯარისკაცად გადაცმული კაზაკი გლეხი, რომელიც ფიზიკურად ფრონტზეა, მაგრამ სულიერად თავის სოფელზე, აქსინიას, ხარებსა და მოსავალზე ფიქრს ვერ შორდება. მან გაიგო, რომ ნატალია შინ ელოდება, აქსინია მხიარულად ცხოვრობს პანებთან, დუნიაშკა წამოთქვირულა, სტეფანე ასტახოვს, აქვე, გვერდით მდგომს, სიმთვრალეში უთქვამს, — გრიგორის მოვკლავო, — აბა, რას უნდა გაუძლოს ერთმა კაცმა, როცა ათასი სადარდებელი აქვს?

გრიგორი მელეხოვი როგორღაც გულგრილი ხდება მომავლისადმი, თუმცა არავითარი წარმოდგენა ამ მომავალზე მას არა აქვს.

იწყება რომანის ერთი მშვენიერი ადგილი — „დღიურები", რომელშიაც მკითხველი კვლავ ხვდება ლიზა მოხოვას ხანგრძლივი განშორების შემდეგ. ეს დღიურები ეკუთვნის ვინმე ტიმოფეი ივანოვიჩს, რომელსაც ლიზა გააცნო სტუდენტმა ბოიარიშკინმა. მიტკა კორშუნოვთან მომხდარი ამბის შემდეგ ლიზა ხელიდან წასულა, რასაც შეხვედრისთანავე გრძნობს ტიმოფეი: „რომ ის გაფუჭებული ქალიშვილია, მე ვიგრძენი პირველი შეხედვისთანავე: ასეთი ქალების თვალები მეტს ლაპარაკობენ, ვიდრე საჭიროა ლაპარაკონ" (გვ. 293). სამედიცინო ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტი ლიზა მოხოვა ეძალება მაგარ ჩაისა და თამბაქოს. ვაჭრის ქალიშვილი, გარეგნობით სანდომიანი, მამაკაცებთან ურთიერთობაში უკვე სათანადოდ გარკვეული, თავს შეაყვარებს ტიმოფეი ივანოვიჩს, რომელიც სკეპტიკურად არის განწყობილი, შეაყვარებს და დიდი გატაცებითაც! მიუხედავად არციბაშევშჩი-

ნისა, რასაც ტიმოფეი თანაგრძნობით არ ეკიდება, მას უსაზღვროდ შეუყვარდება ელიზავეტა, თუმცა ეს ურთიერთობა თავდაპირველად უბრალო გატაცებად ეჩვენებოდა. ამის შესახებ ის ატყობინებდა თავის მეგობარს ვასიას, დღიურების გაგზავნასაც ჰპირდებოდა.

ტიმოფეიმდე ლიზა დაკავშირებული იყო რომელიღაც ვენეროლოგ ექიმთან, გასწყვიტა მასთან კავშირი, რაკი ახალი კლიენტი იშოვა, მაგრამ ამ უკანასკნელთანაც დიდხანს როდი უცხოვრია. გაცნობიდან ერთი თვის შემდეგ უკვე გაყრაზე იწყება ლაპარაკი. 21 წლის გოგონას ეჩვენება, რომ ტიმოფეის „გვამის სუნი ასდის ფეხებიდან“ (გვ. 298). სულ შფოთავს, ნერვიულობს, სულიერ წონასწორობას ჰკარგავს. ტიმოფეის უკვირს, თუ როდის მოასწრო 21 წლის ლიზამ ასე გარყვნილიყო (გვ. 299). მაისის ბოლო რიცხვებში ისინი შეერთდნენ, ივნისის ბოლოს კი, „თაფლის თვის“ დამთავრებისთანავე, ლიზამ მიატოვა ტიმოფეი, რომელმაც მძიმედ განიცადა ეს ვერაგული აქტი. გულგასენილი ახალგაზრდა კაცი იწყებს სმას, ერთხელ თავის „ცოლყოფილს“ ეიღაც უცნობთანაც დაინახავს. რა გამოსავალია? ომში წასვლა— და ტიმოფეიც მიაშურებს ფრონტს, იწყებს ბრძოლას (ვისთვის ან რისთვის?), ხედავს პირველ მოკლულს, ბრძოლის ამაზრზენ სურათებს, რასაც შოლოხოვი არაჩვეულებრივი მხატვრული ძალით გვიხატავს. მაგრამ ვერც ფრონტზე ბრძოლამ უშველა ახალგაზრდა კაცის სულიერ ღელვას. ტიმოფეი თავიდან ვერ იშორებს ელიზავეტას სახეს, ერთი გოგონა — მოწყალების და, საოცრად მოავონებს „ცოლყოფილს“, და იგი გრძნობს, რომ ამიერიდან ყველა ქალში იპოვის ლიზასთან მსგავსებას. ასე იცის მამაკაცის ძლიერმა სიყვარულმა, თუნდაც ქალის მხრივ თანაგრძნობა სულ არ არსებობდეს. ეს მოხდა 4 სექტემბერს, მეორე დღეს კი დღიური წყდება, ფიზიკურად და სულიერად მოტეხილი ტიმოფეი იღუპება, ხოლო მის დღიურებს შემთხვევით პოულობს შტაბისაკენ მიმავალი გრიგორი მელეხოვი. ნაპოვნს იგი გადაცემს შტაბის მწერლებს, რომლებიც „სიცილს დააყრიან სხვის ხანმოკლე სიცოცხლეს და მის ამქვეყნიურ ენებებს“ (გვ. 307). ცხოვრების თითქოს ჩვეულებრივი ირონიაა — სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირი!

მაგრამ გრიგორი არ არის ამ „ფილოსოფიის“ წარმომადგენელი. მისთვის სხვისი ჭირი ღობეში ჩხირის გაყრა კი არ არის. პირიქით, სხვის უბედურებას იგი ხშირად ძალიან მწარედ განიცდის, მზად არის ყველაფერი გააკეთოს, ოღონდ სხვას მდგომარეობა შეუმსუბუქოს, სიმართლეს გაამარჯვებინოს. დააკვირდით მის დამოკიდებულებას თუნდაც ალექსეი ურიუპინისადმი: როცა ამ უკანასკნელმა ტყვე გერმანელი შტაბში მიყვანის ნაცვლად მოჰკლა, გრიგორი სასტიკად გაჯავრდა, შეშხანა მოიხსნა, ურიუპინს ესროლა, და მხოლოდ ურიადნიკის ხელის კვრამ ტყვია მიზანს აცილა. „შოგკლავო!“ — კვლავ უყვიროდა ურიუპინს მოთმინებიდან გამოსული გრიგორი (გვ. 315). აქ მთელი გრიგორი მელეხოვია, ორსახიანი იანუსი, რომელსაც ადამიანურის მხარე ძლიერი აქვს, არაადამიანურის — სუსტი, მაგრამ ამ მხარეთა ორთაბრძოლაში ხშირად ისე იბნევა, რომ წინააღმდეგობათა დაპირისპირებას თავს ვერართმევს. ჩვეულებრივი ცხოვრება რომ ყოფილიყო, დაწყობილი და აუმღვრეველი, მელეხოვი უეჭველად სამაგალითო გლეხი იქნებოდა — მშრომელი, გამრჯე, ოჯახის მოყვარული, პატრიოსანი და გულადი. მაგრამ უაღრესად დაძაბულმა ვითარებამ, ჭრელი მასის ამოქმედებამ, ცხოვრების ჭარიშხალმა გრიგორი ისეთ მორევში გადაისროლა, საიდანაც ამოსვლა ვერ შეიძლო, მით უფრო, რომ წარმოდგენა არ ჰქონდა თვით იმ ძალებზე, რომლებიც მის ირგვლივ მოქმედებდნენ და რომლებშიაც თვითონ მოქმედებდა. და ის გულწრფელად ცდილობს, უსწავლელი კაცი, თბილი გულისა და ძლიერი მკლავების ამარა დარჩენილი, გაერკვეს რა ხდება, რა ბრძოლაა, რატომაა საჭირო, ვისთვის და რისთვის ხოცავენ ასე უმოწყალოდ გუშინდელი გლეხები და მუშები ერთმანეთს, ვინ ამხეცებს მათ, როგორც ურიუპინს? ბრძოლის ეპიზოდებმა, საშინელმა და აუტანელმა, არაერთხელ დააფიქრა მელეხოვი ომის უსამართლობაზე!

ერთ-ერთ ბრძოლაში სილანტიევი უნგრელმა ოფიცერმა მის თვალწინ მოჰკლა, ხოლო თვით გრიგორი მძიმედ დაიჭრა თავის არეში, გონება დაჰკარგა, როცა გონს მოვიდა, იგრძნო რომ თვალთაგან სისხლი მოსდის. იგი მიჰყავთ ჰოსპიტალში, პარალელურად კი შემდეგი ამბები ხდება: 28 წლის ევგენი ლისტნიცკი გადაწყვეტს მოქმედ არმიაში წავიდეს. მამას წერილს უგზავნის

თავისი მომავალი გეგმების შესახებ, არწმუნებს, რომ „ლისტნიცკების სახელოვან სისხლს“ არ შეარცხვენს, აღაფრთოვანებს იმპერატორი ნახა, როძიანკოსთან ერთად, აღმერთებს მონარქს, რომელმაც გვერდით ჩაუჯდა დროს, თვალით ანიშნა მასზე და ინგლისურად წარმოსთქვა: „აი ჩემი სახელოვანი გვარდიელი. ამ გვარდიით თავის დროზე მე კარტს მოვუგერი ვილჰელმსო“ (გვ. 319). მე არ მრცხვენია, რომ ასე ვაღმერთებ იმპერატორს. „ღრმად მაღელვებს სასახლის ჭორები, რითაც ობობას ქსელში ახვევენ, მონარქის ნათელ სახელს. მე მათი არაფერი მწამს და არც შეიძლება მწამდეს. ამ დღეებში მე კინაღამ ტყვიით დავცხრილე ესაული გრომოვი იმის გამო, რომ მან ჩემი თანდასწრებით გაბედა უპატივცემულოდ მოეხსენებინა მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა“-ო. (გვ. 319).

ასე სწერს ფანატიკური მონარქისტი ევგენი ლისტნიცკი თავის მამას, თანაც ამცნობს საიდუმლოს, რომ გვარდიულ პოლკებში, განსაკუთრებით მის ოფიცრობაში, არ არის „ნამდვილი პატრიოტიზმი, საშინელია ითქვას — არ არის დინასტიისადმი სიყვარულიც კი. ეს თავად-აზნაურობა კი არა, ბრბოა“ (გვ. 320). ამიტომ ევგენი გარბის პოლკიდან, სურს ომშიაც დაამტკიცოს ტახტისადმი უსაზღვრო ერთგულება. საამისოდ არაფერს იშურებს— არც სისხლს, არც ენერგიას, უსაზღვრო თავდადებასაც კი იჩენს.

სწორედ ამ დროს სიუჟეტის ჭარგაში გამოჩნდება ნოვოჩერკასკელი ბუნჩუკი, რომელიც არმიაში თავისი ნებით წავიდა, პროფესიით მუშა — პეტერბურგის, დონის როსტოვის, ტულის ქარხნებში რომ უმუშავნია. იგი სთხოვს ლისტნიცკის მეტყვიამფრქვეველად გადაიყვანოს, რაკი კარგად იცნობს შოშის, ბერტიეს, მაძსენის, მაქსიმეს, გოჩკისის, ბერგმანის, ვიკერსის, ლიუისს, შვარცლობეს სისტემებს (გვ. 331). ბუნჩუკის ასეთი ფართო ცოდნით გაოცებული ევგენი მას ჰპირდება დახმარებას — შუამდგომლობას პოლკის მეთაურთან. შემდეგ, როცა არაერთხელ ხვდება ამ კაცს, ლისტნიცკი ყოველთვის გაკვირვებული რჩება ბუნჩუკის გონებამახვილობით, ჩაკრული სიტყვებით, დაუმთავრებელი ორაზროვანი ფრაზებით. ერთხელ ბუნჩუკმა ასე უთხრა ლისტნიცკის: „ქარის დამთესი ქარიშხალს მოიმკისო“ (გვ. 333). ლისტნიცკი ვერ

მიუხვდა ბუნჩუკს, მიაწერა, რომ იგი ან ორიგინალური კაცია, ან კიდევ ახირებული ხასიათისა.

აქ საჭიროა გამოვეთხოვოთ ბუნჩუკს, რომელსაც ისევ მალე შევხვდებით, მანამდე კი უნდა დავუბრუნდეთ ხუტორ ტატარსკის, სადაც ამაზრზენი ცნობა მიიღეს ფრონტიდან გრიგორის დაღუპვის შესახებ. თითქოს ეს მოხდა ღამით, 16 სექტემბერს, ქალაქ კამენკა-სტრუმილოვის ახლოს. მშობლებს ატყობინებდნენ, რომ თქვენი შვილი — გრიგორი პანტელეევიჩ მელეხოვი მამაცთა სიკვდილით დაიღუპა. მისი ქონება ძმას—პეტრე მელეხოვს გადაეცემა, ცხენი კი პოლკს დარჩებაო.

ადვილი წარმოსადგენია, რა ამბავი დატრიალდებოდა მელეხოვების ოჯახში. ყველამ სამძინლად განიცადა გრიგორის დაღუპვა, განსაკუთრებით ქმრის უსაზღვროდ ერთგულმა ნატალიამ. პანაშვიდი გადაიხადეს, მაგრამ თორმეტი დღის შემდეგ პეტრე მელეხოვისაგან ორი წერილი მიიღეს, რომ გრიშკა ცოცხალია, თუმცა დაიჭრა. მძიმე მდგომარეობაში მყოფმა, დაჭრილმა გრიგორიმ ოფიცერიც კი გადაარჩინა — ისიც მძიმედ დაჭრილი სამშვიდობოზე გამოიყვანა, რისთვისაც გიორგის ჯვარი მისცეს და უმცროსი ურიადნიკის წოდება უბოძეს. გლოვა და ტანჯვა სიხარულით შეიცვალა. მირონ გრიგორიჩ კორშუნოვმა კი მძახალს პრეტენზია განუცხადა — მითხარი, პროკოფიჩ, შენი შვილი კიდევ დიდხანს გააგრძელებს ნატალიას მასხარად აგდებას (გვ. 341). თემა ისეთი იყო, რომ მძახლები ვერ მორიგდნენ, ისინი დაუმშვიდობებლად განშორდნენ ერთმანეთს.

ხდება მეორე ამბავიც: ბედკრული, მაგრამ გრიგორის გადარჩენით აღფრთოვანებული ნატალია გულუბრყვილოდ გადაწყვეტს მივიდეს აქსინიასთან და სთხოვოს გრიგორი ჩემი კანონიერი ქმარია და დამიბრუნეო. იგი თავისი მეუღლის უაღრესად ერთგული ცოლია, გასართობად და დროს სატარებლად არსად დადის, თუმცა ხუტორის ქალები, მათ შორის დარია, არაერთხელ აქეზებენ. დარიას კიდევაც უკვირს: ასე დიდხანს როგორ ითმენ, რომ უკაზაკოდ ცხოვრობო. ნატალია მას უსინდისოს უწოდებს (გვ. 344), უბედურებას უწინასწარმეტყველებს. დარია აინუნშიაც არ აგდებს ნატალიას სიტყვებს, პირიქით, უყვება, თუ ერთხელ როგორ გაჯიზრახა მისი სილამაზით მოხიბლულმა, თექვსმეტი წლის ტი-

მოშკა მანიცკიმ მასთან ეცხოვრა, როგორ მოიშორა თავიდან, თუმცა მზად არის რომელიმე მოხუცსაც კი უარი არ უთხრას. მიუხედავად ხასიათების ასეთი რადიკალური განსხვავებისა, დარია და ნატალია ერთმანეთისადმი მაინც კეთილად, თბილად არიან განწყობილნი.

სულ სხვა — ანტიპოდურნი არიან ნატალია და აქსინია. ორივეს ძალიან უყვარს ერთი კაცი — გრიგორი მელეხოვი, პირველს, როგორც კანონიერ მეუღლეს, მეორეს, როგორც სატრფოს, რომელსაც უკვე შვილი შეეძინა, „უკანონო შვილი". ბუნებრივია, ყოველივე ეს მათ შორის ბადებს გადაულახავ წინააღმდეგობას. მაგრამ, ესეც რომ არ იყოს, ხასიათის მხრივ ნატალია და აქსინია ორი განსხვავებული არსებაა — ერთს ქმრისადმი ერთგულების მეტი არაფერი გააჩნია, მეორე მხოლოდ სიყვარულისათვის არის გაგიჟებული, თუმცა ქმართანაც ცხოვრობს, ავად თუ კარგად, გარდა ამისა, როცა შემთხვევა მიეცა, დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევია, ისე უღალატა გრიგორი მელეხოვს. ასეთ საქციელს ნატალია არასოდეს ჩაიდენდა. ნატალია სუსტი, მორჩილი, სათუთი, ნაზი არსებაა, ხოლო აქსინია — ძლიერი, შეუპოვარი, ხშირად ტლანქი, ბაგრამ ვაჟკაცისათვის უფრო მიმზიდველი. ორივე ლამაზია, მაგრამ ნატალია ნაკლებად აღქვეყნიერია, აქსინია კი მთლიანად მიწიერი ენების განხორციელებაა. როცა ისინი შებვდნენ ერთმანეთს და ნატალიამ უთხრა: „— შენ მე ქმარი წამართვი... მომეცი გრიგორი!.. შენ... მე ცხოვრება დამინგრიე... ხედავ, რას დაეემსგავსეო" (გვ. 348), აქსინია წარბსაც არ შეიხრის, სინანულის ან შეცოდების ნატამალსაც არ იჩენს, პირიქით, შეტევაზე გადადის: „ქმარი დაგიბრუნო? ვისა სთხოვ? რატომ მოდი?.. გვიან მოგიფიქრებია შენი თხოვნა!.. გვიან!" (გვ. 348). და ის ზიზღით შეჰყურებს ნატალიას, დასცინის, აბეჩად იგდებს, შხამიან გველსაც კი უწოდებს, ბრალდებას უყენებს: „შენ პირველმა წამართვი მე გრიშკა! შენ, და არა მე... შენ იცოდი, რომ ის ჩემთან ცხოვრობდა, რატომ გაჰყევი ცოლად? მე ჩემი დავიბრუნე, ის ჩემია. მისგან ბავშვი მყავს, შენ კი... — გრიშკა ჩემია — და არავის მივცემ!.. ჩემია! ჩემია! გესმის შენ? ჩემია... წადი, უსინდისოვ, შენ მისი ცოლი არა ხარ. შენ ბავშვს გინდა მამა წაართვა? ოჰო!" (გვ. 348). აქ მთელი აქსინიაა, აღშფოთებული, შეუპოვარი აქსინია, რომე-

ლიც ასე ექცევა არამარტო ისეთ სუსტ არსებას, როგორიც ნატალია. არამედ, ძლიერ პანტელეი პროკოფიჩსაც — სახლიდან თითქმის ასეთივე სიტყვებით რომ გამოაგდო. ნატალიას შენიშვნაზე. — შენ ხომ ქმარი მიატოვეო, — გაბრაზებული აქსინია უპასუხებს: „გრიშკას გარდა მე ქმარი არა მყავს. არავინ არა მყავს მთელ ქვეყანაზე“-ო. (გვ. 343). ამ დროს ტანიუშამ გაიღვიძა. ბავშვი ხელში აიყვანა დედამ, ხოლო ნატალიამ, რომელიც მთლად ცახცახებდა, აქსინიას გოგონას სახეზე გრიგორის თვალები დაინახა. ეს მისთვის საშინელება იყო. ნატალიამ უმალ დატოვა იქაურობა, აქსინიას კი ბრაზმა ხელი ვერ შეუშალა ერთხელ კიდევ დარწმუნებულიყო, რომ გრიგორის კანონიერი ცოლი, ოდნავ გადახრილი ყელის მიუხედავად, ისევე კარგი იყო, როგორც წინათ.

თუ ასე ბორგავს ხუტორში მელეხოვის ირგვლივ თავმოყრილი საქმეები, ფრონტზე შეუდარებლად უარესი ამბები ხდება. საშინელია გრიგორის მოგონებები, რაც იხილა და განიცადა. მარტო ეგორ ჭარკოვის ტრაგედია ცნობიერების დაკარგვამდე შეაძრწუნებს ადამიანს. ჭარკოვს ორივე ფეხი მოწყვეტილი აქვს, ნაწლავები გარეთ არის გამოყრილი და ორთქლი ასდით; მომაკვდავი კი ხელებზე დაყრდნობილი მოფოფხავს, გადმოვარდნილი თვალებიდან სისხლიანი ცრემლები ლოყებზე მოსდის და ჰყვირის: „ძმებო, მომკალითო “. (გვ. 356). საერთოდ, ყველგან სადაც ომის, ბრძოლის, ბატალური სცენებია, შოლოხოვი ისე აგვიწერს, რომ შეუძლებელია მთელ ტანში ჟრუანტელმა არ დაგიაროთ.

ბაგრამ ახლა ისევ მელეხოვს დავუბრუნდეთ.

ის უკვე წევს მოსკოვის ჰოსპიტალში თვალის მკურნალთან. გრიგორიზე ადრე, 29 აგვისტოს, შეველის რაიონში, დიდი შეტევის ღროს, საკმაოდ მძიმედ დაჭრეს ევგენი ლისტნიცკი. დაჭრილი ვარშავის ჰოსპიტალში მოათავსეს. აქედან ის გაემართა იაგოდნოეში, მამასთან. ვენიამინის ჯარში გაწვევის შემდეგ აქსინია ხდება ლისტნიცკების ხელზე მოსამსახურე. საშინელ მდგომარეობაში ვარდება იგი, როცა ტანიუშა ავად ხდება, ვერაფერს უშველიან და დედის ხელებზე გარდაიცვლება. უსაზღვროა ეს ტრაგედია აქსინიასთვის. პაპა საშკა გაუთხრის საფლავს ტანიუშას და მიწას მიაბარებს.

ამ დროს ჩამოდის ევგენი ლისტნიცკი. მწუხარებაში მყოფ აქსინიას რამდენიმე თბილ სიტყვას ეტყვის და მესამე ღღეს უკვე იმორჩილებს. გაოგნებული აქსინია ევგენის დანებდა მთელი თავისი მჩქეფარე, დიდი ხნის წინათ დავიწყებული ვნებიანობით, მაგრამ როცა გამოერკვა, მაგრად იყივლა და ნახევრად მიშველი აივანზე გავარდა. კიდევ სამი ღღე გავიდა იმ ღამის შემდეგ. აქსინია ყოველთვის ხელს ჰკრავს ვნებათქცეულ ევგენის. მაგრამ მესამე ღამეს ქალს ხელი აღარ უკრავს, ახალგაზრდა ლისტნიცკისთან ცხოვრებას იგი უკვე შეურიგდა.

მოსკოვში კი, ჰოსპიტლად გადაკეთებულ სნეგირიოვის თვალის საავადმყოფოში, გრიგორი გაეცნობა ვინმე გარანჟას. ეს უკანასკნელი მელეხოვს სწორად განუმარტავს ომის მიზეზებს, ბევრ რამეში კრიტიკულად ჩაახედებს, აუხსნის და განუმარტავს რაც ხდება ან რაც შეიძლება მოხდეს. ამისათვის, გამომშვიდობების დროს, გრიგორიმ მადლობა ვერაუხადა გარანჟას: „... გმადლობ, რომ თვალი ამიხილე. ახლა მე მხედველი ვარ და ვეიო" (გვ. 373). შემთხვევითი არ იყო, რომ ჰოსპიტალში მელეხოვს შეარჩევს „მოუსვენარი". შემდეგ ინციდენტიც მოხდა: გრიგორი აგდებულად მოექცა ჰოსპიტალში მოსულ ქალს იმპერატორის გვარეულობიდან. გაცოფებულმა ჰოსპიტლის გამგემ ამის გამო გრიგორის „მუდრეგი" უწოდა და შინ გასტუმრება არ დაუყოვნა.

იაგოდნოეში ჩასულმა გრიგორიმ ყველაფერი შეიტყო. ლისტნიცკი სასეირნოდ გაიტყუა და სასტიკად მიბეგვა. ღალატისათვის აქსინიასაც მძიმე ღღე გაუთენა. განშორდა მას და მშობლების სასიხარულოდ იმ ღამეს ნატალიასთან ერთად ლოგინში ჩაწვა.

ამით მთავრდება „წყნარი დონის" პირველი წიგნი.

მარტო ის, რაც „წყნარი დონის" პირველ წიგნშია, თუ შემდგომი სამი წიგნი ვერ დაიწერებოდა, მკითხველს აძლევდა ურყევ საფუძველს დარწმუნებულიყო, რომ შეიქმნა უზადო ნაწარმოები, რომელიც ავტორს უეჭველად გახდიდა ჩვენი ლიტერატურის არამარტო ერთ-ერთ მოწინავე, არამედ, უნიჭიერეს მწერლადაც. შოლოხოვის ასაკში ასეთი ძლიერი რომანი არც ერთ საბჭოთა ბელეტრისტს არ დაუწერია. ამიტომ იყო, რომ „წყნარი დონის" პირველმავე წიგნმა სრულიად ახალგაზრდა მიხეილ შოლოხოვი დიდების მწვერვალზე აიყვანა.

3

რომანის მეორე წიგნი იწყება პირველი მსოფლიო ომის ერთ-ერთი ფრონტის აღწერით: „ათას ცხრაას თექვსმეტი წელია. ოქტომბერი. ღამე. წვიმა და ქარი". პოლესიეს სანგრებში განაწამები ჯარისკაცები სხედან. სანგრების წინ მავთულხლართებია. ოფიცერთა მიწურებშიც სახარბიელო მდგომარეობა როდია. ერთ-ერთ მათგანში შედის წვიმისაგან დასველებული და ტალახში ამოსვრილი ხორუნჟი ბუნჩუკი. იგი სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრია, ბოლშევიკი, თავისი ნებით რომ წავიდა ფრონტზე, ჯარისკაცთა და ოფიცერთა შორის ეწევა აგიტაციას, გამოცდილი კონსპირატორია. მიწურში, რომელშიაც ბუნჩუკი შევიდა, ოფიცერი ევგენი ლისტნიცკია. მკითხველი მას პირველად ხედავს მას შემდეგ, რაც გრიგორი მელეხოვმა აქსინიას გამო სასტიკად გაუსწორა ანგარიში. როცა ბუნჩუკის სიტყვები მოისმინა იმის შესახებ, რომ პეტერბურგში პური არ ყოფნით, მუშათა რაიონებში შიმშილია, უკმაყოფილებაა, ყრუ პროტესტია, თუ რუსეთ-იაპონიის ომმა წარმოშვა 1905 წლის რევოლუცია, ეს ომი ახალი რევოლუციით დამთავრდება, და არა მარტო რევოლუციით, არამედ სამოქალაქო ომითაც. — მონარქისტი ლისტნიცკი გაოცდება, რომ ოფიცერთა შორის ისეთი სუბიექტებიც არიან, როგორიც ბუნჩუკია. მისი პირადენცული აგიტაცია ლისტნიცკის აღშფოთებას იწვევს, მიაჩნია, რომ ეს არის „ეროვნული ღალატი" (ტ. 3, გვ. 8). — დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, — ეუბნება ბუნჩუკი ოფიცრებს, — ცარიზმი მოსპობილი იქნება, პროლეტარიატის ძალაუფლება, მუშების დიქტატურა დამყარდება. და ბუნჩუკი წაიკითხავს გაზეთში დაბეჭდილი ლენინის წერილიდან ვრცელ ამონაწერს, რომელშიაც ლაპარაკია იმდროინდელი ჯარის ბუნებაზე, ბურჟუაზიის წინააღმდეგ მუშათა კლასის ბრძოლის, რევოლუციური სიტუაციის, პროლეტარიატის განთავისუფლების შესახებ.

შეასრულა თუ არა მისია, რამაც ზოგიერთი სხვაგვარად ჩაიფიქრა, დასაბუთებული კამათის შემდეგ ბუნჩუკმა მიწური დატოვა. ლისტნიცკიმ აიღო ოფიცერ მერკულოვის მიერ ფანქრით და-

ხატული ბუნჩუკის სურათი და მეორე გვერდზე დაბეზღება მისწერა „მის მაღალკეთილშობილებას“: ხორუნჟი ბუნჩუკი ნამდვილად ის არის, ვის შესახებაც ადრე გაცნობეთ; თავისი პარტიის დავალებით ოფიცერთა შორის ეწევა მტრულ აგიტაციას, წაგეკითხა ჟენევაში გამოსული პარტიული გაზეთის — „კომუნისტის“ ამონაწერები, მორალურად პოლკს რყვნის, იატაკქვეშ მუშაობს, აძლიერებს რევოლუციურ მოღვაწეობას, საჭიროა დაარატიმროთ, სამხედრო-საველე სასამართლოს გადასცეთ, მეტყვიან მფრქვეველთაგან განსაკუთრებით საშიში გაუუნებლოთო (გვ. 13—14). მაგრამ ეს დაბეზღება უკვე დაგვიანებული იყო. მეორე დღეს ლისტნიცკის მოახსენეს, რომ ღამით ბუნჩუკი გაპარულა, როგორც კი ოფიცერთა მიწურიდან გავიდა აგიტაციის დამთავრების შემდეგო. მონარქისტი მშრალზე დარჩა. მაგრამ სხვა ამბავმაც უფრო შეაშფოთა: სანგრებში გაუერცელებიათ არალეგალური ბოლშევიკური ფურცლები ჯარისკაცებისადმი, რომელიც თავდებოდა სიტყვებით: „ძირს თვითმპყრობელობა! ძირს იმპერიალისტური ომი! გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელთა ურღვევ ერთიანობას!“. ამ სიტყვების წაკითხვის შემდეგ მძულვარებით ბოცულმა ლისტნიცკიმ გაიფიქრა — „აი ის. იწყება!“ (გვ. 16). ასე გვეუბნება ავტორი, და უკეთესი სიტყვები ვერ მოინახებოდა ფანატიკური მონარქისტის სულიერი განწყობილების დასახასიათებლად. დიახ, „ის“ ღაიწყო, მაგრამ გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე მოახლოებული კატასტროფის გარდუვალობას ლისტნიცკი აშკარად შეიგნებდა.

მოახდინეს ჯარისკაცებსა და ოფიცრებში „გაწმენდა“, ზოგი დააპატიმრეს, ზოგი „უვნებელ“ ადგილზე გადაიყვანეს. მაგრამ „ის“, რაც დაიწყო, შეუჩერებლად მიდიოდა ალმავალი ხაზით. არამარტო ადამიანები იცვლებოდნენ, მათი სიმღერებიც სულ სხვაგვარი ხდებოდა. ლისტნიცკი ამას გრძნობდა, ხედავდა, რომ ჯარისკაცებიც კი, ეს „პატარა განკერძოებული ნაცია, ტრადიციით მეომარი“ (გვ. 21), რომლებსაც მოსწყინდათ გაჭიანურებული ომი, სახლისაკენ იწევდნენ. განა ისტორიაში ყოველთვის ასე არ იყო? გაჭიანურებული ომი ყველაზე მტკიცე და დისციპლინირებულ ჯარებს მორალურად შეარყევდა ხოლმე „სუვოროვი — მანაც განიცადა თავის თავზე...“ (იქვე). ყოველივე ამაზე ფიქრი უსიამოვ-

ნებასა და შინაგან ძრწოლას იწვევდა ფანატიკურად ერთგულქვეშევრდომული მონარქისტის ევგენი ლისტნიცკის არსებაში.

მაგრამ სად გაჰქრა ლისტნიცკისათვის ამდენი უსიამოვნების მიმყენებელი ბუნჩუკი?

გაქცევის შემდეგ, სალამოს, ბუნჩუკი მივიდა ფრონტისპირა დიდ სავაჭრო ადგილზე, კონსპირატიულ სახლში, საიდანაც ახალი დავალებით გაემგზავრა. არმიაში ბოლშევიკური ორგანიზაციები გზას იკაფავენ, ბუნჩუკი ამ საქმისათვის ერთ-ერთი მებრძოლთაგანია, მაგრამ ის უკვე არის 141-ე ორშანის პოლკის ჯარისკაცი ნიკოლაი უხვატოვი, რომელიც ჯარისაგან განთავისუფლებულია, რაკი „მკერდშია დაჭრილი". მისი ცნობა ბუნჩუკად უკვე აღარავის შეუძლია, ისეა „გადაცმული და შეფერადებული" (გვ. 23).

ფრონტზე კი დიდი შეტევაა ელადიმირ-ვოლინსკისა და კოველის მიმართულებით. შოლოხოვი ოსტატურად აგვიწერს ბატალურ სცენებს, საშინელ სურათებს, მოკლულებსა და დაჭრილებს, იმ მძიმე ტკივილებს, რასაც გუშინდელი მშვიდობიანი გლეხკაცები, დღეს ჯარისკაცებად ქცეულნი, განიცდიან. მარტო ერთ უბანზე 47 მოკლული ოფიცერი დაითვალეს, თითოეული მათგანი 20-დან 25 წლამდე ასაკისა იყო. ირგვლივ უამრავი გვამია, საშინელებაა! ყველაფერი ეს ბუნებრივად აფიქრებს ჯარისკაცებს, თუ რატომ ხოცავენ ერთმანეთს, რა მიზანი აქვს ამ უაზრო ომს? თანდათან იწყება, ნელა, მაგრამ შეგნებულად, ჯარისკაცების დაძმობილება. აი, სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი ვალეტი, ტყვე გერმანელს, რომელიც აგრეთვე სოციალ-დემოკრატი აღმოჩნდება, ათავისუფლებს; უკანასკნელი კი ამბობს: „მომავალ კლასობრივ ბრძოლებში ჩვენ ვიქნებით ერთ სანგრებში, ხომ მართალია, ამხანაგო?" (გვ. 36).

მაგრამ ყველას როდი შეუძლია გადაიტანოს ომის გრიგალი. ყოველივე იმის გამო, რაც ნახა, გავრილ ლიხოვიდოვი გაგიჟდა, დაიწყო სიმღერები, ვერ გააჩერეს, — განა შეიძლებოდა მისი დაწუნარება? ეს სცენები ისეა გადმოცემული, თითქოს ავტორთან ერთად ჩვენც ვიყოთ და მთელ ამ ჯოჯოხეთს საკუთარი თვალით ცხადად ვხედავდეთ.

მაგრამ ხომ არის ავდრის შემდეგ გამოდარება, ქარიშხალს ხომ მოსდევს ბუნების სტიქიური ძალების დაწუნარება?! ომსაც

ეს წესი აქვს: დიდი შეტევების შემდეგ იწყება საკმაოდ ხანგრძლივი შესვენება, ყველაფერი წყნარდება რამდენიმე დღით მაინც. და აი, ერთ-ერთი ასეთი შეყოვნების დროს, გრიგორი მელეხოვი გამოვიდა მიწურიდან, შეეიდა ტყეში, პატარა ბორცვზე წამოწვა და ფიქრს მიეცა. თამბაქოს კვამლითა და სხვა უსიამოვნო შეგრძნებებით სავსე მიწურიდან ტყის სუფთა ჰაერზე გამოსული მელეხოვი ფიქრს მიეცა. რაზე უნდა ეფიქრა უკვე საკმაოდ განაწამებ კაცს ყუმბარებისაგან დამახინჯებულ ტყეში, რომლის თავზეც ცის შავი წყვდიადის ფონზე ვარსკვლავები ციმციმებდნენ?

გაიხსენა ნიენე-იაბლონოვსკიდან იაგოდნოეში იმ ღამით აქსინიასთან წასვლა. ამ უკანასკნელის მოგონებამ ვერა და ვერ შეაძლებინა გრიგორის ნათლად წარმოედგინა აქსინიას სახის ნაკვთები, რომლებიც მისთვის ასე უსაზღვროდ ძვირფასი იყო. ვერც უკანასკნელი შეხვედრის დროს სახეში შოლტით ნაცემი აქსინიას მუქად აწითლებული ლოყების წარმოდგენა შეიძლო. მთელი ეს სცენა, შემდეგ დაკავშირებული ნატალიასთან, მის გვერდით გატარებულ კვირეებთან ტატარსკში, ცოლი რომ ასე ხარბად ეალერსებოდა, თითქოს ადრინდელი ქალწულებრივი გულცივობის სანაცვლოდ, — არაჩვეულებრივი ფსიქოლოგიური სიზუსტით არის გადმოცემული. ბევრის მთქმელია ფრაზაც: „ფრონტიდან მოვიდა გრიგორი სხვა კაცად, წავიდა სულ სხვა კაცი“ (გვ. 43). გარანეას მართალმა სიტყვებმა მის არსებაში გარკვეული ცვლილებები გამოიწვია. ამას ზედ დაერთო ის, რაც სოფელში მოხდა, ლისტნიცკისთან აქსინიას ღალატი, ნატალიასთან შერიგება, ცხოვრების ხელახლა დაწყება, შვილის წარმატებებით პანტელეის სიამაყე — მას ხომ შვილი გიორგის რამდენიმე ორდენის კავალერი ჰყავს... რას არ იხსენებს მარტოდ დარჩენილი მელეხოვი ტყეში, პატარა ბორცვზე ღამით წამოწოლილი: ფრონტზე ჩადენილ გმირობას, სტეფანე ასტახოვთან შეხვედრას, მოკლის ნაცვლად, მის გადარჩენას აშკარა დალუპვისავან. და სწორედ დაშრილი, ახლა მის მიერ გადარჩენილი მტრისაგან გრიგორი შეიტყობს, რომ სტეფანეს თურმე სამჯერ უსვრია ტყვია, შეტევის დროს, მის მოსაკლავად. გრიგორიმ კი სიკვდილისაგან იხსნა. „შენ მე სიკვდილს ამარიდე... გმადლობ... აქსინიასათვის კი არ შემიძლია გაპატიო“ (გვ. 46), — ასე

ებნება დაჭრილი სტეფანე თავის გადამრჩენელ გრიგორი მელეხოვს. და ისინი, როგორც წინათ, შეურიგებელნი დაშორდნენ ერთმანეთს!

კიდევ რას არ იხსენებს უკვე გიორგის ოთხი ორდენისა და ოთხი მედლის კავალერი გრიგორი მელეხოვი: ფრონტზე ჩადენილ არაერთ გმირულ მოქმედებას, სიმამაცეს, დაზვერვაში ბეწვის ხიდებზე სიარულს, ერთი სიტყვით — ყველაფერს, რაც ჯარისკაცს თუ ოფიცერს ომში გადახდება. მაგრამ მელეხოვი ყველგან რაღაც ადამიანურს ამჟღავნებს — ძლიერ ადამიანურსა და ამდენადვე ჩუსტ ადამიანურს. მასში ორივე ეს მხარე თითქოს ცელის, ავსებს ერთმანეთს, წინააღმდეგობაშია ან სრულ თანხმობით ხორციელდება. მეგობრებიც, თუ მას კარგად იცნობენ, ასევე ექცევიან ამ განსაკუთრებულ კაზაკს. და რა შესანიშნავად ამბობს შოლოხოვი, როცა ჩუბატისა და მელეხოვის ურთიერთობას ახასიათებს. ეს ორი კაცი ერთად ცხოვრობდნენ მიწურში და ჩუბატი იმ პატივისცემით ექცეოდა მელეხოვს, როგორსაც „ძლიერი მხეცი განიცდის ზედენადვე ძლიერისადმი" (გვ. 47). ეს გრიგორი მელეხოვის უაღრესად რთული ხასიათის უეჭველად ერთი არსებითი ნიშანთაგანია.

უკვე სამი წელია ომი მიმდინარეობს, სამი წელია კაზაკები ფრონტზე არიან, სახლ-კარს მოშორებულნი, ოჯახები კი უკან-უკან მიდიან, მეურნეობა იშლება, პარტახდება, შიმშილი, ავადმყოფობა, ხელმოკლეობა მუსრს ავლებს მოსახლეობას, ხუტორები ცარიელდება. სულ ალარავინაა სტეფანე ასტახოვის სახლში. აქსინია ისევ ლისტნიცკებთან ცხოვრობს. ჯერჯერობით მარტოოდენ მელეხოვების ოჯახია შედარებით მთელი. შეუმცირდა მხოლოდ ნათესები, რაკი პანტელეი, ქალების ამარა დარჩენილი, მეტს ვეღარ აუდის, თუმცა წელებზე ფეხს იდგამს. მართალია, ორი ადამიანი წავიდა ამ ოჯახიდან ფრონტზე, მაგრამ ნატალიამ ტყუპი ბავშვები დაბადა, ბიჭი და გოგო, ამიტომ სულადობა არ შემცირებულა. საზღვარი არ ჰქონდა ძველი კაზაკის — პანტელეის სიხარულს, რომ მელეხოვები გამრავლდნენ.

უცნაურად მოიქცა ნატალია, რომელსაც შეეძლო ნორმალურად მოელოგინებინა ქმრის ოჯახში. მშობიარობის მოახლოებისას,

ერთ მშვენიერ, ნათელ სექტემბრის დღეს, იგი გავიდა სახლიდან, ზშირ ეკალ-ბარდებში მოიმშობიარა მარტოდმარტომ, მდინარეში თვითონაც დაიბანა და ბავშვებიც განბანა. სალამოს შინ დაბრუნდა, განცვიფრებულ დედამთილს კი ფერმიხდილმა, მისუსტებულმა უთხრა — სირცხვილის გამო წავედი, მამამთილის მომეხათრა, ჩვენ სუფთად ვართო (გვ. 57). ეს შტრიხი ნატალიას ხასიათის ბუნებრივი გამოვლენაა. ამ სათნო, კეთილშობილ, ოჯახური სიამტკბილობისათვის დაბადებულ ლამაზ ქალში არის რაღაც უჩვეულოდ თავისებური კდემამოსილება!

ასე გაჩნდნენ შელეხოვების ახალი შთამომავლები — მიშატკა და პოლუშკა.

ასე მიდის ცხოვრება — ფრონტზე და ზურგში, ორივე ალსავსეა ათასგვარი ტანჯვით, მოულოდნელობით, ყველა ფიქრობს რა იქნება ხვალ, რა მოხდება? კანტიკუნტად მოდის ცნობები ფრონტიდან, ასევე კანტიკუნტად გებულობენ ოჯახის ამბებს ომში წასული მამაკაცები. პეტრო მელეხოვმა როგორღაც შეიტყო ცოლის თავისუფალი ქცევის ამბავი და მუქარის წერილი მოსწერა დარიას. ამას დაემატა სტეფანე ასტახოვის ნათქვამი მთელი ასეულის წინაშე, რომ შვებულება სახლში დიდებულად გაატარა პეტრო მელეხოვის ცოლთან. როცა ამხანაგებისაგან ამის შესახებ ისმენდა, პეტრომ უარყოფა დაიწყო — სტეპკა ტყუის, გრიშკას გამო მაჯავრებსო (გვ. 59). მაგრამ ერთხელ შენიშნა, რომ სტეფანეს დარიას მიერ ამოქსოვილი ხელსახოცი ჰქონდა. ამან კიდევ უფრო გაამწვავა მათ შორის ურთიერთობა, ძველი მეზობლები მტრად ექცნენ ერთმანეთს. დაზვერვაზე წასული სტეფანე გერმანელებმა დაჭრეს, მეგობარმა კაზაკებმა კი ვეღარ ათრიეს დამძიმებული თანამებრძოლი. პეტრომ შვება იგრძნო, როცა ეს ამბავი შეიტყო. ცოლზე კი აზრი არ შეუცვლია — „შვებულებაში წავალ — დაშკას სისხლს ვადენ. მე სტეფანე არა ვარ, ისე არ გაეშვები"-ო (გვ. 59). რომ მოვკლა, ციხეში ამომალპობენ, თვალს ამოვთხრი ქვეწარმავალს, ეშმაკსაც შეშურდება, ისე ვცემ, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე კუდის ქნევის ხალისი დაეუკარგოო. დარია კი ამ დროს თითქოს ახდენდა უქმროდ ხანგრძლივი ცხოვრების კომპენსირებას. პანტელეი ამას გრძნობდა, ბრაზობ-

და, ტუქსავდა სახელგატეხილ რძალს, მაგრამ ვერაფერს აწყობდა. ილინიჩნას ავალებდა — ბევრი ამუშავე დარია, როცა საქმე ექნება, ხეტიალის დრო აღარ დარჩებაო.

მაგრამ ამაო იყო პანტელეი პროკოფიჩის ცდები. ერთხელ დარიამ ისე მოაწყო, რომ ვნებააეშალა მამამთილისათვის, მოეხვია, ყველაფრით აგრძნობინა შენთან ცხოვრება მინდაო, ხოლო, როცა ბოხუცმა ზიზღით უარჰყო მისი განზრახვა, პირდაპირ განუცხადა: „მე ამის გარეშე არ შემიძლია... მე კაზაკი მინდა, რაკი შენ არ გსურს — მე ჩემთვის ვიშოვი, შენ კი ხმა არ ამოიღოო“ (გვ. 62). წარმოიდგინეთ, რა სატანჯველში ჩავარდებოდა პანტელეი პროკოფიჩი, როცა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ დარია უკაცოდ მართლა ვერ გაჩერდებოდა.

ნოემბერში გრიგორის წერილი მოვიდა — მარცხენა ხელში დაჭრილი ვარ, სამკურნალოდ შინ მიშვებენო. ერთი თვის წინ კი ბოხოვისაგან წლინახევრის წინათ აღებული ასი მანეთი ვალისათვის პანტელეის სასამართლომ ვალის გადახდა და ხარჯების დაფარვა მიუსაჯა. მოხუცს ფული არ ჰქონდა, მძახალთან წავიდა ხელის გასამართავად. იქ დახვდა ფრონტიდან ჩამოსული მიტკა კორშუნოვი, გიორგის ჯვრით დამშვენებული. მირონ კორშუნოვმა ასი მანეთი მისცა პანტელეის, თან ზოგი რამ შეიტყო სამი წლის ჩანძილზე საკმაოდ შეცვლილ მიტკასაგან. იმ ხუთი დღის მანძილზე, რაც მიტკა კორშუნოვმა ხუტორში გაატარა, ბევრი რამ მოასწრო: იცხოვრა ანიკუშკას ცოლთან, იქეიფა ნათესავებში, დარიასაც უნდოდა მასთან დრო გაეტარებინა, მაგრამ ილინიჩნამ ქალის გუმანით იგრძნო რძლის განზრახვა და ხელი შეუშალა. მიტკა კორშუნოვი, რომელიც ფრონტზე წასვლამდე კეთილშობილებით არ გამოირჩეოდა (გაიხსენეთ როცა საკუთარ დასთან — ნატალიასთან ცხოვრება მოინდომა), ომში ზნეობრივად სულ დაცემულა, მასში მკვლელის, მძარცველის, ვერაგის სულს გაუმარჯვებია. ბევრჯერ დაუსჯიათ ფრონტზე, ერთხელ დახვრეტასაც გადარჩენია, ერთი სიტყვით, მიტკა კორშუნოვი, ხასიათით ნატალიას სრული ანტიპოდი, საზიზღარი, მხეცური პიროვნებაა. მისგან ყოველგვარი სისაძაგლეა მოსალოდნელი. ანიკუშკას ცოლს სუსუნატი შეჰყარა.

სადაც მიდის, უბედურება მიაქვს. ჯოჯოხეთისათვის დაბადებული ტარტაროზია.

რევოლუცია ახლოვდება. ყველა გრძნობს — მტერიც და მოყვარეც. შეშფოთებაა მაღალ ფენებში — ოფიცრების გარდა, ბურჟუაზიაც შავი დღეების მოლოდინშია. შეძლებული ვაჭარი სერგეი პლატონოვიჩ მოხოვი ლისტნიცკებთან მიდის, რომ გაიგოს რა ხდება, რაა მოსალოდნელი. მარტის პირველ რიცხვებში მან შეიტყო — მეფე ჩამოუგდიათ, მონარქია დაუმხვიათ. მოხოვის დაკეტილი დუქნის წინ მთელი დღე ხალხი იდგა, ლაპარაკობდა. სერგეი პლატონოვიჩიც გაერია ხალხში ამბების გასაგებად, მაგრამ საიმედო ვერაფერი შეიტყო. ლისტნიცკებთან წასვლამდე, მოსკოვიდან ლიზას წერილი მიიღო — ფული გამომიგზავნეო. ფუქსავატ ქალად წარმოუდგა საკუთარი შვილი. „უცხოა ის ჩემთვის. და მეც უცხო ვარ მისთვის“-ო (გვ. 73) ფიქრობდა ვაჭარი მოხოვი. აუგად იხსენიებდა ღვიძლ ქალიშვილს: ნათესაურ გრძნობას იმდენად განიცდის, რამდენადაც ფული ჰირდებაო. ბინძური გოგოა, საყვარლები ჰყავსო. მოხოვი არც ვაჟიშვილით იყო კმაყოფილი — ბრიყვი უწოდა. ნანობდა წარსულს, რომ მომავალში რაღაც კარგი სწამდა. ქონებას უწმინდური გზით იძენდა, თაღლითობდა, ახლა კი რევოლუცია ყველაფერს წყალში გადაუყრის, — აქ, ამ სინანულით არაშარტო ვაჭარი მოხოვი გველაპარაკება, არამედ, მთელი ბურჟუაზიულ-არისტოკრატიული კამარილია მეტყველებს. ისინი გრძნობენ მოახლოებულ აღსასრულს და ეძებენ გზებს თავის გადასარჩენად. გენერალ ლისტნიცკისაკენ გამგზავრებულმა სერგეი პლატონოვიჩმა დაინახა, თუ ხალხში როგორ ქადაგებდა ჭლექიანი მასწავლებელი ბალანდა საძულველი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

როცა ლისტნიცკებთან მივიდა (ევგენიც ჩამოსულიყო ფრონტიდან, დაჭრილი), ეგონა რაიმე საიმედოს შეიტყობდა. პირველი აქსინია შეეგება და მოხოვმა იცნო ასტახოვის მეუღლე, მელეხოვის საყვარელი. შავთვალწარბა აქსინია გასუქებული და უფრო დამშვენებული იყო. ეტყობოდა თავს ლაღად გრძნობდა ფრონტიდან ახლახან დაბრუნებულ ევგენი ლისტნიცკის ხელში, გრიგორისთან განშორების შემდეგ. და რა შეიტყო მოხოვმა ძველი გენერლისაგან? ამ უკანასკნელმა უთხრა, რომ მონარქიის დამხობას

მე ჯერ კიდევ ომის დაწყებისას ვითვალისწინებდი. დინასტია განწირული იყო. მე ახლა გამახსენდა მერეჟკოვსკი... „პეტრე და ალექსეი“. იქ მეფისწული ალექსეი წამების შემდეგ ეუბნება მამას: „ჩემი სისხლი ცოდვად დაედება შენს შთამომავლებს“-ო (გვ. 76). თუ ასე ფიქრობს ძველი გენერალი, მისი შვილი ევგენიც საიმედოს ვერაფერს ეუბნება მოხოვს: არმია გახრწნილია, ბოლშევიკების იდეა ძლიერია, ბაცილებივით იჭრება ხალხსა და არმიაში, უტოპიურია მათი ლოზუნგი — მიწა — გლეხებს, ფაბრიკები — მუშებს, მაგრამ ჯარისკაცებს იმხრობსო (გვ. 77).

ვიდრე მოხოვი და ლისტნიცკები საუბრობდნენ, აქსინიამ დრო იხელთა, სერგეი პლატონოვიჩის მეეტლე ემელიანესაგან გაიგო, რომ უპატრონოდ მიტოვებული მისი სახლი არ დანგრეულა, მელეხოვები ჩვეულებრივად ცხოვრობენ, ნატალიას ტყუპი ქალ-ვაჟი შეძენია, გრიგორი შინ ყოფილა დაჭრის შემდეგ, არ მიტეხილა... და რა ოსტატია შოლოხოვი, როცა ამ საუბრის ბოლოს აქსინიას შემდეგი სახით გვიხატავს: „სიცივეა აქ...“ (გვ. 79) მხრების კანკალით ამბობს გულშემოყრილი აქსინია და გარეთ გამოდის. ეს იყო არა ფიზიკური, არამედ, წმინდა ფსიქოლოგიური სიცივე — აქსინიას გააჟრჟოლა არა ფიზიკური სიცივის გამო, არამედ გრიგორის დაბრუნებამ, ცოლთან შერიგებამ, ქალ-ვაჟის შეძენამ მელეხოვზე უსაზღვროდ შეყვარებული ქალი ბუნებრივად ჩააგდო ამ მდგომარეობაში. ემელიანემ კი ზიზღით გააყოლა თვალი აქსინიას, აუგად მოიხსენია, უკან დაბრუნების დროს თავისი გულმოსულობის ჯავრი ცხენზე ამოიყარა — გაბრაზებით ურტყამდა მათრახს. ფსიქოლოგიურად ესეც სავსებით ცხოვრებისეული სიმართლეა.

მეფის ჩამოგდების ცნობა, რამაც ასე შეაშფოთა მოხოვი, არშიაშიც შეიჭრა. სამხედრო ნაწილების მეთაურები სპეციალურ მიტინგებს აწყობენ, მოუწოდებენ ჯარს სამშობლო დაიცვან, ისევ ომში უხმობენ, პოლიტიკას არმიაში ადგილი არ უნდა ჰქონდესო, — ეუბნებიან ილაჯგაწყვეტილ ჯარისკაცებს. ეს უკანასკნელები გაოცებულნი არიან — მეფის ჩამოგდება თავისუფლებას ნიშნავს, აქ კი ისევ ომში გვერეკებიანო. კაზაკი მანეულოვი პირდაპირ ამბობს: უნდათ მოგვატყუონ, ვინაიდან რევოლუცია მოხდა,

ეს ნიშნავს ხალხისათვის თავისუფლების მიცემას, მაშასადამე, ომი უნდა დავამთავროთ, იმიტომ, რომ ხალხს და ჩვენ ომი არ გვინდაო (გვ. 82). მანეულოვის ამ მართალ სიტყვას ყველა ჯარისკაცი მხარს უჭერს, არმიაში უკმაყოფილება იზრდება. ეს უკმაყოფილება შესანიშნავად არის ნაჩვენები რომანში არამარტო დიდი დამაჯერებლობით, ისტორიული სიზუსტითაც.

შემდეგ ჩვენ კვლავ ვხედავთ პეტრო მელეხოვსა და ანიკეის; პირველად გამოჩნდება იაკობ ფომინი, რომელსაც ავტორი კვლავ არაერთხელ შეგვახვედრებს; ვხედავთ დარიას — ქმრის სანახავად რომ ჩამოსულა კაზაკების განლაგებაში, ალბათ, გულმოსულ პეტროსათვის თავისი სიყვარულის დასამტკიცებლად, თუმცა ორი ღღის წინ ვაგონში უცნობ ვეტერინართან ინებივრა (მას ხომ უკაცოდ ცხოვრება არ შეუძლია!); ვხედავთ ევგენი ლისტნიცკის — შეებულებიდან დაბრუნებულს, აქსინიას რომ იგონებს, მასთან გატარებულ დღეებს. აღწერილია პეტერბურგი, მეფის ჩამოგდების შემდეგ ბოლშევიკების მუშაობა ფრონტზე და ზურგში, კერენსკის შიში კორნილოვისადმი, ამ უკანასკნელის დანიშვნა უმაღლეს მთავარსარდლად, მისი სიმკაცრე, ოფიცრების განწყობილება, მათი დილამდე გაუთავებელი კამათი. თვალწინ გვიდგება იმ დღეების ცოცხლად დახატული სურათები, ყველგან დიდი რეალისტური სიმართლით წარმოსახულნი!

ეს სიმართლე გასდევს ივანე ლაგუტინისა და ევგენი ლისტნიცკის დიალოგსაც, როცა ამ უკანაკნელს სურს გაიგოს მისი ვინაობა, დარწმუნდეს — ვინ არის ლაგუტინი — ბოლშევიკი, თუ კიდევ სხვა ვინმე? დამაჯერებელი სიმართლეა ლისტნიცკის უადგილობისა (ბრძანების გაცემა ამბოხებული ჯარისკაცის დასასჯელად) და ლაგუტინის ადამიანობის სცენაში. ლისტნიცკის გამძაფრება — „გაჩუმდი, გამცემო! ბოლშევიკი ხარ, დაგხვრეტავ!" (გვ. 111), რეალისტური სურათია, რომლის მსგავსი მრავალი იყო, აქ კი ერთ ფაქტში მთელი ისტორია იხატება. რადა ღირს მეორე დღეს დილით გამოღვიძებული ლისტნიცკის სინანული იმის გამო, რაც წინა დღეს ჩაიდინა და ქალაქში წასვლა ატარშჩიკოვთან ერთად ნევის პროსპექტზე. ორ ქალთან შეხვედრა, ისევე, როგორც ორ ოფიცერთან, შემდეგ კალმიკოვთან და ჩუბოვთან საუბარი იმდრო-

რნდელ პეტერბურგს კოლორიტულად წარმოგვიდგენენ, როგორც ჩვენ შეგვიძლია მემორიალური ლიტერატურითაც განვიაზროთ. შესანიშნავად არის მხატვრული სახეებით ნაჩვენები მასების განწყობილება, კორნილოვის აღზევება და გაძევება, კერენსკის მოქცევა ორ დოლაბს შორის — მისი ალტერნატივა, როცა ეზმანება, რომ ან კორნილოვი მოუღებს ბოლოს, ან ბოლშევიკები ძირს დასცემენ. ჩვენ ვეცნობით როძიანკოს ერთგულქვეშევრდომულ, პანეგირიკულ მიმართვას კორნილოვისადმი, ამ უკანასკნელისა და მისი შტაბის უფროსის გენერალ ლუკომსკის ურთიერთობას, აგრეთვე გენერლებს — კრიმოვს, დონის ატამან კალედინს, ცნობილ Savinkovს, — ერთი სიტყვით, იმ დღეების მთელ პოლიტიკურ კამარილიას. ბრწყინვალედ არის აღწერილი კორნილოვის მოსკოვში ჩასვლა, „რუსეთის მხსნელის“ ტრიუმფალური მიღება, მთელი ამ ცერემონიალის უსაფუძვლობა და განწირულობა.

პარალელურად რომანის მეორე წიგნი გვიჩვენებს ჯარისკაცების განწყობილებას, რთულ პოლიტიკურ ვითარებას, დაპირისპირებული ძალების ბრძოლას, როცა ყველაფერი დუღს, დახუთულ ბნელ ოთახს წააგავს, და ამ ფონზე, ყოფილი მემანქანე ივან ალექსეევიჩი კაზაკებს უკითხავს გენერალ კორნილოვის მოწოდებას, რომ იგი, უმაღლესი მთავარსარდალი, არ ემორჩილება დროებით მთავრობას, მოითხოვს გარკვეული პირობების დაცვას „დიადი მომავლისათვის“. მეორე დღეს ეშელონი, რომელსაც ვაგონში ივან ალექსეევიჩმა წინადღეს კორნილოვის მოწოდება წაუკითხა, ეცნობა კერენსკის დეპეშას კორნილოვის მოღალატედ და კონტრრევოლუციონერად გამოცხადების შესახებ. ჯარში გაურკვევლობა და დაბნეულობაა, მაგრამ ჯარისკაცები აცხადებენ, რომ ისინი „ემორჩილებიან არა კერენსკის, არამედ უმაღლეს მთავარსარდალს და თავიანთ უშუალო უფროსებს“ (გვ. 131). ივან ალექსეევიჩი ცდილობს დაარწმუნოს კაზაკობა არ გაჰყვეს კორნილოვს. ამიტომ არ სურს ასეული პეტროგრადში ჩაიყვანოს. მას, როგორც ბოლშევიკს, თავისი რწმენებები აქვს როგორი პოზიცია უნდა დაიკავოს კორნილოვისა და კერენსკისადმი. ტურილინის დახმარებით ივან ალექსეევიჩმა პეტერბურგისაკენ მიმავალი ეშელონი მატარებლიდან ჩამოსვა, სხვა გზას დაუყენა, მაგრამ დიდი ბრძოლა დასჭირდა „ველური დივიზიის“ წარმომადგენლებთან

ნოლაპარაკების დროს. იყო უაღრესად კრიტიკული მომენტები, როცა ივან ალექსეევიჩის სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. ყველაზე დაძაბული მდგომარეობა ტურილინმა იხსნა. იგი შეიჭრა ჯარისკაცების წრეში, მგზნებარე სიტყვით გამოაფხიზლა მერყეევი კაზაკები, ივან ალექსეევიჩის — ასეულის მეთაურის გმირულმა მოქმედებამ კი ჩაშალა „ველური დივიზიის“ პარლამენტიორების მისია. ჩაიშალა კორნილოვის შეიარაღებული გადატრიალების ცდაც. ყველაფერი ეს იმდენად ცოცხლად, სურათოვნად, მხატვრული ექსპრესიითაა ნაჩვენები, თითქოს გუშინ მოხდა, ჩვენ კი მაყურებლები ვიყავით.

მკითხველი დიდი ინტერესით ეცნობა იმდროინდელ მღელვარე ამბებს, თვალნათლივ ხედავს მონარქიის დამხობის შემდეგ ვითარებას, რომელსაც „წყნარი დონის“ ავტორი ასე ზუსტად, მხატვრული საშუალებებით გადმოგვცემს. კორნილოვ-კალედინის ბლოკი, დივიზიის მეთაურ თავად ბაგრატიონის მოქმედება, პეტერბურგზე შეტევა, მონარქისტ ლისტნიცკის პოლკის გამოჩენა, ილია ბუნჩუკის მიერ გაწეული აგიტაცია — ეშელონი როგორმე გააჩეროს ნარვაში, მისი საუბარი ჩიკმასოვთან ლენინის შესახებ — ყველაფერი ეს უაღრესად კოლორიტულია.

არის აქ ერთი სცენა, რომელიც მკითხველის გულს თავისებურად შეატოკებს. ბოლშევიკი ილია ბუნჩუკი, ვაგონში ღამის გათევის დროს, მკბენარებისაგან შეწუხებული, იგონებს წარსულ ღღეებს, გადატანილ ბრძოლებს, იმას, რაც ნახა და განიცადა. მოიგონა კიდევ თორმეტი წლის ლუშა, ომში დაღუპული პეტერბურგელი მუშა-მელითონეს ქალიშვილი. ადამიანების გათელვა, განადგურება, მორალური დაცემა, რასაც მონარქიის დროს ასე ფართო მასშტაბები ჰქონდა მიღებული, ბუნჩუკის გონებაში ლუშას ბედს გადაეჯდო. ერთხელ, საღამოს, როცა ბულვარში გაიარა, დაინახა ლუშა, ეს პატარა, გამხდარი გოგონა, რომელიც მეძავის პროფესიული გარეგნობითა და გამომწვევი იერით სკამზე იჯდა, თამბაქოს ეწეოდა. ლუშამ იცნო მამის ძველი მეგობარი ბუნჩუკი, მივიდა მასთან, ჩახლეჩილი ხმით, ჯერ ღიმილით ჰკითხა „ვერა მცნობთ, ბიძიკო!“ და მერე მწარედ ატირდა (გვ. 152). რამდენის მთქმელია ეს ტირილი და რა მწარედ განიცადა უბედური ლუშას

ხვედრი ბუნჩუკმა. გამეფებულმა უსამართლობამ ააჯანყა ბუნჩუკი გაბატონებული სოციალური წყობის დასანგრევად, და იმ ღამეს, როცა ლუშას ბედი გაიხსენა, დილამდე ვერ დაიძინა.

მეორე დღეს, როცა მატარებლის შემადგენლობას ათვალიერებდა, ბუნჩუკს შეეფეთა კორნილოველი ესაული კალმიკოვი. მათი საუბარი, როგორც შეურიგებელი მტრებისა, შემდეგ ჯარისკაცთა მიტინგზე ბრძოლა, იმით მთავრდება, რომ ბუნჩუკი ახერხებს დააშერინოს კალმიკოვი. ეს უკანასკნელი მას სახეში აფურთხებს, ხოლო, როცა კორნილოველი გაშმაგდა, აღარაფერს და არავის დაემორჩილა, საჭიზღარი გინება დაიწყო, სასტიკი წინააღმდეგობა გასწია, — ბუნჩუკი იძულებული გახდა (თვითონაც მოთმინებიდან იყო გამოსული) საკუთარი ხელით დაეხვრიტა კალმიკოვი. მეგობარ დუგინის რჩევა — შეჩერდიო — ბუნჩუკმა ყურად არ იღო, ისევე, როგორც შემდეგ ნათქვამი სიტყვები: ეს რა ჰქენი. რატომ მოჰკალიო? ბუნჩუკის პასუხი მშვიდი და წყნარი იყო:

„ — ისინი ჩვენ ან ჩვენ მათ!.. შუა ხაზი არ არსებობს. სისხლი სიახლისა წილ! ვინ ვის... გაიგე? ისეთები, როგორიც კალმიკოვია, უნდა მოვსპოთ, გავსრისოთ, როგორც ქვეწარმავლები“ (გვ. 160). ასეთია ბუნჩუკი, რომელიც ბოლომდე დარწმუნებულია, რომ „კალმიკოვი, მისი ძალაუფლება რომ ყოფილიყო, გვესროდა ჩვენ პირიდან პაპიროსის გამოუღებლად“ (იქვე). რას იზამ: ვითარება ისეთი იყო, ისეთი დაძაბულობა, დაპირისპირებულობა, ანტაგონიზმი, მტრულ ძალთა ისეთი ჭიდილი, რომლის დროსაც ყველაფრის სავსებით გონიერული გადაწყვეტა სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე უშუალოდ მდგომ ადამიანებს ყოველთვის როდი შეეძლოთ! როგორ თბილი ადამიანური ხასიათიც არ უნდა ჰქონებოდათ, როგორი ჰუმანისტებიც არ უნდა ყოფილიყვნენ, უმძიმესი გარემოება უწყინარ ადამიანებსაც უმძიმებდა გრძნობებს, იმას ჩაადენინებდა, რაც წინათ არასოდეს ეფიქრათ ან განეზრახათ. როცა აღელვებულ ზღვაში შევცურავთ, ტალღებს ვეღარ გავექცევით!

და რა დიდი ოსტატია შოლოხოვი! იმ საშინელი სცენის აღწერის შემდეგ, რაც ეს-ესაა დავახასიათეთ, თითქოს სურს მკით-

ხელი მეტისმეტად არ შეაწუხოსო, როგორც ამას ხშირად აკეთებს ჰომეროსი, სიკვდილის გვერდით ამოზრდის სიყვარულს, როგორც ცხოვრების შეუჩერებელი მდინარების ორგანულ ფენომენს. აი, მომხდარი ფაქტით გულდამძიმებული ბუნჩუკი და დუგინი ერთად მიდიან უკაცრიელ ვიწრო ქუჩაზე. გზაჯვარედინთან ერთმანეთს ეხვევიან, ჰკოცნიან, შეჰხარიან ჯარისკაცი და თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი ქალიშვილი. ვაჟი რალაცას ტკბილად ეჩურჩულება მას, ეს უკანასკნელი კი ნაწყვეტ-ნაწყვეტად ებუტბუტება: „არ მჯერა! არ მჯერა!“ (გვ. 162). ასეა ცხოვრება — სიკვდილს სიყვარული მოჰყვება, სიყვარულს — სიკვდილი, ყველაფერი დაუსრულებელ მდინარებაშია, როგორც ერთი, ისე მეორე; ბევრი რამ მართლაც არ გვჯერა, ზოგჯერ კი გვჯერა, მაგრამ ვკოხტაობთ — „არ მჯერაო“, როგორც ის — თეთრტანსაცმელში გამოწყობილი ქალიშვილი, ჯარისკაცის მკერდს ორივე ხელს რომ აყრდნობდა და თავგადაწეული ალერსით ამბობდა: „არ მჯერა! არ მჯერაო!“.

ეს „არ მჯერა“, ეს სიკვდილ-სიცოცხლე, ეს სიძულვილ-სიყვარული ისე ერცელ ტილოდ არავის უჩვენებია საბჭოთა ლიტერატურაში, როგორც შოლოხოვს. მისდიეთ რომანს და ნახავთ: კერენსკის მიერ პეტროგრადში გაძახებულმა გენერალმა კრიმოვმა, კორნილოვის შეთქმულების დამარცხების შემდეგ. იქ 31 აგვისტოს თავი მოიკლა. მისი არმიის ნაწილების მეთაურებმა და დელეგაციებმა ზამთრის სასახლეში მეორე დღესვე ერთგულქვეშევრდომულად ქედი მოიხარეს კერენსკის წინაშე. გადაყენებული კორნილოვის ადგილზე უმაღლეს მთავარსარდლად 30 აგვისტოს გენერალი ალექსეევი დაინიშნა. ის ჯერ „კატეგორიულად უარს ამბობდა, მაგრამ შემდეგ მიიღო დანიშვნა, ხელმძღვანელობდა რა ერთადერთი სურვილით, რომ შეემსუბუქებინა კორნილოვისა და მათი ხვედრი, ვინც ასე თუ ისე, გარეული იყო მთავრობის საწინააღმდეგო ამბოხების მონყობაში“ (გვ. 161). პირველ სექტემბერს, დროებითი მთავრობის ბრძანებით, ალექსეევმა დააპატიმრა კორნილოვი, ლუკომსკი, რომანოვსკი. „სასტუმრო „მეტროპოლში“ დაპატიმრებულთა გაგზავნის წინ... ალექსეევი პირისპირ რაღაცაზე ოცი წუთის განმავლობაში ესაუბრებოდა კორნილოვს; გამოვიდა მისი ოთახიდან ღრმად შეძრწუნებული, თითქმის ვერ

ფლობდა რა თავის თავს. რომანოვსკი, რომელიც ცდილობდა შესულიყო კორნილოვთან, შეჩერებულ იქნა მისი ცოლის მიერ.

— მაპატიეთ! ლავრ გეორგიევიჩმა მთხოვა მასთან არავინ შევუშვაო!“ (გვ. 162).

მომდევნო ამბები ელვის სისწრაფით ვითარდება. „მეორე დღესვე ბერდიჩევში აპატიმრებენ სამხრეთ-დასავლეთი ფრონტის მთავარსარდალს გენერალ დენიკინს, მისი შტაბის უფროსს გენერალ მარკოვს, გენერალ ვანოვსკის და განსაკუთრებული არმიის მეთაურს გენერალ ვრდელს... ბიხოვში, ქალთა გიმნაზიაში, სამარცხვინოდ დამთავრდა ისტორიის მიერ შებღალული კორნილოვის მოძრაობა. დამთავრდა, დაბადა რა ახალი: სადღა, თუ არა იქ, წარმოიშვნენ მომავალი სამოქალაქო ომისა და რევოლუციაზე გაშლილი ფრონტით შეტევის გეგმების ჩანასახები?“ (გვ. 162). მომდევნო ამბები ციბრუტივით დატრიალდნენ, როგორც ჯარა, და ყველაფერი ეს „წყნარი დონის“ მეორე წიგნში მკითხველს თვალწინ დაუდგა, როგორც ბელეტრისტიკის მხატვრული საშუალებებით გაცოცხლებული ისტორია.

უკვე ოქტომბერია, ლისტნიცკის უბრძანეს სასახლის მოედანზე გაეყვანა თავისი ასეული. პოლკის ბევრი ნაწილი უარს ამბობს გავიდეს. ბოლშევიკების დაუღალავ მუშაობას ჯარისკაცებში რეალური შედეგები მოაქვს. ზამთრის სასახლის ეზოში ვხედავთ მეფის ერთგულ ქალთა „სიკვდილის ბატალიონს“. გამოდის მეზღვაური, რომელიც შეკრებილთ ასე მიმართავს: „ამხანაგო კაზაკებო! ჩვენ, რევოლუციური ბალტიის ფლოტის წარმომადგენლები, იმიტომ მოვედით, რათა წინადადება მოგვცეთ თქვენ დატოვოთ ზამთრის სასახლე. თქვენ არ გესაჭიროებათ დაიცვათ თქვენთვის უცხო ბურჟუაზიული მთავრობა“ (გვ. 165). ბოლშევიკების აგიტაცია მიზანს აღწევს. საერთო არეულობაში ჰკლავენ ატარშჩიკოვს. ზამთრის სასახლის ეზო ცარიელდება. ბიხოვის გიმნაზიაში დაპატიმრებულები თვენახევარია გასამართლებას ელიან. თითოეულ მათგანს თავისუფლად შეეძლო გაქცევა, ისე იყო შოწყობილი დაცვა. მაგრამ არავინ გაქცეულა, პირიქით, მოითხოვდნენ სასამართლოს, დაუბრკოლებლად უკავშირდებოდნენ სატიმროდან ყველას, ვისთანაც კავშირის დამყარება სურდათ,

ანყების კვალს შლიდნენ, გებულობდნენ ოფიცერთა განწყობილების შესახებ და მხოლოდ საქმის „ცუდად" წასვლის შემთხვევაში აპირებდნენ გაქცევას. ყველაფერი დაანგარიშებული და გამოთვლილი ჰქონდათ. კორნილოვიც ახალ გეგმებს ადგენდა. კალედინთან ურთიერთობა ჰქონდა. ამ უკანასკნელმა მიმართვა გაუგზავნა მეფის გენერალ დუხონინს. რომელმაც ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ თვითნებურად გამოაცხადა თავისი თავი მთავარსარდლად, შენიშვნები გააკეთა კორნილოვის წერილზე, ფაქტიურად გაბათილა კორნილოვის ყველაზე არსებითი, ძირითადი წინადადებანი. ეს შენიშვნები, ისევე, როგორც კორნილოვის წერილი, განწირულობისა და აგონიის გამომხატველია. მონარქისტი, კონტრრევოლუციონერი გენერალი მერყეობს — გაათავისუფლოს თუ არა ბიხოვის პატიმრები. 18 ნოემბერს გათავისუფლების ბრძანება გასცა, მაგრამ იქვე გააუქმა. სამაგიეროდ მეორე დღეს, დუხონინის წარმომადგენელი პოლკოვნიკი კუსონსკი ეახლა კორნილოვს ბიხოვში და მთავარსარდლის სახელით უბრძანა ბიხოვი დაეტოვებინა ყველა პატიმარს. ისინი წავიდნენ ბიხოვიდან, გაიქცა გენერალი კორნილოვიც. სამოქალაქო ომისათვის კონტრრევოლუციური ძალები იკრიბებოდნენ ოქტომბრის რევოლუციის დასამხობად. ეს ისტორიული ამბები „წყნარი დონის" მეორე წიგნში დაწვრილებით არის გადმოცემული.

და ამ რთული მოვლენების ფონზე ვხედავთ რომანის გმირებს — მიშკა კოშევოისა და ალექსეი ბეშნიაკს. ისინი ფრონტის წინა ხაზზე საიდუმლოდ არიან ჩასაფრებულნი, ღამეა, თამბაქოს მოწევა აკრძალულია, მარტოოდენ ფიქრს შეიძლება მიეცე. კოშევოიც ფიქრობს, ფიქრობს და თავის აზრებს ჩურჩულით უზიარებს მეგობარს.

რაზე ფიქრობს ახალგაზრდა კაცი, სოფელს მოწყვეტილი, მტერთან პირისპირ მდგარი, ყოველ წუთს რომ შეიძლება მოჰკლან?

ცხოვრებაზე, თუ რატომ არის, რომ ადამიანები ჰკლავენ ერთმანეთს, ერთმანეთს არ იცნობენ, თავისთავის შესახებაც ცოტა იციან, „სხვისი სიხარულით არ ხარობენ" (გვ. 172). ასე და ამგვარად ბევრი რამ უთხრა ცხოვრების ავ-კარგზე თავის მეგო-

ბარს მიშკა კოშევოიმ, თითქოს უბედურებას გრძნობდაო. ერთი საათი უკლდა ცვლის მოსვლას, რომ ორივეს თავს დაესხნენ გერმანელები; ალექსეი იქვე მოჰკლეს, ხოლო მიშკა ტყვედ წაიყვანეს. აღსრულდა მიშკა კოშევოის ფილოსოფიური პესიმიზმი ადამიანური ცხოვრების არარაობაზე! იმავე ღამეს, როგორც კი გონს მოვიდა, კოშევოიმ გაქცევა მოახერხა, ისევ არმიის ნაწილებს მიაშურა. მაგრამ, როცა ამხანაგებთან ერთად დეზერტირების დასაჭერად გაგზავნილს ხელში ჩაუვარდა სამი გაქცეული, ადამიანობით სავსე საკუთარი ფილოსოფიის ერთგულმა კოშევოიმ ისინი გაათავისუფლა — ბავშვების მამები არიანო, — შეეცოდა! თვითონ კი ან მისი მეგობარი ალექსეი განა შეიცოდეს? თუმცა აქ განსხვავება დიდია—კოშევოი და ბეშნიაკი გერმანელებმა ჩაიგდეს ტყვედ, მიშკას და მის ამხანაგებს საქმე ჰქონდათ გლეხ კაზაკებთან, რომლებმაც ისედაც მოშლილი ფრონტი მიატოვეს, რათა ცოლ-შვილისათვის მიეხედათ.

კაზაკობაში კი დროებითი მთავრობის დამხობის შესახებ ცნობა ნოემბრის პირველი რიცხვებიდანვე ვრცელდებოდა. ათასგვარი ჭორი და ანეკდოტი იკავებდა სიმართლის ადგილს. დასცინოდნენ კერენსკის. ხვრეტდნენ რევოლუციონერებსა და კონტრრევოლუციონერებს. მთელი ეს ამბები, იმდროინდელი ფაქტები, რაც ასე რეალისტური დამაჯერებლობითაა აღწერილი „წუნარ დონში“, შეუძლებელია კრიტიკულმა ნაშრომმა დეტალურად გადმოგვცეს. ჩვენ ახლა თვალი უნდა გავაყოლოთ რომანის გმირებს, უკვე ახალ სიტუაციაში, როცა 1917 წლის გვიანი შემოდგომით კაზაკები ფრონტებიდან სოფლებში ბრუნდებიან. ვინც ცოცხალი გადარჩა, ყველამ სახლ-კარს მიაშურა, მაგრამ არსად ჩანს გრიგორი მელეხოვი, რომლის შესახებაც მერკულოვმა, პეტრო მელეხოვმა და ნიკოლაი კოშევოიმ შემდეგი ცნობა ჩამოიტანეს: გრიგორი ბოლშევიკებს მიემხრო, კომენსკაიაში დარჩაო (გვ. 180). მასზე უკვე შეწყვიტეს ლაპარაკი—სოფელს თავისი დიდი საზრუნავი ჰქონდა. ბევრი კაზაკი ვერ დაბრუნდა ხუტორში, მათი გვამები მიიბარეს გალიციის, ბუკოვინის, აღმოსავლეთ პრუსიის, იმიერკარპატის, რუმინეთის ველებმა (გვ. 181). თუ როგორ გლოვობდა სოფელი, თითოეული ოჯახი თავისი წევრის დაკარგვას, შოლოხოვმა ისე მხატვრულად გვიჩვენა, რომ საკმარისია პრო-

ხორ შამილის ცოლის გლოვა გავიხსენოთ. ის თავს ურტყამდა გამხმარ მიწას, მიწის იატაკს კბილებით ღრღნიდა, უყურებდა რა მარტინ შამილს, პროხორის ძმას, რომელიც უვნებელი დაბრუნდა, თუ როგორ ეალერსებოდა ორსულ ცოლს, უვლიდა ბავშვებს და საჩუქრებს ურიგებდა (იქვე). მართლაც რას იზამ: ეს ცხოვრების ფილოსოფიაა, რომელსაც მარტოოდენ მცირე დოზით თუ მიერევა მიშკა კოშევოის ჰუმანისტურ-პესიმისტური ფილოსოფია. და რამდენის მთქმელია ავტორის ლირიკული პასაჟი, თუ ავტორეპლიკა, როცა პროხორის დაქვრივებულ დედაკაცს, უპატრონოდ დარჩენილ, გამწარებულ, ობლად დარჩენილი პატარა ბავშვების დედას ეუბნება: «Рви, родимая, на себе ворот последней рубахи! Рви жидкие от безрадостной, тяжкой жизни волосы, кусай свои в кровь искусанные губы, ломай изуродованные работой руки и бейся на земле у порога пустого куреня! Нет у твоего куреня хозяина, нет у тебя мужа, у детишек твоих—отца, и помни, что никто не приласкает ни тебя, ни твоих сирот, никто не избавит тебя от непосильной работы и нищеты, никто не прижмет к груди твою голову ночью, когда упадешь ты, раздавленная усталью, и никто не скажет тебе, как когда-то говорил он: «Не горюй, Аниська! Проживем!» Не будет у тебя мужа, потому что высушили и издурнили тебя работа, нужда, дети; не будет у твоих полуголых, сопливых детей отца; сама будешь пахать, боронить, задыхаясь от непосильного напряжения, скидывать с косилки, метать на воз, поднимать на тройчатках тяжелые вороха пшеницы и чувствовать, как рвется что-то внизу живота, а потом будешь корчиться, накрывшись лохунами, и исходить кровью" (გვ. 181-182).

ასე მგრძნობიარედ მიმართავს შოლოხოვი პროხორ შამილის გამწარებულ ქვრივს, მიმართავს, და ჩვენ გვესმის, რომ ეს სიტყვები მარტო ადრესატს კი არა, ყველა იმ კაზაკ ქალს ეკუთვნის, რომლებმაც შვილები და ქმრები ომში დაკარგეს, რომლებიც ერთ უღელში შეებენ პროხორის მეუღლეს. ისინი კი ცოტანი როდი იყვნენ: ალექსეი ბეშნიაკის დედა, მანიცკის, ოზეროვის, კალინინის, ლიხოვიდოვის, ერმაკოვის და კიდევ ბევრის, ძალიან

ბევრის დედა თუ ცოლი. სოფელი ნამდვილმა გლოვამ მოიცვა, დაბრუნებულთა შორისაც ცოტა როდი იყო, ვისაც დაღუპული ახლობლად მიაჩნდა. მარტო სტეფანე ასტახოვზე არავინ ტიროდა, არავინ იყო, ვინც იტირებდა, მისი ნახევრად დანგრეული, მიტოვებული სახლი ცარიელი იყო, აქსინია იაგოდნოეში ცხოვრობდა, ხუტორს არც ნახულობდა, — გვეუბნება ავტორი და ბევრ რამეს გვანიშნებს. გრიგორი არ დაბრუნებულა, მაშასადამე, რა საქმე უნდა ჰქონდეს აქსინიას ტატარსკში? მართალია, ხუტორი იანვრამდე მშვიდად ცხოვრობდა, მაგრამ ზამთრის ბოლოს ნოვოჩერკასკთან უკვე ამოიზარდნენ სამოქალაქო ომის პირველი ყლორტები.

სად არის ამ დროს რომანის მთავარი გმირი გრიგორი მელეხოვი, რომელიც ერთი ხანია არ გვეინახავს?

1917 წლის იანვარში მელეხოვს საბრძოლო დამსახურებისათვის ხორუნჟის სამხედრო წოდება მისცეს. მას შემდეგ, რაც უილტვების ანთება გადაიტანა და თვენახევარი შინ გაატარა, გრიგორი ისევ პოლკს დაუბრუნდა. ოქტომბრის რევოლუცია უკვე მოხდა. ოფიცერი მელეხოვი დანიშნეს ასეულის მეთაურად. მის არსებაში ერთგვარი გარდატეხა მოხდა ავტონომისტ ეფიმ იზვარინის გავლენით. ნახევრად უსწავლელი გრიგორი, ცხადია, მარცხდება შედარებით დიდად ნასწავლ, „ტიპიურ კაზაკ“ იზვარინთან კამათში. ვერაფერს უპირისპირებს მოკამათის მცდარ აზრებს რუსეთიდან გამოყოფის შესახებ. მათი დიალოგი ისე მკაფიო და ნათელია, რომ პირდაპირ გეცოდება მელეხოვი — გრძნობს, რომ იზვარინის გეგმა სწორი არ არის, მაგრამ ვერაფერს უმტკიცებს, გარდა ერთისა: კაზაკების უმრავლესობა ბოლშევიკებს ემხრობა, ჩვენ რატომ უნდა სხვა გზით წავიდეთო. გამოცდილი იზვარინი მოკლედ უპასუხებს: რაკი ბოლშევიკებს ომი არ უნდათ, კაზაკები ემხრობიან, მაგრამ შემდეგ ბოლშევიკებს თავისი გზა აქვთ, ჩვენ ჩვენიო. აქ კი მელეხოვმა ვერაფერი გაიგო და იზვარინს პირდაპირ განუცხადა: „მე ვამბობ... რომ არაფერი არ მესმის. ჩემთვის ძნელია ამაში გარკვევა“ (გვ. 187). ამიტომ უეჭველად უნდა დავეთანხმოთ რომანის ავტორს, რომ გრიგორი მელეხოვმა იზვარინთან კამათის დროს იგივე განიცადა, რაც სნეგირიოვის საავადმყოფოში კომუნისტ გარანჟას მიერ ნათქვამით. ის ახლა უკვე

ორი პოლარული დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა — ერთის მხრივ კომუნისტისა, მეორეს მხრივ ავტონომისტისა. ეს გაორება, ეს დუალიზმი, როცა ვერც ერთს ბოლომდე ვერ გაუგო, გრიგორი მელეხოვის ტრაგედია, მისი საბედისწერო შეცდომაა, მაგრამ შეცდომაცაა და შეცდომაც: პირველი დარტყმა მისთვის ბედნიერება იყო, მეორე — უდიდესი უბედურება. პირველს მელეხოვის ხსნა შეეძლო, მეორეს მხოლოდ დაღუპვა. რაკი ვერც ერთი ვერ გაიგო, მელეხოვი საშინლად გაიხლართა თავისი გაორებული გულითა და გონებით. პოლიტიკაში ის გახლართული აღმოჩნდა გარანჯა—იზვარინს შორის, ხოლო ცხოვრებაში—ნატალია-აქსინიას შორის. როგორც გარანჯას — პოლიტიკაში, ისე ნატალიას — ცხოვრებაში მელეხოვისათვის ბედნიერება მოჰქონდა, მაგრამ გრიგორი ბოლომდე ვერ მიუხვდა ამ სიკეთეს. როგორც იზვარინს — პოლიტიკაში, ისე შეუგნებლად აქსინიას — ცხოვრებაში მელეხოვისათვის უბედურება მოჰქონდა, მაგრამ გრიგორი ბოლომდე ვერ მიუხვდა ამ ცდომილებას. ის ბოლომდე გაორებული დარჩა, თავს ახლიდა ერთსაც და მეორესაც, მაგრამ ხსნას ვერ პოულობდა. ვერც აპოვიდა, თუ კატეგორიულად მეორესთან კავშირს საბოლოოდ არ გაწყვეტდა. საამისოდ ძალები არ ყოფნიდა. ამ რთულ შინაგან წინააღმდეგობას თან ერთვოდა ურთულესი ისტორიული ვითარება, როცა ნიჭიერი, მცოდნე, განათლებული ადამიანებიც იბნეოდნენ, შეცდომას შეცდომაზე უშვებდნენ, როგორღა შეეძლო ეს გაეკეთებინა თითქმის უსწავლელ კაცს, რომელიც ხან ერთს, ხან მეორეს უვარდებოდა ხელში? სხვა მიზეზებიც ბევრი იყო, რასაც ქვევით შევეხებით, მაგრამ აქ აუცილებლად უნდა მოვიხსენიოთ გრიგორის შეხვედრა ფედორ პოდტელკოვთან.

თუ გრიგორის საუბარი ავტონომისტ იზვარინთან ოქტომბერში იყო, ერთი თვის შემდეგ იგი შეხვდა კაზაკ პოდტელკოვს, რომელმაც „დონზე რევოლუციის ისტორიაში მცირე როლი როდი შეასრულა“ (გვ. 187). მასთან შეხვედრამ მელეხოვი გამოაფხიზლა, ისევ ძველ სიმართლეს დაუბრუნდა. პოდტელკოვს გრიგორი შეხვდა დროზდოვის ბინაში. თავდაპირველად იგი ესაუბრებოდა მას იზვარინის ავტონომისტური პოზიციებიდან ისე, როგორც გაიგო, მაგრამ გამოცდილმა, ჭკვიანმა მოკამათემ არაჩვეუ-

ლებრივი სიმართლით განმარტა გრიგორისათვის აუხსნელი საკითხები. მელეხოვი ბევრს მიხვდა, მაგრამ ბევრი მას ისევ აეჭვებდა.

ამ დროს ნოვოჩერკასკი ხდებოდა ცენტრი იმ ძალებისა, რომლებიც გაურბოდნენ ოქტომბრის რევოლუციას, გაურბოდნენ, რათა შეკრებილიყვნენ და შეტევაზე გადასულიყვნენ სულ ახლახან დაბადებული საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. 1917 წლის 2 ნოემბერს იქ ჩავიდა თეთრგვარდიელი გენერალი ალექსეევი, მომავალი ტრიუმვირატის ერთ-ერთი მთავარი წევრი. კალედინთან შეთანხმებით მან დაიწყო მოხალისეთა რაზმების შექმნა. ათასგვარი ნაძირალა, ჩრდილოეთიდან გამოქცეული ოფიცრები, იუნკრები, დეკლასირებული ელემენტები, კაზაკობიდან ყველაზე აქტიური კონტრრევოლუციონერები, სახიფათო თავგადასავლებისა და მაღალი ხელფასების მაძიებლები — აი, უმთავრესად ვინ იყრიდა თავს ალექსეევის მოხალისეთა არმიაში. „ნოემბრის ბოლო რიცხვებში, — გვეუბნება ავტორი, — ჩამოვიდნენ გენერლები დენიკინი, ლუკომსკი, მარკოვი, ერდელი. ამ დროისათვის ალექსეევის რაზმები უკვე ითვლიდნენ ათასზე მეტ ხიშტს... 6 დეკემბერს ნოვოჩერკასკში გამოჩნდა კორნილოვი...“ (გვ. 191). ასე ეყრებოდა საფუძველი დონის ტრიუმვირატს, რომელსაც ალსასრული დასაწყისშივე დაბედებული ჰქონდა. ეს მთელი ისტორიაა, დონზე გაშლილი ბრძოლების ისტორია, რომლის მოწმე და მონაწილე თვით „წყნარი დონის“ ავტორი მიხეილ შოლოხოვი იყო. უეშველად პირად ნაჩუქარს თუ განცდილს იგი ამდიდრებს არქივის მასალებით და ჰქმნის იმდროინდელი დღეების უაღრესად მართალ ისტორიულ-მხატვრულ ეპოპეას. სავსებით სწორად გვიჩვენებს იმ რევოლუციურ განწყობილებას, რომელიც სამი წლის მანძილზე დაეუფლა ფრონტზე მყოფ კაზაკობას. ომით დაღლილები, ისინი არ ამჟღავნებდნენ განსაკუთრებულ სურვილს ებრძოლათ ბოლშევიკების წინააღმდეგ, თუმცა მათ შორის იყვნენ ისეთები, რომლებსაც კონტრრევოლუცია თავის ორბიტში ითრევდა. ამ გზითაც ახერხებდნენ თეთრგვარდიელი გენერლები თავდაპირველად წარმატებისათვის მიეღწიათ, 2 დეკემბერს როსტოვი აეღოთ, კონტრრევოლუციის ცენტრი იქ გადაეტანათ. ყველაფერი ეს დაწვრილებით არის გადმოცემული შოლოხოვის მძლავრი კალმით, ნაჩვენებია ყველა ნა-

წილის, შენაერთის, განლაგების ბატალური სცენები, მხატვრული სიძლიერით არის აღდგენილი იმ მრისხანე დღეების მთელი პანორამა.

მაგრამ ნოვოჩერკასკში მარტო კონტრრევოლუციონერები როდი იკრიბებიან. თავდადებით მუშაობენ ბოლშევიკები, რომლებიც უშიშრად ნიღაბს ხდიან მტრებს, რაზმავენ მასებს, ასწავლიან შუშებს იარაღის ხმარებას, რაზმავენ მომავალი ბრძოლებისათვის. ჩვენ ვხედავთ ილია ბუნჩუკს, ნოვოჩერკასკში ჩამოსულს, რეა წელი რომ არ უნახავს მშობლიური ქალაქი. ამაღელვებელია მისი შეხვედრა ქალაქის განაპირა მდებარე საკუთარ პატარა სახლში, მოხუც დედასთან. მხოლოდ ერთი დღე დარჩა იქ, მეორე დღეს კი როსტოვს გაემგზავრა.

დაუვიწყარი შტრიხებით აღწერს რომანის ავტორი იმდროინდელი როსტოვის ვაგზალს, ხელზე ვაჭრობას, დამფუძნებელი კრების არჩევნებში ხუთი ნომრისათვის (ბოლშევიკთა კანდიდატებისათვის) ხმის მისაცემად ბრძოლას, პარტიული კომიტეტის მიერ გაშლილ მასობრივ მუშაობას. ყველაფერი ეს პოლიტიკური ამბებია და შოლოხოვი ისე მოზომილად გადმოგვცემს, რომ მკითხველი უდიდესი გატაცებით კითხულობს. მწერლის შემოქმედებითი ძალაც ამაშია: არასოდეს არ შეანელოს მკითხველის შთაბეჭდილება, ყოველთვის იყოლიოს დაძაბულ მდგომარეობაში, მასზე პერმანენტული გავლენის მოსახდენად.

როსტოვში ჩასულ ბუნჩუკს ავალებენ მოამზადოს მეტყვიამფრქვევები. თექვსმეტი მამაკაცი და ერთი ქალი. ეს უკანასკნელი ებრაელია— პარტიის წევრი, ახალგაზრდა ანა პოგუდკო—ჭკვიანი, ნიჭიერი, საკმაოდ განათლებული. ბუნჩუკს მისი აყვანა მოწაფედ არ უნდოდა—ტყვიამფრქვევი რა ქალის საქმეაო, მაგრამ პარტიული კომიტეტის მდივნის აბრამსონის წერილი რომ მიიღო—„ანა პოგუდკო კარგი ამხანაგია“, „იმედი გვაქვს მისგან მებრძოლ მეტყვიამფრქვევეს გამოიყვანთ“, „ის ძვირფასი მუშაკია“, გაუფრთხილდითო“,—უარი ვეღარ უთხრა, თუმცა თავდაპირველად სკეპტიკური განწყობილება ჰქონდა (გვ. 200). მაგრამ ანა მართლაც ისეთი აღმოჩნდა, როგორიც აბრამსონმა დაახასიათა. ბუნჩუკი დაინტერესდა, დაუახლოვდა მას, გულწრფელი იყო, როცა უთხრა, რომ პარტიის წევრია 1913 წლიდან, ნოვოჩერკასკელია, პეტროგრადიდან ჩამოვიდა. ანასაც არაფერი

დაუმალავს: ებრაელია, გიმნაზია შარშან დაამთავრა. მან შეატყო რომ ბუნჩუკი მუშაა, უეჭველად ბევრს კითხულობდა, განათლებულია. ამ საუბრით ორივე კმაყოფილი დარჩა, განსაკუთრებით ბუნჩუკი, რომელსაც „სული გაუთბა“, რაკი გაიცნო „კარგი ამხანაგი, ჭკვიანი ქალიშვილი“ (გვ. 205). და უველგან რა მართალი შტრიხებით ხატავს შოლოხოვი ადამიანის შინაგანი სულის ნიუანსებს. ის არ გვეუბნება—ბუნჩუკს ანა შეუყვარდაო. მაგრამ რომელი მკითხველი ვერ მიხვდება რომანის ავტორისეულ სიტყვებს: «Он испытывал почти непреодолимое желание говорить о ней и сдержался лишь благодаря большому усилию воли» (გვ. 205). ეს სიყვარულია, რომელიც ბუნჩუკს ისე შეუმჩნეველად დაეუფლა, როგორც წიგნს მოულოდნელად შეეპარება კორექტურული შეცდომა. ვის არ გამოუცდია ეს მართლაც დაუძლეველი სურვილი ილაპარაკოს საყვარელ არსებაზე, თუმცა ყოველთვის როდი ეძლევა ამის შესაძლებლობა. ბუნჩუკიც ანალოგიურ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

დიდი, დაუძლეველი ძალა აქვს სიყვარულს! ამ სიყვარულმა ბუნჩუკისა და ანას ურთიერთობაში თუ რა როლი შეასრულა, მკითხველს შეუძლია დაინახოს ცხოვრების პირველივე ტალღებიდან, რომლებიც მათი სიყვარულის კარიბჭეზე აღიმართნენ, როცა ნოვოჩერკასკიდან კალედინის ჯარები როსტოვს მიადგნენ და ბუნჩუკი ანასთან ერთად ტყვიამფრქვეველს ცეცხლს უშენს თეთრგვარდიელებს. ექვსი დღე გრძელდებოდა როსტოვთან და თვით როსტოვში ბრძოლები კალედინის ჯარების წინააღმდეგ. ბუნჩუკი ანას გვერდით იყო, ამხნევებდა (ქალმა ერთბაშად ვერ აიტანა ამდენი მოკლულისა და ამდენი სისხლის ცქერა). მესამე დღეს, როცა ბუნჩუკი ავად გახდა, ანა წუთითაც არ მოშორებია მას, ჩვენ კი უნდა განვშორდეთ დროებით, ვინაიდან ავტორმა ასე მოისურვა— აქ მიგვატოვებინა თავისი გმირები, რათა ისევ ტატარსკში დავებრუნებინეთ.

მაგრამ რა ხდება ტატარსკში?

ზამთრის სითბო დგას. მირონ და მიტკა კორშუნოვები, ხრისტონია და ივან ალექსეევიჩი ჩვეულებრივად საქმიანობენ. მოხუცი გრიშკა კაზაკებს აქეზებს ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად. მიტკას საყვედურს ეუბნება ივან ალექსეევიჩი — მელეხო-

ვებთან მისვლის დრო გქონდა, კრებაზე კი გუშინ ვერ მოხვედი? ხუტორიდან ყველა ფრონტელი იყო პეტროსა და შენს გარდა. მე, ხრისტონია და შენ არჩეული ვართ დელეგატებად კამენსკში, სადაც ათ იანვარს ფრონტელთა ყრილობაა. მაგრამ მიტკა კორშუნოვი უარზეა — არ წავალო. რაკი ვერაფრით დაიყოლიეს, ყრილობაზე მხოლოდ ივან ალექსეევიჩი და ხრისტონია გაემგზავრნენ. კამენსკში ისინი შეხვდნენ გრიგორი მელეხოვს, მოისმინეს ყრილობის დელეგატების გამოსვლა, კალედინის გამყიდველური პოლიტიკის მკაცრი კრიტიკა, ლაგუტინის, პოდტელკოვის, შჩადენკოს, მანდელშტამის სიტყვები. ხმამაღლა გაისმოდა მოწოდებანი— ომი არ გვინდაო! მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა კალედინის ბრძანების გამოქვეყნებამ ყრილობის ყველა დელეგატის დაპატიმრების შესახებ. გრიგორიმ, რომელიც სიმართლეს ეძებს და სურს ვაერკვეს — ვის მხარეზეა ეს სიმართლე, მხარი დაუჭირა პოდტელკოვს, ხალხსაც მოუწოდა — მოუსმინეთო! კრივოშლიკოვმა წერილი ხმით დაიძახა: „ძირს კალედინი! გაუმარჯოს კაზაკების სამხედრო-რევოლუციურ კომიტეტსო!“ (გვ. 221). დაიწყეს კომიტეტის არჩევა. გრიგორიმ ბოლომდე ვერ დაჰყო ყრილობაზე, რაკი სასწრაფოდ გამოიძახეს, მაგრამ სთხოვა თანასოფლელებს — არჩევნების შემდეგ ჩემთან გამოიარეთ, საინტერესოა ვის აირჩევენო (გვ. 221). აირჩიეს: თავმჯდომარედ — პოდტელკოვი, მდივნად — კრივოშლიკოვი, წევრებად — ლაგუტინი, გოლოვაჩევი, ნანაევი, კუდინოვი, — და კიდევ სხვები, — მოახსენა გრიგორი მელეხოვს მასთან სტუმრად მისულმა ივან ალექსეევიჩმა. გამთენიისას ხრისტონიაც დაბრუნდა — კამენსკის ხელისუფალთა შეპყრობის დროს ნაგანით დაჭრილი.

მეორე დღიდან ახალი ამბები დატრიალდა: კალედინმა მთელი პოლკი გამოაგზავნა ყრილობის ყველა მონაწილის დასაპატიმრებლად და ყველაზე რევოლუციურად განწყობილი კაზაკური ნაწილების განსაიარაღებლად. ნოვოჩერკასკში ჩატარებულ თათბირს კალედინის მთავრობასა და სამხედრო-რევოლუციურ კომიტეტს შორის არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. პოდტელკოვი, ლაგუტინი, კრივოშლიკოვი ამაოდ ეკამათებიან თვით კალედინს. უკანასკნელი მთლიანად უარყოფს კომიტეტის ულტიმატუმს.

წარსულის ეს სურათები შოლოხოვმა წარმოსახა ცოცხლად, დამაჯერებლად, მხატვრული ოსტატობის მთელი ძალით და მკითხველიც დიდი ინტერესით ეცნობა ერთი შეხედვით თითქოსდა მოსაწყენ პოლიტიკურ კამათს. რაღაც მომაჯადოებელი უნარი აქვს შოლოხოვს — როგორი მძიმე თემაც არ უნდა იყოს, ისე გადმოგვცემს, ისე აღწერს, ისე გვიჩვენებს მოქმედებაში, რომ შეუძლებელია სადმე იგრძნო მოწყენა ან ინტერესის შენელება. ის ყველაფერს ზომავს, მაგრამ შენ არ გაგრძნობინებს, რომ ზომავს; ის ყველაფერს აფთიაქის ხასწორზე დებს, მაგრამ შენ ვერ მიხვდები, რომ ასე იქცევა; ის დიდი ფსიქოლოგიით გრძნობს — რა უნდა მკითხველს, რა გაეხარდება, რა ეწყინება, და აკეთებს ისე, როგორც მხატვრული სიმართლის გარდუვალი კანონი უკარნახებს. ამიტომაა, რომ სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის წარმომადგენლებისა და კალედინის მთავრობის კამათი თვით ატამანის უშუალო მონაწილეობით, რასაც მთელი გვერდები უკავია, მოსაწყენი კი არ არის, დაძაბულად იკითხება. ასე აღწერა, ასე გადმოცემა, ასე ჩვენება მხოლოდ გენიოს ოსტატებს შეუძლიათ!

მაგრამ რით დამთავრდა ნოვოჩერკასკის თათბირი? იგი დამთავრდა დონის მთავრობის პასუხით რევოლუციური კომიტეტისადმი, რომლის დაშლაც მან კატეგორიულად მოითხოვა, აგრეთვე ყოველგვარი ურთიერთობის გაწყვეტა სახალხო კომისართა საბჭოსთან (გვ. 234). ყველაფერი თანდათან ერთმანეთში ირევა, დაძაბულობას დაძაბულობა მოსდევს, დიალოგებს — იარაღის გამოყენება, სამოქალაქო ომი ძლიერდება, თითქოს ყველაფერი ბეწვზე ჰკიდია.

ასეთ ვითარებაში გრიგორი მელეხოვი ისევ ხვდება ჩვენთვის ცნობილ იზვარინს, რომელიც მეორე დღეს პოლკიდან გაიქცევა: შან გაკვრით უთხრა მელეხოვს: შექმნილ სიტუაციაში ძნელია პოლკს ემსახურო, ორი უკიდურესობაა — ბოლშევიკები და წინანდელი მონარქიული წყობა. კალედინის მთავრობას არავინ მხარს არ უჭერს. ჩვენ გვჭირდება მტკიცე ნებისყოფიანი კაცი, მაგრამ ახლა მაინც უმჯობესია კალედინს დავუჭიროთ მხარი, საბოლოოდ რომ არ წავაგოთო.

და აქ არის ერთი საინტერესო მომენტი, რომელიც ყოველ-

თვის უნდა გავითვალისწინოთ გრიგორი მელეხოვის რთული ხასიათის ანალიზის დროს. იზვარინის ორპოფულ შეკითხვაზე — შენ, მგონი, წითელი რწმენა მიიღეო, — მელეხოვი უმალ პასუხობს: თითქმისო! „გულწრფელად თუ როგორც გოლუბოვმა, კაზაკთა შორის პოპულარობა გინდა მოიპოვო?

— მე პოპულარობა არ მჭირდება. თვითონვე ვეძებ გამოსავალს.

— შენ გამოსავალი კი არ ნახე, კედელს მიებჯინე.

— დავინახავთ...

— ვშიშობ, რომ ჩვენ, გრიგორი, შევხვდებით ერთმანეთს, როგორც მტრები“ (გვ. 236).

ასე ამბობს იზვარინი და გრიგორის არსებაში ის შემთხვევით როდი ხედავს ბევრ ისეთ მასალას, რასაც შეეძლო მელეხოვი ბოლშევიკებთან დაეკავშირებინა, მაგრამ არსად მას არ გაუშაროლდა მისივე პიროვნებაში არსებული ნეგატიური მხარეების გამო.

მელეხოვში ნებისყოფაცაა და უნებისყოფობაც. პრინციპულობაც და უპრინციპობაც, სიძლიერეც და უძლურებაც, გამბედაობაც და გაუბედაობაც, აზრის სინათლეც და სიბნელეც. ერთი სიტყვით, გრიგორი მელეხოვში ზის მელეხოვი მთელი თავისი არსებით, მთელი თავისი ამბიციით და ის პირველი მელეხოვია მთელ მელეხოვშჩინაში. არავის ისე ნათლად არ მოუხაზავს, არავის ისე მკაფიოდ არ გაუფორმებია მელეხოვშჩინა, როგორც გრიგორი მელეხოვს. ვიმეორებთ, ის პირველია მელეხოვშჩინაში, პირველად ის იწყებს მელეხოვშჩინას, და როცა ჩვენ ვხედავთ ადამიანებს, რომლებიც ისე გაორებულნი არიან, როგორც გრიგორი მელეხოვი, ისე ვახლართულნი პირადსა თუ საქვეყნო საქმეებში, როგორც გრიგორი მელეხოვი, ისე ტანჯულნი და იმედებდამსხვრეულნი, როგორც გრიგორი მელეხოვი, შეგვიძლია სრული რწმენით ვთქვათ, რომ საქმე გვაქვს მელეხოვთან, ზაშაადამე, მელეხოვშჩინასთან. რა ვუყოთ რომ მელეხოვი და მელეხოვშჩინა გარკვეულმა დრომ, გარკვეულმა ეპოქამ, გარკვეულმა სიტუაციამ წარმოშვა, როგორც თითქოს-და ლოკალიზებული ფაქტი, მსგავსად ჰომეროსის ეპოსის გმირებისა?! სამაგიეროდ მელეხოვის ტრაგე-

დია ყოველთვის იყო და იქნება დიდხანს, ძალიან დიდხანს, ვინაიდან მისი ნიშნების ალმოფხვრა ეგრე იოლი არ არის და ყოველ ოჯახში იარსებებენ მელეხოვები, ისევე, როგორც იარსებებს მელეხოვშჩინა. მაგრამ ყოველგვარ მელეხოვშჩინას ერთნაირი სოციოლოგიური საფუძვლები როდი შეიძლება ჰქონდეს. ისტორიულად ეს საფუძვლები სხვადასხვა იქნება სოციალურ სფეროში, უფრო მსგავსი აღმოჩნდება ფსიქოლოგიური და სულიერი, მორალურ-ეთიკური და ფიზიკური, თუმცა ვერც ერთი მათგანი ვერ შეცვლის იმ მთავარს, რითაც თვით მელეხოვშჩინა გამოირჩევა — ეს მთავარია პიროვნების მელეხოვური ტრაგედია.

მაგრამ შორს ნუ წავალთ — ისევ გრიგორი მელეხოვის თავგადასავალს მიეუბრუნდეთ. ვიღაც კაზაკმა, რომელმაც იცოდა მელეხოვ-აქსინია-ლისტნიცკის ურთიერთობა, გრიგორის აცნობა — ლისტნიცკი ენახეო. ამის გაგონებაზე გრიგორის წინანდელი ძალით არ უგრძვნია გაბოროტება მტრისადმი, მაგრამ ის კი იცოდა, რომ თუ ახლა შეხვდებოდა, დაწყებული სამოქალაქო ომის დროს, მათ შორის სისხლი დაიღვრებოდა. ასე გვეუბნება რომანის ავტორი და ჩვენც ბოლომდე გვჯერა, ვინაიდან ვგრძნობთ — მელეხოვი სხვაგვარად უკვე ვეღარ მოიქცეოდა. მას მთელი არსებით უყვარდა აქსინია, იტანჯებოდა მისდამი სიყვარულით, მისგან მოშორებით, ხოლო, როცა ასეთი სიყვარულია, იქ მოზიარე პიროვნება მტერზე უფრო საძულველი ხდება. გრიგორი ამის შემდეგ უფრო ხშირად ფიქრობს აქსინიაზე, სიმწრისაგან გული უქვავდება, ნატალიასა და ბავშვებზეც ფიქრობს, მაგრამ, ქაცმა რომ თქვას, ამ უკანასკნელს არავითარი სიხარული არ მოაქვს მისთვის — მისი გული მთლიანად აქსინიასთანაა, ძველებურად, მტკიცედ და მტანჯველად. მართლაც უძიროა გრიგორი მელეხოვის ოდისეა სიყვარულსა თუ სიძულვილში. მთელი რომანის მანძილზე იგი ამ ორი უდიდესი გრძნობის ტყვეობაშია, ხან ერთის ძლიერი დარტყმის ქვეშაა, ხან მეორესი, ხშირად კი ორივეს მოგერიება ან ორივესთან სასტიკი ჭიდილი უხდება. დროც სასტიკია. შეხედეთ წითლების მეთაურ გოლუბოვს. როგორი მკაცრია იგი, მაგრამ სხვაგვარად თითქოს ვერ მოიქცევა. მისი დაჟინება იყო, რომ გრიგორი მელეხოვი დივიზიონის მეთაური ყოფილიყო. რევკომის თავმჯდომარე პოდტელკოვი უფრო მეტ სიმკაცრეს იჩენს. და განა

მელეხოვიც იძულებული არ ხდება მკაცრი იყოს? მაგრამ სულ სხვადასხვაა პოდტელკოვისა და მელეხოვის სიმკაცრე. მათ შორის დიდი განსხვავებაა. მელეხოვი, როცა ხედავს, თუ როგორ არ ემორჩილებიან მებრძოლები, ისიც გაცოფებამდე მიდის, ყვირის, იარაღის გამოყენებით ემუქრება გაქცეულ კაზაკებს (გვ. 242), მაგრამ იგი არ არის პოდტელკოვი, რომელიც უფრო ესერულ-ტროცკისტულ ანტილენინურ ხაზს მიჰყვება, ვიდრე პარტიის დირექტივას. სწორედ პარტია მოითხოვდა, ლენინის პირით, არ დაეშვათ უაზრო დახჯა, უაზრო სისხლისღვრა, ემოქმედათ გონებით და არა აფექტებით. თუმცა არც ის არის დასამალი, რომ სამოქალაქო ომი, 14 უცხო სახელმწიფოსა და შინაური კონტრრევოლუციის წყალობით, მეტად მკაცრი იყო, რაშიაც მელეხოვები კი არა, პოდტელკოვებიც ვერ ერკვეოდნენ.

და ჩვენ ვხედავთ, რომ გოლუბოვის გვერდით გრიგორი იბრძვის წითლების მხარეზე, იბრძვის გმირულად და ვაჟკაცურად თეთრების წინააღმდეგ. აქვე არიან ბუნჩუკი და ანა ტყვიამფრქვევით. გოლუბოვის სპეციალური დავალების შესრულების დროს, გრიგორი ფეხში დაიჭრა, მეთაურობა მიიღო გრიგორის თანაშემწემ ოფიცერმა პაველ ლიუბიშკინმა. ჩერნეცოველების წინააღმდეგ ბრძოლა გაძლიერდა. როცა დაჭრილი გრიგორი მიჰყავდათ, გოლუბოვმა დაინახა თუ არა, მიაყვირა: ყოჩაღ, მელეხოვ! და როგორ არ უნდა ექო — მათ ხომ ორმოცი ოფიცერი და თვით ჩერნეცოვი ტყვედ ჩაიგდეს (გვ. 246). ყველა ისინი გოლუბოვმა რევკომის თავმჯდომარეს პოდტელკოვს გაუგზავნა, თან შეუთვალა გრიგორის პირით: ჩერნეცოვის თავდებობას მე ვკისრულობო. მაგრამ პოდტელკოვმა ყურად არ იღო გოლუბოვის თხოვნა, არც მელეხოვის სიტყვებს, მის ახსნა-განმარტებას მიაქცია ყურადღება, რამაც გრიგორი მოთმინებიდან გამოიყვანა და წაჰკიდა რევკომის თავმჯდომარეს. შემდეგ ირკვევა, თუ რა შეურიგებლობაა პოდტელკოვსა და ჩერნეცოვს შორის: ისინი ერთმანეთის პირისპირ დგანან, როგორც მოსისხლე მტრები, რომელთა შერიგება სიკვდილსაც აღარ შეუძლია. და აქ არის საშინელი სცენა, რომელსაც გრიგორი ხედავს: გაცოფებულმა პოდტელკოვმა ხმლით გაუჩეხა თავი ჩერნეცოვს, რომელმაც მას კაზაკობის მოღალატე, არამზადა, გამყიდველი უწოდა (გვ. 249). ჩერნეცოვთან ერთად, სიკვდილით

დასაჯეს მისი ორმოცივე ოფიცერი. ეს ხოცვა-ჟლეტა გრიგორი მელეხოვს არ მოეწონა, პირიქით, შეეცადა ანგარიში გაუწიოროებინა პიოტელკოვისათვის, მაგრამ ხელები შეუკრა მინაევმა, წაართვა ნაგანი, თან ჰკითხა: „შენ კი როგორ ფიქრობდი?“ (გვ. 250). გრიგორის, როგორც ვხედავთ, გული მოწყალეცა აქვს და მკაცრიც. აქ ის იქცევა ადამიანურად, თუმცა ვერ ხედავს, რომ არაადამიანურ სინამდვილეში ადამიანურობა განწირულია, თუ არაადამიანურობას ბოლო არ მოეღო.

ამ საშინელი ამბების შემდეგ გრიგორიმ ერთი კვირა მილეროვოს საველე ჰოსპიტალში გაატარა, სადაც ჩავიდა პანტელეი, რომ დაჭრილი შვილი სახლში წაეყვანა. გრიგორი უკმაყოფილებისა და სიხარულის შერეულ გრძნობას განიცდიდაო, — გვეუბნება შოლოხოვი. უკმაყოფილება იმით იყო გამოწვეული, რომ ტოვებდა თავის ნაწილს დონზე ხელისუფლებისათვის გაჩაღებული ბრძოლის დროს, სიხარული კი იმით, რომ ნახავდა შინაურებს, ხუტორს, გულში ფარულად ჰქონდა სურვილი აქსინიასთან შეხვედრისა. პანტელეის რაც შეეხება, მათი შეხვედრა განსხვავებული იყო. არც გასაკვირია, ვინაიდან პანტელეი კალედინს იცავდა, გრიგორი კი კალედინს ებრძოდა. ამავე დროს, გრიგორის არ შეეძლო ეპატიებინა, დაევიწყებინა ჩერნეცოვის დაღუპვა და ტყვე ოფიცრების გაუსამართლებლად დახვრეტა (გვ. 252). მისი, როგორც გუშინდელი გლეხის, ფიქრები თავს დასტრიალებდნენ მიწას; იგი, როგორც გუშინდელი გლეხი, ფიქრობდა მშვიდობასა და სიწყნარეზე, შრომით სავსე ცხოვრებაზე; რად უნდა მას ომი, მისი სიხარულია შრომის ომი მიწასთან, უხვი მოსავლის მიღება, ოჯახში ტკბილად ცხოვრება. დაჭრილ გრიგორი მელეხოვის შეხვედრა სოფელთან, ხუტორთან, თავისიანებთან შოლოხოვს ისე აქვს აღწერილი, ისე დეტალურად და მიმზიდველად (რადა ღირს თუნდაც ოზეროვას წელგატეხილი ფოჩი!), რომ აქაც წაკითხვაა საჭირო და არა ციტირება. გრიგორი ხედავს, რომ დუნიაშკა კარგი გოგო დამდგარა, უფრო გაკეთებულა, ნატალია უცნაურად გაფურჩქვნილა და გალამაზებულა. ყველას, ყველას ეალერსება გრიგორი — ცოლ-შვილს, დედას, ძმას, რძალს, უყურებს მეუღლეს და მას უკვე მოსწონს ნატალია. რამდენი ადამიანური სითბოა აქ, ისევე, როგორც იაფფასიანი საჩუქრების ჩამორიგებაში, და-

საჩუქრებულებს ძვირფასად რომ მიაჩნიათ. თავდება ეს ოჯახური რომანტიკაც და იწყება ჩვეულებრივი ცხოვრება, აღსავსე უთვალავი, თავსამტვრევი კითხვებითა თუ ყოველდღიური ჰირ-ეარამით.

მაგრამ ყველაზე მთავარი ჩანს პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი: ვინ ვის? რა იქნება ხვალ? რა მოელის დონს? „შენ რომელი მხარე გიჭირავს?“, — ეკითხება პანტელეი მელეხოვი გრიგორის და როცა პასუხად ღებულობს — „მე საბჭოთა ხელისუფლებას ვუჭერ მხარსო!“ — თოფის წამალივით აფეთქებული მიაძახებს შვილს — „ბრიყვი ხარო!“ (გვ.261). პოლიტიკამ დანდობა არ იცის. მამა-შვილს ისე შეატაკებს ერთმანეთს, რომლის მსგავსი არაერთი ვნახეთ შოლოხოვის „დონის მოთხრობებში“. სულ მალე ტატარსკში ცნობა მივიდა — ნოვოჩერკასკში გენერალმა ალექსეი მაქსიმოვიჩ კალედინმა თავი მოიკლაო. ეს ცნობა მძიმედ განიცადა პანტელეიმ მირონ კორშუნოვთან ერთად. მძახლებმა გენერლის შესანდობარი შესვეს. პანტელეი ისე გამოთვრა, რომ შინ დაბრუნებისას, ჩაძინებულს, გაყინულ დონში მარხილი გადაუვარდა, ცხენი დაეღუპა, თვითონ ძლივს გადარჩა.

მაინც რა მოხდა, რატომ მოიკლა თავი კალედინმა?

შოლოხოვი დიდი ისტორიული სიმართლით აღადგენს იმდროინდელ სურათებს, ჩერნეცოვის დამსჯელი რაზმის განადგურების შემდგომ სიტუაციას, კორნილოვის 28 იანვრის წერილს კალედინისადმი — მოხალისეთა არმიის მიერ როსტოვის დატოვებისა და ყუბანში გადასვლის შესახებ, მეორე დღეს, 29 იანვარს, დონის მთავრობის სასწრაფო თათბირს, რომელზეც კალედინმა გამოაქვეყნა კორნილოვის დეპეშა, თან დასძინა: „— მოხალისეთა არმია მიდის. ოლქისა და ნოვოჩერკასკის დასაცავად დარჩა ას ორმოცდაშვიდი ხიშტი... ჩვენი მდგომარეობა უიმედოა. მოსახლეობა არა თუ მხარს არ გვიჭერს, არამედ ჩვენდამი მტრულადაა განწყობილი. ძალები ჩვენ არა გვყავს, და წინააღმდეგობის გაწევაც უსარგებლოა. მე არ მინდა ზედმეტი მსხვერპლი, ზედმეტი სისხლისღვრა. წინადადებას გაძლევთ მოიხსნათ თქვენი რწმუნებულებანი და ძალაუფლება სხვას გადასცეთ. ჩემს რწმუნებულებას ატამანისას მე ვიხსნიო“ (გვ. 271). ამის შემდეგ, იმავე დღეს, დონის

კონტრრევოლუციური მთავრობა გადადგა, ხოლო კალედინმა თავი მოიკლა, რაც „წყნარ დონში“ დაწვრილებით არის გადმოცემული (გვ. 272—273).

როცა ეს ამბები ხდება, გრიგორი მელეხოვი ტატარსკშია, ცოლ-შვილთან და მშობლებთან ატარებს დროს. მკითხველისათვის დაუვიწყარია მელეხოვების ოჯახური იდილიური სცენები, ნატალიას სიხარული, რომ გრიგორი კარგად ექცევა, ქმრის მუნდირში გამოწყობა, უცნაური დეტალები და ნიუანსები, რითაც შოლოხოვი ყველგან და ყოველთვის გვჭიბლავს.

პარალელურად ჩვენ ვხედავთ ტიფით დაავადებულ ბუნჩუკს, რომელსაც ცარიცინში დიდი მზრუნველობით უვლის ანა. სამი კვირის მანძილზე ბუნჩუკი უგონოდ იყო. 1919 წელს ტიფი მთელ ქვეყანაში მძვინვარებდა, მუსრს ავლებდა ადამიანებს, ბევრი შეიწირა, ბევრი ბავშვი უდედოდ დატოვა. ბუნჩუკის სიცოცხლეც ბეწვზე ეკიდა, მაგრამ ანას მზრუნველობამ იხსნა. შესანიშნავად არის გადმოცემული 24 დეკემბერს საღამოს გონმოსული ბუნჩუკის საუბარი ანასთან. მათი დიალოგი იმდენად საინტერესო, თბილი, ადამიანური, ლირიზმით აღსავსეა, ზოგჯერ კი აფეთქებული და განრისხებამდე მიყვანილი, რომ დასტაქარი უნდა იყო, ასე კარგად იცოდე ახლახან გონმოსული ნატიფარის სულიერი განცდები. რა სწორად არის მინიშნებული, რომ ბუნჩუკს ტიფის შემდეგ გართულება სმენაზე დაეტყო — ცუდად ესმოდა. მისი გაცხარებაც საყვარელ, ერთგულ ანასთან დიალოგში, ავადმყოფობით არის გამოწვეული და ამდენად გულში ჩამწვდომია. როცა ბუნჩუკის ავადმყოფურ, ახირებულ მოთხოვნებს არ ასრულებს, ანას ესმის სიტყვები: „მე ვიწყებ შენს შეძულებასო!“ და ამ სიტყვებს მისთვის ეუბნება ძვირფასი ადამიანი — ბუნჩუკი ეუბნება. ხანგრძლივი მოვლით დაღლილი ანაც ვერ ითმენს: „ეს საუკეთესო საზღაურია იმისათვის, რაც მე გადავიტანე, ვიყავი რა შენი მომვლელიო“. (გვ. 277). რამდენი სიმართლე და ადამიანური ტკივილია ამ სიტყვებში!

ბუნჩუკმა მხოლოდ ორი კვირის შემდეგ დაიწყო სხვის დაუხმარებლად სიარული. 16 იანვარს ისინი ვორონეჟში ჩავიდნენ, ორი დღის შემდეგ კი მილეროვოში. აქედან გაემგზავრნენ გლუ-

ბოკოვში, სადაც ანა და ბუნჩუკი დროებით დაშორდნენ ერთმანეთს — ანა ლუგანსკში გაემგზავრა სააგიტაციო მუშაობისათვის აბრამსონთან ერთად. მათი გამოთხოვება, საუბარი, ერთმანეთზე ზრუნვის გამოხატვა უკვე ყველაფერს ნიშნავს, მკითხველი ვრძნობს, თუ რა დიდი სიყვარული, ნამდვილად ადამიანური სიყვარული აკავშირებს ერთმანეთთან ამ ორ არსებას. მაგრამ ერთი სიტყვა, ერთადერთი სიტყვა, რაც ავტორმა იხმარა მათი განშორების დროს, როცა დათქვეს — როსტოვში შევხვდებითო, — ყველაფრის მთქმელია. ანა წავიდა, ბუნჩუკმა კი „საშინელი ძალით იგრძნო მარტოობა" (გვ. 280). განა ეს გრძნობა მარტოოდენ ბუნჩუკისაა? განა მართლაც საშინელი ძალით არ გეცემა თავზე მარტოობის ლოდი, როცა უსაყვარლეს არსებას თუნდაც რამდენიმე დღით ეშორდებით? ასეა, ეს ყველამ იცის, მაგრამ შოლოხოვი ისეთ შარავანდედს დაადგამს ხოლმე ამგვარ ტრივიალურ გრძნობებს, რომ აღგვაფრთოვანებს თავისი მიხვედრებით, ორიგინალობით, დეტალებით, ნიუანსებით. მართლაც საოცარი მხატვარია ეს შოლოხოვი! მის ხელში ყველაფერი ლამაზდება, მშვენიერდება, ცოცხლდება, კვდება, იბადება, ტრაგიკული, კომიკური ან გმირული ხდება. რამდენნაირად არ გადმოუციათ სიყვარულის განცდა პოეტებს თუ რომანისტებს, მაგრამ იშვიათად თუ უთქვამს ვინმეს ის, რასაც შოლოხოვი თავის გმირზე ამბობს: „ის დაბრუნდა ქუჩიდან ოთახში, მაგრამ იმავე წუთში გამოხტა იქიდან დამწვარივით... იქ თითოეული საგანი ჯერ კიდევ სუნთქავდა მისი ყოფნით, ოითოეული საგანი ინახავდა მის სურნელებას: დავიწყებული ცხვირსახოციც, ჯარისკაცის ქვეჩანთაც, სპილენძის ფინჯანიც — ყველაფერი, რასაც მისი ხელები შეხებიან" (გვ. 280—281). განა ეს თავდავიწყებული სიყვარულის პოეტური სიმღერა არ არის?! დიახ, ეს არის შოლოხოვი!

მაგრამ ამ პოეტური სიღრმიდან უნდა გადავიდეთ მძიმე პროზაულ ამბებზე, რომლებიც კალედინის თვითმკვლელობის შემდეგ იწყება. დონის ჯარების ატამანმა გენერალმა ნაზაროვმა 29 იანვარს, კალედინის თვითმკვლელობის დღეს ჩაიბარა ხელისუფლება — ის არჩეულ იქნა «войсковым наказным атаманом». გამოჩნდნენ გენერალი კრასნოშჩეკოვი, შემდეგ, 22 თებერვალს როსტოვში შევიდა

კაპიტან ჩერნოვის რაზმი, რომელსაც ბოლშევიკური გაზეთის «Окопная правда»-ს ყოფილი რედაქტორის რ. თ. სივერსის ნაწილები ავიწროებდნენ (თვით სივერსი 1918 წლის დეკემბერში მძიმე ჭრილობისაგან დაიღუპა, გვ. 270). ამ ისტორიულ ფაქტებს შოლოხოვი ზუსტად გადმოგვცემს, გეველინება სამოქალაქო ომის, ჩვენი უახლესი ისტორიის ბრწყინვალე მცოდნედ. წლები, თვეები, დღეები, დოკუმენტები, არქივის მასალები ყველგან ზუსტად არის მითითებული და ჩვენ ვერ ვნახეთ ვერც ერთი შეცდომა ან შეუსაბამობა, რაც ასე ვრცელ რომანში შეიძლებოდა ავტორს უნებლიეთ მაინც მოსვლოდა. ის ყველგან ზუსტია, საოცრად ზუსტი, როგორც ადამიანის სულის გახსნაში, ისე წმინდა ისტორიული ფაქტების გამოყენებაში. შოლოხოვს, მის ნაწერს, ყოველთვის შეგიძლიათ ენდოთ, არსად არ შეგიყვანთ შეცდომაში, არსად ზედმეტს ან უმნიშვნელოს არ გეტყვით. ის მწერალი-აკადემიკოსია არა მარტო სახელით, არამედ, თავისი დიდი ცოდნით, ისტორიული და მხატვრული აზროვნების ღრმა ცოდნით. ამიტომაა, რომ მისი რომანები, მოთხრობები, წერილები ასე ორგანულად შეითვისა მკითხველთა მასამ და მიხეილ შოლოხოვი აღიარა თავის ერთ-ერთ პირველ მწერლად მაქსიმ გორკისა და მაიაკოვსკის გვერდით. მაგრამ ამ თემაზე ჩვენ მონოგრაფიის სხვა ადგილზე ვილაპარაკებთ უფრო დაწვრილებით, როცა „წუნარი დონის" ავტორის მსოფლიო მასშტაბებს შევეხებით. ახლა კი ისევ დონის ამბებს უნდა მივუბრუნდეთ.

კორნილოვის პოლკის ერთ-ერთ ასეულში, რომელიც ტოვებს როსტოვს, ჩვენ ვხედავთ ეგეგნი ლისტნიცკის. პოლკი გადადის სტანიცა ოლგინსკში. თვით კორნილოვის ბრძანებით, რაკი გენერალმა იგრძნო, რომ დარჩენა როსტოვში სახიფათო იყო. მაგრამ ვინ არ გაჰყვა პოლკს — თითქმის ყველა გამოქცეული, ვისაც მთელი იმედები კორნილოვზე ჰქონდა დამყარებული — მამაკაცები და დედაკაცები, მოხუცი როძიანკოც — სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი თავმჯდომარე, თვით ბატონი გენერალი კორნილოვი, ცხენზე ამხედრებული, როძიანკოსათვის კი ცხენი არ იყო — ეზეხით ჰიდიოდა. თითოეულს თავისი საქმე, თავისი საზრუნავი აქვს, ლისტნიცკი, მაგალითად, ფიქრობს თავის მამულსა, მამასა და აქსინიაზე, გული სევდითა აქვს სავსე, სიძულვილითა და გა-

ბოროტებით, ისევე, როგორც ამ ხუთი ათასს კაცს, ოსტრაკიზმი რომ განუმზადეს, გამოაგდეს რუსეთიდან. მაგრამ ვნახოთ რა იქნება — კორნილოვი მიგვიყვანს ჩვენ მოსკოვთან (გვ. 285). ამ იმედით ცხოვრობს მონარქისტი ევგენი ლისტნიცკი და ბევრი მისი მსგავსი. მაგრამ კორნილოვი შეტევის დაწყებას აგვიანებს. 11 მარტისათვის მოხალისეთა არმია უკვე თავმოყრილი იყო ოლგინსკის რაიონში. მაგრამ კორნილოვი ელოდებოდა გენერალ პოპოვის მოსვლას. 13 მარტს ისიც მოვიდა, დაიწყო სპეციალური თათბირი, რომელსაც კორნილოვისა და პოპოვის გარდა ესწრებოდნენ გენერლები: ალექსეევი, დენიკინი, რომანოვსკი, ლუკომსკი, მარკოვი, კუტეპოვი და ოფიცრების მთელი წყება. კორნილოვმა თათბირს გააცნო შემდგომი მოქმედების თავისი გეგმა და პოპოვს სთხოვა — შემოუერთდით თქვენი რაზმით მოხალისეთა არმიას და ერთად წავიდეთ ეკატერინოდარში, ძალების დაქსაქსვა ჩვენს ინტერესებს ეწინააღმდეგებაო. მაგრამ პოპოვმა კატეგორიული უარი თქვა. გენერალ ალექსეევის შეკითხვაზე, რატომ ამბობთ უარსო,— პოპოვმა უპასუხა: — „იმიტომ რომ მე არ შემიძლია დონის ოლქის ტერიტორია დავტოვო და სადღაც ყუბანში წავიდეო". (გვ. 287). დაიწყო კამათი, მაგრამ კამათმა მხოლოდ ის გამოამჟღავნა, რომ მოხუცი გენერალი პოპოვი ახალგაზრდა გენერალ კორნილოვს არა თუ მხარს არ უჭერს, ეწინააღმდეგება კიდეც, ხოლო გენერალი ალექსეევი მერყეობს. ბოლოს კორნილოვმა მაინც თავისი გაიტანა, რაკი გენერლების უმრავლესობამ მხარი დაუჭირა, თუმცა გეგმაც ოდნავ შეცვალა. პოპოვი და კორნილოვი ცივად დაშორდნენ ერთმანეთსო, — გვეუბნება ავტორი, — და ეს სავსებით გასაგებია, ისევე, როგორც მისი ხელმეორე უარი, როცა კორნილოვმა რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ სთხოვა მოხალისეთა არმიასთან შემოერთება და ყუბანში წასვლა. პოპოვი სალსკის მხარეში დარჩა.

იწყება წითლების შეტევა ნოვოჩერკასკისათვის. ბუნჩუკი გოლუბოვის ნაწილშია. გენერალმა პოპოვმა შეიარაღებული ძალები გაიყვანა ნოვოჩერკასკიდან. გოლუბოვი და ბუნჩუკი შეიჭრნენ ქალაქში, პირდაპირ სხდომაზე დაატყვევეს დონის მთავრობა, სამხრეები აძვრეს გენერალ ნაზაროვს, რომლის განრისხებას საზღვარი არ ჰქონდა. ბუნჩუკმა ღამე დედასთან გაათია, მეორე

დღეს კი სივერსის მიერ გათავისუფლებულ როსტოვში გაეშგზავრა, იქ რევკომში შეხვდა ანას, რომელმაც ცრემლებისაგან თავი ვერ შეიკავა, როგორც კი საყვარელი არსება დაინახა. ქუჩაში სალაპარაკოდ გასულის დროს ანამ უთხრა, რომ ასე გაგრძელება იდილიური „საქმროსი და საცოლოსი" უხერხულ მდგომარეობას ჰქმნის, რომ დაკვირვებულმა აბრამსონმა ლუგანსკში მას კითხვაც დაუყენა: „შენ ბუნჩუკთან ცხოვრობ?" მე უარვყავი, მაგრამ ის მაინც ვერ დავაჯერეო (გვ. 294). ამის შემდეგ ბუნჩუკი საცხოვრებლად გადადის ანას სახლში, ისე, რომ მხოლოდ ბინაზე ცხოვრობს, ანასთან კი მარტოოდენ სატრფიალო დამოკიდებულება აქვს. ბუნჩუკი, ისევე, როგორც ანა, მორალურად სპეტაკი ადამიანია.

მარტშივე ის იგზავნება დონის რევკომთან არსებულ რევოლუციურ ტრიბუნალში სამუშაოდ. კომენდანტად ნიშნავენ. ტრიბუნალის თავმჯდომარემ გააფრთხილა, რომ მისი სამუშაო ბინძური იქნება, მაგრამ პასუხისმგებლობა პარტიის წინაშე და ადამიანურობა უნდა შეინარჩუნოო. თავმჯდომარემ დაუმატა: „ჩვენ აუცილებლობის გამო ფიზიკურად ვსპობთ კონტრრევოლუციონერებს, მაგრამ ამისაგან რომ ცირკი მოაწყო არ შეიძლებაო". (გვ. 296). ცხადია, არ შეიძლება, მაგრამ წარმოიდგინეთ ბუნჩუკის მდგომარეობა, როცა პირველ ღამესვე წითელგვარდიელების რაზმით თექვსმეტი კონტრრევოლუციონერი დახვრიტა, თითქმის ყოველდღე უხდებოდა ამ უსაშინელესი ჯალათური როლის შესრულება, და ის მოტყდა, სულიერად დამძიმდა, თუმცა რევოლუციის ბრძანებს ანადგურებდა. რაც არ უნდა იყოს, კაცის მოკვლა კაცის მიერ ყველაზე დიდი ცოდვაა, და ადამიანის სინიდისს ალაბათ ყოველთვის ღრღნის, როგორი ციცი გულიც არ უნდა ჰქონდეს მას და როგორი მხეციც არ უნდა იყოს. გახსოვთ, რა დაემართა გრიგორი მელეხოვს, როცა უშუალოდ ბრძოლაში ავსტრიელი ჯარისკაცი მოჰკლა?! და ბუნჩუკი წუხს, საშინლად იტანჯება „ერთ კვირაში ის გახმა და გაშავდა" (გვ. 297), — როგორც შოლოხოვი გვეუბნება. სხვაგვარად წარმოუდგენელიც იყო. ბუნჩუკმა სულიერი წონასწორობაც დაჰკარგა. დაიწყო გინება და ყვირილი. ის თვითონვე ამბობს: „მოსპო ადამიანური სიბილწე — ბინძური საქმეა... ბინძურ სამუშაოზე ბიდიან ან ბრიყვები და მხეცები, ან

ფანატიკოსები“ (გვ. 298). მაგრამ ის მაინც არ ტოვებს ამ სამუშაოს, რაკი დარწმუნებულია, რომ ემსახურება რევოლუციას, „სარგებლობა მოაქვს“. ცოტას კიდევ მოვიცდი და შემდეგ ფრონტზე წავალო. წონასწორობადაკარგულ ბუნჩუკს ანა ურჩევს მიატოვოს ეს საქმე, სხვა რამეს მოჰკიდოს ხელი ან მართლაც ფრონტზე წავიდეს, თორემ გაგიჟდებაო.

ცხოვრება კი თავისი გზით მიდის. მარტის ბოლოს როსტოვში მოსელა დაიწყეს გაიდამაკებისა და გერმანელების მიერ შეიწროებულმა უკრაინელმა წითელგვარდიულმა ნაწილებმა. როსტოვში სიცხლეჭარბი ცხოვრება დაიწყო. ბუნჩუკს ბედნიერება ეწვია— ტრიბუნალში მუშაობიდან გაათავისუფლეს. იგი დიდი კმაყოფილებით შეხვდა ამ ფაქტს. იმავე დღეს, საღამოს, შინ ადრე დაბრუნებულ ანას მიახარა ეს ამბავი. და იმ ღამესვე მოხდა ის, რასაც მკითხველი დიდხანს ელოდა. ანა თვითონ მიეიდა ბუნჩუკის საწოლთან შიშველი, მარტოოდენ ხალათმოხურული. როცა ერთად მოთავსდნენ, ანამ ჩურჩულით უთხრა ბუნჩუკს: „დღეს თუ ხვალ მე შეიძლება შენ გამომეცალო ხელიდან... მე მინდა შენ მიყვარდე მთელი ძალით! მაშ ჩქარა!“ (გვ. 300). მაგრამ ტრიბუნალში უმძიმესი არაადამიანური მუშაობისაგან ბუნჩუკს თურმე არაერთი გრძნობა დაუკარგავს. ანა მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ დარწმუნდა, რომ ეს ნამდვილად ასე. იყო. მათ შორის დიდი სიყვარულით სავსე ცხოვრება დაიწყო და ორივე ბედნიერად თვლიდა თავის თავს. ბუნჩუკი სამუშაოდ როსტოვში დატოვეს, სადაც ფართოდ გაიშალა მუშაობა საბჭოების საოლქო ყრილობისათვის.

საბჭოთა ხელისუფლება თანდათან მყარდება სტანიცებსა და ხუტორებში. შოლოხოვი გვიჩვენებს ამ პროცესს დიდი სიმართლით, როგორც ჭეშმარიტი რეალისტური ხელოვნების ოსტატი, რომლისთვისაც სინამდვილის შელამაზება, გალაქვა, გაკრიალება არ არსებობს. იგი ამაღლებულია, როგორც ჭეშმარიტების ქომაგი, ამავე დროს, ტენდენციურია, როგორც ენგელსი ამბობდა ტენდენციის შესახებ გენიოსი მწერლების შემოქმედებაში. რა მართალი სურათებია „წყნარი დონის“ მეორე წიგნის მეხუთე ნაწილის XXI თავში, სადაც მოთხრობილია, თუ როგორ მყარდება საბჭოთა ხელისუფლება დონის ველებზე, სტანიცებსა და ხუტორებში, როგორ სარგებლობენ ბნელი ელემენტები ამ მომენტით და ეწევიან ძარცვა-გლე-

ჯას. მოსახლეობის აწიოკებას. ბევრია ნამდვილი წითელგვარდიელი, იდეით გატაცებული, რევოლუციის ერთგული, მაგრამ არიან წითელგვარდიელის ცრუ სახელს ამოფარებული ეიგინდარებიც. არაერთი იყო ასეთი სურათი: «Разложившиеся под влиянием уголовных элементов, обильно наводнивших собою отряд, красногвардейцы бесчинствовали по дороге. В ночь под 17 апреля, расположившись на ночевку под хутором Сетраковом, они, несмотря на угрозы и запрешение командного состава, толпами пошли в хутор, начали резать овец, на краю хутора изнасиловали двух казачек, открыли беспричинную стрельбу на площади, ранили одного из своих. Ночью заставы перепились (спирт везли на каждой повозке обоза). А в это время трое верховых казаков, высланных из хутора, уже поднимали в окрестных хуторах сполох» (გვ. 305). ზოგან სრულიად მოულოდნელად ჩამოაგდებდნენ ხოლმე საბჭოებს. კრიტიკოსი ყველაფერს ვერ იტყვის. მთელი ეს პროცესი, ახალი ქვეყნის დაბადების პროცესი, მისი მშობიარობის ტკივილები შოლოხოვს ფართოდ, პირდაპირ ოკეანისებური პანორამითა აქვს გადმოცემული, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ პანორამული ზედაპირის შიგნით, სიღრმეში, ყველაფერს ეხედავთ: ოკეანის ძირსაც და მის ფსკერზე არსებულ ზღვის ფლორასა და ფაუნას, სოციალური ყოფის არაერთ უცნაურობას.

უცნაურობა თითქოს ბუნებასაც ეტყობა: სახელმწიფო ტყეში საქმეზე წასული ხრუსტონია და მატვეი კაშულინი შენიშნავენ გარეულ თხას, თიკანთან ერთად, რომელიც, ალბათ, ომმა კარპატებიდან დონის ტყეებში მოაგდო. ომის დროს რა არ ხდება, რას არ წაანყდები. განა მიშკა კოშევოი და ვალეტი, რომელსაც ოთხი თვე წითელ გვარდიაში უბრძოლია, გაიდამაკების ტყეედ ყოფილა, გაქცეული მიჰკედლებია სივერსის რაზმს, ახლა კი სოფელში თავისი ნებით ჩამოსულა, ამ უცნაურობის განსახიერებას არ წარმოადგენენ? ისიც ხდება, რომ ტატარსკში ბჭობაა — რა ჰქნან თუ მობილიზაცია გამოცხადდა. ვალეტი დაჟინებით მოითხოვს ახლავე დატოვონ ხუტორი, ვიდრე გვიან არ არის. გრიგორი მელეხოვი სასტიკი წინააღმდეგია და ამის გამო ვალეტის საშინლად წაეჩხუბება. ვერ გადაწყვიტეს — წავიდნენ თუ არა: ვალეტი და მიშკა

კოშევოი მზად არიან დატოვონ ხუტორი, გრიშკა მელეხოვი, ივან ალექსეევიჩი და ხრისტონია კი მოცდას ამჯობინებენ — ვნახოთ რა იქნება, წასვლას ყოველთვის მოვასწრებთო (გვ. 313). ივან ალექსეევიჩს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, თუმცა ამის შესახებ არაფერი უთქვამს გრიგორისა და ხრისტონიასათვის, —პირველი შეჯახებისთანავე ბოლშევიკების მხარეზე გადავიდეს (გვ. 317). ამ გადაწყვეტილებით მიდის იგი მაიდანზე, სადაც შეკრებაა მოწვეული, თან ნანობს, რომ არ დაეთანხმა ვალეტსა და კოშევოის. ასევე თავისებურად უხერხულობას გრძნობენ გრიგორი და ხრისტონია. ივან ალექსეევიჩი გაკვირვებით ამბობს: ფრონტიდან ბოლშევიკებად დაებრუნდით, აქ კი ბუჩქებში მივძვრებით, დედაკაცებთან ერთად ვართ, ჩვენთვის ვინ იბრძოლებსო!? გრიგორი თავს იმართლებს — მე ვიბრძოლე, დაე, ახლა სხვებმა გამოსცადონო. ხრისტონია მოურიდებლად ამბობს: ისინი უაჩაღობენ, ჩვენ რა. მათთან უნდა წავიდეთ? ეს რა წითელი გვარდიაა? ქალებს ნამუსს ხდიან, სხვას ძარცვავენ. მაგრამ ივან ალექსეევიჩი ეკითხება: შენ თვითონ ნახეო? არა, ხრისტონიას არ უნახავს, მხოლოდ სხვებისაგან გაუგონია, სხვები ამბობენ (გვ. 318). ივან ალექსეევიჩის დაეჭვება აქ უკვე ბევრის მთქმელია, როგორც იმ კაცისა, რომელიც მზადაა პირველი შესაძლებლობისთანავე წითელ გვარდიას მიაშუროს.

მაიდანზე მთელი ხუტორია შეკრებილი, ფარდა ქალებისა, ბრწყინავენ კაზაკური ლამპასები და ქუდები. აქვე ერთად არიან პანტელეი პროკოფიჩი და მირონ კორშუნოვი. რომელიღაც ოფიცერი შეკრებილთ მიმართავს კონტრრევოლუციური სიტყვით, დამახინჯებულად ასახელებს ფაქტებს ხუტორ სეტრაკოვის, სტანიცების — მიგულინსკისა და კაზანსკის შესახებ, თითქოს მათ გადაიგდეს ბოლშევიკური ხელისუფლების უღელი, რომ კაზაკებს არ უნდათ წითელი ძალაუფლება (გვ. 319—320). შემდეგ ოფიცერმა დაიწყო ანტისაბჭოთა მოწოდების წაკითხვა. როცა მოწოდების პირველი სიტყვები გაიგონა, გრიგორი მელეხოვმა შეკრებილობა მიატოვა, რაც მირონ კორშუნოვს შეუმჩნეველი არ დარჩენია. პანტელეიმ შვილს დაუძახა უკან დაბრუნებულიყო. მაგრამ გრიგორი მხოლოდ შეჩერდა. რა არ მიაძახეს. შეკრებილთა ხმამ თითქოს გამოაფხიზლაო, გრიგორიმ კრიჭა შეიკრა, ჩანდა, რომ

თავის თავს ებრძოდა, ერთი წუთიც და უკან აღარ დაბრუნდებოდა, მაგრამ ჩვეულმა მერყეობამ თავისი გაიტანა. აქ ერთხელ კიდევ წყდებოდა მისი მომავლის ბედი, მაგრამ გრიგორი ისევ აცდა სწორ გზას, წითელ გვარდიასთან თითქმის მისული მელეხოვი ისევ თეთრგვარდიულ მასას შეუერთდა. აქ უეჭველად ითამაშეს თავისი უარყოფითი როლი მამამ, ძმამ, სიმამრმა, მაიდანზე შეკრებილ კაზაკთა უმრავლესობამ, რომლებიც კონტრრევოლუციურად იყვნენ განწყობილნი. შემთხვევითი არ იყო, რომ ხუტორის ძალ ატამანად მირონ კორშუნოვი აირჩიეს, ხოლო რაზმის მეთაურად—პეტრო მელეხოვი. ამ თანამდებობაზე, მართალია, პირველად გრიგორი დაასახელეს, მაგრამ იქვე უნდობლობა გამოუცხადეს, რაკი ის „წითელ გვარდიაში იყო“ (გვ. 323).

დაიწყო რაზმის შედგენა. სამოცი კაცი ჩაეწერა, მათ შორის ნიტკა კორშუნოვი, მაგრამ დილით მოედანზე მხოლოდ ორმოცი გამოცხადდა. პეტრომ ეს რაზმი წაიყვანა მიგულინსკის დასახმარებლად. კარგინსკში ის შეხვდა სტანიცის ატამანს ფეოდორ დიმიტრიევიჩ ლიხოვიდოვს — ძველ ავანტურისტს, რომელიც ბნელ საქმეებს აწყობდა სპარსეთში, ალბანეთში, იტალიაში, ბალკანეთში, რუმინეთში, ევროპის დასავლეთში, თითქმის ესპანეთამდე. ყველამ იცოდა, რომ ლიხოვიდოვი ახლოს იდგა მონარქიულ წრეებთან, მაგრამ არავინ იცოდა, თუ რას აკეთებდა იგი უცხოეთში (გვ. 328). ატამანად არჩევისთანავე მან სასტიკი წესები შემოიღო. ახლა კი, პეტროში გამოიცნო თუ არა დაბალი წრიდან გამოსული ოფიცერი, იგი ოთახში არ შეიწვია, ისე გაუმართა საუბარი, უთხრა: მიგულინსკში საჭირო არა ხართ, უკან დაბრუნდით, ნუთუ ასე დიდმა ხუტორმა მარტო ორმოცი მებრძოლი მოგვცაო?! (გვ. 330).

პეტრო თავისი რაზმით მართლაც დაბრუნდა იმავე ღამით, ხოლო მისი ერთდღიანი ყოვლად უშედეგო ლაშქრობა ახლობლებმაც კი სასაცილოდ გაიხადეს.

თითქოს მიწყდა ომზე ლაპარაკი, თითქოს ყველაფერი დამთავრდა, დაშვიდდა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ვეშენსკაიადან სტანიცის ატამანის მიერ გამოგზავნილი კაცი მოვიდა ტატარსკის ატამან მირონ კორშუნოვთან — სასწრაფოდ კაზაკების მხედრიონი შეჰკრიბე, პოდტელკოვი მოდის წითელგვარდიელებითო. ატამან მირონ კორშუნოვის ბრძანება უმალ შეასრულა პეტრო მელეხოვმა,

შეკრიბა რაზმი, ახლა უკვე ას რვა კაციანი და არა ორმოციანი, როგორც პირველად იყო. ეტყობა მირონს ცუდად როდი უმუშავნია საბჭოთა წყობილების, წითელი გვარდიის წინააღმდეგ ხუტორის დასარაზმაად. მოხუცებიც კი ჩაეწერნენ პეტროს რაზმში წითლებთან საბრძოლველად. გზაზე ისინი შეხვდნენ ყმაწვილ მწყემსს, რომელმაც ივან ტომილინსა და გრიგორი მელეხოვს უთხრა, თუ რა საშინელი წამებით დახოცეს კაზაკებმა ტყვედ ჩაგდებული წითელგვარდიელები. საშინელება იყო, მოკლულები ჩემი თვალით ვნახეო! მწყემსის მონათხრობმა ძძიმე შთაბეჭდილება მოახდინა გრიგორი მელეხოვზე, ხრისტონიასა და ტომილინზე. მათაც საკუთარი თვალით ნახეს გზის ახლოს, თხრილში, აჩეხილ წითელგვარდიელთა გვამები.

პარალელურად ჩვენ ვხედავთ ბრძოლებს როსტოვის მისადგომებთან. ბუნჩუკი და ანა გმირულად ებრძვიან თეთრგვარდიელებს. გააფთრებული ბრძოლებია, ბუნჩუკს მოუკლეს ტატარსკელი მეტყვეიამფრქვეველ კაზაკი მაქსიმკა გრიაზნოვი. საშინლად არის აღწერილი მისი სიკვდილი. უკან დახევისას ბუნჩუკისათვის ყველაზე ტრაგიკული ამბავი ხდება: სასიკვდილოდ დაიჭრება ანა, რომელიც უშიშრად, პირდაპირ რაინდული თავდადებით ებრძოდა მტერს. ძნელია აუღელვებლად, დამშვიდებით წაიკითხო ეს სცენები, მომაკვდავ ანას უკანასკნელი სიტყვები.

ანას სიკვდილის შემდეგ ბუნჩუკი მოტყდა, დაეცა, უგონო შეიქნა, გრძნობების დროებითმა ატროფიამ და სულიერმა პროსტრაციამ ნორმალური მდგომარეობიდან გამოიყვანა. ამ მდგომარეობაში იყო ოთხი დღე. შემდეგაც არაფერი უნდოდა, არაფერი აინტერესებდა. სწორედ ამ დროს წაიყვანა იგი კრიეოშლიკოვმა სპეციალურ ექსპედიციაში, რომელიც პოდტელკოვის ხელმძღვანელობით მიემართებოდა ჩრდილოეთის ოკრუგებში კაზაკების შესაკრებად, რომ ბოლო მოეღოთ თეთრებისათვის. ჩვენ დაწვრილებით აღარ შევეხებით ამ ექსპედიციის მოგზაურობას. რომანში იგი ისე ფართოდ არის ნაჩვენები, რომ გეერდები კი არა, მთელი თავები უკავია. გულში ჩამწვდომია, მაგალითად, ბუნჩუკის სულიერი დახასიათება, მისი განურჩეველობა იმისადმი, რაც ირგვლივ ხდება, ყველაფერს მექანიკურად, ავტომატურად ასრულებს, განუწყვეტ-

ლივ ფიქრობს ანაზე, რომელიც ხელიდან ასე ტრაგიკულად გამოეცალა. მწარეა, საშინელია მოგონება იმ ადამიანისა, რომელიც ასე შეიყვარა და რომელსაც ასე ერთგულად უყვარდა.

პოდტელკოვის ექსპედიციის მისია კატასტროფით დამთავრდა. თეთრგვარდიელებმა შეიპყრეს ექსპედიციის ხელმძღვანელები და მონაწილენი — სულ ოთხმოცი კაცი და ისინი მხეცურად დახოცეს. პოდტელკოვი და კრივოშლიკოვი ჩამოახრჩვეს, ხოლო დანარჩენები დახვრიტეს. ეს სცენები შოლოხოვისებური სიმართლით, დეტალური აღწერით, უდიდესი ოსტატობითაა გადმოცემული და სრულიად ზედმეტი იქნებოდა კრიტიკოსსაც თავისებურად წარმოედგინა. მაგრამ შეუძლებელია ზოგიერთ მომენტს არ შევეხოთ, კერძოდ პოდტელკოვის, კრივოშლიკოვის, ლაგუტინის, ლისიკოვის, ბუნჩუკის ვაჟკაცურ სიკვდილს. პოდტელკოვმა თავისი სიკვდილიც კი მოსახლეობაში საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლო აგიტაციისათვის გამოიყენა. მისი უკანასკნელი სიტყვები ჩამოხრჩობის წინ, კრივოშლიკოვთან ერთად, გამხნევება დასახვრეტად განწირულ თანამებრძოლებისა რაინდული სულის დემონსტრაციაა.

ან აიღეთ თუნდაც მისი სრულიად მოულოდნელი შეხვედრა, ჩამოხრჩობის წინ, გრიგორი მელეხოვთან. თითქოს ცეზარი კვლავ ეუბნებოდეს თავის მკვლელს— „შენც, ჩემო შვილო, ბრუტუს?“ გაოცებული პოდტელკოვი ასე მიმართავს გრიგორი მელეხოვს: „შენც აქა ხარ, მელეხოვ?... ძმებს ხვრეტავ?.. აი როგორი ყოფილხარ... ჩვენიანებსაც და თქვენიანებსაც ემსახურები? ვინც მეტს მოგცემს? ეხ, შენ!“ (გვ. 369). და აქ პირველად მოისმინა პოდტელკოვმა თავისი შეცდომის თაობაზე მელეხოვის საყვედური, მიზეზიც, თუ რატომ არის აქ. მელეხოვმა ასეთი პასუხი გასცა პოდტელკოვს: „გლუბოკის ახლოს ბრძოლები გახსოვს? გახსოვს, ოფიცრებს როგორ ესროდნენ!“ (გვ. 369). ყველაფერ ამას გრიგორი ნიშნის მოგებით ეუბნება პოდტელკოვს, თითქოს სურდეს შეაგნებინოს, რომ იგი შეცდა, საბედისწეროდ შეცდა, როცა ყურად არ იღო არც გოლუბოვის, არც პირადი მისი თხოვნა ჩერნეცოვი არ დაეხვრიტა. «Теперича тебе отрыгивается! Ну, не тужи! Не одному тебе чужие шкуры дубить! Отходился ты, председатель Донского совнаркома! Ты, поган-

ка, казаков жидам продал! Понятно? Ишо сказать?“ (გვ. 369-370).

ამ სიტყვებს გრიგორი ამბობს გაცოფებით, შინაგანად დახვრეტა-მკვლელობების მოწინააღმდეგე, აქ თავს ვერ იკავებს, სასიკვდილოდ განწირულ კაცს, რომლის გვერდითაც გუშინ უბრძოლია, ასე სასტიკად ელაპარაკება, ანგარიშს უსწორებს. მაგრამ რას იზამ: სასტიკი დროა, სასტიკი ომია; პონომარევოში, სადაც ეს ამბები ხდება, ჯოჯოხეთის გენია ტრიალებს: განუწყვეტლივ ისმის სროლის ხმა — ვეშენსკაიას, კარგინსკის, ბოკოვსკის, კრასნოკუტსკის, მილიუტინსკის კაზაკები ხვრეტენ კაზანსკის, მიგულინსკის, რაზდორსკის, კუმშატსკის, ბაკლანოვსკის კაზაკებს (გვ. 370). პარპაშებენ ისეთი გაიძვერები, სულით და ხორცით გამყიდველები, როგორიც არიან ესაული ვასილი პოპოვი და პოდესაული სპირიდონოვი — პოდტელკოვის ექსპედიციის მკვლელები.

ან რა უნდა მოსთხოვო მოხუც კაზაკ ფევრალოვს, რომელიც წითლებზე ისე გაბოროტებულია, რომ სულ დახვრეტას, მოკვლას, სიკვდილს, ჯვარცმას გაიძახის. თუ პეტრო მელეხოვი უარს ამბობს თავისი რაზმიდან ვინმე გამოჰყოს მოხალისედ პოდტელკოვის ექსპედიციის წევრთა დახვრეტაში მონაწილეობის მისაღებად. განა არ აღმოჩნდნენ მსურველები? პირველი იყო ატამან მირონის შვილი. ნატალიას ძმა მიტკა კორშუნოვი, ჯალათად დაბადებული გარეწარი, რომელიც სადისტის სიამოვნებით ჰკლავს ადამიანებს, შემდეგ ფერმკრთალი ანდრეი კაშულინი და ფედოტ ბოდოვსკოვი. ამ ხალხთან ვერაფერს გააწყობ. სასტიკი დრო ადამიანებს კიდევ უფრო აცოფებს და ელემენტარულ ადამიანურ გრძნობებზე ხელს აღებინებს.

ყველაფერი ეს „წყნარი დონის“ მეორე წიგნში არაჩვეულებრივი სიმართლით, დამაჯერებლად. დიდი მხატვრული ოსტატობითაა ნაჩვენები. პარალელურად ვხედავთ ადამიანებს, რომლებიც სისასტიკის მორევშიც არ ჰკარგავენ ადამიანურ გრძნობებს, თუმცა საჭიროების დროს ამ სისასტიკეს თავს ვერ აღწევენ, მსგავსად ილია ბუნჩუკისა. მისი ნამდვილად დიდი სიყვარული ანასადმი ამის მკაფიოდ დამადასტურებელია.

ანას სიკვდილის შემდეგ თუ რა დაემართა ბუნჩუკს, ჩვენ უკვე ვნახეთ. ამ დროიდან ფიქრი და მოგონება საყვარელ ადამიანზე მას თანა სდევს. მთელი დღეები ფიქრობს, იგონებს გატარებულ დროს ანას გვერდით. სიკვდილის წინ მას ყველაზე ნაკლებად აშინებდაო ფიქრი, რომ მოკვდებოდა,—გვეუბნება რომანის ავტორი. იმიტომ, რომ «Он готовился к смерти, как к невеселому отдыху после горького и страдного пути, когда усталость так велика, так ноет тело, что волновать уже ничто не в состоянии» (გვ. 363). უკეთესი დახასიათება ბუნჩუკის იმდროინდელი სულიერი მდგომარეობისა პირდაპირ შეუძლებელია.

მაგრამ რა დაემართათ რომანის იმ გმირებს, რომლებიც ხუტორიდან გაიქცნენ — რა დაემართათ ვალეტს და მიშკა კოშევოის? განთიადამდე ერთად იარეს, ხიფათს არ შეხვედრიან, მაგრამ ერთ-ერთ ხუტორთან მათ თავს დაესხნენ თეთრგვარდიელი კაზაკები, ვალეტი მოჰკლეს, ხოლო მიშკა კოშევოი ტყვედ წაიყვანეს. სამი დღის შემდეგ სამხედრო-საველე სასამართლომ გაარჩია მისი საქმე. დახვრეტას ბედად გადაურჩა. სამაგიეროდ, როზგებით სცემეს უწყალოდ, თუმცა ყვირილი ვერ დააწყებინეს. მეორე დღეს კი ფრონტზე გააგზავნეს, როგორც სასამართლოს გაწირულში ეწერა. ვალეტი კი ორი დღის შემდეგ დაკრძალეს, დაუტირებლად.

„წუნარი დონის“ მეორე წიგნი თავდება სევდა-ნაღველით სავსე შემდეგი ორიგინალური ეპილოგით: «Через полмесяца зарос махонький холмик подорожником и молодой полынью, заколосился на нем овсюг, пышным цветом выжелтилась сбоку сурепка, мохорчатыми кистками повис любушка-донник, запахло чобором, молочаем и медвянкой. Вскоре приехал с ближнего хутора какой-то старик, вырыл в головах могилы ямку, поставил на свежеструганном дубовом устое часовню. Под треугольным навесом ее в темноте теплился скорбный лик божьей матери, внизу на карнизе навеса мохнатилась черная вязь славянского письма:

В годину смуты и разврата
Не осудите, братья, брата.

Старик уехал, а в степи осталась часовня горюнить глаза прохожих и проезжих извечно унылым видом, будить в сердцах невнятную тоску.

И еще—в мае бились возле часовни стрепета, выбили в голубом полынке точок, примяли возле зеленый разлив зреющего пырея: бились за самку, за право на жизнь, на любовь, на размножение. А спустя немного тут же возле часовни, под кочкой, под лохматым покровом старюки-полыни, положила самка стрепета девять дымчато-синих крапленых яиц, и села на них, грея их теплом своего тела, защищая глянцево оперенным крылом» (გვ. 374-375).

ასეთია ცხოვრებისა და ბუნების გარდუვალი კანონი — ერთნი მიდიან, მეორენი მოდიან! ამ კანონის მოქმედებას, როგორც სამყაროს განვითარების პროცესს, ვერავინ შეაჩერებს!

4

ტეტრალოგია „წყნარი დონის" მესამე წიგნში ამბები ვითარდება 1918 წლის აპრილიდან, როცა დამთავრდა ფრონტელი კაზაკების „დიადი გაყოფა": ხოპერლები წითლებთან გადავიდნენ თითქმის მთლიანად, უსტმედვედელები—ნახევარი, ზემოდონელები—უმნიშვნელო რაოდენობით (ტ. 4, გვ. 7). იმავე აპრილის ბოლოს დონის ორი მესამედი წითლებმა დატოვეს. 28 აპრილს ნოვოჩერკასკში დაინიშნა შეკრება დონის დროებითი მთავრობის წევრებისა და დელეგატებისა როგორც სტანიცებიდან, ისე ჯარის ნაწილებიდან. დაიწყო დელეგატების არჩევა. ხუტორ ტატარსკის მცხოვრებთაგან ვეშენსკაიაში დელეგატებად წარგზავნეს მირონ კორშუნოვი, პაპა ბოგატირიოვი და პანტელეი მელეხოვი (ტ. 4, გვ. 8). შემდეგ, როცა ნოვოჩერკასკისაკენ გაემგზავრნენ, მილეროვოში მათ იმედის გაცრუება მოელოდათ. გერმანელებმა კორშუნოვს ცხენების წართმევა დაუპირეს, მაგრამ ეს მათ სასტიკი ცემის ფასად დაუჯდათ: ღონიერმა მირონმა ახალგაზრდობა გაიხსენა, ეძგერა გერმანელს, სისხლი ადინა, თვითონ კი ისე სწრაფად მოუსვა ცხენებიანად, როგორც არც ერთი ბედაური დღის დროს არ გაიქცევა, თვით

ილია წინასწარმეტყველსაც არ შეეძლო უფრო სწრაფად გაეჭენებინა თავისი ეტლი (გვ. 10). პანტელეი კი ჩავიდა ნოვოჩერკასკში, მოთავსდა დელეგატების საერთო საცხოვრებელში, სადაც ვახშმობის შემდეგ გაიმართა საუბარი: დელეგატების ერთი ნაწილი აქებდა უკვე მიცვალებულ კალედინს, მეორე — გენერალ კრასნოვს, რომელიც ამავე დროს მწერალია, „ნივას“ დამატებებში აქვეყნებდა შოთხრობებს, მაშასადამე, „კულტურული ადამიანიაო“ (გვ. 13). უფრო ნეგატიურად იხსენიებდნენ ბოგაევსკისა და დენიკინს, თუმცა მოწინააღმდეგეები კრასნოვსაც აღმოუჩნდნენ. ერთმა მასწავლებელმა სასტიკად გაილაშქრა კრასნოვის წინააღმდეგ — არც გენერლად და არც მწერლად ვარგაო (გვ. 13); გენერალი აგეევი დააცხელა, მაგრამ ვერაფინ იშოვა მხარდამჭერი. მესამე დღეს კრასნოვი მოიწვიეს — მეფის არმიის ახოვანი, ტანადი, ლამაზი გენერალი, მუნდირში საზეიმოდ გამოწყობილი, რომლის გამოჩენას შეკრების დარბაზის სცენაზე მქუხარე ტაშითა და აღტაცების შეძახილებით შეხვდნენ. კრასნოვმა სიტყვა წარმოთქვა „ბოლშევიკების მიერ პატივახდილი რუსეთის“, მისი „ძველი დიდების“, აგრეთვე დონის ბედ-იღბალის შესახებ. „იწინასწარმეტყველა“, რომ ბოლშევიკების დამარცხების შემდეგ დონის ოლქი დამოუკიდებელი იქნებაო. შეკრებილთ ბევრი ყალბი, ცრუ დაპირებები აღუთქვა ბატონმა გენერალმა, საღამოს კენჭი უყარეს მის კანდიდატურას და ატამანად აირჩიეს: 107 მომხრე იყო, 30 წინააღმდეგი, ხოლო 10— თავშეკავებული. მაგრამ გენერალ-მაიორმა კრასნოვმა არჩევა მანამდე არ მიიღო, ვიდრე შემდეგ პირობას არ შეუსრულებდნენ: დაემტკიცებინათ მის მიერ შეთავაზებული ძირითადი კანონები, თვითონ კი აღეჭურვათ ატამანის ძალაუფლების განუსაზღვრელი სისრულით (გვ. 15). გენერლის მთელი სიტყვა წარმოადგენდა პოლშევიზმის ლანძღვასა და უარყოფას. მან ბევრის გული აშკარად მოიგო, მათ შორის პანტელეი პროკოფიჩისა, რომელიც დარწმუნდა — ჩვენი საქმე უეჭველად საიმედო კაცის ხელშიაო. მაგრამ სულ მალე ყველაფერი იცვლება. გერმანელების მხარდაჭერით რეაქცია ჯერ კიდევ თუ ფეხზე დგას, ეს უკანასკნელი მაინც ისე შერყეულია, რომ სადაცაა წაიქცევა. დონი მძიმე მდგომარეობაში ვარდება. გერმანელებს დონიდან გააქვთ და გააქვთ სურსათ-სანოვაგე — პურის ფქვილი, კვერცხი, ერბო-კარაქი, გაჰყავთ

ხარები. მთელი ეს ამბები შოლოხოვს დაწვრილებითა და მისთვის დამახასიათებელი მხატვრული ძლიერებით აქვს წარმოსახული. ნაჩვენებია ტატარსკელი კაზაკების რაზმი პეტრო მელეხოვის მეთაურობით, ხალხის აზრებისა და განწყობილებების ისეთი პოლარულობა, თითქოს „გუთანი გაატარეს" (გვ. 22). ძმა ძმას ველარა ცნობს, მამა—შვილს და შვილი—მამას. მძიმე დროა. პეტრო მელეხოვი შემთხვევით როდი ეუბნება ძმას: „დრო, გრიშუტკა, ისეთია, რომ შეიძლება, ერთმანეთი ველარც ვნახოთო" (გვ. 22). პეტროს ისიც მწარედ აფიქრებს, რომ გრიშკას ველარა ცნობს, თუმცა მისი ღვიძლი ძმაა: „ღმერთმანი შენი არაფერი ჯამეგებაო", —ეუბნება პეტრო თავის უმცროს ძმას გრიგორის. „ვგრძნობ. რომ შენ როგორღაც მიდიხარ ჩემგან... სულ იმღერევი... ეშიშობ წითლების მხარეზე გადახვალ... შენ, გრიშატკა, აქამდე შენი თავი ვერ გიპოვიაო" (გვ. 22). ასე ამბობს პეტრო თავის ძმაზე, და ის ბართალია, თუმცა გრიგორისაც ეეჭვება: უფროს ძმასაც. ასე გარკვეულად რომ ლაპარაკობს, თავისი თავი ნახული ჰქონდეს. „მე, გრიშკა, რაყეას შენსავით არ დავიწყებო",—ამბობს პეტრო (გვ. 23) და ის აქაც მართალია: პეტრო მერყევი არ არის, მაგის გზას მისდევს, ძველი წყობის დამცველია, პანტელეი მელეხოვის მსგავსად, გრიგორი კი, როგორც არაერთგზის ვნახეთ, მერყევია, თუმცა ხშირად საოცარ ნებისყოფას თუ სიმტკიცეს იჩენს. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, როცა ამ დაძაბული საუბრის შემდეგ ძმები ერთმანეთს დაშორდნენ, რაზმის ნახევარი პეტრომ უკანვე წაიყვანა ვეშენსკაიაში, ხოლო დარჩენილი ახალგაზრდობა გრიგორი მელეხოვს გაჰყვა არჟენოვსკაში.

მაგრამ გრიგორის ხშირი სევდა აწუხებდა, მთელი დღე მომავალზე ფიქრობდა, თუმცა ისე, რომ თვით ფიქრებს შორის კავშირს ვერ ამყარებდა. ღამე პატარა ხუტორში გაათიეს, მასპინძლის ქალიშვილი, ლამაზი და მალალი ტანის ქალმერკა ჩაის უსხამდა. გრიგორიმ შეიტყო, რომ მასპინძლის სიძე წითლებთან წასულა, მაშასადამე, მასპინძელი და მისი ქალიშვილი შიშის გამო ლმობიერნი იქნებიან. ქალმერკამ დაეფარავად აგრძნობინა გრიგორის, რომ ღამეს მასთან გაატარებდა, თუ სტუმარი თანახმა იქნებოდა. გრიგორისაც უარი არ უთქვამს, მთელი ღამე ქალმერკასთან ნებივრობდა. მისგან გაიგო, რომ მამას უთქვამს — თუ

ოფიცერმა მოინდომოს, მასთან დაიძინე, თორემ გერმანელებთან წითლებთან რომ არის, ცხენებს წაგვართმევენ; ჩემი ქმარი გერმანელებთან ხომ წითლებთან არიან (გვ. 26). გრიგორის არ ესიამოვნა ეს საუბარი — მაშასადამე, ქალმერკა იმიტომ დარჩა მასთან, რომ წითელი ქალმერკაა, ანგარიშს აწყორებს, მაგრამ, როცა ქალმა ცრემლით დასძინა — ჩემი ქმარი ისეთი არ არის, როგორიც შენ, მე მასთან ყოველგვარი სიამოვნების გარეშე ვცხოვრობო — გრიგორის უსიამოვნო გრძნობები გაუქრა, თან ერთგვარი სიბრალული გრძნო ქალისადმი. როგორც ვხედავთ, გრიგორი და აქსინია ერთმანეთს ვალში არ რჩებიან — პირველი სიამოვნებით თანხმდება ქალმერკასთან მთელი ღამე ნებიერობაში გაატაროს, ხოლო აქსინია უკვე თანხმობით ცხოვრობს ევგენი ლისტნიცკისთან. რას იზამ: გამოდის, რომ ზოგჯერ სიყვარული ერთია, მაგრამ ცხოვრებას თავისი მეორე კანონები აქვს, რომლებსაც ისეთი შეყვარებული ადამიანებიც კი ვერ აუქცევენ გვერდს, როგორიც არიან გრიგორი მელეხოვი და აქსინია ასტახოვა. ამ კანონებისა და ამ გრძნობების ჩვენებაში შოლოხოვი იმდენად მართალი, იმდენად დამაჯერებელი, იმდენად ოსტატია, რომ კრიტიკოსს არ შეუძლია ყველაფერი ეს ამომწურავად დაახასიათოს, შეუძლია მხოლოდ გაკვრით აღნიშნოს და მკითხველს ურჩიოს — უმჯობესია თქვენ თვითონ წაიკითხოთ! მართლაც, ზოგჯერ არის მდგომარეობა, როცა უმჯობესია კრიტიკულ გამოკვლევაში კრიტიკოსი სდუმდეს, ხოლო მწერალი თავის თავზე თვითონვე ლაპარაკობდეს. მაგალითად, მეორე დღეს გრიგორის გამოთხოვების სცენა მასპინძელთან და ქალმერკასთან (გვ. 26—27), იმდენი ადამიანური ნიუანსების შემცველია, რომ უკეთესია მკითხველმა თვითონ წაიკითხოს, ვიდრე ჩვენ დავუხასიათოთ.

რაკი შინაარსს გადმოვცემთ, ახლა უნდა მივუბრუნდეთ მიშკა კოშევოის, რომელიც ვეშენსკაიადან ფრონტზე მიჰყავთ. მაგრამ ისევ უკან აბრუნებენ ვეშკაში, როგორც დედისერთას, თან დასძენენ: „ბოლშევიკებს ჩვენ არ ვენდობით დონის დაცვასო"! (გვ. 27). მიშკას გაამწესებენ ცხენების ჯოგის მწყემსად, მძიმე სამუშაოზე, რომლის შესახებაც ერთი კაზაკი ეუბნება: „ჩვენთან, ძამიკო, სამსახური მძიმეა. ზოგჯერ ორ დღე-ღამეში ცხენიდან ვერ

ჩამოხვალო“ (გვ. 29). ზედამხედველმა ვახმისტრმა ეჭვიანი სტრუკოვა უარესიც მოსთხოვა: გაუწაფავი ცხენების გახედვა, ქალანდის მოდება, საყვედურიც უთხრა — ბრიყვი ხარ, ცოლი რომ არა გყავსო (გვ. 29). ამის შემდეგ კოშევოის სტრუკოვისაგან თვეზე მეტი ხნის განმავლობაში სიტყვა არ გაუგონია — მიამაგრა გაშოცდილ, უშიშარ მწყემსს ილია სოლდატოვს და ამით დაამთავრა თავისი ვალის მოხდა. სოლდატოვმა კი მეორე დღესვე დაუწყო სწავლება კოშევოის, თუ რა უნდა ეკეთებინა, როგორ მოეარა ჩაბარებული ცხენებისათვის. ერთ კვირაში ყველაფერი ნათელი შეიქნა მისთვის, მაგრამ ჰაბუკი ვერ ისვენებდა: გული ფრონტისკენ მიუწევდა. ორი, ურთიერთსაწინააღმდეგო აზრი სტანჯავდა კოშევოის. პირველს მის გონებაში ასეთი ფორმულირება ეძლეოდა: ფრონტზე, „იქ ადამიანები თაყის და სხვის ბედს წყვეტენ. მე კი ჯაკებს ვმწყემსაეო“. მეორე არწმუნებდა: „დაე, იქ იომონ, იქ სიკვდილია, აქ კი — თავისუფლებაა, ბალახი და ცა. იქ ავგულობაა, აქ კი მშვიდობა. შენ ხვებთან რა გესაქმება..“ (გვ. 32). ამ მწვავე აზრებით იტანჯებოდა კოშევოი და გადაწყვიტა სოლდატოვს შეხვედროდა. შეხვდა კიდეც, მაგრამ სასტიკი ჩხუბი მოუვიდა მასთან: როცა სოლდატოვმა გაიგო — მიშკა კომუნისტიაო, ერთი ამბავი აუტეხა, კაზაკობის მტრად გამოაცხადა, ქვეწარმავალი უწოდა, პოლტელკოვნით უნდა ჩამოგაბრჩონო, მთავრობაში დაბეზღებითაც დაემუქრა. კოშევოიმ გადაწყვიტა ბოლო მოეღო მისთვის, მაგრამ თავი შეიკავა. ბოლოს უსიტყვოდ გამორდნენ ერთმანეთს, როგორც მტრები. ამ დროს გაისმა საშინელი გრგვინვა, აუყდა ჰექა-ქუხილი, ცხენების ჯოგი დაფრთხა, კოშევოი იმ ღამით ძლივს გადაურჩა სიკვდილს. ჯიხურში მხოლოდ გამთენიისას შიველა.

ასე მკაცრი ცხოვრება აქვს კოშევოის მწყემსად მუშაობის დროს. მან არ იცის, თუ რა ხდება ირგვლივ, ვინ შეატყობინებს დონის ველებზე, ცხენების ჯოგში, რომ დონის ატამანი კრასნოვი 15 მაისს გენერალ-მაიორ ბოგაევსკის, პოლკოვნიკ კისლოვის და ყუბანის ატამან ფილიმონოვის თანხლებით სტანიცა მანიჩში ჩავიდა. იქ სპეციალური თათბირი გამართეს დენიკინის, ალექსეევის, რომანოვსკის, რისნიანსკისა და ევალდის მონაწილეობით. მშვენიერია თითოეული მათგანის დახასიათება, ავტორი რომ გვაძ-

ლევს, კიდევ უფრო კოლორიტულია გენერლების უთანხმოების აღწერა. დენიკინი ბრალად უყენებს კრასნოვს გერმანელებთან თანამშრომლობას. ის მღელვარებითა და მკაცრი ტონით ეუბნება დონის ატამანს: „მოხალისეთა არმია გერმანელებთან კავშირს აფასებს, როგორც რუსეთის აღდგენის საქმისადმი ღალატს". გთხოვთ ახსნა-განმარტება მოგვცეთო (გვ. 38). კრასნოვის პასუხი ასეთია: როცა მთელი საქმის ბედი ბეწვზე ჰკიდია, არ თაკილობენ ყოფილი მტრების დახმარებასაც. და შემდეგ, საერთოდ, დონის მთავრობას, ხუთმილიონიანი სუვერენული ხალხის მთავრობას, რომელსაც მეურვეობას არავინ უწევს, უფლება აქვს დამოუკიდებლად იმოქმედოს... ღალატს რაც შეეხება, ვფიქრობ თქვენთვის ცნობილია ის ფაქტი, რომ მოხალისეთა არმიამ დონისაგან ბილო უმშვარები, გერმანელებმა ჩვენ რომ მოგვყიდესო (გვ. 38). ამ სიტყვებით კიდევ უფრო გაგულისებულმა დენიკინმა თქვა: „ვთხოვთ მკაცრად განასხვაოთ ერთმანეთისაგან ღრმად განსხვავებული ხასიათის მოვლენები! მე საქმე არა მაქვს ინასთან, თუ რა გზით ღებულობთ თქვენ გერმანელებისაგან საბრძოლო მასალებს, მაგრამ — ისარგებლო მათი ჯარების მხარდაჭერით!.." (გვ. 38—39) —ეს კი ყოვლად დაუშვებლად მიაჩნია მოხალისეთა არმიის სარდალს. გენერლები ვერ შეთანხმდნენ ვერც მოხალისეთა არმიისა და დონის ჯარების შეერთების, ვერც ცარიცინის წინააღმდეგ ერთად გალაშქრების საკითხში. რომანოვსკისთან საუბარში დენიკინმა უარყოფითი შეფასება მისცა კრასნოვს, „საოლქო მასშტაბის ნაპოლეონი", „უჭკუო კაცი" უწოდა (გვ. 39). ხელი არც თვით რომანოვსკის დაუკლია — მასაც კრასნოვი უარყოფითად ჰყავდა წარმოდგენილი.

ასე მტრულად დაშორდნენ ერთმანეთს მეფის ყოფილი გენერლები და მთელ ამ განხეთქილებას, მათ შორის უფსკრულს სტრატეგიისა თუ ტაქტიკის საკითხებში შოლოხოვი არაჩვეულებრივი სიღრმით, სიმართლით, შთამბეჭდავი ოსტატობით გვიხატავს. აბა, დააკვირდით: დამოკიდებულება მოხალისეთა არმიასა და დონის მთავრობას შორის ამ თათბირის შემდეგ რომ გაუარესდა, სავსებით ნათელი იყო, მაგრამ გამწვავებულმა მდგომარეობამ აპოგეას მაშინ მიაღწია, როცა გერმანიის იმპერატორ ვილჰელმისადმი კრასნოვის წერილის შინაარსი შეიტყვეს. მოხალისეთა არმი-

იდან დონის მთავრობას უწოდეს „როსკიპი, გერმანიის სარეცელზე ფულს რომ შოულობს“. დონის ჯარების გენერალმა დენისოვმა პასუხი არ დააყოვნა: „თუ დონის მთავრობა როსკიპია, მაშინ მოხალისეთა არმია კატაა, რომელიც ამ როსკიპის სახსრებით ცხოვრობსო“ (გვ. 40). განა ყოველივე ეს სრული სიმართლით, ამავე დროს, დიდი შთამბეჭდავი ძალით არ გადმოგვცემს იმდროინდელ ვითარებას, დენიკინ-ალექსეევის მოხალისეთა არმიასა და დონის მთავრობას (გენერალ კრასნოვს) შორის შეურიგებელ წინააღმდეგობასა და განხეთქილებას?

იმ დროს როსტოვი და ნოვოჩერკასკი, რომლებიც მოხალისეთა არმიის ზურგს წარმოადგენდნენ, ოფიცრებით იყო გაჭედილი, — გვეუბნება ავტორი, — თან დასძენს, რომ ათასობით ისინი ეწეოდნენ სპეკულაციას, მსახურობდნენ ზურგის უთვალავ დაწესებულებებში, თავშეფარებულნი იყვნენ ნაცნობ-ნათესავებთან, დაჭრის შესახებ ყალბი დოკუმენტებით ლაზარეთებში იწვნენ, ხოლო ყველაზე ვაჟკაცები იხოცებოდნენ ბრძოლებში, იხოცებოდნენ ტიფისაგან, ჭრილობებისაგან, დანარჩენებს კი ათასგვარი მაქინაციით გაჰქონდათ თავი. შესანიშნავად არის დახასიათებული ეგრეთწოდებული „მოაზროვნე ინტელიგენციის“ ნაირსახეობა, რომლისთვისაც „სულ ერთი იყო, ვინც უნდა ყოფილიყო ქვეყნის მმართველი, — კრასნოვი იქნებოდა ის, გერმანელები თუ ბოლშევიკები, — ოღონდ დამთავრებულიყო“ (გვ. 41). იმდენი რამ ხდებოდა, რომ აღნუსხვა შეუძლებელი ჩანდა. ამბები დიდი სისწრაფით მისდევდნენ ერთმანეთს. ურთიერთსაწინააღმდეგო, ზოგჯერ საშინელი ხმებიც ვრცელდებოდა. ციმბირში ჩეხოსლოვაკიის ნაწილების ამბოხება მოხდა. უკრაინაში მახნო პარპაშებდა. ცეცხლის ალში იყო გახვეული კავკასია, მურმანსკი, არხანგელსკი, მაელი რუსეთი, — ვკითხულობთ რომანში და უკეთესი მოკლე დახასიათება იმ დროისა მგონი ძნელი იქნება. მალე, ივნისში ხმები გავრცელდა — ჩეხოსლოვაკიური ნაწილები იკავებენ სარატოვს, ცარიცინს, ასტრახანს იმ მიზნით, რომ ვოლგაზე „აღმოსავლეთის ფრონტი“ შეჰქმნან გერმანიის ჯარების წინააღმდეგ შეტევისათვისო. შეშფოთებულმა გერმანელებმა ამის გამო ნოვოჩერკასკში გამოაგზავნეს მაიორები—ფონ კოკენჰაუზენი, ფონ სტეფანი და ფონ შლეინიცი. ისინი ჩამოვიდნენ ათ ივლისს და იმავე დღეს მიიღო კრას-

ნოვმა კენერალ ბოგაევსკის თანდასწრებით. ცხადია, კრასნოვმა იცინი დაამშვიდა და დაარიმედა, მაგრამ მალორმა ფონ სტეფანმა სურვილი გამოთქვა, ატამან კრასნოვს თავისი დაპირება, რომ დონი არ გადაიქცეოდა გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლის არენად,— წერილობით დაედასტურებინა. კრასნოვმა ესეც გააკეთა — მეორე დღეს გერმანიის იმპერატორ ვილჰელმ მეორეს უალრესად ერთგულქვეშევრდომული, პანეგირიზმით სავსე ვრცელი წერილი მისწერა, რის გამო მისმა მრავალმა თანამებრძოლმაც კი იგი უარყოფითად შეაფასა — გერმანიას მიეყიდაო (გვ. 42—44). პეტრე კრასნოვის ეს წერილი არამარტო „მოსკოვის საბჭოურ ძალაუფლებათა“ წინააღმდეგ იყო მიმართული, არამედ, ნამდვილად წარმოადგენდა გამყიდველობისა და მონური ქედმოხრილობის ნიმუშს, სხვანაირად მისი შეფასება, მართლაც, შეუძლებელი იყო.

მაგრამ გავყვეთ ავტორს, რომელმაც აქ შეწყვიტა უშუალოდ სამხედრო პოლიტიკური ამბების გადმოცემა და ისევ რომანის გმირების თავგადასავალს მიუბრუნდა.

როსტოვიდან ყუბანისაკენ კორნილოველთა უკან დახევის დროს ევგენი ლისტნიცკი ორჯერ დაიჭრა, მაგრამ ორივეჯერ მსუბუქად, ამიტომ მწყობრი არ მიუტოვებია. მაისში კი ორი კვირით შვებულება აიღო, თუმცა დიდი სურვილის მიუხედავად. შინ არ წასულა, ნოვოჩერკასკში დარჩა, თავის ამხანაგ როტმისტრ გორჩაკოვთან. ამ უკანასკნელს შვილი არ ჰყავდა, მეუღლე ოლგა ნიკოლაევნა, 30 წლის ქალი, მოსამსახურესთან ერთად ცხოვრობდა. ორი თვის მანძილზე ქალების უნახავ ლისტნიცკის ოლგა ნიკოლაევნას სილამაზე გაზვიადებულად მოეჩვენა (გვ. 47), შემდეგ კი შეუყვარდა მეგობრის ცოლი. ოლგამ ეს იგრძნო, ერთხელ ღიმილითაც ჰკითხა — „რა არის ასე რომ მიყურებთო?“ (გვ. 47). ეს სხვა არაფერი იყო, გარდა ლისტნიცკის ნამდვილი სიყვარულისა ოლგასადმი.

შვებულების დამთავრების შემდეგ ლისტნიცკი და გორჩაკოვი დაბრუნდნენ არმიაში. პირველივე ბრძოლების დროს გორჩაკოვი სასიკვდილოდ დაიჭრა. ვიდრე გონებაზე იყო, ლისტნიცკის დაუბარა: „ევგენი, ლელია (ოლგა — გ. ჯ.) არ მიატოვო... არც მე, არც იმას ნათესავები არა გვყავს. შენ — პატიოსანი და სახელოვანი

ზარ. შეირთე ის ცოლად. არ გინდა?“ (გვ. 49). შემდეგ ისიც დაამატა: აღმითქვი, რომ შეირთავ, ნუ მიატოვებ. ის კარგი ქალია, ტურგენევისებური ქალია, აბლა ასეთები არ არიანო.

ორ დღეში გორჩაკოვი გარდაიცვალა, ხოლო ერთი დღის შემდეგ ლისტნიცკი დაჭრეს მარცხენა ხელსა და ბარძაყში. ტეხორეცკაიას საავადმყოფოში ხელი მოჭრეს. გადაიყვანეს ნოვოჩერკასკში, სადაც კვლავ შეხვდა ოლგა ნიკოლაევნას და გადაწყვიტა ცოლად შეერთო. ამის შესახებ მამას წერილი მისწერა იაგოდნოეში, სადაც ცოლის მიყვანასაც დაჰპირდა. ეს წერილი იმდროინდელი მონარქისტისა და რეაქციონერის იმედგაცრუებულობის აღსარებას წარმოადგენს. ევგენი პირდაპირ ასე სწერს მამას: მე შემეძლო ერთი ხელითაც მენადგურებინა ეს წყეული „ხალხი“, მაგრამ ახლა ეს უაზრობად მეჩვენება. კრასნოვი ვერ უთანხმდება დენიკინს, ორივე ბანაკში ურთიერთჩასაფრება, ინტრიგები, საბილწე და ს-ბინძურეა. მე უკვე კარიერაც აღარა ვარ, ფიზიკურად და სულიერად ხეიბარს წარმოვადგენ. მე დავიღალე, კაპიტულაციას ვახდენ. ალბათ, ნაწილობრივ ამით არის გამოწვეული ჩემი ქორწინება და მისწრაფება მოვიპოვო „წუნარი ნავმისადგომიო“ (გვ. 52).

მაგრამ ევგენის წარმოდგენაც არა აქვს, რომ „წუნარი ნავმისადგომი“ მისთვის აღარ შეიძლება არსებობდეს. ინვალიდობა, ხეიბრობა როდი გამოდგება „წუნარი ნავმისადგომის“ მოსაპოვებლად. ჩვენ შემდეგ ვნახავთ, თუ რა ტრაგიკული აღმოჩნდება ოლგას ცოლად შერთვა, თვით ევგენის ცხოვრების აღსასრული. ახლა კი ლისტნიცკისთან ერთად გაეემგზავროთ იაგოდნოეში, სადაც მოხუცი პანი სოფლიდან ერთი ვერსის დაშორებით სპეციალურ შეხვედრას უწყობს რძალსა და შვილს.

მაგრამ გამგზავრებამდე ლისტნიცკის ფიქრებსა თუ ზრახვებს გაეცნოთ.

მას შემდეგ, რაც მამას წერილი მისწერა და ოლგა გორჩაკოვასთან ცოლქმრული ცხოვრება დაიწყო, ევგენის უფრო მეტად აწუხებდა აქსინიაზე ფიქრი, მასთან კავშირზე მოგონებები. შოლოხოვი ღრმად გვახედებს ლისტნიცკის სულიერ ქვეყანაში, გადმოგვიშლის მის გრძნობებს, განცდებს, როგორც ადამიანის გუ-

ლისტკივნელს, დაუმშვიდებელსა და აფორიაქებულს. და რა მართალია ავტორი, როცა გვეუბნება, რომ იყო მომენტი, ლისტნიცკიმ ასე გადაწყვიტა: „არ გავწყვეტ მასთან ურთიერთობას. ის თანახმა იქნებაო“ (გვ. 52). მაგრამ წესიერების გრძნობამ გადასძლია და ლისტნიცკიმ გადაწყვიტა სოფელში მისვლისთანავე მოლაპარაკებოდა აქსინიას, ხოლო, თუ შესაძლებლობა ექნებოდა, განშორებოდა, — ასე გვეუბნება შოლოხოვი. გვეუბნება და ჩვენც უნდა დავიდასტუროთ, რომ ევგენის გაორება ამ შემთხვევაში ფსიქოლოგიურად სავსებით ბუნებრივია. უეჭველად ასევე ბუნებრივია სოფელში ჩასვლის დროს აქსინიასთან პირველი შეხვედრა, როცა ეტლში მჯდომი ევგენი დაინახავს აქსინიას „თავშეკავებულად მხიარულ, მომღიმარ სახეს“ (გვ. 54) და იგრძნობს მხრებიდან რაღაც დიდი სიმძიმის გადმოვარდნას: ის დანშვიდდა, აქსინიას მისალმებაზე თავი დაუკრაო (გვ. 54), — ამბობს შოლოხოვი. რამდენი სიმართლე. რამდენი ნიუანსია აქ, ამ პასაჟში, რომელმაც ორიოდე სტრიქონით მოქმედი გმირის მთელი არსება მოძრაობაში ისევე დაგვიხატა, როგორც ჰომეროსი აკეთებდა „ილიადას“ გმირების ჩვენების დროს.

არის აქ მეორე პასაჟიც: ოლგა გორჩაკოვა უმალ შენიშნავს აქსინიას სილამაზეს და ევგენის შეეკითხება: „— რა ბიწიერი სილამაზეა! ვინ არის?.. გაშომწვევად ლამაზია, განა ასე არ არის?“ (გვ. 54). ევგენის მხნეობა დაუბრუნდაო, — გვეუბნება ავტორი, — „ნშვიდად და ცივად დაეთანხმა:

— დიაღ, ლამაზი ქალია. ეს ჩვენი მოსამსახურეო“ (გვ. 54). — მაგრამ, ნუთუ მოსამსახურეა და მეტი „არაფერი? არა, როგორ არა, მაგრამ ევგენის ახლა როდი შეუძლია სხვა რამე თქვას. ის გახარებულია, რომ აქსინიას ნაწყენი, მოღუშული სახის ნაგიერ, რასაც უეჭველად მოელოდა; სულ სხვანაირი ნახა, — მხიარული და მომღიმარი! მაგრამ თვით აქსინიამ მოქიშპე რძლის მოსვლისთანავე იგრძნო მომავალი საფრთხე, ანიტომ ყოველმხრივ ცდილობდა მისთვის ესიამოვნებინა. ზომაზე მეტად ემსახურა, მონა-მორჩილი ყოფილიყო, მლიქვნელობაც კი არ დაეკლო. ოლგას მოსვლამ ლისტნიცკების ოჯახში ხომ ყველაფერი შესცვალა. პანი უფრო მკაცრი გახდა ხელქვეითებისადმი, რომ ყველაფერი წესრიგზე ყოფი-

ლიყო. ლუკერია თავს არ იზოგავდა, ოღონდ საუკეთესოდ მოემზადებინა სადილი. პანის რისხვა პაპა სამკვდაც ვერ ასცდა — რანაირად ხარ ჩაცმული, ბინძურად, სახლში ახალგაზრდა ქალია, შენ კი, ხეპრევ, გინდა კუბოში ჩამაგდოო (გვ. 55). პანმა არც შვილი დაინდო — ცალკე მოელაპარაკა: მაპატიე, პირად საქმეში რომ ვერევი, მაგრამ ვიცოდე მინდა, როგორ ფიქრობ მოექცე აქსინიას? ევგენიმ გულწრფელად უპასუხა: „არ ვიცი, მართლა არ ვიცი“ (გვ. 55).

მაგრამ, თუ ევგენიმ არ იცის, მამამისი საკმაოდ გათვითცნობიერებულია რა უნდა გაკეთდეს: „მიდი და ახლავე მოელაპარაკე მას. შეაძლიე ფული, პირგასამცლელო... სთხოვე წაიდეს. ჩვენ კიდევ სხვა ვინმეს ვნახავთო“ (გვ. 55). მამის ეს რჩევა ევგენიმ დაუყოვნებლივ შეასრულა — აქსინიას სთხოვა ბაღში წაყოლოდა მოსალაპარაკებლად. ქალს გაეხარდა — ეგონა ეს იქნებოდა ძველი დანაკისებულების განახლება, მაგრამ სასტიკად მოტყუვდა: ევგენიმ უთხრა — შენ უნდა გამიგო, შენთან ძველებურად ცხოვრება არ შემიძლია, ახლა მე ცოლიანი ვარ, და როგორც პატიოსანი კაცი, უნამუსობას ვერ ჩავიდენ, სინიდისის მოვალეობა ნებას არ მაძლევსო (გვ. 56).

მაგრამ, როცა უმწეო ქალთან ნებივრობდა, შემდეგ კი სხვა შეირთო — ეს პატიოსნება იყო? მაშინ რატომ არ ჩანდა „სინიდისის მოვალეობა“ და მისი უარმყოფელი ძალა? რა უნდა ეთქვა აქსინიას? ან რა ჰქონდა სათქმელი? სრულიად არაფერი და ის ამიტომ სდუმდა. ეს დუმილი ვეღარ მოითმინა ევგენიმ და პასუხი მოითხოვა. აქსინიამაც გასცა პასუხი: მე სათქმელი არაფერი მაქვსო. ევგენიმ უმალ მიაყარა სიტყვები: „მე შენ ფულს მოვცემ. შენ აქედან უნდა წახვიდე. მე მგონია შენ თანახმა იქნები... ჩემთვის მძიმე იქნება გხედავდე შენ მუდმივადო“. (გვ. 56). მაგრამ განა აქსინიასათვის მძიმე არ იყო მუდმივად ეცქირა, თუ როგორ ნებივრობდა ევგენი თავის ოლგასთან? ერთადერთი, რაც იმ წუთში ევგენის სთხოვა, შემდეგი იყო: „ერთი კვირის შემდეგ თვე გათავდება. შეიძლება დარჩენილ ვადამდე ვიმსახუროო?“ (გვ. 56). და, როცა დადებითი პასუხი მიიღო, აქსინიას მეორე სათხოვარი გაუჩნდა, რომლის შესახებაც ქვემოთ ვიტყვით, მანამდე

კი ევგენის შემდეგი „აღსარება“ უთხრა: „მე გაჭირვებამ ასეთი უნამუსო გამხადა... დავიტანჯე მარტოობით... შენ, ჟენია, ნუ განმსჯი“ (გვ. 57). და ხდება ის, რაც აქსინიას მდგომარეობაში ალბათ ქალური შურისძიებაცაა, ქალური სიამაყეც, ქალური აღტყინებაც და გაღვიძებული ვნებაც — ყველა ერთში შეერთებული: ევგენიმ იგრძნო ქალის სურვილი, წინააღმდეგობა არ გაუწევია, ხოლო, როცა ხუთწუთიანი ნეტარების შემდეგ შინ დაბრუნდა, დაინახა, რომ აქსინიას შინ მოსვლა უკვე მოესწრო, თმებს ისწორებდა, ცეცხლს უყურებდა და იღიმებოდა (გვ. 57). ღმერთო ჩემო, ამ ღიმილში მგონი აქსინიას გამარჯვება იხატება, რომ შური იძია და საწადელს მიაღწია! მაგრამ როგორა აქვს ყოველივე ეს გადმოცემული რომანის ავტორს? არ იფიქროთ, რომ დეტალურად აღწერდეს მთელ სცენას. აღწერა არც არის. ფერწერული ხერხია გამოყენებული, სადაც მოთხრობა, მოქმედება, საგნობრიობა თვითონ ლაპარაკობს თავის თავზე ავტორის რემარკების დახმარებით. აბა დავაკვირდით:

«Он (евгени листницкий — გ. ჯ.) досадливо кашлянул и вдруг почувствовал, как она снова робко ищет его руку...

Через пять минут он вышел из-за куста мокрой пахучей смородины, дошел до прясла и, пыхая папироской, долго тер носовым платком брюки, обезлененные в коленях сочной травой» (გვ. 57).

ასეთია შოლოხოვი, ასეთია მისი ოსტატობა, მაგრამ, თუ დავაკვირდებით, სინამდვილის ამგვარი ჩვენება მოქმედებასა და მოძრაობაში, ისიც ძუნწი შტრიხებით, ჰომეროსისებური წესია, რომელსაც პირველად ყურადღება დიდმა ლესინგმა მიაქცია, ხოლო ახლა ლიტერატურის თეორიაში ელემენტარულ ჭეშმარიტებად არის აღიარებული.*

და აქაც ისე, როგორც ყველგან, შოლოხოვი, როცა ამთავრებს დაძაბული სიტუაციის ჩვენებას, გადადის ბუნების აღწერაზე, ჩვენს წინ გადაშლის ნაირ-ნაირ პეიზაჟებსა და ვრცელ პანორამებს. ზეალსვლებითა და ქვედასვლებით, ადამიანებთან და ფაუ-

* დაწვრილებით ამ საკითხზე იხ. გორგი ჯიბლაძე, ხელოვნება და სინამდვილე, 1955 წ., ტ. I, გვ. 498—507.

ნის ჯერელ სამყაროსთან. უმშვენიერეს ფლორასთან მჭიდროდ დაკავშირებულს. აი, მიშკა კოშეული უყურებს, თუ როგორ მოერია ულაყ ბალბრუკს მასზე უფრო ძლიერი ულაყი, იქაც ცხოველთა შორისაც, ბრძოლაა, ინტერესთა თამაშია, სიყვარული და სიძულვილია, შურისძიება და შერისმიგებაა, იქაც არის პოლიგამია და მონოგამია, როგორც ადამიანებში, უიმედო ტრფობაც, მსგავსად ხანდაზმული ულაყის ბახარისა, რომელსაც უყვარს ერთი „ფაშატი ბებრული სიძლიერით, მაგრამ უიმედოდ და სევდიანად" (გვ. 60). რომანის ეს ადგილები (გვ. 57—60) ბრწყინავენ სინამდვილის ღრმა ცოდნითა და ოსტატური ჩვენებით.

შემდეგ რომანის ავტორს ჩვენ ისევ გადავყავართ ადამიანთა ურთიერთობის სფეროში. შინ მიმავალი კოშეული გზაში უნებლიედ შესწყდება სტეფანე ასტახოვს, რომელიც ყველას მკვდარი ეგონა, აგერ კი ტყვეობიდან ტატარსკში ბრუნდება. მათი დიალოგიდან ეგებელობა, რომ გერმანიაში ტყვედ მყოფ ასტახოვს ცუდად როდი უცხოვრია, ამიტომ სურდა იქ დარჩენილიყო, მაგრამ გულმა შინისაკენ გამოსწია და მეც წამოვედიო. საფრანგეთიდან, მარსელიდან გემით ნოვოროსიისკში მოსულა. კოშეული უყვება სოფლის ამბებს: ერთმანეთში ვომობთ, მობილიზაცია შენც არ აგცდება, მელეხოვის ბიჭები ცოცხალნი არიან, შენი ცოლი იაგოდნოეშია, გრიგორი ჩამოშორდა აქსინიას, თავის კანონიერ ცოლთან ცხოვრობსო (გვ. 61—62). ადვილი გასაგებია რა სიხარული უნდა ვანეცადა სტეფანე ასტახოვს, როცა ეს ამბავი შეიტყო. მისმა დაბრუნებამ მთელი სოფელი შესძრა, რაკი ყველას მკვდარი ეგონა. პურის აღების დრო იყო და სოფელს მეშახელი საგრძნობლად აკლდა. ფრონტიდან დაბრუნებული კაზაკები ხმას ავრცელებდნენ — შემოდგომაზე დაზავება იქნებაო (გვ. 63). სტეფანე ასტახოვი, საკუთარი სახლის აგაერანების გამო ანიკუშკას ცოლთან დაბინავდა, სადაც მეორე დღეს პანტელეი პროკოფიჩი ეწვია — სტუმრად მიიპატიჟა. სტეფანე დიდი ყოყმანის შემდეგ დაეთანხმა. როცა მელეხოვებთან შევიდა, პანტელეიმ სტუმრისადმი ისეთი ალერსი გამოიჩინა, რომ სტეფანემ გაიფიქრა: „ბველი წყენის გამო ცდილობს მასიამოვნოსო"... (გვ. 65). მან არ მიიღო პანტელეის წინადადება — ახალი ცოლის შერთვაზე კატეგორიული უარი განაცხადა — ძველს რა უნდა ვეყოო. კვირანახევარ-

ში ფრონტზე წასვლა მომიწევს, ქორწინებისთვის სად მცალიაო. შეზობელს აგრძნობინა, რომ საჭსახურის შემდეგ ხუტორში იცხოვრებს. ოჯახს აღადგენს, საამისოდ ფულიცა აქვს.

გაკიდა რამდენიმე დღე. სტეფანემ ანიკუშკას მეუღლე იაგოდნოეში გააგზავნა — აქსინიას უთხარი დამიბრუნდესო. მაგრამ აქსინიამ სასტიკი უარი შემოუთვალა. მაშინ სტეფანე თვითონვე წავიდა. მათი დიალოგი იმდენად საინტერესოა, რომ შეიძლებოდა მკითხველისათვის გაგვეცნო, მაგრამ ფრაგმენტულად მოტანა ზუსტად ვერ გადმოსცემდა რომანის ამ ადგილის მთელ ბრწყინვალებას. იმის თქმა კი აუცილებელია, რომ აქსინიამ პირდაპირ მოურიდებლად უპასუხა სტეფანეს შეკითხვაზე—პანის ვაჟთან მართლა ცხოვრობო? „ახლა მასთან ვცხოვრობ, მართალიაო", — განუცხადა აქსინიამ (გვ. 69). მის სიტყვებში ყოფილი მეუღლისადმი — მაშინ რას ფიქრობდი, როცა ჩემს ახალგაზრდულ სიცოცხლეს ფერფლად მიქცევდი, გულს მიხმობდიო, — არის გარკვეული სიმართლე. ამიტომ სტეფანეს სიტყვებს, — შენზე ვფიქრობდი, დღე და ღამე ჩემი გონებიდან არ ამოდიოდი, იქ მე ქვრივ გერმანელ ქალთან ვცხოვრობდი, მდიდრულად ვიყავი, მაგრამ მივატოვე ყველაფერი, გულმა შინისაკენ გამოსწიაო, — აღარა აქვთ მნიშვნელობა. აქსინიას პასუხი კატეგორიული, მტკიცეა: „არა, არ წამოვალ. არა" (გვ. 70). ამის შემდეგ, ცხადია, სტეფანე შინ მარტო დაბრუნდა, მაგრამ აქსინიას არსებაში ჰოხდა ცვლილება: ის დარწმუნდა, რომ ევგენი ლისტნიცკის აღარ ესაჭიროება, მასთან ვეღარ იცხოვრებს, გარდა ამისა, ქმარი შინ არის, სთხოვს შერიგებას, ამიტომ გადაწყვიტა სახლს დაბრუნებოდა, რათა „კვლავ შეეკრიბა ნაწილებად დაშლილი ბედნიერება, რომელიც არ იყო" (გვ. 70). აქსინია ამ გადაწყვეტილებით ელოდებოდა სტეფანეს მოსვლას, მაგრამ როცა ის დაინახა დამცირებულ, მორჩილ მდგომარეობაში, გაიხსენა წარსული წყენა-შეურაცხყოფა ამ კაცისაგან და ქალურმა სიამაყემ თავისი გაიტანა — ათქმევინა სიტყვები: „არა, შენთან არ წამოვალ, არაო" (გვ. 71). ამ სიტყვებით გაისტუმრა სტეფანე, შეორე დღეს კი ლისტნიცკებთან ანგარიში გაასწორა. ევგენისთან გამომშვიდობებისას აქსინიამ წაიტირა:

«—Не поминайте лихом, Евгений Николаевич.

—Ну что ты, милая! Спасибо тебе за все» (გვ. 71).

ამ სიტყვებით დაშორდნენ ერთმანეთს აქსინია ასტახოვა და ეეგენი ლისტნიცკი.

საღამოს აქსინია უკვე ტატარსკში იყო. ჰიშკართან ქმარი ღიმილით დახვდა, შეეკითხა:

«—Пришла?.. Навовсе? Можно надежду иметь, что больше не уйдешь?

«—Не уйду,—просто ответила Аксиния, со сжавшимся сердцем оглядывая полуразрушенный курень и баз, бурно заросший лебедой и черным бурьяном» (გვ. 71).

ვერაფერს იტყვი! ცხოვრებას თავისი კანონები აქვს!

ასე დაიწყო აქსინიასა და სტეფანე ასტახოვის შეწყვეტილი ურთიერთობის განახლება. მაგრამ შეუძლებელია არ ვიგრძნოთ, რომ ეს კვლავ შეერთება როგორღაც არ ეყრდნობა ისეთ საფუძვლებს, რომლებიც თავიდანვე სიმტკიცით გამოირჩევიან. წარსულმა ისე დააშორა ისინი ერთმანეთს, ისე გასტყორცნა ერთმანეთისაგან, რომ ეს-ესაა დაწყებულ აწმყოს ეგრე აღვილად როდი შეუძლია ცხოვრებისეული ქარიშხლით დაფანტული ფურცლების ერთბაშად აკრეფა.

მაგრამ ცოტა ხნით მივატოვოთ აქსინია და სტეფანე. ვნახოთ, რა დაიწყო პარტახად ქცეული ოჯახის აღდგენა. ჩვენ ახლა ფრონტზე გავემგზავრით, სადაც გრიგორი მელეხოვის ასეული იბრძვის.

გრიგორისთან ერთად არის მისი ცოლისძმა მიტკა კორშუნოვი, რომელიც სულ მკვლელობაზე, ხოცვა ჟლეტაზე ლაპარაკობს, თვითონაც უმოწყალოდ ჰკლავს და სხვებსაც აქეთკენ მოუწოდებს. ერთ-ერთ ბრძოლაში მელეხოვის ასეულის წინააღმდეგ წითლების ათასი ხიშტი დაიძრა. მაგრამ გრიგორის სამხედრო გამოცდილებამ თავისი გაიტანა. შოლოხოვი ისე ობიექტურად, დასაბუთებულად აღწერს თვით ბრძოლებს, რომ მკითხველი უნებლიეთ ხდება ამ ბატალიების მონაწილე. აი, მოჰყავთ ტყვედშეპყრობილი რვა წითელარმიელი (ერთი მოუკლავთ), სულ ყმაწვილები, ივანგარიშის გასწორებას რომ მოელიან. არიან მათ შორის გაფითრებულნი, შემკრთალნი, მაგრამ არის ისეთი, რომელიც სიკვდილს სულ არ უფრთხის, მზადაა დაისაჯოს, კაზაკებს უშიშრად ეუბნება: „მე თქვენგან... სიკეთეს არ ველოდები, თქვენ ამიტომაც ხართ კაზა-

კებიო" (გვ. 79). მაგრამ კაზაკი გრიგორი მელეხოვი რატომღაც სიმპათიას განიცდიდა წითელარმიელებისადმი, „ამ რუსი ჯარისკაცებისადმი", რომლებთანაც ბრძოლა უხდებოდა რაღაც საჭიროებისათვის. ომის მიზეზად ის ბოლშევიკებს თვლიდა, რომლებმაც ნიწას, სახლ-კარს ისევ მოსწყვიტეს, და ამიტომ თანდათან განიმსჭვალა მათდამი სიძულვილით. დაიწყო პერიოდი, როცა ტყვეებად ცოტა მიჰყავდათ, გახშირდა მათი დახოცვა, ფართო ტალღად მოედო ფრონტს ძარცვა-გლეჯა, ართმევდნენ იმათ, ვინც აეპვებოდათ ბოლშევიკებისადმი სიმპათიაში, — წითელარმიელების ოჯახებს, ხოლო ტყვეებს პირდაპირ ამიშვლებდნენ (გვ. 81). ძარცვა-გლეჯამ უმაგალითო მასშტაბები მიიღო. თითქმის ისეთივე, როგორიც იყო გერმანიასთან ომის დროს, როცა გენერალი უბრძანებდა თავის პოლკს — ორი საათი თქვენს განკარგულებაში იყოს ეს ქალაქი, მაგრამ ორი საათის შემდეგ ვინც ძარცვას არ შეწყვეტს, კედელთან მიაბრიტეთო. გრიგორის არც მაშინ, არც ახლა მონაწილეობა არ მიუღია ამგვარ ორგიებში. თუ რამეს აიღებდა, ეს იყო თავისი და თავისი ცხენის საჭმელი. ძარცვას ზიზღით უყურებდა, სხვისი საკუთრების მითვისებისა ეშინოდა. განსაკუთრებით საზიზღრობად ეჩაჩნდა თავისივე კაზაკების ძარცვა-გლეჯა. ასეულს მკაცრად ეპყრობოდა, ამიტომ მისი ჯარისკაცები თუ რამეს იღებდნენ — ჩუმად და ისიც იშვიათ შემთხვევაში. მას არასოდეს გაუცია ბრძანება მოესპოთ ან გაეშიშვლებინათ ტყვეები. მეტისმეტი სირბილის გამოჩენისათვის კაზაკთა შორის და პოლკის უფროსების მხრივ უკმაყოფილება გამოიწვია. ლიბერალობაშიც ბრალი დადეს — ასეულს ჰრყვნიო. უდისციპლინობაც დააბრალეს. განუცხადეს — ასეულს დღესვე ჩააბარებო (გვ. 81—82).

ასეთია გრიგორი მელეხოვი, მართლაც ურთულესი ფსიქოლოგიური ფენომენი, რომლის უცებ გაგება და უცებ შეფასება არამარტო ძნელია, შეუძლებელიცაა. შოლოხოვმა ისე დაშალა თავისი გმირი ანატომიურად და ფსიქოლოგიურად, როგორც თვით ამ დარგების სპეციალისტები პროფესიულადაც ვერ შეიძლებდნენ. ტეტრალოგიის მთელ სიუჟეტში მელეხოვი ცენტრალური გმირია, ყოველგვარი რაკურსით არის ნაჩვენები, გარეგნულად და შინაგანად. ისე ვრცელია მისი სულიერი სამყარო, როგორც თვით „წყნა-

რი დონის“ მოცულობა თუ მასშტაბი. მე-19 საუკუნის კლასიკური რუსული ლიტერატურის შემდეგ ასეთი რთული, ჩაღრმავებული სახეები მხატვრულ ლიტერატურას არც მოუცია. რაღაც შექსპირისებური ძალით არის გადმოშლილი მკითხველის წინაშე გრიგორი მელეხოვის მთელი შინაგანი სულიერი სამყარო. გაიგო ეს კაცი, ახსნა და განმარტო მისი მოქმედება, უაღრესად რთული საქმეა. მაგრამ ხომ უნდა გავიგოთ? რა გზით, რა საშუალებით?

ყოველი ადამიანი თავისი დროის შვილია და ეისაც მისი გაგება სურს, მან უეჭველად ეპოქის სპეციფიკა უნდა გაითვალისწინოს.

ვინ არის გრიგორი მელეხოვი?

ტატარსკელი გლეხი კაცი, კაზაკი სისხლითა და ხორცით, სულითა და გულით, ტრადიციებითა და ხასიათის ფსიქიკური წყობით, მაგრამ იგი ამავე დროს თავისი დროის ტიპიური წარმომადგენელია. გრიგორი მელეხოვი გარდამავალი ეპოქის შვილია და მისი ხასიათიც გარდამავალი ეპოქის ყველა ნიშანს ატარებს მისთვის დამახასიათებელი ტკივილებით. მისი სწორი გაგება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ სწორად გაიგებ იმ ეპოქას, რომელშიაც გრიგორი მელეხოვს ცხოვრება მოუხდა. ამიტომ ჩვენ ხშირად გვიხდება ხოლმე შევახსენოთ მკითხველის ყურადღება შოლოხოვის ეპოსის ოდისეაზე, რომლის მხრებზედაც მთელმა ეპოქამ გადაიარა. ტანჯვასა და განსაცდელშიც როგორ ჰგვანან ისინი ერთმანეთს, მიუხედავად მათი თავგადასავლების აბსოლუტურად განსხვავებული ხასიათისა.

როცა პოლკმა ხუტორი გრემიაჩი ლოგი დაიკავა (ამ ხუტორს ჩვენ შემდეგ სულ ახლოს გავეცნობით „გატეხილ ყამირში“), გრიგორი მელეხოვის ოცეული (ასეულის მეთაურობისაგან ის მართლაც გადააყენეს) დაბანაკდა მისთვის შერჩეულ ადგილზე. სახლი, სადაც მელეხოვი და მისი ოცეული დაბინავდა, პატრონს მიტოვებული ჰქონდა — ის წითლებთან გაქცეულიყო. ოცეულს შაამებლად ემსახურებოდა გადაბერებული ბრგე დიასახლისი ახალგაზრდა ქალიშვილთან ერთად. გრიგორი დარწმუნდა, რომ ოჯახი კარგად ცხოვრობდა: შეღებილი იატაკი, ვენის სკამები, სარკე, კედლებზე ჩარჩოებში ჩასმული ფოტოგრაფიები. აი, ამ

სახლში დაბინავდა გრიგორი მელეხოვი თავის ოცეულთან ერთად. აქ ეწვიენ მას პანტელეი პროკოფიჩი და რძალი დარია. ჩამოუტანეს ყუმბარები. პანტელეი საუბარს იწყებს დონისათვის ომზე. ხედავს, რომ გრიგორი დაუქვეითებიათ — ასეულის მაგიერ ოცეული ჩაებარებიათ. ამის გამო მელეხოვი არ განაწყენებულა — ხუტორისათვის პასუხისმგებლობა აცილებული მაქვსო. მაგრამ გრიგორის თავმოყვარეობა ამით შელახული იყო, პანტელეიმ, უეჭველად თავისი ლაპარაკით მას უსიამოვნება მიაყენა.

როცა საუბარი ჩამოვარდა, თუ როდის შეწყდება ომი, უმრავლესობამ აზრი გამოთქვა — როგორც კი კაზაკთა მიწებიდან წითლებს განვდევნით, სახლებში დავბრუნდებითო (გვ. 84). ერთადერთი მიტკა კორშუნოვია, რომელიც ამბობს: „მე რაც შევეხება, თუნდაც კიდევ ხუთ წელს იყოს ომი. მიყვარსო!“ (გვ. 85). ყველგან, ყველა შემთხვევაში მიტკა კორშუნოვი მკვლელობის, ბარბაროსობის, სადისტური დანაშაულის განსახიერებაა. უყურებ მას და ფიქრობ: არა, ასეთი ადამიანები კი არ იზრდებიან, მარტოოდენ იბადებიან. მათი აღზრდა არ შეიძლება, მხოლოდ ბუნების გაბოროტებულ ძალებს უნდა მივაწეროთ მიტკა კორშუნოვების ამ ქვეყნად მოვლინება. როცა ამას ვამბობ, მე კარგად მესმის, რომ ვაჭარბებ, უეჭველად ეამცირებ გარემოს როლს აღზრდაში, რაც წინათ არასოდეს გამიკეთებია, თეორიული მსჯელობის დროს, მაგრამ გაითვალისწინეთ, რა პირობები მაიძულებენ ასე ვთქვა: საქმე გვაქვს უძლიერეს მხატვრულ ნაწარმოებთან, რომლისაგან მიღებული შთაბეჭდილება მართლაც ყოვლისმომცველია. ასეთ პირობებში პრევალირებული ხდება გრძნობა, რომელიც გაფიქრებინებს — კორშუნოვები გარემოებით კი არ ხდებიან, პირდაპირ კორშუნოვებად იბადებიანო!

აიღეთ პანტელეი პროკოფიჩი მის არსებაში, მიუხედავად არაერთი დადებითი თვისებისა, არის ზოგიერთი რამ, შვილისაგან მკაცრად რომ მიჯნავს. რატომ ჩამოვიდა ეს მოხუცი კაცი გრიგორის სანახავად? არა იმიტომ, რომ მართლაც იარაღი მოეტანა ან დახმარებოდა, არამედ რაიმე ნადავლი მიეღო. — პეტრომ ტანსაცმელი, ცხენი, შაქარი მომცა, შენც მომეციო, — ეუბნება იგი შვილს. ამ სიტყვებმა გრიგორი პირდაპირ გააცოფა. მოთმინებიდან ვაპოსული, მწარე სიტყვებს ეუბნება მამას — ასეთი საქმეებისა-

თვის გერმანიის ფრონტზე ადამიანებს ხვრეტდნენო (გვ. 85). გრიგორი ამ მხრივ, როგორც არაერთგზის მივუთითეთ, სპეტაკია, არასოდეს მაროდიორობას არ მიმართავს, არავის არაფერს ართმევს, ერთი სიტყვით, იმის სრული ანტიპოდია, რასაც სხვები კადრულობენ ან რაც ახლა პანტელეი პროკოფიჩმა — მამამისმა იკადრა. მიუხედავად შვილის სასტიკი პროტესტისა, პანტელეიმ მაინც შეისრულა, თუმცა ნაწილობრივ, თავისი სურვილი. ჯერ იყო და შვილს შაშხანა სთხოვა — მხეცისა და ცუდი ადამიანისაგან თავდასაცავად სახლისათვის შაშხანა მომეცით, და გრიგორიმ მისცა— ბევრი გვაქვს, წაიღეო. მეორე დღეს პანტელეიმ თვითონ, შვილისაგან მალულად, როცა გრიგორი ხუტორიდან გასული იყო, თან დარწმუნებული, რომ პანტელეი პროკოფიჩი იმ თოფის გარდა სახლში ვერაფერს წაიღებდა, ყველა ზომა მიიღო შინ ხელაღებული არ დაბრუნებულიყო. ბევრი რამ წაართვა დიასახლისს, რისი წაღებაც შეეძლო — ცალუღიდან (хомут) დაწყებული შარვლებით დამთავრებული (გვ. 86—87). ასე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მამა-შვილი — პანტელეი და გრიგორი მელეხოვები. დაგვაეიწყდა გვეთქვა, რომ ამ შეხვედრის დროს გრიგორიმ მამისაგან შეიტყო — სტეფანე ასტახოვი შეძლებულად დაბრუნდა, აქსინიასთან დაიწყო ცხოვრება, კარგი თანამდებობაც მიიღოო. ცხადია ყველაფერი ეს გრიგორისათვის სასიამოვნო როდი იქნებოდა.

ეს ის პერიოდია, როცა ბრძოლების ცენტრად იქცა ცარიცინი. ომისაგან დაღლილ მელეხოვი როგორღაც გულგრილი ხდება ბრძოლებისადმი, ბევრს ფიქრობს, სჯერა, რომ ზამთრამდე ფრონტი აღარ იქნება. უცნაურია მისი ბედი: მარტო შემოდგომაზე სამი ცხენი მოუკლეს, ხუთ ადგილზე მაზარა გახვრეტილი აქვს, მაგრამ მისი ბედის ვარსკვლავი მაინც კიაფობს, არ ჩამქრალა — გრიგორი მელეხოვი ისევ ცოცხალია. ფიქრობს და ფიქრობს გაწამებული კაზაკი ომზე, ბრძოლებზე. ენატრება შინ მისვლა, აღარ უნდა არც ომი, არც არაფერი, გარდა მოსვენებისა.

ამიტომ რა გასაკვირია, თუ გრიგორიმ, როცა იგრძნო, რომ პოლკის უკანადახევის შეჩერება აღარავის შეუძლია, მიატოვა იგი, ორ დღეში 200 ვერსი გაიარა და მამისეულ სახლში დაბრუნდა (გვ. 95).

რა ამბავ- ტრიალებს ფრონტზე?

ნოემბრის ბოლოს ნოვოჩერკასკში შეიტყვეს, რომ თანხმობის სახელმწიფოთა სამხედრო მისია ჩამოსულა. ინგლისელებს გამოუგზავნიათ კაპიტანი ბონდი, ლეიტენანტები ბლუმფელდი და მონრო, ხოლო საფრანგეთს—კაპიტანი ოშენი, ლეიტენანტები დიუპრე და ფორი. მიუხედავად დაბალი ჩინებისა, კრასნოვმა მათ ბრწყინვალე შეხვედრა მოუწყო, სასახლეში დიდი სადილი გაუმართა, მხურვალე გრძნობიერი სიტყვით მიმართა, საპასუხოდ კაპიტანი ბონდი გამოვიდა. ბევრი გულამაჩუყებელი სიტყვები უთხრეს ერთმანეთს, ხშირად ისმოდა სადღეგრძელოები „დიდი რუსეთისა“ და „მშვენიერი საფრანგეთის“ შესახებ (გვ. 96-97), ორკესტრს შეასრულებინეს «Боже, царя храни», რამაც ჭაღარა არქიეპისკოპოს გერმოგენს ცრემლები მოჰგვარა. ღრეობა დიდხანს გაგრძელდა, შეზარხოშებული თუ მთვრალი კამარილია სიამოვნებით მიირთმევდა მაღალხარისხოვან სასმელებს. გვერდით კი, ქალაქგარეთ, საველე-სამხედრო სასამართლოს განაჩენით ხვრეტდნენ შახტელ ბოლშევიკ-რკინიგზელებს; ისინი ორ-ორი მიჰყავდათ, ხელებშეკრულნი (გვ. 98).

ერთი კვირის შემდეგ ფრონტის რღვევა დაიწყო. ბევრი ამოქმედდა თავისებურად, მათ შორის ფომინი, გონებრივად შეზღუდული, არაშორსმჭვრეტელი კაზაკი, რომელიც სათავეში ჩაუდგა აჯანყებულ პოლკს. მაგრამ ფომინი მარტო აბრა იყო. მის ზურგს უკან იდგა ბოლშევიკურად განწყობილ კაზაკთა ჯგუფი, სწორედ ეს ჯგუფი ხელმძღვანელობდა აჯანყებულ 28-ე პოლკს, სადაც პეტრე მელეხოვი მსახურობდა. არაერთმა მიატოვა პოზიცია, მათ შორის 36 პოლკმა, ნაუმოვის მეთაურობით. ვეშენსკაიაში შეიდა ფომინი. ოთხი დღით ადრე ჩრდილოეთის ფრონტის სარდალმა გენერალ-მაიორმა ივანოვმა და მისი შტაბის უფროსმა ზამბრჟიცკიმ სტანიცა კარგინსკაია მიატოვეს. „მათი ავტომობილი თოვლზე ბუქსაობდა, ზამბრჟიცკის ცოლი ტუჩებს ისე იკბენდა, რომ სისხლი მოსდიოდა, ბავშვები ტიროდნენ...“ (გვ. 100). მთელი ეს სცენები, ჩრდილოეთის ფრონტის რღვევა დაწვრილებით, „ომსა და მშვიდობაში“ ბატალიების ტოლსტოისებური დეტალური აღწერის მსგავსად აქვს გადმოცემული ავტორს, ისევე, როგორც ნოვოჩერკასკში 26 დეკემბერს სამოკავშირეო მისიის ჩამოსვლა,

რამაც კრასნოვი დიდად გაახარა. ბრიტანეთმა გამოაგზავნა გენერალი პული, შტაბის უფროს პოლკოვნიკ კისისთან ერთად, ხოლო საფრანგეთმა—გენერალი ფრანშე-დესპერე და კაპიტანი ფუკე. შეხვედრაში მონაწილეობს გენერალი მამონტოვიც. სულ ბოლოს პულმა აღუთქვა კრასნოვს, რომ სალონიკიდან გამოუგზავნიდა ჯარისკაცებს „ბოლშევიზმის საბოლოოდ აღმოფხვრისათვის“ (გვ. 101). მაგრამ ჯარისკაცები არსად ჩანდა. პული ლონდონს გაემგზავრა, ხოლო მისმა შემცვლელმა „ცივმა, ქედმაღალმა ბრიგსმა“ განაცხადა: „მისი უდიდებულესობის მთავრობა დონის მოხალისეთა არმიას გაუწევს ფართო მატერიალურ დახმარებას, მაგრამ არ მისცემს არცერთ ჯარისკაცსო“ (გვ. 102). ამ განცხადებას კომენტარები მართლაც არ ესაჭიროებოდა, — როგორც შოლოხოვი წერს.

მოხდა კიდევ ერთი რამ: 1918 წლის შემოდგომისათვის ოფიცრებისა და კაზაკების მტრობამ, რაც ჯერ კიდევ იმპერიალისტური ომის დღეებიდან დაიწყო, გაუგონარ ზომებს მიაღწია. ჩვეულებრივ მოვლენად იქცა კაზაკების მიერ ოფიცრების ზურგიდან მოკვლა და გაცემა. მოხერხებულმა პეტრო მელებოვმა კარგა ხანია გაიგო, რომ კაზაკთან ჩხუბს სიკვდილი მოჰყვებოდა, ამიტომ პირველივე დღიდან მიიღო ზომები მოესპო ის საბღვრები, რაც შას, ოფიცერს, რიგითი კაზაკისგან განასხვავებდა. როცა პოლკთან ერთად ვეშენსკაიაში ჩავიდა. გულმა არ მოუთმინა და შინ წავიდა. იმ დღეს, დილით, ვეშენსკაიას მოედანზე, ძველი ეკლესიის ახლოს, მიტინგი იყო. პეტრომ იგრძნო, რომ მას, ოფიცრის ტანსაცმელში გამოწყობილს, ცივი თვალებით უცქეროდნენ. მიტინგზე ლაპარაკობდა წითელარმიელი, ახასიათებდა საბჭოთა ხელისუფლებას, წითელ არმიას, კაზაკობასთან დამოკიდებულებას. შემდეგ ფომინი გამოვიდა, ილაპარაკა გრძლად და გულისგამწყალებლად. იგი შეცვალა პოდტელკოვის რაზმის ყოფილმა წევრმა.

დაიწყო პერიოდი, როცა კაზაკებმა მიატოვეს თავიანთი ნაწილები და შინ დაბრუნდნენ. ყველა ტატარსკელი კაზაკი ჩრდილოეთის ფრონტიდან ხუტორში მოვიდა. პეტროს დაბრუნებისთანავე პანტელეი პროკოფიჩმა ოჯახური საბჭო გამართა. მთავარი საკითხი იყო, თუ რა მოემოქმედათ წითლების ტატარსკში შემოსვლის წინ. დიდი კამათისა და ყოყმანის შემდეგ, შუაღამისას შეთანხმდნენ: კაცები გაიხიზნებიან, ქალები კი შინ დარჩებიან სახლისა

და მეურნეობის სადარაჯოდ (გვ. 109). მაგრამ როცა საქმე-საქმეზე მიდგა, აღარც მამაკაცებმა განაცხადეს სურვილი წასვლაზე — პეტრომ პირველმა თქვა ამის შესახებ — ან ყველა ერთად წავიდეთ, ქალებიანად, ან ყველა აქ დავრჩეთო (გვ. 110). და გადაწყვიტეს დარჩენილიყვნენ.

ვეშჯაში კი ფომინის ბრძანებები იყო გაკრული. ელოდნენ წითლების შემოსვლას. ოცდათხუთმეტი კილომეტრის დაშორებით, კარგინსკში ჩრდილოეთის ფრონტის შტაბი იყო დაბანაკებული. ჩეჩნების დამსჯელ რაზმს დაევალა ფომინის აჯანყებული პოლკის წინააღმდეგ გალაშქრება. კრასნოვმა დეპეშა გაუგზავნა ფომინს— ჰკუაზე მოდი, გიბრძანებ შენი პოლკით დადგე პოზიციაზე, დაუმორჩილებლობის შემთხვევაში სიკვდილით დაისჯებიო (გვ. 112). მაგრამ ფომინი როდი დაემორჩილა გენერალ კრასნოვს. პირიქით. სალანძღავი დეპეშა გაუგზავნა. კრასნოვი იძულებული გახდა თვითონვე ჩასულიყო კარგინსკში, ზომები მიეღო ფომინის დასასჯელად. მასთან ერთად იყვნენ მოკავშირეთა მისიის წევრები — ინგლისის სამეფო სამსახურის ოფიცრები — ედვარდსი და ოლკოტა, საფრანგეთიდან — კაპიტანი ბარტელო და ლეიტენანტი ერლიხი. ჩრდილოეთის ფრონტის სარდალ გენერალ-მაიორ ივანოვთან ერთად ისინი გაემგზავრნენ სკოლის შენობისაკენ, სადაც კრება იყო მოწვეული. კრასნოვმა შეკრებილი კაზაკების წინაშე სიტყვა წარმოთქვა. მას ყურადღებით, კარგად უსმენდნენ, მაგრამ როცა იგი შეეხო „ბოლშევიკების მხეცობას", ვიღაცამ დაიყვირა — „ტყუილიაო" და შთაბეჭდილება გააქარწყლა (გვ. 113). მეორე დღეს დილით კრასნოვი თავის მხლებლებიანად მილეროვოში სასწრაფოდ გაემგზავრა. ასევე სასწრაფოდ მოხდა ჩრდილოეთის ფრონტის შტაბის ევაკუაცია. ღამით დაწვეს ცეცხლსასროლი მასალების საწყობი. დაიწყო ის, საერთოდ რომ ხდება ხოლმე ასეთ შემთხვევაში, რასაც შოლოხოვი, მეტი რომ არა ვთქვათ, პირდაპირ ლევ ტოლსტოისებური ძალითა და მანერით აგვიწერს. ხომ გახსოვთ „ომსა და მშვიდობაში" დაუსრულებელი ბატალური სცენების საოცრად რეალისტური, პირდაპირ განმაცვიფრებელი აღწერები?! თუ არ გახსოვთ, ისევ წაიკითხეთ, შეადარეთ „წყნარ დონს" და მიხვდებით, თუ რატომ ითქვა შოლოხოვის ტეტრალო-

ვიის პირველი წიგნის გამოსვლისთანავე, რომ იგი მარტოდენ ტოლსტოის რომანს უნდა შევადაროთო. არის რაღაც ბევრი რამ საერთო ამ ორ უდიდეს მწერალს შორის!

მაგრამ გავაგრძელოთ ამბები. მელეხოვების გარდა არც სტეფანე ასტახოვი წასულა სოფლიდან. ასე უთხრა აქსინიამ პანტელეი პროკოფიჩს. ერთ მშვენიერ დღეს კი მელეხოვების კარის ზღურბლთან გამოჩნდა შორეული ნათესავი ხუტორ სინგინიდან მაკარ ნოგაიცევი — მთელ ამ ოლქში განთქმული მოსიმღერე და ლოთი. მან ურჩია მელეხოვებს დაეტოვებინათ ხუტორი, თორემ თავს წააგებდნენ. პეტრომ და გრიგორიმ უარი თქვეს, მიუხედავად იმისა, რომ ნოგაიცევი დილამდე ურჩევდა.

დილით ხუტორში ვიღაც უცნობნი შემოვიდნენ. გრიგორიმ იფიქრა — „ნუთუ წითლებიაო" (გვ. 116), მაგრამ თეთრების გაჭყანტული პატარა ნაწილი აღმოჩნდა. ეახმისტრი სათხოვნელად მივიდა მელეხოვებთან — გზა დაგვებნა, უკან წითლები არიან, ქეციხი ჩაგვეფლო, დაგვეხმარეთო. როცა დახმარებაზე უარი მიიღო, იგი დაემუქრა მელეხოვებს: ბოლშევიკები ხართ, ძაღლისშვილებო, სამაგიეროს გადაგიხდითო. გრიგორის შეეცოდა ეახმისტრი, რომელსაც, ეტყობოდა, თვითონაც არა სჯეროდა, რასაც ამბობდა, ამიტომ დახმარება გაუწია მას. გრიგორი და პეტრო მელეხოვები, ანიკუშკა, ჩრისტონია, ივანე ტომილინი, ათამდე ჭალი მივიდა დასახმარებლად. ბატარეა გამოიყვანეს და გზას გაუყენეს (გვ. 118).

ტატარსკში კი წითლები შემოვიდნენ — პირველი რვა ცხენოსანი, მზვერავი ნაწილი, მაგრამ ისევ უკან გაბრუნდნენ. ერთი საათის შემდეგ ქვეითი პოლკი გამოჩნდა, რომელმაც ხუტორი დაიკავა. თოვს, ცუდი ამინდია, წითელარმიელები ბინებში ნაწილდებიან, ხუთი კაცი მელეხოვების სახლ-კარს მიადგა. პირველმა წითელარმიელმა ეზოში შესვლისთანავე ძაღლი მოჰკლა. გრიგორი აღშფოთდა — რატომ მოჰკალი ძაღლი? რამეში ხელი შეგიშალა? (გვ. 120). და რა პასუხი მიიღო? — შენ თუ ძაღლი გენანება, მე შენთვის ვაზნების დახარჯვა არ დამენანება. თუ გინდა, დადეჭიო! მეორე წითელარმიელმა ზრდილობიანად სთხოვა მელეხოვებს — მიგვიღეთ დასაბინავებლად, მან კი, ალექსანდრემ, ტყუილუბრალოდ მოჰკლა თქვენი ძაღლიო. წითელარმიელები მხიარუ-

ლად მიესალმნენ მელეხოვებს, ალექსანდრემ კი გრიგორისთან დაწყებული უკმეხი საუბარი გააგრძელა. პირველად ეს ჰკითხა — თეთრებთან იყავი? და როცა დადებითი პასუხი მიიღო, უპასუხა — მე უმალ მივხვდი, რომ ასე იყო, ძაღლისთვის კი არა, შენთვის ღნდა მესროლაო (გვ. 121). მკითხველი გრძნობს, რომ ალექსანდრე უარყოფითი სახეა, რასაც ჩვენ შემდეგ უფრო ნათლად დავინახავთ, როცა ის უხეშად და უზრდელად ელაპარაკება არამარტო გრიგორის, არამედ პეტროს და პანტელეი პროკოფიჩსაც. ეს დაძაბული მდგომარეობა შოლოხოვმა დიდი ბუნებრიობითა და კოლორიტული სიმართლით დაგვიხატა. მან ბოლომდე გააშიშვლა ალექსანდრე ტიურნიკოვი, რომელიც თავისი მოქმედებით მართლა არცხვენდა წითელარმიელის სახელს. ის გააძევეს მელეხოვების სახლიდან თვით მისმა ამხანაგებმა, მეორე დღეს გასამართლებითაც დაემუქრნენ, მაგრამ... გამოძახებულმა მეთაურმა ბოდიში მოუხადა გრიგორის მოუსვენარი სტუმრის გამო, დილით კი წითელარმიელმა, რომელმაც წინადღეს დატუქსა ტიურნიკოვი, მეთაური მოიყვანა, ღამის გათევისა და საჭმლისათვის ფულის გადახდის შემდეგ უთხრა მელეხოვებს: შარშან ამ ალექსანდრე ტიურნიკოვს ლუგანსკში თვალწინ დაუხვრიტეს დედა და და, ამიტომ არის ასეთიო (გვ. 126).

მოდი და ამის შემდეგ ერთი შეხედვით ან ერთი მოქმედებით შეაფასე ადამიანი?!

წითელარმიელმა ბოდიში მოუხადა მასპინძლებს ყველაფრისათვის, შემდეგ ბავშვებს შაქრის ნატეხები დაურიგა, რითაც გააოცა მელეხოვების მთელი ოჯახი, ხოლო პანტელეიმ ნატალიას უსაყვედურა: ასეთ კეთილ კაცს ხავიწი მაინც რატომ არ მიეცი საგზაოთო. გრიგორიმ კი უბრძანა — გაიქეციო, და ნატალიამ დაწევისთანავე იმ კეთილ წითელარმიელს ხავიწი ჩაუდო მაზარის ღრმა ჯიბეში (გვ. 126).

მაგრამ რა ხდება შემდეგ, როგორ იწყებს ცხოვრებას წითელი არმიის ხელში მოქცეული ხუტორი?

შუადღისას სწრაფი სვლით გაიარა მცენსკის მეექვსე წითელდროშოვანმა პოლკმა. გზადაგზა ზოგიერთ კაზაკს წაართვეს სამწყობრო ცხენები. პანტელეი მიხვდა — ჩვენც წაგვართმევენო და

ვაჟების ცხენებს ფეხები განზრახ დაუზიანა. მოხუცის ოინმა გაჭრა. ამ დროს მოვიდა ხრისტონია, რომელსაც ის ცხენი წაართვეს, გერმანიის ომი რომ გამოატარა. კაზაკი ცრემლებს ღვრიდა.

იმავე ღამეს ანიკუშკასთან ლხინი გაიმართა. მასვე დაავალეს კაზაკები მოეყვანეო და ანიკუშკამაც მელეხოვები იხმო. მოვიდნენ პეტრო და გრიგორი. აქვე არიან მეზობელი კაზაკი ქალები. შემთვრალებული წითელარმიელები ანიკუშკას ცოლს და სხვა ქალებს ეარშიყებოდნენ. პეტრო მალე დათვრა, ცეკვაც გაახურა, გრიგორი კი თავშეკავებით სვამდა, მაგრამ უსიამოვნებას მაინც ვერ ასცდა. ყმაწვილმა კაზაკმა ქალიშვილმა გრიგორის სთხოვა ჩემთან იცეკვეო. გრიგორიმ უარი უთხრა. ქალიშვილმა დაიჟინა და თავისი გაიტანა. როცა ცეკვით მეორე წრეს შემოუარეს, მან ყურში ჩუმად უთხრა გრიგორის: შენი მოკვლა უნდათ, ვილაცამ დაამტკიცა, რომ შენ ოფიცერი ხარ... გაიქეცი... (გვ. 131). და გრიგორი მაშინ გაიქცა, როცა მას აედევნა გრუზა წითელარმიელი, გაესაუბრა და მოსაკლავად მიიწია. გრიგორი გაიქცა, ტყვიები დააყარეს, მაგრამ გადარჩა, გაყინულ დონზე გადავიდა, ღამე ზვინში გაათია.

როცა ამ სცენებს კითხულობ, ოსტატურად დაწერილთ, თვალწინ ნათლად გიდგება ყველაფერი, რაც მწერალს აღწერილი აქვს თავის ნაწარმოებში, როგორც იმ დღეების მართალი ისტორია. სრულებით არ არის საჭირო წახვიდე დონზე, გაეცნო რომანში დასახელებულ ადგილებს, პირადად ნახო უშუალოდ კაზაკთა ხუტორები და სტანიცები. წაიკითხეთ ტეტრალოგია „წყნარი დონი“, წაიკითხეთ „დონის მოთხრობები“, „გატეხილი ყამირი“, საერთოდ, შეისწავლეთ შოლოხოვის ეპოსი და თქვენ ათასჯერ უკეთ გეცოდინებათ კაზაკობა, ვიდრე მაშინ, ათასი წელი მათთან რომ გეცხოვრათ. რაღაც საოცარი ძალა აქვს შოლოხოვს: ყველაფერს ისე დაწვრილებით, სრულად, ცოცხლად და საგნობრივი გამოსახულებით გვიჩვენებს, როგორც სინამდვილეში ვხედავთ ქვეყანას. რა არის ეს? გენიოსი მწერლის მხატვრული ძალა და მეტი არაფერი.

ახლა ისევ მივუბრუნდეთ გრიგორი მელეხოვს, რომელსაც სამი დღის შემდეგ ტატარსკში ვხედავთ, ვინაიდან ფრონტმა გაიარა, გადაიარეს. საბრძოლო დღეებმა (გვ. 133). ხუტორში კრებაა — წითელი ატამანი უნდა აირჩიონ. კრებაზე სულ ახალგაზრ-

დები მივიდნენ. მელეხოვებიდან გრიგორი და პეტრო, იყო ხანში შესული მარტო ერთ კაცი — ანტიპ ბრეხოვიჩი, ვინც ხალხს კრების მოწვევა შეატყობინა. გრიგორი აქ შეხვდა ცისფერთვალება მიშკა კოშევოის, რომელიც დიდი ხანი იყო არ ენახა. აქვე შეხვდა ივან ალექსეევიჩს — გაკვირვებით რომ იკითხა — როგორ არ წახველიო. გრიგორი მოუყვა, რაც თავს გადახდა, კინალამ რომ მოჰკლეს, ნანობს დარჩენას, ახლაც არსად სურს წავიდეს. ბევრს ეს მიაჩნია უცნაურობად, მაგრამ გრიგორი მელეხოვის ხასიათს ვინც კარგად გაიგებს, მიხვდება, რომ სულით მდიდარ, ამ შესანიშნავ ვაჟკაც კაზაკს ვინმე ბოლომდე თვალის ამხელი და მზრუნველი რომ მოვლენოდა, ცოტას როდი გააკეთებდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის, თვითონაც ამდენ ტანჯვას აღარ გამოიცდიდა. მაგრამ, რას იზამთ! დრო ისეთი იყო, როცა მელეხოვების ცხოვრებაში მერყეობას უკვე საბედისწერო შედეგები მოჰყვებოდა ხოლმე. ასეთ კრიტიკულ მომენტებში მერყევნი იღუპებიან, ძლიერი ნებისყოფის ადამიანები, ურყევნი უფრო იმარჯვებენ.

მაგრამ კრება იწყება და შევწყვიტოთ ეს საუბარი. კრებას ხსნის ფომინის თანამებრძოლი პოდხორუნჟი ლაპჩენკოვი, რომელიც ვეშენსკაიადან სპეციალურად ჩამოვიდა. მან განაცხადა: „...საბჭოთა ხელისუფლება დამკვიდრდა ჩვენს ოლქში. საჭიროა დავაწესოთ გამგეობა, ავირჩიოთ აღმასკომი, თავმჯდომარე და მისი მოადგილე. ეს ერთი საკითხია. მერე კი მოვიტანე მე ბრძანება საოლქო საბჭოდან, ის მოკლეა: ჩაბარდეს ყველა ცეცხლმსროლელი და ცივი იარაღი“ (გვ. 135). ვიღაცამ უკნიდან გესლიანად წამოიძახა — „აფერუმ!“ და დიდი ხნით ჩამოვარდა სიჩუმე. შემდეგ ლაპჩენკოვმა განაცხადა, რომ აქ საჭირო არ არის მსგავსი წამოძახილები. იარაღი უნდა ჩააბაროთ, ვისაც სურს წავიდეს საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად, მას იარაღს მისცემენ. სამი დღის ვადაში შაშხანები მოიტანეთო (გვ. 136). იარაღის ჩაბარებამ დიდი კამათი გამოიწვია. ბოლოს ლაპჩენკოვმა ისევ განაცხადა: ვინც ამ სამ დღეში იარაღს არ ჩააბარებს, გადაეცემა რევოლუციურ სასამართლოს და დაიხვრიტება, როგორც კონტრაო (გვ. 136).

ამის შემდეგ, ტომილინის წინადადებით, დაიწყეს ხუტორის ხელისუფლების არჩევნები. თავმჯდომარედ ერთხმად ირჩიეს

ივან ალექსეევიჩი, ხოლო მის ამხანაგად, კენჭისუყრელად, მიშკა კოშევოი. იარაღი კი პირველმა ჩააბარა ანიკუშკამ, რაც კრებიდან შინ მიმავალ ხრისტონიას, პეტრო და გრიგორი მელეხოვებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. მათ ერთხმად გაიცინეს, როცა იარაღის ჩასაბარებლად მალვით მიმავალი ანიკუშკა დაინახეს (გვ. 137). მაგრამ სულ მალე პეტრო მელეხოვმა თავისი და გრიგორის იარაღიც ჩააბარა, ძმებმა მხოლოდ ორი ნაგანი დაიტოვეს. ხუტორში ხმებს ავრცელებდნენ: ფრონტი კი არ არის საშინელი, არამედ, განსაკუთრებული კომისიები და ტრიბუნალები, რომლებიც უკვე მუშაობენ და ჩვენთანაც მალე მოვლენო. ამ ხმებისა სჯეროდათ და არც სჯეროდათ. ბევრი ნანობდა, რომ ხუტორიდან არ წავიდა. ცოტა როდი იყო ისეთი, რომელსაც ღამე არ ეძინა, ბალიში ცხელი ჰქონდა, ლოგინი მაგარი და საკუთარი ცოლი არ სიამოვნებდა, — გვეუბნება ავტორი. „წყნარად, მაგრამ მწარედ ცხოვრობდა ხუტორი“ (გვ. 138). მხოლოდ ერთადერთი ქორწილი გაიმართა — მიშკა კოშევოიმ და გაათხოვა, რითაც თანასოფლელების გესლიანი დაცინვა გამოიწვია — „ნახეს რაღა დრო ქორწინებისათვისო!“ ივანე ტომილინმა ამბავი ჩამოიტანა — კაზანსკში დაღვრეტები ხდებაო. როცა პეტრო იარაღის ჩაბარების შემდეგ შინ დაბრუნდა, შეიტყო, რომ პანტელეი პროკოფიჩს ორი შაშხანა და ტყვიამფრქვევი გადამალული ჰქონია. დათანხმდა შეეწახათ ეს იარაღები. შემდეგ კი გადაწყვიტა დარიას თანხლებით წასულიყო იაკობ ფომინთან, რომ დახმარება ეთხოვა — თუ გამიჭირდა, დამიცავიო. ფომინმა ისინი დაიმედა — პეტროს ხელს ვერავინ ახლებს, სიტყვა — სიტყვააო (გვ. 143).

ასეთი ამბები რომ ხდება, ყველაფერს ხედავს პანტელეი პროკოფიჩი და გადაწყვეტს ეახლოს მძახალს — მირონ კორშუნოვს. ეს უკანასკნელი აღშფოთებულია ხელისუფლებით, ის მიაჩნია ყველა უბედურების მიზეზად, ვერ აუტანია, რომ ოთხი ცხენი წაართვეს. მზად არის იბრძოლოს წითლების განსადგურებლად. „მე მთელ ჩემს ქონებას უკანასკნელ ძაფამდე გავსცემ, ოღონდ მოვსპოთ ეს მტრებიო“, — ამბობს მირონ კორშუნოვი (გვ. 145). ეს საქმე ახლავე უნდა გაკეთდეს, თორემ შემდეგ დაგვიანებული იქნებაო. და მძახალს აგრძნობინებს, რომ საბჭოთა ხელისუფლების და-

სამხობად ყველაფერი კეთდება, მალე დაამარცხებენ მტერს. კორშუნოვი ისე ღვარძლითა და ისე დაბეჯითებით ლაპარაკობდა, რომ პანტელეი პროკოფიჩსაც კი, რომელსაც წითლები გულზე არ ეხატება, შეეშინდა: ფრთხილად იყავი, ფეხი არ დაგიცდეს, უბედურებას მოიმკიო (გვ. 145). მირონმა ყურად როდი იღო მძახლის გაფრთხილება. პირიქით, უფრო დაბეჯითებით უთხრა: „მე კაზაკებს პირდაპირ ვეუბნები: უნდა ავჯანყდეთო!" (გვ. 145). ამის შემდეგაც მირონ კორშუნოვმა მთელი კონტრრევოლუციური ტირადა წაუკითხა პანტელეი პროკოფიჩს, რამაც უფრო ზომიერ მძახალს სული აუფორიაქა. შინ დაბრუნებულს, მეორე დღეს, დილით, ტიფი აღმოაჩნდა, პანტელეიმ ცნობა დაჰკარგა, იგი სრულიად უგრძნობელი იწვა ლოგინზე.

ახლადარჩეული თავმჯდომარე ალექსეევიჩი და მისი ამხანაგი მიშკა კოშევოი მთელი ენერგიით იწყებენ მუშაობას. მათთან ერთად არის მილიციელი ოლშანოვი. ღამეა. კოშევოი ხელს აწერს სტეფანე ასტახოვის სახლში ჩატარებული ჩხრეკის ოქმს. ამ დროს შემოდის გრიგორი მელეხოვი. ვეშანსკაიადან ბრუნდება ივან ალექსეევიჩი. იმართება მათ შორის დიალოგი, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ ამ სამ კაზაკს შორის მორიგება შეუძლებელია. სულ ბოლოს ივან ალექსეევიჩი გრიგორის ეტყვის: შენი სიტყვები კონტრაა, დიდი ხანია არ მინახავხარ, შენ უცხო გახდი, საბჭოთა ხელისუფლების მტერი ხარო (გვ. 151). როცა შინ ბრუნდებიან, ივან ალექსეევიჩი და კოშევოი ადასტურებენ, რომ გრიგორი უცხოა საბჭოთა ხელისუფლებისათვის. კოშევოი დასძენს «Вот... какая она, политика, злая, черт!» და შემდეგ უმატებს: „ამაში, ამ ომში მძახლები, ძმები არ არიანო" (გვ. 152). მიშკა ტყუილს როდი ამბობს—სამოქალაქო ომმა, საერთოდ ომმა დიდი გარჩევა არ იცის: ის მძვინვარებს და ნთქავს ყოველივეს.

მელეხოვები გრძნობენ, რომ მათ ირგვლივ რაღაც კოშმარული წრე იკვრება. გრიგორი ფიქრობს გაქცევაზე. მის გონებაში თანდათან ცუდი აზრები ტრიალებენ. მიაჩნია, რომ მარტო სიმართლე არ არის ცხოვრებაში. «Одной правды нету в жизни,—ფიქრობს გრიგორი.—Видно, кто кого одолеет, тот того и сожрет... А я дурную правду искал. Душой болел, туда-сюда качался... В старину,

слышно, Дон татары обижали, шли отнимать землю, неволить.. Теперь—Русь. Нет! Не помирюсь я! Чужие они мне и всем—то казакам. Казаки теперь почунеют. Бросили фронт, а теперь каждый, как я: ах!—да поздно» (გვ. 153-154).

ასე ფიქრობს მცდარ გზაზე დამდგარი გრიგორი მელეხოვი, ესაა მისი გულწრფელი აღიარება, მაგრამ, ამავე დროს, დამღუპველი არჩევანი. ის ხედავს სიზმარში თავის აქსინიას, რომელიც ისევე გამოიყურება, როგორც ხუთი წლის წინათ, ოღონდ უფრო თავდაჭერილი და ცივია. გრიგორი არ უარყოფს, რომ ისევ ძველებურად უყვარს სხვისი, მაგრამ თავისი აქსინია, ამას გრძნობს მთელი თავისი სხეულით, მთელი თავისი გულის ძგერით!

სიტუაცია კი თანდათან იძაბება. მიშკა კოშევოი მოითხოვს, რომ დაპატიმრებულ იქნან გრიგორი მელეხოვი, მოხუცი ბოლდირევი, მატვეი კაშულინი, მირონ კორშუნოვი, როგორც კაზაკების წამქეზებლები. მეორე დღეს განკარგულება ჩამოიტანეს — მდიდარ სახლებს კონტრიბუცია დაადევით, 40 ათასი მანეთი უნდა შეკრიბოთო. მაგრამ ნახევარიც ვერ შეაგროვეს. ვეშკადან ისევ გამოაგზავნეს სამი მილიციელი და განკარგულება: „ვინც კონტრიბუცია არ გადაიხადა, დააპატიმრეთ და ბადრაგით ვეშენსკაიაში გამოაგზავნეთო (გვ. 156). დაიწყო დაპატიმრებანი. რევოლუციური ტრიბუნალის ორმა წარმომადგენელმა, ივან ალექსეევიჩს რომ ეახლნენ, განაცხადეს: ოლქში შეიმჩნევა მღელვარებანი. დარჩენილი თეთრგვარდიელები თავს მაღლა წევენ და მშრომელ კაზაკობას ამხედრებენ. აუცილებელია დავაპატიმროთ ჩვენთვის ყველაზე მტრული ელემენტები. სია უნდა შედგეს იმ ოფიცრების, მღვდლების, ატამანების, ჟანდარმების, მდიდრების, ყველა იმათი, ვინც საბჭოთა წყობილებას აქტიურად ებრძოდაო. როცა ივან ალექსეევიჩმა სხვებთან ერთად პეტრო მელეხოვიც დაასახელა, ჩამოსულმა გამომძიებელმა თქვა: „ეს ჩვენი კაცია, ფომინმა გვთხოვა მას ხელი არ ვახლო. ბოლშევიკურად არის განწყობილი. ჩვენ მასთან ოცდამერვეში ვმსახურობდითო“ (გვ. 156). როგორც ვხედავთ, ფომინმა პეტრო მელეხოვს დაპირება შეუსრულა.

რამდენიმე საათის შემდეგ კორშუნოვი, ბოგატირიოვი, მატვეი კაშულინი და სხვები დააპატიმრეს — სულ შვიდი კაცი. ამ

დროს მოდის შტოკმანი, რომელიც ისევე ძველ ბინაში სახლდება. გვიან ღამით, მილიციელი ოლშანოვი, დაპატიმრებულები ვეშკაში რომ წაიყვანა, ივან ალექსეევიჩს ატყობინებს დაუჯერებელ ამბავს. შვიდივე კაზაკი მიუვანისთანავე, დაკითხვის შემდეგ, დახვრიტესო. ამან გააოცა ივან ალექსეევიჩი, წავიდა შტოკმანთან სათათბიროდ: ეს რა ხდება, მეგონა ციხეს მისცემდნენ, შვიდივე კაზაკი მოუკლავთ. ასეთი მოქმედებით ხალხი ჩამოგვშორდება, აქ როგორღაც ისე არ არის საქმე, რა საჭირო იყო ადამიანების მოსპობა, რა იქნება ახლაო? (გვ. 160). ასე შეშფოთებით დაუწყო ლაპარაკი ტატარსკის აღმასკომის თავმჯდომარემ ძველ რევოლუციონერ შტოკმანს და პასუხად მიიღო: ფრონტი ჩვენგან ასორმოცდაათი კილომეტრითაა დაშორებული. კაზაკობის ძირითადი მასა მტრულად გვექცევა. კაზაკ-კულაკებს, ესე იგი ატამანებს და სხვა ზედაფენელებს, ბრძოლელ კაზაკობაში დიდი ხვედრითი წონა აქვთ. ისინი გვანადგურებენ, რაკი შეიარაღებულნი და ძლიერნი არიან, ამიტომ ჩვენ უნდა გავანადგუროთო. საჭიროა გავაუვნებლოთ ყველაზე აქტიური მტრები, თორემ აჯანყება მოხდება. თუ დროულად მოვახდენთ მათ იზოლირებას, შეიძლება აჯანყება აღარ იქნეს. ამისათვის საჭირო არ არის ყველას დახვრეტა. საჭიროა მხოლოდ ყველა აშკარა მტრების მოსპობა, დანარჩენები რუსეთის სიღრმეში უნდა გადავასახლოთ. საერთოდ კი მტრებთან ცერემონია დაუშვებელია, „რევოლუციას ხელთათმანებით არ აკეთებენ“, როგორც ლენინი ამბობს. შემდეგ შტოკმანმა ეჭვი გამოთქვა: შეიძლება სხვების მიმართ სწორი არ იყვნენ, მაგრამ კორშუნოვის გამოსწორება არ შეიძლებოდაო. აი, მელეხოვი გაგვექცა, ის კი უნდა აგვეყვანა, ვინაიდან მელეხოვი „ყველაზე, ერთად აღებულზე, საშიშიაო“ (გვ. 162). შენთან მისი საუბარი — ხვალინდელი მტრის საუბარი იყო. ნურაფერს განიცდი. ფრონტებზე იღუპებიან მუშათა კლასის საუკეთესო შვილები. „ან ისინი ჩვენ, ან ჩვენ მათ! მესამე არ არსებობს“ (გვ. 162).

ასე ამბობს შტოკმანი — ძველი რევოლუციონერი.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ შოლოხოვის უდიდესი ძალა ტიპიურობაში, ხასიათების უაღრესად ეროვნულ, კოლორიტულ, ამავე დროს ინტერნაციონალურ და უნივერსალურ ტენდენციებშია.

მართალია „წუნარი დონი“ კაზაკების ცხოვრებას გვიჩვენებს, მაგრამ ჩვენ ვხედავთ მთელ ქვეყანას, რომელსაც იგივე ტკივილები, იგივე სიხარული, იგივე მიღწევები, იგივე შეცდომები აქვს. აიღეთ ეხლახან ნაამბობი შვიდი ტატარსკელის სიკვდილით დასჯა რევოლუციური ტრიბუნალის მიერ. ისტორიამ გვიჩვენა სამოქალაქო ომების დროს კრიტიკული მდომარეობის საბედისწერო შეცდომების დაშვებისა და ზოგჯერ უდანაშაულო ადამიანების დაღუპვის უამრავი, უთვალავი ფაქტი. აქაც მირონ კორშუნოვისა და დანარჩენი ექვსი ტატარსკელის სიკვდილით დასჯას, შტოკმანი რომ კრიტიკული მომენტით განმარტავს, ხუტორის რევკომის თავმჯდომარე ივან ალექსეევიჩი და თითქმის მთელი სოფელი გამართლებულად არ აღიარებს. ამ უკანასკნელს მიაჩნია, რომ თუ მირონ კორშუნოვის სიკვდილით დასჯა აუცილებელი იყო, როგორც საბჭოთა ხელისუფლების ამკარა მტრისა, რომელიც ატამანობდა, იარაღით დამხობისაკენ მოუწოდებდა, შეცდომას წარმოადგენდა დანარჩენი ექვსი ტატარსკელის მის გვერდით დაყენება. განა ამგვარი სიტუაცია, ამგვარი ბურათი მარტო ტატარსკში იყო? განა ამგვარი შეცდომები სხვაგან არ ყოფილა დაშვებული? განა ტატარსკის ცხოვრება მთელ ეპოქას არ გამოხატავს? ვიმეორებთ, შოლოხოვის მხატვრული გენია იმაშიაც მდგომარეობს, რომ ტატარსკის თუ ვეშკას კალეიდოსკოპიდან, მთელ იმდროინდელი რუსეთს, იმდროინდელ კავკასიას, საერთოდ, მთელ ქვეყანას გვიჩვენებს, ხოლო რომანში გამოყვანილი მოქმედი პირებიდან გვიხატავს ადამიანებს, რომლებიც თავიანთი ოდისეით ყველგან შეგვხვედრია. ეს უნივერსალობა, მსგავსად ჰომეროსის ეპოსისა, შოლოხოვის ეპოსს უალრესად ხელშესახები ფორმით გამოარჩევს.

ხუტორი დიდი მღელვარებით, დიდი უკმაყოფილებით შეხვდა შვიდი ტატარსკელისათვის ანგარიშის გასწორებას. თუ კორშუნოვის სიკვდილით დასჯა მათთვის გასაგები იყო, არავითარ შემთხვევაში არ ამართლებდნენ ივან სინილინის, მატვეი კაშულინისა და მისი ვაჟის — ანდრეის, სემიონ მაიდანიკოვის, არხიპ ბოგატირიოვისა და ზახარ კოროლიოვის დახვრეტას. სიაში ათი კაცი იყო, მათ შორის პანტელეი და გრიგორი მელეხოვები, აგრეთვე ფედოტ ბოდოვსკოვი. პირველი იმით გადაურჩა სიკვდილით

დასჯას, რომ ტიფით იყო ავად, მეორე და მესამე კი ადგილზე არ იყვნენ. განაჩენში ეწერა, რომ პირველი შესაძლებლობისთანავე სამივე სიკვდილით დაისჯებოდა.

პეტროს მიერ კორშუნოვის ცხედრის გადმოსვენება, ლუკინიჩნას გლოვა მთელ ოჯახთან ერთად, ტატარსკში 4 მარტს შემდგარი თავყრილობა, შტოკმანის გამოსვლა, კამათი შვიდი ტატარსკელის სიკვდილით დასჯის შესახებ, მოხოვების გაქცევის შემდეგ მის სახლში მოთავსებული რევკომის მუშაობა, გრიგორი მელეხოვის მალულად შინ დაბრუნება, შტოკმანის, ივან ალექსეევიჩის, კოშევოის ბჭობა მელეხოვების დაპატიმრების თაობაზე — შოლოხოვს აღწერილი აქვს დიდი კოლორიტულობით, ცოცხლად, პირდაპირ ფერწერული ოსტატობით. როცა მელეხოვების დაპყრაზე მიდგება საქმე, შტოკმანი გააფრთხილებს ივან ალექსეევიჩს: პეტრო მელეხოვის დაპერა არა ღირს, მას იცავს ფომინი, გრიგორი კი ეხლავე უნდა დააპატიმროთო (გვ. 173). მაგრამ, როცა მელეხოვებთან მივიდნენ, გრიგორი უკვე გაქცეული დახვდათ. სინგინში ნათესავთან წავიდაო, — უთხრეს. ექვსი კაცი დაედევნა შტოკმანისა და კოშევოის მეთაურობით გრიგორი მელეხოვს, მაგრამ კვალსაც ვერ მიაგნეს. პანტელეი პროკოფიჩი კი, ტიფის შემდეგ ფეხზე ახალი წამომდგარი, დაიჭირეს, მოხოვის სახლის სარდაფში მოათავსეს ცხრა მოხუცთან და მოსამართლესთან ერთად.

მუშაობს რევკომი, მაგრამ არც მისი თავმჯდომარე, არც თავმჯდომარის ამხანაგი, რომ აღარაფერი ვთქვათ ემელიანეს, დავიდკას, ფილკას შესახებ, ჯერ კიდევ არ არიან პარტიის წევრები. გადაწყვეტილი კი აქვთ გააფორმონ პარტიულობა. მაგრამ რაღაც არეულობაა. შტოკმანის წერილი, რომელიც საოლქო რევკომში მიშკა კოშევოიმ მიიტანა, არც კი წაიკითხეს — თქვენთვის არ გვცალიაო (გვ. 177). ყველგან რაღაც ცუდი ამბები დატრიალდა. სროლის ხმებიც გაისმა. მოედანზე კოშევოიმ დაინახა, რომ ნაბადმოხურული ფომინი ეკლესიიდან გამოვარდა, თავისი ცხენით და ტყვიამფრქვევით მთის იქით სადღაც მიიმალა. მან დაინახა გამომძიებელ გრომოვისა და თეთრგვარდიელ ჩერნიჩკინის ბრძოლა, რომლის დროსაც პირველი დაიღუპა. თურმე ტატარსკშიაც იგივე მდგომარეობაა. როგორც კი ხუტორში დაბრუნდნენ, კოშევოი

და ემელიანე შეიპყრეს. გაქცევა მოუსწრიათ მხოლოდ შტოკმანს, ივან ალექსეევიჩს, დავიდკას, მილიციელებს, ფილკა და ტიმოფეი კი წუხელი ღამით მოედანზე მოუკლავთ. გაქცევა კოშევოიმაც მოახერხა. ტატარსკში საბჭოთა ხელისუფლება ისევ დაეცა.

ამის შესახებ გრიგორიმ მალე შეიტყო. ის დაბრუნდება ხუტორში. კოშევოიმ კი მიაღწია წითლების შტაბს, სადაც შტოკმანს შეხვდა. ტატარსკში დაიწყეს კაზაკების რაზმების შედგენა. სტეფანე ასტახოვმა უარი განაცხადა ბრძოლაზე. ასე უთხრა მასთან მისულ გრიგორის, ხრისტონიასა და ანიკუშკას. ამის გამო სერიოზული წალაპარაკება მოუვიდათ ძველ კონკურენტებს — გრიგორი მელეხოვსა და სტეფანე ასტახოვს. ყველაფრიდან ჩანს, რომ აჯანყებულებს არა აქვთ ერთიანი ორგანიზაცია, რაზმებს თვითნებურად და დამოუკიდებლად ადგენენ. ტატარსკის ცხენოსანი ასეულის მეთაურად. ჯერ კიდევ გრიგორის დაბრუნებამდე, პეტრო მელეხოვი აირჩიეს, ფეხოსანი ასეულის მეთაურობა ლატიშჩევმა იკისრა. გრიგორი მელეხოვმა 32 ტატარსკელი შეღამებისთანავე დაზვერვაზე წაიყვანა. მაგრამ რა? გრიგორი გრძნობს, რომ აღარ არის ძველი გატაცება, ძველი თავდადება. მაგალითად, როცა გრიგორი ანიკუშკას დაკითხვას აწარმოებდა, თუ რა მოხდა წინ. სადაც ის გაგზავნილი იყო მარტინ შამილთან და პროხორ ზიკოვთან ერთად, საიდან ისმოდა სროლის ხმა, ვინ იყვნენ ჩასაფრებულნი, — ექვსი კაზაკი შინ გაიქცა, რაზმი მიატოვა. „ხვალე დავხვრეტთო“, — თქვა გრიგორიმ (გვ. 189). ასე აწეწილ-დაწეწილია ყველაფერი.

და ყველაფერი ეს „წუნარ დონში“ დიდი მხატვრული დამაჯერებლობით არის ნაჩვენები, კერძოდ ის, რომ იმპერიალისტური სახელმწიფოების მიერ ქვეყნისათვის ძალად თავსმოხვეულმა საშოქალაქო ომმა უთვალავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ბევრი გამოჩენილი ადამიანი დაიღუპა, ბევრმა პერსპექტიულმა, ნიჭიერმა კაცმა საშინელი წამებით დალია სული, როგორც კომუნისტმა ლიხაჩოვმა, რომელსაც დავალებული ჰქონდა ლიკვიდაცია მოეხდინა აჯანყებულთა ერთი რაზმისათვის. ამ პატარა რაზმს, როგორც უკვე მოვიხსენიეთ, სულ 32 კაცისაგან შემდგარს, გრიგორი მეთაურობდა. ბრძოლებში ნაცადმა მელეხოვმა, ცხადია, სამხედრო საქმის ცოდნით ლიხაჩოვი დაამარცხა, გარდა ამისა, წით-

ლების მეთაურს 9 კაცის მეტი არ ჰყავდა. დატყვევების შემდეგ გრიგორიმ ლიხაჩოვი ვეშკაში გააგზავნა, სადაც ის დაკითხეს და შემდეგ ბაღრაგით წაიყვანეს. ეს შესანიშნავი, მოხდენილი, ახოვანი ლამაზი კაცი, საბჭოთა ხელისუფლების ფანატიკურად ერთგული, საშინელი წამებით იღუპება აჯანყებული კაზაკების ხელით და თქვენ გრძნობთ უდიდეს სიბრალულს ლიხაჩოვისადმი. ვინ იცის რამდენი ასეთი ლიხაჩოვი შეიწირა მრისხანე სამოქალაქო ომმა. მელეხოვმა თითქოს რაღაც იგრძნოო — საკუთარი ხელით მხრებში დაჭრილ ლიხაჩოვს წყლული თვითონვე შეუხვია, შედარებით თბილად მოექცა, შეეძლო მოეკლა ტყვე, რომელიც მოითხოვდა — მომკალითო, უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავდა, ბანდიტს უწოდებდა (გვ. 190—191), მაგრამ არა, გრიგორიმ სულგრძელობა გამოიჩინა. ასევე მოექცა დამარცხებით გაშმაგებულ ლიხაჩოვს აჯანყებულთა გაერთიანებული ძალების დროებითი სარდალი სუიაროვი. მაგრამ ლიხაჩოვი შეუპოვარია. აი, რას ეუბნება იგი სუიაროვს: „ვნანობ, რომ მე ვერ შევიძელი შემესრულებინა ჩემი დავალება — გამესრისეთ თქვენ, როგორც ქვეწარმავლები. მაგრამ საბჭოთა რუსეთი თქვენ ღირსეულად მიგაგებთ. გთხოვთ მე დამხვრიტოთო“ (გვ. 192). „არა, ამხანაგო ლიხაჩოვ, — ეუბნება მას სუიაროვი, — ჩვენ თვითონ წინ აღვუდექით დახვრეტებს. ჩვენთან ისე არ არის, როგორც თქვენთან, — დახვრეტები არ არის. ჩვენ შენ მოგვარჩენთ, და შენ, კიდევ შესაძლოა, სარგებლობა მოგვიტანო“ (იქვე). სუიაროვმა ისიც უთხრა ლიხაჩოვს, რომ ისინი „საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგი არ არიან, არამედ კომუნებისა და ურიების წინააღმდეგი არიან“ (გვ. 193). და როცა ლიხაჩოვმა კატეგორიული უარი უთხრა სუიაროვს დაესახელებინა, თუ რამდენი კაცი ჰყავდა რაზმში, კაზანსკისაკენ ბაღრაგით გააგზავნა, ხოლო გზაზე მცველებმა სადისტური წამებით მოჰკლეს: ცოცხალს თვალები დათხარეს, მოჰკვეთეს ხელები, ყურები, ცხვირი, ხმლებით სახე დაუსახიჩრეს... ყველაფერს ჩვენ ვერ გადმოვცემთ. სულ ბოლოს კი, საშინლად დამახინჯებულ სხეულს თავი წააცალეს (გვ. 194). და რა კონტრასტია ყოველივე ამასთან სუიაროვის განცხადება — ჩვენთან დახვრეტები არ არიან?! რომელი დახვრეტა შეედრებოდა ლიხაჩოვის სადისტურ წამებას? ომი ამხეცებს ადამიანებს, ხოლო გამხეცებული კაცი ტყის

ნადირზე უარესი მხეცი ხდება. ამიტომ ადამიანებში მხეცური ინსტინქტები კი არ უნდა გავაღვიძოთ (ამგვარი ინსტინქტები მათ ისედაც ბევრი აქვთ ბუნებისაგან მინიჭებული), არამედ, განვავითაროთ კეთილი, მაღალადამიანური გრძნობები, — ასეთია „წყნარი დონის“ მორალი და შოლოხოვი ამითაც ხდება ახალი სამყაროს ეთიკური ნორმების მასწავლებელი.

შოლოხოვი გვიჩვენებს დონზე სტანიცებისა და ხუტორების მასობრივ გამოსვლებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, მტრის პროვოკაციულ მოქმედებას, დემაგოგიას, მსგავსად ლოზუნგისა — „საბჭოთა ხელისუფლებისათვის, მაგრამ კომუნების, დახვრეტებისა და ძარცვის წინააღმდეგო“ (გვ. 194). ძალიან რთული, უაღრესად დაძაბული ვითარება იქმნება დონზე და ასეთ პირობებში, როცა ძალაუფლება ხელიდან ხელში გადადის, პეტრო მელეხოვი თვითონვე იჩენს ინიციატივას — გამოჰყავს თავისი ორი ასეული წითლებთან საბრძოლველად. ის მიდის ძმაძთან, სწორედ იმ ადგილებში, სადაც ტატარსკიდან რვა კილომეტრის დაშორებით მეუღლესთან ერთად გრიგორი ოდესღაც მიწას ხნავდა და პირველად გაუმეღავნა ნატალიას არ მიყვარხარო. გრიგორის როგორღაც არ მოეწონა პეტროს მიერ დაკავებული პოზიცია. აქვე იყო სტეფანე ასტახოვი. როცა ბრძოლა დაიწყო, რაც შოლოხოვს დაწვრილებით აქვს გადმოცემული, მოვიდა დარია და თვითონაც ჩაება ბრძოლაში წითლების წინააღმდეგ. მაგრამ გამართლდა გრიგორის წინათგრძნობა: პეტრომ ბრძოლა წააგო, ის და მისი ამხანაგები დაღუპვის წინაშე აღმოჩნდნენ. სტეფანე ასტახოვმა გაქცევა მოასწრო. პეტრო დაიმალა ამხანაგებთან ერთად, მაგრამ წითლებმა მიაგნეს და დაატყვევეს. აქ აღმოჩნდა ივან ალექსეევიჩი და მიშკა კოშევოი, რომელმაც იცნო მელეხოვი, დაუყვირა — დაგვნებდიო. პეტრომ სიცოცხლის შენარჩუნება სთხოვა ივან ალექსეევიჩს — სიკვდილით ნუ დამსჯი, შენ ხომ ჩემი ბავშვის ნათლია ხარო (გვ. 205). მაგრამ თხოვნამ არ გასჭრა — მიშკა კოშევოიმ საკუთარი ხელით მოჰკლა თავისი ახლო მეზობელი პეტრო მელეხოვი. ის ათ კაზაკთან ერთად დაიღუპა. გრიგორიმ საშინლად განიცადა ძმის დაღუპვა, ყველა ზომა მიიღო მოკლულები შინ მიეყვანათ და დაეკრძალათ. დარიამ სასტიკად დაიტირა მეუღლე, მელეხოვების მთელ ოჯახთან ერთად, პანტელეი

პროკოფიჩმა კი თვითონვე გაუკეთა ხის უბრალო კუბო საკუთარ შვილს.

გრიგორი მელეხოვი მალე დანიშნეს ვეშენსკაიას პოლკის მეთაურად. დაავალეს ლიხაჩოვის რაზმის განადგურება. დაამარცხა წითლების რაზმი, 30 ტყვე წითელარმიელი სიკვდილით დასაჯეს. სწორედ ამ დროს მიიღო გრიგორიმ შტაბის ერთ-ერთი წევრისაგან კერძო წერილი, სადაც დაახლოებით ასე ეწერა: ჩვენამდე მოდის ვერაგული ხმები თითქოს შენ სასტიკად უსწორდები ტყვე წითელარმიელებს, თითქოს შენი ბრძანებით მოსპეს 30 ტყვე, მათ შორის კომისარი ქალი, რომელიც ჩვენ ძალიან გამოგვადგებოდა მოწინააღმდეგეთა ძალების შესახებ ცნობების გაგებაში. ასეთი ბრძანება ჩვენთვის საშინლად ზიანის მომტანია, კაზაკებსაც ეშინიათ — წითლებიც ამასვე გვიზამენ, ჩვენს ხუტორებს მოსპობენო. ტყვეები, მათ შორის მეთაურთა შემადგენლობა, ცოცხლად გადმოგვიგზავნე, ჩვენ მათ წყნარად მოვიშორებთ თავიდან. შენ კი მოქმედებ შენი ასეულებით, როგორც ტარას ბულბა მწერალ პუშკინის ისტორიული რომანიდან, ყველაფერს ცეცხლსა და მახვილს აძლევ, კაზაკებს აღელვებო. აწი ტყვეებს ნუ დახოცავ, ჩვენ გამოგვიგზავნეო (გვ. 211—212).

მაგრამ ძმის დაღუპვით გაცოფებულმა გრიგორიმ ეს წერილი, რომელიც ასე სცოდავს ლიტერატურულად, თუმცა აფხიზლებს სისხლით დამთვრალ მეომარს, ბოლომდე არც კი წაიკითხა, ნაკუწებად აქცია, აჯანყებულთა გაერთიანებული ძალების სარდალს კუდინოვს კი ბრძანებაზე „დაუყოვნებლივ განავითარე შეტევა სამხრეთით, კრუტენკი — ასტახოვო — გრეკოვოს უბანზეო“, — მისწერა: „შენი ბრძანება ბრიყვულიაო“ (გვ. 212). ამის შემდეგ გრიგორიმ თავი შეიკავა ტყვეების დახოცვის შესახებ ბრძანების გაცემაზე, ისინი ზურგში გააგზავნა, საღამოს კი დაჰკითხა ერთ-ერთი ტყვე ხოპერელი. მრავალთა შორის კითხვა ასე დაუყენა: ვისი საერთო განკარგულებით იბრძოდით, კიკვიძეს მოჰყავდითო? მაგრამ უარყოფითი პასუხი მიიღო (გვ. 213). შემდეგ მას დაცინვით უთხრა: ცოლთან გაგიშვებთ, ალბათ მოგეწყინაო. პროხორი გამოიძახა, დიდხანს იფიქრა, ბოლოს უთხრა: ბიჭებს უთხარი, აი ეს, ეხლა რომ დავკითხავდი, წუნარად წაიყვანონ ბალებ-

ში. წითელი კაზაკები მე ტყვედ არ მიმყავსო. ეს ნიშნავდა ტყვე ხოპერელისათვის სასიკვდილო განაჩენს. მაგრამ შემდეგ თვითონვე გავიდა აივანზე და მეორე, სრულიად საწინააღმდეგო ბრძანება გასცა: ტყვე გაათავისუფლეთ, მას საშვი გამოუწერეთო (გვ. 214).

როცა ოთახში დაბრუნდა, გრიგორიმ თვითონაც ვერ ახსნა მიზეზი, თუ რატომ მოიქცა ასე, რატომ გაათავისუფლა ტყვე, რომელიც უნდა მოეკლათ. გუშინ ხომ თვითონ ეუბნებოდა თანამოსაგრეებს: „უბირი გლეხი — მტერია, მაგრამ კაზაკი, რომელიც წითლებთან ერთად მიდის, ორ მტრად ღირს! კაზაკს, როგორც ჯაშუშს მოკლე სამსჯავრო აქვს: ერთი, ორი — და ღვთის სასუფეველში“ (გვ. 214). გრიგორის ეს გაორება, ეს დუალიზმი, მთელი მისი უაღრესად რთული ფსიქოლოგიური არსების განუყრელი თანამგზავრია ყველგან და ყოველთვის!

„წყნარი დონის“ მესამე წიგნის მომდევნო გვერდები და თავები მელეხოვს გვიჩვენებენ, როგორც ნიჭიერ ოფიცერს, ნიჭიერ სამხედრო კაცს, და მკითხველს, თუ იგი საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგე არ არის, შეუძლებელია გული არ ეტკინოს, რომ ასეთი კაცი გზას აცდენილია, ახალი ქვეყნისათვის კი არ იბრძვის, ძველს, თვით მისი სოციალური მდგომარეობისათვის მიუღებელ წყობილებას იცავს. წაიკითხეთ წიგნის 218—220 გვერდები და თქვენ უეჭველად დარწმუნდებით ამ სიტყვების აშკარა სიმართლეში. როგორ იბრძვის, ჭკუითა და პრაქტიკული გამოცდილებით მდიდარი ეს საოცარი კაზაკი! როგორ იყენებს აჩეხვის დროს მარცხენა ხელს, უფრო ძლიერად, ვიდრე მარჯვენას, რაც მისმა მოწინააღმდეგეებმა არ იციან და მელეხოვთან ხმალში ბრძოლას ყოველთვის აგებენ (მწერალმა საიდუმლოც გვითხრა: ბავშვობაში გრიგორი ცაცია იყო, მაგრამ პანტელეიმ იმდენი ცემა ამისათვის, რომ ცაციობას გადააჩვია, ახლა ის ორივე ხელს თითქმის თანაბრად ხმარობსო, გვ. 219). გარდა ამისა, შოლოხოვი გვეუბნება: „გრიგორიმ ბევრი იცოდა იმ მეცნიერებიდან, რომელიც გვასწავლის ცივი იარაღით ადამიანების მოკვლასო“ (გვ. 220). გრიგორიც სასტიკი ძალით ეკვეთება ხოლმე მოწინააღმდეგეს (ამ ეს იყო მაშინ, როცა წითლებთან ერთად თეთრებს ანადგურებდა), იმარჯვებს და იმარჯვებს, და ათასგვარი განსაცდელის მიუხედავად, მაინც ფეხზე დგას, მაინც ცოცხალია!

აჯანყება კი ნიაღვარივით ედება დონს—ოთხას კილომეტრზე ბობოქრობს. 25 ათასი კაზაკი ცხენზეა ამხედრებული, 10 ათასი ქვეითია. აპრილში წითლებისათვის საშიში ხდება იმის ვარაუდი, რომ შესაძლოა აჯანყებულები თეთრების ფრონტს შეუერთდნენ. თვით კაზაკებს აწუხებთ იარაღისა და ტყვია-წამლის ნაკლებობა. რეალური შედეგი გამოიღო მოწოდებამ: „თქვენს ქმრებს, შვილებს და ძმებს სასროლი არაფერი აქვთო“ (გვ. 223). 35 ათასი აჯანყებული კაზაკი დაიყო ხუთ დივიზიად და ერთ—მეექვსე ბრიგადად. პირველი დივიზიის მეთაური გახდა გრიგორი მელეხოვი, უსწავლელი, მაგრამ ნიჭიერი, ფხიზელი გონების სამხედრო კაცი. ამდენი მებრძოლისათვის გრიგორის ჯერ კიდევ არასოდეს უმეთაურნია. მას ზოგჯერ ამბების ყნოსვაც საოცრად სწორი და უტყუარი აქვს. საკმარისია დავასახელოთ მისი გაცნობა კუდინოვთან გეორგაძისა, რომლის საეჭვო როლი გრიგორიმ თითქოს ინტუიტურად იგრძნო. ამიტომ შეკითხვები დააყარა გეორგაძეს, და მიუხვდა, რომ ყველაფერი ეს ახლადგაცნობილისათვის უსიამოვნო იყო. ორი ღამის უძინარი გრიგორი თვლემს კუდინოვთან თათბირზე, მაგრამ ალღო მაინც არ ატყუებს (გვ. 226-230). მას არ მოსწონს გეორგაძის მიერ კაზაკების წაქეზება—ვეშენსკელები და საერთოდ ყველა აჯანყებული თავიანთ დანაშაულს დონისა და რუსეთის წინაშე გამოისყიდიან, თუ ბოლშევიკებს მამაცურად შეებრძოლებიანო (გვ. 231). გრიგორიმ იგრძნო შეშფოთება და უმიზეზო გაბოროტება გეორგაძის მოქმედების გამო. მისი დიალოგი სარდალ კუდინოვთან დივიზიაში უკან დაბრუნების წინ, ნათლად მოწმობს, თუ რამდენად მაღლა დგას, უნარითა და გამოცდილებით, დაბალი ჩინის ეს ნიჭიერი, მაგრამ უსწავლელი კაზაკი მალალი ჩინის უნიჭო, მაგრამ ნასწავლ კუდინოვზე. და გული გტკივა, რომ მელეხოვი აჯანყებულებთანაა, მდიდრების, ძველი ქვეყნის ინტერესთა დამცველი ხდება, მაშინ, როცა მისი ადგილი წითლებთან უნდა იყოს, როგორც საშუალო გლეხობის წარმომადგენლისა. მთელი მისი მერყეობა ისტორიულად განპირობებულია სწორედ ამ საშუალო გლეხობით. განა შემთხვევითია, რომ მელეხოვი სულ მერყეობს, სულ გაორებულია? განა შემთხვევითია, რომ აჯანყების მონაწილე გრიგორი მელეხოვი შეცდომად თვლის სწორედ ამ აჯანყებას? (გვ. 232). ის სულ ფიქრობს და ფიქრობს, ანალიზს უკეთებს ფაქტებს, მოვლე-

ნებს, შინაგან სულსა და გარე სამყაროში ერთნაირი ძალით იხედება, მაგრამ ყველგან გაორებული რჩება. რა მართალია აეტორი, როცა მელეხოვზე წერს: «И, домыслами обножая жизнь, затравлено, с тоской подумал: «Спутали нас ученые люди... Господа спутали! Стреножили жизню и нашими руками верщают свои дела. В пустяковине—и то верить никому нельзя»... (გვ. 233). ასე ფიქრობს გრიგორი, ასე წყვეტს საკითხებს. გლეხური აზრით ის უეჭველად მართალია: განა ვინმე გადააჯერებს მათ, რომ გზა-კვალი ნასწავლმა ხალხმა არ აურიეს? ბატონებმა არ აურიეს? მათ დააბრკოლეს ცხოვრება და თავიანთი საქმეების მოგვარება გლეხების ხელით უნდათ! და გლეხობა დაეჭვებულია—სულ უბრალო, წერილმან საქმეებშიაც აღარავის ენდობა. მელეხოვის ამ ფიქრებსა და აზრებში მთელი საშუალო გლეხობის ფსიქო-იდეოლოგია იხატება.

ასე დამთავრდა მელეხოვის თვითგანსჯა და ახლა ის თავის შიკრიკთან ერთად დივიზიაში ბრუნდება. გადაწყვეტენ ღამე გაათიონ ჩუკარინოში, სადაც მოხუცი დიასახლისი, რომელმაც სამი ვაჟიშვილი და ხანში შესული მეუღლე საბრძოლველად გაისტუმრა, მარტოა დარჩენილი. თავისი შეკითხვებით დიასახლისი მოსვენებას არ აძლევს გრიგორის, ეკითხება, თუ როდის დამთავრდება ომი. გრიგორი უპასუხებს—როცა წითლებს განვდევნითო (გვ. 234). მაგრამ დიასახლისი თავისას არ იშლის, ვიდრე მოთმინებიდან გამოსულმა შიკრიკმა სასოწარკვეთით არ უთხრა გრიგორის: ეს ჩვენ დაძინების საშუალებას არ მოგვცემსო და დიასახლისს მიმართა—თუ შენი მოხუცი პოზიციებზე მოჰკლეს, სიკვდილის დროს გახარებული იქნებაო. იტყვის: მადლობა ღმერთს, ჩემი მოხუცი ცოლისაგან გათავისუფლდიო. დაიძინე, ბებია, ქრისტეს გულისათვის! ჩვენ სამი ღამეა არ დავიძინებიაო (გვ. 235). და მიიძინეს, მაგრამ ციკანმა შიკრიკი დაასველა, შემდეგ კი გრიგორის ხელს თბილი ენით ლოკვა დაუწყო (გვ. 236). სასაცილო კოლორიტული სცენაა!

პარალელურად მწერალი გვიჩვენებს, თუ სად არიან ან რას აკეთებენ ტატარსკიდან გაქცეული შტოკმანი, მიშკა კოშევოი და ივან ალექსეევიჩი. ისინი მიეკედლნენ იმ პოლკს, რომელიც 1918 წლის დასაწყისში გერმანიის ფრონტიდან ლაშქრობაში მთლიანად

შეუერთდა წითელ არმიას ერთ-ერთი რაზმის სახით. შემდეგ მათ გაიგეს, რომ უსტ-ხოპერსკში ყალიბდებოდა რაზმეული იმ კომუნისტებისა და საბჭოთა მუშაკებისა, რომლებიც აჯანყებული სტანიცებიდან გაიქცნენო. 15 მარტს სამივე გაემგზავრა ხსენებულ სტანიცაში. ისინი წაიყვანა ახალგაზრდა კაზაკმა — მეურმემ, რომელმაც ათასგვარი ჭორი თქვა წითლების სისასტიკეზე. კოშევოიმ და შტოკმანმა, განსაკუთრებით ამ უკანასკნელმა, დაუსაბუთეს მას, რომ ყველაფერი ეს მტრების მიერ გავრცელებული ბოროტი ხმებია. შტოკმანმა მაინც დაიმახსოვრა კომისრის შესახებ მეურმის ნათქვამი. როცა უსტ-ხოპერსკში მივიდნენ, აღმოჩნდა, რომ ცნობა რაზმეულის შექმნის თაობაზე ტყუილია (ამ ამბებს უკავიათ რომანის მესამე წიგნის 236—242 გვერდები). შტოკმანმა გადასწყვიტა უსტ-ხოპერსკში დარჩენილიყო. იგი დიდხანს ესაუბრა პოლიტკომისარს, გამოჰკითხა იმ კომისრის ვინაობა, რომელსაც მეურმე ასე აუგად იხსენიებდა, შეიტყო, რომ ის კარგი ყმაწვილია, მაგრამ ერთხანს ამლაშებდა, ვინაიდან კარგად ვერ ერკვეოდა პოლიტიკურ ვითარებაში, ახლა ის ახდენს რუსეთის სიღრმეში მამაკაცი მოსახლეობის ევაკუაციას სტანიცებიდანო (გვ. 243). ეს იყო სულ, რაც შტოკმანმა შეიტყო მეურმე კაზაკის მიერ ავად მოხსენიებული კომისრის პიროვნებაზე.

მეორე დღეს დილით შტოკმანი, კოშევოი და ივან ალექსეევიჩი ხუტორ კრუტოვსკში შიმავალ მეორე ბატალიონს გაჰყვნენ (გვ. 244—247). დავტოვოთ ისინი გზადმიმავალნი და ისევ გრიგორი მელეხოვს დავუბრუნდეთ, რომელმაც თავისი დივიზიის დასაყრდენ პუნქტად სტანიცა კარგინსკი გაიხადა. მისი სამხედრო ნიჭი ყველაფრიდან ჩანს, ბრძოლები კი თითქმის ყოველდღე წარმოებს. მან შეადგინა მოწინააღმდეგის განადგურების გეგმა, გაითვალისწინა ყველა მოსახლოდნელი შემთხვევითობა, ბრძოლას თვითონვე უხელმძღვანელა, განთქმული ცეისის ბინოკლი მაშინ გადააგდო, როცა დამხმარე ძალების მოახლოების შედაგად ბრძოლის თვალთვალი უომისოდაც შეეძლო. მისი გეგმა შესრულდა. ყველაფერი დამთავრდა. ას ორმოცდაშვიდი წითელარმიელი გრიგორი მელეხოვის ბრძანებით ერთ ორმოში დამარხეს (გვ. 248—251). ასე მძიმე იყო სურათი, რომელსაც მწერალი კი არ თხზავს, სინამდვილიდან იღებს, როგორც ფაქტს, მხატვრულად აღწერს და

გვიჩვენებს, თუ რა დიდი მსხვერპლის ფასად მკვიდრდებოდა ახალი — საბჭოთა სოციალისტური წყობა.

ზემოაღწერილი ბრძოლის შემდეგ კარგინსკში ერთი კვირით სიწყნარე ჩამოვარდა. ამ ეროი კვირის განმავლობაში გრიგორი განუწყვეტლივ სვამდა არაყს, თვრებოდა, რათა განშორებოდა შავ ფიქრებს, აღარ ეფიქრა იმაზე, რაც ირგვლივ ხდებოდა, და რისი თვალსაჩინო მონაწილეც თვითონ იყო. საერთოდ იმ პერიოდში გახშირდა აჯანყებული კაზაკების სიმთვრალე, ხდებოდა ისე, რომ პოზიციაზე მთვრალ მდგომარეობაში გასვლა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. დონის იქითა მხარეს დუდარეველი კაზაკების ცხენოსანი ასეული სულ მთვრალი გადავიდა შეტევაზე და წითელარმიელებმა ბრძოლაში მათი ნახევარი გაანადგურეს. მელეხოვსაც გაუტკბა ყოველდღე ქეიფი, რაც ავიწყებდა მწარე სინამდვილეს. ჩვეულებად ექცა მეგობრებთან დროსტარება, მაგრამ არასოდეს წრეს არ გადასულა. ბევრი სმის მიუხედავად, საზღვარს იცავდა, ფეხზე ყოველთვის მაგრად იდგა, გონება არასოდეს დაუკარგავს, პირიქით, ფხიზელი კაცის შთაბეჭდილებას ინარჩუნებდა. მხოლოდ ეს იყო, რომ ძლიერ ფითრდებოდა, თვალები უფრო სასტიკი უხდებოდა (გვ. 252—253). ერთხელ პროხორი ზიკოვმა ის წაიყვანა საქეიფოდ ოჯახში, „საზამთროსავით ტკბილ ქალთან“. ერთად წავიდნენ: მელეხოვი, ზიკოვი, რიაბჩიკოვი, ერმაკოვი, უხელო ალეშკა შამილი და მედვედევი. ეს ექვსი კაცი მაგრად გამოთვრა, ორი ვედრო შინაური არაყი დალიეს. გრიგორიც ისე დათვრა, რომ დიასაბლისის სურვილის მიუხედავად, მას უკვე აღარაფერი შეეძლო. იმ ღამეს მოხდა ერთი რამ, გრიგორისათვის უეჭველად დამაფიქრებელი. მთვრალმა ერმაკოვმა გრიგორის უთხრა: ვეშკაში კაეკასიელი თავადიშვილი ზის. პოლკოვნიკია! ავკუწავ! კაზაკები ღელავენ. წაგვიყვანე ვეშკაში, ყველას მოვსპობთო. ეტყობა გრიგორიმ ჯერ ვერ გაიგო, თუ რატომ იყო ეს ნათქვამი, რა ძირითადი აზრით, ამიტომ თვითონაც გაიმეორა: პოლკოვნიკს მოვკლათ. ის განზრახ დარჩა... მოდი საბჭოთა ხელისუფლებას ფეხზე ვემთხვიოთ: ჩვენ დამნაშავეები ვართო... (გვ. 255). მაგრამ იქვე დაუმატა: მე ეხუმრობო!

ხუმრობს?!

მაგრამ ამ ხუმრობაში ხომ აშკარად ჩანს მელეხოვის შეგნება — დანაშაულს რომ სჩადის?! სინდისი რომ აწუხებს?! რალაც თავის სტიქიაში რომ არ არის?! ყველაფრის დავიწყება რომ უნდა? რომ სვამს და სვამს შავი ფიქრებისაგან თავდასაღწევად?!

არა, ნუ ხუმრობო, — მკაცრად ეუბნება გრიგორის თავისი ერთგული თანამებრძოლი მედვედევი. ჩვენ გვინდა შევბერტყოთ ხელისუფლება. ყველას შევცვლით და შენ დაგსვამთო. მე ველაპარაკე კაზაკებს, ისინი თანახმანი არიანო. კუდინოვს და მის ამალას ვეტყვით: დატოვეთ ძალაუფლება. თუ წავლენ — ხომ კარგი, თუ არა და პოლკს დავძრავთ ვეშკაზე, ძალით გავაგდებთო (გვ. 255—256).

ეს რომ გაიგონა, გრიგორი ყველაფერს მიხვდა, გაცოფდა; დაუყვირა მათ: ამის შესახებ მეტი ლაპარაკი არ იყოსო! (გვ. 256). მეორე დღეს, დილით, მიუხედავად მთელი წინა ღამის განმავლობაში არაყის სმისა, გრიგორის ყველაფერი კარგად ახსოვდა, რაც ერმაკოვმა და მედვედევმა უთხრეს. მიხვდა, რომ ეს იყო მემარცხენე კაზაკების ინტრიგა — მათ უნდოდათ ხელი შეეშალათ კუდინოვისათვის დონის არმიას შეერთებოდა. ისინი ოცნებობდნენ საბოლოოდ გამოყოფოდნენ დონს და თავიანთთვის შეექმნათ რალაც საბჭოთა ხელისუფლების მსგავსი უკომუნისტებოდ. ამ საქმეში სურდათ მიემხროთ გრიგორი მელეხოვი, როგორც ნიჭიერი ოფიცერი. „ბავშვური თამაშია", — გაიფიქრა გრიგორიმ და თავის ერთგულ თანამებრძოლებს უთხრა: თავიდან ამოიგდეთ გუშინდელი საუბარი, საქმე ის კი არ არის. თუ ვინ იქნება მეთაური, საქმე კუდინოვში არ არის, არამედ იმაშია, რომ ჩვენ სალტეებში მოქცეულ კასრს ვგავართ და დღეს თუ არა ხვალ სალტეები გაგვჭყლეტენო (გვ. 257). შემდეგ დასძინა: „თუ დავიწყებთ სარდლობის დაწუნებას და შოვაწყობთ ყოველნაირ გადატრიალებებს — ჩვენ დაგილუპებით. საჭიროა მივემხროთ თეთრებს ან წითლებს, შუაში არ შეიძლება, — გაგვსრესენო" (გვ. 258).

ასე ფიქრობს გრიგორი მელეხოვი და ის მართალია, გარდა ერთისა: ბოლომდე შეგნებული არა აქვს, რომ თეთრებთან მიკედლება ისეთივე დაღუპვაა მისთვის, როგორც საერთოდ ეხატებოდა მას გამოუვალი მდგომარეობის კატასტროფული ხასიათი.

თუ რამდენად მტკიცე იყო გრიგორის რწმენა, — ერმაკოვისა და მედვედევის წინადადება დამღუპველიაო, — მოწმობენ მისივე სიტყვები: გუშინდელი ლაპარაკი ჩვენს შორის მოკვდეს, მხოლოდ ერთი პირობით: თავი დაანებეთ კაზაკების აშლას. კუდინოვს კი თავის მრჩევლებიანად სრული ძალაუფლება არა აქვს; მე ჩემს დივიზიას, როგორც მეხერხება, ისე ვმეთაურობო (გვ. 258). აქით გრიგორი იმას ამბობს, რომ დამოუკიდებელია, კუდინოვს მასზე მბრძანებლობა არა აქვს.

გრიგორი კიდევ ორი დღე ქეიფობდა, ნაირ-ნაირ ქალებთან დროს ატარებდა, შინაურ არაყს ეძალებოდა. მაგრამ როგორც კი ოდნავ მაინც ფიქრის საშუალება მიეცემოდა, სინანულით იგონებდა განელილ ცხოვრებას, ფხიზლად და გულცივად აფასებდა. დააკვირდით მის აღსარებას: «Жил и все испытал я за отжитое время. Баб и девок перелюбил, на хороших конях... эх!.. потоптал степя, отцовством радовался и людей убивал, сам насмерть ходил, на синее небо красовался. Что же новое покажет мне жизнь? Нету нового! Можно и помереть. Не страшно. И в войну можно играть без риску, как богатому. Невелик проигрыш!“ (გვ. 258). ეს სიტყვები ნახევრად მაინც მოტეხილი, დამსხვრეული კაცის აღსარება, სინანული და უზომო გულისტკივილია; ცხოვრებაზე მოხუცის ხელის ჩაქნევაა, თუმცა გრიგორი ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდაა. წარსულიდან ყველაფერი ახსოვს, ყველაფერს შეფასებას აძლევს. განა შეეძლო, მაგალითად, აქსინია დაევიწყებინა? და როცა იგონებს მას, თავის უსაყვარლეს, დაუვიწყარ არსებას, თავისივე თავის რცხვენია, რომ წევს ვილაც სხვა ქალთან, წუხანდელი ლოთობის შემდეგ, და გამთენიისთანავე გარბის მისგან (გვ. 259). აქვს, უეჭველად აქვს გრიგორი მელეხოვს მკაფიოდ გამოხატულ თავის გლეხურ სიტლანქესთან ერთად ნაზი, სათუთი გრძნობები, სინიდისის ქენჯნა ყოველგვარი დანაშაულის გამო, რასაც თვითონ ჩადის ან გარემოება ჩაადენინებს.

და რა უნდა ასეთ კაცს აჯანყებულებთან, წითლების მოწინააღმდეგეთა ბანაკში? ეს მელეხოვის ტრაგედიაა, მისი ცხოვრების ისეთი შავი ლაქაა, რომელსაც ვერასოდეს მოიშორებს და რომელიც მას დაუსრულებელ ტანჯვას მიაყენებს. ბუნებით ის სრულე-

ბით არ არის შურისმაძიებელი, მკვლელი, ავხორცი, მაგრამ ყველაფერი ხდება, როგორც, „ორლაკის ხელებში“. ვეიდტი ახორციელებს კაცის უბედურებას — მკვლელის ხელები რომ მიაბეს სპეტაკ ადამიანს, რომელიც შემდეგ იწყებს მკვლელობას და უკვირს — რას აკეთებს, რა ემართება, რატომ ხოცავს, ნუთუ ეს მისი ხელებია?! მთლად ასე არ არის, მაგრამ გრიგორის ზოგჯერ უხდება გააკეთოს ის, რაც მისი ადამიანური თვისების სრულ ანტიპოდს წარმოადგენს.

აჯანყებულები კი იშვიათად როდი ჩადიან მხეცობას. გაცოფებამდეც მიდიან. ვაზნები რომ დაზოგონ, ტყვეებს ხმლებით ჰკუწავენ (გვ. 259). შინაური არაყის გამუდმებულმა სმამ, გარყვნილებამ და სასტიკმა ომმა არაერთი ადამიანი გამოიყვანა წონასწორობიდან, დააავადმყოფა კიდეც, ზოგს აზრიც დააკარგვინა. თვით გრიგორის მაგარმა ორგანიზმმაც ვერ გაუძლო ასეთ უბედურებას და შემთხვევითი არ იყო, რომ ერთი კვირის შემდეგ კლიმოვკასთან ბრძოლაში მან პირველად განიცადა საშინელი ბნედა, როცა აჩეხა ოთხი მეზღვაური და მეხუთეს დაედევნა. შემდეგ კი დორბლმორეულმა, ჭირს დაცემულმა ყვირილით უთხრა თანამებრძოლებს: „ვის ვჩეხავდი!.. ძმებო, მე პატიება არა მაქვს!.. ამკუწეთ, ღვთის გულისათვის...“ (გვ. 265). მძიმეა ეს სცენა, როცა ხედავ, თუ როგორ აშოშმინებენ გრიგორი მელეხოვს, ისე, როგორც ბნედიანს გააკრავენ ხოლმე იატაკზე.

მეორე დღეს გრიგორი დივიზიას ჩაბარებს თავისი პოლკის ერთ-ერთ მეთაურს და პროხორ ზიკოვის თანხლებით ვეშკაში გაემგზავრება. გზაზე მოჰკლავენ გარეულ ბატს (მშვენიერია მოულოდნელი ნადირობის ეს სცენა!), რომელსაც შეაწვევინებენ ნაცნობ მოხუცს — ვეშენსკაიაში ვისთანაც ბინა დაიდვეს, და ისევ ხელს მიჰყოფენ შინაური არაყის სმას. გრიგორი აქ შეიტყობს, რომ ვინც წითლებთან წავიდა, მათი ოჯახის წევრებს დიდიან პატარიანად აპატიმრებენ, ციხეში სვამენ, აწამებენ. ის უმალ გაემართება ციხისაკენ და ყველა პატიმარს — სულ 100 ადამიანს ძალით გაათავისუფლებინებს ციხის უფროსს. აჯანყებულთა სარდალი კუდინოვი, რომლის ბინაც ვეშკაშია, უმალ გამოემართება გრიგორისაკენ, მაგრამ დასჯის ნაცვლად მეგობრულ საუბარს გაუმართავს, დაუყვავებს, მაშინ, როცა გრიგორი საკმაოდ უხეშად

ექცევა თავის უფროსს (გვ. 270). — რომ მოსულიყავი და ჩემთვის გეთქვა, — გაათავისუფლეო, — მეც გავათავისუფლებდი სიით და ამდენი ამბავი აღარ მოხდებოდაო, — ეუბნება კუდინოვი თავის ხელქვეით, მაგრამ უეჭველად მასზე ბევრად უფრო ძლიერ გრიგორი მელეხოვს. კუდინოვმა თავი თითქოს იმით დაიმშვიდა, რომ კიდევ კარგი — დიდი დამნაშავეები მათ ცალკე ჰყავთ, თორემ ისინიც თუ წავიდოდნენ, მაშინ რა მოხდებოდაო?!

ასეთი უცნაური კაცია გრიგორი მელეხოვი — მთელი არსებით არც აქეთაა, არც იქით, ყოველთვის შუაში გაჩხირულსა ჰგავს, ბოლოდ იმ განსხვავებით, რომ ხან აღზევდება, ხან კიდევ ძირს დაეშვება, მაგრამ უმთავრესად შუაშია, სადაც ბანცალობს, როგორც მთვრალი.

ვეშენსკაიადან გრიგორი და პროხორი მიდიან ტატარსკში, სადაც „უკაზაკებოდ სიცარიელე და მოწყენა იყო“ (გვ. 271), რაკი მთელი მამაკაცი მოსახლეობა, 16—17 წლის ყმაწვილების ჩათვლით, აჯანყებულებს გაწვეული ჰყავდათ. მათ შორის იყვნენ ხრისტონია, ანიკუშკა, პანტელეი პროკოფიჩი, სტეფანე ასტახოვი და სხვებიო, — გვეუბნება ავტორი. ყველა მობილიზებულია და პირტომაცაა, რომ წითლები პირველ ხანებში სულ დამარცხებას განიცდიან აჯანყებულებთან შეტაკებისას, თუ ზოგიერთ გამონაკლისს არ ჩავთვლით. ამ მდგომარეობას შოლოხოვი დაწვრილებით აგვიწერს (გვ. 271—276). იმასაც გვიჩვენებს, თუ რა მძიმე იყო არა მარტო ომში გაწვეულთა, არამედ შინ დარჩენილთა ხვედრიც.

მაგრამ დედაკაცების, ბავშვებისა და ღრმად მოხუცების გარდა შინ არავინ იყო დარჩენილი. ამიტომ გრიგორიმ ვერც ერთი კაზაკი ვერ ნახა. დაქვრივებული ლუკინიჩნა მას ტირილით შეხვდა—რალა გვეშველება ჩვენ, შვილო, როცა აღარა გეყავსო მირონ გრიგორიევიჩი (გვ. 277). დიდხანს ისაუბრეს სიდედრმა და სიძემ, ყველაფრიდან ჩანდა, რომ უკაცო ოჯახი უკან წავიდა, ინგრევა, პაპა გრიშაკა, უძლური მოხუცი ღმერთს არ მიჰყავს, მთლად ჭკუაზეც არ არის, დღე და ღამე ზის, წმინდა წერილს კითხულობს, საეკლესიო ენით ხანდახან რაღაც გაუგებარს იტყვისო,—ასე თქვა ლუკინიჩნამ (გვ. 278). გრიგორიმ შეასრულა სიდედრის თხოვნა და შეივიდა გრიშაკას სანახავად. მოხუცმა უკმაყოფილება გამოთქვა, რომ კაზაკებმა დაივიწყეს ღმერ-

თის პატივისცემა. მირონ გრიგორიჩიც იმიტომ მოკვდა, რომ ღმერთის წინააღმდეგ მიდიოდა, ხელისუფლების წინააღმდეგ ხალხს ამხედრებდაო (გვ. 279). გრიშაკას კი მიაჩნია, რომ ყოველგვარი ხელისუფლება ღვთის მიერ არის გაჩენილი. ქრისტეს საწინააღმდეგოც რომ იყოს, მაინც ღვთის ბოძებულია. მირონს ვეუბნებოდი, მაგრამ ჩემი გაფრთხილება—ხალხი არ აეჯანყებინა, ცოდვა არ ჩაედინა—არ მიიღო.—ასე უთხრა გრიგორი მელეხოვს პაპა გრიშაკამ (გვ. 279). შემდეგ კი ბიბლიიდან წაუკითხა ადგილები, რომლებიც მელეხოვმა ვერა და ვერ გაიგო, თუმცა ერთი ადგილი—ცოდვების გამო მკბენარების შემოსევისა, პაპამ რომ ნათლად განუმარტა,—გრიგორიმაც დაადასტურა—მართლაც, „მკბენარებისაგან ხსნა არა გვაქვსო“ (გვ. 280). გრიგორი ათეისტია, ღმერთი არა სწამს, აკი თვითონაც აღიარებს გრიშაკასგან დაბრუნების შემდეგ: «Ну, уж ежели мне доведется до старости дожить, я эту хреновину (ე. ი. ბიბლიას—გ. ჯ.) не буду читать! Я до библиев не охотник» (გვ. 281).

და რა ელმერთება ან რა ებიბლიაება მელეხოვს, როცა საშინლად განიცდის ყოველივე იმას, რაც ირგვლივ ხდება—ომს, განუკითხავ ხოცვა-ჟლეტას, სისხლის ზღვას! როცა შინ ბრუნდებოდნენ, აკი ნატალიას დაუფარავად უთხრა ამის შესახებ. საქმე ასე დაიწყო: ცოლ-ქმარს შორის წინა დღით მცირე დაძაბულობას ჰქონდა ადგილი. ნატალია პირველად შეხვდა, უჩვეულო სიმკაცრით, შინ დაბრუნებულ გრიგორის; აშკარა იყო, რომ მას გაგებული ჰქონდა მეუღლის დროსტარებანი ქალებთან კარგინსკის სტანიცის ბუტორებში. საღამოს ცალკე დაუგო გრიგორის საწოლი, თვითონაც ცალკე დაწვა, თუმცა ქმრისათვის არც ერთი სასაუვედურო სიტყვა არა უთქვამს, არაფერიც არ გამოუკითხავს. მთელი ღამე გრიგორიც ჩუმად იყო, ამჯობინა მიზეზები ჯერ არ გამოეძია მათ ურთიერთობაში არ ყოფილი სიცივისა (გვ. 281). და როცა ლუკინიჩნადან შინ ბრუნდებოდნენ, ხმის გაუცემლად, ერთმანეთისათვის უფრო უცხონი, ვიდრე ოდესმე იყვნენ, შუა ხუტორში ნატალია შეჩერდა, იგი შეეკითხა გრიგორის, თუ რატომ არის ჩუმად, და საუბარმა გამოამჟღავნა, რომ ცოლმა ყველაფერი იცის ქმრის ორგიების შესახებ. ნატალიას შენიშვნამ—«Дети у тебя уж вон какие! Как гляделками-то не совестно моргать!» (გვ. 283), გრიგორის სიცილი გამოიწვია. და სინიდისთან დაკავში-

რებით მან ასეთი ახსნა-განმარტება მისცა ნატალიას: „სინიდისზე მე ფიქრიც დამავიწყდა. რა სინიდისზეა ლაპარაკი, როცა ადამიანებს ჰკლავ. გაუგებარია, რისთვისაა ყველაფერი ეს. და შენ როგორ გითხრა? შენ ვერ გაიგებ! შენში მარტო ერთი ქალური სიავეა ანთებული, სულ არ ფიქრობ, ჩემს გულს რა ღრღნის, სისხლს რა მიწოვს. მე არაყზე მიძალებაც კი დავიწყე, ბნედაც მომივიდა, მიჭირს, რითი მივეცე თავდავიწყებას—არაყით თუ ქალებით... ცხოვრებას სწორი მდინარება არა აქვს, და, შესაძლოა, ამაში მეც დამნაშავე ვარ... ახლავე საჭიროა წითლებთან შერიგება და კადეტებზე წასვლა. მაგრამ როგორ? ჩვენ ვინ წაგვიყვანს საბჭოთა ხელისუფლებასთან?.. ყველაფერი ჩემს თავში არეულია. სხვის სისხლში ისე ვარ ამოსვრილი, რომ არავისი შეცოდება აღარ მაქვსო“ (გვ. 283). თუ ასეა, რაღა გასაკვირია, როცა ნატალია, ყოველივე ამის მოსმენის შემდეგ, გრიგორის ეუბნება: ახლა ვნანობ, რომ მაშინ თავი ისე ვერ დავიცვერი მომკვდარიყავიო (გვ. 281). ან რა გასაკვირია, თუ გრიგორიც ასე ეტყვის ნატალიას: «Детву—и эту почти не жалею, а об себе и думки нету. Война все из меня вычерпала. Я сам себе страшный стал... В душу ко мне глянь, а там чернота, как в пустом колодезе». (გვ. 283-284).

— „ომმა ჩემგან ყველაფერი ამოწრიტა. მე თვით ჩემთვისაც საშინელი გავხდიო“, — ასე ლაპარაკობს, ასე მოთქვამს, ასე გოდებს გრიგორი მელეხოვი და ამ დიდ სულიერ მღელვარებაში, საკუთარ გულწრფელ აღსარებაში, სადაც არც ერთი სიტყვა ყალბი, ზოგნილი, ტყუილი არ არის, სადაც ყველაფერი სიმართლითაა ნათქვამი, — შეუძლებელია ლიტერატურის კლასიკური სახე არ დავინახოთ. მხოლოდ გენიოსი მწერლები ახერხებდნენ ასე ღრმად გადმოეშალათ თავიანთი ტანჯული გმირების მთელი შინაგანი არსება, სული და გული, ეჩვენებინათ მათი ტანჯვის ოკეანისებური სიღრმე, ერთი სიტყვით, გმირთან ერთად ეპოქაც გამოეხატათ. ამ გმირთა, ლიტერატურის კლასიკურ სახეთა გალერეაში თავიდანვე შეეიდა გრიგორი მელეხოვი, როგორც XX საუკუნის ილიადის მთავარი მოქმედი პირი (მასებთან ერთად), რომელმაც თავისში, როგორც ტიპში, ყველა ის ტკივილი განასახიერა, რაც ადამიანთა მილიონებმა გადაიტანეს. გრიგორი მელეხოვი ლიტერატურის

ისეთივე კლასიკური სახეა, როგორიც შექმნეს გენიოსებმა რუსულ, ევროპულ, ქართულ, საერთოდ, მსოფლიო მწერლობაში!

მაგრამ გავაგრძელოთ რომანის შინაარსის გადმოცემა.

შინ დაბრუნებული გრიგორი მზადებას იწყებს ხვალვე გავიდეს სამუშაოდ, ხუთ დღეში როგორც თავისთვის, ისე სიდედრისათვის მოხნას და დათესოს, შემდეგ ასეულიდან გამოიძახოს პანტელეი პროკოფიჩი მუშაობის გასაგრძელებლად, თვითონ კი დივიზიას დაუბრუნდეს. ამ დროს მან პირველად შეამჩნია, რომ დუნიაშკა გაზრდილა, დაქალებულა, უკვე გათხოვება შეიძლება (გვ. 284). ამ ფიქრებში იყო გართული, როცა მასთან გამოცხადდა ქვრივი დარია, პეტროს სიკვდილის შემდეგ საოცარი სისწრაფით გამოკეთებული. პირველ ხანებში მან იდარდა, გულით დაიტირა ქმარი, თითქოს მოხუცდა კიდეც ამ გლოვაში, მაგრამ გაზაფხულის სიომ დაუბერა თუ არა, როგორც კი მზე გამოვიდა, დარიას სევდაც გაჰქრა. ძველი ეშხი, ძველი ანგლობა მას ისევ დაუბრუნდა, „მოზეიმე ცხოვრებამ თავისი გაიტანა“ (გვ. 285). და მისი საუბარი გრიგორისთან სავსეა კაცის ხელს მონატრებული, გამომწვევი, ეინით სავსე, აეხორცა ქალის ლექსიკონით. რას არ ეუბნება გრიგორის! როგორ აკრიტიკებს ნატალიას — პაულელს უწოდებს, რომ მოსვლისთანავე პირველ ღამეს ქმართან არ დაწვა. რაკი დარიამ შეატყო — გრიგორი შედარებით თავშეკავებულიაო, მაშინ ხუტორის ახალგაზრდა ქალების სახელით უთხრა: გუშინ მათ განმიცხადეს — კაზაკები არ არიან, თქვენი გრიშკა ჩამოვიდა, მაგრამ ცოლს არ შორდება. ჩვენ როგორღა ვიცხოვროთ? დაე, თუნდაც ის დაჭრილი იყოს, თუნდაც მისგან ნახევარი იყოს დარჩენილი იმისა, რასაც წინათ წარმოადგენდა, ჩვენ ამ ნახევრითაც ვიყოფილებთ კმაყოფილებას. უთხარი მას, ღამით ხუტორში სიარული არ დაიწყოს, თორემ უბედურებას შეეყრებაო (გვ. 286). და თითქოს დარიამ ასე უპასუხა მათ: არა, ქალებო, ჩვენი გრიშა მხოლოდ სხვების ხუტორებში დაძვრება მცირე ხნით, სახლში კი ნატალიას კალთას არ შორდება. ის ჩვენთან, დიდი ხანი არ არის, წმინდანი გახდაო (გვ. 286).

ეს წმინდა ყოფითი დეტალები პანორამულად წარმოგვიდგენენ შინ დარჩენილთა მდგომარეობას და რომანში აღწერილ დროს აძლევენ ისეთ ელფერს, რომ ყველაფერი ღებულობს ცოცხალ,

დამაჯერებელ სახეს. რამდენჯერ გვითქვამს და აქაც უნდა გავიმეოროთ, რომ შოლოხოვი მხატვრული დეტალების უდიდესი ოსტატია, ხოლო მისი ეპოსი სავსეა ამ მხატვრული დეტალებით, როგორც პეიზაჟებისა და პანორამების დაუსრულებელი რიგით. ადამიანმა რომ ცალკე ამოწეროს ეს მხატვრული დეტალები ან პეიზაჟები და პანორამები, სულ ცოტა, ერთი ტომი მაინც გამოვა. ცალკე შეიძლება თითოეულ მათგანზე გამოკვლევების დაწერა, იმდენად ვრცელია თვით მასალა და იმდენად ბევრია საინტერესო პრობლემები.

ვიდრე გრიგორი მელეხოვი ხუთ დღეს ატარებს ტატარსკში, სწორედ ამ დროს ხდება ფრიად მნიშვნელოვანი ამბები, ტრაგიკული ალსასრულით. აპრილის ერთ ღამეს, ხუტორ ბახმუტკინში განლაგებულ აჯანყებულთა ორი ასეულის მორიგე მცველები შეიპყრობენ უცნობს, რომელიც უმალ ტყვედ დანებდება მათ, იარაღსაც ნებით გადასცემს, თან მოითხოვს — თქვენს მეთაურთან მიმიყვანეთ, დიდი მნიშვნელობის საქმე მაქვსო. ეს ტყვე აღმოჩნდება წითელარმიელთა სერდობსკის პოლკის მეთაური ვორონოვსკი, რომელსაც გადაუწყვეტია (თანამგრძნობებიც ბლომად ჰყოლია), თავისი მებრძოლები აჯანყებულთა მხარეზე გადაეყვანა, ე. ი. რევოლუციისათვის ეღალატა. როცა ის ბრიგადის მეთაურ ბოგატირიოვთან მიიყვანეს (გზაში მას პორტსიგარი წაართვა აჯანყებულთა მცველმა, ახალგაზრდა ვიპრაკინმა), ვორონოვსკიმ განაცხადა, რომ ის წარმოშობით არისტოკრატია, მეფის არმიის შტაბს-კაპიტანი იყო, 1918 წელს საბჭოთა მთავრობის დეკრეტით გაწვეული იქნა, როგორც კადრის ოფიცერი, ამჟამად მეთაურობს წითლების სერდობსკის პოლკს, დიდი ხანია ცდილობს გადავიდეს აჯანყებულთა ჩხარეზე, მაგრამ დღემდე ვერ მოახერხა. ახლა ყველაფერი მზად არის. ჩემი თანაშემწე — ყოფილი პორუჩიკი ვოლკოვი, მთელი პოლკი, კომუნისტების გამოკლებით, მომზადებული მყავსო. ჩვენ ვდგავართ უსტ-ხოპერსკში, გვყავს 1200 კაცი, მათ შორის მხოლოდ 38 კომუნისტია, რომლებსაც შევიპყრობთ და გადმოგცემთო (გვ. 293).

ყოველივე ამის შესახებ გრიგორი ბოგატირიოვმა სასწრაფოდ აცნობა კუდინოვს, რომელმაც პასუხი არ დააყოვნა — ძალიან საინტერესო ცნობაა, წინადადებას გაძლევთ დათმობები გაუკეთოთ,

უთხარით, რომ მთელ პოლკს მიიღებთ, არც კი განაიარაღებთ, აუცილებელ პირობად მხოლოდ ის წაუყენეთ, რომ შეიპყრონ და გადმოგცენ კომუნისტები, მათ შორის, ცხადია, პოლკის კომისარი, რაც მთავარია — ჩვენი, ვეშენსკაიას, ელანსკისა და უსტ-ხოპერსკის კომუნისტები. შემდეგ კი, როცა პოლკი გადმოვა, ალყა შემოარტყი, მთლიანად განაიარაღე და ვეშკაში გამოაგზავნეო. განსაკუთრებით მკაცრი იყო მოთხოვნა — ყველა შეპყრობილი კომუნისტის მოსპობის გეგმა. ჩვენ მათ კი არ დავხვრეტთ, — ეს სახელს გაგვიტეხს — ხალხს მოვამზადებთ, ხალხის სამსჯავროს მოვაწყობთ, ხალხის რისხვას თავს დავატეხავთ, ჩავაჭოლვინებთ კომუნისტებს, — ეს თვითგანსჯა იქნებაო (გვ. 294—295).

გეგმა უაღრესად ეერაგული იყო. მართლაც ასე შეასრულეს. ამ დროს გმირულად დაიღუპა შტოკმანი, რომელმაც იგრძნო პოლკის მეთაურის გამყიდველობა (კომისარი უხერხემლო კაცი აღმოჩნდა, არ დაუჯერა გამოცდილ კომუნისტს), ზომებიც მიიღო, მაგრამ უველაფერი დაგვიანებული იყო. შტოკმანმა ისღა მოასწრო, რომ მიშკა კოშევოი წერილით აფრინა უსტ-მედვედეცში, წითლების მეთოთხმეტე დივიზიის პოლიტგანყოფილებაში. მეორე დღეს ვორონოვსკისა და ვოლკოვის ყალბი აგიტაციით მოტყუებულ სერდობსკის პოლკის ამბოხებულ წითელარმიელთა მიტინგი (გვ. 301—304), სადაც ტრიბუნაზე მოჰკლავენ მართალი სიტყვით გამოსულ შტოკმანს, შეიპყრობენ კომუნისტებს, მათ შორის პოლკის კომისარსა და ივან ალექსეევიჩს,—ერთი უმძიმესი სურათია, რომლის შემთხვევები არც ასე ცოტა იცის სამოქალაქო ომის ისტორიამ. რა თქმა უნდა, როცა გრიგორი ბოგატირიოვმა სერდობსკის პოლკი ხელთ იგდო, ვორონოვსკიმ და ვოლკოვმა ღონისძიებას, თუ როგორ მოატყუეს ისინი, მაგრამ რაღა დროს?!. ეს სცენები შოლოხოვს დაწერილი აქვს ძალიან ცოცხლად, დიდი დამაჯერებლობით.

აი, მიჰყავთ შეპყრობილი კომუნისტები; ხუტორიდან ხუტორში მათ ხვდება კონტრრევოლუციური აგიტაციით გაბოროტებული ბრბო, რომელიც ყოველგვარი იარაღითა და საშუალებით უმოწყალოდ, განუკითხავად სცემს, სისხლს ადენს ტყვედ ჩავარდნილ

კომუნისტებს. გულშემზარავია ყოველივე ამის წარმოდგენაც კი! მაგრამ ომის დროს რა არ ხდება?!

გრიგორი ისევ სოფელშია, ხუთი დღის მანძილზე ხნავს და თესავს, პანტელეი პროკოფიჩიც შინ დაბრუნდა. უკანასკნელი დღე იყო, გრიგორის განზრახული ჰქონდა კარგინსკში ჩასულიყო, მაგრამ უეცრად განუცხადა მამას: აღარ მივდივარო (გვ. 307). მიზეზი არ დაუსახელებია, მაგრამ პანტელეი მიხვდა რაშიც იყო საქმე: გრიშკა შეხვდა თავის „ძვირფას აქსინიას“. ქალმა რომ ეს სიტყვა გაიგონა საყვარელი კაცისაგან, მოფერებითი, ნაზი საყვედურების შემდეგ ის ისევ გაიტაცა გრძნობამ, ღიმილითა და სიხარულით აჩვენა გრიგორის ის ადგილი, სადაც მათი სიყვარული დაიწყო. გრიგორის ახსოვს ყველაფერი! თითქოს ამ საუბრით დამთავრდა ეს შეხვედრა. მაგრამ, არა! გრიგორი გადაწყვეტს შეუყოვნდეს ტატარსკში, ასე მალე არ წავიდეს კარგინსკში. აქსინიამ კი, აი, რა გააკეთა: სალამოს ჩუმად მივიდა დარიასთან, სახლში დაიბარა, ბეჭედი მისცა საზღაურად იმისათვის, რომ გრიგორი გაეფრთხილებინა — აქსინიასთან მიდიო (გვ. 310). და იმ ღამეს, გვიან, როცა ნატალიამ და ბავშვებმა დაიძინეს, გრიგორი მართლაც წავიდა აქსინიასთან. მეორე დღეს, კარგინსკში გამგზავრებისას, ნატალიამ ჰკითხა ქმარს — წუხელი ღამით სად იყავიო. ქმარმა ტყუილი უთხრა — კუდინოვი ჩამოვიდა და მას ვეახელიო (გვ. 311). ნატალია შეუყოყმანდა, თუმცა გრიგორიმ ვერ გაიგო — დააკერა ცოლი თუ ვერა.

კარგინსკში მიმავალმა გრიგორიმ დაინახა, რომ კაზაკებს მოკლულები მოჰყავდათ. ქუდი მოიხადა, ცხენიდან ჩამოვიდა. აღმოჩნდა, რომ მოკლულები იყვნენ გრიგორის ახლო ნაცნობები — ალიოშკა შამილი, ივანე ტომილინი და იაკობ პოდკოვი. საზარლად იყვნენ აჩეხილნი! გრიგორიმ გამოიკითხა მათი დაღუპვის დაწვრილებითი ამბები (გვ. 313—316), ყველაფერი შეიტყო, გამოეთხოვა კაზაკებს და კარგინსკის გზას დაადგა. ჩასვლისთანავე, სადღაც, რიაბჩიკოვი მონახა. მეორე დღეს ჩაიბარა დივიზია, გადაწყვიტა შეტევა მოეწყო სამხრეთისაკენ, უფრო იმ მიზნით, რომ ხელთ ეგდო ვაზნები, რის დიდ ნაკლებობასაც განიცდიდნენ. შეტევაზე მიმავალ გრიგორის გადასცეს კუდინოვის წერილი. მან

გაიგო, რომ სერდობსკის პოლკი დანებებულა, კომუნისტები შეუპყრიათ, მათ შორის კოტლიაროვი და კოშევოი, — როგორც კუდინოვი იწერებოდა (გვ. 319). გრიგორიმ უმალ შეცვალა მოქმედების გეგმა, თავისი მოვალეობა ისევ რიაბჩიკოვს გადააბარა, თვითონ კი დაუყოვნებლივ გაემართა ვეშენსკაიასკენ. მას სურდა გაეგო ვინ მოჰკლა ნამდვილად პეტრო მელეხოვი — მიშკა კოშევოიმ, თუ ივან კოტლიაროვმა. „...და სიკვდილისაგან ეხსნა ივანე, მიშკა!.. ჩვენს შორის სისხლი დაიქცა, მაგრამ ჩვენ ხომ უცხონი არა ვართო?!“ (გვ. 320), — ფიქრობდა გრიგორი და გახელებით მიაგელვებდა ცხენს.

ვიდრე გრიგორი გზაზეა, ჩვენ საშუალება გვეძლევა სხვა ამბებიც შევიტყოთ. ვეშენსკაიას სტანიცის სინგინის ხუტორის თავზე გამოჩნდება თვითმფრინავი, რომელიც მთელ სოფელს შეაშინებს, ვინაიდან ხმა გაავრცელეს — ყუმბარებს ჩამოაგდებენო. ხუტორელები გაიქცნენ, გარდა ერთი მოხუცი ქალისა, რომელსაც სირბილი არ შეეძლო და ყველას სთხოვდა — მიშველეთო! მის საშველად არავინ მობრუნებულა. მოხუცი ქალი ცოცხალ-მკვდარი ეგდო, შიშისაგან ბავშვური ცოდვა დაემართა (გვ. 326). თვითმფრინავიდან ორი კაცი გადმოვიდა — ერთი მფრინავი, მეორე — ოფიცერი პეტრე ბოგატირიოვი. ეს უკანასკნელი ბიძაშვილი იყო გრიგორი ბოგატირიოვისა, რომელიც ზემო დონის აჯანყებულთა მეექვსე ცალკე ბრიგადას მეთაურობდა. სწორედ ამ პეტრე ბოგატირიოვს პირველი შეხვდა იმ მოხუცი ქალის ქმარი, იცნო ის და საუბარი გაუმართა. როცა საუბარი დაამთავრა, ცოლისაკენ წავიდა, რომელიც საცვლებს იცვლიდა, ახარა — პეტრე ბოგატირიოვი ჩამოვიდა იმ თვითმფრინავით, ჩვენი შვილის — ტიხონის მოკითხვა ჩამოგვიტანაო.

თავის სახლში შეკრებილ მოხუცებს პეტრე ბოგატირიოვმა უთხრა, რომ ჩამოფრინდა დონის მთავრობის დავალებით, მისი ამოცანაა კავშირი დაამყაროს აჯანყებულ ზემოდონელებთან, დაეხმაროს მათ წითლებთან ბრძოლაში, თვითმფრინავებით ვაზნები ჩამოუტანოს და ოფიცრები ჩამოუყვანოს. დონის არმია მალე გადავა შეტევაზე მთელი ფრონტის გასწვრივ და შეუერთდება აჯანყებულთა ჯარებსო. საყვედურიც გამოთქვა: თქვენ ცუდად იმოქმე-

დეთ ახალგაზრდა კაზაკებზე, რომლებმაც ფრონტი მიატოვეს და თავის მიწაზე წითლები შემოუშვეს. თუმცა დონის მთავრობამ ეს გაპატიათ, რაკი გონს მოდით და სტანიცებიდან საბჭოთა ხელისუფლება განდევნეთ. მაგრამ ვინც ფრონტი მიატოვა, უველას გაწკეპლავენ სისხლის დენამდეო (გვ. 328).

საღამოს ხუტორ სინგინში ჩავიდა ზემოდონის აჯანყებულთა ჯარების სარდალი კუდინოვი და მისი შტაბის უფროსი ილია საფონოვი, გახარებულნი, რომ ბოგატირიოვი თეითმფრინავით ეახლა მათ. ბოგატირიოვთან მოლაპარაკება დაიწყო, მაგრამ ვნახოთ რა ხდება პარალელურად.

დატყვევებული ოცდაბუთი კომუნისტი მიჰყავთ ხუტორებში საწამებლად. გაქცევაზე ფიქრიც არ შეიძლება, ისე დიდი და ისე გამხეცებული ბაღრაგი მიჰყვება მათ. ივან ალექსეევიჩი კოჭლობით მიდის, გრძნობს, რომ აღსასრული ძალიან ახლოა, საიმედო არაფერი ჩანს. მაგრამ ერთმა ელანელმა კომუნისტმა კოტლიაროვს უთხრა: აჯანყებულები არ ხვრეტენო. ივან ალექსეევიჩს გაახსენდა, რომ აჯანყებულებმა მართლა გადმოისროლეს ლოზენგი: „ძირს კომუნა, ძარცვა-გლეჯა და დახვრეტებიო!“ (გვ. 329). რაღაც იმედი მიეცა, მაგრამ ივან ალექსეევიჩმა არ იცოდა, რომ ოფიციალურად დახვრეტების უარყოფა აჯანყებულებს სრულებით არ უშლიდა ხელს ტყვეები უფრო საშინელი წამებით მოეკლათ, მოსახლეობა გაეცოფებინათ და მათთვის დასაგლეჯად მიეგდოთ უმწეო ადამიანები. ტყვეები თითქოს ინტუიტურად გრძნობდნენ აღსასრულს, თუმცა რა საჭიროა ინტუიცია, როცა ხედავენ, თუ როგორ აწამებენ თითოეულ ხუტორში, როგორ სცემენ, სისხლს ადენენ, სიკვდილის პირამდე მიჰყავთ. ქალები უფრო შეუბრალებელნი არიან, გაცოფებულნი იმ აზრით, რომ კომუნისტებია მიზეზი მათი უბედურებისა, ქმრების ომში გაწვევისა, საერთოდ, უველა და უოველგვარი ტანჯვისა, რასაც ისინი განიცდიან. ივან ალექსეევიჩმა ხუტორ ტიუკოვნოვსკში გაატარა ცემა-გვემის დროს ასეთი სცენა დაინახა: შვიდი წლის ბიჭუნა დედას ეხვეწებოდა: „დედიკო! ნუ ურტყამ იმას! ოი, ნუ ურტყამ!.. მე მეცოდება! მეშინია! მას ტანზე სისხლი აქვს...“ და კოტლიაროვს გაახსენდა თავისი ცოლ-შვილი, უმალ დაებადა სურვილი: „ოღ-

ონდ კი მათ თვალწინ არ მომკლან! და... რაც შეიძლება მალე...“ (ვე. 333). იმდენად მძიმეა ეს სცენები, მწერალს ისე აქვს გადმოცემული, რომ ჩვენ გაგვიჭირდება მიახლოებითაც კი შევიძლოთ მათი აღწერა. გავიხსენოთ თუნდაც მებადრაგეთა უფროსი ვახმისტრი აკიმ ხაზონიჩი, რომელიც ტყვედჩავარდნილ კომუნისტებს წყლის დალევასაც კი უშლის — „კომუნისტები ადამიანები არ არიან!“ (გვ. 334). აბა, ასეთ ხალხთან მოხვედრილ ტყვეებს რა დღე დაადგებოდათ?!

მაგრამ რა ხდება ხუტორ სინგინში, სადაც კუდინოვი და საფრონოვი ჩავიდნენ პეტრე ბოგატირიოვთან? აჯანყებულთა ძალების უმაღლესი სარდლობის საიდუმლო თათბირზე გადაწყდა დახმარება ეთხოვათ დონის მთავრობისათვის — ატამან ბოგაევსკისათვის. საამისო წერილი თვით კუდინოვმა შეადგინა, მფრინავს გადასცა ნოვოჩერკასკში წასაღებად, ბოგატირიოვი კი სინგინიდან ვეშკაში წავიდა. აქედან იწყება მჭიდრო კავშირის დამყარება ზემოდონის აჯანყებულთა ძალების უმაღლეს სარდლობასა და დონის მთავრობას შორის. თითქმის ყოველდღე მოფრინავენ დონის მთავრობის ფრანგული აეროპლანები, რომლებსაც „მოჰყავთ ოფიცრები, მოაქვთ შაშხანის ვაზნები და უმნიშვნელო რაოდენობით ყუმბარები სამდიუმიანი ქვემეხებისათვის“ (გვ. 335). მფრინავებს მიჰქონდ-მოჰქონდათ აგრეთვე წერილები და პასუხები. დონის არმიის ახალი სარდალი გენერალი სიდორინი უგზავნის და უგზავნის კუდინოვს ოპერაციების გეგმებს, ბრძანებებს, ცნობებს, ინფორმაციებს, თუ წითელი არმიის რა ნაწილებს აგზავნიან აჯანყებულთა ფრონტზე. ამ მასალებს კუდინოვი უმკაცრესი საიდუმლოებით ინახავს, მხოლოდ რამღენიმე რჩეულ კაცს ანდობს გენერალ სიდორინთან მიმოწერას.

რაღა ემართებათ ამ ხნის მანძილზე უკვე ტატარსკში ჩაყვანილ ტყვე კომუნისტებს? მათ სასტიკად უსწორდებიან შინდარჩენილი, მხეცობისათვის წინასწარ შემზადებული ხუტორელები. როცა კოტლიაროვის გვერდით კოშევოი ვერ დაინახეს, უმალ იკითხეს. მიშკა სად არისო? მისთვისაც ანგარიში სურდათ გაესწორებინათ, იმის გამო, რაც კოტლიაროვ—კოშევოის უფროსობის დროს მოხდა. ერთადერთი სურვილი ივან ალექსეევიჩისა, როცა გამძვინვარებული ტატარსკელები დაინახა და მიხვდა უკვე აქე-

დან ცოცხალს ალარ გაუშვებდნენ, ის იყო, რომ ცოლ-შვილის თვალწინ არ მოეკლათ. ამიტომ ირგვლივ ეძებდა ვინმეს, რათა ეთხოვა მისთვის: თუ ჩემი ცოლი და პატარა ბიჭიკო აქ არიან, წაიყვანეთ, ჩემს მოკვლას ნუ აყურებინებთო! მის წინ დარია იდგა, გაბოროტებული, პასუხს მოითხოვდა — ქმარი პეტრო როგორ და რად მომიკალითო. კოტლიაროვი უარყოფდა — მე არ მომიკლავს, ნიშკა კოშეეოიმ ესროლა, პასუხს ვერ ვაგებო (გვ. 337—338). ბაგრამ არავის შეეძლო დარიას დაჯერება. ვიღაცამ შაშხანა მიაწოდა გაბოროტებით მთვრალ დარიას, რომელმაც ტყვია ხალხის თვალწინ, ივან ალექსეევიჩს პირდაპირ გულში დაახალა (გვ. 339—340). დარია უეჭველად სრულ ჭკუაზე არ იყო, როცა ეს ჩაიდინა, გაოგნებულ მდგომარეობაში მყოფს შემდეგ ალარც ახსოვდა, თუ საიდან გაჩნდა ან ვინ მისცა მას შაშხანა. კოტლიაროვს სიკვდილიც არ აცალეს: ანტიპ ბრეხოვიჩმა იაპონური შაშხანის დანიანი ხიშტი უმოწყალოდ რამდენჯერმე ჩასცა მომაკვდავს. მაგრამ „ძნელად და დიდხანს კვდებოდა ივან ალექსეევიჩი. უხალისოდ ტოვებდა სიცოცხლე მის ჯანმრთელ, მსხვილძვლიან სხეულს. ხიშტის მესამედ დარტყმის შემდეგაც კი ის კვლავ აღებდა პირს, გადმოყრილ, სისხლით ნაცხ კბილებს ქვეშიდან ისმოდა ჰიმვად-ხრინწიანი...ა-ა-ა- ..“ (გვ. 340). როცა ეს დაინახა, ბადრაგის უფროსმა ეახმისტრმაც ვეღარ მოითმინა, თავისი „წვლილი“ შეიტანა მხეცობაში: ნაგანით ბოლო მოუღო კოტლიაროვს. თითქოს ეს იყო სიგნალი, დაესივნენ ტყვეებს, დაუწყეს უმოწყალოდ ცემა, გაისმა შაშხანის სროლა... მალე ყველაფერი დამთავრდა.

როცა ერთი საათის შემდეგ გრიგორი მელეხოვი ტატარსკში მივიდა, დუნიაშასაგან შეიტყო რა საშინელებაც დატრიალდა იქ. უსიამოვნოდ განიცადა კოტლიაროვის მხეცური დაღუპვა. კოშევოისა და შტოკმანის ბედი იკითხა, მაგრამ დუნიაშამ უთხრა — ისინი მათთან არ იყვნენო. შევიდა ბეღელში, სადაც ტალახში ამოსვრილ, მთვრალ, ქვედა ნაწილში უსირცხვილოდ მოშიშვლებულ დარიას უგრძნობლად ეძინა იატაკზე, მძიმედ სუნთქავდა. უნდოდა სასტიკად ეცემა მისთვის კოტლიაროვის მოკვლის გამო, მაგრამ დარიას გრძნობა არ ჰქონდა. გონზე ვერც გრიგორის ფეხსაცმლის ქუსლმა მოიყვანა. — გესლიანო დედაკაცო! — ხრინწიანი ხმით

წარმოთქვა გრიგორიმ, თავზე ხელები შემოირტყა, გარეთ გავარდა, იმავე ღამეს, დედის უნახავად, ფრონტზე წავიდა (გვ. 342).

ასეთი საშინელებანი ხდება, ასეთი ქარიშხალი მძვინვარებს წუნარი დონის ნაპირებზე, ხუტორებსა და სტანიცებში!

მაინც რა იყო მიზეზი, რომ წითელი არმიის ნაწილებმა მთელი სამი თვის მანძილზე წარმატებას ვერ მიაღწიეს დონის არმიასა და ზემოდონის აჯანყებულთა ჯარების წინააღმდეგ ბრძოლაში? შოლოხოვმა, როგორც პირუთვნელმა სამხედრო ისტორიკოსმა და გენიალურმა მხატვარმა, აბსოლუტური სიზუსტით გვიჩვენა ეს მიზეზები. დავასახელოთ რამდენიმე მათგანი.

დონის არმიის სარდლობა, ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო მისიათა წარმომადგენლებთან ერთად, ამუშაებდა მოსკოვზე შეტევის, რუსეთის მთელ ტერიტორიაზე ბოლშევიზმის ლიკვიდაციის ფართო გეგმებს. შავი ზღვის ნავსადგურებში ჩამოდიოდნენ ტრანსპორტები სამხედრო აღჭურვილობით. საოკეანო გემებს მოჰქონდათ თვითმფრინავები, ტანკები, ზარბაზნები, ტყვიამფრქვევები, შაშხანები, სურსათი და ალკაზმულობა. მოჰყავდათ ჯორები, საწყობები სავსე იყო ამერიკული ფქვილით, შაქრით, შოკოლადით, ღვინით. ბოლშევიკების წარმატებებით დამფრთხალი კაპიტალისტური ევროპა გულუხვად უგზავნიდა სამხრეთ რუსეთს ყუმბარებსა და ვაზნებს, რაც მოკავშირეთა ჯარებმა ვერ მოასწრეს დაეხარჯათ გერმანიასთან ომში. „საერთაშორისო რეაქცია მოდიოდა დაეხრჩო საბჭოთა რუსეთი, რომელიც სისხლისაგან იცლებოდა“ (გვ. 343). ინგლისელი და ფრანგი ოფიცრები წვრთნიდნენ კაზაკებისა და დონის არმიის ოფიცრებს.

მეორე მხრივ, რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭო, რომელიც კარგად არ იყო გარკვეული ზემოდონზე აჯანყების ნამდვილ მასშტაბებში, საკმაოდ ენერგიულ ზომებს არ ღებულობდა მოწინააღმდეგის ასალაგმავად. როგორც თვით შოლოხოვი მოხდენილად ამბობს, „დიდი ხანძრის ჩაქრობას ცდილობდნენ პიქებიდან წყლის დასხმით“ (გვ. 344). არაჩვეულებრივად ზუსტი მითითებაა, როგორც იმის აღნიშვნა, თუ როგორ მოქმედებდნენ იმ დროს წითელი არმიის ნაწილები — დაჭსაქსულნი გარს ერტყმოდნენ აჯანყებულთა ტერიტორიას, გაუმიმულს ასოთხმოცდაათ კილომეტრზე დიამეტრით, მაგრამ მოქმედებდნენ დამოუკიდებ-

ლად, საერთო ოპერატიული გეგმის გარეშე, და მიუხედავად იმისა, რომ ოცდახუთიათასი მებრძოლი ჰყავდათ, ეფექტურ შედეგებს ვერ აღწევდნენ (გვ. 344).

მაგრამ გარდატეხის მომენტი ხომ უნდა დამდგარიყო?

სტანიცა ურიუპინსკში ალიმოვის მიერ შეკოწიწებული ჯანყება გამოააშკარავეს და ჩაახშვეს. ამან ხელი შეუშალა ხოპერის ოლქის კონტრრევოლუციურ ელემენტებს შეერთებოდნენ ზემოდონის ჯანყებულებს. მათში ჯანყებულთა ფრონტს მოადგნენ წითელი არმიის ახალი მაშველი ძალები. შოვიდა 33-ე ყუბანის დივიზია. დაწყებულ ბრძოლებში გრიგორი მელეხოვმა პირველად იგრძნო „ნამდვილი დარტყმის მთელი ძალა" (გვ. 346). მისი პირველი დივიზია ყუბანელებმა განდევნეს შეუსვენებლად. გრიგორი ტოვებს ხუტორებს და იხევს ჩრდილოეთისაკენ. იძულებული ხდება დატოვოს კარგინსკიც და შველა ითხოვოს. მედვედევი უგზავნის მას კარგად ეკიპირებულ რვა ცხენოსან ასეულს. ამან ერთბაშად შეაჩერა წითლების 33-ე დივიზიის წინსვლა, რითაც გრიგორიმ ისარგებლა ჩასულიყო ვეშკაში, კუდინოვთან სათათბიროდ.

როცა სარდალთან შევიდა, უცნაური სურათი ნახა: კუდინოვი ფეხებს აცლიდა ხელში დაჭერილ დიდ ბუზს, შემდეგ ყურთან მიიტანა და მის ბზუილს უსმენდა. „დაინახა თუ არა გრიგორი, ზიზღით და წყენით შეაგდო ბუზი მაგიდის ქვეშ. შარვალზე ხელისგული გაიწმინდა, დაღლილი სახით მიესვენა მოწმენდით გაკრიალებულ სავარძლის ზურგს" (გვ. 347). ცხარე ბრძოლებიდან ახლახან დაბრუნებულ მელეხოვს, ცხადია, ყოველივე ეს გააკვირვებდა და უცნაურად მოეჩვენებოდა. მან გულდასმით მოისმინა კუდინოვის ჩივილი: ჩვენი საქმეები კიდევ უფრო გაუარესდებაო (გვ. 347). მაგრამ გრიგორი, გვეუბნება რომანის ავტორი, «.. Не болел душой за исход восстания. Его это как-то не волновало» (გვ. 348). მისთვის სულერთი შეიქნა, რაც მოხდებოდა. რაღაც განურჩევლობის, გულგრილობის გრძნობა დაეუფლა გრიგორის არსებას. აქ შეიტყო მან, რომ გეორგაძე მოუკლავთ.—რაღაც ბნელი ისტორიაა მისი სიკვდილიო,—უთხრა კუდინოვმა. ვნანობ მცოდნე კაცი დაეკარგე, მე უიმისოდ ხელმოჭრილი ადამიანი ვარო. მადლობა მეთქმის, რომ პეტრო ბოგატირიოვი ჩამოფრინდა, თორემ სულ არავინ მყავს სიტყვა მაინც რომ ვუთხრაო.

მდგომარეობა მძიმეა. თუ დაგამარცხებენ, დონამდე დაიხიეო (გვ. 349).

სწორედ ამ საუბრის დროს შემოვიდა მეექვსე ბრიგადის მეთაური გრიგორი ბოგატირიოვი და კუდინოვს ვაზნები სთხოვა. საუბარი გაგრძელდა. კუდინოვმა მელეხოვს უთხრა, თუ უკან დავიხევთ, ყველანი უნდა მივატოვოთ, ვინც არმიაში არ არისო. გრიგორი გაოცდა: ჩვენი ოჯახები, ქალიშვილები, დედაკაცები, მოხუცები რაღას იზამენო? მელეხოვმა უცნაური პასუხი მოისმინა — „უკეთესია დეე ისინი ერთნი დაიღუპონ, ვიდრე ჩვენ ყველანი გავწყდეთო“ (გვ. 350). ამის შემდეგ კუდინოვმა გრიგორის გადასცა წითლების გაზეთში — „ვპუტი“—დაბეჭდილი წერილი — „აჯანყება ზურგში“, რომელშიაც ნათქვამი იყო. რომ დონის კაზაკობის აჯანყება, რომელიც დენიკინის აგენტებმა — კონტრრევოლუციურმა ოფიცრებმა გამოიწვიეს, რამდენიმე კვირაა გრძელდება. დახასიათებული იყო, ძალიან ნათლად და მკაფიოდ, შექმნილი ვითარება, ვეშენსკაიას, ელანსკის, ბუკანოვსკის აჯანყებულთა მოქმედებით დენიკინ—კოლჩაკისათვის პირდაპირი ხელშეწყობა, ხაზგასმული იყო, რომ ცენტრალურმა საბჭოთა ხელისუფლებამ ბრძანება გასცა უმოკლეს ვადაში ბოლო მოეღოს აჯანყებას (გვ. 351). ამ წერილმა გრიგორის ბევრ რამეზე აუხილა თვალი, აავსო გაბოროტებითა და წყენით. გრიგორიმ პირქუშად გაიღიმა. უეჭველად იმიტომ მოხდა ყოველივე ეს, რომ მას არ მოეწონა ყველა აჯანყებულის დენიკინთან შეწყვილება, მის თანაშემწედ ჩარიცხვა. — როგორც შოლოხოვი ამბობს, — და ეს მართალია: გრიგორის არ სურდა კოლჩაკ — დენიკინის მხარეზე ებრძოლა, თუმცა ხომ ფაქტი იყო, რომ აჯანყებულებთან მისი ყოფნა კონტრრევოლუციონერობას წარმოადგენდა.

პირველი განაწყენების შემდეგ, როცა შტაბიდან გამოვიდა, გრიგორი მიხვდა, რომ გაზეთში მართალი ეწერა. „მერე და ვინ ვართ ჩვენ? გამოდის, რომ თანაშემწეები ვართ მართლა, საწყენი არაფერია“ (გვ. 352). ასე ფიქრობდა გრიგორი და ესეც თავისებური გულგრილობა, გულცივობა იყო, რაც მას საერთოდ დასჩვევია მას შემდეგ, მატროსები რომ დახოცა სულიერი წონასწორობის დაკარგვის დროს. იგი „ცხოვრობდა უღიმღამოდ, უსიხარუ-

ლოდ", — გვეუბნება ავტორი, — და ერთადერთი, რაც მას ცხოვრებაში დარჩა (ყოველშემთხვევაში, გრიგორის ასე ეგონა, — ამბობს შოლოხოვი,) იყო ახალი ძალით აფეთქებული ენება აქსინიასადმი (გვ. 353). დაიბარა კიდეც ვეშკაში, როცა უკანდახევა მომიწევსო. სათანადო მითითებები ოჯახსაც გაუგზავნა (გვ. 354). აქსინია მართლა ჩავიდა ვეშკაში. პროხორმა, რომელიც გაქცეულ მოხუცებთან გამოთვრა, ცხენი, იარაღი და ტანსაცმელი დაჰკარგა (გვ. 369). ამ დროს წითლები მაგრად უტევენ აჯანყებულებს და რამდენადაც მეტ წარმატებას აღწევენ, მით უფრო ვრცელდება ჭორები — ყველა კაზაკს, ექვსი წლისას და ღრმა მოხუცებს აჩეხავენო (გვ. 371). გამართლდა გრიგორის აზრი, რომელიც კუდინოვს მოახსენა — წითლები ვეშენსკაიასთან გადასვლისათვის უფრო ხელსაყრელ მომენტს გამოიყენებენო (გვ. 377). თვით მას, პირველი დივიზიის მეთაურს, მძიმე ბრძოლები აქვს. „ომის ხუთი წლის მანძილზე გრიგორიმ პირველად ნახა" არაჩვეულებრივი პოზიციური სურათები (გვ. 382). მძიმე მდგომარეობაშია ვეშკაც. ამ დროს აქსინია ცხოვრობს სტანიცის გარეუბანში, ნათესავთან. სროლა არ წყდება. ერთხელ, ფანჯარასთან მიმჯდარმა აქსინიამ უეცრად დაინახა ცხენზე ამხედრებული გრიგორი, მაგრამ ხმა ვერ მიაწვდინა (გვ. 383). ბოლოს ისინი შეხვდნენ ერთმანეთს, პროხორის წყალობით, და ორი დღე-ღამე ერთად გაატარეს სიყვარულის ორგიებში. რომანის ეს ადგილები საესეა ლირიზმით, სიყვარულით, ეჭვით, გატაცებით, ყველაფრით, რაც ორი, უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანის გულსა და გრძნობას შეუძლია განასახიეროს (გვ. 383—387).

მესამე დღეს გრიგორი ტატარსკში წავიდა იმის გასაგებად, თუ როგორ იცავენ ხუტორს და სად არის მისი ოჯახი. ნატალიას თურმე ტიფი დამართვია, ის უგონოდ არის. სიმამრის სახლ-კარი მიშკა კოშევოის გადაუწვავს (გვ. 390). ასე უთხრა გრიგორის პანტელეი პროკოფიჩმა. კოშევოი გრიგორისაც დამუქრებია — სიკვდილით დაისჯებაო. სტეფანე ასტახოვსაც შეხვდა — რაკი მომესალმა, მაშასადამე, არაფერი იცის, რომ აქსინია ვეშკაში ჩემთან არისო, — გაიფიქრა გრიგორიმ (გვ. 391). ორი დღის შემდეგ იგი თავის დივიზიაში დაბრუნდა. პირველი შეხვედრისთანვე კუდი-

ნოვთან წალაპარაკება მოუვიდა (გვ. 392—394) — საპირადო ინტერესებისათვის არ ვიბრძვიო. კუდინოვმა მას წააკითხა წითლების ბრძანება, სადაც ეწერა, რომ საზიზღარი დონის აჯანყების აღსასრულის უკანასკნელმა საათმა დაჰკრა. ძმათა მკვლელ კაენებისათვის სამაგიეროს მიზღვევა დაიწყო. ისინი უნდა მოისპონ. არავითარი დანდობა იმ სტანიცებს, რომლებიც წინააღმდეგობას გასწევენ. შეწყალება მხოლოდ იმათ, ვინც ნებაყოფლობით ჩააბარებს იარაღს და ჩვენს მხარეზე გადმოვა. „კოლჩაკისა და დენიკინის თანამემწეების წინააღმდეგ—ტყვია, ფოლადი და ცეცხლი!“ (გვ. 395). პირდაპირ ასე ეწერა. მელეხოვმა ისიც გაიგო, რომ დონი უნდა გაწმენდილიყო რამდენიმე დღეში. წითელი არმია ძლევაშოსილად ანვითარებდა შეტევას.

აჯანყების უსახელო დღეები მართლაც დათვლილი იყო. ბევრგან უკვე წითლები იყვნენ. მიშკა კოშევოი წითელარმიელებს ხუტორ კრუჟილინში — შოლოხოვის მშობელ სოფელში შეჰყვა. მან არაერთ ბრძოლაში მიიღო აქტიური მონაწილეობა. შტოკმანისა და კოტლიაროვის ტრაგიკულად დაღუპვამ მასზე ძალიან მძიმედ იმოქმედა. ის მთელი ძალით ეკვეთა საზიზღარი მოღალატეების ბუდეებს, დაანგრია, რასაც მისწვდა, ცეცხლსა და გენიას მისცა მათი სახლები, ქონება. გადაწვა კორშუნოვების სახლ-კარი. მოხუცი გრიშაკა, რომელმაც სახლი არ დატოვა, საკუთარი ხელით მოჰკლა (გვ. 404). საბჭოთა ხელისუფლების მტრებს უმოწყალოდ ჭეხვა დაუწყო. ილინიჩნა გააფრთხილა — დუნიაშკა მიყვარს, არავისზე გაათხოვო, თუ მომკლეს, მხოლოდ მაშინ დააქორწინე სხვაზეო (გვ. 405—406). მოკლე ხანში წყნარი დონი ცეცხლის ალში გაეხვია. მარტო კოშევოიმ ტატარსკში გადაწვა შვიდი სახლი, რომლებიც ეკუთვნოდა ვაჭრებს — მოხოვსა და ატეპინს, მღედელ ვისარიონს, მამამთავარ პანკრატის და კიდევ სამ მდიდარ კაზაკს. ცეცხლის ენები მაღლა იწევენ, ირგვლივ კვამლისა და დამწვრის სუნია.

ასეთ მდგომარეობაშია წყნარი დონი: პრომეთეს ალით იწვიან სახლები, ეზოები, მთელი ხუტორები და როგორღაც თავისებურ ირონიად გვეჩვენება ამ ფონზე თვით ეს სახელი — წყნარი დონი! არა, დონი მართლაც წყნარი მდინარეა, მაგრამ ადამიანებმა დაანთეს ჩაუქრო-

ბელი ხანძარი მის ირგვლივ, გრიგალი და ქარიშხალი ატეხეს, ცეცხლსა და გუნიას მისცეს სიმშვიდე, ნორმალური ცხოვრება, როცა მამა შვილზე მიიწევს, ძმა ძმას არ ინდობს, მეზობელი მეზობელს სპობს, ერთი სიტყვით, ადამიანები მგლებივით მისეულან ერთმანეთზე. სრული კონტრასტია წუნარ დონსა და მის ირგვლივ აბობთქრებულ ცხოვრებას შორის, ისეთივე კონტრასტია, როგორც შეიძლება არსებობდეს ცეცხლსა და ყინულს, ცასა და მიწას, დაბალსა და მაღალს შორის. წარმოიდგინეთ ეს კონტრასტი თუნდაც იმით, რითაც „წუნარი დონის“ მესამე წიგნი მთავრდება“ «Внизу, в Татарском, на фоне аспидно-черного неба искристым лисьим хвостом распушилось рыжее пламя. Огонь то вздымался так, что отблески его мережили текучую быстринку Дона, то ниспадал, клонился на запад, с жадностью пожирая строения... С востока набегал легкий степной ветерок. Он раздувал пламя и далеко нес с пожарища черные, углисто сверкающие хлопья...» (გვ. 407).

განა ამის შემდეგ საჭიროა კიდევ რაიმე ითქვას?

ტეტრალოგიის მესამე წიგნის აპოთეოზი მგონი თვითონვე საკმაოდ ნათლად მეტყველებს თავის თავზე და კრიტიკოსის მიშველიებას სრულებით არ საჭიროებს.

ახლა გადავშალოთ „წუნარი დონის“ მეოთხე წიგნი.

ტეტრალოგიის უკანასკნელი მეოთხე წიგნი იწყება ზემოდონის აჯანყების შემდეგ არსებული სიტუაციის აღწერით. ავტორი პირდაპირ სამხედრო ისტორიკოსის სიზუსტით გვიჩვენებს აჯანყების შედეგებს, ძალების ურთიერთგანლაგებას, რაოდენობას, ხანგრძლივობით ჩამოვარდნილ სიჩუმეს, რამაც საშუალება მისცა დედაკაცებს ღამღამობით მოსულიყვნენ, მოეტანათ პური, არაყი, თვით მებრძოლები „საჭმელით უზრუნველყოფილი იყვნენ“, რაკი „დაკლეს ორი ირაო ხბო, ამის გარდა ყოველდღე ტბაში თევზებს იჭერდნენ“ (გვ. 4—5). ამ საქმეში თავგამოჩენილი იყო ხრისტონია, რომელსაც საყვედურებით ავსებდა თევზის მყრალი სუნით შეწუხებული ანიკუშკა. ეს სურათები, ხრისტონიას და ქოსა ანიკეის დიალოგები ისე ბუნებრივად გადმოუცია ავტორს, რომ ნაწყვეტების მოტანას საილუსტრაციოდ აზრი არა აქვს, დაჰკარგავს თავის ბრწყინვალებას. მათი კამათი, გონებამა-

ხვილობა, ოხუნჯობა, ცხოვრებისეული წვრილმანებით არის სავსე (მაგალითად, ხრისტონიას შინ გაკეთებული დანის გაწმენდა შარვალზე, მისი დაცინვა ანიკესადმი — „ჩანს მუცლის ჭია გყავს, რომ თევზის სუნს ვერ იტან. უზმოზე ნიორი ჭამე, კარგიაო“).

და აქ, ამ სიტუაციაში, ავტორი ჩრუელიად მოულოდნელად გამოაჩენს სტეფანე ასტახოვს, რომელიც მაძღრობისაგან მბიარულ კაზაკთა შორის ერთადერთია მოწყენილი. „გულმა უგრძნო თუ ხუტორელ კაზაკებისაგან გაიგო, აქსინია ვეშენსკაიაში გრიგორის ხვედბაო, სტეფანემ უცებ მოიწყინა, უმიზეზოდ წაეჩხუბა ოცეულის უფროსს და ყარაულში წასვლაზე ცივი უარი განაცხადა“ (გვ. 6). მისი ეს სულიერი გრადაცია მთელი ორი დღე გრძელდება, სტეფანე მიწურში ოხრავს და თამბაქოს ხარბად ეწევა, მესამე დღეს ვეშენსკაიაში მიმავალ ალისთაე ანიკუშკას აბარებს — „აქსინია ნონახე და ჩემი სახელით გადაეცი, სანახავად მოვიდესო“. გრიგორისთან წაჩხუბებული აქსინია უმალ აბრუელებს მეუღლის თხოვნას, ტატარსკელების ასეულში მიდის. „მორჩილი ცოლის“ აქსინიასა და გულგასენილი სტეფანე ასტახოვის შეხვედრა, მიწურში საუბარი, სულიერი დრამა ამ ორი ადამიანისა, რომლებსაც ცალ-ცალკე თავისი დიდი სატკივარი აქვთ, — ისე დამაჯერებლადაა გადმოცემული, იმდენი შინაგანი ნიუანსითაა სავსე. რომ მკითხველს ბოლომდე არწმუნებს — ვერც აქსინია, ვერც ასტახოვი სხვაგვარად ვერ მოიქცეოდაო. ცოლ-ქმრული მოვალეობისა და ძლიერი სიყვარულის გრძნობა ერთნაირად როდი ტანჯავს აქსინიას. პირველს შედარებით იოლად გაუძლებდა, მეორე კი მისთვის პირდაპირ საბედისწეროა. რომანის დასაწყისში მისი გაბედული პასუხები პანტელეი პროკოფიჩისადმი — „გრიშკა ჩემია! ჩემი! ჩემი!“ თითქოს აქაც გვესმის, ამდენი ხნისა და ამდენი ტანჯვის შემდეგ, რაც აქსინიამ გადაიტანა. ქმართან მოსული, მისი საცლების გასარეცხად ტბის ნაპირთან მუხლებამდე წყალში მდგომი, ისევ და ისევ გრიგორიზე ოცნებობს, თუმცა უსიამოვნება მოუვიდათ, ფიქრობს „ეგება ახლა უკვე მეძებს? ამაღამვე დავბრუნდები სტანიცაში!“.— მტკიცედ გადაწყვიტა აქსინიამ და გრიგორისთან შეხვედრისა და მასთან სწრაფი შერიგების ფიქრს გაუღიმა“ (გვ. 8). ასე იცის სიყვარულმა: ზოგჯერ მოვალეობასაც დააიწყებინებს ადამიანს, განსა-

კუთრებით ისეთს, როგორიც აქსინიაა — თავდადებულს, ძლიერს, სიყვარულისათვის ყველაფრით დაჯილდოებულს.

აქსინიას ცხოვრება ერთი გაბმული ტანჯვაა სიყვარულისა და სიბრძნეების შესაყართან. არასოდეს მელეხოვზე გული არ შეუცვლია, მისდამი სიყვარულისათვის ყველაფერი დათმო, დაიღუპა კიდეც. აქსინია სიყვარულში შეუპოვარი, გულადი, თავდადებულია, გრიშკა უყვარს არა ეროტის კარნახით. ეს მხოლოდ მეორე რიგის საკითხია, პრევალირებული ჩანს მისი სულისა და გულის მოთხოვნა, რომელსაც ჩვენ უანგარო სიყვარულს ვეძახით. იშვიათი გარეგნული, ქალური სილამაზე ალაღებს და აბედნიერებს აქსინიას, მაგრამ იგივე სილამაზეა მისი ყველა უბედურების მიზეზი თავიდანვე, როცა ორმოცდაათი წლის საკეთილდღეო გამამ ძალით ნამუსი ახადა თავის ქალიშვილს. ფრანჩესკო ჩენჩის ისტორიული ფაქტი, ასე ოსტატურად გადმოცემული შელის ტრაგედიასა და სტენდალის „იტალიურ ქრონიკებში“, ჩენჩისა, რომელმაც ვერ მოახერხა ბეატრიჩეს გაუპატიურება და არსებითად ქალიშვილის (აგრეთვე მეორე ცოლის) მიერ დაქირავებული მკვლელის ხელით დაიღუპა, აქაც განმეორდა — აქსინიას მამა, საზარელი დანაშაულის გამო, ცოლ-შვილმა რტყმევით მოჰკლა. ასე ლამაზი რომ არ ყოფილიყო, აქსინია ბევრ უბედურებას აიცდენდა, ის ხომ პირველი არავის მისდევს, ყველა მიპკენ გარბის, მელეხოვმაც რა არ იღონა, ოღონდ აქსინიას გული მოეგო. ახლაც, ქმრისაგან წამოსულს, ღია ველზე ჩაძინებულს, თეთრებილა ახალგაზრდა კაზაკი თავს წამოადგა, ხელის მოხვევნა და კოცნა დაუპირა. ძლივს, ძლივს შეიძლო აქსინიამ ვნებისაგან აღტყინებული კაზაკი თავიდან მოეშორებინა. რაღაც ანდამატური მიზიდულობის ძალა აქვს ამ ქალს, მამაკაცები მისთვის ხელდებიან! გარდა ამისა, როგორც გრიგორი ამბობს, აქსინია „ალერსიანი, კეთილი დედაკაცია“ (გვ. 418).

მაგრამ დავანებოთ თავი აქსინიას. ჩვენ მას კვლავ არაერთხელ შევხვდებით რომანის დამთავრებამდე. ის ვეშკაში მიდის, გრიგორიც იქაა, დაე, წავიდეს, შეხვდეს მელეხოვს, შემდეგ კი ვნახოთ რაც მოხდება. მანამდე ისევ ავტორის სიუჟეტურ ქარგას მივყვეთ.

ღამით, ხუტორ მალაია გრომჩონკთან, წითელარმიელებმა მოულოდნელად შეუტიეს კაზაკების ასეულს და დაამარცხეს, თუმცა

ბოლომდე ვერ გაანადგურეს. ეს ბატალია შოლოხოვმა ისე აღწერა, რომ ორივე მხარის ნაკლი და შეცდომები გამოააშკარავა. შეუფერავად, რეალიზმის მოთხოვნათა დაცვით ისიც გვიჩვენა, თუ რა მძიმეა სამოქალაქო ომი, ხშირად ქაოსის სახეს რომ ღებულობს. დამარცხებული კაზაკები, მათ შორის ხრისტონია და პანტელეი პროკოფიჩი გარბიან. მამაცი გრიგორი მელეხოვი პირველს ცხენით დაეწევა და მათრახით ზურგს აუჭრელებს. ნაკლები ღვე არც პანტელეი მელეხოვს დაადგებოდა, რაკი გრიგორი მასაც დაეწია, აკუწვით დაემუქრა, ლანძღვა-გინებით — ძაღლისშვილო — მიუახლოვდა. თურმე ეს „სერთუკიანი კაზაკი“ მამა ყოფილა — ძლივს იცნო, ისიც მაშინ, როცა გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილმა პანტელეიმ თავისი თავი თვითონვე გაამჟღავნა. მართლაც სასაცილო იყო მისი გულმოსულობა და საყვედური შვილისადმი — რატომ ვერ მიცანიო! აბა, ზურგიდან როგორ უნდა ეცნო გრიგორის თავისი მამა, რომელსაც კოჭლობა უკვე არ ეტყობოდა, სხვისი სერთუკი ეცვა და გაქცევაში დოღის ცხენის სისწრაფე ჰქონდა. შეუძლებელია არ გაიღიმოთ მის პასუხზეც: „სერთუკი მართლაც რომ სხვისი მაცვია, ახალ ქურქში გადავცვალე, ქურქი სათრევად მძიმე იყო. კოჭლობაზე კი აბა რა მოგახსენო!.. რა დროს კოჭლობაა, ძმაო, როცა თვალწინ სიკვდილი ატუზულა? ამ დროს ფეხი ვილას ახსოვს“... (გვ. 21). არც პანტელეის ახსოვდა, მაგრამ შვილისაგან უნებლიეთ მიყენებული დამცირება ვერ დაივიწყა. ამიტომ თანამგზავრ მოხუცს საყვედურით უთხრა: „ნახე როგორი შვილები იზრდებიან ახლა? იმის ნაცვლად, რომ მშობელს პატივი სცეს, მაგალითად, ბრძოლიდან გაათავისუფლოს, პირიქით ცდილობს... რომ შიგ ბრძოლაში გაგზავნოს. დიახ... არა, საწყალი პეტრო, ღმერთმა აცხონოს, უკეთესი იყო! ალალი გული ჰქონდა, ეს გრიშკა კი დამთხვეულია, თუმცა დივიზიის უფროსია, დამსახურებულიცაა და სხვა ასეთები, მაგრამ პეტროს არა ჰგავს. მთლიანად ხორკლებითაა დაფარული და ვერც ერთს ხელს ვერ შეახებ... ეს მე სიბერეში მახათს შემირჩობს და ისე ამსვამს ღუმელზე!“ (გვ. 22). მაგრამ, როგორც კი მოხუცისაგან გრიგორის ქება მოისმინა — „რა გმირი ვაჟი მოგცა ღმერთმა! ნამდვილი არწივია! როგორ გადაჰკრა ხრისტონიას ბეჭებზე! ერთ წუთს ყვე-

ლაფერი კალაპოტში ჩააყენაო", — პანტელეი პროკოფიჩი სიამოვნებით დაეთანხმა მოხუცს, მშობლიური გრძნობით აღტაცებამ უმალ დაავიწყა რამდენიმე წუთის წინათ ხმარებული სიტყვები და შემდეგი ათქმევინა: „ასეთი შვილები ქვეყანაზე იშვიათია! განა საჭუმარო საქმეა, მკერდი ჯვრებით აქვს სავსე. აი, პეტრო, ღმერთმა აცხონოს, თუმცა ღვიძლი შვილი იყო და პირმშოც, მაგრამ ამასთან სად მოვიდოდა. ის ძალიან ჩუმი იყო, ჭირმა წაიღოს, რალაც აკლდა. გული ჩვილი ჰქონდა დიაცივით. ეს კი პირწავარდნილი მამაა — მაჯობა კიდეც მამაცობით!" (გვ. 23).

თუ ასე ღრმა ფსიქოლოგიური ნიუანსებით გვიხატავს ადამიანებს, შოლოხოვი როდი ერიდება ასევე ფართოდ გახელილი თვალით შეგვახედოს ყველგან, რასაც წარმოგვიდგენს. მთელი გარესამყარო მის შემოქმედებაში რალაც უცნაურად არის გადაშლილი, როგორც საუკეთესოდ ილუსტრირებული ფოლიანტი. ვკითხულობთ მის სტრიქონებს, ვათვალიერებთ მრავალფერად ნახატებს, ვაკვირდებით ვარეკანსაც და თითოეული გვერდის არშიასაც. მთელი ეს ვრცელი ფოლიანტი ისე იჭრება ჩვენს გონებაში, სულსა და გულში, როგორც ყრმობის დროს შესწავლილი მომხიბლავი ლექსი. აი, გარბის ამხედრებული მელეხოვი. ტყვიები მოუკლავენ ცხენს, ჩამოხტება, თვალებში რააცქერდება, ენა დაებმება, დაქვეითებულ კაზაკს უბრძანებს — „ერთი ტყვიით გაათავეო" (გვ. 24). მწარეა მისი განცდა, მაგრამ ნახეთ როგორ კვდება ადამიანის ეს უერთგულესი მეგობარი. არა, ეს ადგილი მთლიანად უნდა წავიკითხოთ, თუნდაც ჩვენი დებულების დასამტკიცებლად:

„უმბარამ რომ მიწა შეაზანზარა, კაზაკების ცხენებმა თითქოს საერთო ბრძანება შეასრულესო, მწყობრად უკანა ფეხებზე დაიწიეს და გაკურცხლეს; გრიგორის ცხენი მძიმედ შედგა ყალყზე, შეტორტმანდა და ნელა გვერდზე გადაიწია. გრიგორი საჩქაროდ ჩამოხტა ცხენიდან და ალვირი დაუჭირა. კიდევ ორმა ყუმბარამ გადაიქროლა და შემდეგ ტყის მიდამოებში საამური სიწყნარე ჩამოვარდა...

გრიგორის ცხენი ხრიალებდა და უკანა ფეხებს ასავსავებდა. ყვითელკბილებიანი პირი გატანჯულად გაეღო. ხავერდივით ნაცრისფერ ღრაფზე ვარდისფერი ქაფი ედო, მთელი ტანი ძლიერად

უკანკალებდა, წაბლისფერი ბალნის ქვეშ ტალღისებურად მოსდებოდა კრუნჩხვა.

— გათავდა საწყალი? — ხმამაღლა შეეკითხა ჰენებით მოსული კაზაკი.

გრიგორი ჩაფერფლილ თვალებში ჩასცქეროდა ცხენს. დუმდა. ცხენი როგორღაც დაბნეულად აჩქარდა, გაიჭიმა და უცებ მუხლებზე დაეცა. გრიგორიმ ჭრილობაზე არც კი დახედა, ცოტათი უკან დაიხია. ცხენმა თავი დაბლა დახარა, თითქოს პატიებას თხოვდა პატრონს. მერე ყრუ კვნესით გადაწვა გვერდზე, ეცადა თავის აწევას, მაგრამ ვერ შესძლო, ეტყობა უკანასკნელი ძალა გამოელია: კანკალმა უკლო, თვალები ჩაეფერფლა და კისერზე ჭირის ოფლმა გამოჟონა.

მხოლოდ გაბრებზე, ჩლიქების ბოლოს, კიდევ უფეთქავდა უკანასკნელი ძარღვი. ოდნავ ძაგძაგებდა უნაგირის გადატეხილი ფრთა.

გრიგორიმ ცერად გადახედა ცხენის მარცხენა გავას და დაინახა გახეთქილი ღრმა ჭრილობა, საიდანაც ნაკადულივით თბილი შავი სისხლი დიოდა“ (გვ. 23—24).

შეუძლებელია გულისტკივილი არ იგრძნოთ, როცა ამ ადგილს წაიკითხავთ, თუმცა ადამიანებიც ისევე იხოცებიან ომში, როგორც მელეხოვის ტაიჭი მოკვდა. იხოცებიან და სხვებს ატირებენ, რომლებსაც, შესაძლოა, სიკვდილის ცელი ხვალ ან ზეგ მისწვდება დროებით ცოცხლად დარჩენილთა საგოდებლად.

კრიტიკულად ვიხილავთ „წყნარ დონს“ და ყველგან გულისწყვეტა გვაქვს, რომ ყველაფერს ვერ გადმოვცემთ, იძულებული ვხდებით ბევრი, ძალიან ბევრი რამ გამოვტოვოთ. გვენანება, მაგრამ რას ვიზამთ! „წყნარი დონი“ დეტალურად რომ განვიხილოთ, არამარტო წლებია საჭირო, პირველი დაბრკოლება მოცულობაა, რომლის საზღვრები ძნელია დავადგინოთ — ორი დიდი ტომის დაწერა, როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, მინიმუმად უნდა ჩაითვალოს. როცა კინო ვერ ახერხებს ყველაფერი გვიჩვენოს, რაც ამ რომანშია; კრიტიკოსს მით უფრო უნდა გაეწიოს შეღავათი. ჩვენ რომ საშუალება გვქონდეს ყველაფერი ვთქვათ „წყნარ დონზე“ — ვიმეორებთ, ორი ტომიც არ გვეყოფოდა. ამიტომ

ვცდილობთ ძირითადი მომენტები თუ პრობლემები მაინც არ გამოგვრჩეს. მკითხველის წინაშე ეს ბოდიშის მოხდა კი არ არის, მხოლოდ რეალური ფაქტის აღიარებაა.

ამიტომ ვტოვებთ მელეხოვის ცხენის დაკარგვის შემდეგ ბრძოლის აღწერას, ბრძოლისა, რომლის დროსაც „დონის პირას აბ თექვსმეტი წითელარმიელი დაიღუპა. ყველანი ინტერნაციონალური ასეულის კომუნისტები იყვნენ“, რომლებსაც „დაჭრილი შეთაური“ ხელმძღვანელობდა“ (გვ. 27).

ამ ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ გრიგორი შინ ბრუნდება და პროხორი ზიკოვს ეკითხება — აქსინიასი რა ამბისო. ისევე, როგორც აქსინიას, გრიგორისაც არასოდეს შორდება ფიქრი სატრფოზე — ისინი ერთმანეთს ვერასოდეს ივიწყებენ. ორივეს სიყვარულის უძლიერესი გრძნობა ამოძრავებთ და როგორც ბავშვები, წაჩხუბების შემდეგ, პირველი შეხვედრისთანავე შერიგდებიან ხოლმე. რამდენი სიხარული, ბედნიერება, უნეტარესი წუთებია ამ უძლიერეს სიყვარულში და რამდენიტანჯვა, ეკალ-ბარდი, რამდენი უმძიმესი განსაცდელია! „ვარდი უეკლოდ არავის ჰოუკრებია“, — განა მართალს არ ამბობს სულმნათი რუსთაველი? ამბობს სიყვარულზე, და უეკლო სიყვარული დღემდე არავის გაუცდია, არც არსებობს. ის რა სიყვარულია, თუ სიხარულთან ერთად წუხილიც არ ერთვის? დღემდე არსებული საკაყვარულო ისტორიები, რომლებიც ასე ოსტატურად გადმოგვცა მხატვრულმა ლიტერატურამ, განა ტანჯვა-სიხარულის, ბედნიერება-უბედურების, ნეტარება-მწუხარების, დაცემა-ადგომის, ამაღლება-დამდაბლების, ერთი სიტყვით, წინააღმდეგობებით აღსავსე ფენომენი არ არის? ჰომეროსის ეპოსს თავი რომ დავანებოთ, ანტიკურ ტრაგედიაში, მედეადან მოყოლებული, სულ ამგვარი საკაყვარულო ისტორიებია. შუა საუკუნეების რომანებში ეს ტრაგიკული ბაზი კი არ სუსტდება, ახალ შარავანდედს იდგამს, და ჩვენ ამ ტრაგიკულის გარეშე ვერ წარმოგვიდგენია ტრისტანის სიყვარული იზოლდასადმი, ვერც სხვა უთვალავი სასიყვარულო თავგადასავლები რაინდულსა და ჩვეულებრივ რომანებში. ბედნიერი სიყვარული რუსთაველის გმირებისა ავთანდილ — თინათინისა, ტარიელ—ნესტანისა რამდენი ფათერაკის, რამდენი ცრემლთა ღვრის, რამდენი

ტანჯვა-განსაცდელის შემცველი იყო, ხოლო შექსპირმა ოტელო—დეზდემონას, აგრეთვე რომეო—ჯულიეტას სახით გამოაჭანდაკა სიყვარული, როგორც ტრაგიკულში განხორციელებული ბედნიერება. განა მელეხოვ—აქსინიას სიყვარულიც ტრაგიკულში ხორცშესხმული ბედნიერება არ არის? განა ისინი არ ამშვენებენ სასიყვარულო ისტორიების მონაწილე გმირთა მსოფლიო გალერეას, შესაძლებელი რომ იყოს ყველა მათგანის თავმოყრა ერთ აპარტამენტში, როგორც აწყობენ ხოლმე პლანეტის ფერწერულ შედევრთა გამოფენას? არისტოტელეს ერთიანი ფაბულისადმი პატივისცემის მიუხედავად, ჩვენ მაინც ვისურვებდით „წყნარი დონიდან“ გვეხილა აქსინია — მელეხოვის ცალკე გამოყოფილი სიყვარულის ისტორია, როგორც ტრაგედია. შოლოხოვი ამ მხრივაც მსოფლიოს დიდი მწერლების ავანპოსტზეა.

მაგრამ სიყვარულზე უფრო დიდი მოვლენები ხდება ამქვეყნად, სიყვარულზე უფრო დიდი სიხარულიც არსებობს, დიდი ტანჯვაც და დიდი უბედურებაც. სოციალური სფერო გაცილებით უფრო რთული პრობლემა შეიქნა ადამიანისათვის, ვიდრე სიყვარულის გრძნობაა. დონის მარტო ერთი ხუტორი, რომელშიაც მელეხოვები ცხოვრობენ და სადაც ჯოჯოხეთი ტრიალებს — ხან წითლების ხელშია, ზოგჯერ თეთრებს უკავიათ, ნათლად გაგრძნობინებთ სოციალურის უმძიმეს ტრაგედიას. აი, ხუტორი წითლებს უკავიათ, მაგრამ დონის გაღმიდან მოულოდნელად აიმალნენ კაზაკები, მოადგნენ წითლებს და გააქციეს. ჭაღარა ილინიჩნასა და ნაავადმყოფარ ნატალიას სიხარულს პირდაპირ საზღვარი არა აქვს, — იქნებ გრიგორი დაბრუნდესო, — მაგრამ იგი არა ჩანს. „ნაპირზე მხოლოდ გამხდარი პანტელეი პროკოფიჩი დახვდათ. მოხუცმა, უპირველეს ყოვლისა, ხარები, ქონება და ხორბალი იკითხა, ცრემლი ჩამოჰყარა, როცა შვილიშვილებს მოეხვია. ხოლო კოჭლობით და აჩქარებული ნაბიჯით თავის მშობლიურ ეზოში რომ შევიდა — გაფითრდა, მუხლებზე დაეცა, განიერად გადაიწერა პირჯვარი, აღმოსავლეთისაკენ თავი დახარა და ცხელ დაგვალულ მიწაზე დიდხანს ჰქონდა დახრილი ჭაღარა თავი“ (გვ. 42—43). ვინ იცის, თუ რამდენჯერ აუწიოკებიათ დონის ველები როგორც მომხდურ ონავრებს, ისე შინაურ აშლილობას. მაგრამ ის, რაც სამოქა-

ლაქო ომის დროს მოხდა, ამბები, რომლებსაც შოლოხოვი ასე დიდი სიმართლით მხატვრულად აგვიწერს, მგონი ვერ შეედრება ვერც ერთ წინანდელ ისტორიას. წითლები მიდიან, ისევ თეთრები ბრუნდებიან, მათ გარეკავენ, ისევ პირველების ძალაუფლება მყარდება. ყველაფერი ისე დულს, როგორც ეშმაკეულ ზღაპრულ ქვაბში. ყველაფერი ისე ბრუნავს, როგორც დოლაბი. ამ გაქცევა-გამოქცევის, წასვლა-მოსვლის, განდევნა-დამკვიდრების სურათები ხშირად მძიმე სანახავია. ირგვლივ პარტახი ბატონობს. თითქოს საყოველთაოდ ქცეულა შემდეგი სურათი: „დონიდან ხუტორ ბაზკამდის, სამი ვერსის მანძილზე, აჯანყებულთა მიერ მიტოვებული ათასობით ურმები და ბრიჩკები იდგა. მთელ ტყეში ეყარა მიმოფანტული ჭონება: დამტვრეული სკივრები, სკამები, ტანსაცმელი, ცხენის კაზმულობა, ჭურჭელი, საკერავი მანქანები, ხორბლიანი ტომრები, — ყველაფერი, რაც უკან დახევის დროს მეპატრონეთა დიდი სიხარბის გამო დონიდან მიეტანათ; ალაგ-ალაგ გზაზე, მუხლამდის დაბნეული ოქროსფერი ხორბალი და აქა-იქ გაბერილი, გახრწნისაგან დამახინჯებული აყროლებული ხარებისა და ცხენების ლეში ეყარა“ (გვ. 47). ასეთ პირობებში რომელ სიყვარულზე შეიძლება ლაპარაკი ან ვის შეიძლება სიყვარულის დრო ჰქონდეს? ქვეყანა ომის გენიას მოუცავს, ყველაფერი ბეწვზე ჰკიდია, ყველა თავისი სიცოცხლის შენარჩუნებაზე ფიქრობს — ესაა მათთვის მთავარი საზრუნავი და სიყვარულისათვის ვინ მოიცლის?!

ეტყობა, ასე მსჯელობა მთლად სწორი არ არის, ვინაიდან ამ ურთულეს პირობებშიაც, ომის გენიაშიც ძლიერი სიყვარული თავის თავს არ კარგავს, არ ღალატობს, საკმარისია წუთიერი სულის მოთქმა, რომ პრომეთეს ცეცხლივით აგიზგიზდეს. მელეხოვისა და აქსინიას სიყვარული ამგვარი და ამ პირობებში მოქმედი ვულკანია, რომლის ჩაქრობა მარტოოდენ სიკვდილს შეუძლია. სიკვდილამდე კი მათი სიყვარული ალმოდებული პატრუქივით იწვის.

ასე რომ არ ყოფილიყო, ბრძოლის ქარცეცხლიდან სულ მოკლე ხნით გამოსული მელეხოვი „ერთი წუთით ლისტნიცკების მამულში“ არ შეივლიდა — იქ მისი და აქსინიას გოგონას საფლავია. როცა ვინმე გიყვარს, მისი ყველაფერი გიყვარს. მელეხოვსაც უყვარს ეს პატარა საფლავი, როგორც აქსინიას სულის ნატეხი, და აქსინიასაც უყვარს, რაკი იქ გრიგორის ასულია დამარხული. და-

აჯანყებულია თუ არა ლისტნიცკების გაპარტახებული მამული, სევდამორეულმა გრიგორიმ საკუთარი ხელით გაუთხარა საფლავი პაპა საშკას, მოხუცი დამარხა გოგონას საფლავის გვერდით. თითქოს ამით გადაუხადა მადლობა დახმარებისათვის — პაპა საშკამ ცხიაბარა აქ, ლისტნიცკების მამულში, აქსინიასა და გრიგორის გოგონა. შემდეგ „მოგონებებით დამწუხრებული გრიგორი მისთვის ძვირფას პატარა საფლავთან წამოწვა მწვანეზე და დიდხანს გასცქეროდა დიდებულად გადაშლილ ლაჟვარდ ცას. სადღაც, უსაზღვრო სივრცის ზენიტში, ქარი დასეირნობდა, მიცურავდნენ მზის სხივებით გაშუქებული ცივი ღრუბლები, დედამიწაზე კი, როგორც ელმაც ეს-ესაა ლოთი და მხიარული მეჯინიბე პაპა საშკა ჩაიბარა, ისევე გამომწვევად დუღდა სიცოცხლე; ტრამალზე, ბალის გვერდით მივიწყებულ ძველ კალოს ღობემდე მწვანე ნიალვარივით მოვარდნილ გარეული სელის ნაყარში განუწყვეტლივ მოისმოდა მწყერების ჭვითჭვითი, თრითინების სტვენა, კვლების ბზუილი; ნიავისაგან სიამოვნებით ბიბინებდა ბალახი; სიცხის ბუღში გალობდნენ ტოროლები; ხოლო მთელს ბუნებაში ადამიანის ძალისა და სიდიადის მაუწყებლად სადღაც შორს ხრიოკზე, დაჟინებით, ბოროტად და ურუდ კაკანებდა ტყვიამფრქვევი“ (გვ. 53). ასეთია შელეხოვის ირგვლივ გარემო და ცხოვრება, გაბმული ფერადი ლენტის მსგავსად მიედინება სიკვდილ-სიცოცხლე, როგორც ურთიერთგამომრიცხველი და ურთიერთშემცველი ფენომენები. ნამდვილი მორევია, ხოლო თუ ფეხი ერთხელ მაინც დაგიცდა, უფსკრულში გადაეშვები. მელეხოვს ფეხი დაუცდა, გრძნობს, რომ უბედურების წინაშე დგას, მაგრამ ბოლომდე ჯერ კიდევ არა აქვს შეგნებული საბედისწერო შეცდომის ყველა სავალალო შედეგი. მერყეობს, ეჭვდება, ფიქრობს, განსჯის, მაგრამ ბოლომდე ვერ მიდის. დაბნეულია და მაინც იმედი აქვს გამოსავალი მოინახება. ამიტომ არ უფრთხის არც ბრძოლას, არც ინტიმურ ცხოვრებას. ორიენს ჯიქურ ეკვეთება ხოლმე. ახლაც, გენერალ სეკრეტოვთან ერთად ნადიმზე მყოფი, სპირტისაგან თავბრუდახვეული, აქსინიას შამიდასთან მიდის, სადაც თავისი სატრფო ეგულება. მიდის და ხედავს, რომ აქსინიას ქმარი სტეფანე ასტახოვი მაგიდას მიჯდომია, არყის ბოთლი დაუდგამს, თევზსაც აყოლებს. ადვილი წარმოსადგენია რა უნდა მოხდეს, როცა ქმარი და საყვარელი ასე მო-

ულოდნელად შეხვდებიან ერთმანეთს აქსინიას მამიდის სახლში. გრიგორის არც დაუმალავს — სანახავად მოვედიო. „სტეფანე დუმდა. უხერხული სიჩუმე იქამდის გაგრძელდა, სანამ დიასახლისმა არ გაბედა გრიგორის მიპატიჟება... გრიგორის ახლა აღარაფრის დაფარვა არ შეეძლო. ახლა, როცა გრიგორი აქსინიას ბინაზე მივიდა, სტეფანესთვის ყველაფერი ნათელი გახდა. გრიგორიმ გულდაგულ დაიწყო:

— მეუღლე სადა ბრძანდება?

— შენ... მის სანახავად მობრძანდი? — ჩუმად, მაგრამ გასაგებად შეეკითხა სტეფანე და ათრთოლებული წამწამებით თვალები დახუჭა.

— იმის სანახავად, — ოხვრით აღიარა გრიგორიმ...

— არაყზე გავგზავნე, ახლავე მოვა. დაჯექი, მოუცადე" (გვ. 62). სტეფანე სკამს მიაწვდის გრიგორის, მაგიდასთან მიიწვევს, ჭიქებსაც მიუჯახუნებენ. დიასახლისი უსაზღვროდ კმაყოფილი იყოო, — გვეუბნება ავტორი, — ჩხუბი რომ არ ატყდა, პირიქით, სტეფანე „ცოლის საყვარელთან ერთად ჩუმად იჯდა მაგიდასთან" (გვ. 63). გრიგორის შეკითხვაზე — რატომ ასეულში არა ხარო, სტეფანე უპასუხებს — „მეც სანახავად მოვედიო". ორივე აქსინიას სანახავად მოსულა! მოვიდა აქსინიაც, მაგრამ ჯერ მან ვერ იცნო გრიგორი, შემდეგ კი, „შავ გაფართოებულ თვალებში საშინელმა შიშმა გაუელვა. სუნთქვა შეეკრა და ძლივს წარმოსთქვა:

— გამარჯობათ, გრიგორი პანტელეევიჩ!

სტეფანეს მაგიდაზე დიდი, ძარღვიანი ხელები ოდნავ აუკანკალდა, გრიგორიმ ეს შეამჩნია და უსიტყვოდ, ჩუმად დაუკრა თავი აქსინიას" (გვ. 64).

ფსიქოლოგიურად დაძაბულ ამ სურათს მწერალი კიდევ უფრო ამძაფრებს არა მარტო აქსინიას მიერ ნერვიულობისაგან ლამბაქის უნებლიე დამსხვრევით, არა მარტო სტეფანესაგან მიწოდებული არაყის დალევაზე ცოლის რამდენჯერმე კატეგორიული უარით. თითქოს ყველაფერი ეს საკმარისი არ იყო, ავტორმა შემდეგი სცენაც დაურთო: „სიჩუმეში მკაფიოდ მოისმა, თუ როგორ მძაფრად და მძიმედ სუნთქავდა მაგიდასთან მჯდარი აქსინია

— ... დავლიოთ, ჩემო მეუღლევ! ეს დიდი ხნის განშორებისა იყოს! მაშ არ გინდა? არ დალევ?

— შენ ხომ იცი...

— ახლა მე ყველაფერი ვიცი... მაშ, განშორებისას ნუღარ დავლევთ! ძვირფასი სტუმრის გრიგორი პანტელეევიჩის სადღეგრძელო იყოს!

— მაგის სადღეგრძელოს დავლევ! — ხმამაღლა თქვა აქსინიამ და ჭიქა ბოლომდის დაცალა.

— ვაი შენს თავსა! — ჩაიჩურჩულა დიასახლისმა და სამზარეულოში გავიდა" (გვ. 65). იმ შიშით მოელოდა წუთს, როცა საშინელი აურზაური დაიწყებოდა.

მაგრამ დრო გადიოდა, ხიჩუმე არ ირღვეოდა. გრიგორის ეგონა, რომ სტეფანე საცემრად გაიწევდა, მაგრამ სულ საწინააღმდეგო მოხდა: ცემის მაგიერ, აღფრთოვანებულმა სტეფანემ ცოლს უთხრა: „ყოჩაღ მეუღლევ! მიყვარხარ, რომ თამამი ხარო!" (გვ. 66). დიახ, ეს სითამამე იყო, მაგრამ გრიგორი მელეხოვისადმი სიყვარულის გრძნობა ისეთი ძლიერი ჰქონდა აქსინიას, რომ მზად იყო მისთვის თავიც გაეწირა. ასე იცის ნამდვილად ძლიერმა სიყვარულმა, რომლის დაოკება შეუძლებელია თუ თვითონვე არ გაჰქრა. მელეხოვისა და აქსინიას სიყვარულს კი რა გააქრობდა, უფრო ძლიერდებოდა, წინააღმდეგობანი და სიძნელენი თითქოს უფრო აკაჟებდნენ ამ ორი ადამიანის სასიყვარულო გრძნობას.

იმ დროს, როცა სტეფანემ ცოლს უთხრა — „მიყვარხარ, რომ თამამი ხარო!" — პროხორი შემოვიდა გენერალ სეკრეტევთან მელეხოვის წასაყვანად. მაგრამ „ჯერ კიდევ პროხორის მოსვლამდე გრიგორიმ რამდენჯერმე სცადა წასვლა. ჩიქას გვერდით დგამდა, დგებოდა და იმწამსვე ისევ ჯდებოდა, ეშინოდა, რომ მისი წასვლა სტეფანეს აშკარა სიმხდალეში არ ჩამოერთმია, თან სიამაყე ნებას არ აძლევდა აქსინია დაეტოვებინა და სტეფანესათვის აღგილი დაეთმო. გრიგორი სვამდა, მაგრამ არაყი მასზე აღარ მოქმედებდა. ფხიზლად აწონ-დაწონა თავისი ორჭოფული მდგომარეობა და უცდიდა ფინალს. გრიგორის ერთ წუთს მოეჩვენა, — სტეფანე აქსინიას დაარტყამდა, როდესაც მან გრიგორის სადღეგრძელო დალია" (გვ. 68). მაგრამ პირიქით მოხდა, როგორც ეს

უკვე ვნახეთ; სტეფანემ ცემის მაგიერ შეაქო მეუღლე სითამამისათვის. ახლა კი, როცა პროხორი მოვიდა, გრიგორის წასელა აუცილებელი იყო და აქსინიას დაჟინებითი მოთხოვნით იგი წავიდა. გათენებისას მივიდა ტატარსკში ოჯახის სანახავად. როცა „აჩქარებით შევიდა სახლში“, წინ შეეგება „ნახევრად ჩაცმული ნატალია“. დააკვირდით ადამიანის სულის რა დიდი ცოდნითაა აღწერილი ეს სცენა: „გრიგორის დანახვაზე მისი (ნატალიას — გ. ჯ.) ნამძინარევი თვალები სიხარულის ისეთი მგზნებარებით ციმციმებდნენ, რომ გრიგორის გული უცებ აუჩქროლდა და მოულოდნელად ცრემლი მოადგა თვალზე. ნატალია ჩუმად ეხვეოდა თავის ერთადერთ ნუგეშს და მთელი ტანით ეკვროდა მას. თან მხრები აუთრთოლდა და გრიგორი მიხვდა, რომ იგი ტიროდა“ (გვ. 69).

და რამდენი მიზეზი ჰქონდა საბრალო ქალს ამ ტირილისათვის! ვინც რომანი გულდასმით წაიკითხა, ვინც ნატალიას განელილ ცხოვრება იცნობს, ის ადვილად მიხვდება, თუ რატომ უნდა ატირებულიყო, სიხარულთან ერთად, ეს ტანჯული ქალი, რომელიც ეს-ესაა წამოდგა ლოგინიდან, ჯერაც კარგად ვერ არის, „სახეზე ნაზი ვარდისფერი გადაჰკრავს“ — ჭლექის ეს ადრეული გარეგნული ნიშანი, თმებიც ცვივდება — „თითქმის სულ გამცვივდა, მალე მელოტი გავხდებიო“, — ეუბნება გრიგორის (გვ. 77). უბედური ქალია, მაგრამ ახლა ბედნიერია, რაკი მეუღლე გვერდით ჰყავს, თან ეფერება, მაშინ, როცა „გრიგორი წინათ არასდროს არ ეალერსებოდა ხოლმე ნატალიას. მთელი სიცოცხლე აქსინია ჩრდილავდა ნატალიას“ (გვ. 78). განა ცოლისათვის ამაზე უფრო დიდი უბედურება არსებობს? ნატალია უეჭველად ტრაგიკული პიროვნებაა, აქსინიას მსგავსად, მაგრამ თითოეული მათგანის ტრაგედია ისევე განსხვავდება ერთმანეთისაგან, როგორც ნატალია არა ჰგავს აქსინიას და პირიქით. ბედნიერი წუთები მისთვის იმდენად იშვიათია, რომ „მოულოდნელად ქმრის მიერ ასეთი გრძნობის გამომჟღავნებამ ნატალია შეაშფოთა, აღელვა, იგი მთელი სხეულით აენთო, გრიგორის ხელი ნაზად აიღო და ტუჩებთან მიიდო“ (გვ. 78). მეტი ვერაფერი მოახერხა, მაგრამ რამდენი გულწრფელობა, სიყვარული, სინაზე, მორიდებულობა, ერთი სიტყვით, რამდენი ადამიანური გრძნობაა ჩაქსოვილი ამ პატარა შტრიხში — „გრიგორის ხელი ნაზად აიღო და ტუჩებთან მიიდო“. ნატალიას

ეს ფსიქოლოგიური განცდა მისი არსების სრული ადექვატური გამოხატულებაა. მორჩილი ცოლი, რომელიც ტრაგიკულად განიცდის თავის ბედს — ქმარი ჰყავს, მისგან შვილებიც, მაგრამ პირველი, გარდა იურიდიული კანონისა, მისი არ არის — ფაქტიურად სხვისია, სხვას ეკუთვნის, წაართვეს ერთადერთი ნუგეში, ვინც უყვარს და ვისაც მთელი მისი სიცოცხლე ეკუთვნის.

მაგრამ არც გრიგორია ბედნიერი. პირველად იყო, რომ ცრემლი მოერია გუშინ შინ დაბრუნებისას. მიზეზი თვითონაც ვერ ახსნა. წინა ღამეს ბევრი არაყის დალევას მიაწერა. მიზეზი კი თითქოს სხვა იყო. შინაურებთან გამოთხოვება რაღაც ჯოჯოხეთად ექცა. მიშუტკა ატირდა, თუმცა მანამდე თავს იკავებდა. ილინიჩნამ დალოცა, მაგრამ რაღაც ცუდი წინათგრძნობა ჰქონდა. თვით გრიგორი მისთვის შეუცნობელ კანკალს აეტანა. ის ხომ პირველად არ მიდიოდა „იქითკენ, სადაც შავი სიკვდილი ელით კაზაკებს, სადაც, კაზაკური სიმღერისა არ იყოს, „შიში და უბედურებაა ყოველღღე, ყოველ წუთს!" — მაგრამ არასოდეს დაუტოვებია გრიგორის ხუტორი ასე მძიმე გულით, როგორც ამ ალერსიან დილას... გზაჯვარედინზე, სადაც მტვრიანი გზა წისქვილთან უხვევდა, უკან მოიხედა. ჰიშკართან ნატალია იდგა და დაფიონის გრილი ნიავი მის ხელში შავ სამგლოვიარო თავშალს აფრიალებდა" (გვ. 83). ეს იყო საშინელი, თან მოახლოებული უბედურების ნამდვილი წინათგრძნობა, ადამიანს რომ გაუელვებს ხოლმე, თუმცა არავინ იცის საიდან, როგორ, რატომ ან რა მანქანებით.

სახლიდან ასე დამძიმებული გრძნობით წასული მელეხოვი უმალ ჩაება უსტ-მედვედიცას ბრძოლებში. მის თვალწინ გადაიშალა ომის შემზარავი სურათები. „მთელ გზას წითელი ნაწილების საჩქაროდ უკან დახევის ნაკვალევი ემჩნეოდა. მრავალი ორთვალა და ბრიჩკები ეყარა გზაზე. ხუტორ მატვეევის იქით, ხევში, ყუმბარებით დამსხვრეული ქვემეხები იდგა, რომელსაც საამწყობო ღერძიანი დასაფარი გადატეხილი ჰქონდა. წინა ხელნებზე სადავეები ცერად ჩამოეთალათ. ხევიდან ნახევარი ვერსით, მლაშობაში, მზით გადამხმარ ბალახებზე აუარებელი მკვდრები ეყარა, რომელთაც ხაკისფერი ხალათები და შარვლები, ფეხსახვევები და მძიმედ შემოკვედილი ფეხსაცმელები ეცვათ. ესენი წითელარმიელები იყვ-

ნენ, რომლებსაც კაზაკები დასწეოდნენ და აეჩეხათ“ (გვ. 84). გრიგორიმ ნაღვარევში დაინახა მოკლული ქალი, „სახეზე ლურჯი ქვედა ტანის კალთა ეფარა“, „ფეხები უსირცხვილოდ და საშინლად გაეჩაჩხა, მარცხენა ხელი ზურგქვეშ ჰქონდა ამოდებული“ (გვ. 84—85). როცა გრიგორი ცხენიდან ჩამოხტა და ქუდი მოიხადა, ქალისაკენ დაიხარა, რათა მკვდრისათვის კაბა გაესწორებინა, — გვეუბნება ავტორი. ამ შტრიხით იმასაც გვაგრძნობინებს, რომ მიუხედავად ომებში განცდილი სისასტიკისა, მელეხოვში მაინც ცოცხლობს ადამიანური სითბო, მისი გული ქვად არ არის ქცეული და შემთხვევითი როდია სიტყვები — „ეგება დავმარხოთო“, რაზედაც პროხორის აღშფოთებულ ცივ უარს მიიღებს — „ჩვენ რა, ნარდად ავიღეთ ყველა მკვდრის დამარხვა თუ?“ (გვ. 85). და პროხორს თავისი გააქვს — საფლავი რით გავთხაროთ, ჭვალვისაგან გამხმარ მიწას ხმლით კერაფერს დავაკლებთო!

ყველაფერი ამით როდი თავდება. მოკლული ქალის სურათი ისეა აღწერილი, რომ ჟრუანტელი აგიტანთ, უეცველად სიბრალულის გრძნობა დაგეუფლებათ. გრიგორიმ დაინახა, რომ მოკლული „ქალის შავგვრემანი ახალგაზრდა სახე სიკვდილის შემდეგაც ლამაზი იყო. გატანჯულ ამოხრილ წარბებქვეშ ოდნავ ბეუტავდა ნახევრად ღია თვალები. ლამაზი მოყვანილობის ღია ტუჩებშუა სადაფივით კბილები უბრწყინავდა. თმის პატარა კულულს დაეფარა ბალახზე მიკრული ლოყა. ამ ლოყაზე, რომელზედაც სიკვდილს უკვე ზაფრანის ყვითელი ფერი დაედო, ჭიანჭველები ფუსფუსებდნენ“ (გვ. 85). ასე შემზარავი სურათების უთვალავი რაოდენობით მნახველ კაცს — მელეხოვს, ბუნებრივია, არამარტო სიფხიზლეში, ძილშიაც მოსვენება არ ექნებოდა. მკითხველი ამას მთელი რომანის მანძილზე გრძნობს და ავტორიც ოსტატურად გვარწმუნებს თავისი გმირის ტრაგედიაში. ეს გმირი ის კაცია, რომელსაც განათლება არა აქვს, სამრევლო სკოლა ძლივს დაუმთავრებია, როგორც თავისივე შტაბის უფროსს კოპილოვს ეუბნება, მაგრამ ცხოვრების ორომტრიალმა რა არ დააკისრა!

წლების მანძილზე გაუთავებელმა ომებმა და ბრძოლებმა მოღალა, მოტეხა ისეთი ბრგე ვაჟკაცი, როგორიც გრიგორი მელეხოვია. მას უკვე ტანჯავს ყველაფერი, რაც ირგვლივაა, და გასაკვირიც არ არის, რომ სურს გათავდეს ეს დაუსრულებელი ბრძოლა,

შინისაკენ გასწიოს, ისევ ოჯახს, ისევ მიწას დაუბრუნდეს. ამიტომ, როცა პროხორი ეკითხება: „რას იტყვი პანტელეევიჩ, არ კვარა დედამიწაზე სისხლისღვრა?“

გრიგორი უმალ აძლევს პასუხს:

„— მგონი კვარა.

— შენის აზრით, მალე გათავდება ეს ყველაფერი?

— როგორც კი ცხვირ-პირს ამოგვამტვრეენ, მაშინვე გათავდება.

— რა მხიარული ცხოვრება დადგა! მხოლოდ ეშმაკის გასახარელი. ნეტავი, მალე მაინც ამოგვამტვრიონ ცხვირ-პირი. გერმანიის ომში განგებ თითს გაიჭრიდა კაცი და სრულიად ანთავისუფლებდნენ სამსახურიდან. ახლა კი მთელი ხელიც რომ მოიგლიჯო, სულ ერთია, გამსახურებენ. ხელმოჭრილები, კოჭლები, ბრმები, თიაქრიანები — ყველა ნაძირალა მოპყავთ მწყობრში, ოღონდ ორივე ფეხზე დაბობღავდეს. განა ასე ომი დამთავრდება? რა ეშმაკი მოერევა ყველას!“ (გვ. 85—86).

პროხორის ეს სიტყვები კარგად გამოხატავს იმ გულგატეხილობასა და შინაგან სულიერ დაშლას, რაც სამოქალაქო ომის ბოლო წელს, როცა საბჭოთა ხელისუფლების მტრებმა ვერაფერი გააწყვეს, მათ ბანაკში გამეფდა. ისიც ნათლად ჩანს, რომ მებრძოლებისათვის სამოქალაქო ომი გაცილებით უფრო მკაცრი იყო, ვიდრე თვით პირველი მსოფლიო ომის ფრონტებზე ყოფნა. თუ ასე ფიქრობს პროხორი, ის მარტო როდია. იმ დროს, რომელსაც ეს დიალოგი შეეხება, პროხორ—მელეხოვის ბანაკში ძალიან ცოტა იყო სხვა აზრისა. მელეხოვის შტაბის უფროსი კოპილოვიც „ომს გარდუვალ ბოროტებად თვლიდა და მის დაბოლოებას სასოებით მოელოდა. ახლაც (ბრძოლის დაწყების წინ — გ. ჯ.) იმაზე კი არ ფიქრობდა, თუ როგორ გაიმლებოდა უსტ-მედვედიცკაიაში შეტევის ოპერაცია, არამედ, ნათესაები, მშობლიური სტანიცა აგონდებოდა და ნატრობდა: „რა კარგი იქნება, შინ შვებულებით თვენახევარი მაინც წავსულიყავიო...“ (გვ. 91). დივიზიის უფროსსაც— მელეხოვსაც იგივე განწყობილება ამოძრავებდა. მართალია, მელეხოვმა მწიგნობრულად არ იცოდა, რაც ხდებოდა, მაგრამ პრაქტიკულად ყოველთვის გრძნობდა. ნურც მოსთხოვთ მას, გაუნათ-

ლებელ კაცს, მწიგნობრულ ფილოსოფიას. მეტაფიზიკაში ის ძალიან სუსტია, არაფერი იცის. უფრო ძლიერია პრაქტიკულ ფილოსოფიაში, მაგრამ იქაც დიდი ჩავარდნები აქვს, რაკი სწორი გზა ვერ უპოვია. რა ვუყოთ რომ დივიზიის მეთაურია, რა ვუყოთ რომ ნიჭიერი, გაბედული კაცია! განათლება, სწავლა-განათლება არა აქვს და ეს არაერთგზის განაპირობებს მის დაბნეულობას. ვინ იცის — მელეხოვს კლასიკური ცოდნა რომ მიეღო, მისი შესანიშნავი მასალისაგან რა ძვირფასი Montur-ი შეიკერებოდა. პკუა-გონებით, სამხედრო გამოცდილებით, მიხვედრილობით გრიგორი მელეხოვი უეჭველად მაღლა დგას ბევრ თეთრ გენერალზე, რომლებსაც უმაღლესი განათლება მიუღიათ, მათ ნაკლს კარგად ხედავს, და შემთხვევით არ ეუბნება კოპილოვს: „...ბატონმა გენერლებმა ამაზედაც უნდა იფიქრონ, რომ რევოლუციის შემდეგ ხალხი სხვანაირი გახდა, ახე ვთქვათ, თითქოს ახლად დაიბადაო! ისინი კი ისევ ძველი ადლით ზომავენ, ადლი კი, საცაა გადატყდება... საერთოდ მოუქნელი ხალხია გენერლები და მათ ტვინზე ცოტა საცხის წასმა სწორედ მისწრება იქნება, რომ აღარ ჭრიალებდნენ“ (გვ. 95).

მელეხოვი ამაყობს ოფიცრის ხარისხით, რომელიც გერმანიის ომში სისხლით დაიმსახურა, მაგრამ ოფიცრების საზოგადოებას მაინც ვერ ეგუება. როცა იქ მოხვდება, ისე ეჩვენება, თითქოს „თბილი ოთახიდან შიშველ-ტიტველი ყინვაში“ მოხვდა. თუ მას შეეკითხებით — რატომ ხდება ასე, უმალ გიპასუხებთ: „იმიტომ, რომ მე იმათთვის თეთრი ყვავი ვარ. იმათ სუფთა ხელები აქვთ, მე კი მუშაობისაგან დაკოჟრებული, ცხენის ფლოქვისნაირი. ისინი ფეხებს კოხტად აფრატუნებენ, მე კი მოვტრიალდები თუ არა, რამეს უნდა წამოვედო. იმათ სურნელოვანი საპნისა და დედაკაცების მალამოების სუნი ასდით, მე კი ცხენის შარდისა და ოფლის სუნით ვყარვარ. ისინი ყველა ნასწავლია, მე კი სამრევლო შკოლა ძლივს დავამთავრე. მე იმათთვის თავფეხიანად უცხო ვარ. აბა. რად უნდა იყოს ასე! რატომ ხდება, რომ იმათ გავცილდები თუ არა, ისე მეჩვენება, თითქოს სახეზე ობობას ქსელი გადამეკრა: მიღიტინებს, მაწუხებს და უმალ მინდა სახე გადავიწმინდო ხოლმე... არ უნდათ შეიგნონ, რომ ძველი ყველაფერი სამუდამოდ ჩაინთქა... ჩვენ კი სხვა ცომისაგან მოზელილი ვგონივართ და მხო-

ლოდ ის რწმენა აქვთ, რომ უსწავლელი კაცი, უბრალო წრიდან გამოსული, პირუტყვია და მეტი არაფერი. ასევეა სამხედრო საქმეშიც. იმათ ჰგონიათ, რომ მე ან ჩემი თანებს იმათზე ნაკლები ესმით. მაგრამ აბა მოვიგონოთ, ვინა ჰყავთ წითლებს მეთაურებად? — ბუდიონი ოფიცერია? არა, ძველი ჯარის ვახმისტრია, და განა ეგ არ იყო, რომ გენერალური შტაბის გენერლებს ცხვირი მოამტვრია, ხოლო ოფიცერთა პოლკებს კუდით ქვა ასროლინა? კაზაკის გენერლებში კი ყველაზე მამაცი და განთქმული გუსელშჩიკოვია, სწორედ ის, ამ ზამთარს უსტ-ხოპერსკაიადან საცელების ამარა რომ გაიქცა. მერე და იცი ვინ აჭამა ეს სირცხვილი ცნობილ გენერალს? წითელი პოლკის მეთაურმა, ვილაც უბრალო მოსკოველმა ზეინკალმა. ეს ამბები თვითონ ტყვეებმა გვიამბეს. ამეებს გაგება უნდა. ან ჩვენ უსწავლელი ოფიცრები განა ცუდად ვმეთაურობდით ჯანყებულ კაზაკებს? განა ბევრი დახმარება გაგვიწიეს გენერლებმა?“ (გვ. 96—97).

ამ სიტყვებში სრულად ჩანს გრიგორი მელეხოვი, მაგრამ მელეხოვი ბოლო დროისა, როცა უკვე გრძნობს თავისი საქმის განწირულობას. აღსასრული ამ საქმისა ახლოა, და რაც უფრო გადის დრო, მით უფრო რწმუნდება ეს საოცარი კაზაკი, რომ ძველი პრივილეგიების დასაცავად ამტყდარი ბრძოლა წაგებულია. ის ვერც წითლებს მიემხრო, თუმცა კლასობრივად მათთან უნდა ყოფილიყო, ვერც თეთრებთან გამონახა საერთო ენა, რაკი სოციალურად მათთან არ უნდა ყოფილიყო. შუა ხაზზე აღმოჩნდა, მაგრამ თეთრების გვერდით, და ამ გაურკვევლობამ, დაბნეულობამ მელეხოვის ცხოვრებაში საბედისწერო როლი ითამაშა. ეს გაურკვევლობა იმდენად რთული იყო, რომ ვერც კოპილოვმა გაიგო. ამიტომ შეეკითხა თავის მეთაურს: „ვერ გამიგია შენი პოზიცია ამ საქმეში... ერთის მხრივ, შენ ძველის მომხრე ხარ, მეორეს მხრივ კი, — ბოლში ამ უხეშობისათვის, — თითქოს წაიბოლშევიკებ“ (გვ. 98). გრიგორი უარყოფს — ბოლშევიკი არა ვარო, მაგრამ კოპილოვს „ფაქტები მოჰყავს“: აი, თუნდაც შენი სიტყვები ოფიცრების საზოგადოებაზე, მათი შენდამი დამოკიდებულებაზე. რა გინდა შენ ამ ხალხისაგან? და საერთოდ რა გინდა შენ? შენ გწყინს, რომ ოფიცრები თავის წრეში არ გიღებენ, როგორც თანასწორს, რომ მედიდურად გექცევიან. მაგრამ ისინი თავისი თვალ-

ჩაზრისით მართალნი არიან, შენ ეს უნდა შეიგნო. მართალია, შენ ოფიცერი ხარ, მაგრამ აბსოლუტურად შემთხვევითი ოფიცერი ოფიცერთა წრეში. აი, მაშინაც კი, როცა სამხრეები გიმშვენებენ მხრებს, მაპატიე ამ სიტყვისათვის, შენ მაინც გაუთლელ კაზაკად რჩებიხარ! არ იცი წესიერი მოქცევა, მკვახედ და შეცდომებით ლაპარაკობ. შენ მოკლებული ხარ იმ ნიშანდობლივ თვისებებს, რაც ყველა ზრდილობიან ადამიანს ახასიათებს. მაგალითად: იმის მაგიერ, რომ ცხვირსახოცით ისარგებლო, როგორც იქცევიან კულტურული ადამიანები, შენ ორი თითით იხოცავ ცხვირს, ჰამის დროს ხელებს ხან ჩექმის ყელზე, ხან კი თმებზე იწმენდავ, პირის დაბანის შემდეგ არ გეზიზღება ცხენის საძაგრავით სახის მოწმენდა, ხოლო თითებზე ფრჩხილებს კბილებით იჭამ, ან ხმლის წვერით იჩრი. უკეთესსაც გეტყვი: გახსოვს ზამთარში კარგინსკაიაში ჩემი თანდასწრებით ერთ ინტელიგენტ ქალს რომ ელაპარაკებოდი? მისი ქმარი კაზაკებმა დაატუსაღეს. ჰოდა შენ იმ ქალის თანდასწრებით შარვალს იკრავდი...

— მაშ უფრო კარგი იქნებოდა, რომ შარვალი გახსნილი მქონოდა? — ღიმილით უპასუხა მოღრუბლულმა გრიგორიმ“ (გვ. 98—99).

მაგრამ კოპილოვი მელეხოვის კრიტიკას იმით როდი ამთავრებს, რაც უკვე სთქვა. „შენი ლაპარაკი „პირდაპირ საშინელებაა“, — ეუბნება გრიგორის. „სიტყვებს ამახინჯებ, ევაკუაციის მაგიერ ეკუაციას ამბობ, არტილერიის მაგიერად — ანტილერიას და, როგორც ყველა გაუნათლებელ ადამიანს სჩვევია, შენც გაქვს ბრმა მიდრეკილება უცხო სიტყვების უადგილო ადგილას ხმარებისა. თან საშინლად ამახინჯებ. ხოლო როდესაც შტაბის სხდომაზე ვინმე იხმარს სპეციფიკურ სამხედრო სიტყვებს, როგორიცაა დისლოკაცია, დისპოზიცია, კონცენტრაცია და სხვა, შენ მოლაპარაკეს ალფრთოვანებით შესცქერი, მე ვიტყოდი, შურითაც კი... და ყოველივე ამის შემდეგ შენ გწყინს, რომ ოფიცრები, როგორც თანასწორს, ისე არ გიცქერიან. ზრდილობისა და განათლების საკითხებში შენ ბატისტვინა ხარ“ (გვ. 100).

ასეთი სიტყვებით ამკობს შტაბის უფროსი კოპილოვი დივიზიის მეთაურს გრიგორი მელეხოვს. ეს უკანასკნელი, გულის მოს-

ვლის ან ტირილის მაგიერ ცხენივით ხვიხვინებს, რაც კოპილოვს უცნაურობად მიაჩნია. სიცილის შემდეგ კი თავისი შტაბის უფროსს ეუბნება: „არა მსურს თქვენი ზრდილობა და, მოქცევა შევისწავლო. მე ისინი ხარებთან არაფერში გამომადგება. ღმერთმა თუ ინება — ცოცხალი დავრჩი — ხარებთან შექნება საქმე და აბა მათთან რაში გამომადგება დეზების წკრიალით ზრდილობიანი საუბარი: „ოჰ, მოიწიეთ ნიკორა! ბოდიში, ჰრელო! ნებას მომცემთ უღელი გაგისწოროთ? მოწყალეო ხელმწიფევ, ბატონო ხარო. უმორჩილესად გთხოვთ ნუ აწვებით მარცხენას!“ იმათ მოკლედ უნდა უთხრა: „ჰამო, გაიწი!“... ეს მე თქვენთან ვარ ასეთი, თორემ მოიცა ცოტა ხანს, გადავიდე წითლებთან. იქ სამართებელზე მჭრელი გავხდები. აი, მაშინ ხელთ არ ჩამივარდეთ ეს ზრდილობიანი და განათლებული მუქთახორები, თორემ გულს ჯიგრიანად ამოგაძრობთ!“ (გვ. 101).

გულახდილი აღსარებაა გუშინდელი გლეხისა, რომელსაც ომმა ოფიცრის მუნდირი ჩააცვა, ლამპასებითა და აკსელბანტებით ააბრჭყვიალა, გზა აუბნია, სოციალურად მოწინააღმდეგე კლასის დამცველი გახადა, მაგრამ ის მაინც გლეხად დარჩა, ისევ მიწაზე, ხარებზე, კავსა და გუთანზე ოცნებობს, სხვა ცხოვრება არც უნდა, ვერც წარმოუდგენია. წითლებთან გადასვლაზეც ფიქრობს, ერთი სიტყვით, გრიგორი მელეხოვი ის კაცია, რომელსაც გლეხურ ბუნებას ვერ დაატოვებინებთ, გენერალიც რომ გახადოთ. ის მიწასთან, სოფლის მეურნეობასთან ათასი ჯაჭვითაა მიბმული და ვერ მოწყვეტთ, რა ძალაც არ უნდა იხმაროთ. მას უყვარს დონი, ყველა მდინარეს ურჩევნია, უყვარს თავისი ხუტორი, რომელსაც არაფერში არ გაცვლის, უყვარს თავისი ქოხი, თავისი გლეხური ცხოვრება, აღსავსე შრომითა და ტანჯვით, მაგრამ ცხოვრება, თავის პირველი გახელისთანავე რომ დაინახა და სამუდამოდ მას დაუკავშირდა.

ვერა და ვერ შეეგუა გრიგორის ხასიათი „ოფიცერთა წრეს“. გენერალ ფიცხელაუროვთან კამათში მთელი მისი შეუპოვარი ხასიათი გამოღავნდა. გენერალმა მელეხოვის დივიზიას „წითელარმიელთა ბრბო“ უწოდა, ბრბო, რომელიც „ბოლშევიკური წესების შემოღებას“ აპირებს (გვ. 103). და რა პასუხს აძლევს სამხედრო ჩინით ბევრად მაღლა მდგომ გენერალ ფიცხელაუროვს

ძელეხოვი? — „თქვენო აღმატებულობავ, თუ თითს დამაკარებთ—აქვე აგჩეხავთო“ (გვ. 104). ასეთია თეთრების ოფიცრად ქცეული გუშინდელი გლეხი—კაზაკი გრიგორი მელეხოვი. წონასწორობა უკვე დაკარგული აქვს. ფიცხელაუროვთან ჩხუბის შემდეგ გზად მიმავალი ისევ წაეკიდა თეთრების ოფიცრებს. კოპილოვი კვლავ გაოცებული დარჩა. შენიშვნაზე მელეხოვმა უპასუხა: „მოდი, გავათაოთ, ნუ მაბნევ, უშენოდაც თავგზა აბნეული მაქვსო“ (გვ. 109).

ამ თავგზააბნეულობის შემდეგ მელეხოვი „საკვირველმა გულგრილობამ შეიპყრო“, — გვეუბნება ავტორი, — და მიზეზსაც აღნიშნავს თუ რატომ თქვა მან უარი უსტ-მედვედიცკაიას აღებისათვის ბრძოლაზე. ყორღანთან წამოწოლილი გრიგორი მელეხოვი „სიკვდილის წინაშე სიმხდალით ან უმიზნო დანაკლისის შიშით როდი ხელმძღვანელობდა... ამ ცოტა ხნის წინათ მას არ ენანებოდა არც საკუთარი თავი, არც მისი ხელქვეითი კაზაკების სიცოცხლე. ახლა კი თითქოს რაღაც ჩაწყდა გულში... აქამდის არასდროს არ უგრძნია ასე ცხადად და ნათლად უაზრობა იმისა, რაც ხდებოდა. ნუთუ კოპილოვთან ლაპარაკი ან ფიცხელაუროვთან შეჯახების შედეგი იყო ეს ყველაფერი?! შეიძლება, ერთიც და მეორეც იყო მიზეზი იმ განწყობილებისა, რომელიც ასე მოულოდნელად შეექმნა მას. მხოლოდ ეს კია, რომ გადაწყვიტა ბრძოლის ცეცხლში არ შესულიყო. ბარათალია, ბუნდოვნად კვლავ ფიქრობდა იმაზე, რომ კაზაკებს იგი წითლებთან ვეღარ შეარიგებდა, თვითონაც გულში არ შეურიგდებოდა მათ, მაგრამ მისთვის უცხო და მტრულად განწყობილი ყველა ამ ფიცხელაუროვების დაცვა, რომლებსაც გრიგორი ღრმად სძულდათ და რომლებიც თვითონაც არანაკლებ სძულდა, გრიგორის არც უნდოდა და არც შეეძლო. და ისე, როგორც წინათ, მთელი ულმობელობით წამოიჭრა მის წინ ადრინდელი წინააღმდეგობანი. „დაე, იომონ, მე შორიდან ვუცქერი. როგორც კი ჩამომართმევენ დივიზიას,—მოვითხოვ ზურგში გამგზავნონ, მეყოფა, რაც ვიომე!“ — ფიქრობდა იგი. თან კოპილოვთან კამათი მოაგონდა და უცებ მიხვდა, რომ წითლების გამართლებას ცდილობდა. — „ჩინელები წითლებთან ერთად ცარიელი ხელით მიდიან, ემსახურებიან მათ ჯარისკაცის პატარა ხელფასისათვის და ყოველდღე საფრთხეში აგდებენ თავის სიცოცხ-

ლეს. მაგრამ რა შუაშია აქ ჯამაგირი? აბა რა უნდა იყიდო იმით? მხოლოდ ბანქო შეიძლება ითამაშო... მაშასადამე აქ ანგარიშის საქმე არ არის. აქ სხვა რაღაცაა... მოკავშირეებმა კი ოფიცრები, კვემეხები, ჯორ-ცხენებიც კი გამოგზავნეს! და ყოველივე ამის ნაცვლად შემდეგ დიდ ფულს მოითხოვენ. აი, რაშია განსხვავება! პოდა, ამაზე ჩვენ ალბათ კიდევ ვიკამათებთ სალამოს. ჩავალ თუ არა შტაბში, კოპილოვს გავიხმობ და ვეტყვი: „— განსხვავება არის-მეთქი, კოპილოვ, და შენ მე თვალს ნუ მიხვევ-მეთქი!“ (გვ. 113). მაგრამ კამათი აღარ შედგაო, — გვეუბნება ავტორი. — კოპილოვი იმავე დღეს მოჰკლეს, მელეხოვთან კამათიდან სულ რამდენიმე საათის შემდეგ.

უცნაურად ტრიალებს ომის ბორბალი. მიტკა კორშუნოვი, ნატალიას ძმა, იმდენად გამხეცებულია, რომ ბავშვობისდროინდელი სისასტიკე ხასიათისა უკვე ჯალათის მორალად უქცევია. საკუთარი ხელით ხვრეტს ადამიანებს. არავის იცოდებს. „ვეშაპია და არა ადამიანი“, — ამბობენ მის შესახებ (გვ. 115). თვითონ კი ასე ამაყობს: „მე რომ ყველა წითლისათვის, რომლებიც კი დავხოცე, ტანსაცმელი გამეხადა, მთელს ტატარსკს გამოვაწყობდიო!“ (იქვე). ახლა შურისსაძიებლად (მიშკა კოშევოიმ სახლი გადაუწვა და პაპა მოუკლა), ტატარსკში მიდის. კოშევოისთან სახლში არავინაა მოხუცი ქალისა და ბავშვების მეტი. სადისტის გულგრილობით მიტკა ყველას საკუთარი ხელით ამოხოცავს — მოხუცს და ბავშვებს. ეს რომ გაიგო, აღშფოთებულმა პანტელეი პროკოფიჩმა ნათესავი სახლში არ მიიღო: „ამიერიდან ჩემსას ფეხი არ დაადგა. იცოდე! ჩვენ, მელეხოველებს, არასოდეს არ გვყოლია ჯალათი ნათესავებადო“, — უთხრა პანტელეიმ გამხეცებულ მიტკა კორშუნოვს (გვ. 120). ნატალიამ ტირილი დაიწო და ძმა გაამტყუნა. სხვაგვარად ვერც მოიქცეოდა საბრალო ქალი. ის ხომ ძმის სრული ანტიპოდია. მაინც რა არის ბუნება: ერთი მშობლისაგან ისეთი ნაზი, კეთილშობილი, მთლიანად ადამიანური არსება გამოჰყავს, როგორიც ნატალიაა, და იმგვარ ჯოჯოხეთსაც წარმოშობს, როგორიც მიტკა კორშუნოვია. ერთს მხოლოდ ცრემლის ზღვას მისცემს, მეორეს სისხლის ოკეანეს. ერთი ანგელოსად, მეორე ეშმაკად იბადება. ერთს სულს ჩაუდგამს, მეორეს კი ჯოჯოხეთის გენიას. დაძმა კორშუნოვები ისე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც

ცა დედამიწისაგან. მიტკა კორშუნოვს ადამიანური სახე დაკარგული აქვს, ნატალია კორშუნოვა კი ბოლომდე ადამიანად რჩება.

მაგრამ იცვლება თვით ცხოვრება, იცვლება დიდი სისწრაფით, ომი ანგრევს ყველა ჯებირსა და წინანდელ ურთიერთობას ადამიანთა შორის. პანტელეის ძველი უფლება ოჯახზე შერყეულია, ცოლის მეტი არავინ ემორჩილება. ქვრივად დარჩენილი დარია წინააღმდეგობას უწევს მამამთილს, თანაც უცნაურად იქცევა მას შემდეგ, რაც მთელი კვირა შინ არ დაბრუნებულა ბეგარაზე წასვლის დროიდან. დუნიაშკა მშობლებზე გაბრაზებული იყო — რატომ ბოლშევიკ კოშევოის ცოლად არ გამატანესო (კოშევოი თავდაიწყებით უყვარდა). ნატალია შვილებს არ შორდებოდა, მძიმედ განიცდიდა გრიგორისა და აქსინიას განახლებულ კავშირურთიერთობას. და ავტორი სანართლიანად ამბობს პანტელეიზე: „ომმა გაანადგურა იგი, მუშაობის ხალისი დაუკარგა, უფროსი შვილი წაართვა, ოჯახში არეულობა და განხეთქილება შეიტანა. მის ცხოვრებაზე ომმა იმე გადაიარა, როგორც ქარიშხალმა ნათესზე. ჩვეულებრივად ქარიშხლის შემდეგ უნა იმეე წამოდგება ხოლმე, და მზე კვლავ დახარის მას, მოხუცი კი ვეღარ წამოდგა, — ყველაფერზე ხელი ჩაიქნია თავის გულში, — რაც იქნება იქნებაო!" (გვ. 136). მაგრამ რა უნდა ყოფილიყო, გარდა სრული განადგურებისა, ოჯახის დღითიდღე დაქცევისა, რასაც ძველი კაზაკი პანტელეი პროკოფიჩი ასე აშკარად ხედავდა? მან ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ რძალი — დარია ოფიცრისაგან ათაშანგით იყო დაავადებული, თვითმკვლელობაზე ფიქრობდა, თუმცა მწარე ცხოვრებაში იმდენ სილამაზეს ხედავდა, არ უნდოდა ასე მალე განშორებოდა ტანჯულ, მაგრამ მშვენიერებით სავსე ქვეყანას. შოლოხოვის გმირები ხომ ამქვეყნიური წუთისათვის ათასგვარ განსაცდელს უმკლავდებიან. დარიაც ამ გმირთა შორისაა და ასე იოლად როდი დათმობს ღმერთის მიერ კურთხეულ, მაგრამ კაცის მიერ გაფუჭებულ ცხოვრებას.

ცხოვრება კი დუღს და ომის გენიას დამორჩილებია. მართალია, გრიგორი მელეხოვი, როგორც მის შესახებ პოლკოვნიკი ანდრეანოვი ამბობს, „თვითნება და ახირებული კაცია" (გვ. 161), მაგრამ ვეღარაფერს გებულობს რთულ მდგომარეობაში, უკი-

დურესობიდან უკიდურესობაში ვარდება, საშუალო ხაზს ვერ პოულობს, თუმცა სურს იპოვოს, ხშირად ანცვიფრებს თავის ხელქვეითებს (უფროსებს რომ თავი დავანებოთ), აკეთებს იმას რაც აჯანყებულთა დივიზიის მეთაურისაგან მოულოდნელია. ნებას არ აძლევს ანდრეანოვს დახვრიტონ ტყვედჩავარდნილი წითელი ოფიცრები, რომლებიც ერთმა არმიელმა გასცა, თავის მოსაზრებას კი ასე ასაბუთებს: „მაშ ჯარისკაცებმა უნდა გასცენ თავისი მეთაურები? განა ამას ასწავლით ჯარისკაცებს? ჩვენ რომ ასეთ მდგომარეობაში ჩავვარდეთ, როგორ მოვიქცეოდით? არა, ბატონო, პოლკოვნიკო, მაპატიეთ, მაგრამ მე ახლა ჩემსას გავიყვან!“ (გვ. 161). გრიგორი მაშინაც კი მერყეობს ორ ცეცხლს შუა, როცა მთლიანად თეთრებს ემსახურება. ეს მერყეობა როდია გამოწვეული მარტოოდენ „თვითნება და ახირებული ხასიათით“. მას არა აქვს თითქმის არავითარი წარმოდგენა კლასობრივ ბრძოლაზე, გარდა პრაქტიკული შეხლა-შემოხლისა, ახალგაზრდა კაცი უეცრად გადაეშვა ორომტრიალში და სწორი ორიენტაცია დაჰკარგა. ერთად შეერთებულ მრავალი ფაქტორი მოქმედებდა გრიგორის ტრაგედიაში, ყველაფერი ერთმანეთს მიჰყვა, როგორც მძიმე ჯაჭვის რგოლები, ის დაიბნა, სწორი ორიენტაცია დაჰკარგა, მთელი არსებით ვერც ერთ ბანაკს ვერ მიემხრო, თუმცა უფრო მეტად ყოფნა მოუხდა კონტრრევოლუციასთან და არა რევოლუციასთან, რომლის ჭეშმარიტი მიზნები ვერ გაიგო და ვერსადაც ამოიკითხა. გრიგორი მელეხოვი უეჭველად ტრაგიკული პიროვნებაა, ხოლო მის პიროვნულ ყოფაში მისივე კატეგორიის მთელი მასის უბედურება იხატება.

შემთხვევითი არ იყო, რომ მიუხედავად კონტრრევოლუციის წინაშე დამსახურებისა, მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის ფრონტზე და სამოქალაქო ომში თოთხმეტჯერ იყო დაჭრილი, მელეხოვი დივიზიის მათაურობიდან გადააყენეს და მხოლოდ ასეული მიანდვეს. მიზეზი? გენერალმა ასე განუმარტა: „წითლების წინააღმდეგ პარტიზანულ ომში თქვენ წარმატებით მეთაურობდით დივიზიას, ახლა კი არამც თუ დივიზია, პოლკიც კი არ შეგვიძლიან განდოთ. თქვენ სამხედრო განათლება არა გაქვთ, და ბრძოლების წარმოების თანამედროვე მეთოდებს თუ გავითვალისწინებთ, ფარ-

თო ფრონტის პირობებში თქვენ ვერ შესძლებთ დიდი სამხედრო ერთეულის მეთაურობასო“ (გვ. 162—163). დაღლილსა და ილაჯგაწყვეტილ მელეხოვსაც აღარ უნდა მეთაურობა, ურჩევნია სამეურნეო ნაწილში გადარიცხონ, მაგრამ არა — თქვენ ისევ შეგიძლიათ ბრძოლა, მშვენივრად გამოიყურებითო, — უთხრეს, „ასისთავის ხარისხი მიანიჭეს, არმიისადმი გაცემულ ბრძანებაში წითლებთან ბრძოლაში მისი განსაკუთრებული დამსახურება აღნიშნეს და მაღლობა გამოუცხადეს“ (გვ. 163). ეს იყო სულ, რაც გრიგორი მელეხოვმა კონტრრევოლუციის სამსახურში მიიღო. აჯანყებულთა არმია დაიშალა, ცხადია, მელეხოვის დივიზიასაც იგივე დაემართა.

აქ აუცილებელია გავეცნოთ რომანის იმ ადგილებს, სადაც გრიგორი მელეხოვი თავისი დაშლილი დივიზიის მეთაურებს ემშვიდობება. თუ რას ფიქრობს იგი, რა აზრები აქვს, როგორ წარმოუდგენია მომავალი — ძალიან კარგად ჩანს მისივე სიტყვებში, რასაც შეკრებილთა წინაშე ამბობს: „ — აუგად ნუ მომიხსენიებთ, სტანიცელებო: უბედურებამ შეგვყარა და ერთად ვიმსახურეთ, დღეიდან კი ჭაპანი ცალ-ცალკე უნდა ვზიდოთ. მთავარია, თავს მოვუაროთ, რომ წითლებმა ტყვიით არ გაგვიხვრიტონ შუბლი, არ გვეივარგა თავი, მაგრამ ტყვიის ქვეშ სიკვდილი მაინც საჭირო არ არის. ამ თავით კიდევ დაგვჭირდება ვიფიქროთ, კარგად ვიფიქროთ, თუ როგორ მოვიქცეთ შემდეგში“ (გვ. 164). როცა კაზაკებმა პროტესტი გამოთქვეს დივიზიის მოულოდნელი დაშლის გამო, ოფიცრების მისამართითაც მაგარ-მაგარი სიტყვები იხმარეს, მელეხოვმა ისევ განაგრძო: „—ტყუილად ღრიალებთ. გათავდა ის დრო, როდესაც ბრძანების განხილვა და უფროსების წინააღმდეგობის გაწევა შეიძლებოდა. ბინებში წადით და ენები დაიმოკლეთ, თორემ ლაყბობას კარგი არ მოყვება; გრძელი ენა საველე სასამართლოსა და საჯარიმო ასეულებში მიგიყვანთ“ (იქვე).

ასეთია ბოლო დროის მელეხოვი. უბედურებას უწოდებს იმას, რაც მოხდა. ახლა ცალკე ცხოვრებაზე ფიქრობს, მაშასადამე, გადაწყვეტილი აქვს შინ დაბრუნდეს, თუმცა კარგად იცის, რომ საამისოდ გარკვეული დროა საჭირო, ყოველ შემთხვევაში, მისთვის, როგორც მეთაურისათვის. თავის მოვლა, რათა ეს თავი და-

ნაშაულობათა გამო წითლებმა ძირს არ გააგორონ, მისი ზრუნვის საგანი ხდება, თუმცა უკვე შეგნებული აქვს, რომ არც პირადად მას, არც აჯანყებულ კაზაკებს, „თავი არ უვარგათ“. მიუხედავად თავების უვარგისობისა, საჭიროდ არ მიაჩნია „ტყვიის ქვეშ სიკვდილი“, ვინაიდან, აქია თუ კარგი, მაინც ამ თავებით მოუხდებათ ფიქრი მომავალზე, იმის გამორკვევა, რაც შემდეგში ან-უ მომავალში უნდა გააკეთონ. ამიტომ ურჩევს თანამებრძოლებს — ბინებში წადით, ენა დაიმოკლეთ, ლაყბობას საველე სასამართლო და საჯარიმო ნაწილებში გაგზავნა მოჰყვებაო. ეს არის ბოლო დროის გრიგორი მელეხოვის „პრაქტიკული ფილოსოფია“, რომელიც მწარე გამოცდილების შედეგად იმ ახალი აზრებით შეეცვლა, რომ საჭიროა სხვაგვარი მოქმედება, ვიდრე დღემდე იყო, საჭიროა სხვაგვარი ტაქტიკის გამომუშავება. და მელეხოვი უკვე იწყებს მზადებას თავისი „ფილოსოფიის“ პრაქტიკულად განხორციელებისათვის.

მაგრამ სწორედ ამ დროს ხდება დიდი უბედურება. დარიას მიერ შთაგონებული, რომ გრიგორი ისევ აქსინიასთან ცხოვრობს, შემდეგ პროხორ ზიკოვის ცოლისაგან დაეჭვებული, ხოლო აქსინიასთან შეხვედრისას სპობლოოდ დარწმუნებული ქმრის ღალატში — ნატალია გადაწყვეტს მესამე შვილი აღარ იყოლიოს, თუმცა სამი თვის ორსულია. დედამთილმა ვერაფერი გააწყო, ნატალია მალულად წავიდა ექიმბაშთან, ნაყოფი მოიშორა.

როცა აქსინიასთან მივიდა სიმართლის დასადგენად და მისგან გაიგონა სიტყვები: „გრიგორი ისევ ჩემია და ახლა ვეცდები ხელიდან არ გავუშვა. ჰოდა, რას იზამ ამის შემდეგ? მინებს ჩამიმტვრევ თუ დანით მომკლავ?“ (გვ. 169), ნატალიამ ის უპასუხა, რასაც უეჭველად ეტყოდა ორი შვილის დედა, თუმცა წყნარი, მშვიდი, სიკეთით სავსე ადამიანი, რომელმაც ბევრი ტანჯვა, უბედურება, დამცირება გადაიტანა ქმრისა და ოჯახისათვის, მაგრამ კატასტროფა მაინც ვერ აიცდინა. „ახლა მე არაფერს ცუდს არ გიზამ. დავიცდი, მოვა გრიგორი, მოველაპარაკები, შემდეგ კი ვნახოთ, როგორ მოგექცევით ორივეს. მე ორი შვილი მყავს, მე შევძლებ ჩემი თავიც და ბავშვებიც დავიცვა!“ (იქვე). სასოწარკვეთილი, მოთმინებიდან გამოსული ქალი შემდეგ იმასაც აკეთებს,

რომ დედამთილ ილინიჩნას თანდასწრებით სწყევლის თავის გამაუბედურებელ გრიგორის, ანათემას უთვლის, უზენაესს სთხოვს: „ღმერთო! მე მან სული ამომხადა! მეტი აღარ შემწევს ძალა, რომ ვიცოცხლო! ღმერთო, შენ დასაჯე ის დაწყეველილი! ბოლო მოუღე იქ, რომ აღარ იცოცხლოს მეტი და აღარ მტანჯავდეს!..“ (გვ. 174). მწარეა ეს სიტყვები, ნათქვამია მართლაც სასოწარკვეთილი, გაწირული ადამიანისაგან, რომელსაც სიცოცხლეზე ხელი აუღია, რაკი აღარ შეუძლია იცოცხლოს.

ამ ფიქრებით, აზრებითა და გრძნობებით მიდის საბრალო ნატალია კაპიტონოვნასთან, ნაყოფს იშორებს ბარბაროსული წესით, იმავე დღეს, გვიან ღამით, შინ ბრუნდება საკუთარი ფეხით, სისხლისაგან დაცლილი, აგონიაში ვარდება, ფერშალი ვერაფერს აწყობს და ტანჯული ქალი მეორე დღეს იღუპება. მისი შინ დაბრუნება სისხლის ნაკვალევით, სიკვდილთან შეჯიბრება, შვილებთან, დედასთან, ახლობლებთან გამოთხოვება, მთელი ეს სცენები შოლოხოვის მადლიანმა გენიამ ისე ოსტატურად, ისე რეალისტურად აღწერა, რომ არა მგონია ნორმალური მკითხველი, ვინც არ უნდა იყოს, ღრმა გულისტკივილით არ განიმსჭვალოს, თუ ცრემლი არ წამოედინება. ამ სცენებში ტრაგიკული გადადის პათეტიკურში, ხოლო პათეტიკური აძლიერებს ტრაგიკულს. უკეთეს მაგალითებს ტრაგიკულ-პათეტიკურს ერთიანობის ცხადსაყოფად ძნელად თუ ვიპოვით მსოფლიო ლიტერატურაში. შოლოხოვი ისეთი დიდი მასშტაბის ხელოვანია, რომ ერთნაირად ახერხებს როგორც ტრაგიკულის, ისე პათეტიკურის უდიდეს მხატვრულ სიმაღლეზე აყვანას. ასეთი რამ მხოლოდ გენიოსების ხვედრია. რადა ღირს თუნდაც ერთი ფრაზა: როცა მომაკვდავი ნატალია შინ დაბრუნდა, ილინიჩნას გარდა ყველას ეძინა. „პატარა პოლუშკა სიზმარში ტუჩებს აწკლაპუნებდა და რაღაცას ტიტინებდა. ღ რ მ ა ა ბ ა ვ შ ვ ი ს უ შ ფ ო თ ვ ე ლ ი ძ ი ლ ი!“ (გვ. 180). შექმნილ უმძიმეს სიტუაციაში რამდენი რამ არის ნათქვამი ამ პატარა ფსიქოლოგიური შტრიხით. დედა უკვდება, პოლუშკამ არაფერი იცის — „ღრმაა ბავშვის უშფოთველი ძილი!“

ბედკრული ნატალია ისე დაიკრძალა, რომ გრიგორი არ დასწრებია ცოლის დამარხვას. დეპეშა მიიღო დაგვიანებით, შინ მისვ-

ლაპაც ფრონტიდან მთელი ორი დღე მოუნდა, თუმცა ცხენით ძალიან სწრაფად იარა. გრიგორი ისე შეაწუხა ნატალიას დაღუპვამ, რომ პირველ დღეს ვერც კი შეიძლო მისი საფლავი ენახა. როცა ილინიჩნამ უთხრა — ნატალია აქსინიასთან იყო, ამ უკანასკნელმა კი ყველაფერი უთხრა შენთან ურთიერთობის შესახებო, რის შემდეგაც გადაწყვიტა შვილი აღარ გაეჩინაო, — „გრიგორი გაწითლდა და თვალები დახარა“, ოთახიდან „დაბერებული და გაფითრებული გამოვიდა“ (გვ. 191). ალბათ მას არც ეგონა, თუ ასე მტკივნეული იქნებოდა მისთვის ნატალიას სიკვდილი. გავიხსენოთ სცენა, როცა „გრიგორი ოთახში შევიდა, ყურადღებით დაათვალიერა კედლები, თითქოს პირველად ყოფილიყოს ამ ოთახში, და ბალიშებით დალაგებულ საწოლზე შეაჩერა თვალი... ამ საწოლზე მოკვდა ნატალია, აქედან მოისმოდა მისი უკანასკნელი სიტყვები... გრიგორიმ წარმოიდგინა, როგორ ეთხოვებოდა ნატალია ბავშვებს, როგორ ჰკოცნიდა, ალბათ, პირჯვარიც გადაიწერა და ისე, როგორც მაშინ, როდესაც ნატალიას სიკვდილის დეპეშას კითხულობდა, გული მწვავედ დაესერა და ყურში ყრუ ზუილი იგრძნო... სახლში ყოველი წვრილმანი ნატალიას აგონებდა. ნატალიაზე მოგონებები გაუქარვებელი და მწარე იყო. გრიგორიმ რატომღაც ყველა ოთახი მოიარა და საჩქაროდ გამოვიდა გარეთ. თითქოს გამოვარდა აივანზე. გული სულ უფრო და უფრო სტკიოდა. შუბლზე ოფლი გამოუვიდა, შეშინებულმა მკერდის მარცხენა მხარეს იტაცა ხელი და გაიფიქრა: „ტყუპაა უკვე გამთელა ცხოვრებამ“ (გვ. 192). ასე ფიქრობს გრიგორი. ასე მწარედ განიცდის ცოლის დაკარგვას, თუმცა აქსინიასადმი გიჟური სიყვარული მას ყოველთვის ხელს უშლიდა შეეცნო და ღრმისეულად დაეფასებინა ისეთი სათნო, ლამაზი, უერთგულესი მეუღლე, როგორიც ნატალია იყო.

და ავტორი დიდი ფსიქოლოგიური სიმართლით გვიხატავს თავისი გმირის მწარე განცდებს მეუღლის გარდაცვალების შემდეგ. „გრიგორი ორმაგად იტანჯებოდა: ჯერ ერთი, თავისებურად უყვარდა ნატალია და ექვსი წლის განმავლობაში ერთად ცხოვრებამ შეაჩვია მასთან, მეორეც, მის სიკვდილში თავს დამნაშაედ თვლიდა. ნატალიას რომ სიცოცხლის დროს შეესრულებინა თავისი მუქარა და დედასთან დაბრუნებულიყო, გრიგორი, ალბათ, ასე-

თი სიძლიერით არ განიცდიდა მისი დაკარგვის სიმძიმეს, და ალბათ, სინანულიც არ გასტანჯავდა ასე. გრიგორიმ ილინიჩნას სიტყვებიდან იცოდა, რომ ნატალიამ მას ყველაფერი აპატია, რომ მას უყვარდა იგი და უკანასკნელ წუთამდე იგონებდა მას. ეს უფრო უორკეცებდა გრიგორის ტანჯვას, უძლიერებდა სინდისის ქენჯნას, დაუცხრომელი საყვედურით უმძიმებდა გულს და გრიგორის იძულებულს ჰყოფდა ახლებურად ჩაფიქრებოდა წარსულს და იმ წარსულისადმი თავის დამოკიდებულებას.

იყო დრო, როდესაც გრიგორი ცოლის მიმართ არაფერს არ გრძნობდა. ცივად, უგულოდ, სიძულვილითაც კი ეპყრობოდა. მაგრამ უკანასკნელ წლებში გრიგორი ნატალიას სხვაგვარად ექცეოდა და მთავარი მიზეზი ამ ცვლილებისა შვილები იყო" (გვ. 196). ეს ცვლილება ნამდვილად ძლიერი იყო, გულწრფელიც, ვინაიდან „აქსინიასთან განხეთქილების შემდეგ გრიგორის არასდროს არ უფიქრია ცოლთან გაყრა; არასდროს, მაშინაც კი, როდესაც აქსინიას ხელახლა შეურიგდა, არ უფიქრია გრიგორის, რომ აქსინია ოდესმე მის შვილებს დედობას გაუწევდა. გრიგორი თანახმა იყო ირივესთან ეცხოვრა, თითოეული მათგანი თავისებურად შეეყვარებინა, მაგრამ, როდესაც ცოლი მოუკვდა, აქსინიაზე გული აუცრუვდა, შემდეგ ყრუ სიძულვილიც იგრძნო მისდამი, რომ მან მათი ურთიერთობა გათქვა და ამით ნატალიას სიკვდილი გადააწყვეტინა" (გვ. 197). წინაალმდეგობებით სავსე, გაორებული მელეხოვი ოჯახურ ცხოვრებაშიც გაორებულია, ის თავიდან ვერ იშორებდა აქსინიას, ამავე დროს, ცოლის სიკვდილის შემდეგაც, იგონებდა ნატალიას „ფიგურას, სიარულს, თუ როგორ ისწორებდა თმას, იგონებდა მის ღიმილს, ხმის კილოს" (გვ. 197), ორ ცეცხლს შუა იტანჯებოდა.

ეს ტრაგიკული შტრიხები შემდეგ გოლგოთად იქცა გრიგორისათვის. ვერც ერთ მათგანს — ვერც საქვეყნო და ვერც პირად საქმეებში თავი ვერ დააღწია. წინააღმდეგობათა ჯადოქრული ხლართი თანდათან დიდდებოდა, მისი დაშლის უნარი კი მელეხოვს არ გააჩნდა. დააკვირდით რომანის შემდეგ ადგილს: „ტატარსკში ორი კვირის ყოფნის დროს გრიგორიმ მხოლოდ ორჯერ ნახა აქსინია, ისიც თვალის მხოლოდ ერთი მოკვრით. აქსინია ჰკვიანი და ტაქტიანი ქალი იყო და ერიდებოდა გრიგორის. ქალის გუმანით

მიუხვდა გრიგორის სულისკვეთებას და მოისაზრა, რომ ყოველგვარი მოუფიქრებელი და უდროოდ გამომჟღავნებული გრძნობა მის წინააღმდეგ აამხედრებდა გრიგორის და ჩრდილს მიაყენებდა მათ ურთიერთობას. აქსინია ელოდა, სანამ გრიგორი მას პირველი გამოელაპარაკებოდა. ეს მოხდა ფრონტზე წასვლის ერთი დღით ადრე; გრიგორის ურმით ბულული მოჰქონდა, დააგვიანდა, დაბინდდა, ტრამალზე გასულ უკანასკნელ ორღობესთან აქსინიას შეხვდა. აქსინიამ შორიდან დაუკრა თავი და ოდნავ გაუღიმა. მისი ღიმილი აღელვებული და მოლოდინით სავსე იყო. გრიგორიმ სალამზე უპასუხა, მაგრამ ჩუმად გვერდს ახვევა ვერ შესძლო" (გვ. 202).

თითქოს რაღაც უნდა მომხდარიყო, მაგრამ ჩვეულებრივი მოკითხვის გარდა, საუბარიც არ გაგრძელებულა. გრიგორი და აქსინია დაშორდნენ ერთმანეთს, გარეგნულად მშვიდი, ჩვეულებრივი ფორმით, თუმცა ორივეს გულში ცეცხლი გიზგიზებდა. მეორე დღეს გრიგორი ფრონტზე წავიდა, აქსინია კი მარტოდმარტო დარჩა ტატარსკისეულ სახლში.

გრიგორი მელეხოვში, მკაცრ ხასიათთან ერთად, არის რაღაც თბილი, რაღაც მიმზიდველი, რაღაც მაღალადამიანური. ნატალიას უდროო სიკვდილით გამოწვეულ გლოვასთან ერთად, ის სხვისი ტანჯვითაც წუხს. სასტიკად, ულმობლად ებრძვის იმ დროს არმიაში გამეფებულ მაროდიორობას, თვითონ ხომ არაფერს ითვისებს, პირიქით, ვინც ძარცვავს, — ამხელს და ლანძღავს. ასე მოექცა პოდხორუნის, თუმცა ეს უკანასკნელი, როგორც თვითონ ამბობს, „ცოტას იღებდა", „სხვები კი შუა ქუჩაში ხდიდნენ ხალხს ტანსაცმელს, ქალებს აუპატიურებდნენ" (გვ. 206). არმია უკვე გახრწნილი იყო, და გრიგორი ამ გახრწნის საშინელ სურათებს უფრო მეტად ხედავდა, რაც უფრო უახლოვდებოდა ფრონტს. ინგლისელ ლეიტენანტ კემპბელთან და პორუჩიკ შჩეგლოვთან შეხვედრამ, სმის დროს საუბარმა გრიგორი ერთხელ კიდევ დაარწმუნა, რომ ფრონტზე საქმე ცუდად მიდის.

მაგრამ საქმე ცუდად წავიდა მელეხოვების ოჯახშიც. ფრონტზე გრიგორის წასვლის კვირანახევრის შემდეგ დარიამ თავი დაიხრჩო დონში. მღვდელმა უარი თქვა თვითმკვლელის დასაფლავებაზე — კანონი ნებას არ მაძლევსო. პანტელეიმ იმდენი მოახერხა,

რომ პეტროს გვერდით გაუთხარა საფლავი „ნამდვილ რძალს“, იქვე თავისთვისაც ადგილი მოინიშნა.

შესანიშნავად არის გადმოცემული სულ მარტოდ დარჩენილი აქსინიას განცდები, მისი ცდა—დაიახლოვოს მიშუტკა და ამით გრიგორიზე სევდა ნაწილობრივ მაინც გაინელოს; ილინიჩნას პროტესტი — აქსინია ნატალიას დაღუპვის მიზეზია და მის შვილებთან რა ხელი აქვსო! ყველაფერი ეს დიდი ცხოვრებისეული სიმართლით არის გადმოცემული, როგორც დაკოჭლებული პანტელეის ომში გაწვევა, მისი გამოთხოვება ოჯახთან, მალე ისევ შინ დაბრუნება დამშეული ძველი კაზაკისა, რომელიც წყევლა-კრულვით იხსენიებს „იმათ“, ვინც ასე „შიმშილისაგან სასიკვდილოდ გასწირა მოხუცი“ (გვ. 241). ილინიჩნას გაკვირვებას საზღვარი არა აქვს, როცა შეიტყობს, რომ პანტელეი თურმე კი არ გაუთავისუფლებიათ, თავისი ნებით წამოსულა ჯარიდან, გამოქცეულა, ამბობს: „სჯობს აქვე დამიჭირონ და ციხეში ჩამსვან, ვიდრე ტრამალზე შიშხანით ვეთრიო... მე ახლა ახალგაზრდა როდი ვარ, ღელში ორმოცი ვერსი გავიარო, სანგრები ეთხარო, ბრძოლებში შევიჭრა, მიწაზე ვიცოცო და ტყვიებს დავემალო“ (გვ. 241). მაგრამ პანტელეი ვერც დამსჯელ რაზმს დაემალა. შეიპყრეს და ბადრაგით წაიყვანეს ყალმუხებმა. გაასამართლეს თოთხმეტ დეზერტირთან ერთად. გაუკვირდათ, რომ ასისთავ გრიგორი მელეხოვის მამამ დეზერტირობა ჩაიდინა. გაროზგვას შვილის დამსახურებამ გადაარჩინა, მაგრამ ურიადნიკის ნიშნები აჰყარეს, ნაწილში გააგზავნეს. გზაზე ისევ გაიფიქრა მეეტოვებინა ბრძოლა, ისე დამალულიყო, რომ ეშმაკსაც ვერ მიეგნო. წითლების შემოტევამ დონზე დიდი ცვლილება გამოიწვია. კიდევაც რომ სურვებოდა ნაწილში დაბრუნება, პანტელეი ვერ შეიძლებდა, რაკი ყველაფერი პარალიზებული იყო. ლტოლვილთა ურმებს სათვალავი აღარ ჰქონდა. შინ დაბრუნებული პანტელეი თავის თავს უკვე აღარ თვლიდა დეზერტირად, მაგრამ ცუდი ამბები დახვდა: ილინიჩნამ უთხრა, რომ წითლების შემოტევის გამო აქედან ბავშვებიანად წასულა მირჩიეს კაზაკებმაო. პანტელეიც დაეთანხმა. მოხუცმა „ღამე წივებში ამოთხარა ორმო, ჩაფლა შვილი ტომარა ხორბალი, ზედ გულდასმით დააყარა წივა, ხოლო დაბინდდა თუ არა, შეაბა პატარა ურემში

ფაშატი, ზედ დასდო ორი ქურჭი, ერთი ტომარა ფქვილი, ფეტვი, ზედვე დააკრა შეკრული ცხვარი, ურმის ბოლო ჭალზე ორი ძროხა მიაბა, ილინიჩნა და ბავშვები ურემზე დასხა და თქვა:

— აბა, ღმერთი შეგვეწიოს! — ჭიშკარში გავიდა, ილინიჩნას სადავე გადასცა, დაკეტა ჭიშკარი. გორაკამდე ხიფთანის სახელოთი იხოცავდა ცხვირს, იწმენდდა ცრემლებს და ურემს გვერდით მისდევდა“ (გვ. 248).

ასეთ სატანჯველშია ჩავარდნილი მოხუცი პანტელეი, რომელმაც შვილი ომში დაჰკარგა, ორივე რძალი ტრაგიკულად დაეღუპა, გრიგორი ფრონტზეა, თვითონ კი ჯარში გაწვეულს, ამდენი უბედურების გადატანა უხდება. არაჩვეულებრივი სიმართლით აღწერს ყოველივე ამას მიხეილ შოლოხოვი. რომანის თითოეული გვერდი სულში ჩამწვდომია, ყოველი სტრიქონი, ყოველი სცენა, ყოველი ნიუანსი დამაჯერებელია. დააკვირდით როგორაა აღწერილი დონის ბარჯვენა და მარცხენა ნაპირზე მტრების განლაგება: „მტრებს მდინარე ჰყოფდა, რომლის მაქსიმალური სიგანე იმ დროს ორმოც საჟენს არ აღემატებოდა, ზოგან კი — ოცდაათს. წითლები მდინარეზე გადასვლისათვის აქტიურ ზომებს არ იღებდნენ; ზოგიერთ ადგილზე ეცადნენ დონზე გადასვლას, მაგრამ მტერმა უკუაქცია. ამ ადგილას მთელ ფრონტზე ორი კვირის განმავლობაში გრძელდებოდა არტილერიისა და შაშხანების სროლა. კაზაკებს ეკავათ მარჯვენა ნაპირზე მდებარე სიმაღლეები, უშენდნენ მტერს და დონთან შეჯგუფების საშუალებას არ აძლევდნენ, რომ დღისით ნაპირთან მიახლოებულიყო. მაგრამ რადგან ამ ადგილას კაზაკთა ასეულები ისეთი ხალხისაგან შედგებოდა, რომელთაც ბრძოლის უნარი არ ჰქონდათ (მოხუცები და ჩვიდმეტ—ცხრამეტი წლის ასაკის ახალგაზრდობა იყო უმეტესად), თვითონაც არ ცდილობდნენ დონზე გადასვლას, რომ წითლებისათვის უკან დაეხევინებინათ და მარცხენა ნაპირზე შეტევაზე გადასულიყვნენ“ (გვ. 249).

დონზე ეს ბრძოლები, არმიების მოქმედება, შოლოხოვს ისე დეტალურად აქვს გადმოცემული, როგორც ზუსტ სამხედრო ისტორიკოსს. დიახ, „წყნარი დონის“ ავტორი სამხედრო ისტორიკოსიცაა, რომელიც ისე კარგად ხედავს ბატალიას, დაპირისპირებული არმიების ურთიერთგანლაგებას, მათ შორის ბრძოლას, რო-

გორც ნიჭიერი, გამოცდილი სარდალი. მას ყველაფერი მოზომილი აქვს, ყველაფერი გათვლილ-გამოთვლილი, ყველაფერს თავის ადგილს უთმობს, ხოლო მკითხველი რომ არ მოაწყინოს (აღწერა თანამედროვე ადამიანს ისე აღარ იტაცებს, როგორც ამბების მოქმედებაში ჩვენება), აღწერიდან მოქმედებაზე გადადის, საოცრად დოზირებულად.

ახლა ვნახოთ, თუ რა დაემართა დონზე გაშლილი ბრძოლების გამო საკუთარი ბინიდან ოჯახიანად აყრილ პანტელეის!

სოფელ ლატიშევში ორკვირანახევრიანი მშვიდი ცხოვრების შემდეგ პანტელეი პროკოფიჩი მთელი ოჯახით ისევ შინ დაბრუნდა, გაპარტახებული კარ-მიდამოს წესრიგზე მოყვანას შეუდგა. ცუდ ამბებს გებულობდა მოხუცი კაზაკი. მხოლოდ იმან გაახარა, რომ თურმე გრიშკას დივიზია ისევ ჩააბარეს. მეზობელ ბესხლებნოვს სიამაყით უთხრა: „ჩემი შვილი მართლაც რომ ყველასათვის რაღაც გამოცანაა! მკერდი სავსე აქვს ჯვრებით. ეს, შენი აზრით, რას ნიშნავს? მერედა რამდენჯერ იყო დაჭრილი, დაჟეჟილი. სხვას დიდი ხანია სული გაძვრებოდა. გრიშკა კი წყლიდან ამოსული ბატივითაა, მშრალად და უვნებლად. რაც მართალია, ჯერ ბევრია წყნარ დონზე ნამდვილი კაზაკები!“ (გვ. 256—257).

პანტელეისათვის ერთ კარგ ამბავს არაერთი ცუდი მოჰყვებოდა ხოლმე. მან დიდი გულისტკივილი განიცადა, როცა შეიტყო, რომ ტატარსკში მოიტანეს მოკლულ ანიკუშკას და ხრისტონიას გვამები. გულმა შინ ვერ გაუძლო. მოხუცი დონს გაღმა ტყეში ფიჩხის საჩეხად წავიდა. შემოდგომისას ტყის მკაცრმა სილამაზემ იგი დაამშვიდა, თუმცა მოკლულებზე ფიქრს ვერ გაექცა. პანტელეის განცდებთან ერთად მშვენიერია ბუნების აღწერა, რომელსაც აქ ვხედავთ. მისი გადმოცემა შეუძლებელია, თუ ვრცელ ამონაწერს არ გავაკეთებთ. ბუნება და ადამიანი — უსაზღვრო სამყაროს ეს ორი ფენომენი თითქოს ავსებენ ერთმანეთს, როგორც ჭაობში შესული პანტელეი და კობრები, რომლებსაც ის იჭერს. არის რაღაც უხილავი, გამოუთქმელი ადამიანის ურთიერთობაში ბუნებისადმი. არის რაღაც ახლობელი, მშობლიური ბუნების სუნთქვაში. ყველა ამას გრძნობს, მაგრამ ვერ გამოთქვამს. არც პანტელეის შეუძლია, მაგრამ ყველა ადამიანივით მასაც დიდი სიყვარული აქვს მიწისადმი, როგორც მიწის შვილს. შეუძლებელია

ყველაფერი ეს აზრად არ მოგივიდეთ პანტელეის შინაგანი განცდებისა და ბუნების შოლოხოვისეული აღწერის დროს, რომლის ციტირებისაგან ჩვენ თავს ვიკავებთ, ვინაიდან მთელი გვერდების ამოწერა დაგვჭირდებოდა.

და ჩვენ კარგად გვესმის მოხუცი კაზაკის სულიერი ტრაგმა, როცა მეუღლის შეგონებას ანგარიში არ გაუწია, ანიკუშკას არც პანაშვიდსა და არც დაკრძალვაზე არ წავიდა. განა მას მკვდრები არ უნახავს? ეყოფა, რაც ნახა! ისევ ტყეს მიაშურა და მთელი დღე იქ გაატარა. თქვენ გგონიათ იგი არ გლოვობდა მეზობელს? პირიქით: „ტყეში მწუხრის ჟამს ქუდი მოიხადა, პირჯვარი გადაისახა, შემდეგ გუნებაში მღვდელს უსაყვედურა: განა შეიძლება ასე დიდხანს ზარის რეკვა? ზარი ერთ-ორჯერ უნდა ჩამოჰკრას, — ისიც ეყოფა, თორემ ერთ საათს რეკავენო. ნეტავი რა საჭიროა? მხოლოდ გულს უხეთქავენ ადამიანს და ზედმეტად მოაგონებენ სიკვდილს, რომელიც შემოდგომაზე ისედაც გვაგონებს თავს ჩამოცვივნული ფოთლებით, ლაქვარდ ცაში გაფრენილი ბატების ქარავანით და სასიკვდილოდ გაწოლილი ბალახით“ (გვ. 262).

ხუტორში კი ერთ უბედურებას მეორე მოსდევდა. მელეხოვების მთელი ოჯახი შეიძრა, როცა პროხორი ზიკოვმა ეზოში შემოიტანა მოკლულივით უმოძრაო, ტიფისაგან გაოგნებული გრიგორი. ილინიჩნას გული წაუვიდა, დუნიაშკა მამის ბრძანებით კაპიტონოვნასთან გაიქცა დედისათვის სიცხლი რომ გამოეშვებინა, აქსინია ღობიდან უყურებდა ყველაფერს, „გაფითრებულ სახეზე სიცხლის ნატამალიც არ ემჩნეოდა“ (გვ. 264), ეზო გაიცხო ცნობისმოყვარე დედაკაცებით. არა და არ იქნა — მელეხოვების ოჯახს უბედურებათა წყება არ მოეშვა.

მაგრამ ამჯერად უბედურებამ გაიარა. გრიგორი საშინელ სენს გადაურჩა. ოღონდ ტიფმა ცნობისმოყვარეობის გაძლიერება დაუტოვა, როგორც ბუნებრივი შედეგი. და რამდენად მართალია ავტორი, როცა თავის გმირს, ლოგინიდან პირველად ამდგარს, ფანჯარასთან მიიყვანს, მზის სხივებზე გაბრწყინებულ თოვლს დააცნობვებს, მოაჩვენებს „თითქოს ახალი მშვენიერი ზამთარი არასდროს ენახა“ (გვ. 265). მისუსტებულ, ჩონჩხად ქცეულ გრიგორის „ყველაფერი ისე არაჩვეულებრივად ეჩვენებოდა, თითქოს ახლადშე-

ქმნილიყო და ახალი მნიშვნელობა ჰქონდა. ავადმყოფობის შემდეგ მხედველობა გაუმახვილდა, თავის გარშემო ახალ-ახალ საგნებს ხედავდა და იმ საგნებში, რასაც იგი დიდი ხანია უკვე იცნობდა, ცვლილებას პოულობდა“ (იქვე).

ისე კარგადაა აღწერილი მელეხოვის ცხოვრების ეს სცენები, იმდენი სიგულისხმოა ნათქვამი პატარა პოლუშკაზე, რომელიც გარდაცვლილი დედის დაბრუნებას მოელის, მიშატკაზე, სულ ომს რომ ახსენებს (ბებია ილინიჩნა მის შესახებ ამიტომ ამბობს: „კიდევ ერთი კაცისმკვლელი იზრდებაო!“), საერთო მდგომარეობაზე, რომ მკითხველისათვის შოლოხოვის ოსტატობის საილუსტრაციოდ გვინდა ვრცელი ამონაწერი მოვიტანოთ. აი, ეს ადგილიც „წყნარი დონიდან“:

„გრიგორის არ შეეძლო სახლიდან გასვლა, ამიტომ დიდხანს ერთობოდა ბავშვებთან. ბავშვებს ყველაფერზე ელაპარაკებოდა, მხოლოდ ნატალიაზე საუბარს ერიდებოდა. მაგრამ ერთხელ პოლუშკა ალერსის დროს შეეკითხა:

— მამიკო, დედიკო აღარ დაბრუნდება ჩვენთან?

— არა, გენაცვა, იქიდან აღარ ბრუნდებიან...

— საიდან? სასაფლაოდან?

— ერთი სიტყვით, მკვდრები არ ბრუნდებიან.

— დედა სულ მკვდარია?

— მაშ სხვანაირად როგორ იქნება? რასაკვირველია, მკვდარია.

— მე კი მეგონა, როდესმე მოიწყენს უჩვენოდ და მოვა-მეთქი...— ჩუმად წაიჩურჩულა პოლუშკამ.

— შენ იმაზე ნუ ფიქრობ, ჩემო კარგო, არაა საჭირო, — ყრუდ უთხრა გრიგორიმ.

— აბა როგორ არ ვიფიქრო დედაზე? ისინი სანახავად მაინც არ მოდიან ხოლმე? ცოტა ხნით მაინც? არა?

— არა. წადი, მიშატკას ეთამაშე. — გრიგორიმ ზურგი შეაქცია. ეტყობა ავადმყოფობამ დაასუსტა: თვალები ცრემლებით აევსო და ბავშვებს რომ არ დაენახათ, დიდხანს პირისახით იდგა ფანჯრისაკენ მიბრუნებული.

გრიგორის არ უყვარდა ბავშვებთან ომზე ლაპარაკი, მიშატკას კი ყველაზე მეტად ომი აინტერესებდა. იგი ხშირად ჰკითხავდა მამას: როგორ ომობთ, წითლები როგორები არიანო, რითი ან რისთვის ხოცავენო მათ. გრიგორი იბღვირებოდა და ცივად უპასუხებდა:

— აი, ისევ მოჰყე ერთი და იგივე თუთიყუშივით! ნეტა რა ჯანდაბად გინდა ეს ომი? ისა სჯობია იმაზე ვილაპარაკოთ, ზაფხულში თევზი ანკესით როგორ დავიჭიროთ. გაგიკეთო ანკესი? აი. როგორც კი გავალთ ეზოში, მაშინვე გაგიკეთებ ძუისაგან ნემსკავს.

როდესაც მიშატკა ომზე დაუწყებდა ლაპარაკს, გრიგორი ფარულ სირცხვილსა გრძნობდა: ბავშვის უბრალო მიამიტ კითხვებზე ვერასდროს ვერ აძლევდა პასუხს. თუ რა იყო ომის მიზეზი — არავინ იცოდა. ალბათ იმიტომ, რომ ამ კითხვებზე თვითონვე ვერ უპასუხებდა თავის თავს. მაგრამ მიშატკას თავიდან მოცილება არც ისე ადვილი იყო: თითქოს ყურადღებით უსმენდა, მამა თევზის ჭერის გეგმებზე რომ ესაუბრებოდა, და შემდეგ ისევ ეკითხებოდა:

— შენ, მამიკო, ომში ადამიანები დაგიხოცავს?

— დამანებე თავი, შე ბირკავა შენა!

—გეშინოდა, როცა ხოცავდი? როდესაც ხოცავენ, სისხლი ბევრი გამოსდით? ქათამზე ან ცხვარზე მეტი?

— აკი გითხარი, მაგაზე ნუ მელაპარაკები-მეთქი!

მიშატკა ერთ წამს დუმდა, შემდეგ კი ჩაფიქრებულმა უთხრა:

— იმ დღეს ვნახე, პაპამ რომ ცხვარი დაკლა. მე კი არ შემეშინდა... ისე ცოტათი გამცრა ტანში, თორემ სულაც არ შემშინებია!

— მოიცილე თავიდან ეგ ბიჭი! — წამოიძახა გულნაწყენმა ილინიჩნამ. — კიდევ ერთი კაცისმკვლელი იზრდება! ნამდვილი ყაჩაღი! მხოლოდ ერთი რამ იცის — ომზე ლაპარაკი, სხვა რამის გაგონებაც კი არ უნდა. ღმერთო შეგცოდე, რა შენი საქმეა, შვილიკო, მხოლოდ იმ დაწყეველილ ომზე ლაპარაკი? აქ მოდი! აი ბლინი, ცოტა ხანს გაჩუმდი მაინც.

მაგრამ ომი ყოველდღე აგონებდა ადამიანს თავს. გრიგორის სანახავად ფრონტიდან დაბრუნებული კაზაკები მოდიოდნენ. ისი-

ნი ამბობდნენ: შკური და მამონტოვი ბუდიონის ცხენოსანმა არმიამ გაანადგურაო, ორიოლთან დავმარცხდით, ფრონტებზე უკან დახევა დავიწყეთო. გრიბანოვსკაიასთან და კარდაილთან ბრძოლებში კიდევ ორი ხუტორელი მოჰკლეს; მოიყვანეს დაჭრილი გერასიმე ახვატკინი; მოკვდა ტიფით დაავადებული დიმიტრი გოლოშჩეკოვი. გრიგორიმ გუნებაში გაიხსენა იმ ორი ომის დროს მოკლული თავისი ხუტორელი კაზაკები და ტატარსკში კომლი არ აღმოჩნდა, რომელსაც დანაკლისი არ განეცადა" (გვ. 267—269).

რა ბუნებრივია ყოველივე ეს, რამდენად გულში ჩამწვდომია, მით უფრო, როცა იცი შემდეგ რა მოხდება. მაგალითად, პოლუშკა საფლავიდან დედის დაბრუნებას რომ ნატრობს, მოელის, მალე კი თვითონ გარდაიცვლება და საფლავში ჩაეპვენება. ადამიანები კვდებიან, იხოცებიან, ხოლო თუ სიკვდილი ტრაგიკულის ორგანული თვისებაა, სხვა ფერმენტებთან ერთად, მაშინ „წყნარი დონი" ეპოსის ჟანრში განხორციელებული ტრაგედიაა.

რომანის ეს ტრაგიკული ხაზი ტეტრალოგიის მეოთხე წიგნში ყველგან ძლიერდება, სულ მაღლა ადის, თუმცა ფინალამდე ჯერ კიდევ ბევრია დარჩენილი.

აი, ავადმყოფობის შემდეგ მომჯობინებულ გრიგორი მელეხოვს სტანიცის ატამანი საექიმო კომისიაზე უხმობს ჯარში გასაგზავნად. მაგრამ სტანიცა პანტელეი პროკოფიჩმაც უნდა დატოვოს, ვინაიდან უკვე ოლქის ატამანის ბრძანებაა მოსული — ფრონტის მოახლოების გამო, ყველა ასაკოვანი კაზაკი ხუტორიდან გაიიდესო. მამა-შვილს ამ თემაზე საუბრის დროს ცოტა უსიამოვნებაც მოუვიდათ. ბოლოს გადაწყვიტეს ცალ-ცალკე გასულიყვნენ ტატარსკიდან, თუმცა ძალე გაირკვა, რომ მთელი ხუტორის მამაკაცები ერთად გადიოდნენ. გრიგორის სხვა გეგმა ჰქონდა—ვეშკაში გამველელ სამხედრო ნაწილებს მიჰკედლებოდა. წასვლის წინ გულმა არ მოუთმინა და აქსინია ინახულა. „მასთან სალამოს მივიდა, როდესაც ხუტორში უკვე ლამპები აანთეს. აქსინია ძაფს ართავდა. მას გვერდით ანიკუშკას ქვრივი ეჯდა, წინდას ქსოვდა და რაღაცას უამბობდა. გრიგორიმ დაინახა უცხო ქალი და აქსინიას სთხოვა:

— ცოტა ხანს გამოდი, საქმე მაქვს.

გრიგორიმ დერეფანში აქსინიას მხარზე ხელი დაადო და ჰკითხა:

— წამოხვალ ჩემთან ერთად?

აქსინია დიდხანს დუმდა, ფიქრობდა რა პასუხი მიეცა, შემდეგ ჩუმად თქვა:

— მერე სახლ-კარი? ოჯახი?

— ვისმე ჩააბარე, უნდა წამოხვიდე.

— როდის?

— ხვალ გამოგივლი.

აქსინიამ გაიღიმა სიბნელეში და უთხრა:

— გახსოვს, მე შენ დიდი ხანია გითხარი, თუ გინდა ცხრა შთას იქით წამოგყვები-მეთქი. მე ახლაც ასეთი ვარ, ჩემი სიყვარული შენდამი ჭეშმარიტია. წამოვალ, არაფერს დავხედავ. როდის გელოდო?

—საღამოს. ბევრი არა წამოიღო რა. მხოლოდ ტანსაცმელი და რაც შეიძლება მეტი საჭმელი. აბა ნახვამდის.

— ნახვამდის, ეგებ შემოსულიყავი?.. დედაკაცი ახლავე წავა. საუკუნეა არ მინახიხარ... ჩემო კარგო გრიშენკა! მე კი მეგონა, რომ შენ... არა, არ გეტყვი.

— არა, არ შემიძლიან. მე ახლა ვეშკაში მივდივარ. მშვიდობით. ხვალ მელოდე.

გრიგორი დიდი ხანია დერეფნიდან გამოვიდა და ჭიშკარს მიადგა, მაგრამ აქსინია განაგრძობდა დერეფანში დგომას, იღიმებოდა და ხელს გულით ისრესდა ანთებულ ლოყებს" (გვ. 273—274).

როცა ვეშკადან დაბრუნდა, სადაც გრიგორის სასიამოვნო არაფერი დახვედრია, ტატარსკში ილინიჩნამ იმით გაახარა, რომ უთხრა: შენი პროხორი გამოჩნდაო. თუმცა გვიანი ღამე იყო, გრიგორი უმალ გაემართა თავისი ერთგული ორდინარეცისაკენ. მასთან საუბარი, მთელი დიალოგი იმდენი გონებამახვილობითაა სავსე, რომ ეს გვერდები რომანისა „გარგანტიუა და პანტაგრუელის" საუკეთესო ადგილების გვერდით შეიძლება დავაყენოთ. რამდენი სიმართლე, ცხოვრებისეული წვრილმანი, რამდენი ხუმრობა, მოსწრებული სიტყვა, იუმორი და ირონიაა პროხორი ზიკოვის ნაამბობში, თუ როგორ ცდილობდა იგი ვენერიული სენით დაავა-

დებინა თავი, რომ ჯარიდან გაეთავისუფლებიათ, რაკი ერთი ოფიცრის გამო იქ ყოფნა არ სურდა. მესამე დღეს კი ის ოფიცერი მოჰკლეს და წარმოიდგინეთ პროხორის გულისტკივილი — სულ ტყუილ-უბრალოდ შეიყარა საძრახი ავადმყოფობა (გვ. 275—281).

და, აი, ტატარსკიდან ღამით გადიან ერთად გრიგორი, აქსინია, პროხორი. „მარხილის ქვეშ თოვლი ჭრაჭუნებს“ (გვ. 282). ჩაუბრობენ მგზავრები. ვინ იცის წინ რა ელით, რა განსაცდელი, რა ვაი და რა უბედურება! ყველაზე მეტად გახარებული აქსინია იყო. იგი „ღრმა ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა თოვლით გადაპენტილ ტრამალს, გაპრიალებულ გზას, შორს სიბნელეში ჩაძირულ ჰორიზონტს. მისთვის ყველაფერი ახალი და უცნაური იყო. მას არასდროს არსად არ ემგზავრა და ყველაფერი იპყრობდა მის ყურადღებას. როდესაც თვალებს ხრიდა და წამწებზე თოვლის სასიამოვნო სიმწვავეს იგრძნობდა, აქსინია იღიმებოდა იმიტომ, რომ ასე მოულოდნელად და საკვირველად ასრულდა მისი დიდი ხნის ნატვრა — ტატარსკიდან, გრიგორისთან ერთად, შორს სადმე წასულიყო. აქსინიამ ხომ იმდენი იტანჯა ამ მშობლიურ და დაწყეველილ მხარეში, სადაც ნახევარი სიცოცხლე ქმართან გაატარა, რომელიც არ უყვარდა, სადაც ყველაფერი აღვსილი იყო დაუვიწყარი და მწარე მოგონებებით. აქსინია იღიმებოდა, მთელი სხეულით გრძნობდა გრიგორის სიახლოვეს, იმაზე აღარ ფიქრობდა, თუ რა ფასად დაუჯდა ეს ბედნიერება, და აღარც წინ იხედებოდა, — მომავლისაკენ, რომელიც ისეთივე ბნელი წყვდიადით იყო დაფარული, როგორც შორს ტრამალის მიმზიდველი ჰორიზონტი“ (გვ. 282—283).

დააკვირდით: რამდენი განცდა, რამდენი ადამიანური ნიუანსია ამ პატარა ფრაგმენტში, აქსინიასა და გრიგორი მელეხოვის სუსხიანი რომანტიკით საესე სიყვარულში. ასეთი განცდა, ასეთი სიყვარული, ასეთი უაზრო მსხვერპლის გაღება მარტოოდენ ახალგაზრდას შეუძლია. აქსინია ასტახოვა და გრიგორი მელეხოვი ძალიან ახალგაზრდები რომ არ იყვნენ, იმას ვერ გააკეთებდნენ, რასაც სჩადიან, თუმცა ჩვენ კარგად გვესმის დიდი პოეტების შესანიშნავი სიტყვები, რომ სიყვარულის ძალას ყველა ემორჩილება, ყველა ასაკი ემორჩილება. მაგრამ არის განსხვავებაც: მოხუცი დიდი მოფიქრებითაც ვერასოდეს შეიძლებს იმას, რასაც ახალგაზრდა სრუ-

ლიად დაუფიქრებლად გააკეთებს. მოხუცში განსჯა თითქმის ყოველთვის ჩაგრავს საქმეს, ახალგაზრდასთან საქმე უფრო ხშირად აქარწყლებს განსჯას. ამიტომაა, რომ პანტელეი პროკოფიჩის მოფიქრებული ღონისძიებანი — როგორმე გათიშოს აქსინია და გრიგორი, არარაობად იქცევა ხოლმე, როგორც კი განხორციელებას იწყებს. საბრალო მოხუც პანტელეის არ ესმის, რომ ახალგაზრდებს ხანდაზმულების მეტრით ვერავინ გაზომავს; თუ ვინმე შეეცდება ეს გააკეთოს, ისეთივე ტრაგი-კომიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდება, როგორც მელეხოვების პატრიარქი. ეს არ ესმის არა-მოხუც პროხორისაც — აქსინია და გრიგორი რომ მიჰყავს უცნობი მხარისაკენ. პროხორის უკვირს, თუ როგორ გაბედა „სულელმა დედაკაცმა“ აქსინიამ სახლიდან გამოქცევა, რა არის სასიხარულო იმაში, რომ სახლი სრულიად უპატრონოდ დატოვა, არავინ იცის, რა შედეგი მოჰყვება ამ გასეირნებას, ქმარი თუ დაბრუნდა, რაღას იზამს მაშინ? მაგრამ აქსინია, სინანულის ნაცვლად, სიცილ-ხუმრობით პასუხობს პროხორის, აინუნშიაც არ აგდებს მის გულისწყრომას. გრიგორი მელეხოვიც ღიმილით უსმენს აქსინიასა და პროხორის საუბარს. ერთი სიტყვით, ახალგაზრდების თავაწყვეტილ სიყვარულს ვერავინ დააკლებს, ვიდრე სიყვარული თვითონ არ შეიპყრობს თავის თავს. პროხორი კი სხვანაირად ფიქრობს: „ახლა მე ასე ვფიქრობ, რომ დუნიაზე დედაკაცზე საძაგელი არაფერია, ნამდვილი ჰინჭრის თესლია“; „ღმერთმა ყველაზე ცუდი ისა ჰქნა, რომ დედაკაცები გამოიგონა. ისეთი გაბრაზებული ვარ მაგათზე, რომ ამ ეშმაკებს სულ გავწყვეტავდი, მათ ნატამალს არსად გავუშვებდი!“ (გვ. 284). ეს არის და ეს, რა გამოსავალსაც ხედავს პროხორი, უნებლიეთ, შეუცნობლად იზიარებს რა ძველი ქრისტიანი დოგმატიკოსების აზრებს ქალის, როგორც ცოდვილის, როგორც ეშმაკეული სულის შესახებ.

რა ხდება შემდეგ?

მგზავრობა საშინელ პირობებში გრძელდება. ღამეს კარგინსკში ათევენ. თოვლი, სიცივე, უამინდობა განსაკუთრებით აწუხებს პროხორის, რომელიც კარგად გრძნობს: ეს დაწყევლილი აქსინია რომ არ ყოფილიყო, ამ „გასეირნებას“ გრიგორი არ წამოიწყებდა. არც თვითონ ჩავარდებოდა მძიმე მდგომარეობაში. ღამე ხომ ძნელი ხდება ბინის შოვნა, ვინაიდან გზები და სახლები ლტოლვილე-

ბითაა სავსე. სოფელ მოროზოვსკაიაში იძულებული გახდნენ ღამე ფარდულში გაეთიათ. მაგრამ „ქარბუქში დასველებული ტანსაცმელი დილით უკვე გაყინულიყო, მოკუმშულიყო, მოძრაობის დროს შარიშური გაჰქონდა. გრიგორის, აქსინიას და პროხორს თითქმის მთელი ღამე არ ეძინათ. მხოლოდ გათენებისას გათბნენ, როდესაც ეზოს გარეთ ჩალის კოცონი დაანთეს“ (გვ. 284). მთელი ერთი კვირა ასე ტანჯვით იარეს სამხრეთისაკენ. ვერაფერი შეიტყვეს ვერც ტატარსკისა და ვერც ტატარსკელების შესახებ. „გრიგორიმ მხოლოდ მეცამეტე დღეს მიაგნო მათ კვალს უკვე რკინიგზის ხაზის იქით“ (გვ. 286). დააკვირდით: მხოლოდ მეცამატე დღეს! მაგრამ რამდენი ტანჯვაა ჩატეული ამ ცამეტ დღეში?! რამდენი განცდა, რამდენი ტკივილი?! ჭოთვლაც შეუძლებელია, თუმცა ავტორი არაერთ მათგანს ტრაგიკულად გადმოგვცემს.

ამ დაუსრულებელ უბედურებაში რა არ შეიძლებოდა მომხდარიყო და მოხდა კიდეც: მართალია, როგორც ავტორი გვეუბნება, „აქსინია მამაცურად იტანდა მოგზაურობის პირობებს“ (გვ. 267), მაგრამ როდემდის შეიძლება ადამიანმა ტანჯვა-წამებას გაუძლოს? ხომ არის საზღვარი, რომლის იქით აღარც წასვლა, აღარც მოთმენა შეიძლება? და აქსინიამაც ვეღარ გაუძლო — გატყდა ეს ჭამაცი კაზაკი ქალი. „ღამე, როდესაც დასაძინებლად დაწვნენ, გრიგორის მოეჩვენა, რომ აქსინია ტიროდა“ (გვ. 288). განა შეიძლებოდა არ ეტირა, უკვე ტიფით დაავადებულს, საშინელ მდგომარეობაში მყოფ ქალს? მან პირდაპირ უთხრა გრიგორის: სიარული მეძნელებაო. ან კი აქამდე როგორ იარა? ახლა კი ყველაფერი თითქოს ამოიწურა!

თუ რა საშინელი მდგომარეობაა ჩვენი მგზავრების ირგვლივ, შეგვიძლია ნათლად წარმოვიდგინოთ თვით აქსინიას სასოწარკვეთილი სიტყვებით, რასაც იგი გრიგორის ეუბნება: „მკბენარი შეგვჭამს, გრიშკა! თავსაც ვერ ვუველი, გარს მამაკაცები გვახვევია... მე გუშინ ფარდულში გავედი, ტანთ გავიხადე, პერანგი კი ისევ სავსე მაქვს მკბენარით. ღმერთო ჩემო, არასდროს ასეთი საშინელება არ მინახავს. როგორც კი მომაგონდება მკბენარი, გული მერევა, ჭამა აღარ შემიძლია! გუშინ თუ ნახე, მერხზე რომ იწვა, იმ პოხუცს რამდენი ეხვია? ხიფთანის ზემოდანაც კი დაცოცავდნენ.

— ნუ ფიქრობ მკბენარზე — რას დაგიჩემებია მკბენარი. ჭკბენარი, ჯარში იმათ არა სთვლიან, — წარმოთქვა გულნაწყენმა გრიგორიმ.

— მთელი ტანი მექავება.

— ყველას ექავება ტანი, მერედა რა ვქნათ? მოითმინე. ეკატერინოდარში ჩაველთ და იქ დავიბანთ ტანს.

— სუფთაც ველარ ვიცვამ! — ამოიოხრა აქსინიამ, — დაე ვიღუპებით მკბენარებისაგან, გრიშა!“ (გვ. 288).

ასეთია უმძიმესი, ულმობელი სინამდვილე, რომელსაც ასევე ულმობლად, შეუბრალებლად გადმოგვცემს მიხეილ შოლოხოვის საოცრად ძლიერი მხატვრული ტალანტი.

აუღელვებლად, ღრმა გულისტკივილის გარეშე ვერ წაიკითხავ მომდევნო სცენებს, როცა ავადმყოფი აქსინია მარხილით ძიძაყავთ, თითქმის დავრდომილი, ნახევრადგონდაკარგული, მოსავლელად უტოვებენ ერთ ოჯახს (გასამრჯელოს მიცემით) და გრიგორი უბრძანებს პროხორის: „აქსინია აქ დარჩეს... ღმერთი იყოს ჩემი მსაჯული, სასიკვდილოდ მისი წაყვანა არ შემიძლიან!“ (გვ. 297). სახლის პატრონმა იმით დაამშვიდა შეშფოთებული გრიგორი, რომ აღუთქვა: „ხელი ხელს მივცეთ (გარიგების შემდეგ — გ. ჯ.) და დავტოვეთ თქვენი ავადმყოფი. ჩვენ, როგორც ჩვენსას, ისე მოვუვლით, ღმერთსა ვფიცავ!“ (იქვე).

მაგრამ, „იმის შემდეგ, რაც აქსინია დატოვა, გრიგორის არაფერი აინტერესებდა, რაც მის გარშემო ხდებოდა“,—გვეუბნება ავტორი. ხდებოდა კი ძალიან მნიშვნელოვანი: თეთრი არმია სულს ღაფავდა, ომი ფაქტიურად თავდებოდა, ყუბანი ღელავდა, დენიკინი სასტიკად უსწორდებოდა მოწინააღმდეგეებს, ხმები დადიოდა — საბჭოთა არმია ყუბანზე გაელით მიემართება კავკასიისაკენ, როსტოვში უკვე წითლები იყვნენ. ამ ვითარებაში გრიგორი მელეხოვს სურდა როგორმე ნაწილს მიჰკედლებოდა, მაგრამ პროხორიმ სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია: „შენ, როგორც ჭეტყობა, გრიგორი პანტელევიჩ, საბოლოოდ ჭკუაზე შესცდი!... განა მე სუსუნატი იმიტომ შევიყარე, რომ ისევ ფრონტზე კეთრიო?.. ეს ომი ისე მომყირჭდა, რომ მომაგონდება, გული მერევა“. (გვ. 299). ასე გულაღრენილია პროხორი, მაგრამ იგი მარტო როდია —

ჯარისკაცებს მოძულებული აქვთ ომი, უთვალავ საშინელებათა კადამტანი ადამიანები სიმშვიდეს მოითხოვენ, თუმცა ჯერ კიდევ ცოტა როდია გასაკეთებელი, რომ სამოქალაქო ომი, მძიმე და აუტანელი, დამთავრდეს!

წარმოიდგინეთ თუნდაც გრიგორი შელეხოვის მდგომარეობა: აი, იგი, უკვე მოხეტიალე კაცი, რომელმაც მეუღლე დაჰკარგა, შვილები, მშობლები, დაიკო მიტოვებული ჰყავს, მათ შესახებ, ისევე როგორც უცნობ სოფელში მარტოდ დარჩენილ, მომაკვდავ აქსინიაზე არაფერი იცის. დგას მიცვალებული მამის ცხედრის წინაშე, რომელიღაც ხუტორ ბელაია გლინაში. გრიგორიმ სრულიად შემთხვევით გაიგო, რომ მამამისი ტიფით გარდაიცვალა, დღეს უნდა დაკრძალონ.

და ეს ადგილი რომანში ისე შემზარავია, ისე კოლორიტულად გადმოგვცემს სამოქალაქო ომისდროინდელ საშინელ სურათებს, რომ შეუძლებელია გვერდი აუაროთ, თუ გვინდა მთელი ის ტანჯვა ბოლომდე წარმოვიდგინოთ, რაც ასე მართლად და რეალისტურად წარმოსახულმა შოლოხოვის გმირებმა გადაიტანეს.

როცა გრიგორი იმ ოთახთან მივიდა, სადაც დასვენებული იყო პანტელეი პროკოფიჩი, „ბესხლებნოვმა მეზობელი ოთახის კარი გააღო და თითქოს ბოდიშით უთხრა: — მიცვალებულთან ერთ ოთახში კაზაკებმა არ ინდომეს დარჩენა. ჰაერი ისეც შეხუთულია. მიცვალებულისათვის აქ ჯობია... სახლის პატრონი არ ათბობს ამ ოთახს.

დიდ ოთახში სელის თესლის და თაგვების მწვავე სუნი იდგა; კუთხეში ფეტვი და სელი ეყარა; მერხზე ფქვილითა და ერბოთი სავსე კასრები ელაგა. შუა ოთახში, ჭილოფზე, პანტელეი პროკოფიჩი ესვენა. გრიგორი მოშორდა ბესხლებნოვს, ოთახში შეეიდა და მამის ახლოს გაჩერდა.

— ორი კვირა იყო ავად, — ჩუმად თქვა ბესხლებნოვმა. — ჯერ კიდევ მეჩეტკაში წააქცია ტიფმა. აი სად მოუხდა მამაშენს განწყენება... ასეთი ყოფილა ჩვენი წუთისოფელი...

გრიგორი დაიხარა და მამას დააცქერდა. ავადმყოფობას შეეცვალა მშობლიური სახე, იგი უცხო და საოცრად გამოცვლილი იყო. პანტელეი პროკოფიჩის ჩაცვინული ლოყები ჰაღარა ჯაგარს

დაეფარა, ჩავარდნილ პირზე ულვაშები ჩამოეფხატოდა. თვალები ნახევრად ღია დარჩენოდა. ჩალურჯებული თვალის კაკლებში სიცოცხლის ელვარება და იერი გაქრობოდა. მოხუცის ქვედა ყბა წითელი ყელსახვევით აეკრათ. მისი ჰაღარა ხუჭუჭა წვერი წითელი ყელსახვევის ფონზე უფრო ვერცხლისფრად და თეთრად მოჩანდა.

გრიგორიმ მუხლი მოიყარა, რომ უკანასკნელად ყურადღებით დაეთვალიერებინა, — დაეხსომებინა მშობლიური სახე, მაგრამ მოულოდნელად ზიზღითა და შიშით გააჟრჟოლა; პანტელეი პროკოფიჩის ყვითელ სახეზე, თვალებსა და ლოყებზე მკბენარები დაინახა. მკბენარები ცოცხალი მოლივლივე საფენივით ფუთფუთებდნენ, ჩამჯდარიყვნენ წვერში, წარბებში და ლურჯი ხიფთანის მაღალ საყელოში“ (გვ. 304—305).

აღამიანურად ამაზე შემაზრზენ, საზიზღარ სცენას ხშირად როდი ნახავს მკითხველი მსოფლიო ბელეტრისტიკაში. აქ ყველაფერი მართლაც შეგაჟრჟოლებს და მისი სიმართლე გულის სიღრმემდე ჩაგწვდება, უეჭველად აუტანელ შინაგან ტკივილს განგაცდევინებს.

როგორც იქნა გრიგორიმ ორი კაზაკის დახმარებით საფლავი გათხარა და სტავროპოლის მხარის უცხო მიწაში დამარხა თავისი მამა. სულ მალე თვითონაც ავად გახდა შებრუნებული ტიფით, რასაც პირდაპირ სასწაულით გადაურჩა. ეს გადარჩენა მთელი ოდისეაა და ჩვენ არ გავაცნობთ მკითხველს — უმჯობესია თვითონ წაიკითხოს რომანში, სადაც ყველაფერი დაწვრილებით არის გადმოცემული.

ამ გადარჩენის შემდეგ მომჯობინებული გრიგორი ხედავს, თუ როგორ იშლება თეთრების არმია, იწყება ევაკუაციები, გარბიან კაპიტალისტები, მემამულეები, გენერლები, გავლენიანი პოლიტიკური მოღვაწეები ოჯახებიანად. ნოვოროსიისკის პორტში უკვე ჩამომდგარია ინგლისური დრედნოუტი — „ინდოეთის იმპერატორი“. რომელსაც დავალებული აქვს საევაკუაციო ოპერაციები. ირგვლივ სრული ქაოსია. ნოვოროსიისკის „ჭუჩები სავსე იყო ათეული ათასი ლტოლვილით. სამხედრო ნაწილები სულ უფრო და უფრო ემატებოდა. ნავსადგურში აუწერელი ჟყლეტა იყო. ნოვოროსიისკის გარშემო მდებარე კირის გორაკებზე ათასობით ცხენი და-

ეხეტებოდა. ნავსადგურის ახლომახლო ქუჩებში კაზაკური ჯნაგრები, აკაზმულობა და სამხედრო ჭონება ეყარა. ეს ყველაფერი უკვე აღარავის ესაჭიროებოდა. ქალაქში ხმა დადიოდა, რომ გემებზე მხოლოდ მოხალისეთა არმია იტვირთებაო, ღონელები და ყუბანელები კი სალამჭრო წესით საქართველოში წავლენო“ (გვ. 314). იმ დროის საქართველოში არსებულ მენშევიკურ მთავრობას, რომლის უგუნურმა პოლიტიკამ ქვეყანა კატასტროფამდე მიიყვანა, ხოლო მოსახლეობას შიმშილის ბორკილები დაადო, ამ აქციის განხორციელება უკვე აღარ შეეძლო. პლატონ რიაბჩიკოვთან ერთად ნოვოროსიისკში ჩასულმა გრიგორი მელეხოვმა საკუთარი თვალით იხილა მთელი ეს ქაოსი. გემზე მას ადგილი არ მისცეს და იძულებული გახდა დატვირთვის უფროსს, არევ-დარევით მოთმინებიდან გამოსულ პოლკოვნიკს წაჩხუბებოდა. მცირე ყოყმანის შემდეგ გრიგორიმ გადაწყვიტა აღარ გაჰყოლოდა ლტოლვილებს, გემი მიატოვა, დარჩა იმისათვის, რომ „ბედი ეცადა“. პლატონ რიაბჩიკოვმა არ მიიღო მისი წინადადება — „რაღაც არა მაქვს სურვილი, რომ წითლებმა ჩემს თავზე მახვილი სინჯონ“ (გვ. 320), თუმცა შემდეგ ისევ ამჯობინა გრიგორისთან ერთად ყოფილიყო— გემს აღარც ის გაჰყოლია.

რომანში ეს სცენები, ისევე, როგორც უკანასკნელი ტრანსპორტის გასვლის შემდეგ „ავბედითი სიჩუმე ნავსადგურში“ ძლიერი კოლორიტული შტრიხებითაა წარმოსახული. თქვენ ხედავთ, რომ „იქ, სადაც ამ ცოტა ხნის წინ უკანასკნელი ტრანსპორტი ირწეოდა, წყალში ცურავდნენ ოფიცრის უნაგირები, ჩემოდნები, საბნები, ქურქები, წითელი ხავერდით გადაკრული სკამები“; „გემ „სვიატოსლავის“ კიბეზე თავი მოიკლა სამსახურიდან გადამდგარმა პოლკოვნიკმა, რომელსაც გემზე ადგილი არ მისცეს“; მცირე ხნის შემდეგ „ხალხში მოისმა ქალების ქვითინი, ისტერიული ყვირილი, გინება... ჯერ კიდევ არ გაჩუმებულიყო გემის საყვირის ღრიალი, რომ ახალგაზრდა ყალმუხი, რომელსაც მელიის ბეწვის ყურებიანი ქუდი ეხურა, წყალში ჩახტა და გემს ცურვით გაჰყვა“ (გვ. 328). გრიგორი და მისი ამხანაგები ხედავენ ამ სურათებს, გრძნობენ, რომ გაქცევის იმედი ამოიწურა, უნდათ თუ არ უნდათ, უნდა დარჩნენ, მაგრამ გელენჯიკში ჩავიდნენ, იქიდან კი საქართველოში. მენშევიკური საქართველო მათ თავშესაფრად ეგულებათ, და

არც ცდებიან, თუმცა არ იციან, რომ ქართული ჟირონდის დღეებიც უკვე დათვლილია. ამიტომ არავითარი ფასი არ ჰქონდა რიაბჩიკოვის ცნობას — „ჩვენ ერთი ვოისკოვი სტარშინა მოგვეკედლა. გზა კარგად იცის. ამბობს: „თვალხუჭულა ჩაგიყვანთო ტფილისამდისო!" (გვ. 329). ამ გზას ორმოცდაათიოდე კაზაკი უნდა გაჰყოლოდა, მაგრამ არ იქნა და არა — გრიგორი ვერ დაიყოლიეს. მან კატეგორიული უარი განაცხადა, — „არა, არ წამოვალ", „არ არის საჭირო".

სწორედ ამ დროს გაისმა ტყვიამფრქვევის ხმა, ჯავშნიანი მატარებლიდან ქვემეხების გუგუნი, „ასლანიდის წისქვილთან პირველი ყუმბარა გასკდა". გრიგორიმ დაინახა, რომ „ინგლისის დრედნოუტი „ინდოეთის იმპერატორი" მოკავშირე რუსეთის ნაპირებს სცილდებოდა და თორმეტდიუმიანი ქვემეხებიდან ნაპირს რამდენიმე ყუმბარა გადმოტყორცნა. დრედნოუტი ზღვაში გასულ გემებს იცავდა და ქალაქის გარეუბნებისაკენ წამოსულ წითელმწვანე მარებს ყუმბარებს უშენდა. დრედნოუტმა ცეცხლი უღელტეხილსაც დაუშინა, სადაც წითლების ბატარეა გამოჩნდა. მძიმე გრიალით და ღმუილით მიჰქროდნენ ნავსადგურში შეკრებილი კაზაკების თავზეით ინგლისური ყუმბარები" (გვ. 330). ამ კაზაკთა შორის გრიგორი მელეხოვიც იყო. მან „ცხენი დასძრა და ქუჩებში გავიდა" (იქვე).

რა ხდება შემდეგ?

ტრილოგიის უკანასკნელი მერვე ნაწილი, დონის ტრამალების მშვენიერი აღწერით რომ იწყება, წარმოგვიდგენს ნაავადმყოფარ აქსინიას, რომელიც ტიფს გადაურჩა, პირველად გამოვიდა პარმაღზე. ჭის პირას ჩამოჯდა, ხარბად დაუწყო ცქერა უცნობ, მაგრამ გაზაფხულის სურნელებით დამტკბარ გარემოს; სევდაც მოჰგვარა უცხო მხარეში ტოროლას გალობამ. რაკი გრიგორი აღარ მოვიდა, თან შეიტყო — ბევრი კაზაკი ყირიმში წავიდაო, — აქსინიამ გადაწყვიტა შინ დაბრუნებულიყო. მით უფრო, რომ თანამგზავრი გამოუჩნდა — მოხუცი მკერავი ვეშენსკაიას სტანიციდან.

როგორც იქნა შინ დაბრუნდა საბრალო ქალი, ორ კვირაზე ბეტი ხნის შემდეგ. მტირალსა და დაღლილს პირველმა ილინიჩნამ მიაკითხა. შვილის ამბავი სურდა გაეგო. აქსინიამ მხოლოდ ახლა შეიტყო, რომ პანტელეი პროკოფიჩი გარდაიცვალა. მეორე დღეს

დუნიაშამ ესეც უთხრა — ერთ წელიწადში ჩვენმა ოჯახმა ოთხი წევრი დაკარგა — პეტრო, ნატალია, დარია და პროკოფიჩი.

მას შემდეგ, რაც დაბრუნდა, დამოკიდებულება მელეხოვების ოჯახსა და აქსინიას შორის უკვე სასიკეთოდ შეიცვალა. „გრიგორიზე სიცოცხლის ჯავრმა, — გვეუბნება ავტორი, — თითქოს დააახლოვა და დაანათესავა ისინი“ (გვ. 338). ორივენი ფიქრობენ გრიგორიზე, მაგრამ ვერაფერს გებულობენ, ვიდრე დაბრილი (ცალხელა) პროხორ ზიკოვი ტატარსკოეში არ ჩამოვიდა. მან უამბო აქსინიას, რომ გრიგორისთან ერთად შევიდა ბუდიონის ცხენოსანი არმიის მეოთხმეტე დივიზიაში. იგი უკვე ესკადრონის უფროსია, კარგად არის, გამხიარულდა და გალამაზდაო. როცა აქსინიას წამოსცდა — გრიგორი „ეგება შვებულებით მოვიდესო“..., — პროხორმა უმალ გააწყვეტინა: „არც იფიქრო მაგაზე!— იქამდის ვიმსახურებ, სანამ წარსულ ცოდვებს არ მოვინანიებო. ამ საქმეს შეასრულებს კიდეც. სულელისათვის ამ საქმის გაკეთება ადვილიაო“... (გვ. 345). ასე ფიქრობა პროხორი და მის სიტყვებში ბევრი სიმართლეა. მკითხველს უეჭველად სჯერა, რომ გრიგორი, როგორც პროხორი ჰყვება, ბრძოლაში თავს გამოიჩენდა, ბუდიონის მადლობასაც დაიმსახურებდა, ცოდვების გამოსყიდვასაც შეეცდებოდა, — ის ხომ მელეხოვია, მართალი და ცოდვილი, დინჯი და ფიცხი, მოსიყვარულე და მოძულე, გაბედული და ფრთხილი — ერთი სიტყვით, გრიგორი მელეხოვია, პანტელეი პროკოფიჩის ვაჟი!

რაკი გრიგორის ამბავი შეიტყო, აქსინიას ისღა დარჩენოდა უმალ მისულიყო დუნიაშკასთან და სიხარულის ცრემლებით ეთქვა მისთვის: გრიგორი „ცოცხალია და ჯანსაღი... სალამი შემოგვითვალა... წადი რაღა! წადი, გააგებინე დედას!“ (გვ. 346). ეს გულწრფელად იყო ნათქვამი; აქსინიას ხომ გაგიჟებამდე უყვარს გრიგორი მელეხოვი, მიუხედავად ამ სიყვარულის გამო აურაცხელი ტანჯვა-ვაებების გადატანისა. მაგრამ, როცა უყვარს, ადამიანი უბედურებასაც ადვილად იტანს, მსგავსად „წყნარი დონის“ გმირებისა. აქსინია ასტახოვა და გრიგორი მელეხოვი ამ სიყვარულის კლასიკური მაგალითებია.

სულ სხვა გზით მიემართება მიშკა კოშევოისა და დუნიაშა მელეხოვას სიყვარული. ორივეს შეუყვარდათ ერთმანეთი, და მი-

უხედავად ილინიჩნას აშკარა უკმაყოფილებისა, რომ „პეტროს ჩკვლელი“ კოშევოი მათთან დადის, ახალგაზრდები მაინც თავისას გაიტანენ. მაგრამ უცნაური რამ მოხდა: დუნიაშას დაჟინებული თხოვნით კოშევოიმ ცარიელ საყდარში ჯვარი დაიწერა. მღვდელმა ვასარიონმა მიშკას უთხრა: შარშან სახლი გადამიწვი, წელს კი ჯვარს გწერო. მოთმინებიდან გამოსულმა კოშევოიმ ჩუმად უთხრა ეკლესიის მსახურს: „ვწუხვარ, რომ მაშინ ხუტორიდან გარქეცი, თორემ მე შენ, შე გრძელთმიანო ეშმაკო, სახლთან ერთად გადაგწვავდი!“ (გვ. 360). ქორწილიც უცნაური ჰქონდათ, უარაყოდ, რამაც პროხორი ზიკოვის დიდი გულისწყრომა გამოიწვია. მელეხოვების უკაცოდ დარჩენილ ოჯახს სათავეში ჩაუდგა მიშკა კოშევოი, რომელიც „მუყაითი ოჯახიშვილი გამოდგა“.

როგორც იქნა, დადასტურდა, რომ გრიგორი ცოცხალია. ილინიჩნას სახელზე მოვიდა წერილი, რომელიც ქსიუშას არაერთგზის წააკითხა შვილის უსაზღვროდ მოყვარულმა დედამ. მაგრამ ილინიჩნა ვერ მოესწრო შვილის დაბრუნებას. იგი გარდაიცვალა გრიგორის მოლოდინში, მასზე მწარე ფიქრებით.

არის აქ ერთი ადგილი, რომელიც ცალკე გვინდა მოვიტანოთ. ილინიჩნას გარდაცვალების შემდეგ, „დუნიაშკას თანხმობით აქსინიამ ბავშვები თავისთან წაიყვანა... აჭამა და თავისთან დააწვინა. საკვირველი გრძნობა განიცადა, როდესაც მოეხვია ორივე მხრიდან ჩახუტებულ, გაჩუმებულ, მისთვის ძვირფასი ადამიანის შვილებს... ჩუმად დაუწყო ამბობა ბავშვობიდანვე გაგონილი ზღაპრებისა, უნდოდა რითიმე გაექარვებინა მათი ფიქრი მიცვალებულ ბებიაზე... ჯერ არ დაემთავრებინა ზღაპარი, როდესაც მოესმა თანაბარი სუნთქვა ბავშვებისა. მიშუტკა ნაპირზე იწვა და სახე აქსინიას მხარზე მიედო. აქსინიამ მიშუტკას მხარის მოძრაობით გაუსწორა. გადაწეული თავი, და უცებ ისეთი მწვავე ნაღველი იგრძნო, რომ ყელში ბოღმა მოაწვა. აქსინია მწარედ და მძიმედ აქვითინდა, თან კანკალებდა, მაგრამ ცრემლების მოწმენდა არ შეეძლო: მის ხელზე გრიგორის შვილებს ეძინათ, და არ უნდოდა მათი გაღვიძება“ (გვ. 369—370). ეს იმდენად ბუნებრივი განცდაა, რომ ანალიზი სრულიად ზედმეტი იქნებოდა. რამდენი რამ არის ნათქვამი მთელ ამ სცენაში, მით უფრო, როცა მკითხველმა იცის აქსინიასა და

გრიგორის დამოკიდებულება, მათი ცხოვრების განვლილი გზა. ეს ბავშვები ხომ აქსინიასათვის მართლაც უსაყვარლესი ადამიანის შვილებია! ეს ბავშვები ხომ უდედმამოდ, სულ უპატრონოდ არიან დარჩენილი — ბებია და ბაბუაც აღარა ჰყავთ. მარტოოდენ დუნიაშკას — მამიდის ამარა არიან. ეს ბავშვები ხომ აქსინიასა და გრიგორის ერთადერთი ქალიშვილის, რომელიც უდროოდ გარდაიცვალა, და-ძმები არიან! ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილ ქალს. ცხადია, მწვავე ნაღველი და ბოღმა უეჭველად ექნებოდა და აქსინიასაც სურს იტიროს, ტირილის შემდეგ ცრემლები მოიწმინდოს. ბაგრამ ამის საშუალებაც არა აქვს — „მის ხელზე გრიგორის შვილებს სძინავთ, და არ უნდა მათი გაღვიძება“. დამეთანხმებით, რომ მართლაც მშვენიერი მხატვრული სცენაა, ღრმად ადამიანური, თავიდან ბოლომდე ცხოვრებისეული, თუმცა ვინ მოთვლის რამდენია ასეთი, გულში ჩამწვდომი ადგილი თუნდაც მარტოოდენ „წყნარ დონში“.

მაგრამ გავაგრძელოთ რომანის შინაარსის გადმოცემა.

მიშკა კოშევოი, რომელიც დუნიაშკასთან ერთად მელეხოვების ოჯახის სრული ბატონ-პატრონი გახდა, მუყაითობის ნაცვლად თანდათან უგულობას იჩენდა მუშაობაში. დუნიაშკამ ეს შენიშნა, ერთხელ ამ თემაზე შეკითხვაც მისცა ქმარს, მაგრამ ვერ მიხვდა, თუ რა იყო მიზეზი. ავტორი კი გვეუბნება ამ მიზეზს: მიშკა კოშევოის დღითი დღე უძლიერდებოდა რწმენა თუ ასე ნაადრევად რატომ მოეკიდა ოჯახს, ასე ნაადრევად რატომ ჩამოსახლდა ხუტორში, გარდა ამისა, ყველაზე მეტად გულს უკლავდა მას ხუტორელების განწყობილება: „ზოგი მათგანი აშკარად ლაპარაკობდა, რომ ზამთრისათვის საბჭოთა ხელისუფლებას ბოლო მოეღებაო, რომ ვრანგელი ყირიმიდან გამოვიდა და მახნოსთან ერთად როსტოვს უახლოვდებაო, რომ მოკავშირეებმა ნოვოროსიისკში დიდი დესანტი გადმოსხესო“... (გვ. 371). გარდა ამისა, მიშკა კოშევოის ისიც აწუხებდა, რომ ცოლის ძმა — გრიგორი მელეხოვი თეთრებთან იყო, რასაც მას არავინ აპატიებდა. ამის შესახებ საუბრის დროს კოშევოის პირველი უთანხმოება მოუვიდა ცოლთან, რაკი ეს უკანასკნელი ძმას იცავდა — აპატიებენ, რაკი „წითელ არმიაში დაიმსახურა პატიებაო“ (გვ. 373). ცოლ-ქმარს შორის უკმაყოფილება იმანაც გაამწვავა, რომ მიშკას გადამალული ჰქონია იარაღი,

დუნიაშკასათვის კი არაფერი უთქვამს. უნდოდა წითელ არმიაში წასულიყო თავისივე იარაღით, მაგრამ უარი უთხრეს — დასჭირებული ხარო, სამაგიეროდ ტატარსკში ხუტორის რევკომის თავმჯდომარედ დანიშნეს. ეს დანიშვნა მას ახარებდა, დუნიაშკას კი ეწყინა.

ამის შემდეგ მიშკა ენერგიულად შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას მოხუცი მიხეევის ნაცვლად, რომელიც ოთხმოც წელს მიახლოებული, ყრუ იყო და თვალითაც ცუდად ხედავდა. მისეევმა სიხარულით დაულოცა გზა რევკომის ახალგაზრდა თავმჯდომარეს მიშკა კოშევოის. ეს უკანასკნელი ფანატიკური ერთგულებითა და თავდადებით ემსახურება საბჭოთა ხელისუფლებას, ცდილობს აღაგოს მტრები, მსგავსად კირილე გრომოვისა, რომელიც პირადად უნდა დაეპატიმრებინა, მაგრამ გაპქცა. ტატარსკში ცხოვრება დაიძაბა. კოშევოი სიფრთხილის ყველა ზომას ღებულობს. დუნიაშკას იმასაც კი სთხოვს, რომ დერეფანში დაიძინონ, ვინაიდან საშიშია ფანჯრიდან ოთახში ტყვია არ ესროლონ. არც ოჯახური ცხოვრებაა მშვიდი. კოშევოი და დუნიაშკა ხშირად ჩხუბობენ. ერთხელ ასედაც მოხდა: გრიშკაზე საუბრის დროს კოშევოიმ ცოლს უთხრა: შენს ძმას სასამართლო, ტრიბუნალი მოელის, შეიძლება დახვრეტაც მიუსაჯონო. ეს ამბავი დუნიაშკამ სასწრაფოდ აცნობა აქსინიას, რომლის „მოციმციმე და ცრემლით სავსე თვალებში ერთ წუთს შიშმა გაიელვა“ (გვ. 392).

ასეთი ვითარება დახვდება, თუ შინ დაბრუნდა გრიგორი მელეხოვი, რომელიც ჩვენ უკანასკნელად ნოვოროსიისკის პორტში ვიხილეთ. და, აი, სადგურ მილეროვოში კვლავ ვხედავთ მელეხოვს, წითელი მეთაურის ტანსაცმლით, სახლისაკენ რომ მოიჩქარის. მოვიდა კიდეც, მაგრამ ვაი ამ მოსელას: გრიგორიმ პირველ დღესვე გაიგო პროხორისაგან, რომ პლატონ რიაბჩიკოვი, რომელიც ლტოლვილების გემს მისი თხოვნით არ გაჰყვა, ერთი თვის წინათ დაუხვრეტიათ, როგორც კი შინ დაბრუნებულა. მაშასადამე, გრიგორისაც იგივე ბედი მოელის. სხვა დასკვნის გაკეთება მას არ შეეძლო, თუმცა იმედი არასოდეს დაუკარგავს, რომ წითელ არმიაში სამსახური და იქ მიღებული ჭრილობები, სასჯელს შეუმსუბუქებდა. ის ხომ გულწრფელად ეთხოვება ძველს, მოდის ახალთან, რომლისთვისაც ბუდიონის კავალერიაში იბრძოდა. რა დასამალია,

გაჭიანურებულმა ომმა, შვიდი წლის განმავლობაში მოსეენება რომ არ მისცა გრიგორის, უსაზღვროდ მოაბეზრა მას თავი. „მოაგონდებოდა თუ არა ომი ან სამხედრო სამსახურთან დაკავშირებული რომელიმე ეპიზოდი, გული ერეოდა და ყრუ სიბრაზეს განიცდიდა“ (გვ. 397). ასე ამბობს ავტორი და მკითხველსაც სჯერა, რომ ეს სრული სიმართლეა. გრიგორი მელეხოვისათვის ახლა ომი გათავებული იყო. „ეყოფა რაც გადახდა. იგი შინ ბრუნდებოდა, რომ შრომა დაეწყო, შვილებთან და აქსინიასთან ეცხოვრა. ჯერ კიდევ იქ, ფრონტზე, გადაწყვიტა, რომ აქსინია შინ წაეყვანა, რომ მას გრიგორის შვილები დაეზარდნა და შუდამ მის გვერდით ყოფილიყო“ (გვ. 379). სხვა სანატრელი არაფერი ჰქონდა გუშინდელ გლეხს. მას სურდა გაეხადა მეომრის სამოსელი და ჩაეცვა ძველი, კაზაკური ტანსაცმელი. და შოლოხოვი მართალია, როცა თავის გმირზე ამბობს:

„გრიგორი დიდი სიამოვნებით ოცნებობდა იმაზე, თუ როგორ გაიხდიდა შინ დაბრუნებისას ჯარისკაცის ფარაჯას და ჩექმებს და კაზაკური წესით ჩაიცვამდა განიერ ჩუსტებს, თეთრ წინდებში ჩაკეცავდა შარვალს, წამოისხამდა მხრებზე შინ მოქსოვილ ხიფთანს, და წავიდოდა მინდორში. რა კარგია აიღო ხელში თოხი, გაჰყვე გუთნით გადახნულ მიწის კვალს, შეიყნოსო ნოტიო და აჩიჩქნილი მიწის სურნელება, სახნისით გადაჭრილი ბალახის მწარე სუნი. უცხო ქვეყანაში კი დედამიწასა და ბალახებსაც სულ სხვა სუნი ასდით. პოლონეთში, უკრაინაში თუ ყირიმში ხშირად გრიგორის ხელის გულზე მოუფშვნეტია რუხი ავშინის ყვავილი, დაუყნოსია და ნაღვლიანად გაუფიქრია: „არა, ისეთი სუნი არ ასდის, უცხოა“ (გვ. 397).

ასეთი ფიქრებითა და აზრებით დაბრუნდა გრიგორი მელეხოვი თავის ოჯახში, მაგრამ რა დახვდა? სიძე მიშკა კოშევოი, რომელმაც ძმა მოუკლა, ახლა მასაც ემუქრება განადგურებით, როგორც კონტრას. „ბევრი ჩვენი მებრძოლი დაგიღუპია და ამიტომაც გულგრილად ვერ გიცქერი... ამას მეხსიერებიდან ვერ ამოვიშლიო“ — ეუბნება მიშკა კოშევოი გრიგორი მელეხოვს. — „შენ ჩემი ძმა პეტრო მოჰკალი, მე ხომ იმას არ გაგონებ რატომღაც... თუ ყველაფერი ეხსომება ადამიანს — მგლურად უნდა იცხოვრონ ადა-

მიანებმა", — ასეთია გრიგორის პასუხი (გვ. 413). მაგრამ კოშეოი შეუპოვარია. მას ისიც ჰგონია, რომ თუ არეულობა მოხდება, გრიგორი შეორე მხარეზე გადავა. სიძე არაფერში არ ენდობა ცოლისძმას, რომელიც არწმუნებს: „მე ჩემი გავათავე. დღეიდან არავის არ მინდა ვემსახურო. ჩემ სიცოცხლეში საკმაოდ ვიომე და სრულიად საშინლად დავიღალე. ყველაფერმა მომაბეზრა თავი: რევოლუციამაც, კონტრრევოლუციამაც. ნეტავი წყალსაც წაუღია ყველაფერი ეს... ჩემი შვილების გულისთვის მინდა ვიყო და ვიცხოვრო. მინდა ოჯახში ვიმუშაო, მეტი არაფერი მინდა. მერწმუნე, მიხეილ, რომ ამას გულწრფელად გეუბნები!" (გვ. 414). მაგრამ მიხეილს არაფერი სწამს, გარდა ერთისა: გრიგორი კონტრაა, მან ახლავე უნდა გაიაროს რეგისტრაცია.

მწარე სიტყვებით დაშორდნენ ერთმანეთს სიძე და ცოლისძმა. მათი საუბარი შეურიგებელი, მკაცრი, მტრული იყო კოშეოის მხრიდან, ხოლო თავის მართლებას, აღსარებას და პატიების თხოვნას წარმოადგენდა გრიგორისათვის. ბოლოს მან პირდაპირ უთხრა კოშეოის: „გავათავოთ ეს უსარგებლო ლაპარაკი! გვეყო!.. მე ხელისუფლების წინააღმდეგ იქამდის არ წავალ, სანამ ყელში არ წამიჭერს, და თუ წამიჭერს, თავს დავიცავ! ყოველ შემთხვევაში აჯანყებისათვის თავს არავის წავაკლევინებ პლატონ რიაბჩიკოვსავით... ჩამითვალონ წითელარმიაში სამსახური და იქ მიღებული ჭრილობები, აჯანყებისათვის კი მზად ვარ ციხეში ჩავჯდე, მაგრამ თუ ამისათვის დახვრეტას მომისჯიან, ნურას უკაცრავად! ამის ნებას არ მივცემ" (გვ. 414.)

ასე ამბობს გრიგორი მელეხოვი და აქ მთელი მისი ხასიათი მჟღავნდება. რაც თქვა, ყველაფერი გულწრფელი იყო. მას არც გაჰკვირვებია სიძის მოქცევა. „რას იზამდა. ყველაფერი ისე მოხდა, როგორც მოსალოდნელი იყო. რატომ უნდა შეხვედროდნენ გრიგორის სხვანაირად? მართლა და რატომ ეგონა, რომ მისი მოკლე სამსახური წითელარმიაში ყველა მის წარსულ ცოდვებს დაჰფარავდა? ეგება მიხეილი მართალია, როცა თქვა, რომ ყველაფერი როდი ეპატიება კაცს, და რომ ძველ ვალებს მთლიანად უნდა გადახდა?" (გვ. 416). ეს უკვე სწორი მსჯელობაა. მართლაც ასე სჯის გრიგორი მელეხოვი, როცა კრიტიკულად აზროვნებს, მაგრამ ყოველთვის როდი ღებულობს სწორ გადაწყვეტილებას.

ახლა კი ყველაზე მეტად იყო საჭირო სწორი გადაწყვეტილების მიღება, ვინაიდან თვით მელეხოვის ბედი წყდებოდა.

რა გადაწყვეტილება მიიღო გრიგორი მელეხოვმა სიძესთან იმ საბედისწერო ლაპარაკის შემდეგ?

მეორე დღეს ხუტორის დათვალიერება მოინდომა, ისიც გაიფიქრა — დედის და ნატალიას საფლავს ვნახავო. შეუხვია კიდეც სასაფლაოსაკენ, მაგრამ გადაიფიქრა —სხვა დროს წავალო. პროხორისაკენ გაემართა. გულისტკივილით გაიხსენა, რომ იქ, სასაფლაოზე ერთად წვანან, მხარდამხარ: ნატალია, ილინიჩნა, პეტრო, დარია, მარტოოდენ პანტელეი პროკოფიჩია დამარხული უცხო მხარეში. შვილებზე ფიქრმაც არანაკლებ შეაწუხა. ერთი სიტყვით, მიცვალებულებიც და ცოცხლებიც ერთნაირად საზრუნავი და ერთნაირად გულსატკენი გაუხდა. ბავშვებს მამიდის გარდა არავინა ჰყავთ, მამაც რომ დაჰკარგონ, რა ეშველებათ მიშატკას და პოლუშკას? მწარედ, მწარედ ჩაფიქრებულია გრიგორი მელეხოვი ცხოვრებაზე, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სიძეს — მიშკა კოშევოის წუხელი ღამით ელაპარაკა. მისი არსება მოიცვა იმაზე ფიქრმაც, რომ აქსინიას სთხოვოს — „ყოველნაირად ეცადოს შეიბრალოს“ ობოლი ბავშვები, „დედობა გაუწიოს“... (გვ. 418). მაგრამ „ამაზეც მძიმე და მწარე იყო ფიქრი. ეს ყველაფერი უბრალოდ მოსაგვარებელ საქმედ როდი აღმოჩნდა და არც მთელი ცხოვრება გამოდგა ისეთი უბრალო, როგორიც მას ეჩვენებოდა ამ ცოტა ხანში. მას ბავშვური გულუბრყვილობით ეგონა, რომ საკმარისი იყო შინ დაბრუნება, ფარაჯის შეცვლა ხიფთანით და ყველაფერი კარგად წავიდოდა: არავინ არაფერს არ ეტყოდა, არავინ უსაყვედურებდა, ყველაფერი თავისთავად მოეწყობოდა, გახდებოდა მშვიდი მხვნელ-მთესველი და სამაგალითო მეოჯახე. არა, სინამდვილეში ყველაფერი თურმე ასე უბრალოდ როდი გამოიყურება“ (გვ. 418).

უკეთესი დახასიათება გრიგორი მელეხოვის სულიერი მდგომარეობისა ამ დროს ძნელია წარმოვიდგინოთ.

აი, გრიგორი უკვე მივიდა პროხორთან. სვამს არაყს მასთან ერთად, თან ამბებსაც გებულობს. შეიტყო, რომ მოხუცი ლისტნიცკი თურმე ტიფით მომკვდარა მოროზოვსკაიაში. ახალგაზრდა ლისტნიცკის თავი მოუკლავს, რაკი ვერ აუტანია ცოლის ღალატი.

მისი ახლადშერთული ცოლი გენერალ პოკროვსკის გადაჰკიდებია. ასე უბედურად წავიდა ლისტნიცკების ცხოვრება. გრიგორის როდი ადარდებს მათი ბედი, ისინი ხომ ცუდი ადამიანები იყვნენ. „კარგი ადამიანებია დასანანი, რომლებიც დაიღუპნენ, თორემ იმათზე არავინ იდარდებსო“, — ამბობს გრიგორი (გვ. 424). შემდეგ კი დასძენს: „ისეთებს, როგორიც ახალგაზრდა ლისტნიცკი იყო და ჩვენი კოშევოია, მე მუდამ შურით ვუცქეროდი... იმათთვის თავიდანვე ყველაფერი ნათელი იყო, ჩემთვის კი აქამდის ყველაფერი გაურკვეველი. ორივეს თავისი სწორი გზები ჰქონდათ და თავისი ბოლო, მე კი ჩვიდმეტი წლიდან მთვრალივით დავბარბაცებ... თეთრებს ჩამოვცილდი, წითლებს ვერ შევურიგდი, ასე დავცურავ პატივივით ყინულჩრილზე... მე, პროხორ, რასაკვირველია, ბოლომდის უნდა დავრჩენილიყავი წითელ არმიაში, ეგება მაშინ ყველაფერი კარგად გათავებულიყო. შენ ხომ იცი, თავიდან მე სულითა და გულით ვემსახურებოდი საბჭოთა ხელისუფლებას, შემდეგ ყველაფერი შეიცვალა... თეთრებთან, იმათ სარდლობაში, მე მუდამ საეჭვო პირი ვიყავი. სხვანაირად აბა როგორ შეიძლებოდა? გლეხი, გაუნათლებელი კაზაკი, აბა რა ნათესავი ვიყავი იმათი? მე ისინი არ მენდობოდნენ! შემდეგ წითლებთანაც ასე გამოვიდა! მე ხომ ბრმა არ ვიყავი, ვხედავდი — ესკადრონში კომისარი და კომუნისტები როგორ მიცქეროდნენ. ბრძოლაში თვალს არ მაშორებდნენ, ჩემს თითოეულ ნაბიჯს უთვალთვალებდნენ: „ამ ნაძირალა კაზაკის თეთრმა ოფიცერმა არ გვიღალატოს!“ შევამჩნიე ეს და იმწამსვე გული გამიცივდა, შემდეგ ამ უნდობლობის ატანა ყოლად შეუძლებელი გახდა. სიცხისაგან ქვაცა სკდება ხოლმე. კარგია, რომ დემობილიზაციაში მოვხვდი. ბოლო შალე მოეღება ყველაფერს. — ყრუდ ჩაახველა, გაჩუმდა, პირი იბრუნა პროხორისაგან და უკვე სხვა კილოთი უთხრა: — გმადლობ პატივისცემისათვის. მე წავედი. კარგად იყავი. თუ საღამოს დავბრუნდი, გამოგივლი. ბოთლი დამალე, თორემ ცოლი მოვა და ტაფას ზურგზე გადაგამტვრევს“ (გვ. 424).

შუადღისას გრიგორი ვეშკაში ჩავიდა, სამხედრო კომისარიატში გამოცხადდა. იქიდან დონჩეკას პოლიტბიუროში გააგზავნეს, მაგრამ იაკობ ფომინს შეხვდა, რომელმაც ურჩია სადმე გადამალუ-

ლიყო, თორემ უთუოდ დაიჭერდნენ. გრიგორი არ დაეთანხმა, მაინც გამოცხადდა პოლიტბიუროში. იქ ანკეტა მისცეს შესავსებად, ერთი კვირის შემდეგ მოგვიტანეო. გრიგორი დაბრუნდა თუ არა ტატარსკში, ბავშვებიანად აქსინიასთან გადავიდა საცხოვრებლად. დაიწყო გრიგორისათვის უძილო ღამეები, ეჭვებითა და შიშით სავსე, რაც ახე აწუხებდა აქსინიას, რომელიც კარგად იყო მიმხვდარი, თუ რატომ ხდებოდა ყოველივე ეს. შეშფოთებულმა ქალმა წინადადებაც მისცა გრიგორის: იქნებ სადმე წახვიდე, დაიმალო, ან ორივე ერთად წავიდეთო. მაშინ კი, როცა დუნიაშკამ აცნობა, — ჩვენთან ოთხი ცხენოსანი მოვიდა ვეშკადან, ოთახში სხედანო,— გრიგორი მიხვდა რაშიც იყო საქმე და ტატარსკიდან გაიქცა.

ამ დროს იწყება შეიარაღებული ბანდების მოქმედება, რაც „იყო პასუხი კაზაკი მოსახლეობის კულაკური და შეძლებული ნაწილისა სასურსათო რაზმების შედგენის გამო, პასუხი საბჭოთა ხელისუფლების მიერ პურის შესაგროვებლად მიღებული მკაცრი ზომების მიმართ“ (გვ. 441). ერთ-ერთ ასეთ ბანდას მეთაურობდა იაკობ ფომინი, რომელიც ჩვენ არაერთხელ ვნახეთ რომანის წინა თავებში. სწორედ ამ ფომინთან მიიყვანეს დაპატიმრებული მელეხოვი, რომელიც გაქცევის შემდეგ იმალებოდა.

ფომინთან ერთ-ერთ საუბარში გრიგორი კარგად ამჟღავნებს, რომ იგი გარემოების მიზეზითაა აქ, თორემ სრულებით არ აპირებს ებრძოლოს საბჭოთა ხელისუფლებას. დავაკვირდეთ ამ სცენას:

„— მოსწიე, — ფომინმა ვრიგორის პორტსიგარი გაუწოდა. — ჰოდა პეტროგრადი უკვე აუღიათ და მოსკოვს უახლოვდებიან. ყველგან ისეთი არეულობაა, რომ... არც ჩვენ უნდა ჩამოვრჩეთ. კაზაკები უნდა ავაჯანყოთ, საბჭოთა ხელისუფლება ჩამოვაგდოთ, და თუ კადეტებიც მოგვეშველებიან, მაშინ სულ კარგად წავა საქმე. დე, იმათ ნასწავლმა ხალხმა ხელისუფლება დაამყაროს, ჩვენ კი დავეხმარებით. — ფომინი გაჩუმდა და შემდეგ შეეკითხა გრიგორის: — შენ როგორ ფიქრობ, მელეხოვ, თუ კადეტები შავი ზღვიდან მოაწვებიან და ჩვენ შევუერთდებით მათ, — ეს ამბავი ხომ ჩაგვეთელება, ზურგში რომ პირველებმა დავიწყეთ აჯანყება? კაპარინი ამბობს, უეჭველად ჩაგვეთვლებაო. აი, მაგალითად, ნუთუ მე იმას მისაყვედურებენ, რომ თვრამეტ წელში ფრონტიდან მერ-

ვე პოლკი მოვხსენი, წამოვიყვანე და რაღაც ორი წელი საბჭოთა ხელისუფლებას ვემსახურე?

„აი თურმე საით გიჭირავს თვალი! სულელი ხარ, მაგრამ ეშმაკი", — გაიფიქრა გრიგორიმ და ძალაუნებურად გაეღიმა. ფომინი პასუხს ელოდა. როგორც ეტყობა, ეს საკითხი მას ძალიან აღელვებდა, გრიგორიმ უგულოდ უპასუხა:

— ეს საქმე საეჭვოა" (გვ. 470).

და მაინც გრიგორი მელეხოვი შედის ფომინის ბანდაში (ასე უწოდა ფომინელებს, რითაც იაკობ ეფიმიჩის გულისწყრომა გამოიწვია), თუმცა გრძნობს, რომ აჯანყების საქმე თავიდანვე განწირულია. რომანში ვკითხულობთ:

„ტალახიან გზაზე გაშლილი ფომინის რაზმი უკვე აეიდა გორაკზე, თვალს მიეფარა პურაძვირი ხუტორი. გრიგორი კი დროგამოშვებით იღიმებოდა და ფიქრობდა: „რა კარგია, რომ ჩვენ, კაზაკები, მხიარული ხალხი ვართ... ჩვენ უფრო ხშირად ვხუმრობთ, ვიდრე ვდარდობთ, ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ყველაფერს სერიოზულად ვხვდებოდეთ, მაშინ ახლანდელი ცხოვრებისაგან დიდი ხანია თავს ჩამოიხრჩობდა კაცი!" გრიგორი დიდხანს იყო მხიარულად და მხოლოდ შესვენების დროს მიხვდა და ნაღვლიანად გაიფიქრა, რომ ალბათ, კაზაკებს ვერ აჯანყებდნენ და ფომინის დაწყებულ საქმეს უცილოდ დაღუპვა მოელოდა" (გვ. 478).

ჩვენ აღარ შევეხებით ფომინის ბანდის მოქმედების, არც ჩუმაკოვისა და სტერლიადნიკოვის აღწერას, რაკი შესავალში დახასიათებული გვაქვს. რომანის შინაარსის გადმოცემას იმით დავამთავრებთ, რომ მკითხველს ვაცნობებთ: გრიგორიმ ტატარსკიდან წაიყვანა აქსინია, გადაწყვიტა მასთან ერთად სადმე შორს დასახლებულიყო და პატიოსანი ფიზიკური შრომით ერჩინა თავი. მაგრამ გზაზე თავდამსხმელებმა აქსინია მოჰკლეს. შემზარავია ეს სცენა.

„აქსინიამ გათენებისას გრიგორის ხელში დალია სული. გონს არ მოსულა. გრიგორიმ ჩუმად აკოცა სისხლისაგან მლაშე ტუჩებში, ფრთხილად დააწვინა ბალახზე და წამოდგა. უცნაურმა ძალამ დაჰკრა მკერდში, უკან დაიხია, გულაღმა წაიქცა, მაგრამ უმალ ფეხზე წამოვარდა შეშინებული; ისევ დაეცა, შიშველი თავი ქვაზე დაარტყა, ეტკინა. შემდეგ დაიჩოქა, ქარქაშიდან ხმალი ამოიღო

და საფლავის თხრა დაიწყო. მიწა ნოტიო იყო და ადვილად თხრიდა. ძალიან ეჩქარებოდა, ყელში რაღაც ახრჩობდა და სუნთქვა რომ არ შეჰკროდა, პერანგი ზედ შემოიხია. გათენების ნიავმა გაუგრილა ოფლისაგან ცვარი გულ-მკერდი და მუშაობა შეუმსუბუქდა, მიწას ხელებით და ქუდით ხვეტავდა, ერთი წამიც არ დაუსვენია, მაგრამ სანამ საფლავი წელამდე ამოთხარა, დიდი დრო გავიდა.

გრიგორი თავის აქსინიას დილის მზის სხივებით გაკაშკაშებულ მიწაში მარხავდა. შავგვრემანი, სიკვდილისფრად გათეთრებული ხელები საფლავში გულზე გაუკრიფა. პირზე თავშალი გადააფარა, რომ მიწა არ ჩაჰყროდა ნახევრად ღია, უძრავ, ცასმიპყრობილ თვალებში და გამოეთხოვა აქსინიას ღრმად დარწმუნებული, რომ დიდი ხნით არ შორდებოდა მას...

ორივე ხელის გულით გულმოდგინედ დატკეპნა საფლავის ბორცვზე ნოტიო ყვითელი თიხა, დიდხანს იყო საფლავთან დაჩოქილი, თავღია, ნელა ირხეოდა.

ახლა გრიგორის ალარსად ეშურებოდა. ყველაფერი გათავდა მისთვის" (გვ. 546—547).

ამის შემდეგ რაღა უნდა ექნა გრიგორი მელეხოვს?

„ხანძრით გადამწვარ ტრამალს დაემსგავსა გრიგორის ცხოვრება. გრიგორიმ დაკარგა ყველაფერი, რაც მისი გულისთვის ძვირფასი იყო. ყველაფერი წაართვა, ყველაფერი დაუნგრია შეუბრალებელმა სიკვდილმა. მხოლოდ შვილებიღა დარჩა. მაგრამ თვითონ გაშმაგებით ეჩხიდებოდა დედამიწას, თითქოს მისი გარდატეხილი სიცოცხლე, მისთვის ან სხვისთვის რაიმე ფასს წარმოადგენდა...

აქსინიას დამარხვის შემდეგ სამი დღე უმიზნოდ დახეტიალობდა ტრამალზე, მაგრამ არც შინ და არც ვეშენსკაიაში არ წავიდა მორჩილების გამოსაცხადებლად. მეოთხე დღეს სტანიცა უსტ-ხოპერსკაიას ერთ ხუტორში ცხენები დატოვა, დონზე გავიდა და ფეხით სლაშჩევის ჰალაში წაიდა, — იქ, სადაც აპრილში პირველად იყო განადგურებული ფომინის ბანდა. ჯერ კიდევ აპრილში გაიგო, რომ ჰალაში დეზერტირები ცხოვრობენო. გრიგორი ინათკენ გაემართა, არ მოისურვა ფომინთან დაბრუნება" (გვ. 548).

არა, ფომინთან აღარ დაბრუნებულა, შინ მივიდა, სადაც შეიტყო, რომ სიძე ჯარშია, პოლუშკა მოკვდა, მელეხოვების ოჯახში მარტოოდენ დუნიაშკა და მიშატკაა. ეს სცენა ადრე გვაქვს დახასიათებული და აქ აღარ შევეხებით.

ჩვენ უკვე დავასრულეთ „წყნარი დონის“ მოკლე შინაარსის გადმოცემა. საქმე ძნელი იყო არამარტო იმით, რომ ჩვენი დროის ილიადას ვკითხულობდით რამდენჯერმე, პირველი სამი წიგნიდან ადგილები შოგვყავდა ჩვენივე თარგმანით. მარტო ეს რომ ყოფილიყო, სირთულეზე არაფერს ვიტყოდით. მთავარი იყო ღრმად და სწორად გაგვეგო მთელი რომანი, მისი ყველა კომპონენტი, დაწყებული პირველივე სტრიქონიდან სულ ბოლო სიტყვებამდე. მკითხველი მიხვდება, რომ ყველგან ვცდილობდით შინაარსის გადმოცემა ყოფილიყო აქტიური, ანალიტიკური და არა მშრალი თხრობა. რაც აქ არის, მეათედ ნაწილსაც არ შეადგენს თუნდაც მოცულობით იმისა, რაც თვით რომანშია, რომ აღარაფერი ვთქვათ შოლოხოვისებური ეფექტის, მხატვრული ძალის, დეტალებისა და ნიუანსების შესახებ, რომელთა ტოლფარდოვნად გადმოცემას ვერცერთი კრიტიკოსი ვერ შეიძლებს. ამიტომ, როგორი ვრცელიც არ უნდა მოეჩვენოს მკითხველს „წყნარი დონის“ ჩვენს მიერ გადმოცემული შინაარსი, იგი, მართალია, ძირითად ნაწილებს თითქმის გვაძლევს, მაგრამ რომანთან შედარებით მოცულობის მხრივ მხოლოდ ერთი მეათედია. თვით რომანში იმდენი რამ არის, რომ ყველაფრის თუნდაც კონსპექტური აღწერა, როგორც დასაწყისში მივუთითეთ, შეუძლებელია, — ორი ტომი მაინც უნდა დაიწეროს. სამაგიეროდ მკითხველს სანუგეშოდ შემდეგი უნდა ვუთხრათ: აქ გადმოცემული შინაარსით მას შეუძლია საკმაოდ დაახლოებული წარმოდგენა მიიღოს რომანის კომპოზიციაზე, თემაზე, მოქმედ გმირებსა და ისტორიულ ფაქტებზე, ასე თავისუფლად რომ ემორჩილებიან შოლოხოვის ჯადოსნურ კალამს.

მაგრამ ერთი რამ არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, კერძოდ ის, რომ შოლოხოვის პროზაში ვერ ნახავთ ადგილს, პასაჟს, დიალოგს, აღწერას, ამბავს, თუ ბუნების სურათს, რომელიც საინტერესო არ იყოს, არ გიზიდავდეს, არ გიტაცებდეს. როცა ჩვენ მისი ეპოსის ანალიზს ვახდენდით, მოთხრობების, რომანების შინაარსს

ვეხებოდით, ყველგან გულისტკივილი თან გვსდევდა, ვინაიდან იძულებული ვიყავით ბევრი რამ გამოგვეტოვებინა, სულ არ გვეხსენებინა. მარგალიტებს შორის ზოგიერთი მარგალიტის უგულებელყოფა მგონი უფრო ადვილი გადასატანია, ვიდრე შოლოხოვის რომანებში კრიტიკოსისათვის რაიმეს გამოტოვება. ტეტრალოგია „წყნარ დონს“ ეს ყველაზე მეტად შეეხება, როგორც ახალი დროის „ილიადას“.

წაიკითხო ეს „ილიადა“, ნიშნავს მიიღო არამარტო ესთეტიკური სიამოვნება, გაიფართოვო ისტორიული სინამდვილის ცოდნა, არამედ დაეწაფო იმ ახალს, რაც ხელოვნებაში მოხდა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ და რითაც დღეს სუნთქავს მთელი მსოფლიოს მოწინავე მხატვრული შთაგონება. შოლოხოვი ისევე დიდი მასწავლებელი შეიქნა თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურაში, როგორც გორკი და მაიაკოვსკი. ამიტომ შოლოხოვის ეპოსს, რომელსაც დღეს ყველგან კითხულობენ, ცივილიზებულ სამყაროში, წაიკითხავენ ყოველთვის, როგორც ახალი ქვეყნის დაბადების პირუთვნელ მხატვრულ ისტორიას. ახლა მსოფლიო გადადის სოციალისტურ ფორმაციაში: დაინგრა, ინგრევიან, დაინგრევიან დღემდე შემორჩენილი ფეოდალური, ბურჟუაზიული ფორმაციები. ეს გადასვლა ერთი ფორმაციიდან მეორეში ყოველთვის ურთულესია, მშობიარობის არაადამიანურ ტკივილებთან არის დაკავშირებული. რუსეთის მაგალითზე, — ეს კი პირველი მაგალითი იყო კაცობრიობის ისტორიაში, — შოლოხოვმა ყველაზე სრულად, ყველაზე ფართოდ, ყველაზე მხატვრულად გვიჩვენა ახალი ფორმაციის — სოციალისტური ფორმაციის დაბადება, მისი პირველი ნაბიჯები, მისი არსებობის შენარჩუნება სასტიკ ომებში. ამიტომ ყოველთვის დიდი ინტერესით წაიკითხავენ მას, როგორც დღეს ჩვენ გატაცებით ვკითხულობთ მსოფლიო ლიტერატურის შედევრებს, რომლებშიაც განვლილი ისტორია გენიალური მხატვრული თვალით იხედება, მსგავსად ჰომეროსის „ილიადისა“.

როგორც უკვე ვთქვით, მელეხოვი დაბრუნდა ხუტორში, დაწყვიტა მძიმე წარსულთან შემაერთებელი ყველა არტახი, ჩაანგრია ძველთან შემაერთებელი ხიდები. მაგრამ დავაყენოთ საკითხი: განა ეს საკმარისი იყო? იმ დროისათვის უეჭველად საკმარისი, შომავლისათვის კი სრულიადაც არა, ვინაიდან მომავალი მისგან გა-

ცილებით მეტს მოითხოვდა, ვიდრე შეეძლო გრიგორის წარმოედგინა. პირველი ნაბიჯი, რომელიც მან გადადგა, არამარტო საჭირო, არამედ აუცილებელი იყო. მაგრამ მელეხოვმა ჯერ არ იცის და არც შეიძლება იცოდეს, რომ სამოქალაქო ომის დამთავრებას არამარტო აღდგენითი სამუშაოები მოჰყვება, იმგვარი მოვლენებიც — ურთულესი ამოცანების წინაშე რომ დააყენებს ისეთ კაცს, როგორიც თვითონ არის. მელეხოვის ენერგია, ჰაბუკური ძალა პირველ ხანებში რომ მოხმარდება ახალ ქვეყანას, თითქოს ეჭვს არ იწვევს. მაგრამ ბოლომდე შერჩება თუ არა გრიგორი ახალს? —ძნელია ამის თქმა, მისი ხასიათი — ფიცხი და შეუპოვარი, პატივმოყვარე და ტლანქი, წარსულ შეცდომებთან და გამოუსყიდველ დანაშაულთან ერთად, უეჭველად ხელს შეუშლის მას. წინ კი გასავლელი აქვს აღდგენითი სამუშაოები, ნეპის პერიოდი, რომლის დროსაც კონტრრევოლუცია დამცხრალი არ იყო, პირიქით, ახალ ძალებს იკრებდა, ამ ძალებს ეძებდა აგრეთვე იმ მასაში, რომელსაც გრიგორი მელეხოვიც ეკუთვნოდა. მაგრამ შეიძლებოდა კი მიეღწია ამ დროისათვის? აქსინიას დამარხვის შემდეგ გრიგორი მელეხოვისათვის ხომ ყველაფერი დამთავრდა!? გარდა ამისა, მისთვის, როგორც გლეხისათვის, ყველაზე მძიმე გამოცდა იქნებოდა 30-იან წლებში ფართოდ გაშლილი ახალი სოფლის — სოციალისტური სოფლის მშენებლობა, რომელსაც მიხეილ შოლოხოვმა ისეთი ვრცელი ბელეტრისტული მხატვრული ტილო მიუძღვნა, როგორიც დღეს მთელ მსოფლიოში ფართოდ გახმაურებული რომანი „გატეხილი ყამირია“. ამ კლასიკურ ნაწარმოებში ავტორმა უდიდეს მხატვრულ განზოგადებას მიაღწია, ოსტატურად დაგვიდგა წინ სოფლად რევოლუციური გარდაქმნების ნამდვილად ეტყუარი სარკე.

IV

სოფლად რევოლუციური გარდაქმნების უტყუარი სარკე – „გატეხილი ყამირი“.

როცა შოლოხოვის ეპოსს ვახასიათებდით, მხედველობაში გვქონდა არამარტო ტრადიციული პოეტიკური თეორია, რომლის მიხედვითაც განიხილავენ რომანს, მოთხრობას, ამბავს, პოემას, იგავს, ბალადას; ვგულისხმობდით იმ ახალს, სრულიად ორიგინალურს, რასაც შოლოხოვის მხატვრული პროზა შეიცავს, როგორც განსაკუთრებული მოვლენა ეპოპეაში. არც მარტოოდენ ის ტრიადიალური დაყოფა გვქონდა ცათვალისწინებული, რომლის დროსაც რომანი მიჩნეულია ეპოსის დიდ ფორმად, ამბავი — მცირე ფორმად და მოთხრობა საშუალო ფორმად. ეს კლასიფიკაცია თითქმის არაფერს შეგვებენს, როცა შოლოხოვის ეპოსის ანალიზს ვახდენთ, ვინაიდან მისი პროზა, ჟანრებად დაყოფილი, უფრო მოცულობის სფეროა, ვიდრე სპეციფიკურად ეპოპეისა— ეს უკანასკნელი ყველა დამახასიათებელი ღირსებით ერთნაირად გვაგრძნობინებს თავის თავს „გატეხილი ყამირის“ ავტორთან — რომანებშიც და მოთხრობებშიც.

თუ „წყნარი დონი“ სამოქალაქო ომის თემაზე შოლოხოვის მძლავრი ლიტერატურული მხარეების ტიტანური წამოწევა იყო, „გატეხილი ყამირი“ მისი სრული ანალოგიაა, რომელმაც კოლექტივიზაციის პირველი ნაბიჯები გვიჩვენა, როგორც კაცობრიობის ისტორიაში სრულიად უპრეცენდენტო, ახალი სოციალისტური სოფლის დაბადება მთელი თავისი ტკივილებითა და პროგნოზებით. ეს იყო სრულიად ახალი სიტყვა, ახალი გზების გაყვანა მხატვრულ აზროვნებაში, თუნდაც მარტო იმ მიმართულებით, რომ მსოფლიო ლიტერატურას პირველად მიეცა ის, რაც მას არასოდეს ჰქონია.. „გატეხილ ყამირშიც“ შოლოხოვი დარჩა „წყნარი

დონის“ შოლოხოვად.* რომანის ანალიზი სავსებით ადასტურებს ამ დებულებას, როგორც ისტორიულ ჭეშმარიტებას.

„გატეხილი უამრავი“ შედგება ორი წიგნისაგან და მოგვითხრობს ამბებს, რომლებიც ხუტორ გრემიაჩი ლოგში ათი თვის მანძილზე ხდება — 1930 წლის იანვრიდან იმავე წლის ოქტომბრამდე. რომანის ერთი მთლიანი შინაარსი, ალსავსე დაძაბულობით, ტრაგიკული სცენებითა და პერიპეტიებით, თავის მხრივაც შეიცავს უამრავ პარალელურ შინაარსს, რაც ნაწარმოებს კიდევ უფრო ტევრთავს სიუჟეტურად. პარალელურ შინაარსში იგულისხმება ერთის ფონზე რამდენიმე სხვა თავგადასავალის ჩვენება. შოლოხოვი ამ პარალელური შინაარსების, პარალელური ფაბულების დიდოსტატიცაა. წერო ამ ოსტატობაზე — თითქოს ადვილია, რაკი გენიოსთან გაქვს საქმე, მაგრამ ძნელია არსებითად, ვინაიდან გენიოს მწერალს ყველაფერი ისე ზუსტად, შეუცდომლად, ერთმანეთის ორგანიული მიყოლებით აქვს გააზრებული, რომ, თუ ოჯმე გამოგრჩა ან გამოგეპარა — პარადოქსამდე შეიძლება მიხვიდე. ამიტომ ყველაფერი უნდა გაითვალისწინო, აწონ-დაწონო, სულ დაძაბული იყო, ზშირად ერთი ნიუანსის გამოტოვებაც საბედისწერო შეცდომას გამოიწვევს. გაგახსენდება ბელინსკი, რომელიც პუშკინზე ამბობდა — ვერც ერთ სიტყვას ვერ შეუცვლი, ვერც ერთ სიტყვას ვერ ამოუგდებო. ასეთ გენიოსებზე წერა კრიტიკოსს ყოველთვის უჭირს, იმდენად შებოჭილი ხდება იგი, როცა მსჯელობას იწყებს მათი რომელიმე კონკრეტული ნაწარმოების შესახებ.

მიუხედავად ამ დიდი სიძნელეებისა, რომან „გატეხილ უამირზე“ ბევრი დაიწერა ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში, დაიწერა უცხოეთის პრესის ფურცლებზეც. იყო პარადოქსებიც. ერთერთი მათგანი თვით მწერალმა ამხილა 1960 წელს გამოქვეყნებულ — წერილში — „პატარა ბიჭის გარისა და დიდი მისტერის სოლსბერის შესახებ“**. ამ მწვავედ დაწერილ პოლემიკურ წერილ-

---

* „გატეხილ უამრის“ გავარჩევთ წიგნებით: მიხეილ შოლოხოვი, თხზულებათა კრებული, ტ. 6, 1966 წ. ტ. 7, 1967 წ. (რუს. გამოცემა). ტომები და გვერდები ამ გამოცემიდან თვით ტექსტში იქნება შეტანილი.

** მიხეილ შოლოხოვი, „სულის კარნახით“, 1970 წ., გვ. 289—293. (რუს. გამ.).

ში ამერიკელ ჟურნალისტს ისეთი მახვილი მოხვდა შოლოხოვისაგან, რომ შეუძლებელია დღემდე ტკივილი გაელილი ჰქონდეს. ცილისწამებით სავსე მისი უგუნური ნააზრევი, თითქოს დავიდოვისათვის „საბჭოთა პოლიციას“ ბოროტი განზრახვით ბრალი დაედოს, დაეპატიმრებინოს, ციხეში ჩაესვას, სადაც მას რევოლვერით „თავი მოეკლას“, — იმდენად ყალბი იყო, რომ მწერალს დიდი შრომა არ დასჭირვებია არარაობად ექცია უცხოეთის პრესისა და მისი დოლარებით მოსყიდული კრიტიკოსის ფანტასტიკური მტკიცებანი.

თუ რით დასრულდა დავიდოვის ცხოვრება, მკითხველებმა ძალიან კარგად იციან. წაიკითხეთ „გატეხილი ყამირის“ მეორე წიგნის ბოლო ნაწილი და თქვენ ნახავთ ამაზრზენ სურათს, როცა ნაგულნოვი და დავიდოვი იღუპებიან საბჭოთა ხელისუფლების შეიარაღებული მტრების ყუმბარებით. 30-იან წლებში ასე ებრძოდნენ თეთრგვარდიული წარმოშობის კულაკური ელემენტები ახალ ცხოვრებას — საბჭოთა სინამდვილეს, ხოლო ეს სურათები შოლოხოვმა მისთვის დამახასიათებელი ოსტატობით წარმოსახა. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ „გატეხილი ყამირი“ შოლოხოვს იმდენად ცოცხლად აქვს დაწერილი, მისი გმირები იმდენად რეალურნი და ტიპიურნი არიან, რომ ათასები პოულობენ მსგავსებას, ირწმუნებიან — ეს მე ვარ, ჩემგან არის აღებული, პროტოტიპი გახლავართო. ასეთები არიან დავიდოვი, ნაგულნოვი, რაზმიოტნოვი, პაპა შჩუკარი, მაიდანიკოვი, შალი, ნაიდენოვი — ყველას ჩამოთვლა ძნელია, ხოლო პოლოვცევი ისტორიულად არსებული პიროვნებიდანაა აღებული, კონკრეტული რეალური სახის მხატვრულ განზოგადებას წარმოადგენს.

მაგრამ არა მარტო დავიდოვსა, პაპა შჩუკარსა, ნაგულნოვსა, რაზმიოტნოვსა და მაიდანიკოვში ცნობენ თავის თავს 30-იანი წლების სოფლად მომუშავე ადამიანები. რომანის თითქმის ყველა მოქმედი გმირი, ყველა სახე მიგვანიშნებს რომელიმე ჩვენს ნაცნობს, თვალწინ გვიყენებს ჰათ, სინამდვილეს აღადგენს თავისი უსაზრუნველო წვრილმანებით, კოლორიტული დეტალებით, დიდება და მსხვილს, თავისთავად საცნაურს რომ არ გამოეკიდოთ, რაკი ისედაც დამახასიათებელია კოლექტივიზაციის გზაზე დამდგარი სოფლისათვის, სულ ერთია, სადაც არ უნდა იყოს — აღმოსავლეთსა

თუ დასავლეთში, ჩრდილოეთსა თუ სამხრეთში. ხიძნელეები, წინააღმდეგობანი, კულაკური ელემენტების საბოტაჟი, საშუალო გლეხის მერყეობა, განზოგადების ტკივილები, შეცდომები, ხაზის გაძრუდება, ცოტად თუ ბევრად ყველა სოფელს ახასიათებდა, ყველასათვის საერთო იყო, ამ მხრივ „გატეხილი ყამირი“ სავსებით ტიპიურს გვიჩვენებდა, მაგრამ შოლოხოვის ტალანტმა ისე შემკრები გახადა თავისი გმირები, სიტუაციები, პასაჟები, რომ ყველგან გასაოცარი რეალისტური ხედვით კონკრეტულს ზოგადი მნიშვნელობა შესძინა.

ვინ არ დაინახავს ვანიუშკა ნაიდენოვში 30-იანი წლების ნიჭიერ, თავდადებულ, ჭკვიან კომკავშირელს, მცოდნეს, განათლებულს, ბრძენი კაცის ტაქტით მომუშავეს და პოლიტიკურად ნათელ ახალგაზრდას?

ნაიდენოვები ცოტანი რიდი იყვნენ იმდროინდელი საქართველოს სოფლებში მომუშავენი და ვინ მოთვლის რამდენი ქართველი ნაიდენოვი ყოფილა ჩვენი მეგობარი, რამდენს გაუკეთებია ის საქმე, რასაც შოლოხოვის გმირი ასე წარმატებით ასრულებს. ამ წარმატების გამო სთხოვა ნაგულნოვმა სააგიტაციო კოლონის ხელმძღვანელს კონდრატკოს რამდენიმე ხანს, თესვის პერიოდში, ნაიდენოვი არ გაეწვია გრემიაჩი ლოგიდან მეზობელ ხუტორ ვოისკოვოში. და კონდრატკომ დააკმაყოფილა ნაგულნოვის თხოვნა (ტ. 6, გვ. 206). „გატეხილი ყამირის“ ეს თითქოს უმნიშვნელო შტრიხი ძალიან საგულისხმოა, საერთოა იმ დროისათვის, ჩვენც არაერთხელ გვინახავს ანალოგიური ფაქტები ქართული სოფლის კოლექტივიზაციის დროს. უკეთესი რომანი ახალი სოფლის, სოციალიზმის გზაზე დამდგარი სოფლის შესახებ მთელ საბჭოთა ლიტერატურას არა აქვს და სრულებით ბუნებრივია, როცა „გატეხილი ყამირი“ ასე პოპულარული ნაწარმოებია საზღვარგარეთაც. მისი რეზონანსი მართლაც უჩვეულოა, მსოფლიო მასშტაბისაა!

ამ ზოგადი მითითების შემდეგ ჩვენ უნდა გადავიდეთ თვით ნაწარმოების კრიტიკულ ანალიზზე, რომელსაც ერთი რამ მოეთხოვება: შინაარსის ჩვენებასთან ერთად, კონკრეტულად დაგვიხასიათოს „გატეხილი ყამირის“ მოქმედი პირები, სიტუაციები, პასაჟები, მხატვრული ღირსებანი, ყველაფერი ის, რაც შოლოხოვის

გენიალური რომანის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას მოგვცემს. ეს ანალიზი საჭიროა დავიწყოთ ადამიანებით, ვინაიდან „გატეხილ ყამირში“ ძირითადი პრობლემა — ახალი სოფლის დაბადება, მთლიანი კოლექტივიზაციის პირველი ნაბიჯები ნაჩვენებია დაძაბული კლასობრივი ბრძოლის, ხელმძღვანელი კომუნისტების გმირულ შემართებათა ფონზე.

ვინ არიან ახალი სოფლის ეს ხელმძღვანელები — სემიონ დავიდოვი, მაკარ ნაგულნოვი, ანდრეი რაზმიოტნოვი?

პუტილოველი მუშა, წარსულში ბალტიის ფლოტის მეზღვაური სემიონ დავიდოვი იმდენად შემკრები სახეა, იმდენად კოლორიტული ფიგურაა, რომ თავისში იერთებს ტიპიურის ყველა დამახასიათებელ ნიშანს. 30-იან წლებში ცოტანი როდი იყვნენ დავიდოვები. მაგრამ ცხოვრების მრავალი დავიდოვი მხოლოდ შოლოხოვის ერთ დავიდოვად იქცა. ასე გადადის უშუალო სინამდვილის ქვეყანა დიდი ხელოვნების სამყაროში. გადადის მაგრამ იმ დროს, როცა ცოცხალ სინამდვილეს გენიოსის თვალი შეჰვდება და მისი კალმის ძალა არესის მახვილს დაემსგავსება.

დავიდოვის სახეში ჩაქსოვილია 30-იანი წლების ახალი სოფლის ჰეშმარიტ მეთაურთა ყველა დამახასიათებელი ნიშან-თვისება. ეს ნიშან-თვისებანი ისე გამოარჩევდნენ ამ ადამიანებს, როგორც ჭრელ კრიალოსანში ერთნაირი მძივები არ ჰგვანან დანარჩენებს. ამიტომ, ვინც ამ ადამიანთაგან „გატეხილი ყამირი“ წაიკითხა, დავიდოვში თავისი თავი დაინახა, იფიქრა — შოლოხოვს ჩემგან აუღია ხასიათი, მე სემიონის პროტოტიპი ვარო. გასაკვირი არ არის, თუ ასე იყო დონის კაზაკობაში, მაგრამ პირადად ჩემთვის, როცა გვიან დავიდოვს გავეცანი, იგივე განმეორდა: თვალწინ დამიდგნენ 30-იანი წლების ქართული საკოლმეურნეო მოძრაობის პრაქტიკული ხელმძღვანელები, რომლებსაც ახლოს ვიცნობდი, რომლებთანაც ჩემი იმდროინდელი ახლად დაწყებული ჟურნალისტური და სამწერლო მოღვაწეობით დაკავშირებული ვიყავი, ზოგიერთი მათგანის შესახებ წერილიც დამიწერია, ერთი სიტყვით, ფესტვენიძეები, სტურუები, მუშკუდიანები, თუმცა ყველა არ ეკუთვნოდა ოცდახუთიათასიანებს, მეხსიერებაში კვლავ აღსდგნენ, როგორც ცოცხალი, მოქმედი ადამიანები — ახალი ცხოვრებისათვის ბრძოლის ველზე გამოსული ჯარისკაცები და სარდლები.

სოფლად ხომ მაშინ თავისებური „სამოქალაქო ომი“ იყო, უმაგალითო რევოლუციური გარდაქმნები ხდებოდა!

ამ გარდაქმნებში დიდი სიძნელეები იყო, მიღწევებს თან ახლდა შეცდომები, კულაკობის. როგორც კლასის ლიკვიდაცია, ხდებოდა კლასობრივი ბრძოლის ფონზე, საშუალო გლეხი მერყეობდა. მაგრამ ბევრი მათგანი, შინაგანი ვნებათაღელვის მიუხედავად, საბოლოოდ ახალ გზას ადგებოდა. ძირითადი დასაყრდენი სოფლად ღარიბი გლეხობა იყო. „გატეხილ ყამირში“ ეს ბრძოლა, კლასობრივი ჰიდილი, მიღწევები და შეცდომები, მთელი სინამდვილე 30-იანი წლებისა სოფლად ისე ცოცხლად, მართლაც დიდი ოსტატობით წარმოისახა, რომ საბჭოთა ლიტერატურაში არ არის მეორე რომანი, რომელიც მხატვრული სახეებით, პირდაპირ ენციკლოპედიური ცოდნით ასე გადმოგვცემდეს საკოლმეურნეო ცხოვრების პირველ ნაბიჯებს. შოლოხოვმა ბოლომდე გააშიშვლა მთელი სინამდვილე, უყურადღებოდ არ დატოვა არცერთი პრობლემა, არცერთი საკითხი, არც ერთი დეტალი; იგი არ მოერიდა სიმწვავეს, არ მოერიდა სიმართლეს, როგორი მტანჯველიც არ უნდა ყოფილიყო, დაადგა ჰეშმარიტად დიდი მწერლისათვის დამახასიათებელ უშიშარ გზას ყველა და ყოველგვარი ნიღაბის ჩამოხსნისა, გარდა ამისა, მან ისე შეისწავლა ცხოვრების ნიუანსები, რომ შეიძლო უშეცდომოდ განეზოგადებინა რომანის მოქმედ გმირთა სულიერი და იდეური სამყაროს პრედიკატები.

ამ რთულ სიტუაციაში მოქმედებს დავიდოვი. ბრძოლა კი მძიმე, შეუპოვარია. ამ ბრძოლის ზოგიერთი სცენა პირდაპირ ამაზრზენად არის დახატული. გაიხსენეთ ნიკიტა ხოპროვისა და მისი ახალგაზრდა მეუღლის — მარიას სადისტური მკვლელობა. ბანდის მეთაური პოლოვცევი, მისი ერთგული ოსტროვნოვი და კულაკ ფროლ რვანის შვილი ტიმოფეი მხოლოდ იმიტომ კლავენ ღარიბ გლეხებს — ხოპროვსა და მარიას, რომ ეშინიათ — საიდუმლო გაიგეს, არ გაგვცენო. ეს მკვლელობა მწერალს აღწერილი აქვს ისე შემაძრწუნებლად, რომ შიშის ზარი დაგეცემათ. რომანის 97-დან — 101. გვერდამდე გრძელდება ამ ტრაგედიის აღწერა (ტ. 6), და მასში, როგორც კალეიდოსკოპში, ჩანს გაჩაღებული კლასობრივი ბრძოლის მთელი სიმძიმე.

და ვინ იყო ხოპროვი, რომელიც თავის მეუღლესთან ერთად ზვარაკივით დაჰკლეს?

ღატაკი გლეხი, წარსულში ბედის ანაბარად მიგდებული, თეთრებთან მოხვედრილი, დამსჯელი რაზმის წევრი, კულაკ ლაპშინოვის დამცველად რომ გამოდის, ამავე დროს სინდისი ქენჯნის და როცა გაიგო — ანტისაბჭოთა ბანდაში მითრევს ოსტროვნოვიო — ცხად არის ყველაფერი აღიაროს, მთავრობის ორგანოებს აცნობოს თავისი წარსულიც და ოსტროვნოვიც გასცეს. ასე აქვს გადაწყვეტილი ნიკიტა ხოპროვს, თუმცა, როგორც მწერალი გვეუბნება, ის „საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი პასიური“ იყო (ტ. რ, გვ. 103). სწორედ ამ დროს, გვიან ღამით ხდება ხოპროვისა და მისი უდანაშაულო მეუღლის საზარელი მკვლელობა, რომელმაც სემიონ დავიდოვი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ სოფლად მტრულმ. ძალამ აქტიური მოქმედება დაიწყო.

ამ ძალებს მეთაურობს მეფის არმიის ყოფილი ესაული, შემდეგ მასწავლებლად მომუშავე, საბჭოთა ხელისუფლების დაუძინებელი მტერი ალექსანდრ ანისიმოვიჩ პოლოვცევი. იგი თავშეფარებულია შენიღბულ იაკობ ლუკიჩ ოსტროვნოვთან, რომელიც დავიდოვს ჰკვიან, უნარიან, მეურნეობის მცოდნე კაცად მიაჩნია, კოლმეურნეობაში ღებულობს, თანაც დებატებსაც აძლევს, თან უკვირს — რატომ არის მისი წინააღმდეგი პარტიული უჯრედის მდივანი მაკარ ნაგულნოვი. არა, ფიქრობს დავიდოვი, „ფაქტია, რომ ის (ოხტროვნოვი — გ. ჯ.) კოლმეურნეობას უდიდეს სარგებლობას მოუტანს“ (ტ. 6, გვ. 115). ეს იყო დავიდოვის საბედისწერო შეცდომა, რამაც არ დააყოვნა იმავე წელს თავისი მწარე შედეგები მოეტანა. მანამდე კი დავიდოვი რატომღაც ადამიანურად ენდობოდა ოსტროვნოვს. თებერვალში ჩატარებულ ერთ-ერთ კრებაზე, როცა იაკობ ლუკიჩი სიტყვით გამოვიდა, დავიდოვს ძნე მოეწონა მისი აზრები, რომ ნაგულნოვს შენიშნა: „ხედავ? შენ კი სულ მისი წინააღმდეგი იყავიო“. ნაგულნოვმა პასუხი უმალ გასცა: „მე ახლაც წინააღმდეგი ვარო“ (ტ. 6, გვ. 162). მართალია, ნაგულნოვი უფრო ახლოს იცნობდა ოსტროვნოვს, ვიდრე დავიდოვი, მაგრამ თითქოს ინსტინქტი უფრო მეტს აკეთებდა ამ მხრივ, ვიდრე კონკრეტული ფაქტების ცოდნა. ეს ფაქტები პარ-

ტიული უჯრედის მდივანმა შედარებით გვიან იგდო ხელთ, მაგრამ შედეგი მისთვის და დავიდოვისათვის უკვე საბედისწერო გახდა — ორივე დაიღუპა პოლოვცევ — ოსტროვნოვის მტრული მოქმედების შედეგად. არასოდეს მაკარ ნაგულნოვს მხარი არ დაუჭერია ოსტროვნოვისათვის, არც მაშინ, როცა იაკობ ლუკიჩი პავლე ლიუბიშკინთან, დემკა უშაკოვთან, არკაშკა მენოკთან და თვით დავიდოვთან ერთად კოლმეურნეობის გამგეობის რწმუნებულად გაიყვანეს სემიონ დავიდოვმა და ანდრეი რაზმიოტნოვმა — სოფლსაბჭოს თავმჯდომარემ (ტ. 6, გვ. 104). ნაგულნოვის პარტიული ალღო ბოლომდე მართალი აღმოჩნდა შენიღბული მტრის იაკობ ლუკიჩ ოსტროვნოვის მიმართ. მაგრამ დავიდოვმა, როგორც თებერვალშივე შეამჩნია, რომ ოსტროვნოვმა დანაშაული ჩაიდინა — გამოცდილმა მეურნემ ჩალის მაგიერ საქონელს ქვიშა დაუყარა, რის გამო მეორე დღეს ოცდახამი ხარი ვეღარ ადგა, — მრისხანედ შეუტია მეურნეობის გამგეს — ქვეწარმავალი უწოდა, უმალ გადაყენა თანამდებობიდან, სასამართლოთი დაემუქრა (ტ. 6, გვ. 172). ოსტროვნოვმა კი ეს ჩაიდინა პოლოვცევის დავალებით, როგორც მავნებლური აქტი, რათა მუშა საქონელი მწყობრიდან გამოეყვანა: მოტივი კი მომხიბლავი იყო დავიდოვისათვის —ჰიგიენის, სისუფთავის დაცვა, პირუტყვი რომ არ დააავადებულიყო.

ოსტროვნოვის წასვლის შემდეგ დავიდოვმა ანალიზი გაუკეთა მომხდარ ფაქტს, გაიხსენა, რომ ადრე იგი კულაკი იყო, შემდეგ დაზარალდა, საშუალო გლეხად იქცა, კოლმეურნეობაში თავდადებულად დაიწყო მუშაობა, იმ ოცდახამიდან ორი დაზიანებული ხარი თვით მას ეკუთვნოდა. თუ მავნებლობა უნდოდა, საკუთარ პირუტყვს რატომ გასწირავდა — არა, ოსტროვნოვი მავნებელი არ არის, იქნებ მართლაც შეცდომა მოუვიდა, როგორც აღიარა, — ფიქრობს დავიდოვი და თავის გადაწყვეტილებას ცვლის: იაკობ ლუკიჩს ტოეებს თავის ადგილზე, თუმცა აფრთხილებს: თუ ასეთ რამეს კვლავ გაიმეორებს, მაშინ... და ოსტროვნოვი კვლავ რჩება მეურნეობის გამგედ (ტ. 6, გვ. 173). მავნებლობის პირველი ცდა მისთვის მშვიდობით დამთავრდა.

მიუხედავად ამგვარი საბედისწერო შეცდომებისა, სემიონ დავიდოვი ყოველთვის გამოირჩევა თავისი ჭკუით, საზრიანობით, სწორი პოლიტიკური ალღოთი. როგორც ვნახეთ, თუ ზოგჯერ,

იშვიათად, მაინც შეცდომა მოსდის ან შეუფერებლად იქცევა (მაგალითად, იაკობ ლუკიჩის გარდა, ლუშკასთან ურთიერთობა), იმით არის გამოწვეული, რომ, ვიმეორებთ, უაღრესად რთული ვითარებაა, შეუძლებელია ყველაფერში უშეცდომოდ გაერკვე, გარდა ამისა, ადამიანი ხომ ადამიანია და ადამიანური სისუსტისაგან თავისუფალი როდია. სამაგიეროდ, როგორი სწორი ალღო აქვს, რა მართალი, რა სპეტაკია, საქმის უანგაროდ ერთგული, უმალ ხედავს შეცდომას, უმალვე ცდილობს გაასწოროს. მისი კამათი და შეჯახება რაიკომის უხეირო მდივანთან, რომლის ავლა-დიდება დავიდოვმა მალე გამოიცნო, მისი უთანხმოება მიწათმოქმედების რაიონული განყოფილების გამგე ბეგლიხთან, სხვა უამრავ ფაქტს თავი რომ დავანებოთ, დავიდოვს წარმოგვიდგენენ შესანიშნავ ხელმძღვანელად, რომელიც შეუძლებელია არ შეიყვარო და რომელსაც ასევე შეუძლებელია პატივისცემით არ მოეკიდო. — ვინც კოლმეურნეობიდან გავიდა, შემოდგომამდე საქონელი და ინვენტარი არავითარ შემთხვევაში არ მისცეო, — ასეთ დავალებას აძლევს ბეგლიხი დავიდოვს. როგორია ამ უკანასკნელის პასუხი: „არ მივცეთ საქონელი საშუალო გლეხს... რითი მოხნას, რითი დათესოს?“ (ტ. 6, გვ. 232). ბეგლიხი ამაზე არ ფიქრობს. დავიდოვი ეწინააღმდეგება, თუმცა ესმის სიტყვები: ეს საოლქო კომიტეტის მითითებაა, უნდა დაემორჩილო, „არავითარი ლაპარაკი, არავითარი დისკუსია... არ შეასრულებ თესვის გეგმას — თავს წაგაცლით“ (იქვე, გვ. 232—233). დავიდოვისათვის უმჯობესია თავი წააცალონ, ვიდრე გააკეთოს საქმე, რომელიც არა სწამს და იგი ბოლომდე რჩება თავის პოზიციაზე, მიუხედავად ბეგლიხების მემარცხენული სალდაფონობისა. ასე მართალი, ასე უშიშარი და ასე ძლიერია სემიონ დავიდოვი — შესანიშნავი ორგანიზატორი, საყვარელი ადამიანი.

კითხულობ რომანს, თანდათან ეცნობი მის გმირებს, უახლოვდები თითოეულ მათგანს, როგორც მეგობრებს, გრძნობ რომ იდეის ფანატიკურად ერთგულნი არიან დავიდოვიც და ნაგულნოვიც, მაგრამ ორივეს ფსიქოიდეოლოგიაში, საერთოს ფონზე, არაერთი ხელშესახები განსხვავებაა. დავიდოვს გაცილებით უფრო სწორად ესმის ის ხაზი, რასაც ემსახურება, ვიდრე ნაგულნოვს, თუმცა ეს უკანასკნელიც, ზოგიერთი მომენტის გამოკლებით, ჯანსაღ

პოზიციაზე დგას. მემარცხენეობის რუდიმენტები მის დამოკიდებულებაში ცალკე აღებული საკითხების მიმართ, უფრო გამოწვეულია პიროვნული მოტივებით, ვიდრე აზროვნების რაიმე დოგმატებით. დავიდოვი გრძნობს ნაგულნოვის პიროვნებაში მისგან განსხვავებულ ნიშნებს, ამის შესახებ დაუფარავად ეუბნება კიდეც, ვერ თანხმდებიან, მაგრამ ერთად მოქმედებასაც არ წყვეტენ, საერთო საქმეს უანგაროდ ემსახურებიან. შეუძლებელი იყო ძველ მეზღვაურსა და პუტილოველ მუშას, ლენინის იდეებით გამსჭვალულ დავიდოვს არ შეემჩნია ის უცნაურობა, რომ ნაგულნოვი, ამორალური ქცევისათვის თავის ცოლს—ლუშკას, რომელიც კულაკის შვილთან—ტიმოფეი დამასკოვთან ცხოვრობს, ცემას კი არა, უბრალო მკაცრ საყვედურსაც არ აკადრებს, მაშინ, როცა სოფლად გავრცელებული საქონლის მასობრივი დაკვლის აღსაკვეთად ორი-სამი კაცის დახვრეტას მოითხოვს. დავიდოვი კატეგორიულად ეწინააღმდეგება ამ საკითხში ნაგულნოვს, გაოცებული, თუ აღშფოთებული არა, ეუბნება მას: „განა შეიძლება ძროხის დაკვლისათვის დახვრეტა? ასეთი კანონები არ არის, ფაქტია! იყო ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილება, და ამის შესახებ იქ პირდაპირ არის ნათქვამი: ორი წლით ჩასმა, მიწის ჩამორთმევა შეიძლება“, ხოლო როგორც უკიდურესი ღონისძიება — გასახლება (ტ. 6, გვ. 122). ნაგულნოვი შეუპოვრად იცავს თავის ყოვლად მცდარ აზრს, და გასაგებია, თუ მათ შორის — სოფლის ორ, ყველაზე გამოჩენილ მოღვაწეს შორის სიცივემ გაიარა. ეს სიცივე ყოფა-ცხოვრების საკითხებში უთანხმოებით დაიწყო და აქ, უშუალო პოლიტიკის სფეროში, კიდევ უფრო სერიოზულ შეტაკებად იქცა.

მორალის თაობაზე, ქალთან დამოკიდებულების შესახებ ნაგულნოვის მცდარი მტკიცებით უკმაყოფილო დავიდოვი არ მალავს, რომ თავისი მეგობრის პიროვნებაში მისთვის „ბევრი რამ გაუგებარია“, რომ „ყოფა-ცხოვრების საკითხებში“ ის ნაგულნოვს არ ეთანხმება (ტ. 6, გვ. 121—122). ახლა კიდევ, უშუალოდ პოლიტიკის კონკრეტული ამოცანების წინაშე მდგომნი, გრძნობენ, თუ რა განსხვავებაა მათ შორის. მწერალი დიდი ოსტატობით გვიხატავს თავის, რომანის გმირების ამ შინაგან სულიერ ქვეყანას, ისე, რომ არაფერს ტოვებს შეუმჩნეველს ან გამოუთქმელს, ღრმად იჭრება დავიდოვისა და ნაგულნოვის სულიერ არსებაში, როგორც

ანატომი დაშლის ხოლმე ადამიანის სხეულის ნაწილებს კუნთებად და ძარღვებად. შოლოხოვი ამ მხრივაც შეუდარებელი ხელოვანია ერთი კი არა, ათეულობით სხვადასხვა ფაქტი მოჰყავს ხასიათის დასადასტურებლად. ამ მხრივ არც დავიდოვი, არც ნაგულნოვი გამონაკლისი არ არის. რომ უფრო ხელშესახები, ყველაფერი აბსოლუტურად დამაჯერებელი გახადოს თავისი გმირების დახასიათებაში, შოლოხოვი თანმიმდევრულად ანვითარებს ფაბულას, სიუჟეტს ამძაფრებს, ერთსა და იმავე საკითხზე უალრესად საინტერესო ამბებს თხზავს სინამდვილის ათასნაირი ვარიაციებიდან, იყენებს პერიპეტიებს ტრაგიკული მომენტების სისრულისათვის, ბოლოს კი ყველაფერს არაჩვეულებრივი სინათლის შარავანდედს ადგამს.

დააკვირდით როგორ მძაფრდება დავიდოვისა და ნაგულნოვის დამოკიდებულება იმის შემდეგ, რაც ჩვენ უკვე გავიგეთ ყოფა-ცხოვრებისა თუ პოლიტიკის კონკრეტულ საკითხებში მათი განსხვავებული თვალთახედვის შესახებ.

ეს განსხვავება — პრინციპული უთანხმოება უფრო რელიეფურად გამოჩნდა, როცა ნაგულნოვმა მოითხოვა— გაეჩხრიკათ შეძლებული გლეხები, კოლმეურნეობაში გუშინ თუ გუშინწინ მიღებული ოჯახები, რომლებსაც სათესლე პური ჯერ კიდევ არ ჩაებარებინათ. დავიდოვი, ლუბნო, კომკავშირელი ნაიდენოვი, რაზმიოტნოვი წინ აღუდგნენ ნავულნოველს, ვინაიდან რაიკომის დირექტივაშიც მკაცრად იყო აკრძალული ჩხრეკის მოწყობა (ტ. 6, გვ. 182—183). სათესლე ფონდის შექმნა საფრთხის წინაშე აღმოჩნდა — ამ უეჭველად საჭირო ღონისძიებას ფარული ბოიკოტი გამოუცხადა პოლოვცევ—ლიატიევსკის კონტრრევოლუციურმა ბანდამ—„დონის განთავისუფლების კავშირმა“, რომლის აქტიური წევრიც ოსტროვნოვი იყო. პირველი ჩავარდნით შეშინებული იაკობ ლუკიჩი მეორე დღესვე აბარებს სათესლე პურს, მაგრამ თოთხმეტი ტონიდან ექვსი უვარგისია. ბანდის დავალებას ასრულებს. აქტივისტი უშაკოვი ამის გამო სასტიკად ჰკიცხავს მამა-შვილს — იაკობ ლუკიჩსა და სემიონ ოსტროვნოვებს (ტ. 6, გვ. 183). თესლი გროვდება, მაგრამ დიდი ბრძოლით. თუ საკოლმეურნეო აქტივი — მაიდანიკოვი, ლიუბიშკინი, დუბცოვი, მოლჩუნი, პაპა შჩუკარი, არკაშკა მენოკი, მშვედელი შალი, ანდრეი რაზმიოტნოვი და სხვები

პირველ დღესვე აბარებენ თესლს (ტ. 6, გვ. 183), „კავშირის“ მტრული აგიტაციის შედეგად გლეხობის დიდი ნაწილი უარს ამბობს თესლის გამოყოფაზე — სახელმწიფომ მოგვცესო. ერთპიროვნული მეურნეები, მათ შორის „კავშირის“ წევრი გრიგორი ბანიკი თესლის შეგროვების სასტიკი წინააღმდეგია. ნაგულხოვმა დრო იხელთა, დავიდოვის რამდენიმე დღით წასვლა მეზობელ სოფელში კარგი ჯიშის თესლის მოსატანად, გამოიყენა იმისათვის, რომ თავისუფლად ემოქმედა — ადმინისტრაციული, პარტიზანული მეთოდებით გაეტეხა ურჩი გლეხების წინააღმდეგობა. სამი კოლმეურნე დააპატიმრა, ხოლო ბანიკი სალაპარაკოდ მიიხმო.

აქ მოხდა ის, რაც ასე დამახასიათებელია ძველი პარტიზანელის, იარალით საბჭოთა ხელისუფლების ერთგული დამცველის, კომუნისტ მაკარ ნაგულნოვისათვის. როცა ლაპარაკით, მუქარით ვერას გახდა, ნაგულნოვმა სასტიკად ცემა ბანიკს, სისხლი წარმოადინა, ძალად აიძულა ჩვენება დაეწერა. ეს იყო ადმინისტრირების, პარტიზანშჩინის კულმინაციური წერტილი, რაც კატეგორიულად დაჰგმო მეორე დღესვე მივლინებიდან დაბრუნებულმა სემიონ დავიდოვმა. „შენ—კომუნისტი ხარ, მოიქეცი კი, როგორც ჟანდარმიო“. — სამართლიანად ეუბნება მოთმინებიდან გამოსული დავიდოვი არანაკლებად გულმოსულ ნაგულნოვს (ტ. 6, გვ. 193). და როგორია ამ უკანასკნელის პასუხი? ტიპიურად ნაგულნოვისებური: „დაგვიანებულია ჩემი ხელახლა აღზრდა, მე — პარტიზანი ვარ და თვითონ ვიცი, თუ როგორ უნდა დავიცვა ჩემი პარტია ყოველგვარი გარეწრების თავდასხმისაგანო“. ნაგულნოვმა კარგად იცის, რომ ბანიკი კონტრაა, ყოფილი თეთრგვარდიელი, მამონტოველია, იარაღით ხელში ებრძოდა წითელ არმიას (ტ. 6, გვ. 188). დავიდოვსაც ესმის, რომ ბანიკი „ჩვენი კაცი არ არის“, მაგრამ ცემა არ შეიძლება; თუ საბჭოთა ხელისუფლება სიტყვიერად შეურაცხჰყო, როგორც ნაგულნოვი ამტკიცებდა, მაშინ შეიძლებოდა მისი დაკავება, მაგრამ ცემა არავითარ შემთხვევაში. ეს უხეში დარღვევაა და ნაგულნოვს თვითონ უნდა დაედოს ბასჯელი, — ასე გადაწყვიტა დავიდოვმა, რომელსაც მხარი დაუჭირა გრემიაჩი ლოგში ჩამოსული სააგიტაციო კოლონის ბრიგადამ. ნაგულნოვს კრებამ სასტიკი საყვედური გამოუცხადა (სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ ანდრეი რაზმოტნოვმა თავი შეიკავა), მაგრამ ის მაინც თავის აზრზე დარ-

ჩა — მართალი ვარო, რითაც თავშეკავებული რაზმიოტნოვის გულისწყრომა გამოიწვია.

აი, ორი სახე — დავიდოვი და ნაგულნოვი, ორივე ფანატიკურად ერთგული კომუნიზმის საქმისა, მაგრამ რამდენია მათ შორის სხვაობა, შინაგანი ბრძოლა, თავდადება ახალი ქვეყნის საქმისათვის!

შოლოხოვმა უდიდესი მხატვრული ოსტატობით ასახა ყოველივე ეს, 30-იანი წლების მკაცრი სინამდვილე, რაც დღეს ჩვენთვის ისტორიაა, მაგრამ იმ დროს ჯერ კიდევ შორს იყო ისტორიად ქცეჩნია თავისი თავი. შოლოხოვს ლიტერატურულ გმირობად უნდა ჩაეთვალოს „გატეხილ ყამირში" „ლიტერატურული ყამირის" გადახვნა, ვინაიდან სულ უკვალავი გზით მიდიოდა, არავინ ჰყავდა წინამორბედი, თვითონვე იყო თავისივე თავის წინამორბედიცა და გამგრძელებელიც. მანამდე რა არ უჩვენებია და რა არ გამოუხატავს ბელეტრისტიკას: სიყვარული, ომი, ღალატი, მკვლელობა, ვერაგობა, მეგობრობა, სიხარული, ბედნიერება, სოფლისა თუ ქალაქის ცხოვრება, არისტოკრატია, დემოკრატია, ბურჟუაზია, მუშათა კლასი, გლეხობა, მაგრამ არავის შეეძლო შოლოხოვამდე გამოეხატა სოციალისტური სოფლის პირველი ნაბიჯები, კოლექტიური მეურნეობის შექმნა დაქსაქსული, წვრილი ერთპიროვნული მეურნეობის ნაცვლად, რაკი ეს სოფელი მანამდე არ იყო. ეს თემა პირველად შოლოხოვმა გაშალა ეპოსში და პირველმა უჩვენა მსოფლიო ლიტერატურას კლასიკური მაგალითი, თუ როგორ იბადება და შეიძლება დაიბადოს ახალი, სოციალისტური სოფელი, რომელიც კოლექტიურ მეურნეობას და ტექნიკას ემყარება. შოლოხოვმა მომენტი დაიჭირა — ყველაზე მძაფრი მომენტი, ის ასახა, ის გვიჩვენა და ამიტომ გვინდა მას ვუწოდოთ „მომენტის დამშერი", მსგავსად ტურგენევისა, რომელიც ასევე თავისი დროის „მომენტის დამშერად" აღიარა რუსულმა ლიტერატურულმა კრიტიკამ. ვიმეორებთ, „გატეხილი ყამირი" იყო „ლიტერატურული ყამირის" გადახვნა, გატეხვა, მაგრამ გადახვნაცაა და გადახვნაც: შოლოხოვის „გატეხილ ყამირში" ლიტერატურული ყამირის

---

* დაწვრილებით იხ. გიორგი ჯიბლაძე, კრიტიკული ეტიუდები, ტ. V, გვ. 231.

ვატეხვა გენიოსი კაცის მხატვრული შემართებაა, რასაც თაობები ჭაუკუნეების მანძილზე იშვიათად მოესწრებიან ხოლმე. ამ იშვიათობით შოლოხოვი ყოველთვის ანცვიფრებდა აღტაცებით მოჯადოებულ მკითხველებსა და არანაკლებ მოხიბლულ მსოფლიო ლიტერატურულ საზოგადოებრიობას.

ნუ ვიფიქრებთ, რომ დავიდოვთან შედარებით ნაგულნოვი სუსტი იყოს, როგორც ხელმძღვანელი. დავიდოვი მეტია, ნიჭიც, უნარიც მეტი აქვს, მაგრამ ნაგულნოვიც ძლიერი პიროვნებაა, იდეის უკიდურესად ერთგულია. რაზმიოტნოვი შემთხვევით არ ამბობს მის შესახებ: მაკარს რომ ძალაუფლება მისცე, რას არ იზამდაო (ტ, 6, გვ. 257). შეიძლება მართლაც ყველაფერს გადააბრუნებდა. ენერგიული, პირდაპირი, მოურიდებელი ხასიათია, საზოგადო საქმისათვის თავდადებული, უკან დახევა არ იცის, მხოლოდ წინ მიდის, აჩიტომ ეჩვენება: რასაც აკეთებს — სწორია! არაერთი უცნაურობაც მოსდგამს, რაც ანცვიფრებს დავიდოვსა და რაზმიოტნოვს. ამ უკანასკნელმა შემთხვევით გაიგო, რომ ნაგულნოვს ინგლისური ენის შესწავლაც კი დაუწყია თვითმასწავლებლით. — მერე და შეგიძლია იმათ ენაზე ლაპარაკი? — ეკითხება ანდრეი. — არა, ლაპარაკი ჯერ არ შემიძლია, მაგრამ დაბეჭდილის გაგებას ვახერხებო. თურმე მეოთხე თვეა მეცადინეობს. ძალიან ძნელია, მაგრამ ამ თვეების მანძილზე რვა სიტყვა ზეპირად შეისწავლეო. ბევრი სიტყვა ინგლისელებს ჩვენგან წაუღიათ. სულ ცოტა განსხვავებით ისინიც ამბობენ „პროლეტარიატს“, „რევოლუციას“, „კომუნიზმს“ (ტ. 6, გვ. 258). როცა იქ საბჭოთა ხელისუფლება იქნება, ნაგულნოვი მაშინ გამოიყენებს ინგლისური ენის ცოდნას, რომ დაეხმაროს მუშათა კლასს, მივა და ეტყვის: „რევოლიუშიენ უ ვას? კომუნისტიშიენ?“ ღამეებს თეთრად გაათენებს, უკანასკნელ ჯანმრთელობასაც კი დაჰკარგავს... მაგრამ ინგლისურ ენას მაინც შეისწავლის. ამ ენით უცერემონიოდ დაუწყებს ლაპარაკს „მსოფლიო კონტრას“ (ტ. 6, გვ. 259). რვა სიტყვის ცოდნით ტექსტის წაკითხვა?! ღიმილის მომგვრელია, მაგრამ რას არ აფიქრებინებს კაცს გატაცება იდეით, რომელიც მისი სულის უკანასკნელი ინსტანცია გამხდარა. არის რაღაც საერთო ნაგულნოვის სასტიკ სიძულვილში ბურჟუაზიის, ექსპლოატაციის წინააღმდეგ და კლასიკური რუსული ლიტერატურის ისეთ ტიპთა შორის, როგორიც არიან ჩერნიშევსკის

რახმეტოვი და ტურგენევის ბაზაროვი. ხალხის სამსახურისათვის იდეისადმი უსაზღვრო ერთგულებით ისინი ძალიან ჰგვანან ერთმანეთს.

მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ ცოტა ვთქვით მსოფლიო რევოლუციისადმი ნაგულნოვის დამოკიდებულებაზე. ნამდვილად კი ეს საკითხი მისი სულისა და გულის შინაგანი არსებაა. მაკარ ნაგულნოვი სულ ფიქრობს მსოფლიო რევოლუციაზე, მას უცქერის, როგორც ხვალინდელ დღეს, ემზადება შეხვდეს ღირსეულად, გეგმებსაც აწყობს, თუ რას გააკეთებს, როგორც პირველი სოციალისტური ქვეყნის კომუნისტი, რით დაეხმარება სხვა ქვეყნების მუშათა კლასს. ვინ მოსთელის რამდენი იყო იმ დროს ნაგულნოვის მსგავსი, რომელსაც მსოფლიო რევოლუციაზე მასავით გულუბრყვილო, არამეცნიერული, ყალბი წარმოდგენა ჰქონდა, ეგონა ყველგან ისე მალე მიეიდოდა საბჭოთა ხელისუფლება, როგორც პეტერბურგისა და მოსკოვის შემდეგ გრემიაჩი ლოგში დამყარდა. ისინი სასტიკად ცდებოდნენ, მაგრამ ეს შეცდომა გამოწვეული იყო ფანატიზმით, გულუბრყვილობით, მარქსიზმ-ლენინიზმის უცოდინარობით, რასაც ემატებოდა მემარჯვენეებისა და „მემარცხენეების“ მცდარი თეორიები. ამიტომ აკრიტიკებენ ნაგულნოვს ამ შეცდომებში, ტროცკისტულ გადახრებში, თუმცა ის უარყოფს, არ ღებულობს ბრალდებებს. ნაგულნოვი თავიდან ბოლომდე ცხოვრებისეული ტიპია, რომელიც დიდმა მწერალმა ასე კოლორიტულად, მთელი თავისი დამაჯერებლობით წარმოგვისახა. მისი ღირსებაა დაუცხრომელი სურვილი — წინ იაროს, ისწავლოს, მთელი არსებით იდეას ემსახუროს, ჯიუტად, მაგრამ უეჭველად გაასწოროს შეცდომა, რაშიაც ის ძალიან გვიან რწმუნდება არამარტო პირადი შეუპოვარი ხასიათის, არამედ, ბრძოლაში მიღებული გამოცდილების გამოც — მოწინააღმდეგეს როგორ დანებდება, თავს შეაკლავს და უკან არ დაიხევს. ბრძოლას და კამათს ის ერთნაირი საზომით უდგება; როგორც მტერს არ ნებდებოდა, ისე ახლაც მოკამათეს არაფერს დაუთმობს.

დავიდოვს ერთხანს ანცვიფრებდა ნაგულნოვის ასეთი ხასიათი, მაგრამ შემდეგ მიუხვდა, ბევრი რამ დაინახა მისი სულის ხვეულებში და გულწრფელად სცადა დახმარებოდა. დახმარება კი ნამდვილად შეეძლო, ვინაიდან სემიონ დავიდოვს ძლიერი აქვს

როგორც კრიტიკის, ისე თვითკრიტიკის გრძნობა: არ ეშინია დაშვებული შეცდომები აღიაროს და გამოასწოროს. გრემიაჩი ლოგის ხელმძღვანელთაგან ის პირველი მიხვდება, რომ წვრილი საქონლისა და ძროხების მთლიანად განზოგადება სწორი არ იყო, წინადადებას აყენებს — უკანვე დაუბრუნონ გლეხებს. ვინც ორი ჩააბარა, აგიტაცია გავუწიოთ ერთი კოლმეურნეობაში დატოვოსო (გვ. 226). მართალია, ეს ხდება ზემოდან მითითების შემდეგ, სტალინის ცნობილ წერილთან დაკავშირებით, მაგრამ სხვა შემთხვევაშიც სემიონ დავიდოვი გულწრფელობას, გონებაგახსნილობას, პრინციპულობას იჩენს, არ ჯიუტობს, ნაგულნოვის მსგავსად. მთელი რომანის მანძილზე დავიდოვის პრინციპულობა ნაგულნოვის ჯიუტობას აწყდება, ხოლო უკანასკნელის ნაკლებმომზადებულობა — პირველის შედარებით ნაკითხაობას. როგორც ხელმძღვანელი, დავიდოვი მოთმინებით იტანს ნაგულნოვის სერიოზულ ხარვეზებს მუშაობაში, რაკი იცის, რომ „ჩვენი კაცია“, ბნედით არის ავად (გვ. 227), ბრძოლის დიდი გზა აქვს გავლილი. ნაგულნოვის უმეცარი კამათი ფერშალთან, რაზმიოტნოვი რომ უყვება დავიდოვს, ერთხელ კიდევ მოწმობს ამ ფაქტს. „გერმანიის ომში (ლაპარაკია პირველ მსოფლიო ომზე — გ. ჯ.) მე ოთხჯერ ვიყავი დაჭრილი, ორჯერ კონტუზია მქონდა და ერთხელ აირითაც მოვიწამლე, სამოქალაქო ომში სამჯერ დავიჭერი, ოცდაათ ლაზარეთსა, ჰოსპიტალსა და საავადმყოფოში დავგორავდიო“ (ტ. 7, გვ. 124). ასეთი საბრძოლო ბიოგრაფია რამდენიმე კაცს ეყოფოდა! რა გასაკვირია, თუ ომისა და ბრძოლის ქარცეცხლში გამოვლილ ნაგულნოვს, წინააღმდეგობათა მხოლოდ ძალით გადალახვას მიჩვეულს, მშვიდობის დროსაც არაერთგზის იძულება უხდება, დავიდოვისებური ტაქტიკის გამოყენების ნაცვლად.

დავიდოვთან ერთად მუშაობით ნაგულნოვმა მართლაც ბევრი რამ შეიძინა, ბევრ რამეზე თვალი აეხილა, მიუხედავად ჯიუტობისა. პარტიზანული სულისკვეთებისა, რაც ზოგჯერ უხეში ადმინისტრირების სახეს ღებულობდა. ალბათ დავიდოვის შენიშვნებმა ყოფა-ცხოვრებაზე ჩააფიქრა ნაგულნოვი, შეაგნებინა, რომ მის მდგომარეობას სოფლად, როგორც ერთ-ერთი ხელმძღვანელისა, აუტორიტეტს უტეხავდა ლუშკას აშკარად, ყველასათვის უკვე

ცნობილი ინტიმური ცხოვრება კულაკის შვილთან — ტიმოშკა რვანთან. უთუოდ გარკვეული სულიერი მღელვარების შემდეგ მაკარ ნაგულნოვმა გადაწყვიტა სახლიდან გაეგდო სახელგატეხილი მეუღლე — ის განშორდა ლუშკას. როცა ეს უსიამოვნო ამბავი გაიგო, დავიდოვმა ისევ სცადა ზემოქმედება მოეხდინა ნაგულნოვზე, უსაყვედურა: „რატომ არ აღზარდე ცოლი კომუნისტური სულისკვეთებითო“ (ტ. 6, გვ. 208). ნაგულნოვმა არ დააყოვნა ეპასუხნა: რას ჩამაცივდი, როგორ შემეძლო აღმეზარდა იგი, როცა „მე თვითონ სულ აღუზრდელი ვარო“ (გვ. 209). ეს არის ნაგულნოვის მწარე, მაგრამ თვითკრიტიკული აღსარება, შინაგანი ხმა სიმართლისა და სინიდისისა, რაშაც მთელი მისი არსება განასახიერებს. ეს ხმა წარუძღვა მას წინ, როცა რაიონული საკონტროლო კომისიის თავმჯდომარეს სიმოხინს ჩვენებას აძლევდა ბანიკის საქმის გამო; იმ წუთში დავიდოვს სთხოვა—ნუ ეტყვი მას ცოლს რომ გაუშორდი, თორემ უფრო დამსჯისო, მაგრამ თვითონვე პირველივე პასუხით აცნობა სიმოხინს: კონტრას რომ ვცემე,—ეს ყველაფერი როდია, — კიდევ ერთი რამ მოხდა — ცოლი სახლიდან გავაგდეო (იქვე). ასე შინაგანი მართალი ბუნება აქვს მაკარ ნაგულნოვს.

და ასეთი კაცი, მართალი, პატიოსანი, ფანატიკურად ერთგული საბჭოებისა, მისთვის შეუპოვარი მებრძოლი, რომელსაც სიხსლი დაუღვრია, თავი გაუწირავს, ახლა დგას რაიკომის ბიუროს წინაშე და პასუხი უნდა აგოს, როგორც მდივანი უცხადებს: „პარტიის წინააღმდეგ მთელ რიგ მძიმე დანაშაულობათა“ გამო (ტ. 6, გვ. 261). ეს დანაშაულობანი ასეა ფორმულირებული: „რაიკომის მითითებათა საწინააღმდეგოდ ატარებდა მემარცხენე ხაზს კოლექტივიზაციისა და სათესლე ფონდის შეგროვების დროს. მან ნაგანით სცემა ერთი საშუალო გლეხი — ერთპიროვნული მეურნე, დაამწყვდია ცივ ოთახში კოლმეურნეები“ (იქვე). რაიკომის პირველი მდივანი სავსებით ეთანხმება სამოხინის ნარკვევს და აცხადებს, რომ ამ უკანასკნელმა აღმოაჩინა ნაგულნოვის მიერ რევოლუციური კანონიერების დარღვევის აღმაშფოთებელი ფაქტები, პარტიის ხაზის პირდაპირ მავნებლური დამახინჯება. ნაგულნოვმა იგრძნო საშიშროება, დორბლის მომგვრელი გულისრევა, სისხლი მოაწვა, ისედაც ავად-

მყოფ კაცს—ეს იყო ბნედიწინა მდგომარეობა, რაც იშვიათად როდი დამართნია მას. თავდაცვამ არავითარი შედეგი არ გამოიღო. მარტო ერთი — მილიციის უფროსი ბალაბინი წავიდა კატეგორიული წინააღმდეგი პარტიიდან გაერიცხათ ისე დამსახურებული კაცი, როგორიც ნაგულნოვი იყო. ყველა დანარჩენმა გარიცხვა მოითხოვა და მაკარ ნაგულნოვი პარტიიდან გარიცხეს. პარტიული ბილეთი მაინც არ ჩააბარა, გულის ჯიბეში მაქვს, ვინც წართმევას დამიპირებს, ხახას გადავუჭრიო. და მაკარი პირველად ატირდა, რაიკომის მდივანს ყვირილით უთხრა.— შენ ჩემი ამხანაგი კი არა, ჩაგელი ხარ, და თქვენ ყველანი აქ. შხამიანი გველები ხართო (გვ. ნ, გვ. 269).

უკან დაბრუნებული მაკარ ნაგულნოვი მწარე ფიქრებს მიეცა. გადაწყვიტა უკანასკნელად გამოთხოვებოდა რაზმიოტნოვსა და დავიდოვს, ჩაეცვა შინელი, რომლითაც პოლონეთის ფრონტიდან ჩამოვიდა, თავი მოეკლა. რევოლუცია ამით არ დაზარალდება. ერთით მეტი იქნება თუ ნაკლები. მნიშვნელობა აღარა აქვს, რაკი ცისთვის ამდენი ხალხი იბრძვისო. დავიდოვი ჩემს საფლავთან ალბათ იტყვისო: „თუმცა ნაგულნოვი პარტიიდან კი გარიცხეს, მაგრამ ის იყო კარგი კომუნისტი. მის საქციელს—თვითმკვლელობას ჩვენ არ ვიწონებთ, ფაქტია, მაგრამ საქმეს, რომლისთვისაც ის ებრძოდა მსოფლიო კონტრრევოლუციას, ჩვენ ბოლომდე მივიყვანთ!“ (ტ. 6. გვ. 293). დაამთავრა თუ არა დავიდოვზე ფიქრი, ნაგულნოვს თვალწინ დაუდგა კმაყოფილებით სავსე გაღიმებული ბანიკის სახე, ბანიკისა, რომელიც თავშეყრილ ხალხში დადის და ლაპარაკობს: „ერთი გაიჭიმა, დიდება ღმერთს! ძაღლს — ძაღლური სიკვდილი!“ (იქვე). გაიფიქრა თუ არა ეს, ნაგულნოვში ძველმა მებრძოლმა უმალ ისევ გაიღვიძა და კბილების კრაჭუნით წარმოსთქვა: „ასე ვერ მოგართვეს, ქვეწარმავლის ხისხლო! თავს არ მოვიკლავ! თქვენ მიგიყვანთ, მსგავსებს, წერტილამდე!“ (ტ. 6, გვ. 293). უპარტიოც რომ დავრჩე, თავი თუ ვერ აღვიდგინე, მაინც ვიბრძოლებ ქვეწარმავლების წინააღმდეგო. ამ აზრებმა გაამხნევეს, შვება ცისცეს და ისევ ძველებური ბრძოლის გუნებაზე დააყენეს მაკარ ნაგულნოვი — გრემიაჩი ლოგის მცირერიცხოვანი პარტიული უჯრედის მდივანი, მაგრამ პარტიიდან რამდენიმე საათის წინ გარიცხული.

ხუტორში ნაგულნოვის არყოფნის დროს კი დიდი ამბები მოხდა, რასაც შეეძლო პირდაპირ კატასტროფა გამოეწვია.

პოლოვცევისა და ლიატიევსკის ბანდის წევრებმა (მათ შორის იაკობ ლუკიჩმა, ბანიკმა), რომლებიც ყოველმხრივ ცდილობდნენ სოფელში უკმაყოფილება ჩამოეგდოთ, ხალხი აეჯანყებინათ, სახელი გაეტეხათ დავიდოვის, ნაგულნოვის, რაზმიოტნოვისათვის მიზანს მიაღწიეს. იმ დღეს საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ მათ მიერ წაქეზებულმა დედაკაცებმა სოფლის თავმჯდომარე ანდრეი რაზმიოტნოვი შეიპყრეს, ფეხსაცმელები გახადეს, ტიმოფეი რვანის მეგობარმა ხულიგანმა დიმოკმა განსაკუთრებით თავი ისახელა, სასტიკი ცემა დაუწყო გაკოჭილ ანდრეის, რომელმაც ის ადრე რამდენჯერმე დააპატიმრა ცეცხლის წაკიდების, ლოთობის, ჩხუბის, მკვლელობის გამო. ახლა საშუალება მიეცა კომკავშირიდან გარიცხულს, ნაძირალად ქცეულ კონტრას შური ეძია რაზმიოტნოვზე. ამ ვერაგულ საქმეში თავისი ძმაკაციც დაიხმარა — ეფიმ ტრუბაჩოვი, რომელმაც ცილი დასწამა ანდრეის — ხალხისათვის ნაგანის სროლა უნდოდაო, თუმცა რევოლვერში არცერთი ტყვია არ იყო (ტ. 6. გვ. 279). კონდრატი მაიდანიკოვმა ყოველივე ეს აცნობა დავიდოვს; ანდრეი სარდაფში ჰყავთ ჩაგდებული, შენც თავს გაუფრთხილდი, ცუდი არაფერი შეგამთხვიონო. ბეღელისაკენ გამოქცეული ბრბო ეკვეთა დავიდოვს. თავდაცვამ ვერ უშველა, მასაც სცემეს, ხელები გაუკრეს, გასაღებები მოსთხოვეს, რომ ბეღლიდან სათესლედ შეგროვილი პური გაეტაცებინათ. დავიდოვს ისე სცემეს, რომ „ფეხზე ძლივს იდგა, ყრუდ ემუდარებოდა თავდამსხმელებს: „ — გეყოფათ! აკი მომკლავთ. თავში რტყმევა არ არის საჭირო"... (ტ. 6, გვ. 286). ღონემიხდილ დავიდოვს გააფთრებული დედაკაცები სცემდნენ და ჰკბენდნენ. ტილოს ხალათი გასისხლიანებული ჰქონდა, ხოლო მოკლე ქალაქური შარვალი — მუხლებთან დახეული. საბრალო შესახედავი იყო, მაშინაც, როცა მძვინვარე დედაკაცებს ეუბნებოდა: „თქვენთვის-ღა ვაკეთებთ!.. და თქვენ მევე მკლავთ... ოჰ, არა-მზა-დებო!" ტ. 6, გვ. 286). დავიდოვი მაშინ გაუშვეს, როცა ერთმა ქალმა იკივლა — თავი დაანებეთ მაგას, კაზაკებმა ბოქლომები გატეხეს, პურს უკვე ინაწილებენო.

ღონემიხდილი დავიდოვი შინ გაემართა, რაკი დარწმუნდა, რომ ერთი ვერაფერს გააწყობდა გააფთრებული ბრბოს წინააღმდეგ.

სტანიციდან მილიცია გამოიძახა, მანამდე კი ფიქრს მიეცა — სხვა რა ღონე ეხმარა?

ხუტორში ნაგულნოვი იმ დროს მივიდა, როცა ბეღლიდან სათესლე პურის მითვისება გაჩაღებული იყო. სასწორზე პურს წონიდა ყოფილი კოლმეურნე ივან ბატალშჩიკოვი. მას ეხმარებოდა აპოლონ პესკოვატსკოვი. იყო ჩხუბი და აყალ-მაყალი, როგორც ნადავლის განაწილების დროს ხდება მძარცველთა შორის. ნაგულნოვმა დაინახა, რომ იქ არ იყო დავიდოვი, არც რაზმიოტნოვი, არცერთი ბრიგადირი, თვალი მოჰკრა მხოლოდ იაკობ ლუკიჩს, რომელიც მუშაობდა. ნაგულნოვი სწრაფად მიხვდა რა უბედურებაც ტრიალებდა. თავგანწირულად ეკვეთა მძარცველებს, დავიდოვიც წამოეშველა, შემდეგ მოვიდნენ პავლო ლიუბიშკინი, აგაფონ დუბცოვი, მეორე და მესამე ბრიგადის წევრები, ოცდაათამდე კაცი, ცხენებზე შემსხდარნი. ხალხს მილიცია ეგონა და სწრაფად დაიფანტა. ამბართან ახლოს მოედანზე მარტო დავიდოვი იდგა ნაგულნოვთან ერთად. სალამოს ხუტორში მოვიდა დავიდოვის მიერ გამოძახებული მილიციელი, რომელმაც დააპატიმრა „აქტივისტები“— ივანე ბატალშჩიკოვი, აპოლონ პესკოვატსკოვი, ეფიმ ტრუბაჩოვი, კიდევ რამდენიმე სხვა, მათ შორის მიხაილა იგნატენკოს მოხუცი დედა — უწყალოდ რომ სცემდა რაზმიოტნოვსა და დავიდოვს. დიმოკი თვითონ გამოცხადდა, ნებაყოფლობით დანებდა ხელისუფლებას.

მეორე დღეს, დაღამების შემდეგ, დავიდოვმა გრემიაჩი ლოგის მცხოვრებთა კრება მოიწვია, დაწვრილებითი ანალიზი გაუკეთა წინადღით მომხდარ არეულობას, ხაზი გაუსვა იმ დებულებას, რომ „ბოლშევიკები შურს არ იძიებენ, მაგრამ დაუნდობლად სჯიან მარტოოდენ მტრებს“ (ტ. 6, გვ. 302).

თუ რა ოსტატურად, გონებამახვილურად ილაპარაკა დავიდოვმა, როგორი სულგრძელობით, პოლიტიკური ალღოს გამოჩენით, შეგვიძლია ნათლად დავინახოთ მისი შემდეგი სიტყვებიდან: «И ты, гражданочка, не бойся, раскутай лицо, никто тебя не тронет, хотя ты меня и здорово колотила вчера. Но вот если выедем завтра сеять и ты будешь плохо работать, то уж тогда я всыплю тебе чертей, так и знай! Только уж бить я буду не по спине, а ниже,

чтобы тебе ни сесть, ни лечь нельзя было, прах тебя возьми!» (ტ. 6, გვ. 302).

გაისმა ჯერ გაუბედავი, შემდეგ კი ხმამაღალი სიცილი, ხოლო ერთსულოვანი მოწონების ნიშნად, სიბნელეში ვიღაცამ თბილად, მხიარულად უთხრა დავიდოვს: «Давыдов, в рот тебе печенку! Любушка Давыдов!.. За то, что зла на сердце не носишь... зла не помнишь. Народ тут волнуется... и глаза некуда девать, совесть зазревает. И бабочки сумятются... А ить нам вместе жить... Давай, Давыдов, так: кто старое помянет—тому глаз вон! А?“ (ტ. 6, გვ. 302).

დავიდოვის ორგანიზატორულმა ტალანტმა გასჭრა. მეორე დღეს ორმოცდაათმა შეიტანა განცხადება კოლმეურნეობაში მიღების თხოვნით. ერთპიროვნული მეურნეები და კოლმეურნეობის სამივე ბრიგადა განთიადისთანავე სამუშაოდ წავიდა.

მაგრამ საქმე მაინც ვერ დგება კალაპოტში. რამდენიმე ერთგული კოლმეურნის გარდა, დიდი უმრავლესობა ზანტად, ზარმაცად მუშაობს. შეწუხებული ბრიგადირი პავლო ლიუბიშკინი პირდაპირ ატირებული ბრუნდება დავიდოვთან — ხალხი არ მუშაობს და რა ვქნაო. მდგომარეობა ისევ დაძაბულია, გლეხები ერთმანეთს მგლეზივით უყურებენ, ცხადია, ვიღაც წყალს ამღვრევს, ხელს უშლის წარმატებით დაწყებულ საქმეს. ლიუბიშკინის ბრიგადაში მაიდანიკოვის გარდა არავინ მონდომებით არ მუშაობს. დავიდოვს სურს თვითონაც მიჰყოს ხელი მიწის ხვნას, მაიდანიკოვისაგან სწავლობს კიდეც (ტ. 6. გვ. 317)—319). ისწავლა და მერე როგორ? იმ დღეს დესიატინაზე მეტი მოხნა, მაშინ, როცა თვით ლიუბიშკინსა და კუჟენკოვს ამდენი არ ჰქონდათ დამუშავებული. ყველა გააკვირვა ანტიპ გრაჩმა, რომელიც პირველ ადგილზე გამოვიდა, მანამდე კი ჩამორჩენილთა იმ ჯგუფში იყო, დავიდოვი ირონიით „სუსტ-ძალიან გუნდს“ რომ უწოდებდა (ტ. 6. გვ. 231). რომ დავიდოვი არა, გრემიაჩი ლოგის კოლმეურნეობა თესვის გეგმას თხუთმეტი მაისისათვის ვერ შეასრულებდა.

დავიდოვი ენერგიის დაუზოგავად, დღე-ღამის გასწორებით მუშაობს. მაგრამ გრძნობს — შედეგი უფრო ნაკლებია, ვიდრე მოელის. რაღაც თუ ვიღაც ანელებს ყველაფერს, ზოგჯერ სულ არა-

რაობად აქცევს დიდი შრომით განხორციელებულ ღონისძიებას. გვალვამაც მიწა გაახმო, პურის მაგიერ სარეველებმა წამოჰყვეს თავი. დავიდოვი საგონებელს მიეცა. რა ჰქნას?

ერთ საღამოს დავიდოვს ბინაში ეახლა მოხუცების დელეგაცია. სთხოვეს: წვიმა არ მოდის, პური არ მოდის, ნება მოგვეცით მღვდელს შევალოცვინოთო (ტ. 6, გვ. 324). დავიდოვმა წყნარად, მშვიდად განუმარტა მოხუცებს, რომ „მეურნეობა უნდა ვაწარმოოთ მეცნიერულად, და არა მღვდლის ლოცვა-კურთხევითო“ (ტ. 6, გვ. 325). ის ცდილობდა არ შეელახა მოხუცების რელიგიური გრძნობა, დიდხანს ელაპარაკა მათ დაყვავებით, ფრთხილად. ამ დროს შემოვიდა ნაგულნოვი. დელეგაციის უფროსი აკიმ კოროშჩუპი, რაკი უარი მიიღო, ადგა და წავიდა. ნაგულნოვი გამოეკიდა, მუქარა დაუწყო მოხუცებს: თუ მღვდელს თვითნებურად მოიყვანთ, მე სახანძრო რაზმით მოგადგებით, ყველას იმდენ წყალს მოგასხამთ, ვიდრე სულ არ დასველდებით, თქვენს მღვდელს კი „ცხვრის საპარსი მაკრატლებით გაეკრიჭავო“ (ტ. 6, გვ. 325). როცა ლაპარაკი დაამთავრა და უკანვე შემობრუნდა, ნაგულნოვს უსიამოვნო საუბარი ჰქონდა დავიდოვთან. ბრალიც დადო: მათთან დემოკრატიზმს აღვივებ, საქმეს აიოლებ, მათი დარწმუნება გინდა, მაშინ, როცა ისინი ყველანი მავნე სულნი არიანო (იქვე). დავიდოვს გაეცინა, უიმედოდ ხელი ჩაიქნია, ერთხელ კიდევ საბოლოოდ დარწმუნდა, რომ „მაკარი გამოუსწორებელი იყო“. (ტ. 6, გვ. 326).

ასე დაძაბულად, ცოცხლად, დიდი მხატვრული ოსტატობით, ცხოვრებისეული მომენტების წინ წამოწევით ანვითარებს შოლოხოვი რომანის ფაბულას, ყველგან ახერხებს მკითხველი ხელში იყოლიოს და საშუალება არ მისცეს მოიწყინოს ან სხვა რამეზე იფიქროს.

აქაც, დაამთავრა თუ არა ნაგულნოვისა და დავიდოვის მეტად დამაინტერესებელი პოლემიკური დიალოგი, მწერალმა უცებ შემოაგელვა ახალი ამბების მთელი სერია: თურმე, იმ ორი კვირის მანძილზე, რაც ნაგულნოვი უპარტიოდ ითვლებოდა, ხოლო პარტიული საქმეები დავიდოვს ებარა დროებით, რაიკომის ხელმძღვანელობა შეიცვალა, კორჩაგინსკი და ხუმუტოვი მოხსნეს. ახალმა ვდოვანმა ხელმეორედ განიხილა ნაგულნოვის საქმე (მას ზემდგომ

ინსტანციაში აპელაცია ჰქონდა შეტანილი) და იგი აღადგინა პარტიაში საყვედურის გამოცხადებით. როცა პარტიული საქმეები ნაგულნოვს დაუბრუნა, მათ ისევ მოუვიდათ წალაპარაკება, არა პიროვნულ, საზოგადო პრობლემებზე (ტ. 6, გვ. 226—327). ერთი სიტყვით, დავიდოვი და ნაგულნოვი, პარტიის უაღრესად ერთგული შვილები, განსხვაებული რანგის ხელმძღვანელები არიან, პირველყოფილისა, უკანასკნელის არაბაკმაო პოლიტიკური მომზადების გამო. ეს განსხვავება რომანში ძალიან კარგად, ყოველმხრივ, როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული კუთხით არის ნაჩვენები და ორივე სახეს სავსებით დამთავრებულად წარმოგვიდგენს.

აქ საჭიროა ცალკე გამოვყოთ შოლოხოვის მხატვრული შემოქმედების კიდევ ერთი დამახასიათებელი თვისება.

„გატეხილი ყამირის“ ავტორი თავის გმირებს სულ მოძრაობაში, განვითარებაში გვიჩვენებს, ისე, რომ სიტუაციების კვალდაკვალ ისინი იზრდებიან. რაღაც ახალს იძენენ, შეცდომებს ასწორებენ ან უფრო აღრმავებენ. მკითხველი ნათლად ხედავს ნამდვილად ცხოვრებისეულ მოვლენებს, ჭირსა და ლხინს, ადამიანების ურთიერთდამოკიდებულების სავსებით ბუნებრივ გრადაციებს. ავიღოთ, მაგალითად, ანდრეი რაზმიოტნოვი. როცა მან დაინახა ვახმისტრ პოიარკოვის ქვრივის ლამაზი და ჯანღონით სავსე მარინას უღირსი მოქმედება — კოლმეურნეობიდან გასვლა, მარინას, რომელთანაც ის სიამოვნებით ცხოვრობდა, რომელიც შეიყვარა კიდეც, უმალ განშორდა, თუმცა ეს მისთვის ადვილი როდი იყო. არც უფიქრია, თუ ასე მოხდებოდა. რაკი ხვეწნა-მუდარამ არ გასჭრა, რაზმიოტნოვმა იგრძნო, რომ მისი ინტიმური დამოკიდებულება მარინა პოიარკოვასთან აღარ შეიძლებოდა — ზიანი მიადგებოდა იმ საქმეს, რომელსაც მთელი თავისი არსებით ემსახურებოდა. ძნელი შეიქმნა მისთვის ეს განშორება, მაგრამ პირადზე საერთო ინტერესმა გაიმარჯვა და „მეორე დღეს ანდრეიმ მარინასაგან წამოიღო თავისი ნივთები, თოფი, პატრონტაჟი, ქალალდები: სახლში მიიტანა“ (ტ. 6, გვ. 240). მარინასთან განშორებით ანდრეი საბოლოოდ იტანჯებოდა, — გვეუბნება მწერალი, — და მკითხველისათვის ეს სავსებით გასაგებია, ვინაიდან რაზმიოტნოვს, ყოფილ წითელ პარტიზანელს, რომელსაც სამშინელი პირადი ტრაგედია აქვს

გადატანილი, რომელმაც უსაყვარლესი ცოლ-შვილი უღვთოდ დაჰკარგა, ბოლომდე შერჩა თბილი ადამიანური გული, ქალებისა და ბავშვებისადმი სათუთი დამოკიდებულების უნაზესი გრძნობები.

ასეთია ანდრეი რაზმიოტნოვი და ახლა მივუბრუნდეთ რომანის იმ ადგილს, სადაც დავიდოვისა და ნაგულნოვის წალაპარაკების სცენაზე გვქონდა საუბარი.

დამთავრდა თუ არა ეს სცენა, რომელიც „გატეხილი ყამირის“ პირველი წიგნის XXXVII თავიდან იყო აღებული, იქვე მეორე ამბავი გვაცნობა ავტორმა. ეს არის მთელი სოფლის გასაოცრად მარინა პოიარკოვას შეუღლება დემიდ მოლჩუნთან. ანდრეი რაზმიოტნოვმა, რომელიც ერთხანს ცხოვრობდა მასთან, ამ წყენას ვეღარ გაუძლო და სმას მიჰყო ხელი (როგორც უკვე ვიცით, მარინა ანდრეის გულწრფელად ჰყავდა შეყვარებული). დავიდოვმა მეგობრულად ურჩია—სმას მოეშვი, არ ვარგაო. „მოვეშვები,—ეუბნება ანდრეი,—მხოლოდ მწყინს, სიომა, უკიდურესობამდე! ვისზე გამცვალა, ძუკნამ? ვისზე გამცვალა“ (ტ. 6, გვ. 327). დავიდოვი ისევ აშშვიდებს მეგობარს—ეს მისი პირადი საქმეაო. „—მაგრამ, მე ხომ ნაწყენი ვარ?“—ეუბნება ანდრეი. „—ნაწყენი იყავი, მაგრამ ნუ სვამ. დრო არ არის. მალე ქარზე მარგვლა მოგვადგებაო“,—უპასუხებს დავიდოვი (ტ. 6, გვ. 327). მარინა კი ჯიბრზე ძალიან ხშირად თვალში ეჩხირებოდა ანდრეის, გარეგნულად მხიარული და ბედნიერი. მაგრამ აქ არ მთავრდება ამბავი. შოლოხოვი გრადაციას მიმართავს, რომ უფრო მძაფრად გამოაჩინოს ანდრეის შინაგანი სულიერი ტკივილები. ეს მწერლის შემოქმედებითი მეთოდის ერთ-ერთი დამახასიათებელი მხარეა: როცა სურს რაიმე გვიჩვენოს ან დაგვიმტკიცოს, ჩვენდა შეუმჩნევლად, რამდენჯერმე წარმოსახავს სხვადასხვა ვარიაციაში, იმ დრომდე, ვიდრე თავში ლურსმანივით არ ჩაგვირჭობს იმას, რაც უნდოდა ეთქვა. და ამას აკეთებს ისეთი ოსტატობით, რომ მკითხველს სულ არ აგრძნობინებს, თუ რატომ აკეთებს. ეს იმდენად აძლიერებს შთაბეჭდილების ძალას, როგორც მხატვრული აფექტის საფუძველს, რომ არასოდეს შოლოხოვის გმირები არ გვავიწყდება, არც ერთმანეთში გვერევა, როგორც ზოგიერთი მწერლის ნაწარმოების კითხვის დროს გვემართება—სულ მალე გვავიწყდება ნაწარმოებიც და მისი მოქმედი პირები. ეს შოლოხოვის მხატვრული შემოქმედების ერთ-ერთი

უაღრესად დიდი საიდუმლოებაცაა და დიდი ღირსებაც. არ დაგვაჯერა რაზმიოტნოვის გულისტკივილს, რაც ასე გულწრფელად უთხრა ანდრეიმ დავიდოვს, არც მწუხარებისაგან სმას, მარინას ჯიბრს, და ცალკე გვიჩვენა დემიდ მოლჩუნი, ახლადშერთული ცოლის ბოსტანში კეთილი ხარივით მომუშავე, ირგვლივაც ყველაფერი რომ წესრიგზე მოიყვანა, პირდაპირ დათვის ძალა გამოიჩინა, ცოლსაც აქებდა და აქებდა, მოვლას არ აკლებდა. ყველაფერ ამაზე ანდრეის ხმები მისდიო და, სევდა უძლიერდებოდა, თავისთვის ჩურჩულებდა: «Ах, Мариша! Да я, что же, не мог бы тебе сарай исправить, али погреб вырыть? Загубила ты мою молодую жизню!» (ტ. 6, გვ. 328). ამდენი მხატვრული კურსივების შემდეგ მკითხველი როგორღა შეიძლებს დაივიწყოს მარინასადმი ანდრეი რაზმიოტნოვის სიყვარული ან გათხოვებასთან დაკავშირებული გულისტკივილი? ეს არის შოლოხოვი, ყველგან და ყველაფერში უცნაური, დიდი მხატვრული ტალანტი!

ის პრინციპი მხატვრული მეთოდისა, რომელიც ზემოთ დავახასიათეთ, შოლოხოვს გამოყენებული აქვს ყველა შემთხვევაში, კერძოდ, დავიდოვისა და ნაგულნოვის მსგავსება-განსხვავების ჩვენების დროს, რამდენი ფაქტი არ მოიტანა, რამდენი ნიუანსი არ აღნიშნა, რამდენი შემთხვევა არ გვიჩვენა და ყოველივე ეს თითქოს მაინც საკმარისად არ მიიჩნია! რომანის ორი მთავარი გმირი რომ უფრო მკვეთრად განასხვავოს ერთმანეთისაგან ხასიათითა თუ შეხედულებებით, საგნებისა თუ მოვლენებისადმი დამოკიდებულებით, მწერალმა ისეთი სიტუაცია შექმნა განკულაკებულ, მრავალშვილიან გაევის ხუტორში დაბრუნებასთან დაკავშირებით, რომ ერთხელ კიდევ ხაზი გაესვა დავიდოვისა და ნაგულნოვის როგორც ხასიათების, ისე შეხედულებების არაერთგზის პოლარულობას. გაევი, უკანონოდ განკულაკებული, თავის უფლებებში აღადგინეს, ოჯახით უკან დააბრუნეს. დავიდოვმა შეიტყო თუ არა, გაევი უმალ მიიწვია, საუბარი გაუმართა, ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინა წვრილშვილიან კაცს, კოლმეურნეობაში მიღებისათვის განცხადების დაწერაზეც შეთანხმდნენ. ნაგულნოვი აღშფოთდა გაევისადმი დავიდოვის მზრუნველობით. — მაშინ დავიდოვმა გაზეთში მისცეს განცხადება, რომ ყველა გასახლებულს კოლმეურნეობის წევრად მიიღებსო, — უთხრა მოთმინებიდან გამოსულმა

ნაგულწოემა ანდრეი რაზმიოტნოვს (ტ. 6, გვ. 328). სამაგიეროდ, საშუალო გლეხს კონდრატ მაიდანიკოვს წინადადებას აძლევს — შემოდი პარტიაში, შენ ხალისით დაგიჭერ მხარს, ესკადრონში ჩემი მეთაურობით იბრძოდი, როგორც გმირი ცხენარმიელი იყავი, ისე პირველი კოლმეურნე იქნებიო. ეს იყო იმ კრებაზე, სადაც პარტიის წევრობის კანდიდატებად მიიღეს პავლო ლიუბიშკინი, რომელიც ტიტკასთან სამ წელიწადს მოჯამაგირედ მუშაობდა, ნესტორ ლოშჩინი და დემკა უშაკოვი. ნაგულნოვი თავის წინადადებას იმით ასაბუთებს, რომ სადაცაა, წუთი წუთზე მსოფლიო რევოლუცია უნდა მოხდეს, შეიძლება ისევ ერთად მოგვიწიოს ესკადრონში ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის, შენ კი უპარტიო ხარ, არ ვარგაო (ტ. 6, გვ. 329). წარმოიდგინეთ მაკარ ნაგულნოვის გაოცება, როცა მაიდანიკოვისაგან უარი მიიღო. და მერე როგორ არის ეს უარი დასაბუთებული? მაიდანიკოვი გულწრფელად ეუბნება ნაგულნოვს, რომ სინიდისი არ მაძლევს უფლებას პარტიაში შევიდე, საბჭოთა ხელისუფლებისათვის ისევ ვიბრძოლებ, თუ საჭირო გახდება, მაგრამ პარტიაში ჯერ ვერ შევალ, ვინაიდან კერძომესაკუთრული ბევრი მაქვს, ჩემი განწოგადებული ჭონება მოსვენებას არ მაძლევსო. „რაკი მე ჯერ კიდევ ვერ მოვწყდი საკუთრებას, მაშასადამე, სინიდისი ნებას არ მაძლევს პარტიაში ვიყო. მე ასე მესმისო" (ტ. 6, გვ. 329).

მაგრამ როგორ ესმის თვით მაკარ ნაგულნოვს საშუალო გლეხის, ძველი ცხენარმიელის კონდრატ მაიდანიკოვის ფსიქოლოგია? ეთანხმება, თუ ეწინააღმდეგება მის დასაბუთებულ პასუხს?

მოისმინა თუ არა მაიდანიკოვის სიტყვები, ნაგულნოვმა ასე უთხრა ფრონტელ მეგობარს: «Это ты справедливо говоришь. Трошки повремени, не вступай. Супротив всяких непорядков в колхозном хозяйстве мы будем беспощадно бороться, хомуты будут все подогнаны. А уж ежели ты спишь и во сне бывших своих быков видишь,—тогда в партию тебе нельзя. В партию надо идтить безо всяких страданий об собственности. В партию надо идтить так, чтобы был ты насквозь чистый и оперенный одной думкой: достигнуть мировой революции» (ტ. 6, გვ. 329-330).

აქ მთელი ნაგულნოვია თავისი აზრებით, ფსიქო-იდეოლოგიით, პარტიულობითა და ადამიანობით. მაგრამ აქვეა პრობლემა. რომელსაც იმ დროს ერთ-ერთი უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საკოლმეურნეო მშენებლობის ბედისათვის. ეს იყო საშუალო გლეხის, მისი საკითხის სწორად გადაწყვეტის პრობლემა, რასაც „გატეხილ ყამირში" სრულიად განსაკუთრებული ადგილი უკავია.

უფრო ახლოს მივიდეთ ამ საკითხთან.

როგორც უკვე ვთქვით, რომანში არაჩვეულებრივი დამაჯერებლობით არის ნაჩვენები საშუალო გლეხის ფსიქოლოგია, მისი კერძომესაკუთრული ინსტინქტი, შინაგანი ბრძოლა ძველსა და ახალს შორის. კლასიკური სახეა კონდრატ მაიდანიკოვი — საშუალო გლეხი, რომელსაც ჰყავს „უღელი ხარი, ცხენი, ძროხა, ცოლი და სამი შვილი (ტ. 6, გვ. 731). თვითონვე ასე ჩამოთვლის თავის ქონებას, როცა კოლმეურნეობაში შესვლის წინ კრებაზე სიტყვით გამოდის და მხარს უჭერს ახალ ცხოვრებას. მხარს უჭერს, მაგრამ საქონლის კოლმეურნეობაში გაერთიანებისას ისე ეთხოვება მას, როგორც მომაკვდავს ჰირისუფალი. შევიდა კოლმეურნეობაში, საქონელიც გააერთიანა და ღამეები არ სძინავს საქონელზე ფიქრით — მისთვის სახლ-კარი დაცარიელდა, თითქოს სულ მარტო დარჩა. ებრძვის თავის თავში კერძომესაკუთრულ ინსტინქტს, წყევლის და შეაჩვენებს, მაგრამ ვერ შორდება, მასზე ვერ იმარჯვებს. ძნელი შეიქნა სოფლელი კაცის გამოთხოვება ყოველივე იმასთან, რასაც ბავშვობიდანვე შეესისხლხორცა, შეეზარდა, რაც მთელი მისი წინანდელი ცხოვრების ბურჯი იყო, თუმცა მაიდანიკოვი გულწრფელად ესწრაფვის ახალი ცხოვრების აუცილებლობას, დიდხანია ღმერთი არა სწამს, სამაგიეროდ „სწამს კომუნისტური პარტიისა" (ტ. 6, გვ. 192). ორი წლის წინათ, როცა მოსკოვში იყო საბჭოების სრულიად რუსეთის ყრილობაზე, წითელი მოედანი ნახა, მავზოლეუმს შეხედა, ელნათურებით გაბრწყინებულმა დედაქალაქმა მოხიბლა. პირადად მაიდანიკოვს კარგი წარსული აქვს: თუ მამამისი, ჯარში ყოფნის დროს, მეფის ინტერესებისათვის ივანოვო-ვოზნესენსკის მქსოველთა გაფიცვას ახშობდა, შვილი — კონდრატი 1920 წელს ანადგურებდა თეთრპოლონელებსა და ვრანგელელებს, რათა ივანოვო-ვოზნესენსკელების მქსოველთა ხე-

ლისუფლება — საბჭოთა ხელისუფლება დაეცვა (იქვე). მაიდანიკოვი ახალი ცხოვრების ერთგულია—ეს წყეული ძველი ინსტინქტი, ტრადიციული კერძომესაკუთრული ინსტინქტი რომ არ აწუხებდეს. აწუხებს, მაგრამ ებრძვის, ებრძვის ყოველდღე, გულწრფელად სურს დაძლიოს, და შოლოხოვი ისე ანვითარებს მაიდანიკოვთან დაკავშირებულ ამბებს, რომ ჩვენც სულიერად გვამზადებს დავრწმუნდეთ საშუალო გლეხის შინაგანი ბრძოლის წარმატებაში ახალი მორალის გამარჯვებისათვის.

რაც შეეხება ღარიბ გლეხობას, მას არაფერი აქვს დასანანებელი, რაკი არაფერი გააჩნია, როგორც პაპა შჩუკარს. როცა შეიტყო, რომ ლიუბიშკინი, უშაკოვი, ლოშჩინი პარტიაში მიუღიათო, სხვებისაგანაც წაქეზებული შჩუკარი მივიდა ნაგულნოვთან და სთხოვა — მინდა პარტიაში შემოვიდე, ისიც მითხარი — რა თანამდებობას მომცემენ, ჩვენთან ხომ ყველა პარტიული თანამდებობაზეაო (ტ. 6, გვ. 330). ნაგულნოვი ჯერ მშვიდად განუმარტავს პაპა შჩუკარს, რომ პარტიაში თანამდებობისათვის არ შედიან, გარდა ამისა, შენ მორწმუნე ხარ, მღვდელს ალოცვინებ, ჭსხვერპლსაც სწირავო. შჩუკარი არ უარყოფს, რომ ავადმყოფობის, უკმაყოფილობის ან მეხის დიდი დარტყმის დროს ლოცულობს, „ნატურალურად მირბის ღმერთთან“ (ტ. 6, გვ. 331). მოთმინებიდან გამოსულმა ნაგულნოვმა, რომელსაც არ უნდოდა ეწყენინებინა შჩუკარისათვის, თავი ველარ შეიკავა და გულმოსულად უთხრა — ეშმაკთანაც წასულხარ, შენი მილება პარტიაში არ შეიძლება, ვინაიდან მორწმუნე ხარ, პარტია თანამდებობისათვის გინდა, მუშაობა კი არ შეგიძლია, შენი საქმე უბედობაა, ტყუილების მოყოლა, „წადი, ნუ ამაღელვებ, თორემ მე ნერვებაშლილი ადამიანი ვარ. ჯანმრთელობა ნებას არ მაძლევს შენთან დაშშვიდებით ვილაპარაკოო“ (ტ. 6, გვ. 331). ამით დაშორდნენ ერთმანეთს ახლო მეგობრები — ღარიბი, ენატარტალა პაპა შჩუკარი და მაკარ ნაგულნოვი. ამ უკანასკნელს უკვე კარგად ვიცნობთ, მაგრამ ვინ არის ეს პაპა შჩუკარი, რომელიც ასე უცერემონიოდ, დავაჭრულად უყურებს პარტიაში შესვლას და სარკასტულად, ირონიულად, გონებამახვილურად ელაპარაკება გრემიაჩი ლოგის პარტიული უჯრედის მდივანს, ნაომარ და ნაწამებ კაცს — მაკარ ნაგულნოვს?

რუსი კრიტიკოსები შჩუკართან დაკავშირებით იხსენიებენ კლასიკურ პერსონაჟებს — ფიგაროს, სანჩოს, ულენშპიგელს, კოლა ბრუნიონს, სიმპლიცისიმუსს, შვეიკს, — ყველას ჩამოთვლა გაგვიჭირდება. და ისინი ამ ასოციაციებში მართალნი არიან. მაგრამ სულ სხვაა შჩუკარი — კაზაკი გლეხის ტყაპუჭით მოლასლასე, ახალი დროის ახალი სვანარელი. რადა ღირს მისი დაუსრულებელი ოხუნჯობანი, ხშირად მიუნჰაუზენის ტყუილებით სავსე, ხოლო. ასევე ხშირად, დონ-კიხოტური მამაცობით დამშვენებული. სემიონ დავიდოვი გულწრფელად იცინის ჩშუკარის ყოველ ნაამბობზე, და ჩვენ ვიცით, თუ რატომ არ აწყვეტინებს იგი მოთხრობას ამ „უიღბლო მოხუცს“, რომელიც ყველას სასაცილოდ იგდებს, თუმცა პირველი თვითონაა სასაცილო. შჩუკარი გულწრფელად ენდობა სოფლის ახალკაცებს — დავიდოვს, ნაგულნოვს, რაზმიოტნოვს, მხარს უჭერს მათ ღონისძიებებს, მაგრამ დასცინის კიდეც, არ ეპუება, როცა ხედავს მათ შეცდომებს. ამის შემდეგ რაღა გასაკვირია, თუ პაპა შჩუკარი თავის მოხუც მეუღლეს ირონიით ხან ეფხვს, ხან თხას, ხან კიდევ ასპიტს ადარებს, ტროფიმს—წვერაცანცარა თხას, რომელსაც ვერ შორდება, ხან წყეულის, ხან კიდევ ქება-დიდებით იხსენიებს. რაც შეეხება ტყუილებს—შჩუკარის თუნდაც ერთი მოთხრობა—როგორ გაპარსა მეზობლის ძაღლი—მიუნჰაუზენის თავგადასავალსაც კი დააშვენებდა. ტყუილს ამბობს და იფიცებს — მართალიაო! აბა, დაიჯერეთ, რომ შჩუკარმა მეზობლის ძაღლი პარიკმახერივით რომ გაპარსა, ნახევარი ფუთი ბალანი აართვა (წინდებისათვის ჭირდებოდა), თმა დაუტოვა ძაღლს მხოლოდ ყურებზე (სილამაზისათვის)! და კუდზე — ბუზების მოსაგერიებლად. ეს კიდევ არაფერი. როცა თავისი გაპარსული, ტიტველი ხბეული წყალში დაინახა, სირცხვილის გამო ძაღლი სოფლიდან აიბარგა, სადღაც გარდაიხვეწა, და მხოლოდ მაშინ დაბრუნდა პატრონთან, როცა ახალი თმა უკვე ამოსული ჰქონდაო (ტ. 7, გვ. 214—215).

თავისი ხანგრძლივი, უსიხარულო ცხოვრების მანძილზე პაპა შჩუკარი იშვიათად თუ ძღებოდა საჭმელით, მხოლოდ სიზმარში ჭიორთმევდაო მისი აზრით გემრიელ საჭმელებს, — გვეუბნება ავტორი (ტ. 7, გვ. 240). უკვე მოხუცია და ისევ გაძღომა ენატრება. ასეთი გაძაღლებული ცხოვრების მიუხედავად, შჩუკარმა შეინარ-

ჩუნა ადამიანური სითბო, მშვენიერი სული, ხუმრობისა და ოხუნჯობის გრძნობა. რადა ღირს მისი თითოეული საუბარი ტროფიმზე (თხაზე), ცოლთან, დავიდოვთან, ნაგულნოვთან, რაზმიოტნოვთან, ყველასთან, ვისაც ხვდება და თავისი გონებამახვილობით აცინებს. ის ლაღი და თითქოს უდარდელია, მაგრამ რამდენი დარდი, ვარამი აქვს გულში, რომელსაც იშვიათად თუ გაამხელს. ეხმოსწრებული, სიმართლის პირდაპირ მთქმელი, მოესვენარი პაპა შჩუკარი არავის ეპუება, არავის ქედს არ უხრის, თუმცა მოხუც ცოლთან ხშირად იძულებული ხდება სტრატეგიის ინტერესებისათვის ტაქტიკურად უკან დაიხიოს. ნაგულნოვის „მწიგნობრობით“ გათვითცნობიერებული ცდილობს ცოლთან მაინც გამოჩნდეს ნასწავლი და არ ერიდება უადგილოდ იხმაროს სიტყვა — „აპრობაცია“, რომლის მნიშვნელობა სულ არ გაეგება. იმავე ნაგულნოვმა მოუწონა „კერძო საკუთრებაზე“ ხელის აღება, პროლეტარიატად გახდომა, მაგრამ იმასაც მიხვდა, რომ „შესაძლოა, ეს სასიამოვნოც იყოს ირიცხებოდე პროლეტარიატად“, თუმცა მშიერი კუჭით ყოფნა არა და არ სურს. თუ შრომადღეებზე ხორცი და ქონი არ მისცეს, უარს იტყვის პროლეტარიატობაზე, ისევ „წვრილი კერძო მესაკუთრე გახდება“ (ტ. 7, გვ. 235). რამდენი სიმართლე, რამდენი ირონია, რამდენი გლეხური სიბრძნეა პაპა შჩუკარის მსჯელობაში!

და რამდენად სასაცილოა მისი გატაცება ნაგულნოვის მიერ ნაჩუქარი უცხო სიტყვათა ლექსიკონით, საიდანაც მოაქვს და მოაქვს ტერმინები, სრულიად გაუგებარნი, თან კურიოზულ, არეულ-დარეულ განმარტებას აძლევს, თუმცა ყველას არწმუნებს, რასაც გეუბნებით, — ჰეშმარიტებააო! იმას კი აინუნშიაც არ აგდებს, რომ უცხო სიტყვები ერთმანეთში ერევა, „ადიულტერის“ მიახლოებით განმარტებას „ადაპტერს“ მიაწერს, „მონოპოლიას“ განმარტავს, როგორც „სამიკიტნოს“ და ესეც ცხადზე უცხადესად მიაჩნია. „აკვარელი“ პაპა შჩუკარისათვის სხვა არაფერია, თუ არ „კარგი გოგო“, ხოლო „ბორდიური“ — პირიქით, „როსკიპი დედაკაცია“. აგაფონ დუბცოვის დასაცინად, რომელმაც ცხოვრებაში სიყვარულს მთავარი მნიშვნელობა მისცა, „ანტრესოლზე“ სთქვა— „ეს არისო სწორედ შენი სიყვარული“. მოდით და გულიანად ნუ გაგეცინებათ!

საიდან მოდის პაპა შჩუკარის ასეთი უცნაური განმარტებები? დონელი სანჩო-პანჩო თვითონვე გვაძლევს თავისი ცოდნის „საფუძვლიან“ ახსნას:

«...Вы про ученые слова мои спрашивали, про словарь, а там пропечатано так: одно слово ученое пропечатано ядреными буквами, их я могу одолевать и без очков, а супротив него мелкими буковками прояснение, то есть—что это слово обозначает. Ну, многие слова я и без всяких прояснений понимаю. К примеру, что означает: «монополия»? Ясное дело—кабак. «Адаптер» означает: пустяковый человек, вообче сволочь, и больше ничего. «Акварель»—это хорошая девка, так я соображаю, а «бордюр» —вовсе даже наоборот, это не что иное, как гулящая баба, «антресоли» крутить—это и есть самая твоя любовь, Агафон, на какой ты умом малость тронулся, и таки дале» (ტ. 7, გვ. 254).

ასეთია ჩვენი საყვარელი ბრძენი გლეხკაცი—პაპა შჩუკარი, რომელიც სათვალეების უქონლობის გამო ლექსიკონს „მიხვედრით“ (по догадке) კითხულობს და რომელსაც მიუნჰაუზენივით თავგადასავლების სკივრი სავსე აქვს, სულ უცნაური ამბების მონაწილეა, როგორც, მაგალითად. ქალაქში ხელჩანთიან „ლაპაზმანთან“ შეხვედრა, ან სათვალეების შესაძენად სამშობიარო ახლსა თუ ვენერიულ სნეულებათა დისპანსერში შეცდომით მოხვედრა, სადაც თურმე „იღეთ სათვალეებს უდგამენ, რომ თვალები შუბლზე აძვრებიან“ (ტ. 7, გვ. 255).

შეუძლებელია ვუსმინოთ შჩუკარის სათავგადასავლო ამბებს, რომლებსაც ასე თვითდაჯერებულად გვიყვება, და არ გაგვიტაცოს ყოფა-ცხოვრებითი დეტალებით სავსე იუმორისტული ხასიათის მოთხრობებმა. ამ თავგადასავლების მოყოლაში სერვანტესის მხატვრული ძალა ჩანს და ცხოვრების ცოდნის ჩეხოვისებური თვალი იხედება. კლასიკურ მაგალითად დავასახელებდი შჩუკარის ღამის თევას ჯიხურში, შეუგნებლად, შეცდომით რომ აღმოჩნდა მძინარე კუპრიანოვნას გვერდით, ხოლო, როცა გაიგო—ჭალებთან ეწევარო, ჩუმად ადგა, ფეხაკრეფით გამოიპარა, მაგრამ უბედურება ეწია—გაოგნებულმა შეცდომით წამოიღო კუპრიანოვნას ცალი „ჩირიკი“. როგორ დაბრუნდეს ხუტორში ცალ ფეხზე ქალის „ჩირიკით“? და

შჩუკარჭა „მამაცური გადაწყვეტილება“ მიიღო: ორივე „ჩირიკი“ ქლატეში გადაჰყარა, თან მიაყოლა სიტყვები: „თქვენს გამო თავს ხომ არ დავიღუპავ, წყეულიც იყავითო!“ (ტ. 7, გვ. 258). ფეხშიშველად სახლში დაბრუნებულს ახალი უბედურება დახვდა: ვილაცამ ჩვილი ბავშვი მიუგდო — შენია და შენვე გაზარდეო! მთელი დღე უმტკიცებდა მოხუც მეუღლეს — არაფერ შუაში ვარო და საღამოს ძლივს დაარწმუნა. მაგრამ კვლავ ახალი უბედურება მოხდა: მეზობლის ბიჭმა, რვა წლის რომ იყო, ფლატეში იპოვა და შჩუკარს მიუტანა თავისი და კუპრიანოვას „ჩირიკები“. ახლა კი დარწმუნდა (ცხადია, შეცდომით) შჩუკარის მოხუცი ცოლი, რომ ქმარმა უღალატა, ბავშვი ნამდვილად მისია. რაც ამის შემდეგ მოხდა, „გამოუცნობი წყვდიადითაა დაფარულიო“, — გვეუბნება ავტორი შჩუკარის ახლო მეგობრის — მეწყალე ლოკატეევის სიტყვებით, თან დასძენს: „მხოლოდ ერთია ცნობილი, რომ პაპა შჩუკარი მთელი კვირის მანძილზე ლოყაშეხვეული და თვალგასიებული დადიოდა, და როცა მას ღიმილით ეკითხებოდნენ, თუ რატომ ჰქონდა შეხვეული ლოყა“, — მიზეზად ასაბელებდა ერთი — ერთადერთი შერჩენილი კბილის ისეთ ტკივილს, რომ „ლაპარაკიც შეუძლებელი იყო“ (ტ. 7. გვ. 259). ცხადია, ყველა გრძნობდა, თუ რა „კბილის ტკივილი“ ჰქონდა საყვარელ პაპა შჩუკარს.

როგორც ვხედავთ, ყველა და ყოველგვარ ვითარებაში პაპა შჩუკარი — შჩუკარია, როგორსაც ვიცნობთ რომანის პირველსავე სტრიქონებიდან — ოხუნჯი, იმედიანი, გონებამახვილი, თხრობის მოყვარული, თვითონაც დასცინის სხვას და ჩვენც გვაცინებს. როცა უხერხულ მდგომარეობაში ვარდება, გამოსავალს თავისი მოხერხებით პოულობს, ზოგჯერ გაწბილებული რჩება, მაგრამ ჩვენ ის გვიყვარს, რაც არ უნდა დაემართოს, სულ ერთია, გველი დაკბენს ნაკადულში (ტ. 7, გვ. 242), რის გამო წეროსავით ცალფეხზე დგება, თუ როცა ამბობს თავის ერთ-ერთ „ყველაზე პათეტიკურად ამაღლებულ“ სიტყვას „ყვითელსათვალეებიანი შავი ჭირის“ წყევლისას (იქვე, გვ. 244). ის დამახინჯებული ენით „ანჩიქრისტეს“ უწოდებს „ბინძურ სულს“, რომელმაც უკბინა და გაგრილების სიამოვნება გაუმწარა. მისთვის სქელი კუპრიანოვნა, რომელმაც გააძღო, პირდაპირ „კიდობანია ოქროთი“ და კატეგორიულად ამტკიცებს, რომ ერთი წლის შემ-

დეგ, უეჭველად, მიხეილ ივანეს ძე კალინინი მას მკერდზე რაიმე მედალს დაჰკიდებს. აგაფონ დუბცოვის კითხვაზე, მისი აზრით, თუ რა არის მთავარი, პაპა შჩუკარი პირდაპირ უპასუხებს: ჭამა-ყლაპვაო. დუბცოვისათვის კი მთავარი სიყვარულია. ამ პასუხზე ეცინება კუპრიანოვნას, მაგრამ ჰომერულად ხარხარებს შჩუკარი: «Да что она стоит, твоя любовь, без хорошего харча? Тьфу, и больше ничего! Не покорми тебя с недельку, так от тебя не то что Куприяновна, но и родная жена откажется»—სერიოზულად ამტკიცებს პაპა შჩუკარი, რომელსაც ეს ჭეშმარიტება წიგნებმა კი არა, პრაქტიკულმა ცხოვრებამ შეასწავლა. ჩვენ გვეცინება მის უცხო სიტყვებზე, ნაგულნოვის მიერ ნაჩუქარ ლექსიკონში არასწორად რომ ამოუკითხავს, ურთავს და ურთავს ამ სიტყვებს ნაამბობში, მაგრამ როცა ბესხლებნოვი მოითხოვს განმარტებას,—ეს რა სიტყვაა შენ რომ იხმარეო,—პაპა შჩუკარი წარბშეუხრელად აცხადებს: «—Ажитаж-то? Ну, это когда кругом тебя красата. «Жи» означает: живи, радуйся на белый свет, ни печали тебе, ни воздыханий. Это—ученое слово». მოდით და მართლაც ნუ გაგეცინებათ შჩუკარის ამ დაბეჯითებულ განმარტებაზე—ეს ხომ მას ასწავლა თვით მაკარუშკა ნაგულნოვმა (ტ. 7, გვ. 249). ვინ იცის, შჩუკარს რომ მართლაც ესწავლა ბავშვობიდანვე, მისი გონების პატრონი რა მოაზროვნე გამოვიდოდა, იქნებ მეცნიერების რომელიმე დარგსაც აღმოჩენებით დაამშვენებდა? ვინ იცის! ასეთი გონებისა და გულის კაცს, ნორმალური ცხოვრებისა და ნორმალური სწავლის პირობებში, უეჭველად შეეძლო რაღაც კარგი მიეცა საზოგადოებისათვის. ახლა კი ის კმაყოფილდება მხოლოდ იმით, რაც არის, მაგრამ კმაყოფილდება? მისი გარეგნული სახის იქით შინაგანი ტკივილებია, რასაც ის ხშირად თავისი გონებამახვილობით ანელებს. და მე მეჩვენება, რომ შჩუკარი, რომელსაც ბუნებამ სოკრატეს შუბლი არ მისცა, სამაგიეროდ არაფერი დააკლო შეუგნებლად მიახლოვებოდა სოკრატეს დაუწერელი ფილოსოფიის არაერთ ცხოვრებისეულ ნიშანსვეტს.

ვიმეორებთ: შჩუკარი ყოველთვის შჩუკარია, ერთგული თავისი ადამიანური პრინციპისა—მოურიდებლად სთქვას სიმართლე, დასცინოს იმას, რაც არ მოსწონს, რაც არასწორად მიაჩნია, მაგრამ თქვას მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი გადაკრული სიტყვებით, ჭარაგმე-

ბითა და ხალხური სიბრძნის ელვარებით. მზად არის ერთი გავიდეს ათის წინააღმდეგ, ქედი მაშინაც არ მოიხაროს, როცა გამოიჭერენ დაუჯერებელ ამბებში ან მეტისმეტად გადააჭარბებს თავის შესაძლებლობას. რამდენი სიმართლეა შჩუკარის ირონიასა თუ დაცინვაში! ის არავის ინდობს, საყვარელ ადამიანებსაც კი, თუ ისინი ცდებიან, სწორი გზით არ მიდიან, ვერ გრძნობენ საკუთარ ნაკლს. როგორ უყვარს, მოსწონს პაპა შჩუკარს მაკარ ნაგულნოვი, სემიონ დავიდოვი, მაგრამ ორივეს ელაპარაკება მოურიდებლად, ცდილობს თვალი აუხილოს, სარკეში ჩაახედოს. რა არ მოსწონს, მაგალითად, პაპა შჩუკარს ნაგულნოვში? «Уж на что терпеть ненавижу, когда мой Макарушка Нагульнов на годовые праздники, то есть на Первое мая и на седьмое ноября, начнет длинные речи про мировую революцию запузыривать и всякие непонятные слова из себя выкидывать, а и того бы я в тот момент сутки напролет слушал бы, как соловья в саду или кочетинное пение в полуночный час. А что вы думаете, граждане, об этом кочетином пении? Это, братцы мой, не хуже, чем в церкви, когда поют «со святыми упокой» или еще какую-нибудь трогательную хреновину»... (ტ. 7, გვ. 250).

აქ მთელი შჩუკარია მისთვის დამახასიათებელი სულიერი ნიუანსებით, იუმორითა და გონებამახვილობით. რა არ დააწია ნაგულნოვსა და დავიდოვს პარტიაში კონდრატ მაიდანიკოვის მიღებისას. თითქმის მთელი კრება წინ აღუდგა, მაგრამ პაპა შჩუკარმა არავის წინაშე ქედი არ მოიხარა, მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა არამარტო მაიდანიკოვი, რომელსაც ბრალდება წაუყენა—კერძომესაკუთრული ინსტინქტები გაქვს და პარტიაში რა გინდათ, არამედ, დავიდოვი, ნაგულნოვი, კრების თითქმის ყველა მონაწილე. მიუხედავად ამ უკანასკნელთა, აგრეთვე რაზმიოტნოვის დადებითი დახასიათებისა, რომ მაიდანიკოვი ერთგული კოლმეურნეა, სხვებისათვის მაგალითი, სავსებით ღირსია მიღებულ იქნას პარტიაში, პაპა შჩუკარი მაინც თავისას გაიძახის, სრულ აცილებას აძლევს, უკიდურეს პრინციპულობას იჩენს, ჩვენსავით ცოდვილია, ანგელოსად რატომ ვსახავთო. „შენ გეშლება, პაპავ, როგორც ყოველთვის!—უსწორებს ნაგულნოვი,—ჩვენ მას სამოთხეში კი არ ვღებულობთ, არამედ პარტიაში“ (ტ. 7, გვ. 287).

ეს ჯერ კიდევ მეგობრული, მაგრამ სერიოზული გაფრთხილება იყო. და რა სწორად შენიშნავს ავტორი: „მაგრამ ისეთი როდი იყო პაპა შჩუკარი, რომ ერთი რეპლიკით შესაძლებელი გამხდარიყო მისი დაწუნარება ან დარცხვენა“ (იქვე). პირიქით, შეტევაზე ახალი ძალით გადავიდა, ნაგულნოვს ბრალდება წაუყენა — პირში ჩალას მჩრი, ლაპარაკის ნებას არ მაძლევ. როგორც დავიდოვი მიშვება ხოლმე, ეს რა ღიმ პარტიული კრებაა, კრიტიკას და თვითკრიტიკას ახშობო. შექმნილ ვითარებაში, როცა შჩუკარის დაუსრულებელმა ლაპარაკმა კრება თითქმის ჩაშლამდე მიიყვანა, ნაგულნოვმა გულისტკივილით წაუჩურჩულა დავიდოვს: „როგორ ვერ მოისაზრე სადმე გაგეგზავნა იგი დღეს!“ კრებას ჩაგვიშლისო! დავიდოვმა ადრეც იგრძნო უხერხულობა, ნაგულნოვის ამ შენიშვნამდე გააფრთხილა შჩუკარი: „აქ... მხიარული სპექტაკლი კი არა გვაქვს, არამედ, პარტიული კრებაა, ფაქტია!.. თქვენ ილაპარაკებთ საკითხის არსებაზე, პაპავ, თუ კვლავ გააგრძელებთ ლაზღანდარობას?“ (ტ. 7, გვ. 288). ეს იყო დავიდოვის პირველი მკაცრი მიმართვა შჩუკარისადმი, „მომაკვდინებელი თავაზიანობით“ ნათქვამი სიტყვები, მაგრამ პაპა არაფერმა არ დააწუნარა. მან კვლავ გააგრძელა გამოსვლები არამარტო მაიდანიკოვის, არამედ, საყვარელი ადამიანების — დავიდოვის, ნაგულნოვის, რაზმიოტნოვის წინააღმდეგ. ასეთია პაპა შჩუკარი, შეუპოვარი და ლაზღანდარა, ხუმარა და ოხუნჯი, მოუთმენელი და პრინციპული.

არის კიდევ ერთი თვისება, რომელიც შჩუკარს ახასიათებს: ზოგჯერ თვითდაჯერებული და თავის თავზე დიდი წარმოდგენისაა, თითქოს სოკრატეს ფილოსოფიის ამოსავალი პრინციპი განეხორციელებინოს — თავისი თავი შეეცნოს! პარტიაში მაიდანიკოვის მიღების დროს, როცა „სურიეზული“ ადამიანების წინააღმდეგ ილაშქრებს (ამ სიტყვაში იმ უფრო მეტად მოწყენილ, ნაკლებად მოლაპარაკე, თავის თავში ჩაკეტილ ადამიანებს გულისხმობს), პაპა შჩუკარი პირდაპირ ამბობს: მძულს, ვერ ვითმენ „სურიეზულ“ ადამიანებს, ხოლო პარტიაში მით უფრო არ შემიძლია მათი ატანა. მაშინ დემიდ მოლჩუნს რატომ არ ღებულობთ პარტიაში? „მასზე უფრო სურიეზული კაცი მე ცხოვრებაში არ მინახავსო!“ (ტ. 7, გვ. 293) თურმე ასეთ „სერიეზულ“ ადამიანებს პარტიაში სასიკვ-

დილო სევდა და მოწყენილობა შეაქვთ. საჭიროა პარტიაში მივიღოთ,“ — ამბობს პაპა შჩუკარი, — „მხიარული, სიცოცხლით სავსე ადამიანები, ისეთნი, როგორიც მე ვარო“ (იქვე).

ეს კი მეტისმეტი იყო, განსაკუთრებით ნაგულნოვის გამოცხადება „სურიეზულ“ კაცად, რამაც ამ უკანასკნელის დამუქრება გამოიწვია, მაგრამ როდი შეაჩერა შჩუკარის „ორატორული საღერღელი“. ვარკას, რომელმაც მაიდანიკოვს ქება უძღვნა, „კაჭკაჭი“ უწოდა, თან დასძინა: „ისეთ ბრძენ მოხუცებს, როგორიც მე ვარ, პკუას ასწავლის... კვერცხმა ქათმის სწავლება დაიწყოო“ (ტ. 7, გვ. 295). თვითდაჯერებულობა და საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა მგონი უკეთეს ფაქტებს ვერ იპოვიდა. მასწავლებელმა შპინიამაც — სწავლულმა კაცმა ვერ მოხიბლა, როცა უთხრა: „ყველა დიდი ადამიანი დევნას განიცდიდა თავისი აზრებისათვის, შენც მოითმინეო, პაპავ!“ (ტ. 7, გვ. 213). არა, შჩუკარი ვერ მოითმენს, შპინია კი «хлисст он. а не учитель».

მაგრამ პაპა შჩუკარს ერთი თვისებაც აშკარად გააჩნია: არასოდეს მალავს საკუთარ ნაკლს, ყოველთვის გამოაჩენს ხოლმე, როგორც ეს ძლიერ სულს ახასიათებს. ის ამბობს, რომ პარტიაში ამდენხანს უეჭველად შევიდოდა, მაგრამ თავისი თავი ამის ღირსად არ მიაჩნია, რაკი მორწმუნეა, სამგზის წყეული „ლერიგიით“ არის დაავადებული, ლოცულობს იესო ქრისტესა და ქალწულ მარიას, წმინდანებს, ერთი სიტყვით, „ლერიგიული“ კაცია. ფიქრობს: ვინ იცის რას განიზრახავს ილია წინასწარმეტყველი!

ზეცაში რომ ჰექა-ქუხილი ატყდება, ბუნების ამ ულმობელი სტიქიონით შეშინებული შჩუკარი ჩურჩულით ამბობს: „ღმერთო, შემიწყალე მე, ცოდვილი“. ახლაც, კრებაზე ტირადას რომ არაკრაკებდა, ახსენა თუ არა წმინდანები, კინალამ პირჯვარი გადაიწერა, მაგრამ მიხვდა — უხერხული იქნებოდა, შუბლთან მიტანილი ხელი ძირს დაუშვა და სიტყვა ისევ გააგრძელა. კომუნიზმზე დაიწყო ლაპარაკი, „ტკბილ ცხოვრებას“ მინდა შევესწრო, მაგრამ ცრემლით დასველებულ მაიდანიკოვის მსგავსად კი არა, ცეკვახტუნვით, მხიარულად, იმიტომ, რომ „მე — წმინდა პროლეტარი ვარ, და არა წერილი მესაკუთრეო“ (ტ. 7, გვ. 297). პროლეტარს კი, სადღაც წაუკითხავს, ბორკილების მეტი დასაკარგავი არაფერი

აქვს. შჩუკარსაც ხომ ძველი ბორკილების მეტი არაფერი გააჩნია. ჰყავს კიდევ მოხუცი ცოლი, რომელიც „ყოველგვარ ბორკილებსა და კატორღულ ხუნდებზე უარესია“, თუმცა სრულებით არ სურს მისი დატოვება, „დაე იცხოვროს ჩემთან, ღმერთი იყოს მისი შემწე, მაგრამ თუ იგი წინააღმდეგობას გამიწევს მე და კომუნიზმისაკენ ჩემს პირდაპირ გზას გარდიგარდმო გადაეღობება, მაშინ მისივე ახლოს თვალებს ისე დავუხამხამებ, რომ ვაის წამოძახებასაც ვერ მოასწრებს. ამაში უკვე თქვენ დამშვიდებული ბრძანდებოდეთო!“ ეს თქვა თუ არა, შჩუკარმა შესტოპა და შეჰტოპა ტრაპაზში, საკუთარი თავის ქებით იმდენად შორს წავიდა, რომ მოთმინებიდან გამოსულმა ნაგულნოვმა გადაჭრით უთხრა: „პაპავ, დაამთავრე, სიტყვას გართმევო“. მაინც არ დაამთავრა, ნაგულნოვსაც ერთხელ კიდევ დასცინა — მაგიდაზე ხელს ნუ ურტყამ, ხელისგული ბოგძვრებაო. და ყველასათვის მოულოდნელად, პაპა შჩუკარმა, რომელიც მაიდანიკოვის წინააღმდეგ ცეცხლს ანთებდა, განაცხადა: „...კონდრატე აუცილებლად უნდა იყოს ჩვენს პარტიაში, ამას მე თქვენ კატეგორიულად გიცხადებთ. ერთი სიტყვით, კონდრატუშკა საჭიბებით ღირსეულია პარტიული იყოს. აი მთელი ჩემი ნათქვამიო!“ (ტ. 7, გვ. 297).

„—დაიწყე განსვენებით და დაამთავრე სადღეგრძელოთი?“ — ჰკითხა რაზმიოტნოვმა, და ის მართალი იყო. მთელი სიტყვის მანძილზე შჩუკარი მიწასთან ასწორებდა, მარხავდა კონდრატ მაიდანიკოვს, ახლა კი, სულბოლოს, ქება-დიდება უთხრა.

რა მოხდა?

პაპა შჩუკარმა თავისი საქმე გააკეთა. თვალი აუხილა მაიდანიკოვს, შეაცნობინა მისი წვრილმესაკუთრული ბუნება, როგორც უარყოფითი, გააკრიტიკა მწვავედ, თუმცა კარგად იცოდა, რომ ჭკვიან, დინჯ, შრომისმოყვარე და ენერგიულ კონდრატს უარს ვერ ეტყოდნენ, პარტიაში აუცილებლად მიიღებდნენ. ამიტომ იყო პაპა შჩუკარი ასე დიდად კმაყოფილი თავისი სიტყვით, ამიტომ ჰკითხა ანტიპ გრაჩს: «Здорово я... это самое... критикнул?“ გრაჩიმ არ დააყოვნა პასუხის მაგიერ რჩევა მიეცა: არტისტობა დაიწყეო. შჩუკარი დაინტერესდება, თუ როგორ ცხოვრობენ არტისტები, რა შემოსავალი აქვთ, კინალამ გადაწყვიტა მათ ამჭარში წასულიყო,

მაგრამ ბოლოს მაინც გამოერკვა, ხელი ჩაიქნია: „წყეულიც იყვნენ ისინი, ეს იოლი შემოსავლები! თუმცა არც ისე იოლნი არიან ისინი, თუ სერიეზულად ვიფიქრებთო!“ (ტ. 7, გვ. 302). შემდეგ კი სიამაყით განაცხადა: რა გაეხარდება ჩემს ცოლს, როცა ვეტყვი, რომ მისი გულისათვის არტისტობაზე ხელი ავიღეო.

ამ დროს იწყება სასაცილო-სამწუხარო სცენა: ნაგულნოეს, როცა დარწმუნდა პაპას არაფერი ეშველება, სიტყვას ისე აგრძელებს, ვერ დაამთავრებსო, ნახევარი საათის წინ ბიჭი გაუგზავნია, შჩუკარის ცოლი გამოუძახებია — რა მიზეზითაც გინდა შენი ქმარი შინ წაიყვანეო. მოვიდა ეს ახმახი, ჩაფსკვნილი დედაკაცი და ჩვენი ორატორი, კრებიდან გარეთ გამოსულ ანტიპ გრაჩთან ერთად, ისეთ მდგომარეობაში ჩააყენა, როგორც კურდღელია მახრჩობელა გველის წინ. „პაპა შჩუკარი, —წერს ავტორი,— მიწაზე მჯდომი, თითქოს მოჯადოებული, შეჰყურებდა ცოლს ქვევიდან ზევით, როგორც კურდღელი მახრჩობელა გველს“ (ტ. 7, გვ. 303). უკეთესად ვერავინ დაახასიათებდა ამ მდგომარეობაში ჩავარდნილ შჩუკარს. მისი სუსტი წინააღმდეგობა — „და აი არ წამოვალ! არავითარი უფლება არა გაქვს ხმა წამაძრთვა. ეს შენ ძველი რეჟიმი ხომ არ გგონიაო“, — მალე შეწყდა, როცა ერთი თავით მაღალმა და ორჯერ შეტი წონის ცოლმა მბრძანებლურად ხელი დაავლო, ბავშვივით წამოაყენა ფეხზე და ხელჩაკიდებული შინ წაიყვანა. ამ სურათის მაყურებელს — ანტიპ გრაჩს უხმოდ გაეცინა, და ის მართალი იყო, როცა ხთქვა: ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ მოხუცი გარდაიცვლება და „უმისოდ ხუტორში მოწყენა დაისადგურებსო“ (გვ. 304). გრაჩის ამ სიტყვებს ყველა გრემიაჩილოგელი უეჭველად დაეთანხმებოდა.

გრემიაჩი ლოგში კი ცხოვრება მშვიდად როდი მიმდინარეობდა. დავუბრუნდეთ იმ დროს, როცა ბეღლიდან პური გაიტაცეს და არეულობის მოთავენი დააპატიმრეს. დიდი ხანი არ იყო გასული, ხუტორში ცნობა მოვიდა — სახალხო სასამართლოს მიერ დასჯილი ეფიმ ტრუბაჩოვი და ბატალშჩიკოვი იწერებოდნენ — დიმოკი გზიდან გაქცევისას ტყის ახლო ბუჩქებთან მოჰკლესო. «Кроме тетки, некому было горевать о безродном парне, а девки, обучение

Дымком несложному искусству любви, если и погоревали, то недолго»... (ტ. 6, გვ. 331).

ასეთი ამბები ხდება გრემიაჩი ლოგში, რომელიც ბრძოლით, შინაგანი ძალების დაძაბვით ახალ ცხოვრებას აშენებს. ჩვენ გავეცანით, თუ როგორ მიაღწია ხუტორში მდგომარეობის გართულებამ კულმინაციურ წერტილს, როცა ბანიკისა და იაკობ ლუკიჩის, მისი თანამოაზრეების წაქეზებით ქალებმა, მოხუცებმა ელემენტებთან ერთად, არევ-დარევა გამოიწვიეს, სოფლის საბჭოს თავმჯდომარე კომუნისტი ანდრეი რაზმიოტნოვი, ცემის შემდეგ, დასისხლიანებული შეიპყრეს, დავიდოვსაც არანაკლები დღე დააყენეს, ნაგულნოვი კი იმ დროს რაიკომის ბიუროს გარიცხა პარტიიდან ადმინისტრირების, „მემარცხენე“ გადახრების, აგრეთვე ბანიკის ფიზიკური დასჯისათვის. ხუტორი, თავის ახლახან დაარსებული, ფეხზე ძლივს მდგომი კოლმეურნეობით თითქმის ხელმძღვანელების გარეშე დარჩა. ოსტროვნოვისა და ბანიკის პროვოკაციული მოქმედებით აშლილი ქალები, კაცების დახმარებით, არევ-დარევას იწვევენ, ბეღლებიდან სახელმწიფო პურს იტაცებენ, ერთი სიტყვით, კატასტროფა ხდება. პარტიიდან გარიცხული, რაიკომიდან დაბრუნებული ნაგულნოვი, რომელსაც ფიქრმა გაუელვა ამხანაგებს დავემშვიდობები და შემდეგ თავს მოვიკლავო, სოფელში შექმნილი მძიმე ვითარების გამოსასწორებლად ზომებს ღებულობს, აქტიური კოლმეურნეების, მილიციის დახმარებით წესრიგი საღამოსათვის აღსდგება, მეორე დღეს კი დავიდოვი, ერთი დღის პატიმრობიდან გათავისუფლებულ რაზმიოტნოვთან და ნაგულნოვთან ერთად სოფლის კრებას ატარებს, სადაც შესანიშნავი, ბრწყინვალე სიტყვით ვამოდის. ამ სიტყვით დავიდოვმა სოფელი ფეხზე დააყენა. ჩვენ ეს ყველაფერი დაწვრილებით გავიცანით, მაგრამ გავიხსენოთ უფრო ადრე მომხდარი ფაქტები, რომლებმაც ყველაფერი ბეწვის სასწორზე შეაგდეს და აღსასრული თითქმის გარდუვალი იყო.

სწორედ ამ დროს, ყველაზე დაძაბულ მომენტში, როცა სოფლად წინააღმდეგობანი უკიდურესად გამწვავდა, შეიძლებოდა კოოპერირებას არამარტო სახელი გატეხოდა, უფრო მძიმე შედეგებიც გამოეწვია, — დაიბეჭდა. სტალინის ცნობილი წერილი — „თავ-

ბრუდახვევა წარმატებებისაგან“, რომელიც პრესის ყველა ორგანომ გამოაქვეყნა. ეს იყო 1930 წლის 2 მარტს, და რომ იტყვიან— სულზე მოუსწროო— ისეთი მნიშვნელობა მიეცა ამ ნამდვილად ისტორიულ დოკუმენტს საკოლმეურნეო მშენებლობისათვის. ახალი სოფლის ეს გადამწყვეტი მომენტი, ეს შეურიგებელი ბრძოლა ძველთან, სოციალური ჰიდილი, შეცდომები, მიღწევები, ტკივილები და შემობრუნების უთვალავი დეტალები არავის ისე მხატვრულად, დამაჯერებლად, მთელი სისავსით არ უჩვენებია ლიტერატურაში, როგორც შოლოხოვს. მისმა „გატეხილმა ყამირმა“ უდიდესი მხატვრული სიმართლით ცხადჰყო, რომ სტალინის წერილმა პირდაპირ გადატრიალება მოახდინა იმდროინდელი სოფლის მოქმედი ძალების ფსიქიკაში, თავიდანვე კეთილისმყოფელი გავლენა იქონია საქმის მთელ მსვლელობაზე, ნათლად გამოააშკარავა ადგილებზე დაშვებული შეცდომები. დამახინჯებანი, გენერალური ხაზიდან გადახვევები, ცხადჰყო, რომ „მემარცხენეები“ არსებითად მემარჯვენეების წისქვილს აბრუნებდნენ, „კონტრას“ კი შეეძლო ყოველივე ეს თავისი ბნელი ზრახვებისათვის გამოეყენებინა, წერილის შემდეგ დავიდოვისათვის საკმაოდ ნათელი შეიქნა დაშვებული შეცდომები, ვერ შეიგნო მხოლოდ ნაგულნოვმა. „მემარცხენეობის“, პარტიზანშჩინის, ადმინისტრირების ნერვები ძალას ჯერ კიდევ ძლიერი ჰქონდა და ის მართალი იყო, როცა ამბობდა, რომ წერილი „ტყვიასავით მოხვდა“ გულში (ტ. 6, გვ. 22₁). რომანის პირველი წიგნის XXVII, XXVIII, XXIX და XXX თავები არაჩვეულებრივი სიმძაფრით, დიდი მხატვრული დამაჯერებლობით გვიჩვენებენ ყოველივე ამას, კერძოდ, თუ როგორ ჩაიფუშა პოლოვცევ-ოსტროვნოვის ცდა — ხუტორ ეოისკოეოიში მოსახლეობა გამოეყვანათ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, თუ როგორ აუხდილა თვალი საშუალო გლეხობას ორი მარტის გაზეთმა, როგორ გაძევა ბანდის მეთაურები შუაღამით საიდუმლო კრებაზე შეკრებილმა ოცმა ხუტორელმა (ტ. 6, გვ. 212—218). „დონის განთავისუფლების კავშირის“ მიერ დაგეგმილი აჯანყება, რომელიც მარტის პირველ რიცხვებში უნდა დაწყებულიყო, ჩაიფუშა როგორც უაზრო, დამღუპველი ავანტიურა, ხოლო მისი უშუალო ხელმძღვანელები გრემიაჩი ლოგში — ესაული ალექსანდრე ანისი-

მოვიჩ პოლოვცევი და პოდპოლკოვნიკი, ლოთი ვაცლავ ავგუსტოვიჩ ლიატიევსკი — იძულებული გახდნენ ხუტორიდან სასწრაფოდ გაქცეულიყვნენ. ეს აბარგება ისეთი კონსპირაციით მოხდა, რომ მასპინძლის — იაკობ კუზმიჩ ოსტროვნოვის შეკითხვაზე — საით მიდიხართო — პოლოვცევმა უპასუხა: შენი საქმე არ არის, „არა, ამის თქმა შენთვის არ შემიძლია. ისე კი სამი კვირის შემდეგ მელოდეო“ (ტ. 6, გვ. 219).

ჩვენც დაველოდოთ, მანამდე ხომ ბევრი რამ მოხდება გრემიაჩი ლოგში, სადაც კლასობრივი ბრძოლაა გაჩაღებული, ახალი ცხოვრება შეუპოვრად იბრძვის თავისი უფლებებისათვის, ძველი კი თაეს იცავს, ათასგვარ ოინს მიმართავს, ფარულად, მიპარვით ცდილობს შეაჩეროს ისტორიის ულმობელი კანონზომიერებით დაწყებული პროცესი.

მთელი ეს ბრძოლა, ეს პროცესი შოლოხოვმა ფართო პანორამის სახით მხატვრულად წარმოგვიდგინა, დიდი დამაჯერებლობით გვიჩვენა, რომ ახალ სოფელს, მტრებთან და მოწინააღმდეგეებთან ერთად, ბევრი ერთგული ადამიანი ჰყავს, მათ შორის მჭედელი იპოლიტ შალი, რომელიც დღე-ღამეს ასწორებს, მეურნეობის დაზიანებულ ინვენტარს მწყობრში აყენებს. წარჩინებულ მჭედელს, ნამდვილად თავდადებული შრომისათვის, დავიდოვი სოფლის კრებაზე აჯილდოებს, უსურვებს წარმატებას, აქებს და ადიდებს, სხვებსაც მოუწოდებს— შალის მიბაძონ. მთელი ეს ცერემონიალი შოლოხოვმა დიდი დამაჯერებლობით, კოლორიტული შტრიხებით გადმოგვცა. რადა ღირს თუნდაც შალის გაუბედავი, მოკრძალებული, ფრაგმენტული სიტყვა და მუსიკალური აპოთეოზი, რომელსაც მხოლოდ ორი ბალალაიკისა და ერთი ვიოლონჩელოსაგან შემდგარი „ორკესტრი“ ასრულებს (ტ. 6, გვ. 206).

კოლორიტულია შალის სამჭედლოს აღწერაც, შრომის პროცესის ჩვენება, ხოლო, თუ რამდენად ცხოვრებისეულია ყოველივე ეს, შეგვიძლია იმ ცნობითაც კარგად დავინახოთ, რომელიც კრიტიკოს ვოლპეს თავის შენიშვნებში მოჰყავს კოტას წერილიდან. შოლოხოვი ერთხანს თურმე არამარტო ესტუმრებოდა სტანიცელ მჭედელს დიმიტრი კრამსკოვს, არამარტო მეგობრობდა მასთან, ზოგჯერ წაეშველებოდა კიდეც მუშაობაში. და ვინ იცისო, — შე-

ნიშნავს კოტა, — იქნებ ძველი მჭედელი დიმიტრი კრამსკოვი შალის პროტოტიპიაო (ტ. 7, გვ. 395). საეჭვო აქ არაფერია, ისევე, როგორც იმ ცნობაში, თუ წინასწარ როგორ აზუსტებდა შოლოხოვი ყოველ სიტყვას, როცა დავიდოვისათვის ლენინგრადიდან გამოგზავნილ საჭეინკლო ინსტრუმენტებს ჩამოთვლიდა (ტ. 6, გვ. 360). შოლოხოვი სულ ხალხში იყო, მასში ტრიალებდა, ყველაფერს უშუალოდ ცხოვრებიდან სწავლობდა, რამაც მის დიდ ნიჭს შეაძლებინა თითქოსდა უმნიშვნელო წვრილმანებისათვისაც კი ჟღერადობა მიეცა.

როგორც ვხედავთ, მართლაც შესანიშნავი სახეა მჭედელი იპოლიტ სიდოროვიჩ შალი, ცხოვრებაში გამობრძმედილი, დინჯი, ჭკვიანი, ნათელი გონების ადამიანი. რა არ უნახავს, რა არ გამოუცდია, მაგრამ დარჩა პროლეტარული სულით, ადამიანური სინიდისითა და მორალით სავსე. დავიდოვი შემთხვევით არ შეჰყავს მწერალს შალის სამჭედლოში. ბევრი რამ სურს გაგვაგებინოს მისგან სემიონ დავიდოვის შესახებ, რომელმაც იგრძნო, რომ ავტორიტეტი როგორღაც ელახება ლუშკასთან დამოკიდებულებისა და ბრიგადებში ხშირი სიარულის გამო. არის კიდევ რაღაც საეჭვო თვით დავიდოვისათვის, მაგრამ ბოლომდე შეუცნობელი. რაც მის გარშემო ხალხში ხდება, მწერალი ყველაზე უტყუარად, ყველაზე სანდოდ და ნათლად ჭკვიანი შალისაგან გვატყობინებს. ეს გრძელი დიალოგი რომანის მეორე წიგნის მეათე თავში ბოლომდე ღირს. შალი თავის შენიშვნებს დავიდოვზე შორიდან იწყებს. შარშან შეუსახლეს „ზაგოტჟივსირიოს“ რაიონული განყოფილების გამგე, ქედმაღალი კაცი, რომელსაც დამცირებად მიაჩნდა შალისა და მის მეუღლესთან საუბარი. როცა იპოლიტ სიდოროვიჩი რაიმეს შეეკითხებოდა, მისი პასუხი მოკლე იყო: „შენი საქმე არ არის, მოხუცო“ (ტ. 7, გვ. 132). თავის თავზე კი ამბობდა: „მე პასუხისმგებელი პირი ვარო“. და ამ „პასუხისმგებელ პირს“ მჭედელმა შალიმ ერთხელ შესანიშნავი პასუხი გასცა: მე „ხელთა მაქვს რკინის საქმე, შენ კი ტყავისა, რომელია ჩვენს შორის უფრო მნიშვნელოვანი საქმით?“ (იქვე). ასეთ მობინადრეს ვინ იგუებდა, შალიმაც სახლიდან გააგდო, ის კი ისე წავიდა, „მადლობაც არ უთქვამს პურმარილისათვის პასუხისმგებელ ძაღლისშვილს“. ასე ამბობს იპოლიტ სიდოროვიჩი, მოურიდებელი, როცა ეს სა-

ჭიროა, და ტაქტის მქონე, ვინც ამას იმსახურებს. დავიდოვსაც პატივისცემით ეპყრობა, ტაქტს არასოდეს ღალატობს, მაგრამ საჭიროების დროს მოურიდებლობასაც იჩენს.

რა შორიდან იწყებს მოხუცი შალი ახალგაზრდა დავიდოვის კრიტიკას. სურს არავინ მოისმინოს მისი სიტყვები, გარდა დავიდოვისა, ამიტომ სამჭედლოში დაბნმარე ბიჭს, რომელსაც გადაეშუვიტა მათი საუბარი ფარულად მოესმინა, გარეთ გააგდებს, თან მიაძახებს — „გოჭის შვილოო“ (Поросячий сын). ამის შემდეგ შალი ცდილობს თვალი აუხილოს დავიდოვს შეცდომებზე, რასაც ყველა გრძნობს და ყველა ხედავს, თვითონ კი ვერ ამჩნევს. ის ბრალს დებს დავიდოვს — კონტრას მხრივ საბიშროებას ვერ ხედავ (ტ. 7, გვ. 137), ხოპროვების დახოცვაში იაკობ ლუკიჩს ხელი აქვს გასვრილი — შენ არ გჯერა, გამომძიებელივით ფაქტებს მოითხოვ (იქვე, გვ. 143), კარგი ბიჭი ხარ, მშვიდობიანი, არ სვამ, მაგრამ ქათამივით სიბეცეს იჩენ ლუშკასთან დამოკიდებულებაში, რის შესახებაც მთელი ხუტორი ლაპარაკობსო (იქვე). ამ საქმეში ისე შეტოპე, უკვე ძირს ეცემი, კვდები, არა სიყვარულის, არამედ, სინდისის ქენჯნითო. თვალები დაბრმაცებული გაქვს, ვინმე ქალიშვილი ან, ვთქვათ, ქვრივი რომ ცოლად შეგერთო, — ვერავინ კერაფერს იტყოდაო (ტ. 7, გვ. 144).

მკითხველი გრძნობს, რომ შალი მართალია, დავიდოვი კი არ ეთანხმება, ჯიუტად მოითხოვს ფაქტებს ოსტროვნოვის მხილებისათვის, ჰგონია, რომ იაკობ ლუკიჩმა რაკი გაანაწყენა შალი, ეს უკანასკნელი ამიტომ „ცილს სწამებს“ მას. ამ სამი კრიტიკული შენიშვნიდან, დავიდოვი უეჭველად გრძნობს მხოლოდ ერთის საფუძვლიანობას — ლუშკასთან დამოკიდებულებას, თუმცა იპოლიტ სიდოროვიჩს არც ამას ეუბნება. მაგრამ ნათქვამმა ის ღრმად ჩააფიქრა და სურდა მარტო დარჩენილიყო. იძულებული გახდა მიეღო შალის წინადადება — წასულიყვნენ სახლში, ცივი რძე დაელიათ და ხოპროვების მკვლელობაზე საუბარიც იქ დაემთავრებინათ.

შოლოხოვი ღრმად სწვდება დავიდოვის სულიერ მღელვარებას აქაც, როცა შალის სახლში მიდიან. რადა ღირს ეს თითქოს უმნიშვნელო პასაჟი:

„ჩუმად ყოფილიყო მთელ გზაზე დავიდოვმა უხერხულად ჩასთვალა და ამიტომ ჰკითხა:

— როგორი ოჯახი გაქვთ, სიდოროვიჩ?

— მე და ჩემი ყრუ მოხუცი დედაკაცი, აი ჩემი მთელი ოჯახიც.

— ბავშვები არ გყავდათ?“ (ტ. 7, გვ. 145).

როგორ არა, ორი ბავშვი ადრე გარდაცვლიათ, მესამე კი მკვდარი დაბადებულა. არ გაუმართლა ცხოვრებამ. შემდეგ აღარ შეძენიათ. მაგრამ შალი სხვის ობლებს ზრდიდა, მშვდლობას აბწავლიდა, ბავშვები უყვარდა, ცხოვრებამ ვერ გატეხა, ვერც მემამულე სელივანოვმა შეიძლო მისთვის შეურაცხყოფა მიეყენებინა, როცა „სიცილისტი“ უწოდა — შენ თვითონ ხარ სიცილისტიო, — მიახალა შალიმ (მაშინ არ იცოდა რას ნიშნავდა ეს სიტყვა, რევოლუცია იცოდა, მაგრამ „სიცილისტი“ რაღაც დიდი გინება ეგონა, ოურმე „სოციალისტი“ ყოფილა, გვიან გაიგო). ამაზე დავიდოვმა ბევრი იცინა, გულიანად იხარხარა (ტ. 7, გვ. 139—142). და აქ, საკუთარ სახლში, შალიმ პირველად გაუმჟღავნა საიდუმლო ფაქტების მთხოვნელ დავიდოვს, თუ რატომ ეჭვობს, რომ ხოპროვების მხეცურად დახოცვაში უეჭველად იაკობ კუზმიჩ ოსტროვნოვის ხელი ურევია. თოვლზე მის ქუსლების კვალი იცნო. ასეთი კვალი მხოლოდ ოსტროვნოვს შეეძლო დაეტოვებინა, მაშასადამე, მკვლელობის დროს იქ იყო, რაკი მეორე დღეს შალის ცბიერად უთხრა — ხოპროვები დახოცვის შემდეგ არ მინახავს. სუსტი გული მაქვს, მიცვალებულების, განსაკუთრებით მოკლულების ნახვა არ შემიძლიაო. თუ მეორე დღეს არ უნახავს, ეს იმას ნიშნავს, რომ წინა დღეს, მკვლელობის ღამეს, იქ იყო. დავიდოვის გულმოსულ შეკითხვაზე, თუ რატომ არ გაუმჟღავნა მილიციას პირველ დღესვე ამის შესახებ, შალი ასეთ პასუხს იძლევა: შევშინდი, ეს ცოდვა მაქვს, მაგრამ ოსტროვნოვთან საქმის დაკავება — საშიშია, ბოროტი კაცია, შურისმაძიებელიაო. ათი წლის წინათ ანტიპ გრაჩმა აწყენინა, ერთი თვის შემდეგ კი, ღამით მის სახლს ხანძარი გაუჩნდა. შალის ჭრელად არ ეეჭვება, რომ ოსტროვნოვი ხოპროვების დახოცვის მონაწილეა. მხილება ახლაც არ არის გვიან (ტ. 7, გვ. 148).

დამთავრდა თუ არა ეს საუბარი, დავიდოვმა აქ კი მადლობა

უთხრა შალის, გულწრფელად აღიარა, რომ ბევრ რამეში ის მართალია. „—რაც შემეხება მე, სიდოროვიჩ, რაც შეეხება ჩემს მუშაობას, შენ ბევრი მართალი სთქვი, და ამისათვის მადლობელი ვარ. ჩემი მუშაობა მე უნდა გარდავქმნა, ფაქტია“ (ტ. 7, გვ. 149). ეს სიტყვა — „ფაქტია“ ძალიან უყვარს დავიდოვს, თითქმის ყოველ ფრაზაში იყენებს, და მწერალი ისე ოსტატურად აკეთებს ამას, რომ თავის გმირს ბოლომდე დამთავრებულ კოლორიტულობას აძლევს.

დავიდოვი თხოვს შალის საიდუმლოდ შეინახოს რაც ითქვა, ვინაიდან დროა საჭირო ოსტროვნოვის გამოსამეღავნებლად.

გამომშვიდობების დროს კიდევ ერთი სერიოზული ამბავი მოხდა.

მაგრამ ვიდრე ამ ამბავს შევეხებოდეთ, საჭიროა შემდეგი ითქვას: ლუშკამ ყველა ღონე იხმარა ისეთი ზემოქმედება მოეხდინა დავიდოვზე, რომ ეს უკანასკნელი საბოლოოდ ხელში ჩაეგდო. შოლოხოვმა დიდი ფსიქოლოგიური სიზუსტით გვიჩვენა ერესის საქმეებში გამობრძმედილი ლუშკასა და თითქმის სრულიად გამოუცდელი დავიდოვის ურთიერთობა. როგორც აფთარი მივარდება თავის მსხვერპლს, აწვალებს, შემდეგ კი გადაყლაპავს, ისე მოექცა ნაგულნოვის ყოფილი ცოლი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს. დავიდოვს ეშინია — შეიტყობენ მის ცოდვას და სახელი გაუტყდება. ლუშკა თავს ესხმის: „მე არ მეშინია, შენ კი გეშინია? გამოდის, რომ მე მამაკაცი ვარ, შენ კი დედაკაცი, ასეა ხომ?“ (ტ. 7, გვ.27). ლუშკას სითამამე და მოურიდებლობა ხშირად ყოველგვარ საზღვარს სცილდება. როცა ფილიმონიხა, რომლის სახლშიაც დავიდოვი ცხოვრობს, ლუშკას ეუბნება, — შენი ქცევა სასირცხვოა, სინიდისი იქონიეო, — ეს უკანასკნელი მოხუც დედაკაცს თავხედურად და ცინიკურად უპასუხებს: „...როცა ღმერთი ადამიანებს სინიდისს ურიგებდა... მე შინ არ ვიყავი.. ბიჭებთან ვსეირნობდიო“ (ტ. 7, გვ. 31). ბევრი სხვაც ულირსი აკადრა უდანაშაულო დედაკაცს გულმოსულმა ლუშკამ, რომელმაც ისე გადაუბრუნა ჭკუა-გონება სპეტაკ დავიდოვს, რომ იგი ფიქრობდა ნაგულნოვის ყოფილი ცოლი თვითონ შეერთო — აღზრდი და გამოვასწორებო! ხოლო ლუშკა დავიდოვთან ურთიერთობაში, თაფლთან ერთად, ხშირად ძმარსაც აყოლებდა, ოსტატურად, რი-

თაც კიდევ უფრო აცდენდა და სტანჯავდა უკვე შეყვარებულ თავმჯდომარეს. ერთხელ, წალაპარაკების დროს, ასედაც უთხრა: „ვფიქრობდი, რომ შენ კაცი იყავი როგორც კაცი, შენ კი ჩემი მაკარიკას მსგავსი ხარ: იმას მარტო ერთი მსოფლიო რევოლუცია აქვს ჰკუაში, შენ კი ავტორიტეტი. დიახ, თქვენთან რომელიც გნებავთ დედაკაცი სეედისაგან მოკვდება“ (ტ. 7, გვ. 33).

ასე ეჭცევა და ასე სტანჯავს მარტო ხორციელი ვნებისათვის დაბადებული ლამაზი, წარმოსადეგი ლუკერია საყვარელ კაცს — სემიონ დავიდოვს. ყველაფერი ეს კარგად იცის ყოფილმა ქმარმა, ნაგრამ, როცა რაზმიოტნოვი, თვითონ ცოდვილი მარინა პოიარკოვასთან, დავიდოვს მწვავედ აკრიტიკებს, ნაგულნოვი იცავს არა მოღალატე ნაცოლარს, არამედ, დავიდოვს: „ნუ ღუპავ ჩემს ძვირფას მეგობარსო“ (ტ. 7. გვ. 53), — ეუბნება რაზმიოტნოვს. ლუშკას ხომ ისეთი ძალა აქვს მამაკაცთან, რომ თუ მოისურვა, ყველას მოხიბლავს. ერთხელ თვით რაზმიოტნოვიც ჰკუაზე გადაიყვანა (ტ. 7, გვ. 154), სილამაზით ისე მოხიბლა.

ასეთია ლუშკას, როგორც ლამაზი კაზაკი ქალის, ეროტიული ძალა.

ახლა მივუბრუნდეთ დავიდოვისა და შალის გაწყვეტილ დიალოგს.

დავიდოვის კითხვაზე — შეგიძლია რამე დაუმატო ნათქვამსო — შალიმ უპასუხა: „ვიტყვი. მიატოვე ლუკერია საბოლოოდ! ის შენ, ბიჭო, მონასტერშიც გიღალატებსო“ (იქვე). ბოლო დროს ის შენთან მარტო კი არ ცხოვრობს, ტიმოშკა რვანთანაც არის, რომელიც გადასახლებიდან გამოიქცა, შაბათს მასთან ვნახე. მიატოვე, თუ გინდა შუბლში ტყვია არ მოგხვდეს, და ღმერთს მადლობა უთხარი, რომ დღემდე ცოცხალი ხარო. ვერ გამიგია, რატომ ესროლა ტყვია მან ნაგულნოვს და შენ არ გესროლაო.

ამაღელვებელია სცენა, როცა დავიდოვი გამომშვიდობებისას მარჯვენა ხელს ართმევს და მარცხენათი ეხვევა შალის, მადლობას უხდის გულახდილი საუბრისათვის. მხოლოდ ერთ წინადადებას ამბობს და მეტი არც იყო საჭირო: „გმადლობთ ყველაფრისათვის, ძვირფასო იპოლიტ სიდოროვიჩ!“ მეტი რაღა უნდა ეთქვა ერთგული მოხუცისათვის?

დავიდოვმა უმალ შეატყობინა ნაგულნოვსა და რაზმიოტნოვს ტიმოშკა რვანის მალულად დაბრუნება ხუტორში. ნაგულნოვმა იკისრა ცოცხალი ან მკვდარი ხელში ჩაეგდო ეს ვერაგი ახალგაზრდა, რომელიც შეიარაღდა და ტერორის გზას დაადგა.

რა მოხდა შემდეგ?

ნაგულნოვი ჩაუსაფრდა ალექსეევნას ბინას, სადაც ლუშკა თავშეფარებული იყო და ტიმოშკა რვანს ხვდებოდა. რამდენიმე დღემ უქმად გაიარა. დავიდოვისაგან მალულად, რაზმიოტნოვი და ნაგულნოვი შეთანხმდნენ ორივე ქალი დაეპატიმრებინათ, რაკი დარწმუნდნენ, რომ ისინი კვებავდნენ და უვლიდნენ სადღაც მიმალულ რვანს. ნაგულნოვმა ერთხელ ფეხდაფეხ მისდია შუაღამისას სახლიდან გამოსულ ლუშკას, ხუტორსაც გასცდნენ, დევნა კარგად მიდიოდა, მაგრამ გაცივებულმა მაკარმა ცხვირი დააცემინა, ლუშკამ გაიგონა, იგი შეშინდა, უკან დაბრუნდა, იმ ღამით რვანთან აღარ წასულა. განთიადისას ნაგულნოვმა გააღვიძა რაზმიოტნოვი, ყველაფერი უამბო, ისიც დასძინა, რომ ტიმოშკა ხელიდან გაექცევათ თუ ლუშკა და ალექსეევნა არ დააპატიმრეს. ნახევარი საათის შემდეგ ორივე იწყებს ქალების დაპატიმრებას, რაც ისეა აღწერილი, რომ სულმოუთქმელად იკითხება. შოლოხოვი რომანის ამ ადგილზე ერთხელ კიდევ მისთვის ჩვეული მიმზიდველობით აგვიწერს ლუშკას სილამაზეს — „წყეულ ლუშკას“, რომელიც სხეულით, სახით ისე მშვენიერია, რომ ჰკუიდან აცდენს მამაკაცებს — ყოფილ ქმარს ნაგულნოვს ისევ უყვარს, დავიდოვი აიძულა ეცხოვრა მასთან, ხელში ჩაეგდო, რვანთან ხომ დიდი სიყვარულით არის დაკავშირებული, ახლა კი, დაპატიმრების დროს, ლოგინიდან ახლადმდგარი, დაუვარცხნელი, ნახევრად შიშველი, რაზმიოტნოვის აღტაცებას იწვევს.

რაკი ლუშკა, პატიმრობის გამო, ვეღარ მივიდა რვანთან, ეს უკანასკნელი, მესამე დღეს, თვითონ ფარულად მოდის ალექსეევნას ეზოსთან, რომლის ახლო ნაგულნოვია ჩასაფრებული. გამართლდა მისი ვარაუდი — ლუშკას დახმარებას მოკლებული ტიმოშკა რვანი აუცილებლად გამოჩნდებაო. მაგრამ რა იყო მიზეზი? ეჭვი თუ შიმშილი? შესაძლოა ერთიც და მეორეც, — გვეუბნება ავტორი (ტ. 7, გვ. 157). და, მართლაც, ორივე უნდა ყოფილიყო

რვანის გამოცხადების საფუძველი. ნაგულნოვი ჰკლავს ტიმოშკას, აკვირდება მკვდარს, რომელიც ასე ლამაზია — გაშეშებული და გაცივებული. ამ სილამაზის გამო იყო, რომ ლუშკას ასე თავდადებით შეუყვარდა კულაკის შვილი, ხულიგანი და თავხედი, ლოველასი ტიმოშკა რვანი.

რა განიცადა ან რა უნდა განეცადა მაკარ ნაგულნოვს მისთვის ესოდენ საძულველი კაცის მოკვლის შემდეგ? რვანი მისი შეურაცხმყოფელი იყო (ლუშკასთან მაშინაც ცხოვრობდა, როცა ნაგულნოვი ცოლს ჯერ კიდევ არ გაშორებოდა), იდეურად სრულ ანტიპოდს, საბჭოთა ხელისუფლების მტერს წარმოადგენდა. შოლოხოვმა შესანიშნავად გვიჩვენა ნაგულნოვის ეს სულიერი განცდა «Ни недавней злобы, ни удовлетворения, ничего, кроме гнетущей усталости, не испытывал теперь Макар, спокойно разглядывая убитого. Все, что волновало его долгие дни и годы, все, что гнало когда-то к сердцу горячую кровь и заставляло его сжиматься от обиды, ревности и боли, — все это со смертью Тимофея ушло сейчас куда-то далеко и безвозвратно» (ტ. 7, გვ. 159). უკეთესად, უფრო ღრმად, უფრო სწორად შეუძლებელია დაახასიათო რვანის ფიზიკური მოსპობის შემდეგ ნაგულნოვის შინაგანი არსება, მისი სულიერი გრადაცია.

ასევე დიდი შინაგანი ვნებათაღელვაა ნაჩვენები ნაგულნოვისა და ლუშკას ბოლო სცენაში. ნაგულნოვმა სთხოვა რაზმიოტნოვს საპატიმროს გასაღები, მას თვითონ სურდა მის მიერვე დაპატიმრებული ყოფილი ცოლი პირადად გაეთავისუფლებინა. და როცა ლუშკა გაათავისუფლა, პირდაპირ უთხრა — „მე ტიმოშკა მოვკალიო“ (ტ. 7, გვ. 160). ეს ცნობა მოულოდნელი როდი იყო ლუშკასათვის. მას, ისევე როგორც ანდრეი რაზმიოტნოვს, მთელი ღამე არ უძინია; ისევე, როგორც რაზმიოტნოვმა, ლუშკამაც გაიგონა სროლა, დაახლოებით ღამის ორ საათზე, მიხვდა, რომ ეს იყო ორთაბრძოლა, მაგრამ ცხადია, არ იცოდა ვინ დაიღუპა — ყოფილი ქმარი ნაგულნოვი, თუ მისთვის ასე თავდავიწყებით საყვარელი ტიმოშკა. ახლა ყველაფერი ნათელი გახდა. ტიმოშკა აღარ არის. თუ გუშინწინ იგი გაცოფებული იყო საპატიმროში, უკანასკნელი სიტყვებით აგინებდა რაზმიოტნოვს, „მთვრალ კაზაკზე უარესად“, რაკი უთუოდ გრძნობდა რვანის მძიმე მდგომარეობაში

ჩავარდნას, გუშინ დაწუწარდა, დამშვიდდა, თითქოს არაქათი გამოელია; ტირილიც დაიწყო, —როგორც რაზმიერტნოვი ეუბნება ნაგულნოვს (ტ. 7, გვ. 157). ახლა კი, გათავისუფლებულმა... «На крыльце Лушка заложила руки за спину, молча прислонилась к перилам. Опоры искала, что ли? Молча ждала. Она, как и Андрей Разметнов, не спала всю ночь и слышала на рассвете негромкий выстрел. Она, наверное, уже догадывалась о том, что сообщит ей сейчас Макар. Лицо ее было бледно, а сухие глаза в темных провалах тапли новое, незнакомое Макару выражение.

—Я убил Тимофея,—сказал Макар, прямо глядя ей в черные измученные глаза, невольно переводя взгляд на страдальческие морщинки, успевшие удивительно скоро, за двое суток, надежно поселиться в уголках капризного, чувственного рта. Зараз же иди домой, собери в узелок свои огарки и ступай из хутора, навсегда, иначе тебе плохо будет... Тебя будут судить.

Лушка стояла молча. Макар неловко засуетился, разыскивая что-то в карманах. Потом протянул на ладони скомканный, давно не стиранный и серый от грязи кружевной платочек.

—Это—твой. Остался, когда ты ушла от меня... Возьми, теперь он мне не нужен...

Холодными пальцами Лушка сунула платочек в рукав измятого платья. Макар перевел дыхание, сказал:

— Ежели хочешь проститься с ним—он лежит у вашего двора, за перелазом.

Молча они расстались, чтобы никогда уже больше не встретиться. Макар, сходя со ступенек крыльца, небрежно кивнул ей на прощание, а Лушка, провожая его глазами, остановила на нем долгий взгляд, низко склонила в поклоне свою гордую голову. Быть может, иным представился ей за эту последную в их жизни встречу всегда суровый и немножко нелюдимый человек? Кто знает...» (ტ. 7, გვ. 160-161).

მართალია, ამით მთავრდება ნაგულნოვისა და ლუშკას ურთიერთობის დრამატული ისტორია, მაგრამ იწყება თვით ლუშკას

მეორე ცხოვრება, სადაც ის კიდევ უფრო ნეგატიური თვისებებით წარმოუდგება მკითხველს. ეს ხდება რომანის დასასრულს და ჩვენც შაშინ შევეხებით, როცა ფინალთან მივალთ. ახლა კი ისევ ბელლის ირგვლივ მომხდარ ამბებს უნდა დავუბრუნდეთ, ვინაიდან იგი ერთგვარი შემობრუნების პუნქტია „გატეხილი ყამირის“ ფაბულაში.

თავისი აშკარა დანაშაულის კვალი რომ დაეფარა, ბანდის აქტიურმა წევრმა იაკობ ლუკიჩ ოსტროვნოვმა, რომელიც არეულობის მომწყობთა შორის იყო, ბანიკთან ერთად, ისეთი მუშაობა გააჩაღა, თითქოს თავს დებდა კოლმეურნეობისათვის. დავიდოვმა განიზრახა იგი გადაეყენებინა მეურნეობის გამგეობიდან, მაგრამ ცბიერმა, მოხერხებულმა ოსტროვნოვმა ისევ მოატყუა კეთილი გრძნობის თავმჯდომარე. უარი ათქვა, — ქალებისათვის სიტყვაც არ დამიძრავს, რომ ბელლის გასაღებები შენ გქონდა (დავიდოვმა ეს ბრალდება წაუყენა), ხალხში იმიტომ ვიყავი — ვაწყნარებდი, ბტრებს ვარწმუნებდი ვონს მოსულიყვნენ, პური არ წაეღოთო (ტ. 6, გვ. 333). დავიდოვი ისევ შეცდა — ოსტროვნოვი არ გადაყენა. პირიქითაც მოხდა — აქტიური მუშაობით, ინიციატივის გაჩენით ოსტროვნოვმა ისევ განიმტკიცა მდგომარეობა, იგი თავის ადგილზე დარჩა.

და იმ დროს, როცა მარტოოდენ ვნებად ქცეული ლუკერია მიზანს აღწევს — სემიონ დავიდოვს ერესის კლანჭებში იქცევს სასიყვარულო ორგიებით, ფარულად დაბრუნებულ ტიმოფეი რვანთანაც ცხოვრობს — გრემიაჩი ლოგში ბრუნდებიან ბანდის ხელმძღვანელები — ალექსანდრ ანისიმოვიჩ პოლოვცევი და ვაცლავ ავგუსტოვიჩ ლიატიევსკი, რომლებსაც საიდუმლო ბინა დადებული აქვთ იაკობ ლუკიჩ ოსტროვნოვის სახლში.

2

როგორც ავტორი პირველი წიგნის დასასრულს გვეუბნება, გრემიაჩი ლოგში „ძველი თავიდან იწყებოდა“ (ტ. 6, გვ. 351). ეს ძველი იყო ბანდის მეთაურების აქტიური მოქმედების დაწყება, თუმცა „დღით არც პოლოვცევი, არც ლიატიევსკი სახლიდან არ გამოდიოდნენ“ (ტ. 7, გვ. 8), იარაღსაც და საკუთარ თავსაც ამ-

ზადებდნენ გადამწყვეტი დარტყმისათვის. ერთმანეთს კი უყურებდნენ როგორც ნადავლის განაწილების დროს მშიერი მგლები, რომლებიც მზად არიან ერთმანეთს ეცნენ და ყელი გამოღადრონ. როცა გაიძვერა პოლოვცევი ნერვებს უჩივის, რომ ისინი ცელქობენ, მოსწყინდა მასაც „ამ სიბნელეში, ამ საფლავში“ ყოფნა, ლიატიევსკი უმალ ამხელს ბანდის მეთაურს, თუმცა თვითონაც მასავით პირველი გაიძვერაა. „სიბნელე — ბრძენთა მეგობარია, — ეუბნება ლიატიევსკი პოლოვცევს, — ის ხელს უწყობს ცხოვრების შესახებ ფილოსოფიურ განსჯას, ხოლო ნერვები პრაქტიკულად არსებობენ მარტოოდენ სისხლნაკლულ ადამიანებში, მუწუკებიან ქალიშვილებსა და მანდილოსნებში, რომლებიც დაავადებულნი არიან სიტყვის გატეხვით და შაკიკით. ნერვები — სირცხვილი და უნამუსობაა ოფიცრისათვის! და თქვენ მხოლოდ თავს იკატუნებთ, პოლოვცევ. თქვენ არავითარი ნერვები არა გაქვთ, მარტო ჟინიაა არ მჯერა თქვენი, პატიოსან ოფიცრულ სიტყვას გეუბნებით, არ მჯერა!“ (ტ. 7, გვ. 11—12).

ეს არის უკიდურესობამდე დაცემული ლიატიევსკის „ფილოსოფია“, რომელიც პირად შეურაცხყოფად მიიღო მასზე არანაკლებად ზნედაკარგულმა პოლოვცევმა და რომლის გამოც თავისი ბნელი საქმის აქტიური მონაწილე პირუტყვად შერაცხა, თუმცა თვითონაც ისეთივე იყო: „—თქვენ ოფიცერი კი არა, პირუტყვი ხართო“ (ტ. 7, გვ. 12). ურთიერთ ლანძღვა-გინებაში ისინი მართალნი იყვნენ — ორივენი იმას ნამდვილად იმსახურებდნენ, რასაც ერთმანეთს უწოდებდნენ. როცა ლიატიევსკიმ უთხრა პოლოვცევს: „თქვენ პლებეი ხართ სისხლით, მე კი პოლონელი თავადიშვილი, ერთ-ერთი ყველაზე ძველი გვარიდანო“, აღშფოთებულმა პოლოვცევმა უხეშად, ლითონისებური მტკიცე ხმით უპასუხა: „მასხარად იგდებ გეორგიევსკის იარაღს?! თუ შენ კიდევ იტყვი თუნდაც ერთ სიტყვას, აგკუწავ, როგორც ძაღლსო“ (ტ. 7, გვ. 12).

აი, ეს ადამიანები, უცხოეთის დაზვერვისა და შინაური კონტრრევოლუციის დაქირავებული აგენტები ებრძვიან საბჭოთა ხელისუფლებას, მის ისეთ ერთგულ წარმომადგენლებს, როგორიც არიან დავიდოვი, ნაგულნოვი, რაზმიოტნოვი — სულით და ხორ-

ცით მშრომელი ხალხის შვილები. თითოეული მათგანი შოლოხოვმა დიდი სიმართლით დაგვიხატა, ოღნავაც არ გადაუხვია ისტორიულ ჭეშმარიტებას, ყველაფერს ჩისცა რაღაც განმაცვიფრებელი ფიგურალობა, ბოლომდე გამოკვეთილი სახე. როგორც „წყნარი დონი“, ისე „გატეხილი ყამირი“, დონის მოთხრობებზე რომ არაფერი ვთქვათ, იმდროინდელ კონტრრევოლუციონერებს, საბჭოთა ხელისუფლების მტრებს ისე დამაჯერებლად, ისტორიული ჭეშმარიტების დაურღვეველად გვიჩვენებენ, რომ დროთა ვითარებაში, ათეული წლების შემდეგ, ხსენებული ბანდების გადარჩენილი წევრები, რომლებსაც თვალი აეხილათ ემიგრაციაში, გაოცებული იყუნენ, თუ საიდან იცოდა, როგორ გაიგო ან როგორ შეიძლო შოლოხოვმა ასე სწორად, სრული სიმართლით, მხატვრულად გამოესახა მათი ბნელი, მძიმე წარსული. ამ ფაქტებს (პავლე კუდინოვის, ნიკოლაი პოპანდოპულოსი) ჩვენ ალარ მოვიტანთ, შესანიშნავად წარმოადგინა თავის გამოკვლევაში მიხეილ ანდრიასოვმა* სინამდვილის უტყუარი დანახვა, ფაქტებისა და მოვლენების შეუცდომელი, აბსოლუტური სიზუსტით წარმოსახვა შოლოხოვის მხატვრული პალიტრის ერთ-ერთი უპირველესი ნიშანია პირველი მოთხრობიდან სულ ბოლო დროის რომანამდე. ეს შოლოხოვის გენიის უძლიერესი პრედიკატია.

შოლოხოვი ისე რელიეფურად ხატავს ცხოვრებას, სინამდვილეს, ცალკეულ სოფლებს, ბრძოლას, მშენებლობას, ადამიანებს, მთელ გარემოს, რომ ყველაფერი მკითხველის თვალწინ გარკვევით ჩანს, როგორც უტყუარი სარკის წინ დადებული საგნები. ვინ იცის რამდენი ხასიათია ამ ქვეყნად, თუნდაც ხუტორ გრემიაჩი ლოგში, რამდენი ადამიანია, ვისი გამოცნობა ერთბაშად არ შეიძლება, როგორც, მაგალითად, ყოფილი არტილერისტის, ენამწარე მოხუცის უსტინ მიხაილოვიჩ რიკალინისა. მასთან დავიდოვს შეტაკება მოუხდა თივის დამზადების საკითხზე მსჯელობის დროს. უსტინმა არც აცივა, არც აცხელა— პირდაპირ უთხრა დავიდოვს: თავმჯდომარედ შენი არჩევის დროს ხმა არ მომიცია, თავი შევიკავე, რადგან „შენ ჩამოგიყვანეს, როგორც

---

* Михаил Андриясов. Вешенские были, журн. «Москва», № 2, 1975 წ., გვ. 191—201.

კატა ტომრით"; „მე შენს წინაშე ისე ვდგევარ, როგორც მუშაკი, შენ კი უნაგირზე ზიხარ, როგორც ბატონი"; „ნუ მიყვირი! მე შენი ლუშკა ნაგულნოვა არა ვარო" (ტ. 7, გვ. 170-171).

სიტყვიერი კამათი პირდაპირ ფიზიკურ შეტაკებამდე მივიდა, მაგრამ დავიდოვმა მოახერხა თავი შეეკავებინა. ამან თანდათან უფრო ააღელვა უსტინი. გაიმარჯვა დავიდოვის მოთმინებამ, გონებამახვილობამ, ლოგიკამ, ენამწარე უსტინი კი ისე დამარცხდა, რომ ტიხონ ოსეტროვმა მიაძახა: «Ложись, Устин, ниц и не подымай головы! Начисто стоптал тебя Давыдов» (ტ. 7, გვ. 175). მაგრამ დროებითმა დამარცხებამ როდი ააღებინა ხელი შეტევაზე უსტინ მიხაილოვიჩს. არც იმ აშკარა ფაქტმა დაახევინა უკან, როცა დავიდოვმა უბის წიგნაკში ჩაწერილი შრომადღეების რაოდენობა დაუსახელა: თურმე იანვარ-მაისში ტიხონ ოსეტროვს თითქმის ორასი, ბრიგადის წევრებს, მათ შორის ავადმყოფ ნეჩაევსაც კი არანაკლებ ასისა გამოუმუშავებიათ, უსტინს კი მხოლოდ ოცდაცხრა. ამ ციფრებმა მხოლოდ ააღელვეს რიკალინი, რომელმაც ისევ შეუტია დავიდოვს: რას ჩამაციედი, „რა ვარ მე შენი, ლუშკა ნაგულნოვა თუ ვარკა ხარლამოვაო" (ტ. 7, გვ. 179).—მე ცოლი ავადმყოფი მყავს, ექვსი ბავშვი სარჩენი,—თავი იმართლა უსტინმა. შემდეგ ხელები უჩვენა, მარჯვენა მტევანზე თითები მოწუვეტილი ჰქონია. ვრანგელის ფრონტზე დაუკარგავს. მხოლოდ საჩვენებელი თითი შერჩენია. მარცხენა ხელით მუშაობს. იმ დღეს, როცა ჭურვით დაიჭრა, ორ ვრანგელელს სიცოცხლე მოუსწრაფა—ჟი, რაში ყოფილა საქმე,—სთქვა დავიდოვმა. მაგრამ ტიხონს, რომელმაც რიკალინის დაცვა სცადა,—სულელიაო, მაინც არ დაეთანხმა: უსტინი „სრულებითაც არ არის სულელი, არამედ საკოლმეურნეო ცხოვრების აშკარა მტერიაო" (ტ. 7, გვ. 183). დავიდოვი ცდებოდა. იმავე დღეს უსტინმა მას დახმარება აღმოუჩინა წაქეზებით სალოცავად წასული ქალების სამუშაოზე დაბრუნებაში და სემიონს პირველად მიმართა თავისი გვარით—დავიდოვით (ტ. 7, გვ. 188). შემდეგ კი თავი გამოიჩინა დავიდოვისადმი ერთგულებით, რაკი დარწმუნდა მის უანგარობასა და მშრომელი ხალხისადმი თავდადებულ სამსახურში. დავიდოვი ერთხელ უსტინს კიდევაც გადაეხვია, როცა დაინახა, რომ მან არა პირადი, არამედ, კოლმეურნეობის საკუთრების დასაცავად თავი გამოიდო.

მძიმედ, დიდი ტკივილებით სოფელი თანდათან დგება ნორმალურ კალაპოტში, მაგრამ რამდენი შრომა, ენერგია, სიფხიზლე, ტაქტი, დღე-ღამის გასწორება, ბეწვის ხიდზე გავლა სჭირდებათ ახალი სოფლის ახალ ადამიანებს. შოლოხოვი „გატეხილი ყამირის“ ყოველ გვერდზე ექსპრესიულად წარმოსახავს სურათებს, რომლებიც ცხოვრების პროცესს აცისკროვნებენ, აშიშვლებენ, მთელი ძალით გვიჩვენებენ. მისთვის არ არსებობს დოგმა, არ არსებობს შტამპი, ადამიანებს ხატავს, როგორიც არიან, როგორიც შეიძლება იყვნენ ან როგორიც გახდებიან ცხოვრების ლოგიკური კანონზომიერებით.

დააკვირდით ორი კოლმეურნეობის ორ თავმჯდომარეს, ორ ოცდახუთიათასელს — გრემიაჩი ლოგისას — სემიონ დავიდოვს და ტუბიანსკისას — ნიკიფორ პოლიანიცს. პირველს ჩვენ უკვე საკმაოდ ვიცნობთ, მეორე კი ვინ არის? ყოფილი ხარატი, დნეპროპეტროვსკის ერთ-ერთი მეტალურგიული ქარხნიდან, ოცდახუთიათასელი ბუშის გაწვევის დროს გრემიაჩი ლოგის მეზობლად მდებარე ხუტორ ტუბიანსკის კოლმეურნეობა „კრასნი ლუჩის“ თავმჯდომარედ გამოგზავნილი და არჩეული. ორივე წარმოშობით მუშაა, კომუნისტი, მაგრამ პოლიანიცი ისე ღებულობს დავიდოვს, რომელსაც თავისი კოლმეურნეები მიუსია, თიეა წაართვა,— გეგმა რომ ამ გზით შეესრულებინა, — როგორც ცბიერი, ინტრიგანი კაცი, უნიჭო არტისტივით გაიძვერას როლში მოთამაშე. თავიდანვე მას კაბინეტის მოწყობაზე უზრუნვია, გასახლებული კულაკის შეძლებულად მოწყობილ ფართო ოთახში მოკალათებულა, თვითკმაყოფილია, დავიდოვის სრულ კონტრასტს წარმოადგენს. მათი საუბარი, კამათი, შემდეგ ცხარე სიტყვები, იერიშზე გადასვლა — არამარტო დაპირისპირებული ხასიათების ჭიდილია, არამედ, იმის ცხადყოფაც, რასაც დავიდოვი ეუბნება პოლიანიცს: „შენ ოცი წლით ადრე რომ დაბადებულიყავი, უეჭველად შენგან სწორედ ნამდვილი კულაკი გამოვიდოდაო“ (ტ. 7, გვ. 204—205). დავიდოვის ნართალ შენიშვნებს, კანონიერ მოთხოვნებს პოლიანიცი ჭორიკანა დედაკაცივით ხვდება, ცილსაც სწამებს გრემიაჩი ლოგის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, რაიკომის ბიუროზე საკითხის დაყენებითაც ემუქრება (ტ. 7, გვ. 206). პოლიანიცი ისე გაფუჭებული კაცია (როგორიც არაერთი გვინახავს ცხოვრებაში), რომ დავიდოვმა

ზედმეტად ჩასთვალა მასთან ლაპარაკის გაგრძელება, გადაწყვიტა საკითხიც არ გადაეცა პროკურატურაში ტუბიანელების მიერ თივის უკანონოდ წაღებისა და მიწის ასევე უკანონოდ მიტაცების შესახებ, ვიდრე საქმეს ბოლომდე არ შეისწავლიდა.

ასეთია დავიდოვი—ახალი ტიპის ხელმძღვანელი, ნიჭიერი ორგანიზატორი, რომელიც ცდილობს ყველაფერს მისწვდეს, ყველაფერი მოაგვაროს, არაფერი გამორჩეს. გავიხსენოთ სკოლაში მისვლა, ხელმოკლეობისაგან გამხდარ, ახალგაზრდა მასწავლებელ ლიუდმილა სერგეევნასთან საუბარი, მისთვის სრულიად უანგარო მატერიალური დახმარების აღმოჩენა საკუთარი შრომადღეების ხარჯზე (ტ. 7, გვ. 229), რაც ოსტროვნოვმა ბოროტად გამოიყენა — ჯერ ლუშკა ნაგულნოვას, შემდეგ ვარკა ხარლამოვას ჰკვებავდა კოლმეურნეობის ხარჯზე, ახლა მასწავლებელზე გადავიდაო! ეს უხეში ცილისწამება იყო, თვითონ ოსტროვნოვი კი სურსათით ნამდვილად ამარაგებდა კოლმეურნეობის საწყობიდან ტიმოფეი რვანსა და ლუშკას, ხოლო მეკუპნავეს ტყუილს ეუბნებოდა — დავიდოვის განკარგულებააო. ავალებდა სურსათის გაცემის შემდეგ ბრიგადირებისათვის დაეკლო და ამით გადაეფარა დანაკლისი. მეკუპნავეც იძულებული ხდებოდა დანაშაული ჩაედინა. ოსტროვნოვი მოხერხებულად ატყუებდა მეკუპნავეს, დავიდოვსაც, წარმატებით ასრულებდა ბანდის დავალებას — ძირი გამოეთხარა კოლმეურნეობისათვის, სახელი გაეტეხა სოფლის ხელმძღვანელი პუშაკებისათვის. ასეთ მტრულ გარემოში უხდება მუშაობა სემიონ დავიდოვს, უეჭველად ნიჭიერ, გულმართალსა და ხალხისათვის თავდადებულ მოღვაწეს.

მთელ რომანად ღირს დავიდოვის საუბარი მოსწავლე ფედოტკა პუშაკოვთან (ტ. 7, გვ. 222—228), საიდანაც შეიტყობს, თუ სად არის მოთავსებული სოფლად მომუშავე, მაგრამ ჯერ გამოუმჟღავნებელი ბანდის იარაღის საწყობი. ფედოტკამ ეს როდი იცის, მაგრამ დავიდოვი მიხვდა. მჭედელ შალისთან ერთად, რვანის ყოფილი ფარდულიდან ერთი მეტრის სიღრმეზე, ამოიღეს დაზგის ტყვიამფრქვევი „მაქსიმი“, აგრეთვე სხვა საბრძოლო იარაღები (ტ. 7, გვ. 230—231).

ბანდა მოქმედებს, მაგრამ დამსჯელ ორგანოებსაც არ სძინავთ. რომანის XX თავიდან მკითხველი ეცნობა გრემიაჩი ლოგში ჩამო-

სულ ორ „დამამზადებელს“ — პოლიკარპ პეტრეს ძე ბოიკოს და ხენიაქს. ისინი სინამდვილეში არიან ორგანოების მუშაკები, გადაცმულნი, რომ დაეძებენ ბანდის მეთაურებს — პოლოვცევსა და ლიატიევსკის. ძიება გრძელდება, ჯერჯერობით უშედეგოდ, მაგრამ იკვრება რკალი, ახლოვდება ფინალი. მანამდე კი ბევრი რამ ხდება: ოსტროვნოვს კრებაზე ამხელს შალი (გვ. 305—306), მკაცრად აკრიტიკებს, შედის პარტიაში; დავიდოვი ძლივს ახერხებს ღაითანხმოს კოლმეურნეები, რომ საჭიროა მოაწყონ საბავშვო ბაღი, რათა ბავშვებიან ქალებს მუშაობის საშუალება ჰქონდეთ (გვ. 318). წინადადება ერთხმად გავიდა. გვიან ღამით შინ მიმავალი დავიდოვი ღობესთან შენიშნავს ვარკა ხარლამოვას, რომელიც თურმე მას ელოდება. აცრემლებული ვოგო დავიდოვს ეუბნება, რომ ათხოვებენ ვანკა ობნიზოვზე, რომელიც არ უყვარს, რომელსაც ცოლად არ გაჰყვება.

ვიდრე დავიდოვი და ვარკა საუბრობენ, გავიხსენოთ ზოგიერთი რამ მათი წინანდელი ურთიერთობიდან.

დავიდოვი გულწრფელად შეუყვარდა ჩვიდმეტი წლის ვარია ხარლამოვას, ჯეირანივით ლამაზ კაზაკ გოგოს, რომლის შესახებაც მაიდანიკოვი ტირადებს ლაპარაკობს. მკვირცხლი, ჯანღონით სავსე, შეუპოვარი და ენერგიული ვარია გატაცებული იყო დავიდოვით. უეჭველად ეს იყო მისი პირველი სერიოზული გრძნობა სიყვარულისა (ტ. 7, გვ. 80), როცა სიყვარული ისეა გადაჭდობილი მორცხვობასთან, როგორც უსურვაზი მოეხვევა აივანს. მაიდანიკოვი შენიშნავდა კიდეც დავიდოვს: „ეს შენთანაა ის ასე მორჩილი, უშენოდ კი თითოეულ ჩვენგანს კბილს ამოაძრობდა დაუფიქრებლადო“ (ტ. 7, გვ. 71). ვარკას მთელი არსებით უყვარს დავიდოვი, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ უბედავს იმ სიტყვას, რომელიც ასე სანატრელია შეყვარებულმა თავისი გულის მოულოდნელ არჩევანს უთხრას — ეშინია წარმოთქვას (ტ. 7, გვ. 81). გაიხსენეთ კლასიკური ლიტერატურული გმირების სიყვარული, — ძლიერი გრძნობა სიტყვას ვერ პოულობს, შეყვარებულებს მორცხვობა გამბედაობას ართმევს, როგორც ტარიელს ნესტანის წინაშე*). ქართველ პოეტს

---

* დაწვრილებით ამ საკითხზე იხ. გიორგი ჯიბლაძე, რუსთაველის ესთეტიკური სამყარო, 1966 წ. გვ., 297—309; გიორგი ჯიბლაძე, ხელოვნება და სინამდვილე,

შემთხვევით არ უთქვამს — ნამდვილი სიყვარულის დროს დუმილი უმჯობესიაო. ასე სდუმს ხარლამოვა დავიდოვის წინაშე. პირველი მათი დიალოგებიც მოკლე, თითქოს უხერხული, ნაძალადევია ფორმით, მაგრამ სავსეა გრძნობით, როგორც სინამდვილეში ჩდება. შოლოხოვი დიდი ოსტატობით გვიჩვენებს ყოველივე ამას — სიტყვის სიმოკლეს, უხერხულობას, სავსე გრძნობას (ტ. 7, გვ. 77). ასაკობრივად ისინი განსხვავებულნი არიან — დავიდოვი ოცდაათ წლამდეა მიღწეული, რაკი ავტორი გვეუბნება, რომ სამოქალაქო ომის დროს ის მეზღვაური — ოცი წლის იყოო, ხოლო ვარია, როგორც ვთქვით, ჩვიდმეტი წლის გოგონაა. მათი ურთიერთობის პირველი აღწერები (ტ. 7, გვ. 77—82) სავსეა უშუალობით, ხასიათების ჩვენებაში ავტორის დიდი დაკვირვებითა და სულის შინაგანი არსების გაშიშვლებით. და რა გულწრფელია თვით მისი გმირი — ჩვიდმეტი წლის ვარია, რომელსაც თავდავიწყებამდე უყვარს დავიდოვი, პირველი სიყვარულით ანთებული გულში იხუტებს სატრფოს ზედა წამოსასხამს, თითქოს მის არსებაში ერთბაშად შეიჭრა უსაყვარლესი ვაჟკაცის მთელი სითბო. „დავიდოვი კი ვერაფერს ამჩნევდა, ვერაფერს ხედავდა“ (ტ. 7, გვ. 82).

ახლა კი, როცა ვარკას ესაუბრება, მთვარით განათებულ რომანტიკულ ღამეში, როცა ესმის სიტყვები — ძიყვარხარო, დავიდოვს თვალები აეხილება, იგი უარყოფს წინადადებას, რომელიც სატრფომ წამოუყენა: „გინდა, მე ვიცხოვრებ შენთან, ჰო... ჰო, როგორც ლუშკა? ვიცხოვროთ ერთ წელიწადს, შემდეგ კი მიმატოვე! მე ცოლად გავყვები ვანკას. ის მე ყოველნაირს წამიყვანს, შენს შემდეგაც წამიყვანს! მან გუშინწინ ასეც მითხრა: შენ ჩემთვის ყოველნაირი იქნები საყვარელიო! გინდა!“ (ტ. 7, გვ. 326). არა, დავიდოვს ეს არ უნდა, პატიოსან, კეთილშობილ კაცს როგორ შეუძლია გამოუცდელი გოგონას თავგანწირვა ბოროტად გამოიყენოს. გადაწყვიტა ცოლად შეირთოს ვარკა, მაგრამ ჯერ სასწავლებელში გააგზავნოს, თვითონ ბინად დადგეს საცოლესთან, თავისი შემოსავლით არჩინოს მისი ოჯახი. ბევრს, მათ შორის რაიკომის მდივან ნესტერენკოსაც კი ეჭვი ეპარებათ — დავიდოვი იმიტომ აგ-

---

1955 წ., ტ. I, გვ. 499; Георгий Джибладзе, Искусство и действительность, 1971 г., стр. 387.

ზავნის ვარკას სასწავლებლად, რომ სურს თავიდან მოიშოროსო (ტ. 7, გვ. 331). ვარკა, დედამისი, პატარა და-ძმები გახარებული არიან, რომ უმამოდ დარჩენილ გაჭირვებულ ოჯახს დავიდოვის სახით ბურჯი გაუჩნდა.

დავიდოვს თვითონ მიჰყავს ვარკა ქალაქ მილერდოვოში სასწავლებლად. ეს პირველი მგზავრობა სოფლელი გოგონასი ასე „ურს", შოლოხოვისათვის დამახასიათებელი ოსტატობითაა გადმოცემული. რამდენი სიმართლე, და რამდენი სინაზეა! რადა ღირს შჩუკარის, რომელსაც მომავალი ცოლ-ქმარი დროკით მიჰყავს, ათასგვარ თემაზე მასლაათი, სავსე ოხუნჯობითა და შჩუკარისეული გონებამახვილობით (რომანის მთელი XXV თავი უკავია ამ მგზავრობას და შჩუკარის სჯა-ბაასს, გვ. 336—346). მესამე დღის ბოლოს, ყველა საქმის მოგვარების შემდეგ, დავიდოვი და შჩუკარი დაბრუნდნენ გრემიაჩი ლოგში. დავიდოვმა მილეროვოში შეიტყო, რომ კომკავშირის ორგანიზაციის მდივნად უგზავნიან ჩვენთვის უკვე ცნობილ ივან ნაიდენოვს. დავიდოვი გახარებულია, ნაიდენოვი ჭკვიან, ნიჭიერ, საქმის მცოდნე ახალგაზრდად მიაჩნია (გვ. 345). ვარკა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში ისწავლის. საქმე კარგად აეწყო. მაგრამ...

ბანდის მეთაურებმა გამოიცვნეს იაკობ ლუკიჩ ოსტროვნოვთან მოსული პირუტყვის „დამამზადებელნი" — ბოიკო და ხიჟნიაკი. ლიატიევსკიმ იცნო ჩეკისტი ხიჟნიაკი, რომლის მიზეზითაც მან ცალი თვალი დაჰკარგა. ახლა სურს შური იძიოს, ჩაუსაფრდეს გრემიაჩი ლოგიდან მოშორებით და ორივე მოჰკლას. პოლოვცევის თანხმობით, ლიატიევსკი ხუტორ ტუბიანსკიდან წაიყვანს ბანდის წევრს, ყოფილ ვახმისტრ მაქსიმ ხარიტონოვს და ორივე ვერაგულად ჰკლავენ და ძარცვავენ ჩეკისტებს ხუტორების — ტუბიანსკისა და ვოისკოვოის შორის მდებარე გზაზე. ამის შემდეგ ოსტროვნოვის სახელზე მეთვალყურეობას აწესებენ. დატვირთულობის მიუხედავად (დღე მუშაობა, ღამით ოსტროვნოვის სახლის თვალთვალი) რაზმიოტნოვი გამონახავს დროს და ცოლად ირთავს ნიურკას — მეზობელ გოგონას, რომელსაც იგი დიდიხანია უყვარს. „სევდიანი იყო ეს ქორწილი, არც სიმღერა იყო, არც ცეკვა", არც მხიარული ხუმრობანი, რითაც ასე გამოირჩევა კაზაკური ქორწი-

ლები. მიზეზს თვით ანდრეი რაზმიოტნოვი წარმოადგენდა: იჯდა სერიოზულად, თავშეკავებულად, არ სვამდა, ლაპარაკშიც მონაწილეობას არ ღებულობდა, „გორკას“ წამოძახილზედაც უხალისოდ ჰკოცნიდა პატარძალს, სადღაც შორს იხედებოდნენ მისი თვალები, ძალიან შორსა და სამწუხარო წარსულში. ეს რაზმიოტნოვის პირადი განცდაა, ტრაგიკულად დაღუპული პირველი ცოლ-შვილის გახსენებაა, მაგრამ შოლოხოვი ამ სცენის აღწერისას დაკვირვებულ მკითხველს იდუმალად აგრძნობინებს ჯერ კიდევ შეუცნობელ, მაგრამ მოახლოებულ საშინელ კატასტროფას.

ამ დღეს, როცა ეს კატასტროფა უკვე კარს იყო მომდგარი, გრემიაჩი ლოგში შემდეგი ფაქტები მოხდა: ორშაბათს, განთიადისას, მოულოდნელად გარდაიცვალა ძველი ხუტორელი მწყემსი პაპა აგეი; სადილობის ჟამს, თითქმის ერთსა და იმავე დროს, ორ კოლმეურნე ქალს ბავშვი შეეძინა—ერთს მძიმე მშობიარობა ჰქონდა, ამიტომ დავიდოვმა, რომელიც ის-ის იყო დაბრუნდა მიცვალებულის ოჯახიდან, ყველა ზომა მიიღო ფერშალი მოეყვანა, საბრალო ქალი და ბავშვი გადაერჩინა; ამის შემდეგ ვერც მოასწრო გამგეობის მიმდინარე საქმეები, რომ მოვიდა ახალგაზრდა კოლმეურნე აბრამოვი, სთხოვა—ქორწილში მეწვიეთ მთელი თქვენი შემადგენლობითო. დავიდოვმა წამოიძახა: «Да вы что, одурели в хуторе?! В один день помирать, родить и жениться! Сговорились вы, что ли?!“ (ტ. 7, გვ. 372). აბრამოვს მაინც დაჰპირდა: თუმცა დიდი სმის ნება არა გვაქვს, სალამოს ერთი საათით შემოვალ ნაგულნოვთან და რაზმიოტნოვთან ერთადო. ერთი საათის შემდეგ მიხვი კუზნეცოვიც მოვიდა—უკვე მამამ დიდი მადლობა გადაუხადა დავიდოვს—ჩემი ვაჟიშვილის ნათლია იქნებიო. დავიდოვი დაეთანხმა—რაც გჭირდება, ხვალ ოსტროვნოვისაგან მიიღებ, ბრძანებას გაცემო. და ავტორი მრავალაზროვნად ურთავს პასაჟს, რომელშიაც ერთბაშად მეღავნდება დავიდოვის დიდი შინაგანი ადამიანური სითბო: «Что ж, видно, сентиментален стал матрос, если чужая радость и счастливый исход материнских мук заставили его прослезиться. А почувствовав слезы на глазах, он прикрыл глаза широкой ладонью»... (ტ. 7, გვ. 373-374).

იმავე დღეს, სალამოს შვიდ საათზე პოლოვცევთან მივიდა პოლკოვნიკი ნიკოლსკი-სედოი, ის, ვინც შეთქმულებს ბრძანებებს

უგზავნიდა. გრემიაჩი ლოგში ჩამოსულა სამსახურებრივ საქმეზე— მუშაობს სამხარეო სასოფლო-სამეურნეო სამმართველოს აგრონომად. თან მოუყვანია როტმისტრი კაზანცევი — ბანდის ერთერთი აქტიური წევრი. პოლოვცევთან და ლიატიევსკისთან ერთად, ისინი იხილავენ აჯანყების გეგმას რომელიც ვერაგულია, გულისხმობს შეთქმულების დაწყებას ადგილობრივი კომუნისტების დახოცვით. დაზუსტებული აქვთ გეგმის ყველა პუნქტი, დამხმარე ძალები, მიზანი, ამოცანები. სედოი იმედს გამოსთქვამს აჯანყების წარმატებაზე, უსურვებს პოლოვცევს შეხვდეს ნოვოროსიისკში ან მოსკოვში. აჯანყების დაწყებას, მითითების მეტი არაფერი აკლია. ასე შორდებიან ერთმანეთს ისტორიის მიერ წინასწარ განწირული ავანტიურისტები.

ივ დღესვე კიდევ ერთი უცნაური ამბავი მოხდა: პაპა შჩუკარის მოუსვენარი თხა ტროფიმი ჭაში ჩავარდა, დაიხრჩო. „როგორღა ვიცხოვრო უმისოდ?“ — გლოვობს პაპა შჩუკარი და ერთადერთი თხის პატრონი თავისებურად ოხუნჯობს, მწუხარებასთან ერთად, ცრემლიც მოდის. დავიდოვს სთხოვს — „შენ მიხედე სახელმწიფო საქმეებს, მე კი ტროფიმს დავმარხავ, ჩუმად შევსვამ კიდეც „მიცვალებულის მოსაგონებლადო“. დავიდოვს გაეცინა, ათმანეთიანი გაუწოდა შჩუკარს, თან უთხრა: ძალიან ნუ იგლოვებ, ახალ თხას გიყიდითო. მაგრამ შჩუკარს ვინ დააჯერებს? ამბობს: „ასეთ თხას ვერავითარი ფულით ვერ იყიდი, არ იყო და არ არის ასეთი თხა მთელ ქვეყანაზეო“ (ტ. 7, გვ. 380).

ღამით ნაგულნოვი მივიდა დავიდოვთან, უთხრა, რომ ვიღაც შენიშნა ოსტროვნოვის სახლისაკენ მალულად მიმავალი, საჭიროა თავს დაეესხათ, შევიპყროთო. თან წაიყვანეს რაზმიოტნოვი. როცა შევიდნენ ოსტროვნოვის სახლში, ატყდა სროლა, ნაგულნოვი იქვე გარდაიცვალა პოლოვცევის მიერ ნასროლი ხელყუმბარით, ხოლო დავიდოვი სასიკვდილოდ დაიჭრა. თექვსმეტი საათის განმავლობაში ებრძოდა სიკვდილს დავიდოვის მაგარი სული. მწარედ განიცდიდნენ უსაყვარლესი მეგობრის დაკარგვას რაზმიოტნოვი, მაიდანიკოვი, მოხუცი შალი, დემკა უშაკოვი, პაპა შჩუკარი. სიკვდილის წინ გონს მოსული დავიდოვი ამშვიდებდა პაპა შჩუკარს— ნუ სტირიო. ასეთი იყო სემიონ დავიდოვი — სხვაზე მზრუნველი, სხვისთვის თავდადებული!

დიდი გლოვის შემდეგ დავიდოვი და ნაგულნოვი სკოლასთან ახლოს ხუტორის მოედანზე დაკრძალეს. საფლავს დაბალი ღობე შემოავლეს. პაპა შჩუკარმა ყველაზე მძიმედ განიცადა ორი უსაყვარლესი მეგობრის დაღუპვა. ხალხთან აღარ დადიოდა, აღარაფერს ლაპარაკობდა, უფრო მეტად ღვრიდა ცრემლებს, ვიდრე წინათ. დავლამაც გაუარა — ცალი ლოყა მოექცა, მარცხენა ხელი და ფეხი ჩვეულებრივად აღარ ემორჩილებოდა. მოხუცს მიეშველნენ მაიდანიკოვი და რაზმიოტნოვი. სოფლის მაღაზიის ღამის დარაჯობა მიანდვეს, ჯიხური აუშენეს, ახალგათხრილ საფლავთან ახლოს. იქ მოთავსდა პაპა შჩუკარი, დარაჯობდა მეგობრების უკანასკნელ სავანეს, თავისი ხელით გაიკეთა პატარა ხის სკამი, რომელზეც იჯდა ღამღამობით, თვითონ უშვილო, დაღუპული ორი მეგობრის საფლავს, როგორც შვილებისას, ისე უვლიდა. ორი თვის შემდეგ ვარკა ხარლამოვა ჩამოვიდა, ცხარედ დაიტირა ის კაცი, უინც მისი ქმარი უნდა ყოფილიყო, ის, რომელმაც გამოუცდელ სოფლელ გოგონას ამდენი სიკეთე გაუკეთა.

რა დაემართათ ბანდის წევრებს?

იმ საშინელ ღამეს ლიატიევსკი მოუკლავს რაზმიოტნოვის ტყვიას. პოლოვცევს გასწრება მოუსწრია, მაგრამ ტაშკენტის ახლოს საბჭოთა მეურნეობაში შეიპყრეს. ლენინის ოცდახუთი ტომი ჰქონია ოთახში. როცა ჰკითხეს — რად გინდოდაო? — უპასუხნია: „მტერი რომ დაამარცხო — მისი იარაღი უნდა იცოდეო...“ (ტ. 7. გვ. 390). როსტოვში ჩამოყვანილმა ყველაფერი აღიარა, ყველა გასცა, მათ შორის პოლკოვნიკი სედოი-ნიკოლსკი, ხოლო ამ უკანასკნელმა დანარჩენები. დაიწყო დაპატიმრებანი. აზოვ-მავი ზღვის მხარეში ექვსასზე მეტი კაცი შეიპყრეს, მათ შორის ოსტროვნოვი და მისი შვილი. სიკვდილით დასაჯეს პოლოვცევი, ნიკოლსკი, კაზანცევი, პოდპოლკოვნიკი სავატეევი სტალინგრადის ოლქიდან და მისი ორი თანაშემწე. მათ გარდა მოსკოვში სხვა გვარით მცხოვრებ ცხრა ოფიცერსა და გენერალს აგრეთვე სიკვდილი მიესაჯა. ბანდის მხოლოდ ოთხი ხელმძღვანელი გადაურჩა დასჯას — უცხოეთში გაქცევა მოასწრეს, ბანდა ხომ საზღვარგარეთის კონტრრევოლუციასთან იყო დაკავშირებული.

მაგრამ როგორ წარიმართა ცხოვრება გრემიაჩი ლოგში?

ნაგულნოვის სიკვდილის შემდეგ ანდრეი რაზმიოტნოვი სა-ოცავში ჩაუდგა პარტიულ ორგანიზაციას. დავიდოვის ადგილი და-იკავა კონდრატ მაიდანიკოვმა — კოლმეურნეობის ახალმა თავმ-ჯდომარემ. კომკავშირულ უჯრედს წარმატებით უძღვება ივან ნა-იდენოვი. სამივე ღირსეულად თავკაცობს ხუტორის ცხოვრებას, ხოლო, თუ რამდენად ორგანიზატორული ნიჭით, შეიძლება დავრ-წმუნდეთ ვარკა ხარლამოვას მაგალითზე. როცა მათ შეიტყვეს, რომ ვარკა აღარ ბრუნდება ტექნიკუმში სასწავლებლად, გადა-წყვიტეს დახმარებოდნენ. ცხადია, ნიჭიერ გოგონას, დავიდოვის სიკვდილის შემდეგ, სწავლის გაგრძელება მართლაც აღარ შეეძლო (ვინ შეინახავდა უსასოოდ დარჩენილ მის ოჯახს). ამიტომ, დავი-დოვის სურვილი რომ ასრულებულიყო, თანაც ვარკას ნიჭი არ და-კარგულიყო, რაზმიოტნოვმა შეიტანა წინადადება: ვარკა ისევ გა-ეგზავნათ მილეროვოს ტექნიკუმში სასწავლებლად, ოჯახი კი აე-ყვანათ კოლმეურნეობის კმაყოფაზე. ივან ნაიდენოვი, გრემიაჩი ლოგის ახალგაზრდობის მეთაური, აღტაცებაში მოვიდა რაზმიოტ-ნოვის წინადადებით, რასაც მან და მაიდანიკოვმა ერთსულოვნად მხარი დაუჭირეს (ტ. 7, გვ. 392). რაზმიოტნოვმა, რომელიც მაი-დანიკოვის თხოვნით ქალაქ შახტში იყო წასული კოლმეურნეობი-სათვის ლოკომობილის შესაძენად, შემდეგი ამბავიც უთხრა მე-გობრებს: შახტში ქუჩაზე მიმავალი ლუშკა ნაგულნოვა ვნახე, ისე გასუქებულა, ძლივს ვიცანი, გვერდით მამაკაცი მიჰყვებოდა. არ უნდოდა ჩემი გამოცნობა, არც საუბარი, მაგრამ ვაიძულე და მითხრა: „ოდესღაც ვიყავი ნაგულნოვა, ოდესღაც ვიყავი ლუშკა, ახლა კი ლუკერია ნაკიტიჩნა სვირიდოვა ვარო. ეს ჩემი ქმარია, სამთო ინჟინერი სვირიდოვი, გაიცანითო" (ტ. 7, გვ. 392). ვერც კი მოასწრო ორის დაკრძალვა, ტიმოშკასი და მაკარისა, უკვე მესა-ზეს გაჰყვაო, — სევდიანად შენიშნა ანდრეი რაზმიოტნოვმა.

არის აქ, რომანის ფინალში, კიდევ სამი ადგილი, რომელიც შეუძლებელია მკითხველმა ღრმად არ განიცადოს:

პ ი რ ვ ე ლ ი ა ავტორის ლირიკული რემარკა: «...Вот и отпели донские соловьи дорогим моему сердцу Давыдову и Нагульнову, отшептала им поспевающая пшеница, отзвенела по кам-

ням безымянная речка, текущая откуда-то с верховьев Гремячего буерака... Вот и все!» (ტ. 7, გვ. 385);

მ ე ო რ ე ა — რაზმიოტნოვის მისვლა მეუღლის — ევდოკიას საფლავზე, გოდება და სინანული, რომ მის უკანასკნელ სავანეს კარგად არ უელის, დროს ვერ პოულობს, მაგრამ აპატიოს, რაკი კვლავ უყვარს, ვერ ივიწყებს; ერთადერთად მიაჩნია;

მესამეა — ისევ ავტორის ლირიკულ-ეპიკური რემარკა, ცოლის საფლავთან რაზმიოტნოვის ზემოთმოყვანილი სიტყვების შემდეგ: «Он долго стоял с непокрытой головой, словно прислушивался и ждал ответа, стоял не шевелясь, по-стариковски горбясь. Дул в лицо ему теплый ветер, накрапывал теплый дождь... За Доном бело вспыхивали зарницы, и суровые, безрадостные глаза Разметнова смотрели уже не вниз, не на обвалившийся край родной могилки, а туда, где за невидимой кромкой горизонта алым полымем озарялось сразу полнеба и, будя к жизни засыпающую природу, величавая и буйная, как в жаркую летнюю пору, шла последняя в этом году гроза» (ტ. 7, გვ. 393).

ეს არის მრავლისმთქმელი ფინალი, რომლითაც მთავრდება რომანი, და ჩვენც ამით დავამთავროთ „გატეხილი უამირის“ დახასიათება.

მაგრამ არ გვინდა მკითხველმა იფიქროს, რომ ასე ვრცელი გადმოცემით თითქოს შევიძელით რომანი სრულიად გაგვეცნო მისთვის. არა, ეს შეუძლებელია. ვისაც სურს შოლოხოვის ეს ნაწარმოები, ისევე, როგორც სხვა თხზულებანი, სრულად გაიცნოს, მან თვით შოლოხოვს უნდა მიმართოს და არა კრიტიკოსს. „გატეხილი უამირი“, „წუნარი დონი“, „ისინი სამშობლოსათვის იბრძოდნენ“ ისეთი რანგის მხატვრული შედევრებია, იმდენი მასალისა და საკითხების შემცველია, რომ ვერცერთი კრიტიკოსი ვერ მოაბერხებს მათს სრულ ანალიზს, თუ მოცულობით თითოეულ მათგანზე ორჯერ უფრო დიდი გამოკვლევა არ დაწერა. ყოველი გვერდი ამ რომანებისა განზოგადების, მსჯელობის არა მარტო საბაბს, ვრცელ მასალასაც იძლევა და კრიტიკოსი ძნელად თუ შეიძლებს სანახევროდ მაინც გადაწყვიტოს მის წინაშე მდგარი ამოცანა. „წუნარი დონის“ ანალიზის დროს ჩვენ ვილაპარაკეთ ამ სირთულეზე, „გატეხილმა უამირმა“ ერთხელ კიდევ გვაიძულა ეს ჰეშ-

შარიტება გვეუბნება, რაც შეეხება ბოლო რომანს— „ისინი სამშობლოსათვის იბრძოდნენ“, ისიც ამ კატეგორიაშია, ვინაიდან ავტორი შოლოხოვია და შოლოხოვს კი ყველა ნაწარმოებში სინამდვილის ფართო, პანორამული წარმოსახვა, წინააღმდეგობებითა და გრადაციებით დატვირთული ფაბულების ბოლოდ შოლოხოვისებური განვითარება ახასიათებს. მხატვრული ოსტატობის ამ სიმაღლეებს სრულად ჩვენება, თითოეული ნაწარმოების თუნდაც შინაარსების უბრალო გადმოცემა, კრიტიკოსის ძალებს, როგორი ნიჭიც არ უნდა ჰქონდეს, ბევრად აღემატება, თუ ის ერთ მონოგრაფიას წერს და არა გამოკვლევათა სერიას. მონოგრაფიათა სერიამ შეიძლება მოგვცეს საბურველი შედეგი, ისიც ყველაზე საუკეთესო შემთხვევაში. ამიტომ მკითხველმა კრიტიკოსს მხოლოდ დასახმარებლად უნდა მიმართოს და არა შოლოხოვის მხატვრული შემოქმედების სრულად გაცნობისათვის. ჩვენი დებულება ნათლად გასაგები რომ იყოს, თანაც უფრო დასაბუთებული, მივუთითებთ პარალელური ფაბულების, პეიზაჟების, დიალექტების შესახებ, რაც შოლოხოვის ყველა ნაწარმოებში ასე ფართოდ გვხვდება და რომელთა განხილვა აუცილებელია.

თუ კრიტიკოსებს თავს დავანებებთ, ოდნავ დაკვირვებული მკითხველიც კარგად იგრძნობს, რომ შოლოხოვის რომანებში გაბატონებული ადგილი უკავია პარალელურ ფაბულებს, რომლებსაც გარკვეული ფუნქცია აქვთ დაკისრებული. ეს ფაბულები ისე ორგანიულად ექსოვებიან ძირითად ფაბულას, როგორც ძვირფას ხალიჩაში ჩვენ ვხვდებით ბრავალფერად ძაფებს, ცალკე რომ გვაგრძნობინებენ თავის თავს და ერთ მთლიანსაც ჰქმნიან. ისეა, როგორც მუსიკალურ ნაწარმოებში ინტერმეცო, და შემთხვევითი როდი იყო, როცა შოლოხოვის პროზას მუსიკას ადარებდნენ. შოლოხოვის ძირითად ფაბულაში ყოველთვის გვხვდება ფაბულა — ინტერმეცო, როგორც ჩართული მასალა. ამ ფაბულების ჩართვა ხდება დიალოგების, ცალკე გმირების თხრობისას ან კიდევ ავტორისეული ვრცელი რემარკების გზით. ისინი აცოცხლებენ სიუჟეტს, თავიდან გვაცილებენ მოსალოდნელ სიცივეს, ძირითადი ფაბულის განვითარებაში მოჩვენებითი ხარვეზის გაჩენისას. და რას არ ვეცნობით, როცა პარალელურ ფაბულებს ვკითხულობთ: ადათს, წესს, დიალექტებს, მორალს, კოლორიტს, ყოფა-ცხოვრების დეტალებს,

ისტორიულ პარალოგიზმებს, ეკონომიკისა და კულტურის წვრილმანებს, ხასიათების ნიუანსებს, ეთნოგრაფიულ შტრიხებს, ათასგვარ თავგადასავალს, რომლებიც გვაიძულებენ სულ დაძაბული ვიყოთ, სულ ახალ-ახალ ამბავთა მოლოდინში სული მღელვარებდეს. მრავალთა შორის კლასიკურია დავიდოვისა და ივანე არქანოვის დიალოგები, როცა ისინი ბრიგადაში მიემგზავრებიან. ივანე ჰყვება თავისი მამის — ფედორის თავგადასავალს, თუ როგორ სცემეს მას სასიკვდილოდ სხვის ცოლთან ცხოვრებისათვის. როცა გონს მოვიდა, ფედორმა ვერავის გაუმხილა მიზეზი, ვერც ცოლსა და ვერც მღვდელს, თუმცა კარგად იცოდა, ვინ სცემა და ვინ გასწირა სასიკვდილოდ. ის ხომ „საშინლად მაგარი კაცი" იყო. მხოლოდ ორი თვის შემდეგ, სიკვდილის წინ, უთხრა შვილს — თორმეტ-ცამეტი წლის ვანიას — ავერიან არხიპოვმა და მისმა ორმა ძმამ ათანასემ და სერგეიმ მცემაო. მე ვთხოვე მათ, ვიდრე აზრზე ვიყავი, იქვე მოეკალით, მაგრამ ავერიანემ მითხრა — „ადვილი სიკვდილი არ გექნებაო", ტანჯვით უნდა მოკვდეო. ფედორი შვილს სთხოვს — არავის არაფერი უთხრას, მით უფრო დედას, მაგრამ როცა გაიზრდება — ავერიანე მოჰკლას, მამისათვის შური იძიოს (გვ. 60—63).

ეს პარალელური ფაბულა — ვრცელი მოთხრობა გამოვიდოდა, შოლოხოვს რომ ცალკე ნაწარმოებად დაეწერა შოლოხოვისებურად და რამდენია ასეთი პარალელური ფაბულები თუნდაც ერთ რომანში — „გატეხილი ყამირი".

საერთოდ, პარალელური ფაბულები იმდენია, რომ ცალკე გამოკვლევის თემაა. ახლა ბუნების სურათები? შოლოხოვის პეიზაჟებზე ვრცელი მონოგრაფია შეიძლება დაიწეროს. მას უყვარს ბუნება, ბუნების წიაღში მოქმედებენ მისი რომანების გმირები, რომლებიც პეიზაჟებსა და პანორამებს მთელი თავიანთი ცხოვრების მანძილზე ხედავენ. ხშირად ძუნწი, ასევე ხშირად ვრცელი აღწერა ბუნებისა შოლოხოვის რომანებს აძლევენ იმ სურნელებას, რასაც ჩვენ ზოგჯერ კოლორიტს ვეძახით, თუმცა შეგნებული გვაქვს, რომ კოლორიტი მარტოოდენ პეიზაჟი ან მარტოოდენ პანორამა არ არის, კოლორიტი მრავალი კომპონენტის ერთიანობაში ამყარებს თავის სრულყოფილებას, როგორც მთლიანი ფენომენი. ეს კომპონენტებია ბუნება, ხასიათები, ენა, ზნე-ჩვეულება,

ტანსაცმელი, ათასგვარი ცხოვრებისეული წვრილმანი, რომელიც სპეციფიკურს შეიცავს. მაგრამ პეიზაჟი, პანორამა — ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია კოლორიტისა, თუ მწერალი მარტო იმით კი არ კმაყოფილდება, რომ ჩრდილოეთის ციალი სამხრეთის ხორშაკისაგან გაარჩიოს, არამედ, განგვაცდევინებს იმ დამახასიათებელ გარემოს, რაც მისი გმირების სამოქმედო ატმოსფეროს წარმოადგენს. შოლოხოვი ზოგან ერთი შტრიხით აღწერს პეიზაჟს თუ პანორამას, ზოგან ერთი ამბავით, ზოგან კიდევ ნახევარი ან ერთი გვერდით, მაგრამ არსად საჭიროებს გვერდებს, მსგავსად კლასიკოსი რომანტიკოსებისა, თუმცა მისი პეიზაჟები ყველგან რომანტიკულად ამაღლებულია მკაცრი რეალისტური ფერადოვნებით.

ყველა ეს საკითხი ცალკე შესწავლას, დეტალურ ანალიზს მოითხოვს, დიალექტები — სპეციალურ გამოკვლევას. მოდით და ნუ დაიჯერებთ, რომ ამდენი რთული ამოცანის ერთ მონოგრაფიაში სრულყოფილი გადაწყვეტა კრიტიკოსის ძალებს აღემატება და ის იძულებულია, როგორი ვრცელიც არ უნდა იყოს მისი ნაშრომი, მარტოოდენ დამხმარე ფაქტორის როლით დაკმაყოფილდეს. ბეტი პრეტენზია ჩვენ არა გვაქვს. მიზეზი — თვით შოლოხოვია, მისი შემოქმედების ოკეანისებური სიდიდე.

ამ გრძნობებითა და აზრებით ვაგრძელებთ დონის მოთხრობების, „წყნარი დონისა“ და „გატეხილი ყამირის“ შემდეგ მიხეილ შოლოხოვის მხატვრული შემოქმედების კრიტიკულ ანალიზს, მის შესწავლას. მხედველობაში გვაქვს დიდი სამამულო ომის თემაზე დაწერილი თხზულებანი, რომლებშიაც შოლოხოვის ბრწყინვალე ტალანტმა თავისი ორიგინალური სიტყვა სთქვა. ეს სიტყვა ორიგინალური იყო იმ მხრივაც, რომ კონკრეტულს ზოგადი სახე მისცა, ხოლო ზოგადში კონკრეტულის არსება უნივერსალურად გახსნა. საილუსტრაციოდ „ბედი კაცისა“ შეიძლებოდა დაგვესახელებინა, პატარა, მაგრამ დიდი შემოქმედებითი ძალის მოთხრობა, რომელშიაც ქვეყანა ერთი ადამიანის პრიზმაში არაჩვეულებრივი განფენილობით წარმოისახა.

V

ჭვეყანა ერთი ადამიანის პრიზმაში

„ბედი კაცისა“

როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, შოლოხოვის დიდი ტალანტი მთელი ძალით გამოჩნდა პატარა მოთხრობაში „ბედი კაცისა“, რომელიც 1957 წელს დაიწერა. ეს თითქოს ერთი ჩვეულებრივი კაცის თავგადასავალია, მაგრამ ანდრეი სოკოლოვის ფორტუნაში ეერთ მსოფლიო ომის მთელი სურათი იხატება. შოლოხოვის მხატვრული ძალა მოთხრობის ყველა გვერდზე იმდენად სრულია, რომ თქვენ კითხულობთ ნაწარმოებს, აღსავსეს „წყნარი დონისა“ და „გატეხილი ყამირის“ ყველაზე დაძაბული პასაჟებით. და რამდენი გრძნობა, მრისხანებისა და ლირიზმისა, ჩაქსოვილია სოკოლოვის თხრობაში, მისი ოჯახის საშინელი ხვედრის მაგალითზე.

ვორონეჟის გუბერნიაში 1900 წელს დაბადებული, სამოქალაქო ომის მონაწილე, ვასილ კიკვიძის სახელგანთქმული დივიზიის ვეტერანი—ანდრეი სოკოლოვი ბედმა თავიდანვე სასტიკად გაწირა. 22 წლის ყმაწვილს მამა, დედა, ერთადერთი და შიმშილით დაეხოცა. კაცი მარტოდ დარჩა. ხელობნობას მიჰყო ხელი. ჯვარი დაიწერა უდედმამოთა სახლში აღზრდილ, მასავით მარტოდ დარჩენილ რუს გოგონა ირინაზე. ქმრის უაღრესად მოყვარული, ნაზი, სათუთი ცოლი შეიქნა ირინა. „და არ იყო ჩემთვის მასზე უფრო ლამაზი და უფრო სასურველი, არ იყო ქვეყნად და არ იქნება“*,— ამბობს სოკოლოვი. მწერალმა დიდი ადამიანური სითბოთი აღწერა ანდრეისა და მისი მეუღლის ოჯახური ცხოვრების რამდენიმე სურათი, რითაც სრულად დახატა ირინას მიმზიდველი პიროვნება.

მოყვარულ ახალგაზრდა ცოლ-ქმარს მალე შვილებიც შეეძინათ. ჯერ დაიბადა ვაჟიშვილი — ანატოლი, შემდეგ კი ორი ქალიშვილი. რაკი ოჯახი გაიზარდა — სმის დრო აღარ იყო, — დასძენს სოკოლოვი. იგი სწავლობს აეტოსაქმეს და მძღოლად იწყებს მუშა-

---

* მიხეილ შოლოხოვი, „ბედი კაცისა“, 1960 წ. გვ. 9, რუს. გამოცემა. შემდეგში გვერდები ამ გამოცემიდან იქნება მითითებული.

ობას. ათი წელი გაატარა საჭესთან. შეუმჩნეველად და სწრაფად გავიდა ეს წლები. ბავშვები წამოიზარდნენ, ფრიადზე სწავლობდნენ, ოჯახში სიხარული და ბედნიერება დამყარდა. ანატოლის ბრწყინვალე ნიჭი აღმოაჩნდა მათემატიკაში, გაზეთმაც აღნიშნა მისი წარმატება.

ათი წლის შრომამ ამაოდ როდი ჩაიარა. აბალგაზრდა ცოლქმარმა ავტოქარხნის ახლოს ოროთახიანი ბინა აიშენა საკუჭნაოთი და დერეფნით. ბავშვებს რძე და საჭმელი არ აკლდათ — ირინა ღნარიანი დიასახლისი შეიქნა. ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ...

ჩემი ქოხმახი სხვა ადგილზე რომ ყოფილიყო, შეიძლება ჩემი ცხოვრებაც სხვანაირად მოეწყობოდაო, — ამბობს განაწამები სოკოლოვი. თუ რატომ იქნებოდა ასე, მხოლოდ შემდეგ გავიგებთ.

იწყება ომი. მეორე დღეს სამხედრო კომისარიატში მიჩქარა და მესამე დღეს — ფრონტზე გამგზავრება. ეს სცენა შოლოხოვმა მისთვის ჩვეული დიდი ოსტატობითა და დიდი უშუალობით გადმოგვცა. აქ არის ერთი დეტალი, რომელსაც გვინდა მკითხველის ყურადღება მივაქციოთ.

სოკოლოვს ფრონტზე მთელი ოჯახი აცილებდა: ირინა, ანა-, ტოლი, ნასტია და ოლია. ბავშვებს ყოჩაღად ეჭირათ თავი, თუმცა გოგონებს უცრემლოდ როდი შეეძლოთ მამასთან გამოთხოვება. ანატოლი უკვე მეჩვიდმეტე წელში იყო გადამდგარი, მას ყველაფერი კარგად ესმოდა, ბუნებრივია, მამასთან განშორებას იგი შინაგანად მწვავედ განიცდიდა. ნაზი და ქმრის უსაზღვროდ მოსიყვარულე ირინა ყველაზე საცოდავი ჩანდა. „ასეთი მე ის არასოდეს მინახავს მთელი ჩვენი ერთად ცხოვრების ჩვიდმეტი წლის განმავლობაშიო", — შენიშნავს სოკოლოვი. მთელი ღამე და მეორე დღესაც ირინა ცხარე ცრემლებს ღვრიდა. ქმარს ეხვეოდა, არ შორდებოდა, ვერც ქმარმა და ვერც შვილებმა ვერ შეძლეს მისი დაწყნარება. ტოტზე მიკრული ფოთოლივით ქმარს არ შორდება, ცახცახებს, არაფერს ამბობს. მხოლოდ ბოლო წუთებში ამოიდგა ენა და წარმოთქვა: „... ანდრიუშა... ველარ ვნახავთ... ჩვენ ერთმანეთს... მეტად... ამ... ქვეყანაზე"...

უფრო დაწვრილებით ამ სცენის გადმოცემა ძნელია. მაშინ შოლოხოვი უნდა იყო. წაიკითხეთ და მთელი არსებით შეიტყობთ

ორივეს უღრმეს შინაგან ტკივილს. განა თვით სოკოლოვისათვის ადვილი იყო განშორება? ამას ემატებოდა ირინას გულისმომკვლელი სიტყვებიც. რაკი თხოვნა-მუდარამ და შეგონებამ არ გასჭრა, სოკოლოვმა თავის საყვარელ, ერთგულ მეუღლეს „მსუბუქად ხელი ჰკრა მხრებში"... ქალი იატაკზე მობრუნდა, მოეხვია ქმარს, სოკოლოვმა იგრძნო, რომ ირინა თავის თავს ვეღარ იმორჩილებდა...

როცა ამ განშორებას იგონებდა, სოკოლოვს ცრემლი მოერია, აცახცახდა, ძველი ჭრილობა გაეხსნა, მღელვარება დაეუფლა. შემდეგ კი ენით გამოუთქმელი სინანულით დასძინა, რომ თვით სიკვდილამდე თავის თავს არ პატიებდა ირინასადმი მაშინდელ მოქცევას — ხელისკვრას. უკანასკნელად აკოცა ძვირფას მეუღლეს და იგრძნო ყინულივით ცივი ტუჩები. ბავშვებსაც გამოეთხოვა და ადგილიდან უკვე დაძრულ მატარებელს შეახტა.

მძიმე და საშინელია ეს განშორება — მოგონება კიდევ უფრო მწარეა, ანდრეის გულს დანასავით უსერავს.

მაინც რა მოხდა? რატომ არის საშინელი და აუტანელი ეს მოგონება?

მიეყვეთ მოთხრობის შინაარსს და ყველაფერი გავიგოთ.

ფრონტზე მყოფ სოკოლოვს საბარგო მანქანით „ზის-5" სამხედრო საჭურველი გადააქვს. იგი თავდადებულად მუშაობს და იბრძვის გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ. ერთ-ერთი რთული ოპერაციის დროს ტყვედ ჩავარდება, 1942 წლის მაისში, ასე რომ, ერთ წელსაც არ გაუვლია ფრონტზე წასვლის შემდეგ. სოკოლოვის ტყვეობას შოლოხოვი აგვიწერს მისთვის დამახასიათებელი ოსტატობით. რა არ არის აქ: ტყვეების განუკითხველი ხოცვა-ჟლეტა, ცოცხლად დარჩენილთა ტანჯვა, დამცირება, მაროდერობა, ჯოჯოხეთური კარცერები, ერთი სიტყვით, უფრო საშინელი ინკვიზიციური წამების გააზრებაც კი შეუძლებელია. როცა ჩავარდა, სოკოლოვი დაჭრილი და უგონო იყო. გონს მოსვლის შემდეგ მისი წამება, არაადამიანური შრომა ყოველგვარ საზღვარს სცილდება. ეს ოდესღაც წარმოსადეგი, ჩაფსკვნილი კაცი, ჩონჩხად იქცა, მაგრამ უდრეკ ვაჟკაცურ სულს მაინც ინარჩუნებს. ბანაკში ის შეხვდება ვინმე კრიუნევს. რომელიც გამყიდველი აღმოჩნდება. ერთერთ რუს ტყვეს კრიუნევი ემუქრება — ხვალვე დაგაბეზღებ, კო-

მუნისტი რომ ხარო. ღონემიხდილი სოკოლოვი გადაწყვეტს ღამით ბოლო მოუღოს გამყიდველს, თან ეშინია — ეყოფა კი საკუთარი ძალა მოღალატის დასახრჩობად? იმ კაცის დახმარებით, ვინც კრიჟნევმა უნდა გასცეს, ანდრეი საკუთარი ხელებით ახრჩობს კრიჟნევს. „პირველად ჩემს ცხოვრებაში ადამიანი მოვკალიო“ გვ. 23), — ამბობს ანდრეი სოკოლოვი. დიაღ, მოჰკლა, მაგრამ განა ბოღალატის, გამცემის, სამშობლოს მტრის მოკვლა ცოდვად ითვლება?

პოზნანში ყოფნისას სოკოლოვი ახერხებს ბანაკიდან გაქცევას. დასუსტებული და დავრდომილი კაცი დღე-ღამეში გაივლის ორმოც კილომეტრს. უკმელ-უსმელი ოთხი დღე მიდის საბჭოთა ჯარების განლაგებისაკენ, მაგრამ სწორედ მეოთხე დღეს ფაშისტები შეიპყრობენ და დილეგში ჩააგდებენ. დღეს ყველამ იცის, თუ რას წარმოადგენდა ფაშისტური დილეგი, ფაშისტური კარცერი.

იწყება სოკოლოვის ახალი საშინელი ოდისეა. მთელი ნახევარი გერმანია ტანჯვით მოატარეს. ჰყავდათ საქსონიაში, რურის ოლქში, ბავარიასა და ტურინგიაში. სცემდნენ, შიმშილით ჰკლავდნენ, დასცინოდნენ. ქალაქ კიუსტრინის ბანაკში, დრეზდენის ახლოს, სოკოლოვი ორი ათას საბჭოთა ტყვესთან ერთად მუშაობს ჭის კარიერებზე. სწორედ ამ დროს გამოიძახებს მას გერმანელი კომენდანტი მიულერი, რომელიც თავისი სადიზმითა და მხეცობით შიშის ზარსა სცემს ყველას. 331 ნომერი ტყვე — სოკოლოვი დგას მიულერის წინაშე. რომელიც ხელში რევოლვერს ათამაშებს და დაცინვით ეუბნება მას — ახლავე საკუთარი ხელით დაგხვრეტო. რატომ? მხოლოდ იმიტომ, რომ ოთხი კუბომეტრი მიწის ამოთხრა სოკოლოვმა მეტისმეტად დიდ ნორმად მიიჩნია, მაგრამ ხდება სოკოლოვისათვის სრულიად მოულოდნელი რამ: დახვრეტის წინ მას სასმელი მიაწოდა მიულერმა, ისიც სამჯერ. სოკოლოვმა სამივეჯერ დასცალა. ეს სცენა მოთხრობაში, როგორც სჩანს, ზუსტად აღებულია სინამდვილიდან, რაც თავს გადახდა გრიგოლ დოლნიკოვს — ამჟამად ჩვენს ერთ-ერთ განთქმულ გენერალს. ამის შესახებ ჩვენ პირადად გვქონდა საუბარი მასთან და თავს უფლებას მივცემთ შინაარსის გადმოცემის შემდეგ მკითხველს ზოგიერთი რამ გავაცნოთ ხსენებული გმირული ისტორიიდან.

მოხდა ისე, რომ მიულერმა არ დახვრიტა სოკოლოვი, რაკი ამ უკანასკნელმა სიკვდილის წინ ვაჟკაცობა გამოიჩინა. მცირეოდენი პური და ღორის ქონიც მისცა. სოკოლოვმა ეს მცირეოდენი საჭმელი ბანაკში დაბრუნებისას ტანჯულ მეგობრებს გაუნაწილა. მეორე დღიდან ისევ გაგრძელდა ოდისეა. მალე ტყვეები რურის ოლქში გადაიყვანეს სამუშაოდ. იქ სოკოლოვმა დაჰყო 1944 წლამდე. ეს ის პერიოდია, როცა ძლევამოსილმა საბჭოთა არმიამ გამარჯვება-გამარჯვებაზე მოიპოვა და ფაშისტები მთელ ფრონტზე უკან იხევდნენ. რაკი საკუთარი ძალები აღარ ჰყოფნიდათ, ჰიტლერელებმა საბჭოთა ტყვეებს შორის ძებნა დაუწყეს ავტომანქანის მძღოლებს. ანდრეი სოკოლოვიც წაიყვანეს პოტსდამში და მანქანაზე დასვეს, როგორც მძღოლი. ორი კვირის მანძილზე „ოპელ-ადმირალით“ ანდრეის გერმანელი ინჟინერ-მაიორი დაჰყავს პოტსდამიდან ბერლინში. ერთხელ ისინი ჩავიდნენ ქალაქ პოლოცკში. სოკოლოვის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა იქ პირველად გაიგონა, ორი წლის შემდეგ, ომის ღმერთის — არტილერიის, საბჭოთა არტილერიის მძლავრი გრუხუნი. ტყვედ ჩავარდნის პირველივე დღიდან სოკოლოვი ხომ გაქცევაზე ფიქრობდა, მაგრამ ხელსაყრელი პირობები არ იყო, გარდა ერთი შემთხვევისა, რაც კატასტროფით დამთავრდა. პოლოცკში კი იგრძნო, რომ დადგა მომენტი, როცა შეეძლო დიდი ხნის ოცნება განეხორციელებინა. 29 ივნისს დილით, გერმანელმა ინჟინერ-მაიორმა უბრძანა მას წაეყვანა ქალაქგარეთ ტროსნიცის მიმართულებით. სოკოლოვმა ავტომანქანა გაიტაცა გერმანელ ინჟინერ-მაიორთან ერთად, წაიღო მთელი მისი ავლა-დიდებაც. ოპერაცია წარმატებით დამთავრდა. სოკოლოვი უკვე საბჭოთა ნაწილშია და პოლკოვნიკი მადლობას უხდის მაგიცაობის გამოჩენისათვის, მთავრობის ჯილდოზე წარდგენასაც ჰპირდება. საბჭოთა ადამიანების გულთბილმა დამოკიდებულებამ, ზრუნვამ, მოვლამ სიხარულით აავსო სოკოლოვის გული, რომელიც „ორი წლის მანძილზე გადაჩვეული იყო ადამიანურ მოპყრობას“ (გვ. 36).

ჰოსპიტალში სამკურნალოდ მოთავსებული სოკოლოვი წერილს უგზავნის ირინას, მაგრამ პასუხს ვერ ღებულობს. სამი კვირის შემდეგ ვორონეჟიდან ბარათი მოდის, მაგრამ ეს წერილი ირინასი კი არ არის, მეზობელ ივან ტიმოფეევიჩისაა. „ღმერთო,

ნურავის ნუ მიაღებინებ ასეთ წერილებსო!“ (გვ. 37), — ამბობს გულმოკლული ანდრეი სოკოლოვი. ივანემ თავის მეზობელს საშინელი, ტრაგიკული ამბავი აცნობა: 1942 წელს გერმანელებმა დაბომბეს საავიაციო ქარხანა (როგორც ვიცით, სოკოლოვის სახლი ამ ქარხნის ახლოს იდგა), ერთი მძიმე ბომბი პირდაპირ მოხვდა შენს სახლს, ირინა და ნასტია შინ იყვნენ და მათგან ღრმა ორმოს გარდა არავითარი კვალი არ დარჩაო.

ასეთ საშინელ ბარათს, ცხადია, სოკოლოვი ბოლომდე ვერ წაიკითხავდა. თვალთ დაუბნელდა, გული შეეკუმშა.

დიდი ტანჯვის შემდეგ, როგორც იქნა, სოკოლოვმა წერილი ბოლომდე წაიკითხა. ბოლოს კი ეწერა, რომ დაბომბვის დროს ანატოლი ქალაქში იყო; როცა საღამოს დაბრუნდა, ნახა მხოლოდ ორმო და იქ აღარ გაჩერებულა, შეძრწუნებულმა ყმაწვილმა ისევ ქალაქს მიაშურა. წასვლის წინ კი მეზობელს უთხრა: ფრონტზე მოხალისედ წავალო.

მთელი ორი წლის მანძილზე, ტყვეობაში ყოფნის დროს, სოკოლოვი სიზმრად ხედავდა ცოლ-შვილს. ეს სიზმრები რატომღაც ყოველთვის მძიმე, საშინელი იყო. როცა შეიტყო რაც ოჯახს დაემართა, მიხვდა, რომ ის თურმე მთელი „ორი წლის მანძილზე მიცვალებულებს ელაპარაკებოდა“ (გვ. 37).

პოლკოვნიკი ერთთვიან შვებულებას აძლევს სოკოლოვს ვორონეჟში გასამგზავრებლად. ანდრეი ფეხით მოივლის იმ ადგილებს, სადაც მისი ოჯახი ოდესღაც ცხოვრობდა. მკითხველი ადვილად წარმოიდგენს, თუ რა აუტანლად მძიმე იქნებოდა მისი განცდა. ერთი საათიც ვერ შეიძლო იქ დარჩენა და იმავე დღეს უკანვე დაბრუნდა დივიზიაში.

სამი თვის შემდეგ სოკოლოვს ბედმა გაუღიმა: მიიღო ვაჟიშვილის — ანატოლის წერილი ფრონტზე. მამის ადრესი ანატოლის ივანე ტიმოფეევიჩისაგან გაუგია. შვილისაგან მამამ შეიტყო. რომ მოხალისედ ჯარში წასვლის შემდეგ ანატოლის უსწავლია საარტილერიო სასწავლებელში, ძალიან გამოდგომია მათემატიკური ნიჭი, ერთ წელიწადში დაუმთავრებია სკოლა, ფრონტზე წასულა, გამხდარა კაპიტანი, ბატარეის მეთაურიც, უკვე ექვსი ორდენისა და მედლის კავალერი. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა სიხარუ-

ლი უნდა განეცადა ტანჯულ მამას. მაგრამ სოკოლოვს ბედმა ისევ უმტყუნა. სწორედ გამარჯვების დღეს, დილით, გერმანელი სნაიპერის ტყვიას ანატოლი მოუკლავს. განაწამები სოკოლოვი, უკვე ხანში შესული, უკანასკნელად ეთხოვება თავის ვაჟიშვილს — საყვარელ ტოლიას, რომელიც კუბოში წევს. „ჩემი შვილი წევს კუბოში და ჩემი არ არის. ჩემი — ეს ყოველთვის მომღიმარი, მხარმოკლე ბიჭუნა იყო... აქ კი წევს ახალგაზრდა, მხრებიანი, ლამაზი მამაკაცი, თვალები ნახევრად დახურული აქვს, თითქოს ის სადღაც იყურებოდეს ჩემს ახლოს, ჩემთვის უცნობ შორეულ შორეთში“ (გვ. 40). უკანასკნელად აკოცა მამამ თავის გაცივებულ ვაჟიშვილს, უკანასკნელად გამოეთხოვა მას. პატივით დაკრძალეს ანატოლი უცხო გერმანულ მიწაში და იქვე დაიმარხა სოკოლოვის უკანასკნელი სიხარული, უკანასკნელი იმედი.

ამ ტრაგედიის შემდეგ სოკოლოვი დაბრუნდა თავის ნაწილში და მალე დემობილიზებული იქნა. „სად წავიდე? ნუთუ ვორონეჟში? არავითარ შემთხვევაში!“ (გვ. 40), — ამბობს სოკოლოვი. და ის წავიდა თავის მეგობრებთან, რომლებიც ურიუპინსკში ცხოვრობენ.

სოკოლოვის ურიუპინსკელი მეგობრები — ცოლი და ქმარი უშვილონი იყვნენ, ქალაქის განაპირას საკუთარი პატარა სახლი ჰქონდათ. ქმარი მძღოლად მუშაობდა, თუმცა ინვალიდი იყო. სოკოლოვმაც მძღოლად დაიწყო მუშაობა, თავის მეგობართან ერთად სხვადასხვა ტვირთს ეზიდებოდა რაიონში. სწორედ ამ დროს, როცა ელევატორიდან პურს ეზიდებოდა, ანდრეიმ დაინახა ბედის ანაბარა მიტოვებული პატარა ბიჭუნა. ის საჩაიესთან ახლოს ატარებდა დღეებს, ცხოვრობდა იმით, რასაც კეთილი ადამიანები უწყალობებდნენ. მტვერსა და ტალახში მოსვრილი, დაუვარცხნელი, დახეული ტანსაცმელით — მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებდა. სოკოლოვს რაღაც განსაკუთრებული გრძნობით შეუყვარდა ეს პატარა ბიჭუნა, რომელსაც მამა ფრონტზე დაეკარგა, ხოლო დედა მატარებლის დაბომბვის დროს დაიღუპა, თვითონ კი რაღაც სასწაულით გადარჩა. ბიჭუნასადმი სოკოლოვის სიყვარული ისე გაძლიერდა, რომ სევდაც შეეპარებოდა ხოლმე, როცა დაუგვიანდებოდა, ცდილობდა რეისიდან მალე დაბრუნებულიყო მის სანახავად.

შოლოხოვმა ისე მაღალი გრძნობით, ისეთი ოსტატობით გვიჩვენა სოკოლოვის შინაგანი განცდები ამ პატარა ბიჭუნასთან დაკავშირებით, რომ შეუძლებელია მკითხველი არ მოიხიბლოს. ადამიანი, რომელმაც ყველაფერი დაჰკარგა, რაც ცააჩნდა, გადაიტანა ომის ყველა საშინელება, მაინც რჩება მაღალი ჰუმანური აზრებისა და გრძნობების განსახიერებად. არის მის პიროვნებაში რაღაც დიდი, რაღაც შინაგანი იმპულსი სიკეთისა და სამართლიანობისადმი. მაგრამ ეს არ არის მარტოოდენ ალტრუისტული გრძნობა. ამ გრძნობას ემატება კიდევ რაღაც ძლიერი, ცხოვრების ხანგრძლივ გზაზე, ხანგრძლივ ტანჯვასთან ორგანიულად ასოცირებული ფერმენტი. ვისაც სოკოლოვის თუნდაც რომელიმე ცხოვრებისეული შტრიხი თავის არსებაში ერთხელ მაინც უგრძვნია, ის ადვილად მიხვდება ამ განცდების მთელ სიღრმე-სიგანეს. სოკოლოვი რომ სოკოლოვი არ ყოფილიყო, ის შეიძლება ყურადღებასაც არ მიაქცევდა საჩაიესთან მარტოდ დარჩენილ ბიჭუნას. მაგრამ სოკოლოვი სოკოლოვია და მის არსებაში ცხოვრებამ ყველაფერი მოათავსა, რაც ადამიანურ ინსტანციებს შეიცავს. ის მთელი არსებით განიმსჭვალა ბიჭუნასადმი სიბრალულისა და სიყვარულის გრძნობით. იქ კი, სადაც ეს ორი გრძნობა ერთიანდება, წარმოიშვება კიდევ უფრო ამაღლებული გრძნობა — გრძნობა მამობრივი მოვალეობისა.

და, აი მეოთხე დღეს სოკოლოვი საჩაიესთან ხედავს ბიჭუნას, რომელიც, ყველაფრიდან ჩანს, მშიერია. მანქანის ფანჯრიდან ანდრეი თავისთან მიიხმობს ვანიუშკას, რომელიც გაოცებული რჩება, თუ საიდან იცის ბიძიამ მისი სახელი. გახარებული ბიჭუნა გვერდით მიუჯდება მანქანაში სოკოლოვს, ეს უკანასკნელი კი თვალს არ აშორებს შეწუხებულ, დაღერემილ პატარა მგზავრს. გულში ჩაწვდომია სოკოლოვის სიტყვები: „ასე პატარა ჩიტია, მაგრამ წუხილი უკვე უსწავლიაო“ (გვ. 41).

როცა ანდრეი სოკოლოვმა შეიტყო ბიჭუნას სრული ობლობა, ცხარე ცრემლები დაღვარა, უმალ გადაწყვიტა ბედგანწირული შვილად აეყვანა. გადაწყვიტა და რაღაცნაირად სული გაუნათლდა. ჩუმი ხმით ჰკითხა ბიჭუნას: „ვანიუშკა, შენ კი იცი, ვინ ვარ მე?“

„ვინ?“

„მე — შენი მამა ვარ“ (გვ. 42).

ეს სცენა ისე ამაღელვებელია, ისე სულში ჩამწვდომია, რომ გადმოცემა შეუძლებელია. ვისაც ოდნავ მაინც განუცდია დაკარგული მშობლის ნაბვის უძლიერესი განცდა, ის უფრო მეტად გაიგებს ამ სცენის მთელ სიღრმეს. როცა ასეთი შემთხვევაა, ზოგი გონებასაც ჰკარგავს მღელვარებისაგან. და ჩვენ კარგად გვესმის სოკოლოვის მართალი სიტყვების მთელი სიგრძე-სიგანე: «Боже мой, что тут произошло! Кинулся он ко мне на шею, целует в щеки, в губы, в лоб, а сам, как свирель, так звонко и тоненько кричит, что даже в кабинке глушно: «Папка родненький! Я знал! Я знал, что ты меня найдешь! Все равно найдешь! Я так долго ждал, когда ты меня найдешь!» Прижался ко мне и весь дрожит, будто травинка под ветром. А у меня в глазах туман и тоже всего дрожь бьет, и руки трясутся... Как я тогда руля не упустил, диву можно даться! Но в кювет все же начаянно съехал, заглушил мотор. Пока туман в глазах не прошел, побоялся ехать: как бы на кого не наскочить. Постоял так минут пять, а сынок мой все жмется ко мне изо всех силенок, молчит, вздрагивает. Обнял я его правой рукою, потихоньку прижал к себе, а левой развернул машину, поехал обратно, на свою квартиру. Какой уж там мне элеватор, тогда мне не до элеватора было» (გვ. 42).

აქ ყველაფერი ზუსტად, დიდი ფსიქოლოგიური სიმართლითაა გადმოცემული; არაფერი მოგონილი, ზედმეტი არ არის, თუმცა მშვენივრად ვიცით, რომ ყველაფერი ეს მწერლის ფანტაზიის ნაყოფია, მაგრამ უაღრესად ცხოვრებისეული ფანტაზიის ნაყოფი. დამაჯერებლობა მხატვრული თხრობისა აქ უმაღლეს მწვერვალზეა აყვანილი და ჩვენ ისევე განვიცდით როგორც ანდრეის, ისე ვანიუშკას შინაგან სამყაროს, თითქოს თვით ჩვენ ვიყოთ ერთიც და მეორეც. დაძაბული, ტანჯვასა და სიხარულთან შეერთებული მძაფრი გრძნობაა, რომლის განცდა ყველა ადამიანს შეუძლია, თუ ის ადამიანია, თუ მას რაიმე ადამიანური შერჩენილი აქვს. და ჩვენ გვესმის სოკოლოვის სიტყვების მთელი სიმართლე, როცა გვეუბნება: მანქანა ჭიშკართან მივაგდე, ჩემი ახალი შვილიკო

ხელში ავიყვანე, სახლისაკენ წავიყვანე. ის კი, ჩემს კისერზე თავისი პატარა ხელებით მოხვეული, აღარ მშორდებოდა. თავის ლოყას ჩემს გაუპარსავ ლოყას ადებდა. როცა სახლში მივედი, ჩემს მეგობრებს ვუთხარი: „აი, ვნახე ჩემი ვანიუშკა! მიგვიღეთ ჩვენ, კეთილო ადამიანებო!“ (გვ. 43). უშვილო მასპინძლებმაც ყველაფერი შეიტყვეს, ცხადია, მიიღეს, ბიჭუნა კი სოკოლოვს არ შორდება. დიდი ვაი-ვაგლახით ანდრეიმ დაითანხმა ვანიუშკა ოდნავ ხელები გაეშვა; დაბანა, მაგიდასთან დასვა. დიასახლისმა საჭმელი აჭამა და ბავშვმა ვერ გაიგო, თუ რატომ ტირის დიასახლისი, როცა უნდა მხიარულობდეს, რაკი მამა-შვილმა ერთმანეთი იპოვეს.

სოკოლოვმა მართლაც არაჩვეულებრივი მამობრივი გრძნობა გამოიჩინა. ყველაფერი გაუკეთა შვილიკოს. ჩააცვა, დაახურა, დაბანა, გაპარსა და ღამით თავის ლოგინში ჩაიწვინა. ეს იყო ხანგრძლივი დროის მანძილზე პირველი ღამე, როცა სოკოლოვს მშვიდად ეძინა, თუმცა ღამით ოთხჯერ მაინც ადგა, რათა ბავშვისათვის დაეხედა და მოეველო. აქ იმდენი ცხოვრებისეული საყურადღებო დეტალია, რომ მკითხველი მთელ სინამდვილეს უაღრესად რელიეფურად ხედავს. აი, ერთი მათგანი: «Перед рассветом проснулся, не пойму, с чего мне так душно стало? А это сынок мой вылез из простыни и поперек меня улегся, раскинулся и ножонкой горло мне придавил. И беспокойно с ним спать, а вот привык, скучно мне без него. Ночью то погладишь его сонного, то волосенки на вихрах понюхаешь, и сердце отходит, становится мягче, а то ведь оно у меня закаменело от горя...» (გვ. 44).

აიღეთ მეორე დეტალი: ბიჭუნა თავის ახლადშეძენილ მამიკოს გვიან ღამემდე უცდის, სულ უნდა მასთან იყოს. ერთხელ სოკოლოვმა შეამჩნია, რომ ბავშვი რაღაც დაფიქრებულია: „შენ რაზე ფიქრობ, შვილიკო?“ ბავშვი კი ჭერს უყურებს და თვითონვე ეკითხება: „მამიკო, სად წაიღე შენი ტყავის პალტო?“ სოკოლოვი გაოცებულია — მას არასოდეს ტყავის პალტო არ ჰქონია. „ვორონეჟში დარჩაო“, — კეთილშობილ ტყუილს ეუბნება სოკოლოვი. ვანია მეორე კითხვასაც აყენებს: „რატომ მეძებდი ასე დიდხანს?“

რა უნდა ეპასუხა ამ მძიმე კითხვაზე ტანჯულ, ნაომარ კაცს?

მხოლოდ ერთი პასუხის გაცემა შეეძლო და ეს პასუხი არც დაუყოვნებია: „მე შენ, შვილიკო, გერმანიაშიც გეძებდი, პოლონეთშიც და მთელი ბელორუსია მოვიარე, შენ კი ურიუპინსკში აღმოჩნდიო“ (გვ. 45).

დიდი ფსიქოლოგიური განცდის შემცველია „ტყავის პალტოს“ ეს მშვენიერი პასაჟი. შოლოხოვი მისთვის დამახასიათებელი ოსტატობით აშიშვლებს ამ განცდას, როცა სოკოლოვს შემდეგ სიტყვებს ათქმევინებს: «А ты думаешь, браток, про кожаное пальто он зря спросил? Нет, все это неспроста. Значит, когда-то отец его настоящий носил такое пальто, вот ему и запомнилось. Ведь детская память, как летняя зарница: вспыхнет, накоротке осветит все и потухнет. Так и у него память, вроде зарницы, проблесками работает». (გვ. 45).

შოლოხოვი ადამიანის სულის მოულოდნელი ხვეულებისა და ძნელად შესამჩნევი ნიუანსების ასე ღრმა ცოდნას იჩენს თავის მოთხრობებსა და რომანებში. ის ყველაფერს სწვდება, ყველაფერს გრძნობს, ყველაფერს განიცდის და მკითხველსაც განაცდევინებს.

აიღეთ ისეთი დეტალი, როგორიცაა ურიუპინსკიდან სოკოლოვის კაშარაში წასვლის მიზეზი. ნოემბერში მას ავარია მოუვიდა. მანქანა ტალახში მიდიოდა და ერთ-ერთ ხუტორთან ძროხას დაეჯახა. ქალებმა კივილი მორთეს. მართალია, ძროხა არ დაშავებულა, ადგა და წავიდა, მაგრამ ავტოინსპექტორმა სოკოლოვს მძღოლის წიგნაკი ჩამოართვა, ხვეწნა-მუდარამ, — მაპატიეო, — არ გასჭრა. რაკი წიგნაკჩამორთმეულს მძღოლად აღარ დაედგომებოდა, დაიწყო ხუროდ მუშაობა. კაშარაში მცხოვრებ მეგობარს, რომელიც მძღოლი იყო, სთხოვა დახმარება. პასუხს არ დაუყოვნებია: ჩამოდი, ნახეკარ წელიწადს ხუროდ იმუშავე, შემდეგ კი ისევ მანქანაზე დაჯდებიო.

აი, სოკოლოვი თავის ახლად შეძენილ შვილიკოსთან ერთად კაშარაში მიდის ახალი ცხოვრების დასაწყებად.

ავარია რომ არ ყოფილიყო, სულ ერთია, ურიუპინსკიდან მაინც წავიდოდი, ვინაიდან სევდა მაიძულებს ერთ ადგილზე დიდხანს არ დავრჩეო, — ამბობს სოკოლოვი. და ჩვენ გვწამს, რომ იგი მართალია, — ამდენი უბედურების გადამტან კაცს მოგზაურობა,

ადგილის შეცვლა აუცილებლად ესაჭიროება, სევდა-ნაღველის ნაწილობრივ მაინც განსაქარვებლად. სხვა საქმეაო, — ამბობს სოკოლოვი, — როცა ვანიუშკა წამოიზრდება, სკოლაში წავა, მაშინ, ალბათ, შეიძლებს ერთ ადგილზე ყოფნას. ახლა კი თავის შვილიკოსთან ერთად მიაბიჯებს რუსეთის მიწაზე — ადგილებს იცვლის.

ომი დამთავრებულია, მაგრამ ჯერ კიდევ შორსაა, ძალიან შორსაა მოყენებული ჭრილობებისაგან გათავისუფლება. საერთოდ კი, ადამიანს განა ოდესმე შეუძლია ომისაგან მიყენებული ჭრილობების მოშუშება? ცოცხალ ადამიანს არასოდეს, მკვდარს ხომ არაფრის გაგება აღარ შეუძლია. გადაიტანო ენით გამოუთქმელი ყველა ის უბედურება, რაც სოკოლოვს თავს დაატყდა, არამარტო ენელია, ადამიანურ ძალებს აღემატება. რკინის გულიც რომ არსებობდეს, ვერ გაუძლებდა. სოკოლოვი კი ადამიანია, ცოცხალი, გრძნობიერი, კაცთმოყვარე, მშრომელი, პატიოსანი ადამიანი. გული მას ხორცისა აქვს და არა რკინის. როგორ შეეძლო სოკოლოვის მართალ, პატიოსან გულს ამდენი ტანჯვა გადაეტანა. ამიტომ რა არის გასაკვირი, თუ მისი გული შეირყა, ტკივილებით აივსო. ხანდახან ეს ტკივილები ისე ძლიერია, რომ თვალებში სინათლე ჰქრება და სოკოლოვი გრძნობს — შეიძლება მალე მოკვდეს. სიკვდილთან ბრძოლაში არაერთგზის გამარჯვებულს სიკვდილის როდი ეშინია. მხოლოდ ის აწუხებს, რომ ოდესმე ძილში მოკვდება და თავის შვილიკოს შეაშინებს. ამ მძიმე განცდებს ემატება მეორე უბედურება: თითქმის ყოველ ღამით სოკოლოვი ძილში ხედავს თავის ძვირფას მიცვალებულებს. თითქოს თვითონ ეკლიანი მავთულების იქით დგას, ისინი კი მეორე მხარეს თავისუფლად არიან. ელაპარაკება უსაყვარლეს მეუღლესა და ბავშვებს ყველაფერზე, სურს საკუთარი ხელებით გადასწიოს ეკლიანი მავთულები, მაგრამ ისინი სწორედ ამ დროს შორდებიან, თვალწინ დნებიან და ჰქრებიან. ერთი რამ აკვირვებს სოკოლოვს: დღისით. ყოველთვის ყოჩაღადაა, არც წუხს, არც ოხრავს, ღამით კი გამოეღვიძება და ბალიში ცრემლებითაა დასველებული... რამდენი რამ არის ნათქვამი ამ სურათით!

ჩვენ არ ვიცით შემდეგ რა მოხდა, როგორ წარიმართა სოკოლოვისა და მისი საყვარელი ბიჭუნას — ერთადერთი იმედის ცხოვრება.

იქნებ ეს ბიჭუნა დიდი კაცი გამოვიდა, კარგი ინჟინერი, ტექნიკოსი, მეცნიერი, კეთილშობილი თანამდებობის პირი, სპეტაკი და უნარიანი ხელმძღვანელი, ასახელა და გაახარა მრავალტანჯული მამიკო, რომელმაც დედობრივი გრძნობა არ მოაკლო, მოურჩენელი წყლულები დაუამა, თუმცა ძნელია ურაგანის ისეთი მსხვერპლი, როგორიც სოკოლოვია, გაახაროს!

იქნებ სოკოლოვმა, უკვე გულით დაავადებულმა, დიდხანს ვერ გაუწია მამობა თავის შვილიკოს?

იქნებ სკოლამაც ვერ შეიყვანა?

იქნებ ყველაფერი პირიქით მოხდა?

იქნებ ვანია დაოჯახდა, ირინას მსგავსი ზრუნველი, საყვარელი მეუღლე შეიძინა და მამასთან ერთად ბედნიერად ცხოვრობს?

იქნებ შვილიც შეეძინა და სოკოლოვი ბაბუობს — ბუნების ამ უმშვენიერეს გრძნობასაც ეზიარა?

იქნებ... იქნებ... ვამბობთ ჩვენ და ეს კითხვები განუწყვეტლივ ტრიალებს ჩვენს გონებაში, როცა შოლოხოვის მოთხრობის უკანასკნელ სტრიქონებს ვკითხულობთ.

მაგრამ არის კიდევ ერთი კითხვა:

იქნებ ვანიამ, როცა წამოიზარდა, ყველაფერი შეიტყო, ისიც გაიგო, რომ ანდრეი სოკოლოვი მისი ნამდვილი მამა კი არ არის, მხოლოდ ის კაცია, რომელმაც შეიბრალა, იშვილა, აღზარდა, კაცად გამოიყვანა?

იქნებ ამის გაგებამ უდიდესი გულის ტკივილი მიაყენა მას, რაკი ოცნება და სინამდვილე ერთმანეთს განშორდა?

იქნებ პირიქით მოხდა: ვანიამ შეიტყო ყველაფერი, მაგრამ ამან კიდევ უფრო ძლიერად შეაყვარა მამიკო?

ძნელია გარკვეული პასუხი ვიპოვოთ. ყველაფერი დამოკიდებულია ადამიანზე, ადამიანურ შეგნებაზე, ნორალზე!

იქნებ ვანიამ ვერ გაიგო, რომ სოკოლოვი მისი ნამდვილი მამა არ არის და ბოლომდე დარჩა ნამდვილ შვილად?

იქნებ ეს უმჯობესი იყო პირადად მისთვის?

ძნელია აქაც ყველასათვის გარკვეული პასუხი ვიპოვოთ.

მაგრამ, ჩვენის აზრით, პასუხი ყველა ამ ვარიანტში მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს: როცა ანდრეი სოკოლოვისა და ვანიუშკას შემთხვევა გვაქვს პრაქტიკულ ცხოვრებაში, ერთადერთი ჭეშმარი-

ტება მხოლოდ ის შეიძლება იყოს, რომ ვანიუშკებმა, გაიგებენ თუ ვერ გაიგებენ, უდიდესი სიყვარული იქონიონ თავიანთი სოკოლოვებისადმი, არანაკლებად უყვარდეთ ისინი, ვიდრე ჩვეულებრივ შვილს შეიძლებოდა ჩვეულებრივი მამა ჰყვარებოდა. .აქაც ადამიანობაა მთავარი და მარტოოდენ ბიოლოგიური ფერმენტები როდი უნდა წყვეტდნენ ასეთ ადამიანთა ურთიერთობის საკითხებს. და ავტორი ერთხელ კიდევ ღრმად გვარწმუნებს თავის დიდ ოსტატობაში, ჰუმანიზმში, ადამიანის სულის ღრმად ცოდნაში, როცა გვეუბნება ორ ობოლ ადამიანზე, რომ აი, ისინი დგანან ჩვენს თვალწინ: «Два осиротевших человека, две песчинки, заброшенные в чужие края военным ураганом невиданной силы... Что-то ждет их впереди? И хотелось бы думать, что этот русский человек, человек несгибаемой воли, выдюжит и около отцовского плеча вырастет тот, который, повзрослев, сможет все вытерпеть, все преодолеть на своем пути, если к этому позовет его Родина» (გვ. 47).

ეს სიტყვები სრული სიმართლეა და მკითხველსაც სჯერა, რომ ისინი მომავალში სინამდვილედ იქცევიან. რაც შეეხება მოთხრობის ფინალს,—გენიალურია, თავიდან ბოლომდე შოლოხოვისებურია: «С тяжелой грустью смотрел я им вслед... Может быть, все и обошлось бы благополучно при нашем расставанье, но Ванюшка, отойдя несколько шагов и заплетая куцыми ножками, повернулся на ходу ко мне лицом, помахал розовой ручонкой. И вдруг словно мягкая, но когтистая лапа сжала мне сердце, и я поспешно отвернулся. Нет, не только во сне плачут пожилые, поседевшие за годы войны мужчины. Плачут они и наяву. Тут главное—уметь вовремя отвернуться. Тут самое главное—не ранить сердца ребенка, чтобы он не увидел, как бежит по твоей шеке жгучая и скупая мужская слеза» (გვ. 47).

ეს მართლაც მთავარია და ჩვენ გვჯერა, რომ ანდრეი სოკოლოვი, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის საშინელი ოდისეა გმირულად გადაიტანა, ამ მთავარსაც, მიუხედავად სიმძიმისა, გაუძლებს, როგორც უდრეკი რაინდული სულის ადამიანი!

ვინ იცის რამდენი სოკოლოვი მონაწილეობდა უპრეცენდენ-

ტო ომში ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ. მათი რიცხვი შეუძლებელია ზუსტად დავითვალოთ, თუმცა ჩვენ არავის და არაფერს ვივიწყებთ. მაგრამ ომმა ბევრი რამ ისე გააქრო და ისე წაშალა, რომ შეუძლებელია მისი საშინელებანი მისხლობით აიწონოს. სოკოლოვები არასოდეს არ იქნებიან დავიწყებულნი, ისინი ყოველთვის მოგვაგონებენ ადამიანურ გამძლეობას, შემართებას, გაგვიძლიერებენ პატრიოტულ სულს მომავალ ეპიკურ ბრძოლებში სამშობლოს დასაცავად.

ერთი ამგვარი ანდრეი სოკოლოვია გენერალი გრიგორი დოლნიკოვი, რომელსაც ჩვენ პირადად ახლოს ვიცნობთ და ბევრი რამ მოგვისმენია მისი საარაკო თავგადასავლებიდან. ამის თაობაზე ჩვენ ზევით უკვე ვილაპარაკეთ და ახლა უფრო დაწვრილებით გვინდა შევეხოთ.

„ცოცხალი ლეგენდა“, — ასეთი სათაური მისცა გენერალ-ლეიტენანტ გრიგორი დოლნიკოვზე თავის წერილს ჟურნალისტმა გ. ბუდაშევსკიმ. წერილი დაიბეჭდა 1974 წლის 15 სექტემბრის გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“. წერილი მოგვითხრობს დოლნიკოვის საბრძოლო პიოგრაფიას, რომელიც ბევრგან ძალიან წააგავს შოლოხოვის გმირის — ანდრეი სოკოლოვის თავგადასავალს.

წერილის ავტორი სავსებით მართალია, როცა ახასიათებს შოლოხოვის „კაცის ბედით“ გამოწვეულ მკითხველთა მასის მღელვარებას. ბევრი პოულობს მსგავსებას შოლოხოვის გმირებთან და ივიწყებენ, რომ მათ უნდა მიეუდგეთ, როგორც მხატვრულ სახეებს, ლიტერატურულ გმირებს, როგორც ამას გ. ბუდაშევსკი სავსებით სწორად აღნიშნავს. მაგრამ, ცხადია, ეს ოდნავაც არ გამორიცხავს პროტოტიპების პრობლემას, ვინაიდან ლიტერატურული გმირები მსოფლიო ლიტერატურაში, შოლოხოვის რომანების ჩათვლით, ხშირად იბადებიან პროტოტიპების საფუძველზე.

გავეცნოთ გრიგორი დოლნიკოვს.

როგორც ზემოთ მოხსენიებულ წერილშია აღნიშნული, პუტილოვის ქარხნის ცეცხლფარეშის შვილმა გრიგორი დოლნიკოვმა წარმოებაში მუშაობის პარალელურად ფრენოსნობა შეისწავლა აეროკლუბში. შემდეგ დაამთავრა სპეციალური სასწავლებელი და 1943 წელს, სრულიად ახალგაზრდამ, მონაწილეობა მიიღო კავკა-

სიის საჰაერო ბრძოლებში გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ. შვიდი თვის მანძილზე ჩამოაგდო მტრის 4 თვითმფრინავი. მაგრამ 1943 წელს, 30 სექტემბერს უთანასწორო საჰაერო ბრძოლაში მისი თვითმფრინავი დაზიანდა, დაჭრილმა მფრინავმა ძლივს მოახერხა თვითმფრინავიდან პარაშუტით გადმოხტომა. ის დაეშვა მტრის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, გონება დაკარგა, როცა გამოფხიზლდა, დაინახა, რომ ტყვედ არის ჩავარდნილი. ჰიტლერელებმა საშინლად სცემეს და წაიყვანეს, როგორც „მოენე". დოლნიკოვმა მოახერხა თავისი ვინაობა გაემჟღავნებინა მხოლოდ სოფლელებისათვის. ფაშისტებმა კარცერში ჩასვეს, ხოლო შემდეგ, როცა დაჰკითხეს, განაცხადა — გვარად სოკოლოვი ვარო. ცემა, წამება, დაუსრულებელი დაკითხვები ვერ აშინებენ დოლნიკოვ-სოკოლოვს. მას გმირულად გადააქვს ფაშისტური წამება, დაჭრილი, განგრენა დაწყებული, გასიებული ფეხის უნარკოზო ოპერაციაც. გაიქცა ტყვეობიდან, მაგრამ შეიპყრეს, როგორც ეს დაემართა ანდრეი სოკოლოვს. ისევ კარცერი, ისევ საკონცენტრაციო ბანაკი. მეორე გაქცევაც მარცხით დამთავრდა. ამხანაგებთან ერთად დასახვრეტად გაიყვანეს, მაგრამ გადარჩა. ისევ ხუთი დღე კარცერში მოთავსება, ულუკმაპუროდ. შემდეგ მასავით ტყვე მუსიენკოსთან ერთად დარაჯის მოსპობა და გაქცევა. ახლა ეს გაქცევა უკვე წარმატებით დაგვირგვინდა. შემდეგ პარტიზანულ რაზმში ყოფნა, რომელსაც „როდინა" ერქვა და პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანი ვლადიმერ შევჩენკო ხელმძღვანელობდა. 1944 წლის 20 აპრილს დოლნიკოვ-სოკოლოვი თავის საავიაციო პოლკს დაუბრუნდა და ომის დამთავრებამდე ფაშისტების კიდევ 12 თვითმფრინავი ჩამოაგდო.

ასეთია, სულ მოკლედ, ის სახელოვანი გზა, რომელიც გრიგორი დოლნიკოვმა — ტყვეობაში სოკოლოვმა გაიარა უმცროსი ლეიტენანტიდან — გენერალ-ლეიტენანტობამდე, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ავიაციის სარდლამდე.

აქ ერთი მომენტია უაღრესად საყურადღებო. ჩვენთან პირად საუბარში „ცოცხალმა ლეგენდამ" გრიგორი დოლნიკოვმა აღნიშნა: შოლოხოვის მოთხრობის ის ადგილი, სადაც მიუღერი ანდრეი სოკოლოვს ტანჯავს, სიკვდილით ემუქრება, სასმელს აძლევს — პირადად გადამხდაო. მე — სოკოლოვად წოდებული,

კომენდანტმა გამომიძახა და ყველაფერი ისე მოხდა, როგორც დიდ მწერალს მიხეილ შოლოხოვს თავის მოთხრობაში აუწერია. მოთხრობაში კი ეს სცენა ასეა გადმოცემული: «Прямо передо мною сидит полупьяный Мюллер. пистолетом играется, перекидывает его из руки в руку, а сам смотрит на меня и не моргнет, как змея. Ну, я руки по швам, стоптанными каблуками шелкнул, громко так докладываю: «Военнопленный Андрей Соколов по вешему приказанию, герр комендант, явился». Он и спрашивает меня: «Так что же: русс Иван. четыре кубометра выработки—это много?—«Так точно, говорю, герр комендант, много».—«А одного тебе на могилу хватит?»—«Так точно, герр комендант, вполне хватит и даже останется».

Он встал и говорит: «Я окажу тебе великую честь, сейчас лично расстреляю тебя за эти слова. Здесь неудобно, пойдем во двор. там ты и распишешься»—«Воля ваша», —говорю ему. Он постоял, подумал, а потом кинул пистолет на стол и наливает полный стакан шнапса, кусочек хлеба взял, положил на него ломтик сала и все это подает мне и говорит: «Перед смертью выпей, русс Иван, за победу немецкого оружия».

Я было из его рук и стакан взял и закуску, но как только услыхал эти слова,—меня будто огнем обожгло! Думаю про себя: «Чтобы я, русский солдат, да стал пить за победу немецкого оружия?! А кое-чего ты не хочешь, герр комендант? Один черт мне умирать, так провались ты пропадом со своей водкой!»

Поставил я стакан на стол, закуску положил и говорю: «Благодарствую за угощение, но я непьющий». Он улыбается: «Не хочешь пить за нашу победу? В таком случае выпей за свою погибель». А что мне было терять? «За свою погибель и избавление от мук я выпью»,—говорю ему. С тем взял стакан и в два глотка вылил его в себя, а закуску не тронул, вежливенко вытер губы ладонью и говорю: «Благодарствую за угощение. Я готов, герр комендант. пойдемте, распишите меня».

Но он смотрит внимательно так и говорит: «Ты хоть закуси перед смертью». Я ему на это отвечаю: «Я после первого стакана не закусываю». Наливает он второй, подает мне. Выпил я и второй и опять же закуску не трогаю, на отвагу бью, думаю: «Хоть напьюсь перед тем как во двор идти, с жизнью расставаться». Высоко поднял комендант свои белые брови, спрашивает: «Что же не закусываешь, русс Иван? Не стесняйся!» А я ему свое: «Извините, герр комендант, я и после второго стакана не привык закусывать». Надул он щеки, фыркнул, а потом как захохочет и сквозь смех что-то быстро говорит по-немецки, видно переводит мои слова друзьям. Те тоже рассмеялись, стульями задвигали, поворачиваются ко мне мордами и уже, замечаю, как-то иначе на меня поглядывают, вроде помягче.

Наливает мне комендант третий стакан, а у самого руки трясутся от смеха. Этот стакан я выпил врастяжку, откусил маленький кусочек хлеба, остаток положил на стол. Захотелось мне им, проклятым, показать, что хотя я и с голоду пропадаю, но давиться ихней подачкой не собираюсь, что у меня есть свое, русское достоинство и гордость и что в скотину они меня не превратили, как ни старались.

После этого комендант стал серьезный с виду, поправил у себя на груди два железных креста, вышел из-за стола безоружный и говорит: «Вот что, Соколов, ты—настоящий русский солдат. Ты храбрый солдат. Я—тоже солдат, и уважаю достойных противников. Стрелять я тебя не буду. К тому же сегодня наши доблестные войска вышли к Волге и целиком овладели Сталинградом. Это для нас большая радость, а потому я великодушно дарю тебе жизнь. Ступай в свой блок, а это тебе за смелость», —и подает мне со стола небольшую буханку хлеба и кусок сала» (გვ. 29).

ყოველივე ის, რაც უკვე ითქვა ანდრეი სოკოლოვისა და დოლნიკოვ-სოკოლოვის შესახებ ერთხელ კიდევ ადასტურებს შოლოხოვის მხატვრული შემოქმედების ცოცხალ, ორგანიულ კავშირს სინამდვილესთან, მის დიდ ოსტატობას, რითაც ასე მოხიბლულია ყველა,

ვინც ეცნობა „კაცის ბედს“, ვინც კითხულობს „წუნარი დონის“ ავტორის რომელიც გნებავთ ნაწარმოებს. თვით შოლოხოვი, როცა პროტოტიპებზე ეკითხებიან, ასახელებს ზოგიერთ მათგანს, უმთავრესად „გატეხილი ყამირიდან“. მაგრამ „კაცის ბედთან“ დაკავშირებით თავს იკავებს, ვინაიდან უშუალოდ დოლნიკოვ-სოკოლოვიდან მას არ აუღია ანდრეი სოკოლოვის ლიტერატურული სახე. გ. ბუდაშევსკის მოჰყავს თვით შოლოხოვის შემდეგი სიტყვები: რაკი ასეთი მსგავსებანი გეხედება, «Значит, произведение отразило действительность, попало в цель».

პრინციპული მნიშვნელობა პროტოტიპს ამ შემთხვევაში სრულებით არა აქვს, მაგრამ უაღრესად დიდმნიშვნელოვანია თვით პროტოტიპების მასობრიობა — ეს მართლაც იმის მაჩვენებელია, რომ შიხეილ შოლოხოვის ფილიგრანული შემოქმედება სინამდვილეს ასახავს, თავის ძირითად მიზანს ხვდება. ასეთი ასახვა და მიზანში ასეთი მოხვედრა მარტოოდენ გენიოსების ხვედრია.

მაგრამ, თუ „ბედი კაცისა“, მეორე მსოფლიო ომის თემაზე დაწერილი, მოცულობის მხრივ პატარა მოთხრობაა, რომელშიაც ქვეყანას ვხედავთ ერთი ადამიანის პრიზმაში, შოლოხოვმა ვრცელი ეპოპეა შექმნა რომანით — „ისინი სამშობლოსათვის იბრძოდნენ“. ეს დიდი ტილო, ფართო მასშტაბით აღებული, სამწუხაროდ, ჯერ არ არის დამთავრებული, გამოქვეყნებულია მხოლოდ რამდენიმე ნაწილი, თუმცა ის, რაც უკვე იცის მკითხველმა, წარმოადგენს კაცობრიობის ისტორიაში ჩვენი დროის უპრეცენდენტო სამუმის უსასრულო ეპოპეას.

VI

სამუმის უსასრულო ეპოპეა

„ისინი სამშობლოსათვის იბრძოდნენ“

ეპოპეა — „ისინი სამშობლოსათვის იბრძოდნენ“ სამამულო ომის თემაზე სხვა მწერლების მიერ დაწერილი რომანებიდან იმით განსხვავდება, რომ შოლოხოვს აინტერესებს არამარტო საშინელი

ბრძოლების ცალკე სურათები გვიჩვენოს, არამარტო გამანადგურებელი სამხედრო ტექნიკის მრისხანება მხატვრულად წარმოსახოს, არამარტო ჰიტლერიზმის, როგორც კანიბალური დოქტრინის შინაგანი მხეცური ბუნება გამოაჩინოს, არამარტო დანგრეული, ფერფლად ქცეული ქალაქები, სოფლები, დაბები, დასახლებული პუნქტები, სტანიცები, ხუტორები აგვიწეროს, არამარტო სიკვდილს გადარჩენილი, მაგრამ აწიოკებული, ტანჯული, შიმშილისაგან ჩონჩხად ქცეული მოსახლეობა დაგვანახოს, არამარტო სამშობლოს ერთგულებისათვის დახვრეტილი, ჩამოხრჩობილი, დასახიჩრებული, სადისტური მეთოდით მოკლულ-გაძარცვული ადამიანების ტანჯვას გვაზიაროს, — ეჰა, მხოლოდ ეს ამოცანები როდი ამოძრავებდა მწერლის კალამს. მისი, როგორც მხატვრის, ძირითადი იდეა, კიდევ სხვა იყო, რაც თვითონვე დაუფარავად სთქვა 1943 წელს, როცა თვით რომანი მხოლოდ იწერებოდა. შოლოხოვმა „წერილში ამერიკელი მეგობრებისადმი" მოკლედ გასცა პასუხი, თუ რისი თქმა სურდა ავტორს თავისი მხატვრული ნაწარმოებით. ომის დროს, როგორც უკვე ვთქვით, შოლოხოვი ფრონტზე იყო, მუშაობდა სამხრეთის, სამხრეთ-დასავლეთისა და დასავლეთის ფრონტების სამხედრო კორესპონდენტად. მწერალს დაუგროვდა დიდძალი მასალა, ხოლო ომის უშუალო შთაბეჭდილებებმა ბევრით განსაზღვრეს სამამულო ომის თემაზე მისი მხატვრული და პუბლიცისტური ნაწარმოებების ხასიათი, მსგავსად ლევ ტოლსტოისა, რომელმაც ყირიმის ომის ეპოპეა „სევასტოპოლის მოთხრობებში" ასე კოლორიტულად გვიჩვენა, როგორც იმდროინდელი ბრძოლების აქტიურმა მონაწილემ. შოლოხოვმა აცნობა ამერიკელ მეგობრებს, რომ მას სურს რომანში — „ისინი სამშობლოსათვის იბრძოდნენ", „უჩვენოს თავიანთი თავისუფლებისათვის ადამიანების ბრძოლის სიმძიმე"*. ეს სიმძიმე კი უაღრესად აუტანელი იყო. ტოტალური ომის საშინელებამ, როცა ერთი ერი ცდილობდა „პირწმინდად მოესპო, გადაეყლაპა მეორე ერი", წარუშლელი კვალი უკვე დატოვა თითოეულ ადამიანზე, მათ შორის თვით შოლოხოვზე. „მე დავკარგე ჩემი სამოცდაათი წლის დედა,

* მიხეილ შოლოხოვი, „სულის კარნახით", 1970 წ., გვ. 110—111 (რუს. გამ.).

რომელიც გერმანული თვითმფრინავიდან გადმოგდებულმა ბომბმა მოჰკლა, როცა გერმანელები ბომბავდნენ სტანიცას, რომელსაც არავითარი სტრატეგიული მნიშვნელობა არ ჰქონდა... ჩემი სახლი, ბიბლიოთეკა დამწვარია გერმანული ნაღმებით. მე უკვე დავკარგე ბევრი მეგობარი — პროფესიითაც, და ჩემი თანამემამულენიც — ფრონტზე. დიდი ხნის განმავლობაში მე ოჯახს მოწყვეტილი ვიყავი. ამ დროის მანძილზე ჩემი ეაჟი ავად გახდა, და მე არ მქონდა შესაძლებლობა ოჯახს დავხმარებოდი"*.

ვინ იცის, რამდენი საბჭოთა ადამიანი იმ დროს, როცა ეს სიტყვები იწერებოდა, ამგვარ და კიდევ უფრო საშინელ ტრაგედიას განიცდიდა. ეს ტრაგედიები ნაჩვენებია რომანში და ჩვენ ახლა შევუდგებით ანალიზს იმ თავებისა, რომლებიც შესულია მიხეილ შოლოხოვის რვატომეულში.

1

პირველი თავი იწყება საბჭოთა სოფელში ჩვეულებრივი მშვიდობიანი ცხოვრებით. განთიადისას ჩერნოიარსკის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის უფროსს აგრონომს ნიკოლაი სტრელცოვს გაეღვიძება. გაზაფხულის ქარი და წვიმა, გვერდით მძინარე მეუღლის „ბავშვურად წყნარი სუნთქვა" აფხიზლებს მას; თუმცა ძალიან ადრეა, სტრელცოვი დგება, ნათურას ანთებს, პაპიროსს უკიდებს, შემდეგ ტანთ იცვამს და წასვლის წინ მეუღლის საწოლთან ჩერდება: „არ ესმის არც წვიმა, არც ქარი... სძინავს ისე, თითქოსდა სინიდისი მას წმინდაზე წმინდა ჰქონდეს", — ფიქრობს სტრელცოვი, თან „სიყვარულითა და სიძულვილით უყურებს ცოლის დაჩრდილულ პროფილს" (ტ. 8, გვ. 58). შოლოხოვი ღრმად გვახედებს თავისი გმირის აფორიაქებულ სულში, გვაგრძნობინებს მისი „ვულის ყრუ ტკივილს", „რაღაც იყო მოწამლული მის ცნობიერებაში იმ მოკლე წამის მანძილზე, როცა უცქეროდა ცოლის ღვიძლსა და იმავე დროს გასხვისებულ სახეს. სხვანაირად გამოიყურებოდა ახლა ყველაფერი, რაც სტრელცოვის გარშემო იყო.

---

* მიხეილ შოლოხოვი, „სულის კარნახით", 1970 წ., გვ. 11 (რუს. გამ.).

სხვანაირი ეჩვენებოდა მას მთელი ეს თვალუწვდენელი, უსაზღვრო ქვეყანაც"... (იქვე). შეეცდა თუ არა საჯინიბოში, უდანაშაულო, საყვარელ ცხენს უხეშად მოეპყრო, თითქოს დანაშაული იგრძნო და ბოდიში მოუხადა პირუტყვს — მაპატიე, ჩემო ძმაო, ცხოვრებაში რა არ ხდებაო (გვ. 59). ცოტა ხნის შემდეგ კვნესით წარმოსთქვა: „არა, მეტი არ შემიძლია! ოლგასთან ბოლომდე უნდა გამოვარკვიო... მეტი არ შემიძლია მე! მეტი ძალა აღარა მაქვს" (გვ. 60)

და ავტორი წინასწარ განგვაწყობს თავისი გმირის უსიამოვნო განცდებისადმი, როცა გვეუბნება: „ასე უსიხარულოდ დაიწყო მწუხარებითა და ეჭვებით განადგურებული ნიკოლაი სტრელცოვისათვის პირველი ნამდვილი გაზაფხულის დღეო".

რა არის მიზეზი?

ოლგას სძაგს ურთიერთობა მასწავლებელ ოვრაენისთან, რაც მოსვენებას უკარგავს სტრელცოვს, მძიმედ აწვება მის გულს, არც დღე, არც ღამე გონებიდან არ შორდება, ხელს უშლის ნამდვილად იცხოვროს და იმუშაოს. ამ სულიერი განწყობილებით ესაუბრება ნიკოლაი სტრელცოვი ჩალის ზვინთან დირექტორს ივან სტეპანიჩს ლაფში ჩაფლული ტრაქტორის თაობაზე, ტრაქტორისტ ფედორ ბელიავინს, ბრიგადის მზარეულ ქალს მარფას, და პირველი თავი წყდება იქ, სადაც უკვე მერამდენედ სტრელცოვი იღებს ტყავის ძველი პორტსიგარიდან დაჭმუჭნილ პაპიროსს.

ყველაფერი ეს მხატვრულად გადმოცემულია ღრმა ფსიქოლოგიური განცდებით, მხოლოდ შოლოხოვის პალიტრისათვის დამახასიათებელი ოსტატობით.

2

მომდევნო თავში აღწერილია ივლისის ცხელი დღე, ლურჯი, თვალისმომჭრელი ლურჯი ცა, ქარის მიერ გაფანტული საოცრად თეთრი ღრუბლებით, ვხედავთ ტანკების ფართო ნაკვალევს გზებზე, ნაცრისფერ მტვერს, ავტომანქანების ნავალს, ორივე მხარეს პაპანაქება სიცხეში გადატრუსულ ველებს... და ნიკოლაი სტრელცოვს, პირველთა შორის რომ მოდის, ხუტორ სუხოი ილმენისათვის ბრძოლაში გადარჩენილ პოლკის მებრძოლებთან ერთად. სულ 117 კაცი შერჩა პოლკს, ძლივს რომ მიაბიჯებენ დაღლილნი, მწყურვალ-

ნი და მშიერნი. აქეა მეორე ბატალიონის კონტუზებული მეთაური, კაპიტანი სუმსკოვი, მსუბუქი კოჭლობით მომავალი, რომელმაც პოლკის მეთაურის ადგილი დაიკავა მაიორის სიკვდილის შემდეგ. მთელი სურათი ისე კოლორიტულია, რომ ვისაც ის მრისხანე დღეები ახსოვს, თვალწინ ცოცხლად წარმოუდგება ფაშისტურ არმიებთან ჩვენი პირველი შეტაკებების ტრაგიკული შედეგები. ვხედავთ სერჟანტ ლიუბჩენკოსაც, შალითაში გახვეული პოლკის დროშის ტარი ფართო მხარზე რომ უქანაობს. ამ ტიპიურ სურათს ამთავრებენ მსუბუქად დაჭრილი მებრძოლები, მტვრისაგან დასვრილ სახვევებში, გაწამებული მებრძოლები, რომლებიც ცდილობენ რიგს არ ჩამორჩნენ. უყურებთ ყოველივე ამას და გულში იჭრება შოლოხოვის გრძნეული სიტყვები: «Было что-то величественное и трогательное в медленном движении разбитого полка, в мерной поступи людей, измученных боями, жарой, бессонными ночами и долгими переходами, но готовых снова, в любую минуту, развернуться и снова принять бой» (გვ. 65). უკეთესი დახასიათება აღწერილი სურათისა შეუძლებელი გვეჩვენება, როგორც იმ განცდის ჩვენება, სტრელცოვს რომ დაუფლებია: ნიკოლაი უყურებს თავისი ბატალიონის მებრძოლთა ნაცნობ, გაშავებულ სახეებს, ულრმესი გულისტკივილით გრძნობს, თუ რა მძიმე დანაკლისი განიცადა პოლკმა „იმ დაწყევლილი ხუთი დღის განმავლობაში“.

წარმოიდგინა თუ არა ყოველივე ის, რაც მოხდა, სიცხისაგან შეწუხებულს სპაზმები მოაწვა, ცრემლი მოერია, და ამხანაგებს რომ არ დაენახათ, თავი დახარა, გავარვარებული ჩაჩქანი თვალებზე ჩამოიწია. ტანჯვის მიუხედავად, სტრელცოვი ცდილობს ნაბიჯი არ შეამოკლოს, მიდის მასავით განაწამებ მეგობრებთან ერთად მწყობრში, გონებიდან ვერ იშორებს ახლახან გადახდილი მძიმე ბრძოლების საშინელ სურათებს, გერმანული ტანკების მოგრუხუნე ნიაღვარს, მთის ფერდობიდან რომ დაეშვა, მტვერში ამოსვრილ, ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადამრბენ მეავტომატეებს, აფეთქებებს, მეზობელი ბატალიონის უკანდახეულ მებრძოლებს, შეტაკებებს მტრის მოტორიზებულ ქვეით ჯართან, ფლანგებიდან დამღუპველ ცეცხლს, მოკლულ მეტყვიამფრქვეველს, თითქმის დაფარულს მზესუმზირას ოქროსფერი ფურცლებით. მაშინ დაიწყო ეს დიდი უკანდახევა და სტრელცოვს კარგად ახსოვს: „იმ დღეს ოთხჯერ ამუშავებ-

დნენ გერმანული ბომბდამშენები პოლკის უბანზე მეწინავე მხარეს. მტრის ოთხი სატანკო შემოტევა უკუგდებულ იქნა. „კარგად ვიბრძოლით, მაგრამ ვერ გავუძელით...“ —სიმწრით გაიფიქრა ნიკოლაიმ“ (გვ. 65). კიდევ ბევრი რამ მოიგონა და გაიხსენა სტრელცოვმა. უველაფერს ჩვენ ვერ შევიძლებდით გადმოგვეცა. არც არის საჭირო, რაკი თვითონვე მიიღო ზომები თავი დაენებებინა სამწუხარო მოგონებებისათვის, იმაზე ეფიქრა მხოლოდ, თუ როგორ ევლო დახუჭული თვალებით მწყობრში, მძიმე ნაბიჯების ხმაზე; დაეიწყებინა წყურვილთან ერთად მტანჯველი ფიზიკური ტკივილიც.

ამ დროს მებრძოლებმა მაღლობიდან დაინახეს ხუტორი — ორმოცდაათამდე თეთრი კაზაკური ქოხით, ბალებშემორტყმული, რომელსაც ჩაუდიოდა ველის მდინარეც. გამხიარულდნენ მებრძოლები, დაღლიდან ოცდაათი კილომეტრი რომ ასე ტანჯვით გაიარეს, აქ კი ახლა შეიძლებოდა მოეწყოთ შესვენება.

ხუტორში შესელისთანავე პოლკი განლაგდა მდინარის ნაპირას, მიტოვებულ დიდ ბაღში. უველამ იგრძნო, რომ ომი მოუახლოვდა დონის უსაზღვრო ველზე მიკარგულ ამ პატარა ხუტორსაც.

ყოფილმა კომბაინერმა, ახლა კი საბჭოთა არმიის მებრძოლმა, 35 წლის ვანია ზვიაგინცევმა სიხარულით უთხრა სტრელცოვს: ჩვენი სამზარეულო აქაა, წყალიც გვექნება, პეტკა ლისიჩენკო საჭმელს გაგვიკეთებსო.

ეს დეტალები, სურათები, დიალოგები შოლოხოვისათვის დამახასიათებელი საოცარი ფიგურალობით, სინათლითა და მიმზიდველობით არის წარმოსახული. თითოეული მათგანი ფერწერული ნახატის მსგავსია, შესრულებული ალეგორიის, მეტაფორის, შედარებათა გრძელი რიგის გამოყენებით. თითოეული ერთმანეთს მისდევს, როგორც დაძაბული კადრები საუკეთესო კინემატოგრაფში.

და აქ, ვანია ზვიაგინცევისა და ნიკოლაი სტრელცოვის დიალოგში ჩვენ პირველად ვგებულობთ, რომ ეს უკანასკნელი მიუტოვებია ცოლს, ოლგას, რომელიც პირველ თავში მძინარე ვიხილეთ, ორი ბავშვი კი ბებიასთან გადაუყვანიათ საცხოვრებლად. ზვიაგინცევი, რომელიც ძალიან საყვარელი, დიდი მეგობრული გრძნობით დაჯილ-

დებული კაცია, ცდილობს ანუგეშოს სტრელცოვი, შეუმსუბუქოს ურვა-წუხილი, დაამშვიდოს, აუხსნას, რომ ქალი არაფერია, ბავშვები კი უველაფერი. როცა სტრელცოვმა უთხრა ზვიაგინცევს — ომის პირველ დღეს დავბრუნდი სახლში მიელინებიდან, ცოლი არ დამხვდა, წერილი დაეტოვებინა და წასულიყოო, — თითქოს ინანა ნიკოლაიმ, რატომ ვთქვიო, შემდეგ უხალისოდ დაიწყო საუბარი, ვაშლის ხის ქვეშ ჩრდილში ჩამოჯდა, მდუმარედ ფეხის გახდა დაიწყო. ზვიაგინცევს კიდევ უფრო შეებრალა მეგობარი, ტანად ზორბა, ფიზიკურად ძლიერი, გარეგნული სახით ანტონი იდენის მსგავსი კაცი, რომელთანაც ერთად ორი თვეა იბრძვის ჰიტლერელების წინააღმდეგ. სტრელცოვის დასამშვიდებლად, ზვიაგინცევი ამბობს: „მთავარია — ბავშვები შენ გყავს. ბავშვები, ძმაო, ახლა — მთავარი საქმეა. მათშია ცხოვრების თვით ფესვი, მე ასე მესმის... ქალები კი, გეტყვი გულახდილად, — უველაზე დაუჯერებელი ხალხია...“ ბოლოს დასძინა: «Ужасно ушлое животное женщина, я, брат, их знаю!» (გვ. 69).

და ზვიაგინცევი შემდეგ მოუყვა სტრელცოვს, თუ რატომა აქვს ზედა ტუჩზე ნაკერი, როგორი მწარე დღე აყარა ცოლმა — „გერმანელი მეავტომატის მსგავსად“ უველა ტყვიას რომ ერთბაშად ისვრის, შარშან, პირველი მაისის დღესასწაულზე, როცა „ბოშური“ ცეკვის საუკეთესოდ შემსრულებელი ქალიშვილის ცქერისათვის თეფში ესროლა, მოარტყა ისე ძლიერად, ცხვირიდან და ტუჩიდან ჩისხლი წასკდა, თეფში კი ნახევრად მოიღუნა. ეს „კულტურული“ ქცევა ნასტია ფილიპოვნას ძვირად დაუჯდა: სახლში მისელისას რამდენჯერმე გული წაუვიდა, შემდეგ ოჯახის მიტოვებისა და თვითმკვლელობის სცენები კარგი არტისტივით გაითამაშა.

რომანის ეს ადგილები, ზვიაგინცევის ნაამბობი ისე ოსტატურადაა დაწერილი, იმდენი ნაცნობი საოჯახო ყოფითი შტრიხებით, გონებამახვილობითა და ბუნებრივობითაა სავსე, რომ შეუძლებელია მკითხველს დიდი ესთეტიკური სიამოვნება არ მიაყუნოს, როგორც მხატვრული სიტყვის მიღწევამ. ბევრს იცინებთ, როცა ზვიაგინცევი განმარტავს, თუ რატომ მოხდა ასეთი მეტამორფოზა ნასტია ფილიპოვნას არსებაში. რვა წლის მანძილზე ადამიანურად ვცხოვრობდით, — განაგრძობს ზვიაგინცევი — ცოლი ტრაქტორის მიმბმელად მუშაობდა, გული არ უწუხდა, არავითარ

ოინებს არ აწყობდა, მაგრამ შემდეგ დაიწყო მხატვრული წიგნების კითხვა, იმდენად გაიტაცა, ისეთი „ბრძენი“ გახდა, რომ ღამეებს კითხვაში ატარებდა, დღე კი თავბრუდახვეული ცხვარივით დადიოდა, სულ ოხრავდა და კვნესოდა. ბოლოს საყვედურით მითხრა: „ერთხელ მაინც ჩემთვის ამაღლებული სიყვარული აგეხსნა“. ისე, როგორც მხატვრულ წიგნებში წერენო. ათი წლის შემდეგ, სამი ბავშვის დედას, ქმარმა აუხსნას „ამაღლებული სიყვარული“, მერე ისეთმა, რომელსაც ყმაწვილობიდანვე არცერთი ნაზი სიტყვა არავისთვის უთქვამს! უკვირს ვანია ზვიადაგინცევს, და ირონიულად ელიმება მკითხველს, რაკი წარმოიდგენს, თუ რა „მხატვრული წიგნების“ გავლენის ქვეშ მოქცეულა ნასტასია ფილიპოვნა. — ბრიყვული წიგნების კითხვას, ბავშვებს მიხედო უკეთესიაო, — უთქვამს ზვიადაგინცევს ცოლისათვის, ვინაიდან ყველაფერი ოჯახში, მას შემდეგ, რაც ნასტასია ფილიპოვნამ სასიყვარულო წიგნების კითხვა დაიწყო, ყველაფერი უკან წასულა — ბავშვების მოკლაც და მეურნეობაც. ამ წიგნების გავლენა ისე დიდი ყოფილა, რომ ზვიადაგინცევი ახლაც, ურონტზე ვერ ურიგდება ცოლისაგან მიღებულ, ცრუ-პათეტიკური ტონით დაწერილ ბარათებს, სადაც ნასტასია ფილიპოვნა ქმარს მიმართავს ქათმების დასაძახებელი სიტყვით — „ჩემო ციპა“, ან კიდევ ასე: „გამარჯობა, ჩემო საყვარელო ციცუნია!“ (გვ. 74). შემდეგ რვეულის მთელ ოთხ გვერდზე ისევ „ამაღლებული სიყვარულია“, — ჰყვება ზვიადაგინცევი, — ერთ ადგილას კი, ნაცვლად ახალი ამბებისა, ჩემს მაგიერ ვინმე ედუარდია ნახსენები, თურმე იმიტომ, რომ წიგნიდან ამოწერის დროს ყველაფერი ზუსტად გადაუღია. — რას მირჩევ, მიკოლა, რა ვიღონო, რომ ცოლი იმ ბრიყვული წიგნების კითხვას გადაეჩვიოს? — ეკითხება ზვიადაგინცევი მეგობარს, მაგრამ დაღლილ-დაქანცულ სტრელცოვს უკვე ჩაძინებია.

ასეთი უშუალო, ადამიანური ცხოვრების პასაჟებით ავსებს შოლოხოვი თავისი გმირების ურთიერთობას წუთიერი შესვენების დროს, როცა ქარიშხალი სულ ახლოა, პოლკის დამსხვრეულ ნაწილებს, ჯერ სული რომ არ მოუთქვამთ, ისევ საშინელ ჯოჯოხეთში მოელით ულმობელ მტერთან შერკინება. მანამდე კი გავიგოთ რა ხდება, რას აკეთებენ ხუტორში დასასვენებლად შეჩერებული მებრძოლები.

მალე გამოღვიძებულ სტრელცოვს მოესმა თავისი მეგობრის პეტკა ლოპახინის საუბარი მზარეულ ლისიჩენკოსთან. მოუსვენარი, გონებამახვილი, ბრძოლაში უშიშარი, ყოფილი მაღაროელი მუშა, ახლა ჯავშანმხვრეტი ლოპახინი თავისებური სარკაზმით თავს ესხმის ლისიჩენკოს—წაბლა ცხენს უწოდებს, სულ ფაფას გვიკეთებ, არავითარი გამოგონების უნარი, არავითარი იდეა არა გაქვს; შენი თავი ცარიელ ქვაბსა ჰგავს, მარტო ხმას გამოსცემს: ნუთუ არ შეგეძლო ამ ხუტორში ცხვარი ან ბურვაკი გეშოვა, პირველს წვნიანსა და მეორე კერძს დაამზადებდი. სამი კვირაა ფაფის მეტი არაფერი გვინახავს, მეწაღე ხარ და არა მზარეულიო. ამგვარი საუბარი, ეტყობა, ბევრჯერ მოუსმენია ლისიჩენკოს, ამიტომ, გულდამშვიდებით, ირონიულად ეუბნება ლოპახინს: «А тебе что, антрекота захотелось? Или, может, свиную отбивную? (გვ. 75).

მთელ ამ დიალოგში, ლოპახინისა და ლისიჩენკოს გონებამახვილურ, სარკაზმით აღსავსე საუბარში შოლოხოვი მთელი ძალით აჩენს საბჭოთა მებრძოლების შინაგან, უშუალო, ადამიანურად თბილ ბუნებას, სულიერ კდემამოსილებასა და ოპტიმისტურ განწყობილებას. მათი გაწიწმატებული ლაპარაკი რამდენი ახლო მეგობრული გრძნობის შემცველია, როცა უსაყვარლეს ადამიანს ხუმრობით ვაბრაზებთ, გვინდა გავართოთ და ჩვენც გავერთოთ. თუ სტრელცოვი და ზვიაგინცევი დინჯი, სერიოზული, ხუმრობაზე ხელაღებული ადამიანებია, ლოპახინი და ლისიჩენკო, პირიქით, მეგობრულ ირონიებს, ჰუმორს ხშირად მიმართავენ, ეს მათი არსების ბუნებრივი შინაგანი სტიქიაა. ლოპახინი, მაგალითად, ასე მიმართავს ახლადგამოღვიძებულ ნიკოლაის: «Как изволили почивать, почтенный мистер Стрельцов?» (გვ. 76). მიმართავს და აქ მთელი ლოპახინია. ტანკებთან პირველი ბრძოლისა და პირველი გაცნობის შემდეგ, ლოპახინი ამ სიტყვებით ეძებდა სტრელცოვს: „და სად არის აქ, თქვენთან, ბიჭებო, შავგვრემანი, ულვაშებით, ლამაზი ისეთი, ინგლისის მინისტრს ანტონი იდენს რომ ჰგავს?“ (გვ. 77). მცირე საუბრის შემდეგ ლოპახინი უკვე სერიოზულად ეუბნება ნიკოლაის: „რაკი გაჭირვებამ ჩვენ ერთად შეგვყარა—ერთად ვიბრძოლებთ. მოდი გავიცნოთ ერთმანეთი,—მე და შენ, მგონი, თანამემამულენი ვართ. შენ როსტოვის ოლქიდან ხარ? ჟი ხომ ხედავ, მე კი ქალაქ შახტიდან. ვიყოთ მეგობრები“ (გვ. 78). და ისინი დამეგობრდნენ, როგორც ავტორი შენიშნავს, სადა, მტკი-

ცე ჯარისკაცული მეგობრობით, თუმცა განსხვავებული ხასიათი ჰქონდათ: სტრელცოვი იყო თავშეკავებული, ჩუმი, ხოლო ლოპახინი დამცინავი, ენით უკუღმართი, ქალების მოტრფიალე, ხუმარა. ამიტომ ამბობდა ხანში შესული უკრაინელი პოპრიშჩენკო: -«Если бы Петра Лопахина и Николая Стрельцова превратить в тесто, а потом хорошенько перемесить то тесто и слепить из него человека, может, и получился бы из двоих один настоящий человек. а может, и нет, кто ж его знает, что из этого месива вышло бы?» (გვ. 78). ძალიან მოსწრებული, მართალი, სწორი დახასიათებაა!

ამის შემდეგ იწყება მშვენიერი სცენა — წითელარმიელების ბანაობა მდინარეში. რამდენის მთქმელია კომბაინერ ზვიაგინცევის მიშველება ორი ტრაქტორისტისადმი, როცა ეს უკანასკნელები გამწვე ტრაქტორის მოტორს თავს დასტრიალებენ. პროფესიული გატაცებით ეხმარება ზვიაგინცევი ტრაქტორისტებს, სიყვარულით თავს ევლება მძლავრ მოტორს, წუთით თითქოს წარმოიდგენს, რომ სახლშია, თავის კომბაინთან, სიხარულით სახე უბრწყინავს. სტრელცოვს უნებლიედ შეშურდა კიდეც მისი ბედნიერება!

3

და, აი, მდინარის ნაპირას, ზის სტრელცოვი ლოპახინთან ერთად. პირველი მოწყენილია, რასაც მეორე უმალ ამჩნევს — მიზეზსაც ეკითხება, თუმცა თვითონვე მიუხვდა. არა, სტრელცოვს საეჭვველი არა აქვს გახარებული იყოს. მას არ შეუძლია ჭარაფშუტულად მოეკიდოს ყოველივე იმას, რაც მოხდა. „ჩემთვის ნათელია, — ამბობს სტრელცოვი, — რომ მოხდა კატასტროფა. ამ კატასტროფის ზომები ჩვენ კარ ვიცით, მაგრამ ზოგიერთი. რამის მიხვედრა შეიძლება. მოდივართ ჩვენ მეხუთე დღეა, მალე უკვე დონი იქნება, შემდეგ კი სტალინგრადი. დაამარცხეს ჩვენი პოლკი, ნამტვრევებად აქცივეს. რა დავმართათ დანარჩენებს? არმიას? ამჯერად საქმეა, რომ ჩვენი ფრონტი გარღვეულია ფართო უბანზე. გერმანელები კუდზე გვასხედან, მხოლოდ გუშინ მოვწყდით მათ და ერთთავად ფეხებს ვაბაკუნებთ და როდის გავუსწრებთ, ცნობი-

ლი არ არის. ეს ხომ სევდაა — აი ასე იარო და არაფერი იცოდე! და რა თვალებით გვაცილებენ ჩვენ მცხოვრებლები? შეიძლება ჰკუიდან შეიშალო!" (გვ. 80). ეს გამოთქმა „რა თვალებით გვაცილებენ" ლოპახინმა თითქოს პირველად გაიგონა სტრელცოვისაგან, მაგრამ ჯერ არ იცის, თუ რა მწარე იქნება მისთვის, სულ ცოტა ხნის შემდეგ, ხუტორის დედაბერთან საუბარი ამავე თემაზე. ის ამშვიდებს სტრელცოვს, ამით თავსაც ირთობს, ეუბნება — დასანანებელია მედსანბატში რომ ჩემთან ერთად არ წამოდი, იქ ერთი ისეთი, მესამე რანგის „დოკტორშაა", შეხედავ თუ არა, იმავე წუთში ბრძოლა მოგინდება, რათა სწრაფად დაიჭრა. „ექიმი კი არა, აღტაცების ნიშანია, ღმერთმანი!.. ექიმი კი არა, ექვსლულიანი ნალმტყორცნელია, მასზე უფრო საშიშია ჩვენი ძნა-ჯარისკაცისათვის, მეთაურებზე რომ უკვე აღარაფერი ვთქვათ" (გვ. 80). რაკი ამ ხუმრობაშერეული ლაპარაკით სტრელცოვი გუნებაზე ვერ მოიყვანა, გულადი, უშიშარი, მოხერხებული მებრძოლი პეტკა ლოპახინი თვითონ გადავიდა შეტევაზე, შესანიშნავად ცხნა უკანდახევის ზოგიერთი მიზეზი, თურმე რა სწორი აზრები, სერიოზული და ღრმა, ჰქონია მას. ვარეგნულად უდარდელ კაცს, რამდენი ბოლმა დაუგროვებია გერმანელებზე, რა სწორად გაუგია ჩვენი პირველი ბრძოლების ნაკლოვანებები. ლოპახინის ეს აზრები ღირს მთლიანად მოვიტანოთ, ვინაიდან ისინი არამარტო მას, შახტელ-მემაღაროელს ეკუთვნის, ასევე ფიქრობდა იმ დროს ბევრი ჩვენი ადამიანი. აი, თვით ლოპახინის სიტყვები:

«—А я не вижу оснований, чтобы мне по собачьему обычаю хвост между ног зажимать, понятно тебе? Бьют нас? Значит, поделом бьют. Воюйте лучше, сукины сыны! Цепляйтесь за каждую кочку на своей земле, учитесь врага бить так, чтобы заикал он смертной икотой. А если не умеете, — не обижайтесь, что вам морду в кровь бьют и что жители на вас неласково смотрят. Чего ради они будут нас с хлебом-солью встречать? Говори спасибо, что хоть в глаза не плюют, и то хорошо. Вот ты, не бодрячок, объясни мне: почему немец сядет в какой-нибудь деревушке, и деревушка-то с чирей величиной, а выкосвыриваешь его оттуда с великим трудом, а мы иной раз города почти без боя сдаем, мелкой рысью уходим? Брать-то их нам

же придется или дядя за нас возьмет? А происходит это потому, что воевать мы с тобой, мистер, как следует, еще не научились и злости настоящей в нас маловато. А вот когда научимся да когда в бой будем идти так, чтобы от ярости пена на губах кипела,—тогда и повернется немец задом на восток, понятно? Я, например, уже дошел до такого градуса злости, что плюнь на меня—шипеть слюна будет, потому и бодрый я, потому и хвост держу трубой, что злой ужасно! А ты и хвост поджал и слезой облился: «Ах, полк наш разбили! Ах, армию разбили! Ах, прорвались немцы!» Прах его возьми, этого проклятого немца! Прорваться он прорвался, но кто его отсюда выводить будет, когда мы соберемся с силами и ударим? Если уж сейчас отступаем и бьем,—то при наступлении вдесятеро больнее бить будем! Худо ли, хорошо ли, но мы отступаем, а им и отступать не придется: не на чем будет! Как только повернутся задом на восток,-ноги сучьим детям повыдергиваем из того места, откуда они растут, чтобы больше по нашей земле не ходили. Я так думаю, а тебе вот что скажу: при мне ты, пожалуйста, не плачь, все равно слез твоих утирать не буду, у меня руки за войну стали жесткие,-неровен час, еще поцарапаю тебя...» (გვ. 80-81).

შესანიშნავია, ბრწყინვალე ანალიზია, რიგითი ჭკვიანი მებრძოლის, პატრიოტის სიტყვებია, აღსავსე ოპტიმიზმითა და საბოლოო გამარჯვების უღრმესი რწმენით. ლოპახინი ვერ ურიგდება იმ ადამიანებს, რომლებიც დამარცხებისა და უკანდახევის გამო გულგატეხილობას იჩენენ, ცრემლებს ღვრიან თუ უიმედობას ამჟღავნებენ. მის არსებაში თითქოს ხალხის ურყევი რწმენა შედედებულა, ხალხისა, რომელმაც იცის — თუ უკან იხევს, დასახევი აქვს გარკვეულ საზღვრამდე, მაგრამ, როცა კარგად ბრძოლას ისწავლის და მტერს უკან დაახევინებს, როგორი იქნება ეს უკანდახევა სხვის ტერიტორიაზე? ეს უკვე არა მარტო დამარცხება, უკანდახევა, არამედ, სრული განადგურების მომასწავებელი იქნება. ამიტომ არ ვარდება პეტკა ლოპახინი პესიმიზმში, ამიტომ არ ღვრის ცრემლებს, ამიტომ არის მხნედ და იბრძვის მთელი არსებით, უშიშრად და მამაცურად. ამასვე მოითხოვს თითოეული მებრ-

ძოლისაგან, და როცა სტრელცოვი ეკითხება: მე დამშვიდება არ შესაჭიროება, ტყუილად ხარჯავ ლამაზ სიტყვებს, უმჯობესია მითხრა — შენი აზრით, მაინც როდის ვისწავლით ბრძოლას, როცა ციმბირში ვიქნებითო? — ლოპახინი მისთვის დამახასიათებელი გონებამახვილობით ამბობს:

«—В Си-би-ри?—протяжно переспросил Лопахин, часто моргая светлыми глазами.—Нет, дорогой мистер, в эту школу далеко нам ходить учиться. Вот тут научимся, вот в этих самых степях, понятно? А Сибирь давай временно вычеркнем из географии. Вчера мне Сашка—мой второй номер говорит: «Дойдем до Урала, а там в горах мы с немцем скоро управимся». А я ему говорю: «Если ты, земляная жаба, еще раз мне про Урал скажешь,—бронебойного патрона не пожалею, сыму сейчас свой мушкет и прямой наводкой глупую твою башню так и собью с плеч!» Он назад: говорит, пошутил. Отвечаю ему, что и я, мол, пошутил, разве по таким дуракам бронебойными патронами стреляют, да еще из хорошего противотанкового ружья? Ну, на том приятный разговор и покончили» (გვ. 81-82).

შემდეგ ლოპახინი გაიხსენებს მოკლული პოლიტხელის რუზაევის სიტყვებს: ერთმა გენერალმა სთქვა — „ყოველ წითელარმიელს ერთი გერმანელი რომ მოეკლა, — ომი დიდიხნის წინათ დამთავრდებოდაო“. სტრელცოვი უპასუხებს: „საკმაოდ პრიმიტიული არითმეტიკაა... ყოველ ჩვენს გენერალს თითო ბრძოლა რომ მოეგო, — ომი დამთავრდებოდა, მგონი, კიდევ უფრო მალე“ (ტ. 8, გვ. 82). რა აზრისაა თვით ლოპახინი? ის დაწვრილებით მსჯელობს, იმდენად საინტერესოდ, ორიგინალურად, გონებამახვილურად, რომ ჩვენ თუ გადმოვცემდით მის სიტყვებს, ორჯერ მეტი გამოვიდოდა, ამიტომ, სიმოკლისა და კოლორიტის შენარჩუნებისათვის, უმჯობესია თვით ლოპახინმა ვრცლად ილაპარაკოს:

«—Как же генералы,—ამბობს ლოპახინი,—без нас могут сражения выигрывать, чудак? А потом попробуй выиграть сражение с такими бойцами, как мой Сашка. Он еще до Дона не дошел, а на Урал уже оглядывается. Генерал без войска или с плохим войском, по-моему, то же самое, что жених без мужского от-

ростка, а мы без генерала, что свадьба без жениха. Есть, конечно, и генералы, похожие на Сашку. Какого-нибудь беднягу немцы как начали клевать от самой границы, да так до сих пор и клюют. Ну, он и уморился, духом упал и уже думает не о том, как бы немца побить, а о том, как бы его самого еще лишний раз не побили. Но таких мало, и не они будут погоду делать. А у нас повелось так: чуть где неустойка на фронте вышла,— шепотом генералов ругают: и такие они, и сякие, и воевать-то не умеют, и все лихо через них идет. А если разобраться по справедливости, — то не всегда они виноваты, да и ругать бы их надо помягче, потому что генералы—самые несчастные люди на войне. Ну, что ты уставился на меня, как баран на новые ворота? Именно так и есть, как я говорю. Раньше, бывало, по глупости, я сам завидовал, генеральскому званию. «Эх, думаю, до чего же чистая жизнь! Ходит нарядный, фазан фазаном, окопов ему не рыть, на животе по грязи не ползать...» А потом, когда поразмыслил, сразу разочаровался.

Был я тогда еще стрелком, а не бронебойщиком, и вот както подымают роту в атаку. Что-то замешкался я: по совести говоря, огонь был очень сильный, и не хотелось от земли отрываться, а командир взвода подбегает, наганом грозит и орет: «Вставай!» — и матом меня, понятно? Сходили мы в отаку, после этого я и думаю: «Ну, хорошо, я рядовой и получил за свою неисправность один матюжок; я отвечаю только за одного себя, а командир дивизии отвечает за тысячи людей; в случае неисправности с его стороны, сколько же он получает матюков? А командующий армией?» Начал подсчитывать, и даже страшно мне стало от этой арифметики. Нет, думаю, извиняюсь! Предпочитаю быть рядовым.

Представь себе, Николай, такую картину. Ночи напролет просиживает генерал со своим начальником штаба, готовит наступление, не ест, не спит, все об одном думает; под глазами у него мешки от тяжелых размышлений, голова раскалывается от разных предположений: все ему надо предусмотреть, все

предугадать... И вот двигает он полки в наступление, а наступление-то и проваливается с треском. Почему? Да мало ли почему! Он, допустим, понадеялся на Петьку Лопахина, как на родного отца, а Петька сдрейфил и побежал, а за ним и Колька Стрельцов, а за Стрельцовым и другие такие же хлюсты. Вот тебе и кончен бал! Те, которые оказались убитыми, те, конечно, к генералу претензий не имеют, а те которые благополучно отдышались после бегства, ругают генерала на чем свет стоит! Ругают потому, что искренне думают, будто один генерал во всем виноват, а они вовсе тут ни при чем. Каждый, конечно, согласно уставу, про себя ругает, но генералу от этого разве легче? Сидит он в своей землянке, держится за голову руками, а вокруг него невидимые матюки—тысячу матюков!—как бабочки вокруг лампы порхают. А тут еще звонок по телефону. Вызывают бедного генерала по прямому проводу из Москвы. Волосы подымают на голове генерала красивую его фуражку, берет он трубку, а сам думает: Несчастная моя мамаша! И зачем ты меня генералом родила!» По телефону его матерно не ругают: в Москве вежливые люди живут,—но говорят ему, допустим, так: «Что же это вы, Иван Иванович, так бездарно воюете? Деньги государственные на вас тратили, учили, обували-одевали, поили-кормили, а вы такие номера откалываете? Грудному ребенку простительно пеленки пачкать, на то он и есть грудной ребенок, а вы не ребенок и испачкали не пеленки, а наступательную операцию. Как же это так у вас получилось? Потрудитесь объяснить». Тихий такой голос говорит, вежливый, а у генерала от этого тихого голоса одышка начинается и пот по спине бежит в три ручья...

Нет, Коля, ты как хочешь, а я генералом не желаю быть! При всем моем честолюбии не желаю, и баста! И если бы меня вдруг вызвали в Кремль и сказали: «Берите, товарищ Лопахин, на себя командование энской дивизией»,—то я побледнел бы с ног до головы и категорически отказался. А если бы там стали настаивать, то вышел бы я, поднялся на Кремлевскую стену и оттуда в Москва-реку—вот так!» (33. 82-84).

ასეთია ლოპახინის „რეალისტური ფილოსოფია“: აღმოცენებული და დამყარებული ცხოვრების გამოცდილებაზე. შეიძლება ზოგიერთს მოეჩვენოს, რომ მასში არის სუბიექტური, მაქსიმალისტური, ცალმხრივი მსჯელობის ელემენტები, მაგრამ, თუ დაუკვირდება, დაინახავს, რომ არ არის არაფერი მეტაფიზიკური, პირიქით, ყველაფერი გამომდინარეობს სინამდვილის მკაცრი ლოგიკიდან, ეს ლოგიკა აშენებულია დაკვირვებათა გრძელ რიგზე და საღ აზრს არსად ღალატობს. არ არის საჭირო ლოპახინის აზრების გარჩევა დავიწყოთ; მის სიტყვებში იმდენი უშუალობა, სიმართლე, გარკვეულობა და სინათლეა, დაზუსტებას არსად საჭიროებს. სხვა საქმეა — დაეთანხმებით თუ შეეკამათებით, მაგრამ, კამათიც არაფერს მოგვცემს, ვინაიდან ლოპახინი იმდენად დარწმუნებულია ცხოვრების დებულებებში, რომ უკან ვერ დაახევინებთ. ან კი რა უფლება გაქვთ სცადოთ სხვა აზრზე დააყენოთ იგი, როცა ეს აზრები წიგნებიდან როდი ამოუკითხავს, სხვისგან როდი წაუღია, თვითონ გამოიმუშავა ცეცხლსა და ბრძოლაში, თვითონ გამოიტანა რეალურ სინამდვილეზე მწარე დაკვირვებიდან. შესაძლოა ამიტომაც ეხება, რომ სტრელცოვმა არაფერი უპასუხა ლოპახინს, არც ავტორმა გააგრძელა დიალოგი — კამათი და ჩვენც შევწყვიტოთ ამ საკითხებზე მსჯელობა, საკითხებზე, რომლებსაც მაშინ უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ყველა საბჭოთა პატრიოტს აღელვებდა, ახლა კი ისტორიის საკუთრებაა და გამოცდილების შინაგან პოტენციას მომავალი ისტორიისათვის ინარჩუნებს.

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ, ვისაც ის დღეები ახსოვს, უკანდახევის საშინელი დღეები, ვინც მაშინ ბრძოლების მონაწილე იყო, ვინც უშუალოდ განიცდიდა ოკუპირებული ტერიტორიის ეზით აუწერელ ტრაგედიას, მისთვის ყოველივე ეს მარტოოდენ მსჯელობისა და კამათის, მარტოოდენ მწარე მოგონების საგანი კი არ არის, მთელი ცხოვრებაა, რომელმაც ათეულ მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ათი ათასობით დასახლებული პუნქტი, სოფელი, დაბა, და ქალაქი ფერფლად აქცია. მსოფლიოში ყველაზე დიდი არმია, შემადგენლობის პატრიოტული სულით პირველი არმია, ყველაზე მოწინავე სახელმწიფოს — პირველი სოციალისტური სახელმწიფოს უზარმაზარი არმია, რომელიც ორი ათეული წლის განმავლობაში იწვრთნებოდა პრინციპით — ბრძო-

ლას საკუთარ მიწა-წყალზე არ დაუშვებდა, მტერს მისსავე ტერიტორიაზე გაანადგურებდა — უკან იხევდა, მართალია მძიმე, სისხლისმღვრელი შეტაკებებით, გმირულად, მაგრამ უკან იხევდა პირდაპირ ელვისებურად, ისე, რომ სულ მალე გერმანელები ლენინგრადთან და მოსკოვთან აღმოჩნდნენ. დაპყრობილ ვეებერთელა ტერიტორიაზე საბჭოთა ადამიანები უმძიმეს განსაცდელში ჩაეარდნენ, ფაშისტი ვანდალების ტყვეებად იქცნენ და, რა გასაკვირია, თუ ისინი შეჩვენებას უთვლიდნენ მშობლიურ არმიას, ისეთი თვალებით აცილებდნენ, რომ სტრელცოვის არ იყოს, შეიძლებოდა პატიოსანი ადამიანი „ჭკუიდან შეშლილიყო“.

ამიტომ ლაპარაკობენ ასე მწარედ სტრელცოვი და ლოპახინი. მაგრამ, როგორც ვთქვით, შესწუვიტეს საუბარი და ჩვენც მივყვეთ აღების შემდგომ განვითარებას, მით უფრო, რომ ეს თემა მალე ისევ წამოტივტივდება.

4

დაღლილი მებრძოლები საბანაოდ მიდიან. მდინარეში ცურაობამ ისინი კარგ ხასიათზე დააყენა, აღარ აწუხებთ თავის ტკივილი, დაღლილობა, ქვეყანაც სხვანაირი ეჩვენებათ და სხვა საზრუნავიც გაუჩნდათ. ლოპახინი მეგობრულად შეაჩვენებს „წყეულ ლისიჩენკოს, რომელსაც დღეს ისევ ფაფა მოუხარშავს: ამიტომ სთხოვს ნიკოლაის—წავიდეთ და რომელიმე მოხუც დედაბერს საჭმელი ვთხოვოთო. სტრელცოვს ეს უხერხულად მიაჩნია—„ჩვენ ხომ მოგზაურები ან მათხოვრები არა ვართო“ (გვ. 85). მაგრამ, როცა წითელარმიელები გამოჩნდნენ, რომლებსაც ფუთაში გამოკრული ჰქონდათ დაჭრილი კიბოები, ლოპახინმა ველარ მოითმინა, სთხოვა მათ: შემოგიზიარდებით, ვედროს და მარილს ჩვენ ვიშოვით, ერთად მოვხარშოთ, არაყიც გადავკრათო. თანხმობის მიღების შემდეგ, ლოპახინი მივიდა ერთ დედაბერთან, სთხოვა ვედრო და მარილი, მაგრამ ისეთი უარი მიიღო, გაოცდა!—მარილი კი არა, წივაც დამენანება მოგცეთო,—უთხრა დედაბერმა. ლოპახინი გაშტერდა, მიზეზი იკითხა. და დედაბერმა მკაცრად წარმოსთქვა ტირადა: «—А ты не знаешь, за что?.. Куда идете? За Дон поспешаете? А воевать кто за вас будет? Может, нам, старухам, прикажете ружья брать да оборонять вас от

немца? Третьи сутки через хутор войско идет, нагляделись на вас вволюшку? А народ на кого бросаете? Ни стыда у вас, ни совести, у проклятых, нету! Когда это бывало, чтобы супротивник до наших мест доходил? Сроду не было, сколько на свете живу, а не помню! По утрам уж слышно, как на заходней стороне пушки ревут. Соли вам захотелось? Чтоб вас на том свете солили; да не пересаливали! Не дам! Ступай отсюдова!» (გვ. 86).

აქ რამდენი სიტყვაცაა — იმდენი სიმართლეა! აქ დედაბრის ენით ხალხი ლაპარაკობს, ხალხი, რომელიც არმიის მიერ დატოვებული აღმოჩნდა ფაშისტი ურჩხულების საჯიჯგნად და საწამებლად. ცხადია, როცა ეს მრისხანე სიტყვები მოისმინა, ლოპახინი სირცხვილის, შეშფოთებისა და სიბრაზისაგან გაწითლდაო, — გვეუბნება ავტორი, — და განა შეეძლო მას სხვაგვარად გამოეხატა თავისი განწყობილება? არა, არ შეეძლო, გარდა ერთისა, და ამ ერთსაც შესანიშნავად მიაგნო მწერალმა: გაოგნებულ კაცს დაბნეულად ათქმევინა დედაბრისადმი — ულმობელიც ხარ, დედიკო!

ამ შენიშვნაზე გულმოსული დედაბერი მოსწრებულად უპასუხებს — შენ კი არ ღირხარ იმად, რომ შენდამი კეთილი ვიყო. მედალი იმიტომ კი არ მოგცეს, კიბოები დაიჭიროო. ამის მოთმენა ძნელი იყო ისეთი გულადი, თავდადებული მებრძოლისათვის, როგორსაც პეტკა ლოპახინი განასახიერებდა. ვერც მოითმინა და დედაბერს შენიშვნა მისცა — ჩემს მედალს ხელს ნუ ახლებ, დედიკო, ეს შენ არ გეხება! — არა, მე ყველაფერი მეხება, ჩემო შევარდენო, — ირონიულად ამბობს მოხუცი ამ სიტყვა „შევარდენს“. ლოპახინს ეჩვენება, რომ დედაბერს ალბათ არავინ არა ჰყავს ფრონტზე, თორემ ასე მწარედ არ ილაპარაკებდაო. მაგრამ ის მოტყუვდა: შინ მარტო დარჩენილ მოხუც ქალს, თურმე, ფრონტზე გაუგზავნია სამი შვილი და სიძე. მეოთხე შვილი კი, უმცროსი, ქალაქ სევასტოპოლში მოუკლავთ. და გასაგებია რა მწარე იქნებოდა ლოპახინისათვის, როცა მოხუცისაგან შემდეგ სიტყვებს გაიგონებდა: «Сторонний ты, чужой человек, потому я с тобой по-мирному и разговариваю, а заявись сейчас сыны, я бы их и на баз не пустила. Благословила

бы палкой через лоб да сказала своим материнским словом: «Взялись воевать-так воюйте, окаянные, как следует, не таскайте за собой супротивника через всю державу, не срамите перед людями свою старуху-мать!» (გვ. 87). ამის შემდეგ ლოპახინს ისღა დარჩენოდა, რომ ცხვირსახოცით შუბლზე მოეწმინდა სიმწრის ოფლი და დედაბერს გამოთხოვებოდა. გონებამახვილი, ენამოსწრებული პეტკა ლოპახინი, რომელიც კამათში, მსჯელობაში ტოლს არავის დაუგდებდა, აქ, როგორც ვხედავთ, უმწეო მდგომარეობაშია, თავსაც ვერ იცავს, რაკი სიმართლე, ჭეშმარიტება, დედაბრის მხარეზეა, ხოლო ერთიც და მეორეც, სიმართლეც და ჭეშმარიტებაც ისეთი მერცხლებია, რომლებიც გონების ხეზე უფრო მაღლა ადიან, ვიდრე ცის ლაქვარდში.

უკან გამობრუნებულ, გაწბილებულ ლოპახინს წამოეწევა დედაბრის ხმა — მოიცადეო; ლოპახინი შეჩერდება, გამოართმევს მოხუცს ვედროს და მარილს. ამ სცენას თავისი ნიუანსებით მწერალი ისე შესანიშნავად გადმოგვცემს, რომ შეუძლებელია ყურადღება არ მივაქციოთ:

«Всегда находчивый и развязный, Лопахин невнятно пробормотал:

—Что ж, мы люди не гордые. Можно взять... спасибо, мамаша! —И почему-то вдруг низко поклонился.

А небольшая старушка, усталая, согнутая трудом и годами, прошла мимо с такой суровой величавостью, что Лопахину показалось, будто она и ростом чуть ли не вдвое выше его и что глянула она на него как бы сверху вниз, презрительно и сожалеюще...» (გვ. 88).

რა დამაჯერებელი, სწორი, მართალი სურათია! რა დიდებული სახეა ეს დედაბერი, ეპიზოდური გმირი რომანისა, მაგრამ მთელი ხალხის, მისი ფიქრისა და განწყობილების, პატრიოტული სულისა და შეხართების ცოცხალი განსახიერება! ოთხი შვილისა და სიძის ფრონტზე გამგზავნი ადამიანი, რომელიც წელებზე ფებს იდგამს, გულმოსულია, რომ არმია უკან იხევს მთელ ფრონტზე, საკუთარ შვილებსაც კი საბლში არ შემოუშვებს, ასე ცუდად ბრძოლის გამო, უკან თუ დაბრუნდებიან (ერთი უკვე მტერს შეაკვდა),

სხვას — უცხოს, ახლახან საყვედურებით მიწასთან გასწორებულს, მაინც ეხმარება, თავისი შეგნებული მოქმედებით აიძულებს მოხერხებულ, თავისუფლად მოქმედ შესანიშნავ მებრძოლს ლოპახინს „გაურკვეველად წამოილულღუღოს“ მადლობა, მდაბლადაც თავი დაუკრას, ათქმევინოს — „ჩვენ ამაყი ადამიანები არა ვართო“, გაგვლანძღე, მაგრამ თქვენგან წყალობას მაინც მივიღებთო! არა, ლოპახინი ცრუობს, თავს იკატუნებს, იძულებულია ასე თქვას, ოორემ როგორ არ არის ამაყი, ბუზსაც თავზე არ დაიჯენს, აქ კი იძულებულია ასე თქვას, ქედი მოიხაროს, ვინაიდან ის — მოხუცი დედაბერი — ცამდე მართალია, ხოლო სიმართლე ადამიანს განადიდებს, ამაღლებს, სხვებთან უპირატესობას ანიჭებს. ასე მოხდა ლოპახინისა და მკაცრი დედაბერის წამიერი შეხვედრის დროსაც— ჩვენ რომ ეს-ესაა დავახასიათეთ!

ახლა დააკვირდით თვით მებრძოლებს, რომლებიც ლოპახინს ელოდებიან. ისინი მსჯელობენ მოსავალზე, ასე კარგი, დიდი მოსავლის აღება მარტო დარჩენილ ქალებს გაუძნელდებათ, ეს კიდევ არაფერი, თუ გერმანელების წინსვლა და ჩვენი უკანდახევა არ შეჩერდა, მტერი დიდძალ პურს ხელში ჩაიგდებსო. და ავტორის რემარკა— გუშინდელი ბრძოლის მონაწილენი, ცოტა დასვენების შემდეგ, უკვე ლაპარაკობენ მოსავალზე, ზვიადინცევი ტრაქტორს უტრიალებს, ლოპახინი კიბოების მოხარშვაზე ზრუნავს, თითქოს დღეს მათთვის ომი აღარ არსებობდესო,—ადამიანურად ისე მართალია, რომ მეტის თქმაც საჭირო არ არის. ჩაიკითხეთ რომანის იმ ადგილის შემდეგ სტრიქონები, სადაც ლოპახინი სულ შებრუნებულად უყვება მეგობრებს დედაბერთან შეხვედრას, თავისი დაგვიანების მიზეზი რომ ახსნას, და მიხვდებით რა ღრმად ცხოვრებისეულია თითოეული ეს დეტალი, რა დიდ მხატვრულ სიმაღლეზეა აყვანილი ყოველდღიური წვრილმანები. ლოპახინი დედაბერზე ამბობს, რომ ის მხიარული ქალია, ისეთი მოლაპარაკე, ვერ მოშორდები, ყველაფრით დაინტერესებულია, პირდაპირ სიტურფეა და არა დედაბერი, შვილები ფრონტზე ჰყავს, როგორც კი სამხედრო დამინახა, დაღნა, გამასპინძლება დამიწყო, არაჟანი შემომთავაზა, მაგრამ უარი ვუთხარი—რა, მე ხომ მოგზაური ან მათხოვარი არა ვარო,—გაიმეორა სტრელცოვის მიერ ადრე ნათქვამი სიტყვები.—ტყუილუბრალოდ გითქვამს უარი, მოწუენით შენიშნა სტრელცოვმა. არაჟანის გამო შეიძლებოდა მის-

თვის საზღაური გადაგეხადა. ეს კი ვეღარ მოითმინა გაწბილებულმა ლოპახინმა, გვერდზე გაიხედა და ჩაილაპარაკა: «Я не знал, что ты такой любитель сметаны, а то бы, конечно, взял. Ну да это дело поправимое: обратно ведро я не понесу, хватит с меня этого удовольствия, ты отнесешь и, кстати, сметаны попросишь. Старушка такая добрая, что и копейки с тебя не возьмет. Ты не вздумай предлагать ей денег, а то обидишь ее. Она мне так и сказала: «До того мне жалко отступающих бойцов, до того жалко, что готова все им отдать!» Ну, пошли, а то раки наши подохнут к черту!» (გვ. 89). აქაც მთელი ლოპახინია, მისი ხასიათი, იუმორი, სარკაზმი, გონებამახვილობა, უკეთესად ვერავინ დახატავდა მას, პირდაპირ ავტოპორტრეტია!

იხარშება კიბოები, ლოპახინი ემზადება შესაჭმელად, მაგრამ ვერავინ მოასწრო ჭამა, განგაში ატყდა, კაპიტანმა სუმსკოვმა ბრძანება მოიტანა მაღლობზე თავდაცვის დაკავებისა და მაშველი ჯარის მოსვლამდე მისი შენარჩუნების შესახებ. იწყება გერმანელების შემოტევის წინააღმდეგ, გაუარვარებულ მიწაზე სანგრების თხრა, მძიმე, აუტანელი, ქანცგამწყვეტი შრომა, რომელიც მკითხველს ნათლად უჩვენებს, რომ ომი მარტო ბრძოლა კი არ არის, პირველყოვლისა კატორღული შრომაა. ბრძოლა მხოლოდ შრომის შემდეგ იწყება. იწყება და მერე როგორ! თოთხმეტი ტანკი, ქვეითებთან ერთად, საშინელი გრუხუნით მოემართება ჩვენი მებრძოლების წინაღმდეგ. ხუთი მწყობრიდან გამოიყვანეს, ააფეთქეს და დაწვეს. შესანიშნავად იბრძოლეს ეფრეიტორმა კოჩეტიგოვმა და ჯავშანმხვრეტმა ბორზიხმა. მთელი ნაწილი, ასე მცირე მებრძოლებისაგან შემდგარი, გადაულახავ სიმაგრედ იქცა გერმანელთა ტანკებისათვის. ორი შეტევა მოიგერიეს. შემდეგ გამოჩნდა თორმეტი „იუნკერსი“, რომლებმაც დაბომბეს სანგრები. საჰაერო ბრძოლა მთელი ძალით გაჩაღდა. მამაცურად მებრძოლი სტრელცოვი დაიჭრა, მაგრამ ცნობიერების დაკარგვამდე ისროდა. დიდ ვაჟკაცობას იჩენენ სუმსკოვი, ლოპახინი, ზვიაგინცევი. ეს ბატალური სცენები მართლაც უდიდესი ოსტატობით არის მხატვრულად აღწერილი, ისე დამაჯერებლად, რომ შეუძლებელია მკითხველი თავისი განცდებით თვითონ არ იქცეს ამ საშინელი ბრძოლების უშუალო მონაწილედ. ვერ დაივიწყებთ შვიდი წლის ბიჭუნას,

ბატებს რომ მწყემსავს და მიმავალ წითელარმიელებს ცნობისმოყვარეობით ადევნებს თვალს, სტრელცოვისა და ზვიაგინცევის განცდებს სანგარში, მზარეულ ლისიჩენკოს — თავისი ინიციატივით სანგარი რომ გაუთხრია, სამზარეულო მიუტოვებია და მებრძოლის ადგილი დაუკავებია, ხანძარმოდებულ პურის ყანას, ლოპახინისა და ზვიაგინცევის დიალოგს როგორი უნდა იყოს მეთაური, — ყველაფერი ეს არაჩვეულებრივი ბელეტრისტული სიმართლითაა გადმოცემული. შოლოხოვი ყოველ გვერდზე, ყოველ სტრიქონში შოლოხოვის სიმაღლეზე რჩება ბატალურ სცენებშიც, მებრძოლთა სულის შინაგანი ხვეულების ღრმად ფსიქოლოგიური ჩვენების პარალელურად. რადა ღირს თუნდაც ლაპარაკში ფეხზე ჩაძინებული ზვიაგინცევის ჩვენება — მწყობრიდან გვერდზე რომ გაუხვევს და ლოპახინი ალერსიანი მეგობრული ხუმრობით გამოაფხიზლებს — უკუსვლით იარე, სალაშქრო წესებს ნუ არღვევო (გვ. 110).

მას შემდეგ, როცა ყველასათვის საყვარელი სტრელცოვი ჰოსპიტალში წაიყვანეს, ლოპახინი და ზვიაგინცევი, მეშახტე და ტრაქტორისტი, უფრო დამეგობრდნენ თვით სტრელცოვისადმი პატივისცემის ნიშნად, რაკი ორივე მასთან ახლოს იყო ამხანაგური გრძნობით. ლოპახინმა ისიც კი გადაწყვიტა, რომ ზვიაგინცევის სანგარში გადასასვლელი თხრილი გაეკეთებია, რაც დიდ შრომას მოითხოვდა, და რაზეც მეგობრის უარი მიიღო — შენ რა, აქ გამოზამთრებას ხომ არ აპირებო. საერთოდ, მათი საუბარი, კამათი, დიალოგი, იმდენად საინტერესო, ცოცხალი, მიმზიდველია, რომ ღირს ცალკე განვიხილოთ, მაგრამ ძალიან დიდ დროსა და ადგილს მოითხოვს. ამიტომ იძულებული ვართ მკითხველი უშუალოდ გავაგზავნოთ ამ ადგილების გასაცნობად, ჩვენ კი რომანის დაწყებული ანალიზი გავაგრძელოთ.

5

მოუსვენარი და ყველაფრის გამგები ლოპახინი, როცა ერთხანს ბრძოლა შეწყდება, სანგრიდან ამოდის, ფერმაში მომუშავე ქალების ხმას გაიგონებს და უმალ მათკენ გაემართება. წასვლის წინ საშკა კოპიტოვსკის თავისებურად დაუბარებს: „ — შენ, საშკა, აქ იყავი სამშობლოს ინტერესების სადარაჯოზე, მე კი ერთი წუ-

თით გადავალ ამ კრამიტიან დაწესებულებაშიო“ (გვ. 115). რატომ? — ეკითხება კოპიტოვსკი. — წინათგრძნობა მაქვს, თუ იქ არ არის სკოლა ან ტუბერკულოზის დისპანსერი, საუზმისათვის რამე მიმზიდველს ვიშოვნიო. მართალია, კოპიტოვსკის უარყოფითმა შენიშვნებმა ლოპახინს ერთგვარი ყოყმანი გამოიწვია, მაგრამ ის მაინც წავიდა, თან დაიბარა: თუ მიკითხონ, უთხარი, რომ მუცელი ატკივდა, შეიძლება დიზენტერია დაემართა-თქო.

და აი, ლოპახინი მივიდა ფერმაში. მისი საუბარი მოხუც ლუკა მიხალიჩთან, რომელიც უფროსი ეგონა, ნამდვილად კი მეჯინიბე ყოფილა, საკმაო გონებამახვილობითა და სიურპრიზებით. არ იქნა და ვერ მიახვედრა მოხუცი ვერავითარი მოკრძალებული, გადაკრული სიტყვებით, რომ სურს რძე იშოვოს მებრძოლებისათვის, ვიდრე პირდაპირ არ უთხრა: რძე ან კარაქი მინდაო. მაშინ გაირკვა სიმართლე. ლუკა მიხალიჩმა ლოპახინი გააგზავნა გამგესთან, რომელიც აღმოჩნდა მშვენიერი ქვრივი ქალი გლაშკა, იმდენად კარგი, რომ ორი ბიდონი რძის მიღების შემდეგ, თავშეუკავებელი ძეტკა ლოპახინი მამაკაცურად ეძგერა გლიკერიას. ხელი შეუშალა ლუკა მიხალიჩის გამოჩენამ, თუმცა ლოპახინმა თავისი სატრფიალო კალამბურებით დაითანხმა „მკაცრი ქვრივი“ ტყეში შეხვედროდნენ დონის გაღმა ნაპირზე.

ეს ყოფითი დეტალები, ომის ქარცეცხლის წუთიერ ანტრაქტებში, თითქოს ასვენებენ მებრძოლებსა და მკითხველს საშინელი დაძაბულობის შემდეგ, თითქოს პარალელია არესის მრისხანებასა და კუპიდონის მადლს შორის, უკანასკნელის, როგორც სიცოცხლის მარადიული ფენომენის, განსადიდებლად.

სანგარში დაბრუნებული ლოპახინი რძის ბიდონებს ჩააბარებს კოპიტოვსკის, თვითონ კი ისევ გასწევს გლაშკასკენ, რომელიც ისე მოეწონა, ომი რომ არ იყოს, მთელ სიცოცხლეს მასთან გაატარებდა. გასწევს, მაგრამ სწორედ ამ დროს ხდება საჰაერო თავდასხმა, მტრის თოთხმეტი თვითმფრინავი მოემართება სანგრებისაკენ, ერთ მათგანს საშა კოპიტოვსკი ჩამოაგდებს, მეორე ნაფლეთებად იქცევა ჰაერში. დანარჩენები უწესრიგოდ ჰყრიან ბომბებს დონის გადასასვლელზე, გვერდს უვლიან საშიშ ზონას. მცირე ხნის შემდეგ უკვე ოცდაათი პომბდამშენი გამოჩნდება, იწყება საშინელი ბრძოლა მეზენიტეებსა და თავდამსხმელებს შორის.

გმირულად იბრძვის ლეიტენანტი გოლოშჩეკოვი, სამკა კოპიტოვსკი, ჩასანგრებული ყველა მებრძოლი, მათ შორის ლოპახინი — იგი მტრის ერთ ბომბდამშენს ჩამოაგდებს, თუმცა ტანკსაწინააღმდეგო და არა ბომბდამშენსაწინააღმდეგო იარაღი აქვს. გმირულად იბრძვის აკიმ ბორზიხიც. ტყუილად როდი უთქვამს ლეიტენანტს: მე ბორზიხის და ლოპახინის იმედი მაქვსო. და ამ დროს შენიშნავს ლოპახინი: მზარეულ ლისიჩენკოს სანგარი გაუთხრია, შიგ ჩამჯდარა, მებრძოლის ადგილი დაუკავებია, სამზარეულო კი მიუტოვებია. ეს რასა ჰგავს? ლოპახინი შიმშილით უნდა მოკვდეს? საჭმელს ვინ გააკეთებს? იმართება დიალოგი, ურთიერთ გაკილვა, ხოლო, როცა ლოპახინი შეიტყობს, რომ ლისიჩენკოს საჭმელი უკვე გაუკეთებია, სამზარეულო ტყეში გადამალული აქვს, ბზად არის გადაეხვიოს გმირად ქცეულ მზარეულს. რომანის ამ ადგილებს, ამ კამათს აუღელვებლად ვერ წაიკითხავთ, იმდენი ადამიანური შტრიხია აქ თავმოყრილი, რომ უნებლიედ შენც გინდა მიხვიდე მათთან, ორივეს გადაეხვიო და უთხრა: თქვენ ჩემი ძმები ხართ!

ჯოჯოხეთურ ბრძოლაში, როცა ტანკები, ქვეითები, ბომბდამშენები ერთობლივ შეტევას ანხორციელებენ ჩასანგრებული ერთი მუჭა ჩვენი მებრძოლების წინააღმდეგ, ოციდან სამი ტანკი ნადგურდება, მეოთხე ათ მეტრსაც ვერ გაივლის. ისწავლეს, უკვე კარგად ისწავლეს ჩვენებმა მტრის ტექნიკის განადგურება. ძველი დრო აღარ არის. გაჰქრა ილუზია, ადამიანები შეეჩვივნენ ომის ულმობელ კანონებს. მუსრს ავლებენ მტერსაც და მის ნაჭებ ტექნიკასაც. საბჭოთა მებრძოლები მძვინვარებენ, მათ შორის ყოველთვის მხიარული ლოპახინიც. ექვსი შეტევა მოიგერიეს და მოულოდნელად უცნაური სიჩუმე ჩამოვარდა. ამ სიჩუმემ შეაკრთო და მწარედ ჩააფიქრა ზვიაგინცევი. რომანის ეს ადგილი იმდენად ორიგინალურია, რომ ყოველგვარი კომენტარის გარეშე მთლიანად კვინდა მკითხველს გავაცნოთ:

«После громового гула артиллерийской канонады, грохота разрывов и пулеметно-автоматной трескотни, раскатами ходившей вдоль всего переднего края, необычной и странной показалась Звягинцеву эта внезапно наступившая тишина... Медленным движением он снял с головы каску, устало провел по

грязному лицу рукавом гимнастерки, отирая обильно струившийся пот, затем, с удовольствием прислушиваясь к негромким звукам собственного голоса, сказал:

—Ну, вот и притихло...

Он наслаждался блаженной тишиной и с детским вниманием, слегка склонив голову набок, долго прислушивался к сухому шороху осыпавшейся бруствера земли. Песчинки и мелкие, черствые крошки глины желтым ручейком стекали по скату насыпи, отвесно падали на дно окопа, ударялись о расстрелянные гильзы, густо лежавшие у ног Звягинцева, и гильзы тоненько, мелодично позвякивали, словно невидимые, скрытые под землей колокольчики. Где-то совсем близко застрекотал кузнечик, Звягинцев послушно повернулся и на этот новый, привлекший его внимание звук. Оранжевый шмель с жужжанием, похожим на вибрирующий стон низко отпущенной басовой струны, сделал круг над окопом, на лету выпустил бархатно-черные, мохнатые лапки, сел на торчавший из бруствера стебель ромашки. Часто мигая, Звягинцев внимательно смотрел на упруго качавшуюся запыленную ромашку, на невероятно нарядного шмеля, смотрел так, будто все это он видел впервые в жизни, и вдруг удивленно вскинул голову: легко пахнувший ветерок откуда-то издалека донес до его слуха чистый и звонкий крик перепела...

И шелест ветра в сожженной солнцем траве, и застенчивая, скромная красота сияющей белыми лепестками ромашки, и рыскающий в знойном воздухе шмель, и родной, знакомый с детства голос перепела—все эти мельчайшие проявления всесильной жизни одновременно и обрадовали и повергли Звягинцева в недоумение. «Как будто и боя никакого не было, вот диковинные дела!—изумленно думал он.—Только что кругом смерть ревела на все голоса, и вот тебе, изволь радоваться, перепел выстукивает, как при мирной обстановке, и вся остальная насекомая живность в полном порядке и занимается своими делами... Чудеса, да и только!»

Растерянно озиравшийся Звягинцев напоминал в эти мину-

ты человека, только что очнувшегося от давившего его во сне кошмара и со вздохом облегчения принявшего простую и желанную действительность. Ему потребовалось еще некоторое время, чтобы освоиться и привыкнуть к тишине. А тишина стояла настороженная, недобрая, как перед грозой, и, продлись она дольше, Звягинцев, наверное, стал бы тяготиться ею, но вскоре на левом фланге короткими очередями застучал пулемет, из-за высоты начали пристрелку тяжелые немецкие минометы, и недолгое затишье кончилось так же внезапно, как и началось». (გვ. 138-140).

აქ კომენტარი მართლაც ზედმეტია, მაგრამ თავს ვერ ვიკავებთ არ აღვნიშნოთ, რომ ასეთი რადიკალური კონტრასტების შექმნა, ადამიანის შინაგანი განცდებისა და გარემოს ორგანიული მთლიანობა, ასე ღრმად ჩაწვდენა მოქმედი გმირის არსებაში, მისი აზრების, ისევე, როგორც თვით ბუნების სულ შეუმჩნეველი წვრილმანების დანახვა, უეცრად მოტყდომა ტყვიამფრქვევისა და მძიმე ნაღმტყორცნელების გასროლის ხმაურისა, რითაც ისევე უცებ მთავრდება სიწყნარე, როგორც იწყება, — მარტო პროზის დიდოსტატს შეუძლია! აქ ყველაფერი თითქოს დახატულია და არა დაწერილი. მაგრამ რა დასამალია, თუ შოლოხოვის მოთხრობებსა და რომანებში ჩვენ ყველგან ვპოულობთ იმ შემოქმედებითი პრინციპის გენიალურ ხორცშესხმას, რომელიც პროზას ბელეტრისტიკიდან ფერწერად აქცევს. კითხულობთ შოლოხოვს და გეგონებათ, რომ იგი კი არ წერს, არამედ ხატავს. ეს მხატვრობა შოლოხოვის, როგორც მწერლის, ხელოვანის, ტალანტის ყველაზე უძლიერესი მხარეა. ამ მხატვრობას კიდევ ის სპეციფიკა აქვს, რომ ცხოვრებას, სინამდვილეს, მის ყოველ დეტალს ისე ღრმად წვდება, ისე ფართოდ და ვრცლად, თითქოს ყველაფერი თვითონ გადმოშლიდეს თავის თავს განცვიფრებული მკითხველის წინაშე. დამისახელეთ თუნდაც ერთი ნაწარმოები ამ დიდი მწერლისა, სადაც ასე არ იყოს, და უკანვე წავიღებთ ჩვენს დებულებას. შოლოხოვი რასაც ხელს ჰკიდებს, რასაც ხატავს, მეცნიერის ანალიტიკური გონებით უდგება, როგორც ობიექტს, ხოლო რასაც წარმოსახავს, რასაც გვიჩვენებს, ფერმწერის მდიდარი ფანტაზიით ამეტყველებს, როგორც სუბიექტს. ეს არის შოლოხოვი — ბელეტ-

რისტიკა ფერწერად რომ აქცია, პროზა — პოეზიის სიმაღლეზე აიყვანა, ხოლო თავისი დროის ისტორია მბატვრულად განასხეულა. მაგრამ ახლა ამ საკითხებს ნუ გამოვეკიდებით, შემდეგაც არაერთხელ გვექნება მათ შესახებ საუბარი, უმჯობესია წერტილი დავსვათ და ისევ რომანის კრიტიკული ანალიზი გავაგრძელოთ.

განახლდა თუ არა ბრძოლა, იმ მცირე შესვენების შემდეგ, რაც ჩვენ ზემოთ დავახასიათეთ, ზვიაგინცევთან მოიჭრა ვაზნების მომტანი წითელარმიელი, ყმაწვილი კაცი, რომელმაც მკვირცხლად, თან ნაბევრად ხუმრობით მიმართა წვერმოშვებულ, მაგრამ არა ხნიერ მებრძოლს: Боепитание доставил. Ну, как, борода, заправляться будешь? ზვიაგინცევს ეწყინა. რა ბებერი მე ვარო, მაგრამ შემდეგ უფრო შეიკმუხნა, როცა გაიგონა სიტყვები — „მამა“, „ბებერი ძვლები“ (ამ სიტყვებით მიმართა უტიშევმა — ვაზნების მომტანმა წითელარმიელმა). იმართება დიალოგი, როგორც ჩვეულებრივად ხდება ხოლმე ასეთ ვითარებაში, და ეს უცოლო, უწვერულვაშო უტიშევი, რომელსაც ჯერ დედის რძე ტუჩებზე არ შეშრობია, თავისი სითამამით, სიტყვა-პასუხით, ანცვიფრებს ზვიაგინცევს. ეს კიდევ არაფერი, წასვლის წინ, ირონიულად, ჭკუასაც ასწავლის: „წვერო, ეკონომიურად ისროლე, ნიშანში, შენ ალბათ ჰაერში ისვრი, რაც შეეხება გოგოებს (ზვიაგინცევმა ცოლის თხოვაზე ჩამოუგდო უტიშევს საუბარი), მოხუცებულობის დროს ცოტა იფიქრე, მაშინ ხელები კანკალს აღარ დაგიწყებენო“. უკვე გაბრაზებულმა ზვიაგინცევმა მხოლოდ ამის თქმა მოასწრო: «Бабушку свою поучи, как надо стрелять, сопливец ты этакий!» (გვ. 141). და ფიქრებს მიეცა: რა არასერიოზული ხალხი მოვიდა, თითქოს ყველა პეტკა ლოპახინის მოწაფე იყო, მიკოლა სტრელცოვი აღარაა, გასაგებად ვერავისთან ილაპარაკებო.

ასე ფიქრობს ზვიაგინცევი, სულის შემხუთველ სანგარში ზის, საშინელი სიცხე აწუხებს, საიდანღაც ბუზებიც მოფრინდნენ, ირგვლივ დამწვარი ტანკები და მოკლული გერმანელების გვამებია, შორს მტვრის კორიანტელი დგას, წყეულმა ფრიცებმა ალბათ რაღაც განიზრახეს, ან მაშველი ძალები მოუდით! აბა, წარმოიდგინეთ ამ ჯოჯოხეთში ყოფნა და ყოველ წუთს სიკვდილის ლოდინი. რაღაც შიში იგრძნო ზვიაგინცევმა. სურვილი გაუჩნდა — ცოტა მაინც გაეღრმავებინა სანგარი, მაგრამ გადაიფიქრა — ჰას ხომ

არ ვთხრი, გარდა ამისა, გავარვარებული მიწა ქვასავით მაგარია, სიკვდილი კი, თუ მოინდომა—ჭაშიაც მომნახავსო. შიშს იმედიც მოჰყვა: მართალია, გერმანელები აუტანლად შეუპოვარი ხალხია, მაგრამ ახლა 1941 წელი როდია, დასაწყისში ინებივრეს და ეყოფათო!

ფიქრებით შორს წასული ზვიაგინცევი ნატრობს ერთი ორი დღე მაინც გამოაძინა სადმე ჩალის ზვინში, ძილი ებრძვის მთელ მის არსებას, თავს ძლივს ართმევს, ლოპახინი რომ გვერდით ჰყავდეს, გამოესაუბრებოდა, გამოფხიზლდებოდა. ამ დროს ექვსი საბჭოთა ავიაგამანადგურებელი მას თავზე გადაუფრენს. — „ისევ დააგვიანეს!“ — ასე ფიქრობს პრაქტიკული ზვიაგინცევი, რომელსაც, ავტორის მოსწრებული შენიშვნით თავისი ავიაცია უყვარდა არა საერთოდ, არა ყოველთვის, არამედ, მხოლოდ მაშინ, როცა მას ჰაერიდან იფარავდა, ან მის თვალწინ ბომბავდა მტრის პოზიციებს. სხვა შემთხვევაში ძველი ტრაქტორისტი ზვიაგინცევი ავიაგამანადგურებლებს ბენზინგამანადგურებლებს უწოდებდა. მაგრამ ამაზე ფიქრი მას დიდხანს არ დასცალდა. გერმანელებმა საარტილერიო მომზადება დაიწყეს, ისეთი ცეცხლის გენია დატრიალდა, რომ ზვიაგინცევს ყველაფერი დაავიწყა ამ ქვეყნად. ასობით ჰურვი და ნალმი ერთად სკდებოდა, ნამსხვრევებით ამტყდარი შავი ბოლი მიდამოს ჰფარავდა, გამაყრუებელი გუგუნი ისმოდა. ასეთ მდგომარეობაში ზვიაგინცევი დიდიხანია არ ყოფილა და ეაქაცს უღალატა ვაქკაცობამ, შეუკავებელი შიშისაგან ძაგძაგი დააწყებინა, ოფლისაგან მთლად დასველებულს თვალები დაახუჭვინა და გათეთრებული ტუჩებით ლოცვა დაწყებინა. რას იზამ!? ომში ყველაფერი მოსალოდნელია, არის ისეთი კოშმარული მომენტებიც, როცა გულად კაცსაც კი, როგორიც ზვიაგინცევია, შიში წარმოათქმევინებს: „ღმერთო, მიხსენი!“ ღმერთი ხომ ადამიანმა შიშის ძალით შექმნა! შიშმა შეიპყრო ზვიაგინცევიც, ღმერთი მოაგონა, მაგრამ უცებ გამოერკვა, თავი ასწია და ლოცვიდან ლანძღვა-გინებაზე გადავიდა, — ისე მაგრად ილანძღებოდაო, — შენიშნავს ავტორი, — ლანძღვის ოსტატ ლოპახინსაც კი შეშურდებოდა, რომ გაეგონაო. და ზვიაგინცევი ფიქრობს — ნეტავი მალე მოეღებოდეს ბოლო, მალე მოჰკლავდნენ, გადარჩებოდა ამ უსაშველო ჯოჯოხეთს!

მაგრამ, როცა დაინახა წინ მომავალი გერმანელების ქვეითი ჯარი, ტანკების თანხლებით, ზვიაგინცევს ისევ დაუბრუნდა ძველი საომარი განწყობილება; ახლა უკვე ბრძოლა იყო საჭირო და არა სანგარში პასიური ლოდინი, ვიდრე შეტევა დაიწყებოდა. შეტევა დაიწყო, ზვიაგინცევიც მოემზადა მტრის შესახვედრად, მაგრამ გაახსენდა, რაც მოხდა—შიშმა რომ შეიპყრო, ლოცვა დააწყებინა, და სინანულით გაიფიქრა: აი, არამზადებმა სანამდე მიიყვანეს ადამიანიო! გაიფიქრა და ის მართალი იყო, — სანამდე მიიყვანეს ადამიანი! ნანობს, საშინლად ნანობს ზვიაგინცევი შიშსაც და ლოცვასაც. გადაწყვეტს არავის უთხრას, განსაკუთრებით ლოპახინს, თორემ საშველს არ მისცემს, შეჭამს, თუმცა მას, უპარტიო ზვიაგინცევს, რელიგია აკრძალული არა აქვს, მაგრამ უმჯობესია მაინც ჩუმად იყო, არავის უთხრას. მერედა რა მოხდა: სულ ცოტა ხლოცა, სიკვდილი ღვიძლი ბიცოლა ხომ არ არის, თავდაპირველად ის ყველასათვის ერთნაირად საშიშია, როგორც პარტიულის, ისე უპარტიოს, საერთოდ ყველა ადამიანისათვის. ახლა ხომ მას აღარაფერი აშინებს — არც გერმანელების არტილერია, არც ტანკები, არც ქვეითი ჯარი. აგერ მისი სანგრისაკენ წელგამართული, უშიშრად მოემართება რვა გერმანელი ჯარისკაცი. წინ ოფიცერი მოუძღვის, ამაყად, თითქოს აქ არაფერიაო. ხუთჯერ ესროლა ზვიაგინცევმა და ოფიცერი მაინც წინ მოდიოდა, თითქოს ჯადო ჰქონდა. ზვიაგინცევმა შეაჩერა თავისი თავიც და გერმანელი ოფიცერიც. როცა მტერი უფრო ახლოს მოვიდა, ზვიაგინცევმა იგრძნო — „ის ხომ მთვრალია, ძაღლი!“ (ტ. 8, გვ. 149). ფსიქიურ შეტევაზე მოდის! ახლა კი ბოლოს მოუღებს. მაგრამ, ვიდრე ზვიაგინცევი შაშხანას ტენიდა, სერჟანტმა ნიკიფოროვმა მშვიდი, აუჩქარებელი ორი ჯერით მიწაზე დასცა ეს ოფიცერი და სამი ჯარისკაცი. დანარჩენმა ხუთმა ორმოებს მიაშურა. ამ დროს მოესმა ზვიაგინცევს ლეიტენანტ გოლოშჩეკოვის ხმა: ტანკები გამოუშვით, ტანკები გამოუშვით, ცეცხლი ქვეითებს დაუშინეთო! ვიდრე საჭმე ხელჩართულ ბრძოლამდე მივიდოდა, სერჟანტ ნიკიფოროვის ტყვიამფრქვეველი დადუმდა. ზვიაგინცევს ცუდად ენიშნა. ის ამოვიდა სანგრიდან, შაშხანით ხელში გაემართა მტრისაკენ, მაგრამ დაეცა საშინელი ტკივილების შეგრძნობით.

მთელი ეს მძიმე ბატალია საღამომდე გრძელდებოდა. გერმა-

ნელებმა შეწყვიტეს იერიში, მაგრამ დაბინდებისთანავე ჩვენმა მებრძოლებმაც მიატოვეს სანგრები, ვინაიდან შენაერთს ბრძანება მოუვიდა — დონის მარცხენა ნაპირზე გადადითო. დაჭრილი ლეიტენანტის გოლოშჩეკოვის ნაცვლად, ასეულის გადარჩენილი მებრძოლები პოპრიშჩენკოს მიჰყავს, მამაცი ბორზიხი მკვდარია, ბაღი სულ გადამწვარი, არ ჩანს ზვიაგინცევი, აღარ არის გულადი, ხაამაყო კოჩეტიგოვი, რომელსაც შეწუხებული ლოპახინი ცეცხლს უწოდებს, რომლის მსგავსი პოლკში კი არა, თვით არმიაშიც ძნელად მოიძებნებოდაო. „... როცა ასეთები, როგორიც კოჩეტიგოვია, იღუპებიან — ამბობს ლოპახინი, — ჩემი გული ვერ უძლებს, გასაგებია? რით გადაიხდიან ამას გერმანელები? აბა, რით?“ (გვ. 152). კოჩეტიგოვის სიკვდილმა ისე შეაწუხა მუდამ იმედიანად განწყობილი პეტკა ლოპახინი, რომ კაპიტოვსკი იძულებული შეიქნა მისთვის ეთქვა: გეყოფა მოთქმა-გოდება, შენ ახლა ცუდ დედაკაცს ემგვანებიო. ისინი კიდევ ბევრ რამეზე ლაპარაკობენ, მაგრამ ჩვენ მეტი შესაძლებლობა არა გვაქვს ყველაფერი დეტალურად გადმოვცეთ. ამიტომ, ვიდრე შევიტყობდეთ, თუ რა მოხდა შემდეგ, საჭიროდ მიგვაჩნია ერთ გარემოებაზე მივაქციოთ მკითხველის ყურადღება.

6

აქამდე ჩვენ რომანის გამოქვეყნებული თავების მარტოოდენ შინაარსს კრიტიკულად გადმოვცემდით, გზადაგზა ვაკეთებდით შენიშვნებს მხატვრული პრინციპების შესახებ, მაგრამ არსად გვითქვამს, თუ რა სპეციფიკურობით გამოირჩევა ომის სურათების, ბატალური სცენების ჩვენება შოლოხოვის რომანში. გარდა იმისა, რომ ყველაფერი ეს არაჩვეულებრივი დამაჯერებლობით, სიზუსტით, სამხედრო კანონების, მებრძოლი ადამიანების შინაგანი ჩვეულების, მათი ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნით, აღწერის ფართო დიაპაზონით, არაჩვეულებრივი მხატვრული ოსტატობით გამოირჩევა, არის კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანი, რაც შოლოხოვის ეპოსს დიდ ეფექტს აძლევს. ეს არის ომის თითოეული მონაწილის, გამოყენებული ტექნიკის, რეალურად მომხდარი სიტუაციების, ამბების, თავგადასავლების, ერთი სიტყვით, მთელი ომის, როგორც მთლიანი ფენომენის წარმოდგენა მისი ყველა მერიდიანით. არაფერი რჩება მწერლის ფხიზელ თვალს შეუმჩნეველი და

უყურადღებოდ მიტოვებული. ყველა თავის ადგილზეა, ყველა მოქმედებს, ყველაფერი აწონილ-დაწონილია, ყველაუერს თავისი ზუსტი სახელი და ასევე ზუსტად გამოკვეთილი სახე აქვს. ვინც ფრონტზე არ ყოფილა, მაგრამ შოლოხოვის რომანი — „ისინი სამშობლოსათვის იბრძოდნენ“ გულდასმით წაიკითხა, მას შეუძლია თქვას, რომ ომი საკუთარი თვალით ნახა, შეიგრძნო და განიცადა. შთაბეჭდილების ძალა ამ რომანისაგან ისე დიდია, რომ კრიტიკოსი მეტს ვერაფერს ეტყვის თავის მკითხველს, გარდა იმ ზოგადი მითითებისა, რაც ჩვენ ეს-ესაა გავაკეთეთ. მეტის თქმა მხოლოდ თვით შოლოხოვის რომანს შეუძლია.

შოლოხოვი ყველგან ერთია და ამ ერთს იმდენი ვარიაცია აქვს, როგორც რიცხვს არითმეტიკულ თუ გეომეტრიულ პროგრესიაში. ერთ სიუჟეტს მეორე მოსდევს სავსებით ორგანულად, როგორც დონზე გადასვლის წინ ჩესანგრეების დახასიათების დროს კოპიტოვსკის მიერ მოთხრობილი ამბავი კოლმეურნეობის მოანგარიშისა, რომელიც სამი წელიწადი მოსვენებას არ აძლევდა ერთ ტელეფონისტ გოგოს, მიზანსაც ცნაღწია, მაგრამ ქორწილის ღამეს ხინკალი სასუნთქ ყელში ჩაუვარდა და დაიხრჩო. ცხოვრების მწარე ფილოსოფიაა: გგონია ყველაფერს მიაღწიე და არაფერი აღარ გრჩება. ეს ჩართული სიუჟეტი თითქოს ექსპოზიციად ემსახურება დონზე ვადასვლას, ვინაიდან გულადი ჯარისკაცი საშა კოპიტოვსკი, რომელმაც ამდენი ქარიშხალი გადაიტანა, ჯოჯოხეთს გაუძლო, სიკვდილს რამდენჯერ თავი დააღწია, ახლა გრძნობს, რომ ამ წყეულ ცხინარეში დაიღუპება, რაკი ცურვა არ იცის. ამაოდ ამშვიდებს გულცოსული ლოპახინი თავის მეგობარს, ვინაიდან კოპიტოვსკის ჰგონია, რომ იმ კოლმეურნეობის მოანგარიშის ბედი არ აცდება— ხინკლით არა, მაგრამ დონით უეჭველად დაიხრჩობა!

ამ დროს შეიტყობენ დაჭრილი ლეიტენანტის გოლოშჩეკოვის გარდაცვალებას, ლოპახინი და მაიბოროდა გათხრიან საფლავს, მხედრულად დაკრძალავს ასეული თავის გმირს. მძიმეა ყველას განცდა, მაგრამ ლოპახინის ტანჯვა უარესია. «Никогда еще не было у Лопахина так тяжело и горько на сердце, как в эти часы,—გეუბნება მწერალი.—Ища одиночества, он ушел в лес, лег под кустом» (გვ. 162). ასე გვეუბნება მწერალი და ჩვენ გვჯერა მისი სიტყვების სიმართლისა, ვინაიდან ისეთ კაცს, როგორიც პეტკა ლოპახინია, რაკი დიდი

სიყვარული შეუძლია, შეუძლებელია დიდი სევდის მეგობარიც არ იყოს. სიყვარული და სევდა, სიყვარული და სიხარული დღემდე ხომ ვერავინ გაჰყო, ხოლო პეტკა ლოპახინი ყველა ამ გრძნობის მოზიარე იყო განუყოფლად. ის ხომ საშინლად განიცდის ერთ დღეში ისეთი მეგობრების დაკარგვას, როგორიც მისთვის იყვნენ ზვიაგინცევი, ლისიჩენკო, კოჩეტიგოვი, ნიკიფოროვი, ბორზიხი. უფრო ადრე სტრელცოვი დაიჭრა და წაიყვანეს. თითქმის სულ განადგურებულ ასეულში ძველი ამხანაგებიდან ალარაიან დარჩა. ამიტომ ლოპახინს აღარ უნდა ზურგში გაჰყვეს ასეულს, რომელიც შეივსება, დაისვენებს, გადაწყვიტა მოქმედი არმიის რომელიმე მახლობელ ნაწილში ითხოვოს გაგზავნა.

გადაწყვიტა და ოცამდე ნაბიჯიც არ ჰქონდა გავლილი, როცა მოესმა სტრელცოვის ხმა. ნიკოლაი დაბრუნებულა, მაგრამ სადღაა ძველი სტრელცოვი—დაყრუებულა, ამიტომ ზურგით მდგომს რიდი ესმის ლოპახინის აღტაცებული შეძახილები. პეტკამ არ იცის რა მოხდა, შემდეგ ძლივს კი მიუხვდა სტრელცოვს —ალბათ, კონტუზიის შემდეგ დაეშართათ. ნიკოლაი ბორძიკით ეუბნება:

„— მოდი ჩამოვჯდეთ, პეტია. ჩემთან ძნელია ლაპარაკი, მე იმ შემთხვევის შემდეგ ბომბთან აღარაფერი მესმის. და აი... ხედავ, ენის პორძიკი დავიწყე... შენ წერე, მე კი პასუხებს მოგცემ“ (ტ. 8, გვ. 165)

სტრელცოვისა და ლოპახინის ეს შეხვედრა ისეთი უშუალობით არის გამთბარი, ისე ადამიანურად მართალია, იმდენად გულში ჩამწვდომია, რომ ორივე მეგობარი გებრალება მათი ტანჯვისათვის — პირველი წუხს ამხანაგის უბედურების გამო, მეორე ხომ თვითონვეა წამებული. თურმე სტრელცოვი გამოპარულა ჰოსპიტლიდან, ექიმებს გამოქცევია, რაკი „ყურებიდან სისხლი აღარ მოდის, გულისრევაც თითქმის შეწყდა... და შემდეგ მე უბრალოდ არ შემეძლო იქ დარჩენა, — ამბობს სტრელცოვი. — პოლკი იყო ძალიან მძიმე მდგომარეობაში, თქვენ ცოტანი დარჩით... მე როგორ შემეძლო არ მოვსულიყავი? აი მეც მოვედი. ბრძოლა მეომრების გვერდით ყრუსაც შეუძლია, ხომ მართალია, პეტია?“ (გვ. 166).

ასე ამბობს სტრელცოვი და აქ მთელი მისი ხასიათია გადმოშლილი. ეს ხასიათი თავიდანვე კარგად შეიცნო ლოპახინმა და

ამიტომ შეიყვარა სპეტაკი, მართალი, უშიშარი სტრელცოვი პირველივე გაცნობისთანავე. სწორედ ამ სიყვარულმა დააწერინა მას გულმოსულად სიტყვები — „შენ, ბრიყვს, მკურნალობა გჭირდებაო“, დააწერინა ისე გულმოსულად, რომ ქალალდს ფანქარი მიატყდა მეტისმეტი დაწოლისაგან. „სიამაყემ ადამიანის გამო, სიყვარულმა და აღტაცებამ აავსეს ლოპახინის გული, — წერს შოლოხოვი. — მას უნდოდა მოხვეოდა და გადაეკოცნა სტრელცოვი, მაგრამ ყელში უეცრად მოუჭირა მხურვალე სპაზმამ, და ის, რცხვენოდა რა თავისი ცრემლისა, შებრუნდა, მან აჩქარებულად ამოიღო ჭისა“ (გვ. 166). შესანიშნავია მომდევნო სცენაც, როცა თავდახრილი ლოპახინი პაპიროსს ახვევს და ნათელი მსხვილი ცრემლი დაეცემა ქალალდს, რომელიც მას თითებშუა გაუძერება. მაგრამ ლოპახინი ჯიუტი კაცი იყო, — გვეუბნება ავტორი, — ძველ, გაშავებულ გაზეთის ქალალდს მოახია ფურცელი, ფრთხილად დააყარა თუთუნი და პაპიროსი მაინც შეახვიაო. დააკვირდით, რამდენი რამ არის თქმული ერთი შეხედვით, თითქოს, ამ სრულიად უმნიშვნელო დეტალში!..

და რამდენია ასეთი სცენა, ასეთი დეტალი ჯერ დაუმთავრებელ რომანში, მაგრამ საერთოდ რომანში კი არა, მის ყოველ თავში. აიღეთ ზვიაგინცევის თავგადასავალი, როცა იგი, დაპრის შემდეგ ცნობიერებადაკარგული, ისევ გონს მოვა, გასისხლიანებულია, ტკივილებს ითმენს, იგონებს როგორ იბრძოდა უკანასკნელად, როგორ დაეცა პირქვე მიწაზე, ზურგიდან ძლიერი დარტყმისაგან, ახლა მიწაწაყრილია, გრძნობს, რომ „ეს — ყველაფერია, აღსასრულია...“ (გვ. 167—168). სადღაც ქვევით ეშვება, ჯერ თავით, შემდეგ მთელი სხეულით, მხარი რალაც მაგარ საგანს მოხვდა და ზვიაგინცევმა ცნობიერება ისევ დაჰკარგა. მეორედ გამოფხიზლდა, დაინახა ქალის პატარა ხელი სველი დოლბანდით თვალებსა და პირს რომ უწმენდდა. ზვიაგინცევი მიხვდა — ეს სანიტარი ქალი იყო, მაგრამ სხვა ნაწილიდან. ძლივს გაუბა საუბარი, ქალი კი სთხოვს ჩუმად იყოს, „ყველაფერი წესიერად იქნება. ომს უყვარს წესიერება...“ ზვიაგინცევმა ყველაფერი ვერ გაიგო, რაც ქალმა უთხრა, მაგრამ ბოლო სიტყვას ყური მოჰკრა თუ არა, გაუკვირდა, წაუჩურჩულა პასუხად: „შენც თქვი რაღა... ეს რა წესიერებაა?“ (გვ. 169). მართლაც! ეს რა წესიერებაა! იყო დაპრილი, კვდებოდე,

ღრმოში იწვე პატარა გოგონას ამარა, ირგვლივ კი ომის გენია ვრგვინავდეს, თავის ამოყოფა არ შეგეძლოს... და ეს მიიჩნიო წესიერებად!? არა, ვერ გამოუვიდა კარგი ნათქვამი. გასაკვირიც არ არის, ეს ხომ სულ ბავშვია, რა უნდა აქ, სახლში უნდა იყოს და წიგნებით მეათე კლასში დარბოდეს...

ასე და ბევრ სხვას ფიქრობს ზვიადგინცევი, ჯერ ვერ შეუგნია თავისი მხსნელი გოგონას საესებით მართალი, ღრმა აზრი, რომ გარეგნულად ყოველად უწესო ომს წესრიგი ახასიათებს, როგორც ელვა-ქუხილს, რომ ვინც ომში ომის წესებს არ იცავს, ომს წააგებს!

რა გასაკვირია, თუ სისხლისაგან დაცლილ ზვიადგინცევს ამის გაგება არ შეუძლია, ნერვიულობს, ჭირვეულობას იწყებს, როგორც ყველა დაჭრილ-დასახიჩრებული, და შოლოხოვი ამით წინასწარ ამზადებს მკითხველს, რათა ფსიქოლოგიურად თავიდანვე დამაჯერებელი გახადოს სამედიცინო ბატალიონში შემდეგ აღწერილი სცენები, დაჭრამდე ყოველთვის მშვიდი, დინჯი ზვიადგინცევის მართლაც აუტანელი ჭირვეულობისა!

რადა ღირს მარტო დიალოგები სანიტარ გოგონასთან, რომელიც ეცოდება, ბისეთ სიმძიმეს რომ მიათრევს, როგორიც მისი დაჭრილ-გასისხლიანებული სხეულია, ემუდარება კიდეც — მე დამტოვე, შენს თავს უშველეო, გოგონას პასუხები—ჩემს სიპატარავეს ნუ უყურებ, მე ძლიერი ვარო, შემდეგ სცენები, როცა ზვიადგინცევი ცდილობს დარწმუნდეს — საპყარი დარჩება თუ ისევ ფეხით იქლის, სამედიცინო პერსონალთან ყალ-მაყალი, — ფეხსაცმელს ნუ გაჭრი, ისე გამხადე, ახალია და როგორ შეიძლება მისი გაფუჭება, ძაღლისშვილი და ხალხის მტერი ხარო! და რა მოთმინებით ისმენენ მითიური ასკლეპიადების საბჭოთა შთამომავალნი ამგვარ მძიმე-მძიმე სიტყვებს, განა მარტო ზვიადგინცევისაგან? ვინ იცის, რამდენი ასეთი ზვიადგინცევი, კაცი და ქალი, ამგვარი შეურაცხმყოფელი სიტყვებით უმასპინძლდებოდა მათ, სრულიად დაუმსახურებლად, მაგრამ ისინი ითმენდნენ და ითმენდნენ — სახელი და დიდება მათ გმირულ მოთმინებას! მაგრამ განა ჩვენ ან ვინმეს შეუძლია ოდნავ მაინც გააწბილოს დაჭრილი ზვიადგინცევები ამ აუტანელი ჭირვეულობის გამო? არა, ორივენი მართალნი იყვნენ — ვინც ჭირვეულობდა და ვინც ითმენდა, ვინაიდან ორივე ბუნების კანონითა და მორალის კარნახით მოქმედებდა!

ახლა ვნახოთ რას აკეთებენ სტრელცოვი და ლოპახინი — სოფლელი და ქალაქელი ვაჟკაცები, რომლებსაც ასე უყვართ ერთმანეთი, ენდობიან ერთმანეთს და სწამთ ერთმანეთისა. სოფლელი სტრელცოვი ღამით ნაწვიმარ ტყეს გაჰყურებს და ბუნების სილამაზით მოხიბლული, აღტაცებით ამბობს: „რა სილამაზეა, ა?“ (გვ. 179). მაგრამ ლოპახინი არაფერს უპასუხებს (ვერც გააგონებს!), დონის მარჯვენა ნაპირს გასცქერის, სადაც ამტყდარია მტვრის კორიანტელი და ესმის დიდი შეტევის მაუწყებელი ნაცნობი მრისხანე ხმაური. „ლოპახინსაც უყვარდა ბუნება, — გვეუბნება ავტორი, — და უყვარდა იგი ისე, როგორც კი შეუძლია უყვარდეს ადამიანს, რომელმაც ცხოვრების ხანგრძლივი წლები გაატარა მიწის ქვეშ მძიმე შრომაში“ (გვ. 179). ლოპახინი არასოდეს გულგრილი არ იყო ბუნებისადმი, მაგრამ ახლა ამისათვის არ ეცალა, ვერ ხედავდა ვერც ნაწვიმარი ტყის მომჯადოებელ სილაშაზეს, ვერც იქვე ახლოს ყვავილებდაყრილი ასკილის მოწყენილ სიტურფეს, ვერ ხედავდა ვერაფერს, გარდა დასავლეთისაკენ მიმავალი მტრის მანქანების მიერ აყენებული მტვერისა. მისი გონება მთლიანად შეეპყრო დასავლეთს, სადაც დარჩენილი იყვნენ ბრძოლაში დახოცილი მისი ერთგული მეგობრები, შორს, კიდევ უფრო შორს ფაშისტების მიერ ოკუპირებული მისი მშობლიური ქალაქი და მამისეული სახლი. ასეთი განცდების დროს ბუნების სილამაზე ნაკლებად ან სულ არ იზიდავს ადამიანს, მშვენიერების გრძნობას თავისი გარემომცველი პირობებიც ესაჭიროება სტიქიად იქცეს და მწარე ფიქრებს როდი შეუძლიათ ესთეტიკურად დაგვატკბონ.

ამიტომ ვინ გაამტყუნებს ლოპახინს, როცა მას არ სცალია ბუნების ჯადოსნურ სილამაზეს უცქიროს, გატაცებულია შექმნილი მძიმე მდგომარეობის ანალიზით, და სტრელცოვს ბლოკნოტის ნაგლეჯ ქაღალდზე მიუწერს: „ნიკოლაი, მე ზურგში არ წავალ. ჩვენი საქმეები, უველაფრიდან ჩანს, საძაგლად არის. არ შემიძლია მე ახლა აქედან წავიდე! ვფიქრობ დავრჩე მოწინავე ხაზზე, შევუერთდები რომელიმე ნაწილს. დარჩი შენც ჩემთან, კოლია!“ (ვვ. 180). სტრელცოვიც თურმე ამ აზრის ყოფილა. მან სწრაფად, ისე, რომ ენის ბორძიკი არ მოსვლია, უპასუხა: „ — მეც ამ აზრისა ვარ. აქ სწორედ ამისათვის მოვედიო“ (იქვე). მაგრამ სტრელცოვს

ეპვი ეპარება — უფროსი გაუშვებს თუ არა ლოპახინს მებრძოლ ნაწილში? პირადად მას რაც შეეხება, ეს სხვა საქმეა — სტრელცოვი ხომ სამედიცინო ბატალიონში ირიცხება! არა, ლოპახინს არ სურს ოდნავადაც კი დაეჭვდეს, რომ არ გაუშვებენ, ბოლოს და ბოლოს, ცოლის სანახავად კი არ მიდის.

სწორედ ამ მომენტში იწყება კოპიტოვსკისა და მეავტომატე პაველ ნეკრასოვის დიალოგი გუგულზე, ლოპახინის გაცხარება სტრელცოვისადმი უტაქტო დამოკიდებულების გამო, შემდეგ კი დიდი კამათი, რასაც გვერდი არ შეგვიძლია ავუაროთ. ლოპახინი ადრეც იცნობდა ნეკრასოვს, ჯერ კიდევ ხარკოვის მიმართულებით ბრძოლის დროიდან, მაგრამ არ ჰქონია მასთან დამოკიდებულება მეგობრული, თვით ნეკრასოვის „კარჩაკეტილი ხასიათის“ გამო. მაგრამ იცოდა — ნეკრასოვი კარგი მეომარი იყო და მასზე დაყრდნობა შეიძლებოდა. ამიტომ გაუმეღავნა საიდუმლოდ—მე და სტრელცოვი ზურგში არ მივდივართ, ფრონტზე ვრჩებით, შენც ხომ არ შემოგვიერთდებიო. მაგრამ ნეკრასოვს თავისი გეგმა ჰქონია — არა, არ დავრჩები, დაე ახალმა ძალებმა იბრძოლონ, მე დავისვენებ, ვინმე ჭალსაც ავეკიდები, მაგრადაც გავძლები, შემდეგ კი იქვე შეიძლება ფრონტს დავუბრუნდეო. ნეკრასოვის აზრებმა ლოპახინი მოთმინებიდან გამოიყვანა, — რა დროს დასვენებაა, გაცხარებული ბრძოლებია, რა სიძეებზე ლაპარაკობო, და ლანძღვის ტირადები მიაყარა დინჯად მოსაუბრე თანამებრძოლებს. ნეკრასოვი ხედავს, თუ რა კარგი მჭევრმეტყველია ლოპახინი, ადარებს პოლიტხელ ასტახოვს, მაგრამ ის შენთან ვერ მოვაო,—დასძენს. შემდეგ ჰყვება, როგორ მიუძღოდა თავის მებრძოლებს ასტახოვი, როგორ აღანთებდა მათ ბრძოლაში, როცა გაჰკიოდა — „ამხანაგებო, წინ წყეულ მტერზე! ურტყით ფაშისტ ქვეწარმავლებსო!“,— ჩვენ კი ფრიცების ძლიერი ცეცხლის გამო უკან ვწვებოდით, მოგვიხოხდებოდა, გაბრაზებითა და კბილების ღრჭიალით გვეტყოდა: „ადგომას ფიქრობ, თუ ფეხვები მიწაში გაუშვი? შენ კაცი ხარ თუ შაქრის ჭარხალი?“ (გვ. 187). როგორ შეიძლებოდა ასეთ პოლიტხელთან არ გებრძოლა. ის თვითონ იყო შესანიშნავი მებრძოლი ხიშტითაც და ჭურვითაც, მაგრამ უკეთესი, როგორც მჭევრმეტყველი.

ლოპახინი ვერ მიხვდა — რა შუაში იყო აქ მჭევრმეტყველება?

ამიტომ შეეკითხა ნეკრასოვს, მაგრამ ამ უკანასკნელმა პასუხი არ გასცა, — ნუ მაწყვეტინებ, — მომისმინეო. და ლოპახინმაც მოისმინა: ასტახოვს ყველა ერი გებულობდა, ყველა ერი პატივისცემით ეპყრობოდა, ცოდვაა, რომ ის კაღრის სამხედრო არ იყო, არც დიდი განათლება ჰქონდა, ხანიც ეტყობოდა, სამაგიეროდ, მებრძოლი იყო საშინელი. ჯერ კიდევ სამოქალაქო ომში წითელი დროშის ორდენი ჰქონდა მიღებული. ასეულში ძალიან უყვარდათ, როგორც მამაცი, მებრძოლებისადმი გულისხმიერი, განსაკუთრებით კი გულწრფელი მშვერმეტყველებისათვის. მთელი ასეული ტიროდა, როცა ასტახოვს კრძალავდნენ სოფელ კრასნი კუტის ახლო. შენ კი, ლოპახინ, ამბობ — რა შუაშია აქ მშვერმეტყველებაო. „არა, ძამიკო, ადამიანს როცა მშვერმეტყველება აქვს — უდიდესი საქმეა. და საჭირო სიტყვა, თუ ის თავის დროზეა ნათქვამი, ყოველთვის იპოვის გულისაკენ თავის გზას“ (გვ. 188).

ნეკრასოვის ამ სიტყვებმა უცნაურად იმოქმედა ლოპახინზე, ეს უკანასკნელი დაიბნა, რაკი სრულებით არ მოელოდა თავისი ამხანაგისაგან ასეთ რეაგირებას. შოლოხოვმა მთელი სიმძაფრით დახატა როგორც ერთის, ისე მეორის ფსიქოლოგიური განცდა, გვიჩვენა ხასიათების პოლარულობა იმ ძირითად საკითხთან დაკავშირებით, თუ რა გააკეთონ, როცა მტერი ისევ წინ მოიწევს: ერთს დასვენება უნდა, შემდეგ რომ ჩაებას ბრძოლებში, მეორეს დასვენებისათვის სად სცალია, მზად არის ომი განაგრძოს, ვიდრე სუნთქვა შეუძლია. ორივე მხურვალე პატრიოტია, ორივეს უსაზღვროდ უყვარს სამშობლო, ორივეს მთელი არსებით სძულს გერმანელი ფაშისტი, მაგრამ ორივეს თავ-თავისი ხასიათი აქვს, ორივე თავისებურად აფასებს შექმნილ ვითარებას. ლოპახინი ცდილობს გააგებინოს ნეკრასოვს, რომ ახლა „საქმე მშვერმეტყველებაში კი არ არის, ეშმაკსაც წაუღია მშვერმეტყველება, საქმე იმაშია, რომ გერმანელმა ჩვენ უკვე გვერდი აგვარიდა, როგორც ჩანს, ვოლგისაკენ ჭრის. იქ კი... სტალინგრადია... შენთვის ეს გასაგებია?“ (გვ. 188). როგორ არა, ნეკრასოვისათვის ეს ძალიან კარგად არის გასაგები, მაგრამ თვლის, რომ ერთი წლის ბრძოლამ საშინლად დაღალა, დასვენება ესაჭიროება, აქვს თუ არა მას უფლება დაისვენოს? — ახლა არაო, — უპასუხებს ლოპახინი — ახლა არა, მაშინ როდის? პირველი დაჭრის შემდეგ გონს მოსვლა ვერ

მოვასწარი, ისევ ნაწილში მოვხვდი, მეორე დაჭრის შემდეგაც ისევ ფრონტზე გამიშვეს, მესამე დაჭრის შემდეგ ჰოსპიტალში ვმკურნალობდი და ისევ ნაწილში წავედი. „აი ასე დავსეირნობ მთელი წელია ამ უფასო კარუსელზე... როდემდის ღა შეიძლება ასე მხიარულობდეს ხანში შესული ადამიანი? ჩემი წლები კი, გაითვალისწინე, ახალგაზრდული არ არის“ (გვ. 189).

ორი პატრიოტი კაცის ეს კამათი დიდხანს გრძელდება. შოლოხოვი არაფერს ტოვებს ამ კამათიდან ხელშეუხებელს, ყველაფერს გადმოშლის მკითხველის თვალწინ, საკითხის ანალიზის პარალელურად, თითოეულ გმირს ალაპარაკებს ისე ბუნებრივი, ადამიანური, დამაჯერებელი შტრიხებით, რომ ჩვენც უნებურად ვხდებით აღწერილი სცენების უშუალო მონაწილე, განვიცდით თითოეული მათგანის მდგომარეობას, ვხარობთ, როცა ლოპახინი იმარჯვებს, ვწუხვართ, როცა ნეკრასოვი შეცდომას შეცდომაზე უშვებს, თუმცა ზოგჯერ ის მართალია, მაგრამ არ უკვირდება — ყველას, ვინც ერთ წელიწადს იბრძოლა, დასვენება რომ მოეთხოვა, არმიისაგან რაღა დარჩებოდა გამძვინვარებული, თავიდან ბოლომდე უახლესი სამხედრო ტექნიკით აღჭურვილი ვერაგი მტრის წინააღმდეგ?

თუ რა ზომამდე გაცხარდა ეს კამათი, მკითხველს შეუძლია ადვილად წარმოიდგინოს ნეკრასოვის ერთი პასუხიდანაც, ასე აღსავსე რომ არის შინაგანი დაძაბულობითა და განაწყენებით. ლოპახინის ირონიულ შენიშვნაზე — შენ ხომ არა გაქვს კიბოს ავადმყოფობაო (ნეკრასოვმა ახსენა კუჭის კიბო), მან ასეთი პასუხი მიიღო: „მე ის არა მაქვს, აი შენ კი, ლოპახინ, სწორედ ეს ავადმყოფობა ხარ! განა შეიძლება ლაპარაკი შენთან, როგორც ადამიანთან? შენ ყოველთვის ლაპარაკობ ხსვადასხვა ამონაჩიჩქნებით, მზაკვრობებით, სულიერი ხუმრობებით... კუჭის კიბო ხარ ორ ფეხზე შემდგარი, და არა ადამიანი!“ (გვ. 190).

მგონი, საესებით ნათელია, თუ რა ზომამდეა გამწვავებული ეს კამათი ლოპახინსა და ნეკრასოვს შორის, მაგრამ შოლოხოვი ისე ოსტატურად წარმართავს დიალოგს, იმდენ ადამიანურ ნიუანსებს პოულობს, რომ მკითხველს როდი ეჩვენება მოულოდნელი პირველის დაინტერესება — მართლაც ხომ არ არის ავად ჩემი ამ-

ხანაგიო, ქისასაც მიაწვდის, წაეხუმრებიან კიდეც ერთმანეთს (ნეკრასოვი ამბობს, რომ სხვისი თამბაქოდან უყვარს მსხვილი პაპიროსის დაგრეხა, რის უფლებასაც ლოპახინი არ აძლევს!). უეჭველად ბევრის მთქმელია ავტორის რეპლიკა, რომ პაპიროსები ერთი ასანთიდან მოუკიდეს, დადუმდნენ, ერთმანეთს გადახედეს აშკარად არამეგობრულადო (გვ. 191).

როცა ლოპახინისა და ნეკრასოვის კამათი დაიწყო, სტრელცოვი ერთხანს უყურებდა ორივეს, მაგრამ რაკი არაფერი ეშმოდა, მოიწყინა და თავქვეშ ამოიდო შეხვეული კარავ-ლაბადა. ის ჯერ კიდევ ვერ შეეწყო, ვერ შეეგუა თავის ახალ მდგომარეობას — სმენის მოულოდნელად დაკარგვას. ფიქრებში წასულმა სტრელცოვმა გაიხსენა მშვიდობიანი ცხოვრება, რაც ასე უეცრად შეწყდა შარშანდელ 22 ივნისს, მოიგონა ბავშვები, ვინ იცის რა ყოფაში არიან, გული შეეკუმშა, გაბმულად ამოიკვნესა და შიშით თვალები გაახილა. განა შეიძლება ვინმემ მოსთვალოს, თუ რამდენი ასეთი გახსენება, შვილების ბედი აწუხებდა ათეულ მილიონობით ადამიანებს, რომლებსაც ომმა ოჯახები მიატოვებინა და საბარბაზნე ხორცად აქცია? განა შეიძლება ვინმემ იანგარიშოს, თუ რამდენი ცხარე ცრემლი დაიღვარა, რა გლოვა, ენით აუწერელი ტანჯვა მიადგა ასეულ მილიონობით ადამიანებს, რომლებმაც დედები, მამები, ქმრები, ცოლები, შვილები, ნათესავები, ახლობლები და მეგობრები დაჰკარგეს ჰიტლერული აგრესიის შედეგად? სტრელცოვი ერთი მათგანია, ამ ასეულ მილიონთაგან, რომელსაც დაჭრილსა და დაყრუებულს, აი, აგერ ჩაეძინა მიწაზე, მაგრამ ძილიც მწარე აქვს, თავი და ხელები უძიგძიგებს. რასაც დიდხანს უცქერის ნეკრასოვი: „როგორილა მებრძოლი იქნება მისგან? მწარე დარდია, და არა მებრძოლი!“ (გვ. 192). ასე ამბობს მიძინებულ სტრელცოვზე ნეკრასოვი, და ის ცამდე მართალია — გუშინდელი მამაცად მებრძოლი კაცი დღეს ნამდვილად „მწარე დარდია“, რომელსაც სმენა წართმეული აქვს და გულის რევაც აწუხებს. მართლაც, რა მოხდენილია ეს გამოთქმა სტრელცოვის მდგომარეობაში მყოფი მებრძოლის დასახასიათებლად — „მწარე დარდია!“

და განა თვით ნეკრასოვი „მწარე დარდი“ არ არის, როცა ლოპახინს სერიოზულად უყვებს თავის „სანგრის ავადმყოფობაზე“, რომელიც თურმე სხეულის კი არაა, ტვინისაა.—ამაზე ნუ შეწუხდები,

შენ ეს ავადმყოფობა არ შეიძლება გქონდეს,—დაცინვით ეუბნება ლოპახინი ნეკრასოვს,—რაკი შენთან „მას ნიადაგი არა აქვს... ნიადაგი!“ (გვ. 192). კოპიტოვსკისაც სურს გაიგოს—რა ავადმყოფობაა ეს, და აჩქარებს ნეკრასოვს:—მალე მოჰყევი, ნუ გააჭიანურებ. ნეკრასოვი ჰყვება: «...Еще с зимы стал я примечать за собой, что чего-то я меняюсь характером. Разговаривать с приятелями стало мне неохота, бриться, мыться и другой порядок наблюдать за собой—то же самое. За оружием, прямо скажу, следил строго, а за собой—просто никак. Не то, чтобы подворотничок там пришить или другое что сделать, чтобы в аккуратности себя содержать, а даже как-то притерпелся и, почитай, два месяца бельишка не менял и не умывался как следует. Один бес, думаю, пропадать—что умытому, что неумытому. Словом, в тоску ударился и запсиховал окончательно. Живу, как во сне, хожу как испорченный... Лейтенант Жмыхов и штрафным батальоном мне грозил, и как только не взыскивал, а у меня одна мыслишка: дальше фронта не пошлют, ниже рядового не разжалуют! Как есть одичал я, товарищей сторонюсь, сам себя не угадываю, и ничевошеньки-то мне не жалко: ни товарищей, ни друзей, не говоря уже про самого себя. А весной, помнишь, Лопахин, когда перегруппировка шла, двигались мы вдоль фронта и ночевали в Семеновке? Ну, так вот тогда первый раз со мной это дело случилось... Полроты в одной избе набилось, спали и валетами, и сидя, и по-всякому. В избе духота, жарища, надышали—сил нет! Просыпаюсь я по мелкой нужде, встал и возомнилось мне, будто я в землянке и, чтобы выйти, надо по ступенькам подняться. В памяти был, точно помню, а полез на печку... А на печке ветхая старуха спала. Ей, этой старухе, лет девяносто или сто было, она от старости уже вся мохом взялась...» (გვ. 193). მთელ ამ ისტორიას ნეკრასოვი ჰყვება სერიოზულად, ან კი რა უნდა იყოს სასაცილო ამ ფაქტში, რომ მებრძოლს გუნება შეეცვალა, რაღაც სხვა განწყობილება დაეუფლა, შეუცნობელი მოვლენები აწუხებენ, ვერ გარკვეულა რატომ ემართება ყოველივე ეს? სასაცილო აქ მართლაც არაფერია, გარდა ზოგიერთი სიტუაციისა, რაზეც თვით ნეკრასოვს წარმო-

დგენაც არა აქვს, რომ სასაცილოა, მაგრამ იქ, სადაც ახსენა ღუმელზე მწოლარე ოთხმოცდაათი თუ ასი წლის ღრმად მოხუცი ქალი, რომელსაც ეძინა და გაეღვიძა, მდგომარეობა შეიცვალა.

სწორედ ამ ადგილას, სმენადქცეულმა კოპიტოვსკიმ, როგორც იტყვიან, ძლივს შეიკავა სიცილი. რაკი ნეკრასოვმა ამის გამო სიტყვა არ გააგრძელა, ლოპახინმა მუშტი უჩვენა კოპიტოვსკის, თან უთხრა ნეკრასოვს: გააგრძელე, ნუ მორცხვობ, აქ ერთი სულელის მეტი, ყველა გამგები ადამიანიაო. და მხოლოდ მაშინ, როცა კოპიტოვსკიმ მოწოლილი სიცილის შესაკავებლად დაამთავრა ძალად ჩახველება, ნეკრასოვმა ისევ სერიოზულად განაგრძო:

«—Понятное дело, что эта старуха сдуру возомнила... Я стою на приступке печи, а она, божья старушка, рухлядь этакая шелудивая, спросонок да с испугу, конечно, разволновалась и этак жалостно говорит: «Кормилец мой, ты что же это удумал, проклятый сын?» А сама меня валенком в морду тычет. По старости лет эта бубновая краля даже на горячей печке в валенках и в шубе спала. И смех и грех, ей-богу! Ну, тут, как она меня валенком по носу достала раза два, я опамятовался и поспешно говорю ей: «Бабушка, не шуми, ради бога, и перестань ногами махать, а то, не ровен час, они у тебя при такой старости отвяжутся. Ведь это я спросонок нечаянно подумал, что из землянки наверх лезу, потому и забухался к тебе. Извиняюсь—говорю,—бабушка, что потревожил тебя, но только ты за свою невинность ничуть не беспокойся, холера тебя возьми!» С тем и слез с приступка, со сна меня покачивает, как с похмелья, а у самого уши огнем горят. «Мать честная,—думаю,—что же это такое со мной получилось? А ежели кто-нибудь из ребят слыхал наш с бабушкой разговор, тогда что? Они же меня через эту старую дуру живьем в могилу уложат своими надсмешками!» Не успел подумать, а меня кто-то за ногу хватает. Возле печки спал майор-связист,—это он проснулся, фонарик засветил, строго спрашивает: «Ты чего? В чем дело?» Я ему по форме доложил, как мне поблазнилось, будто я в землянке, и как я нечаянно потревожил старушку. Он и говорит: «Это у тебя, товарищ боец, окоп-

ная болезнь. Со мной тоже такая история была на Западном фронте. Дверь — направо, ступай, только смотри, куда-нибудь на крышу не заберись со своей нуждой, а то свалишься оттуда и шею к черту сломаешь».

По счастью, никто из ребят не слыхал нашего разговора, все спали с усталости без задних ног, и все обошлось благополучно. Но только с той поры редкую ночь не воображаю себя в землянке, или в блиндаже, или в каком-нибудь ином укрытии. Вот ведь пропасть какая: ежели по боевой тревоге подымут, — сразу понимаю, что и к чему, а по собственной нужде проснусь — непременно начинаю чудить...

На прошлой неделе, когда в Стукачевом ночевали, в печь умудрился залезть. Ведь это подумать только — в печь! Настоящий сумасшедший и то такого номера не придумал бы... Чуть не задушился там. Куда ни сунусь — нету выхода, да и шабаш! А задний ход дать не соображаю, уперся головой в кирпич, лежу. Кругом горелым воняет... «Ну, — думаю, — вот она и смерть моя пришла, не иначе снарядом завалило». Был у меня такой случай, завалило нас в блиндаже в ноябре прошлого года. Ежели бы товарищи тогда вскорости не отрыли, — теперь бы уж одуванчики на моих костях росли... И вот скребу ногтями кирпич в печке, дровишки раскидываю, помалу шебаршусь, а сам диким голосом окликаю: «Товарищи, дорогие! Живой кто остался? Давайте откапываться своими силами!» Никто не отзывается. Слышу только, как сердце у меня с перепугу возле самого горла бьется. Поискал руками — лопатки на поясе при мне нету. «Всем остальным ребятам, — думаю, — как видно, концы, а один я не откопаюсь голыми руками». Ну, тут я, признаться, заплакал... «Вот, — думаю, — какой неважной смертью второй раз помирать приходится, провались ты пропадом и с войной такой!» Только слышу: кто-то за ноги меня тянет. Оказался это старшина. Вытянул он меня волоком, а я его в потемках, конечно, не угадываю. Стал на ноги и обрадовался страшно! Обнимаю его, благодарю. «Спасибо, мол, великое тебе, доро-

гой таварищ, что от смерти спас. Давай скорее остальных ребят выручать, а то пропадут же, задохнутся!» Старшина спросонок ничего не понимает, трясет меня за плечи и шепотом потихонечку спрашивает: «Да вас сколько же в одну печь набилось и за каким чертом? А потом, когда смекнул, в чем дело, вывел меня в сени, матом перекрестил вдоль и поперек и говорит: «Три войны сломал, всякое видывал, а таких лунатов, какие не по крышам, а по чужим печам лазят,—встречаю первый раз. Ты же видел,—говорит,—что хозяйка еще засветло все съестное из печи вынула и дров на затоп наложила, за каким же ты дьяволом туда лез»?.

Я очухался и начал было объяснять ему про свою окопную болезнь, а он слушать не желает, почесался немного, позевал и медленно так на своем сладком украинском языке говорит: «Брешешь, вражий сын! Завтра получишь два наряда за то, что мародерничал в печи, мирное население хотел обидеть, а еще два наряда—за то, что не там ищешь, где надо. Топленое молоко и щи, какие от ужина остались, хозяйка еще с вечера в погреб снесла. Солдатской наблюдательности в тебе и на грош нету!...» (გვ. 194-196).

როცა ნეკრასოვმა თავისი გრძელი მოთხრობის ეს უკანასკნელი ფრაზა წარმოთქვა, კოპიტოვსკის კვლავ სიცილი აუვარდა, რითაც მომთხრობის გულისწყრომა გამოიწვია. მაგრამ თვით მდგომარეობა არ გართულებულა, ნეკრასოვმა ისევ განაგრძო ამბის ბოლოლა:

«—И какие средства я ни пробовал, чтобы по начам не просыпаться,—ничего не помогает! Воды по суткам в рот не брал, горячей пищи не потреблял—один бес! Перед рассветом вскакиваю, как по команде «смирно»,—и тогда пошел блудить. И вот хотя бы нынешней ночью... Проснулся перед зарей, дождь идет, ноги мокрые. Сквозь сон, сквозь эту вредную окопную болезнь думаю: «Натекло в землянку. Надо бы с вечера отводы прорыть для воды». Встал, пошарил руками—дерево. А того невдомек, что мы с Май-Бородой под тополем спали... щупаю

дерево и про себя мечтаю, что это—стенка, а сам ступеньки ищу, хочу наверх лезть. По нечаянности, когда вокруг тополя ходил, наступил этой Май-Бороде на голову... Эх, и шуму же он наделал—страсть! Вскочил, откинул плащ-палатку, плюется, а сам ругается—муха не пролетит! «Ты,—говорит,—псих такой и сякой, ежели окончательно свихнулся и по ночам на деревья лазишь, как самая последняя обезьяна, так, по крайней мере, не топчись по живим людям, не ходи по головам, а то вот возьму винтовку да штыком тебя на дерево подсажу! Так и засохнешь на ветке, как червивое яблоко!»

А того ему, идиотскому дураку, непонятно, что наступил я на него не в своем уме, а от этой проклятой окопной болезни. Ругался он, пока не охрип от злости. И я бы ему до конца смолчал, потому что виноват я, сам понимаю. Но он собрал свои пожитки, завернул их плащ-палатку и, перед тем как идти свежего места в лесу искать, на прощание мне и говорит: «Вот какая она, судьба-сука: хороших ребят убивают, а ты, Некрасов, все еще живой...» Ну тут я, конечно, не мог стерпеть и говорю ему: «Иди, пожалуйста, не воняй тут! Жалко, что одной ногой на твою дурацкую башку наступил, надо бы обеими, да с разбегу...» Он ко мне—с кулаками. А парень он здоровый, и силиша при нем бычиная. Я автомат схватил, рубежа на два быстренько отступил и кричу ему издалека: «Не подходи близко, а то я тебе очередью так и смою с лица земли! Я из тебя сразу Январь-Бороду сделаю!» За малым до рукопашной у нас не дошло...» (გვ. 196-197).

ასე ვრცლად, დაწვრილებით, მხატვრული ენით უყვება ნეკრასოვი თავის მეგობრებს უცნაურ თავგადასავლებს, რაც თურმე გამოწვეულია „სანგრის ავადმყოფობით“. შთააგონეს—ეს „სანგრის ავადმყოფობაო“ და მასაც სწამს, რომ უეჭველად ეს ასეა. ჰყვება და ჰყვება ნეკრასოვი, ყველა უსმენს, სიტყვას არავინ აწყვეტინებს შენიშვნასაც არავინ აძლევს, მაგრამ აქ კი, როცა მაის—წვერს (Май-Борода) დაემუქრა—იანვარ-წვერად (Январь-Борода) გაქცევო, ლოპახინმა უკვე ველარ მოითმინა და გაკვირვებით უთხრა: მესმოდა

ლამე როგორ თავაზიანად იქცეოდი, მაგრამ ვერ გამიგია, რად გინდა უველაფერი ეს, აზრი არ მესმისო. ნეკრასოვმა უმალ განუმარტა — დასვენება მესაჭიროებაო. — სხვებმა რა ჰქნან? — ეკითხება ლოპახინი. — სხვებზე არაფერი ვიცი. „შესაძლოა, მე ისეთი რკინისებური არა ვარ, როგორც სხვები, — ნაღვლიანად წამოცდა ნეკრასოვს“ (გვ. 197).

ამ საუბარში რომ არიან ჩვენი გმირები, სადღაც ხელმარცხნივ, ტყის გაღმა მხარეს, ფიცხელი საჰაერო ბრძოლა მიმდინარეობს. თვითმფრინავები არ ჩანდნენ, მაგრამ ბრძოლის დამახასიათებელი ყველა ხმა ისმოდა. ეს ბრძოლა შესანიშნავად აღწერა მწერალმა, დიდი ბუნებრივობით, გვიჩვენა ადამიანების განცდებიც — ხედავენ ძირს ვარდება ცეცხლმოდებული თვითმფრინავი, მაგრამ არ იციან ვისია და ვედრებით ამბობენ — ოღონდ ჩვენი არ იყოსო! ასე ამბობს, მაგალითად, კოპიტოვსკი, რომელმაც პირველმა შენიშნა ჩამოგდებული თვითმფრინავი და მშვენივრად დაახასიათა, თუ რა მძიმედ განიცდიან საბჭოთა მებრძოლები, მიწაზე, თავიანთი მეგობრების დამარცხებას ჰაერში.

7

აქ არის ერთი დიალოგი, რომელიც იმართება ნეკრასოვსა და კოპიტოვსკის შორის, დიალოგი, რომელსაც გონებამახვილობასთან ერთად, კოლორიტული იერიც დაჰკრავს. კოპიტოვსკი ეკითხება ნეკრასოვს: შენი ეს „სანგრის ავადმყოფობა“ გადამდები ხომ არ არის, შენთან რომ დავჯდე, შეიძლება მეც დავიწყო ღამით იქ ძვრომა, სადაც საჭირო არ არისო? შეცბუნებული ნეკრასოვი უკმაყოფილოდ უპასუხებს: შენი ჯანმრთელობის პირობებში ციმბირის წყლულიც ვერ მოგეკარება, არა თუ რაიმე გონებრივი ავადმყოფობაო (გვ. 198). ეს უკვე არ ეწყინა კოპიტოვსკის, პირიქით, მოხიბლული დარჩა, რომ ასე უქვეს ჯანმრთელობა. ნეკრასოვმა კი თავისებურად განაგრძო საუბარი, რომ წლები თავისას ითხოვს, კარგი იქნებოდა ოჯახი მოენახულებინა, მას ხომ ოთხი ბავშვი ჰყავს, რომლებიც წელიწადია არ უნახავს და ალარც ახსოვს როგორები არიან. „ზოგჯერ ღამით, — ამბობს ნეკრასოვი, — როცა ბრძოლა არ არის, იმდენად ვიტანჯები, მინდა ისინი ნათლად მოვიგონო, — არა, არ ხერხდება!.. მთავარი ის არის, რომ უფროსს,

მაშუტკას, იმასაც კი აზრიანად ვერ ვიგონებ, იგი ხომ ხუთმეტი წლისაა... მოსაზრებული გოგოა, სკოლაში პირველი ფრიადოსანია..." (გვ. 198).

ასე ლაპარაკობს ნეკრასოვი, და ვინ იცის, რამდენი იყო ომში, ვისაც ასე უნატრებოდა ოჯახის, მშობლების, შვილების ნახვა! ერთი ნეკრასოვის პირით აქ მრავალი ნეკრასოვი ლაპარაკობს, მისი ძუნწი მამაკაცური ცრემლიც ვინ იცის რამდენის ცრემლია. ბევრი იმასვე განიცდიდა, რასაც ნეკრასოვი, მაგრამ არ ლაპარაკობდა, იყვნენ სხვანაირი განწყობილების ადამიანები, მსგავსად ლოპახინისა, რომელიც განრისხდა, როცა თანამებრძოლის უადგილო სულისკვეთებას მიუხვდა. თავშეკავებულად, დაბალი ხმით ჰკითხა: საიდან ხარ, წარმოშობით, კურსკელან?—ვიყავი, ლებედიანიდან ვარო,—უპასუხა ნეკრასოვმა. მიიღო თუ არა ეს პასუხი, ლოპახინმა ყრუდ დაიწყო ლაპარაკი: «—Жалостно ты про детей рассказываешь, подлец! Очень жалостно! Что и говорить, любящий папаша и муж. Дома у него немцы хозяйничают, над его семьей измываются, а он, видишь ты, в зятья думает пристать, в тылу ему желательно прохлаждаться: нашел самое подходящее время... Что ж, отдыхай, наедай шею, развлекайся с чужой бабой, а на твоей жене немцы пусть землю пашут. А дети твои пусть с голоду подыхают, как бездомные щенки... Порядочек! А еще говоришь, что позабыл, какие они из себя, твои дети. Нехитро забыть, если вся забота только о своей шкуре! Да ты морду не вороти, слушай! Говоришь, дома желательно побывать, а как же ты думаешь побывать там? На ногах войдешь по чести-совести, как солдат, или может быть,—на пузе, к немцу в плен? А потом к своему порогу приползешь, хвостом повиляешь, семью обрадуешь, ест, мол, уморился воевать ваш герой, теперь думаю перед фрицем на задных лапках стоять и служить ему верой-правдой, так, что ли? Думал я, Некрасов, что ты русский человек, а ты, оказывается, дермо неизвестной национальности. Иди отсюда, жабья слизь, не доводи меня до греха! (გვ. 199).

კითხულობთ ამ სიტყვებს და გრძნობთ ლოპახინის უღრმეს გულისტკივილს. თავის სიტყვაში ის არაფერს ტოვებს განუხილ-

ელს, რაც ნეკრასოვის აზრებსა და სურვილს უკავშირდება, არაფერს ლიბერალურად არ უდგება, ყველაფერს მკაცრი სამსჯავროს წინაშე აყენებს, როგორც შეუპოვარი კაცი, რომელსაც გადაუწყვეტია ანგარიში გაუსწოროს მოპირდაპირეს. ვიმეორებთ, ასე იქცევა, ასე ამბობს ლოპახინი და მკითხველი რწმუნდება, თუ რამდენად განრისხებული უნდა იყოს ადამიანი, რომ მეორეს უწოდოს „უნამუსო“, „უცნობი ეროვნების ნებვი“, თან დაემუქროს— აქედან წადი, ცოდვას ნუ ჩამადენინებო! რა თქმა უნდა, მკაცრად ლაპარაკობს ლოპახინი, მაგრამ ცამდე მართალია; დაუნდობლად ამათრახებს, მაგრამ საფუძველი მტკიცე აქვს; ულმობელია, მაგრამ ბრძოლაში ჩაბმულ კაცს, თავისი არმიის პერმანენტული უკანდახევებით გამწარებულ პატრიოტს, რომელიც სამშობლოს ხვალინდელ ბედზე დაუღალავად ფიქრობს, განა შეუძლია ხვანაირად ელაპარაკოს თანამებრძოლს, როცა ეს უკანასკნელი განსაცდელის ჟამს დასვენებაზე ოცნებას ამყოლია?! არა. სხვაგვარი ლაპარაკი მას არ შეეძლო, ეს ივრძნო შეშფოთებულმა კოპიტოვსკიმაც და ნეკრასოვს ურჩია — აქაურობას გაეცალეო!

ეს სცენები სავსეა ღრმა ფსიქოლოგიური განცდებით, ადამიანის სულში მწერლის ისეთი „შეჭრით“, რომ თვით სახეები, ისედაც ცოცხალნი და დამაჯერებელნი, ბუნებრიობის კიდევ უფრო მეტ ძალას იძენენ. როგორ გაახარებს ლოპახინს, მაგალითად, საშკა კოპიტოვსკი თავისი პასუხით — განა საკითხავია, რომ დავრჩები, მე რომ არ ვიქნე, დარდით მოკვდები, ვისლა დაუწყებ ლანძღვა-გინებას? მე მომთმენი კაცი ვარ, სხვა კი არ გაჩუმდებაო.

დიდი ადამიანური, მეგობრული გრძნობაა კოპიტოვსკის ამ პასუხში, მაგრამ შეხედეთ თვით ლოპახინს, ერთი წუთის წინ მოთმინებიდან გამოსულს, ახლა რომ თვალებში სითბო ჩადგომია, უწონებს მეგობარს სწორ გადაწყვეტილებას, სთხოვს დარჩეს სტრელცოვის ახლოს, თვითონ კი უფროსთან წავა მოსახსენებლად. წავა და მიედევნება ნეკრასოვიც, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ეტყვის: ჯადავიფიქრე, მეც დავრჩები, უცხო ხომ არა ვარ, მეტისმეტი გადაღლილობისაგან რას არ მოიფიქრებ, დუხჭირი ჰკუა რას არ გათქმევინებს, დიდად გულმოსასვლელი აქ არაფერია, მომეცი შენი მშვენიერი თამბაქო. გავაბოლოთო. და ისინი ერთად გააბო-

ლებენ თვით ლოპახინის მიერ წვრილად შეხვეულ პატარა პაპიროსს, რაკი ნეკრასოვს სხვისი თამბაქოს „წვრილად შეხვევა“ არ ეხერხება (გვ. 201).

მოქმედ გმირთა ასე ადამიანური, სულ უბრალო, სულ ჩვეულებრივი, თითქოსდა ყოველდღიური ურთიერთობის წარმოსახვით შოლოხოვი აღწევს ისეთ მხატვრულ დამაჯერებლობას, ისეთ ბუნებრივ უშუალობას, რომ მკითხველი ვეღარ თაეისუფლდება შთაბეჭდილებათა მორევისაგან, დიდი გატაცებით მისდევს რომანის სიუეეტური ქარგის განვითარებას გათლილი მარმარილოს მსგავსად დახვეწილ დიალოგებში.

აი, ლოპახინი უკვე მივიდა, ნეკრასოვის თანხლებით, მიწურთან, სადაც დაზგის მეტყვიამფრქვეეეს ვასილი ხმიზას პირდაპირ სოკრატეს ენით ტუქსავდა უფროსი პოპრიშჩენკო — ეს რა გმირები მოგვეელინენ, არც წესდების ცოდნა სურთ, არც დისციპლინა, სამხედრო სამსახურზე ხომ წარმოდგენაც არა აქვთ, ისე მოქმედებენ, როგორც ბავშვები ბაზრობაზე. ჯარისკაცი კი ვალდებულია ფაფასაც მიირთმეედეს და კვდებოდეს კიდეეაც მბოლოდ უფროსობის ბრძანებით, და არა მაშინ, როცა თვით მას მოეპრიანებაო. თურმე ხმიზასაც ის გადაუწყეეტია, რაც ლოპახინს — ზურგში არ წავიდეს ნაწილის შესავსებად და დასასვენებლად, დარჩეს მოწინავე ხაზზე, მიეკედლოს რომელიმე ასეულს და ბრძოლა განაგრძოს. პოპრიშჩენკო ამიტომ ტუქსავს ვასილი ხმიზას, შემდეგ ისევ გრძელ ტირადას წარმოსთქვამს თავის ნაწილზე — სამხედროა თუ ხუროების არტელი, როგორ შემიძლია ვინმე სხვაგან გავუშვა, ყველა მოინდომებს, ხომ დაიშლება, მარტო ერთი მე დავრჩები, თუ შენ წახვალ, დეზერტირად გამოგაცხადებ, პასუხს აგებ ტრიბუნალის წინაშე დეზერტირობისათვის, ახლა კი წადი, მეტი აღარ მოხვიდე ასეთი სულელური თხოვნებითო.

ხმიზა უმალ დაემორჩილა თავის ძველ, ხანშიშესულ უფროსს და წავიდა, პოპრიშჩენკომ კი განაგრძო თავისებურად: დილის შემდეგ ეს მეოთხეა, მოდიან და ითხოვენ — ზურგში წასეელა არ გვინდა, აქ დავრჩებით, შეიძლება არც მე მსურს წასეელა, მაგრამ ბრძანება ხომ უნდა შეეასრულო? ეს-ესაა ვინაბულე მაიორი — ოცდამეოთხმეტე პოლკის მეთაური. მიბრძანა დაუყოვნებლივ გავემგზავრო ხუტორ ტალოვსკში, სადაც ჩვენი დივიზიის შტაბია.

რაკი დროში შევინარჩუნეთ, ნაწილს არ დაშლიან. თქვენ კი, შვილებო, რაზე ხართ მოსული?

ლოპახინს სულ დაენგრა თავისი გეგმები, მიხვდა, რომ ეს ხანში შესული, გამოცდილი, ძველი მეომარი ცამდე მართალი იყო, ამიტომ უპასუხა: მოვედით გავიგოთ, როდის გაყალთო (გვ. 203). ნეკრასოვს გაუკვირდა — რატომ მართალს არ ეუბნები, ახლავე უთხარი სიმართლე, ჩვენ ის ვერ შეგვაშინებსო!

„— ყველაფერი ნათქვამიაო!“ მოუჭრა ლოპახინმა, და იმ შებრუნდა უფროსისაკენ, რათა ეთხოვა ჩქარა გაეცა ბრძანება ზურგში წასვლაზე (გვ. 204).

მთელი ეს სცენა პერიპეტიულია, ბუნებრივი, აღებულია უეჭველად სინამდვილიდან, მაგრამ მხატვრულად ისე ძლიერადაა წარმოსახული, როგორც მარტოოდენ შოლოხოვის ჯადოქრულ კალამს შეუძლია.

და, აი, ჩვენი პატარა ნაწილი მიემართება ხუტორ ტალოვსკისაკენ, სადაც დივიზიის შტაბი დგას. თხუთმეტკილომეტრიანი გზა მხოლოდ ერთი შესვენებით გაიარეს და საღამოს ექვს საათზე შევიდნენ მეორე ხუტორში, რომელიც ტალოვსკიდან მხოლოდ შვიდი კილომეტრით იყო დაშორებული. როცა პოპრიშჩენკომ გამოაცხადა — აქ ღამეს გავათევთო, ზოგი უკმაყოფილო დარჩა — ადრეა დაძინება, უმჯობესია ტალოვსკიში მივიდეთ, იქ კომენდანტის ქვაბს მაინც მივუსწრებთ, დამშეულები ვართ, მთელი დღე არაფერი გვიჭამიაო. ასე ფიქრობენ გამოუცდელი ჯარისკაცები, მაგრამ ძველ, ხანდაზმულ მეომარს პოპრიშჩენკოს თავისი გეგმები აქვს — მშიერი მაწანწალებით ხომ არ მიადგება პოლკოვნიკს? ღამეს აქ გაათევენ, წესრიგში მოვლენ — რამდენი მტეერია გასაფერთხი, ტანსაცმელ-ფეხსაცმელი მისაკერებელ-მოსაკერებელი, იარაღი სარკესავით გასაწმენდი, ხელ-პირი — დასაბანი, ჯაგარი — მოსაფხეკი, ერთ სიტყვით ხვალ დილას ყველაფერი მინასავით სუფთად უნდა გამოიყურებოდეს. რაც შეეხება დანაყრებას, პოპრიშჩენკოს ამ საქმეშიც მოუფიქრებია რა გააკეთოს — კოლმეურნეობაში მივა, სხვისი სახელმწიფო ხომ არ არის, ოცდაშვიდი კაცის საჭმელს იშოვის, მაგრამ არავის მისცემს უფლებას ეზო-ეზო იწანწალოს— მათხოვრები ხომ არა ვართ, პოლკს არ შევარცხვენო!

მაგრამ ხუტორის კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან მისულ-

ვა პოპრიშჩენკომ სრული ფიასკო განიცადა. უფროსის თხოვნას თავმჯდომარე ტრაფარეტულად ერთი და იგივე პასუხს აძლევდა: „არ შემიძლია. ნათქვამია, არ შემიძლია. არ შემიძლია, ამხანაგო უფროსო!“ (გვ. 205). ეს მეტად უსიამოვნო საუბარი ესმით გარეთ მოლოდინე კოპიტოვსკისა და ლოპახინს. პირველი ურჩევს შეორეს — შედი, ჩვენს მოხუცს დაეხმარე, ისინი როგორღაც ვერ თანხმდებიანო. ლოპახინი შედის პატარა ოთახში, სადაც თავმჯდომარე ზის, ეტყობა ყოფილი მეომარი, ცალხელა, რომელსაც პოპრიშჩენკო ნამუსზე აგდებს“ და ეუბნება: „შენც ყოფილი ფრონტელი ხარ, მაგრამ ჩვენი მდგომარეობის არაფერი გაგეგება, ისე მსჯელობ, ბოდიშს ვიხდი, როგორც შეუგნებელი დედაკაციო...“ (გვ. 205). საუბარში მოულოდნელად ჩაებმება ლოპახინი—თითქოს არ იცოდეს რა ხდება, და იკითხავს: რაშია თქვენი საქმე, რაზე ვაჭრობთო. როცა პასუხს გაიგონებს—პროდუქტებს ვერ გამოვწეროო—ლოპახინს გაუკვირდა — „რატომ?“ — „— ჰა, რატომ? რატომ და იმიტომ, — განმარტავს თავმჯდომარე, — რომ საკუთნაო ცარიელია, შენ ფიქრობ, რომ თქვენ ჩვენს ხუტორზე გაელით პირველები გარბიხართ?“ (გვ. 205). ეს კი მოუთმენელი იყო ლოპახინისათვის, რომელმაც ნაომარ, ვალმოხდილ ფრონტელს, ახლა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს თავშეკავებულად შეუსწორა — ჩვენ არ გავრბივართო. მაგრამ თავმჯდომარე ჯიუტად მაინც თავისას გაიძახოდა. „— ვიმეორებ, — ჩვენ არ გავრბივართ, — მკვეთრად მოუჭრა ლოპახინმა. — ეს პირველყოველისა, მეორეს მხრივ კი, ჩვენ — უკანასკნელები ვართ. ჩვენს შემდეგ არავინ არ არის“.

ამ სიტყვებს თითქოს უნდა დაემშვიდებინა თავმჯდომარე, მაგრამ, პირიქით მოხდა: — ჩვენ ამით მდგომარეობა როდი გეიმსუბუქდება. ვინც თქვენზე ადრე გაიარეს, მათ ყველაფერი გასწმინდეს, აღარაფერი დაგვრჩაო. დიდი ვაი-ვაგლახით, თავმჯდომარე ჰპირდება მეომრებს მხოლოდ ორ კილოგრამ ფეტვს. — პერი კი ოჯახებში იშოვეთო.

ადვილი წარმოსადგენია, რა გაელენას მოახდენდა ეს სიტყვები: 27 დამშეული კაცი და 2 კილოგრამი ფეტვი! ლოპახინი ცხარდება. მიდიან საკუთნაოში, სადაც თავმჯდომარის განცხადებით თაგვების მეტი არაფერია. ცალხელა და ცალფეხპროტეზიანი თავმჯდომარე მათ ისევ უმტკიცებს: შაჲი ბეღელი არა მაქვს, თქვენ

არაფერს დაგ-მალავთ, გეტყობათ სახელოვანი მებრძოლები ხართ, ცხოვრებასაც არ დაეიშურებდი, მაგრამ მთელი პირუტყვი, რაიონის განკარგულებით, გუშინ ევაკუირებულ იქნა, მარტო კოლმეურნეთა პირად სარგებლობაში მყოფი საქონელი დარჩა, ჩემს ცხვარს მოგცემდით, მაგრამ სახლში ცოლისა და კატის გარდა არაფერი გამაჩნიაო. საკუჭნაოში კი მართლაც არაფერი იყო — მხოლოდ სამ კილოგრამამდე ფეტვი იპოვეს:

მოდი და ნუ შეწუხდები!

პოპრიშჩენკოს ახსოვს ზღაპარი, რომელშიაც ჯარისკაცები ნაჯახისაგან ფაფას ხარშავენ, მაგრამ ეს მხოლოდ ზღაპარშია, აქ კი სრულიად გამოუვალი მდგომარეობაა. ასე ფიქრობს პოპრიშჩენკო. მაგრამ ლოპახინისათვის გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს, გამოსავალი ყოველთვის მოიძებნება, თუ კაცი გონიერია, მას კი როდის უღალატა მოსაზრებულობამ? და ლოპახინი მიღებს „გაბუდულ გადაწყვეტილებას“ — მთელი ძალით გამოიყენოს თავისი უცვლელი, მოუგერიებელი უნარი, რომლითაც დაჯილდოებულია — ეს უნარია ქალებთან წარმატება. საიდუმლოს გაუმხელს პოპრიშჩენკოს, — მენდე, ყველაფერს მოვაწყობ, დღეისათვის ბევრს ვერ დაგპირდები, ჯერ მდგომარეობას გაეცნობი, „ბრძოლით დავზვერავ“, ხვალ დილით კი ყველას დაგაპურებთო. პოპრიშჩენკოს ეკვი შეეპარა — რა მოიფიქრე, იქნებ რაიმე უკანონო საძაგლობა? — არა, ლოპახინს რაიმე კანონის დარღვევა როდი აქვს გათვალისწინებული. ყველაფერი კანონის თანახმად გაკეთდება. და ჩვენ გულწრფელად ვიღიმებით, როცა გვესმის ლოპახინის ხუმრობაშერეული განმარტება: „ამ საქმეში ვიტანჯები ერთი მე. დამჭირდება შევარყიო ჩემი ზნეობრივი ბურჯები, მაგრამ რამდენადაც ისინი აქამდე უკვე დიდიხანია შენჯღრეულია — მზად ვარ დავზარალდე ამხანაგების გულისათვის“ (გვ. 208).

და ლოპახინი უკვე შეუდგება „საბრძოლო დაზვერვას“. ეს „დაზვერვა“ თავმჯდომარიდან იწყება. ჩვენი გმირი პირდაპირ იერიშზე გადადის და ეკითხება მას: შენს კოლმეურნეობაში არის ვინმე ქვრივი ან ჯარისკაცის ცოლი, რომელიც შეძლებულად ცხოვრობს, ჰყავს ქათმები, ცხვრები, საერთოდ წვრილფეხა საქონელი? დაგვაყენე მასთან, ერთი ღამის გასათევად, ოღონდ იგი არ უნდა იყოს ულაზათო, ცოტად თუ ბევრად ქალს უნდა ჰგავდეს. — „და

არ უნდა იყოს სამოცდაათ წელზე მეტი ხნის?" — დაცინვით ჰკითხა თავმჯდომარემ. ყოველგვარ ხუმრობას ახლა, როცა ძალიან სერიოზული საკითხი იხილებოდა, ლოპახინი როდი მიიღებდაო, — შენიშნავს ავტორი, — და ის მართალია: ოცდაშვიდი კაცის დაპურების საქმით გართულ ადამიანს ხუმრობის დრო ან განწყობილება სად ჰქონდა. ამიტომ მან, დუმილის შემდეგ, თავმჯდომარეს ასე უპასუხა: სამოცდაათი — ეს, ძამიკო, ბევრია, უკიდურეს შემთხვევაში სამოცი — ამაზე თანახმა ვარ, მაგრამ სასურველია უფრო ახალგაზრდა იყოსო (გვ. 209). ასეთი ქალიც აღმოჩნდა, სანდომიანი, ოცდაათი წლისა, ფრონტზე მყოფი უფროსი ლეიტენანტის ცოლი, რომელიც მარტო ცხოვრობს, შეძლებულადაა, მაგრამ ძალიან ჰკაცრია, — გააფრთხილა თავმჯდომარემ ლოპახინი. ეს გაფრთხილება ლოპახინმა აინუნშიც არ ჩააგდო — მას ბევრი უნახავს ამგვარი მკაცრი ქალები, მაგრამ თავისი მიზნისათვის ყოველთვის მიუღწევია. გახარებული ლოპახინი, მიიღო თუ არა პოპრიშჩენკოსაგან ნებართვა, შეუდგა ციხე-სიმაგრის აღებას.

ეს სცენები, რომლებიც წინ უსწრებენ ღამით ლოპახინის სკანდალურ თავგადასავალს, შოლოხოვმა ისე დეტალურად აგვიწერა, ისეთი ნიუანსებით, რომ დაწვრილებით მათი გადმოცემა შეუძლებელია. ჩვენ ვხედავთ მებრძოლებს, რომლებიც მთელი გატაცებით ასრულებენ პოპრიშჩენკოს დავალებას, ყველაფერი წესრიგში მოჰყავთ, იარაღს სწმენდენ, აკერებენ დახეულ ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს, მტვერს იცილებენ, სუფთავდებიან, ერთი სიტყვით, მუშაობა გახურებულია დღეს დიასახლისთან, ხვალ კი მეორე ხუტორში პოლკოვნიკთან ღირსეული შეხვედრისათვის.

სწორედ ამ დროს გამოჩნდება (პირველი შენიშნავს კოპიტოვსკი) მათკენ მომავალი დიასახლისი: არაჩვეულებრივად მაღალი, დიდი, ბრგე, ტანადი და სახით ლამაზი. ყველა მებრძოლზე ერთი თავით მაღალი იყო სტრელცოვის გარდა (მას არაფერი ესმოდა, თავდახრილი სწმენდდა ავტომატს), ოცდაექვსი წყვილი თვალი გაოცებულა და მოხიბლული უყურებდა ამაყად, დიდებულებით მათკენ მომავალ ქალს, რომელმაც, ნახა თუ არა იგი პოპრიშჩენკომ, იმედი გაუცრუა ამ უკანასკნელს. ლოპახინი, პირიქით, აღტაცებაში მოვიდა, გამოწკიპული შეეგება დიასახლისს, არაფრად ჩააგდო უფროსის სიტყვები, სრულ უიმედობას რომ გამოხატავ-

და. „ქალი კი არა, ძეგლი მოდისო“, — ჩაილაპარაკა გაცოფებულმა პოპრიშჩენკომ, — გაიფიქრა: თავმჯდომარემ ალბათ სპეციალურად აგვიღო, ასეთ ქალთან რომ მიგვაგზავნაო. მოსკოვში სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, შესასვლელთან, მაღალი ქვის ქალი რომ დგას, სწორედ იმას ჰგავსო. და პოპრიშჩენკოს სურს ბინა გამოიცვალონ, ვინმე სხვასთან გადავიდნენ, რასაც თვითდაჯერებული ლოპახინი წინ აღუდგება, „ისტორიულ ცოდნასაც“ გამოიყენებს თავისი უფროსის აზრის შესაცვლელად.

რა არის ეს „ისტორიული ცოდნა“, რომლის შესახებ წარმოდგენაც კი არა აქვს პოპრიშჩენკოს — თავისი დღე და წუთისოფელი ხუროდ მომუშავეს? ლოპახინი ასე ეუბნება თავის უფროსს: იყო ძველად მხედართმთავარი ალექსანდრე მაკედონელი. მას, ისევე როგორც შენდეგ რომაელ მხედართმთავარს იულიუს ცეზარს, ჰქონდა ლოზუნგი: „მივედი. შევხედე. გავიმარჯვე“. მე ვემხრობი ამ ლოზუნგს, და ამ ქალბატონის სიმაღლე სრულებით არ მაშინებსო (გვ. 213). ამ თვითდაჯერებულობით ლოპახინი იწყებს თავისი გეგმის შესრულებას, დიასახლისს მხარში ამოუდგება, რას არ აკეთებს, რომ მისი გული მოიგოს. დიასახლისიც ხალისით ღებულობს შეთავაზებულ სამსახურს და ლოპახინს ჰგონია, რომ ამაღამ უეჭველად გაიმარჯვებს, როგორც არაერთხელ აუსრულებია წადილი. ქალი მას უკვე ზრდილობით მიმართავს — პიოტრ ფედოტიჩს უწოდებს, რაზეც ნეკრასოვმა კმაყოფილებით ჩაილაპარაკა — „ანკესზე ეგებაო“ (გვ. 214). კმაყოფილია პოპრიშჩენკოც — ახლა სულ სხვანაირად ფიქრობს: რატომაც არ უნდა წაბოეგოს ანკესზე, — ეუბნება იგი ნეკრასოვს, — ბიჭი ვაჟკაცია, გმირია, სიმაღლეს რა ჭკუა აქვს, ლოპახინი უველაფერს გმირობით ღებს, როგორც ის მხედართმთავარი... ვერ გაიხსენა ლოპახინის მიერ ახლახან ნათქვამი სახელი და ნეკრასოვს შეეკითხა — „შენ უძველესი ისტორია როდისმე გისწავლია?“ როცა დაბალი განათლების მქონე ნეკრასოვისაგან უარყოფითი პასუხი მიიღო, საყვედურით უთხრა: „ამაოდ არ სწავლობდი, ამაოდ!“ თითქოს მას ძალიან კარგად შეესწავლოს! და პოპრიშჩენკო დამახინჯებულად უყვება ნეკრასოვს ლოპახინისაგან მოსმენილ „ისტორიას“, რომ ძველად იყო ალექსანდრ მაკედონსკოვი, სუვოროვზე ადრე, ვის არ ებრძოდა — გერმანელებსაც, ფრანგებსაც, შვედებსაც, რომ

ლარაფერი კთქვათ სხვადასხვა იტალიელებზეო (ცხადია, პოპრიშჩენკოს წარმოდგენა არა აქვს, რომ ეს ერები მაშინ არ იყო). მაგრამ უფრო დიდი შეცდომა მოუვიდა, როცა ნეკრასოვს უთხრა: მხოლოდ რუსეთს უჩვენა ზურგი, რა ეროვნების იყო თვითონ — დამავიწყდა, ვერ გავიხსენეო (გვ. 215).

დამეთანხმებით, რომ ამ დიალოგებით შოლოხოვი შესანიშნავად გადმოშლის მკითხველის წინაშე თავისი გმირების შინაგან ბუნებას, გუშინდელი მშვიდობიანი, რიგითი მშრომელების ხასიათს, ადამიანებისა, რომლებიც ფაშისტური გერმანიის მიერ საბჭოთა ხალხისადმი ძალად თავსმოხვეული ომის ულმობელი კანონების საფუძველზე იძულებული გახდნენ ოჯახი, სახლ-კარი მიეტოვებინათ და იარაღი აესხათ მტრის, კალიასავით შემოსეული მტრის გასანადგურებლად.

როცა დაწმენდა-დასუფთავებას მორჩნენ, მთელი დღის ნამგზავრი მებრძოლები იმ საღამოს მშიერი დაწვნენ დასაძინებლად. მთელი მათი იმედი ხვალ დილით უნდა გამართლებულიყო, თუ ლოპახინი წარმატებას მიაღწევდა დიასახლისთან ურთიერთობაში. კმაყოფილი ქალი, დილით რამეს გააკეთებდა ლოპახინის მეგობრების დასაპურებლად. ასე ეგონათ მათ. ამიტომ იყო, რომ პოპრიშჩენკო ცდილობდა ლოპახინს არ ჩასძინებოდა, მაგრამ ამის საშიშროება სრულებით არ იყო—გმირი ვაჟკაცურად ფხიზლობდა, მაკედონელ—ცეზარის ლოზუნგით შეიარაღებულს გამარჯვებაში არავითარი ეჭვი არ ეპარებოდა.

ოპერაცია დაიწყო—ლოპახინი გაემართა მძინარე დიასახლისისაკენ. ეს სცენა, როცა იგი მიდის ჩუმად, თითქოს ფეხაკრეფით მტერს ეპარებოდეს ბრძოლის ველზე, „მიძინებული“ ამხანაგებში კი რას არ ჩურჩულებენ, — აღსავსეა გონებამახვილობით, იმდენად ოსტატურია, რომ გვინდა ეურჩიოთ მკითხველს — წაიკითხოს თვით რომანში, მე ვერ შევიძლებ მის გადმოცემას. ვეტყვი მხოლოდ, რომ ქალმა განგაში ასტეხა, მაგრად სცემა ლოპახინს, რომელსაც მეორე დღეს მარჯვენა თვალი გასიებული ჰქონდა. ამხანაგები, ცხადია, მეგობრულად დასცინოდნენ „გმირს“, განსაკუთრებით პოპრიშჩენკო, რომელიც მას შომაკვდინებელი ირონიით „ალექსანდრ მაკედონსკოვს“ უწოდებდა. ლოპახინი თავს იმართლებდა: „გაუთვალისწინებლად მიმტყუნა!“, „ქალი კი არა, პირ-

დაპირ სიტურფეა!“, „რა ძლიერი ქალია!“, „ასეთები მე ჯერ არ მინახავს!“, „პირველი კლასის მოკრივეა!“, „უმაღლესი კატეგორიის მოჭიდავეა!“ (გვ. 220). შემდეგ მოჰყვა თავგადასავალს შელამაზებულად, თუმცა ბევრს ესმოდა, რაც დიასახლისის სახლიბელში ხდებოდა.

ახლა მთავარი იყო საკითხის გარკვევა — ხვალ რა მოხდებოდა: დიასახლისი, რომელსაც ღამე ასეთი უსიამოვნება მიაყენეს, დაეპურებდა თუ არა დამშეულ ლოპახინს. ეს ყველაზე ადრე იკითხა ნეკრასოვმა. „მეეჭვებაო!“ — წამოსცდა ლოპახინს. გაიგონა პოპრიშჩენკომ და საყვედურით უთხრა ლოპახინს — თავგზა რატომ აგვიბნიეო! დაზარალებულმა ლოპახინმა თავი ვეღარ შეიკავა და შემდეგი უთხრა უფროსს: „შენ კი რა გინდა ჩემგან, ამხანაგო უფროსო? რომ მე კიდევ წავიდე დიასახლისთან? ვამჯობინებ საქმე მქონდეს გერმანულ ტანკებთან. ხოლო თუ შენ ვეღარ ითმენ,— თვითონვე წადი. მე ერთი კოპი შევიძინე, შენ კი ის თორმეტს დაგაკრავს, დამშვიდებული იყავიო!“ (გვ. 220). პოპრიშჩენკოს ისღა დარჩენოდა, რომ აწლამითვე მისულიყო თავმჯდომარესთან და კატეგორიულად მოეთხოვა დამშეული მებრძოლების ხვალ დილით დაპურება — დივიზიაში მისვლისთანავე ხომ ვერ ეტყოდა უფროსებს გვაჭამეთ, მაწანწალებსო!

რაღას აკეთებს ლოპახინი?

შესრულებული მოვალეობის გრძნობით, დაძინების წინ, ლოპახინი მისთვის დამახასიათებელი იუმორით ამბობს: „აბა, ახლა დაძინებაც შეიძლება. ჩემი შეტევა მოგერიებულია. უკან დავიხიე წესრივით, მაგრამ განვიცადე რომელიღაც დანაკლისი, და მოწინააღმდეგის ძალების აშკარა უპირატესობის გამო, ამ უბანზე შეტევას არ განვაახლებ. ვიცი, რომ თქვენ ჩემზე იცინებთ, ბიჭებო, ახლა ორ თვეს... ერთსა გთხოვთ: დაიწყეთ ხვალ დილიდანვე, ახლა კი დავიძინოთ!“ (გვ. 221).

მეორე დღეს, დილით ადრე, უცნაური ამბავი დატრიალდა: დიასახლისი ნატალია სტეპანოვნა საუზმეს უმზადებს მებრძოლებს, ბოდიშს უხდის ლოპახინს კოპისათვის, ეუბნება, რომ ქმრის ერთგულია, მასზე უკეთესი არავინ ეგულება ქვეყანაზე, კუიბიშევის პოსპიტალში წევს დაჭრილი, ელოდება, ალბათ, გამოუშვებენ. ლოპახინი იმედს აძლევს — აუცილებლად შინ გამოუშვებენ, ნა-

ტალია სტეპანოვნა, მაგრამ ვერ გამიგია ეს როგორ ხდება — თქვენ საუზმეს გვიმზადებთ?

ნატალია სტეპანოვნა განუმარტავს ლოპახინს, თუ რა არის ამის მიზეზი, მაგრამ ეს მთელი ისტორიაა და უმჯობესია სიტყვა თვითონ მას დავუთმოთ. ნატალია ამბობს:

«—Тут и понимать нечего. Если бы вы вчера толком объяснили нашему председателю, что это ваша часть позавчера билась с немцами на хуторе Подъемском.—вас еще вчера накормили бы. А то ведь мы, бабы, думаем, что вы опрометью бежите, не хотите нас отстаивать от врага, ну сообща и порешили про себя так: какие от Дона бегут в тыл,--ни куска хлеба, ни кружки молока не давать им, пущай с голоду подыхают, проклятые бегунцы! А какие к Дону идут, на защиту нашу,—кормить всем, что ни спросят. Так и делали. А про вас мы не знали, что это вы на Подъемском бились. Позавчера колхозницы нашего колхоза подвозили снаряды к Дону, вернулись оттуда и рассказывали: «Наших родненьких,—говорят,—много побито было на той стороне Дона, но и немцев на бугре наклали, лежат, как дрова в поленице». Знатье, что это вы там бой принимали, по-другому бы и встретили вас. Старший ваш, рыженький, седенький такой старичок, ночью к председателю ходил, рассказал ему, как вы жестоко сражались. Ну, гляжу—на рассвете председатель чуть не рысью к моему двору поспешает. «Промашка,—говорит,—вышла, Наталья. Это—не бегунцы,—говорит,—а герои. Режь сейчас же курей, вари им лапшу, чтобы эти ребята были накормлены досыта.» Рассказал мне, как вы оборонялись на Подъемском, сколько потерей понесли, и я сейчас же лапшу замесила, восемь штук курей зарубила и—в котел их. Да разве нам для наших дорогих защитников каких-то несчастных курей жалко? Да мы все отдадим, лишь бы вы немца сюда не допустили! И то сказать, до каких же пор будете отступать? Пора бы уж и упереться... Вы не обижайтесь за черствое слово, но срамотно на вас глядеть...» (გვ. 223).

ლოპახინმა ყველაფერი კარგად გაიგო. ის მიხვდა თავის შე-

ცდომას, რომ მორგებული გაჯაღები ვერ მონახა. იმედგაცრუებულმა მხოლოდ ეს წარმოსთქვა: „რაღაც არ მიმართლებს სიყვარულში ამ ბოლო დროსო“ (გვ. 224).

ჩვენ უკვე ვუახლოვდებით დაუმთავრებელი რომანის უკანასკნელ სურათს.

ხუტორ ტალოვსკიში დგას დივიზიის შტაბი. დივიზიის ნეთაური პოლკოვნიკი ვასილ სემიონოვიჩ მარჩენკო, სერაფიმოვიჩთან მძიმედ დაჭრილი, წევს, მაგრამ, როცა შტაბის უფროსი — უერთგულესი მეგობარი მაიორი გოლოვკო მოახსენებს: ოცდამეთვრაეტე მოვიდა, სულ ოცდაშვიდი მებრძოლია, მათ შორის ხუთი მსუბუქად დაჭრილი, დროშა შენარჩუნებული აქვთ, მწყობრში დგანანო, — წამოდგება, თუმცა უძლურად არის, გუშინ ხომ წაიქცა. მაგრამ დღეს აუცილებლად უნდა გავიდეს მოსულ ნაწილთან, მისი დროშის ქვეშ, თურმე, ომამდე რვა წელს უმსახურია პოლკოვნიკ მარჩენკოს. — პატაკი საჭირო არ არის, დროშა გაშალონ, — ბრძანებს პოლკოვნიკი და მთელი ძალების დაძაბვით, ფეხზე ძლივს მდგომი, დამწკრიეებულ ნაწილთან მიდის. სიტყვას ამბობს და ეს სიტყვა ისე ვაჟკაცურია, გმირული, ადამიანურად ღრმა, სამხედრო დიდებით სავსე, რომ პოპრიშჩენკოს გული აუჩუყდება, ცრემლი მოადგება თვალზე. რასაც ოდნავ თავშიბრუნებული ლოპახინი შესცქერის. ხედავს, რომ ის — პოპრიშჩენკო, სამხედრო წესების ერთგული, ხელს მაღლა არ სწევს ცრემლების მოსაწმენდად. ჰალარა თავს ნელ-ნელა დაბლა ხრის... და ამ სურათით მკითხველი ეთხოვება ნაცნობ გმირებს.

აქ წყდება რომანი — „ისინი სამშობლოსათვის იბრძოდნენ“. რომელიც დამთავრებული არ არის, და რომლის გაგრძელებასაც ასე მოელიან არამარტო ჩვენი მკითხველები, შოლოხოვის დიდი ტალანტის უანგარო პატივისმცემლები, არამედ, მსოფლიოს ყველა კულტურული, კეთილი ნების ადამიანი, ვისთვისაც ძვირფასია ლიტერატურა, სიმართლე, მხატვრული სიტყვის ძალა და მნიშვნელობა. ჩვენც ამ ადამიანთა შორის ვართ, დღე-დღეზე მოველით შოლოხოვის რომანის გაგრძელებას და გვინდა ავტორს ვუსურვოთ თავისი შედევრი მალე დაემთავრებინოს, შედევრი, რომელსაც შეგნებულად ვუწოდეთ „სამშობის უსასრულო ეპოპეა“. სიტყვა „უსასრულოში“ ვგულისხმობდით არა რომანის დაუმთავრე-

ბლობას, არამედ, თვით მეორე მსოფლიო ომის, როგორც მოვლენის, ადექვატური მხატვრული სრულყოფის შეუძლებლობას, მაგრამ ყოველთვის გვამოძრავებდა აზრი, რომ თუ ვინმეს თანამედროვე მწერალთაგან შეუძლია ყველაზე უკეთესად ეს გააკეთოს, ეს „ვინმე“ მხოლოდ შოლოხოვია, მისი უზადო ტალანტი, მისი შეუდარებელი ოსტატობა, მისი ხანგრძლივი ლიტერატურული გამოცდილება. ჩვენ, შოლოხოვის დიდი შემოქმედების მკვლევარებს, არ გვინდა დაუმთავრებელ რომანზე დაუმთავრებელი აზრები გვქონდეს. ისიც კარგად გვესმის, რომ მეორე მსოფლიო ომზე კარგ რომანს ვერ დაწერს ბელეტრისტი, თუ ნიჭთან ერთად პოლიტიკური სიმახვილეც, მართალი, სწორი, საღი პუბლიცისტური ალღოც არა აქვს. შოლოხოვი ამ მხრივაც ბედნიერია. ის შინაარსით ერთია, როგორც პუბლიცისტი და როგორც მხატვრული სიტყვის მეუფე. ასეთი ტიპის დიდ ხელოვანს, მხოლოდ ასეთ დიდ ოსტატს შეუძლია ხელი მოჰკიდოს ისეთ თემებს, რომლებიც ერთნაირად მოითხოვენ პუბლიცისტიკისა და მხატვრული სიტყვის ჰარმონიული მთლიანობისათვის მაქსიმუმის გაკეთებას.

VII

ჟურნალისტიკა და მხატვრული სიტყვა

„სიძულვილის მეცნიერება“

შოლოხოვის დიდი ტალანტი მართლაც საოცარი ძალით ახერხებს პუბლიცისტიკისა და მხატვრული შემოქმედების ორგანიულ სინთეზს, როცა ეს აუცილებლად ესაჭიროება მწერალს მკითხველზე განსაკუთრებული ეფექტის მოსახდენად. კლასიკური ნიმუშია „სიძულვილის მეცნიერება“, რომელიც მრისხანე 1942 წელს გამოქვეყნდა და რომელმაც წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა არამარტო საბჭოთა ადამიანებზე. ყველგან, მსოფლიოს ყველა კუთხეში, სადაც კი წაიკითხეს, „სიძულვილის მეცნიერებამ“ მომაკვდინებელი ლახვარი ჩასცა ჰიტლერიზმს, ფაშიზმს.

არაფერია გასაკვირი, თუ ჩვენი დიდი მწერლები, ომის დროს

თავიანთი კალმის ნამოქმედარით, თითოეული ერთი დიდი სამხედრო შენაერთის საქმეს მაინც აკეთებდა მტრის დასამარცხებლად. მიხეილ შოლოხოვი და გალაკტიონ ტაბიძე, ალექსეი ტოლსტოი და შალვა დადიანი, ალექსანდრე ფადეევი და ლეო ქიაჩელი, კონსტანტინე გამსახურდია და კონსტანტინე სიმონოვი, ალექსეი სურკოვი და გიორგი ლეონიძე, ალექსანდრე ტვარდოვსკი და იოსებ გრიშაშვილი ისე ამაღლებდნენ საბჭოთა ხალხის პატრიოტულ გრძნობას, ისე აშრშვლებდნენ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის წინაშე ჰიტლერიზმის ვანდალურ არსებას, რომ თითოეულის ძალა ამ მხრივ კარგად შეიარაღებული ფრონტის ერთი არმიის სამხედრო შემართებას არ ჩამოუვარდებოდა. საკმარისია „სიძულვილის მეცნიერება“ დავასახელოთ, რომელმაც კონსოლიდირებულად განასახიერა ფაშისტური მბეცობის მთელი საშინელება.

ამ ნაწარმოებში შოლოხოვმა მიაღწია მხატვრულისა და პუბლიცისტურის ისეთ ჰარმონიულ ერთიანობას, რომ არცერთის პრიორიტეტი შელახული არ არის. ისინი ერთსა და იმავე დროს ცალ-ცალკეც არიან და ერთადაც იმყოფებიან, როგორც მოსიყვარულე ძმები. სამი მოქმედი პირი ჰქმნის მთელ ნაწარმოებს — ომი, მწერალი და ლეიტენანტი ვიქტორ გერასიმოვი. სულ ეს არის, მაგრამ ღმერთო ჩემო, რა არის?! შემაძრწუნებელი თავგადასავალი ვიქტორ გერასიმოვისა მეორე მსოფლიო ომის მინიატურულ სურათს წარმოადგენს, თუმცა მაჩვენებით საყოველთაო ხასიათის მატარებელია. უწყინარ, ბრგე, მშრომელ ციმბირელ ჭაბუკს ომი გადაისერის ჯოჯოხეთის მორევში. რომლის შესახებაც მას არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა. ომამდე ის დიდად აფასებდა გერმანელების ოსტატობას მანქანების დამზადებაში. გერმანიიდან მიღებული შესანიშნავი მანქანების აწყობის დროს გერასიმოვი ხედავდა რა „ჰკეიანურ ხელებს“ გაუკეთებიათ ისინი, ზუსტად, თითოეული დეტალის ოსტატური დამუშავებით. გერმანელი მწერლების ნაწარმოებებსაც დიდი გატაცებით კითხულობდა. ყოველივე ამით გერასიმოვი პატივისცემით იყო განწყობილი შრომისმოყვარე, ნიჭიერი გერმანელი ხალხისადმი, თუმცა, ხანდახან უკვირდა, თუ როგორ ითმენდა ასეთი მონაცემების ხალხი ჰიტლერიზმს.

შემდეგ, როცა ფრონტის საშინელებანი, გერმანელი ფაშისტების მხეცობა თვალით იხილა და თვითონვე განიცადა, ლეიტენანტი გერასიმოვი მიხვდა, რომ თურმე გერმანელები „ისეთივე გულდასმით, როგორითაც ოდესღაც აკეთებდნენ დაზგებსა და მანქანებს, ახლა ჰკლავენ, ძალმომრეობენ და სიკვდილით სჯიან ჩვენს ადამიანებს“.*

მაგრამ ნუ გავუსწრებთ წინ მოთხრობაში აღწერილ ფაქტებსა და მოვლენებს. განვიხილოთ მთელი ნაწარმოები — პუბლიცისტიკისა და მხატვრული შემოქმედების ეს ორგანიული სინთეზი, როგორც დასაწყისში უკვე აღვნიშნეთ.

ჩვენ გვეტყვიან: ვიქტორ გერასიმოვი — „სიძულვილის მეცნიერების“ მთავარი გმირი და ანდრეი სოკოლოვი — „კაცის ბედის“ მთავარი გმირი ძალიან ჰგვანან ერთმანეთსო.

რა ვუპასუხოთ?

სახით, არა, მაგრამ ტანჯვითა და ტყვეობით — უეჭველად.

მაგრამ დამისახელეთ რომელიმე ორი ტყვედყოფილი, ფაშისტურ დილეგებში გამოვლილნი, არაადამიანურ წამებას, შიმშილს, ცემას, სიცივეს, ჯოჯოხეთურ დამცირებას, სიკვდილს გადარჩენილნი და შემდეგ მითხარით — არ ჰგვანან ერთმანეთსო!

არა, საკონცენტრაციო ბანაკებში სასიკვდილოდ შეყრილი ადამიანები, ჩონჩხებად ქცეულნი, როგორ არა, ჰგვანან ერთმანეთს, გარეგნულადაც უკვე ერთ ფორმაში არიან მოქცეულნი, გარდა ამისა, მათ აერთებთ ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში უსაზღვრო სიძულვილი ჰიტლერიზმის მთელი დოქტრინისადმი, გაუგონარი ტანჯვა-წამება, სამშობლოსადმი თავდადება და სიყვარული! ასეთ შემთხვევაში ადამიანები სახით არა, მაგრამ ბიოგრაფიული შტრიხებით უეჭველად ემსგავსებიან ერთმანეთს, მათ შორის ბევრი საერთო იჩენს თავს და აქ გასაკვირი არაფერია. თუ გერასიმოვი და სოკოლოვი ერთმანეთს ზოგიერთ რამეში მართლაც თანხვდებიან, აქ სინამდვილეა მიზეზი შედეგისა და არა გენიოსი მწერლის ფანტაზია. მსგავსებაში კი იმდენი განსხვავებაა,

---

* მიხეილ შოლოხოვი, „სულის კარნახით“, 1970 წ. ვვ. 100. (რუს. გამ.). ციტირება „სიძულვილი მეცნიერებისა“ ამ გამოცემის მიხედვით თვით ტექსტში იქნება გვერდების მითითებით.

რომ გერასიმოვსა და სოკოლოვზე მთელი გამოკვლევა შეიძლება დაიწეროს. ამ მისიას ახლა ჩვენ ვერ ვიკისრებდით, ვინაიდან მონოგრაფიის ფარგლები საშუალებას არ იძლევიან — ზოგადად კი უკვე აღნიშნული გვაქვს და ესეც საკმარისია.

ახლა მიეუბრუნდეთ საკუთრივ ნაწარმოებს — „სიძულვილის ცეცხლიერება".

მოთხრობა იწყება შესანიშნავი ექსპოზიციით, რომელსაც ღეჭველად განზოგადებული ალეგორიული მნიშვნელობა აქვს თვით ნაწარმოების მთავარი გმირის მისამართით. მე სხვანაირად არ შემიძლია გავიგო ავტორის სიტყვები, რომ „ომში ხეებს, ისევე როგორც ადამიანებს, თითოეულს თავისი ბედი აქვსო" (გვ. 94). სწორედ ამ ბედმა იხსნა გაშავდგურებისაგან ჩვენი არტილერიით ჩოსპობილი ტყის ვეებერთელა უბანზე ერთი არყის ხე, რომელიც ახლა ცენტრში ობლად იდგა, მართლაც საოცრებით გადარჩენილი. ვიქტორ გერასიმოვიც, მსგავსად ანდრეი სოკოლოვისა, განა ამ არყისხესავით ბედზე არ არის გადარჩენილი? და რამდენი რამ არის თქმული შოლოხოვის პასაჟში, როცა ავტორის წინ მიმავალი მეკავშირე წითელარმიელი ხელით ნაზად შეეხება ამ არყისხის ტანს და გულწრფელად. მოფერებით ეკითხება გაოცებული: — როგორღა გადარჩი შენ აქ. ძვირფასო?.."

მართლაც, როგორ გადარჩა?

ფორტუნამ გაუღიმა, თუ არის რაღაც კანონზომიერება სიცოცხლის მარადიული სწრაფვისა ჩვენს ულამაზეს პლანეტაზე, რის გამოც მილიონების დაღუპვის დროს ეგზემპლარები გადარჩებიან ხოლმე მოსაგონებლად და არსებობის გასაგრძელებლად? შესაძლოა ყველაფერი ერთად შეადგენს იმ კანონზომიერებას თუ შემთხვევითობას, რომელიც აუცილებლობად იქცევა?

ასეა თუ ისე, ერთეულები მაინც რჩებიან ტოტალური მოსპობის დროს, ვინაიდან სიცოცხლე, ისევე როგორც სიკვდილი, მარადიული თანმხლებია არსებობისა, და მოსპობა სხვა არაფერია, თუ არ ხელახალი დაწყება არსებობისა. ეს მეტაფიზიკური ფილოსოფიის დასკვნა კი არ არის, სამყაროს ერთიანობის შემოქმედებითი კანონია.

ამ კანონის ძალით გადარჩა ის ერთადერთი არყის ხე, რომელიც ავტორმა იხილა; გადარჩა ვიქტორ გერასიმოვიც, მსგავსად ფესვმა-

გარი მუხისა, რომელიც ფიქვისაგან განსხვავებით, კვდება, მაგრამ ცოცხლობს. ეს შესანიშნავად გვიჩვენა შოლოხოვმა მოთხრობის ექსპოზიციაში, როცა ორიეს სიკვდილი ერთმანეთს შეადარა და განსხვავება ხელშესახებად გამოაჩინა: «Но если сосна гибнет от снаряда, падая, как скошенная, и на месте среза остается лишь иглистая, истекающая смолой макушка, то по-иному встречается со смертью дуб.

На провесне немецкий снаряд попал в ствол старого дуба, росшего на берегу безыменной речушки. Рванная, зияющая пробоина иссушила полдерева, но вторая половина, пригнутая разрывом к воде, весною дивно ожила и покрылась свежей листвой. И до сегодняшнего дня, наверное, нижние ветви исколоченного дуба купаются в текучей воде, а верхние все еще жадно протягивают к солнцу точеные, тугие листья...»(გვ. 94-95).

შესანიშნავი მხატვრული პარალელია ორმხრივი დანიშნულებით: მეორე უშუალოდ მიგვანიშნებს ლეიტენანტ ვიქტორ გერასიმოვის ოდისეას, რასაც ახლა უნდა შევეხოთ.

ავტორი თავის გმირს — მაღალსა და მხრებგანიერს პირველად გვიჩვენებს ბლინდაჟის შესავალთან მჯდომს, რომელიც საფუძვლიანად ჰყვება ბატალიონის მიერ წარმატებით მოგერიებული დღევანდელი ბრძოლის, მტრის სატანკო შემოტევის ამბებს. ლეიტენანტის გამხდარი სახე დამშვიდებული იყოო, — გვეუბნება ავტორი, — თან დასძენს, რომ მას ჰქონდა ძლიერი ფიგურა, ენერგიული, ვაჟკაცური სახე. გვენიშნება მისი განცდილი უბედურებანი ფრონტზე, გერმანელებთან პირისპირ შეხვედრისას, და ახლაც, როცა სამი ტყვე მოჰყავთ, ზლაზვნითა და ტაატით, ვიქტორ გერასიმოვი ხმამაღლა შეუყვირებს წითელარმიელს: „შენ რა, მათთან სასეირნოდ ხარ? მოუმატე ნაბიჯს! ჩქარა წაიყვანე, შენ გეუბნებიან!..“ (გვ. 95). და აქ გერასიმოვი იწყებს მღელვარებას, წამოდგება, სწრაფად შევა ბლინდაჟში.

რატომ იქცევა ასე?

იქვე მდგომი პოლიტხელმძღვანელი განმარტავს: „რას იზამ— ნერვებია. ის ტყვედ იყო გერმანელებთან... მან ძალიან ბევრი გადაიტანა იქ და ამის შემდეგ ცოცხალი ჰიტლერელების ნახვა არ

შეუძლია, ახალგაზრდობის ცოცხლებისა! მკვდრებს უყურებს. არა უშავს, მე ვიტყოდი — სიცოცხლებითაც კი...“

მერედა რა არის ამ გულადი, უშიშარი, ფიზიკურად უძლიერესი კაცის ამგვარი მოქცევის მიზეზი, კაცისა, რომელიც ხიშტსა და კონდახს იერიშის დროს ისე ხმარობს, რომ ორჯერ მისი ბრძოლის მნახველი პოლიტხელმძღვანელი ამბობს: „ეს საშინელება რამ არისო!“ (გვ. 96).

აქედან იწყება ვიტიას — ლეიტენანტ ვიქტორ გერასიმოვის თავგადასავალი, რომელიც ისევე აუტანელი, არაადამიანური, უმძიმესია, როგორც ანდრეი სოკოლოვისა „კაცის ბედიდან“. მე ვერ ვიკისრებდი ამ თავგადასავლის მოყოლას — მაშინ შოლოხოვი უნდა იყო. შეეცდები მხოლოდ ზოგიერთი რამ გავაცნო მკითხველს, რაც მისთვის აუცილებელია იცოდეს „სიძულვილის მეცნიერების“ იდეურ-მხატვრული ღირსებების შესახებ.

ომამდე ვიტია მექანიკოსად მუშაობდა დასავლეთ ციმბირის ერთ-ერთ ქარხანაში. ფრონტზე გაუწვევიათ 1941 წლის ცხრა ივლისს. სახლში დატოვა ცოლი, ორი ბავშვი და ინვალიდი მამა. გაცილების დროს ატირებულ ცოლს უთქვამს: „დაიცავი სამშობლო და დაგვიცავი ჩვენ მაგრად. თუ საჭირო გახდეს სიცოცხლე შესწირე, რათა გამარჯვება ჩვენი იყოსო“. ვიტიას გაუცინია და ცოლისათვის უპასუხნია: „რა ხარ შენ ჩემი, ცოლი თუ ოჯახის ავიტატორი? მე თვითონ დიდი ვარ, გამარჯვებას კი რაც შეეხება, ჩვენ მას ფაშისტებს ყელთან ერთად გამოვგლეჯთ, ნუ სწუხარო!“ (გვ. 97). ცოლის გარდა, მამაც თავისებურ განაწესს აძლევს ვაჟიშვილს: „გაფრთხილებ, ვიქტორ, გერასიმოვების გვარი — ეს უბრალოდ გვარი კი არ არის. შენ შთამომავლობითი მუშა ხარ; შენი პაპის მამა ჯერ კიდევ სტროგანოვთან მუშაობდა; ჩვენი გვარი ასეულ წლობით სამშობლოსთვის რკინას აკეთებდა, და რომ შენ ამ ომში რკინისებური იყო. ხელისუფლება შენია, ომამდე ბას თანდარიგის მეთაურად ჰყავდი, და მაგრად უნდა ურტყა შენ მტერს“ (იქვე). ვიქტორი, ცხადია, მამას პირობას აძლევს, რომ სახელოვნად იბრძოლებს, შეასრულებს მის განაწესს.

ეს დიალოგები, რომლებიც ჩვენ მოვიტანეთ, იმდენად ტიპიურნი არიან იმ დღეებისათვის, რომ საჭიროც არ არის ვამტკი-

ცოთ მათი ჰეშმარიტი ხასიათი, ნამდვილობა, ცხოვრებისეული სიმართლე. ეს იყო არამარტო საუბარი, დიალოგი, არამედ, აზრი და გრძნობა, სული და გული, მოთხოვნა და გატაცება საბჭოთა ადამიანებისა, რომლებიც მილიონობით დაეცნენ ბრძოლაში, თავი შესწირეს სამშობლოს დაცვას და საზარელი მტრის განადგურებას.

ფრონტზე გამგზავრების წინ გერასიმოვი რაიკომში შეივლის, გამოემშვიდობება მდივანს, რომელიც მას, როგორც კომუნისტს, პარტიულ განაწესს აძლევს—დაუნდობლად ურტყი ქვეწარმავლებსო, შენი იმედი გვაქვსო, შემდეგ კი გადაკოცნის, და რადა ღირს ვიტიას შენიშვნა: «Первый раз в жизни расцеловался я со своим секретарем, и, черт его знает, показался он тогда мне вовсе не таким уж сухарем, как раньше...» (გვ. 97). ასეთი მიღების შემდეგ, ცხადია, ვიქტორი რაიკომიდან გახარებული და აღელვებული გამოვიდა.

შესანიშნავია ერთი დეტალიც: ნადიას„ ვიქტორის ცოლს. სადგურში გაცილების დროს, მღელვარებისაგან სულ გაეფანტა აზრები, რაც მეუღლისათვის უნდა ეთქვა (ანდრეი სოკოლოვის მეუღლეს — ირინას ხომ უარესი ემართება — ეს სყოველთაო კანონია, ვერავინ გაექცევა, ვინც ნორმალური, ნამდვილი ადამიანია). როცა მატარებელი დაიძრა, ისლა მოახერხა სწრაფად მიეძახებინა ქმრისათვის: „ფრთხილად იყავი, ვიტია, თავს გაუფრთხილდი, იქ არ გაცივდე, ფრონტზე". და ვიტიაც პასუხს აძლევს: „რას ამბობ, ნადია, რას! არასგზით არ გავცივდები. იქ კლიმატი ჩინებულია და ძალიან ზომიერიც კია" (გვ. 97—98).

აი, მართლაც ადამიანური გამოთხოვება, უშუალობა!

— მწარე იყო ჩემთვის ეს გამოთხოვებაო, — ამბობს ვიქტორ გერასიმოვი, — და გულის სიღრმეში მან იგრძნო მძაფრი სიძულვილი გერმანელი ფაშისტებისადმი. სიძულვილის მეცნიერება პრაქტიკულად უკვე ამოქმედდა. მანამდე ის მხოლოდ თეორიული პოსტულატების სახით იცოდა გერასიმოვმა. ისიც გაგებული ჰქონდა, რომ გერმანელებს ძლიერი ტექნიკის გარდა არმიაც ნაკლები ღირსების როდი ჰყავდათ. ასეთ მოწინააღმდეგესთან ბრძოლა მაშინ საინტერესოდაც კი ეჩვენებოდა ციმბირელ ბრგე ვაჟკაცს. არ მოელოდა ფაშისტებისაგან პატიოსან ომს, მაგრამ ის, რაც შემ-

დეგ განიცადა, ფიქრადაც არ გაუვლია. საშინელმა სინამდვილემ ჰიტლერულ არმიაზე ყოველგვარ საზიზღარ წარმოდგენასაც კი გადააჭარბა.

რა მოხდა?

ივლისის ოცდაშვიდს ვიქტორ გერასიმოვი ფრონტზე პირველად გავიდა სასტიკ ბრძოლაში. მისმა ნაწილმა თხუთმეტი გერმანელი ჯარისკაცი ტყვედ ჩაიგდო. მათ ჰუმანურად მოეპყრნენ, „კამრადაც“ უწოდეს, საჭმელ-სასმელი მისცეს, თამბაქოც და პაპიროსებიც. ერთმა ჩვენმა ძველმა მებრძოლმა, როცა ეს სურათი დაინახა, თქვა: რას სჩადიხართ, თქვენ ნახეთ რას აკეთებენ ისინი ფრონტის ხაზის იქით, როგორ მხეცურად ექცევიან საბჭოთა ტყვეებს, საბჭოთა ადამიანებს. და როცა გერასიმოვის ნაწილმა შეტევის წარმატებით დამთავრების შემდეგ იხილა მთლად გადამწვარი სოფლები, ასობით დახვრეტილი უდანაშაულო ქალები, ბავშვები, მოხუცები, ტყვედ ჩავარდნილი წითელარმიელების დასახიჩრებული გვამები, გაუპატიურებული და მხეცურად დახოცილი ქალები, ქალიშვილები, გოგონები... მაშინ კი ბოლომდე გაიგო ვიქტორ გერასიმოვმა, თუ ნამდვილად რა არის ფაშიზმი, რა არის ჰიტლერიზმი. განსაკუთრებით ერთი გოგონა დამამახსოვრდაო,—ჰყვება გერასიმოვი.—ის თერთმეტი წლის იყო. ეტყობა სკოლაში მიდიოდა. ჰიტლერელებმა დაიჭირეს, გააუპატიურეს, და მოჰკლეს. მის ირგვლივ ეყარა სისხლში მოსვრილი რვეულები და წიგნები, მკვდარს, დასახიჩრებულს და ნაგვემს, ხელში ეკავა სასკოლო ჩანთა. «Мы накрыли тело плащ-палаткой и стояли молча, —ამბობს გერასიმოვი.—Потом бойцы так же молча разошлись, а я стоял и, помню, как исступленный, шептал: «Барков, Половинкин. Физическая географія. Учебник для неполной средней и средней школы». Это я прочитал на одном из учебников, валявшихся там же, в траве, а учебник этот мне знаком. Моя дочь тоже училась в пятом классе» (გვ. 99).

ეს ერთი ამაზრზენი სურათია ფაშისტური მხეცობისა, მაგრამ ვინ მოსთვლის რამდენი ასეთი უბედურება დაატეხეს თავზე გერმანელმა ფაშისტებმა საბჭოთა ადამიანებს. რიცხვი მათი — ამ უბედურებისა, ასეულ მილიონობითაც ვერ გამოიხატება. ენას და კალამს მათი სრულად აღწერა, სრულად გამოხატვა არ შეუძლია.

ან აიღეთ სოფელ სკვირის ახლოს ადგილი, სადაც ჰიტლერე-

ლები ტყვეებს ხვრეტდნენ. ეს ადგილი ჰგავდა „ხორცის დუქანს“, — ამბობს გერასიმოვი. ხეთა ტოტებზე ჩამოკიდებული იყო სისხლიანი ტანები ადამიანებისა ეხელოდ. უფეხოდ, ნახევრამდე გატყავებული... საშინელი სურათებია იქვე, მაგრამ არ დავღლით მკითხველს — წაიკითხოს შოლოხოვის „სიძულვილის მეცნიერება“ — მათი გადმოცემა ჩვენს ძალებს აღემატება. მართალია ვიქტორ გერასიმოვი, როცა ამბობს: „თქვენ ფიქრობთ, სიტყვებით შეიძლება მოთხრობა ყველაფერზე, რაც ვნახე? არ შეიძლება! ასეთი სიტყვები არ არის. ეს თვითონ უნდა ნახო“ (გვ. 99). სრული სიმართლეა და ჩვენ კარგად გვესმის, თუ რატომ წყვეტს, რატომ აღარ შეუძლია გერასიმოვს მოჰყვეს ეს საშინელებანი. ნერვებს როდი ეხერხებათ ყველაფერს გაუძლონ!

შემდეგ ის ძალას იკრებს, აგრძელებს თხრობას, ერთი მეორეზე უსაშინელეს ამბებს ჰყვება.

ფრონტზე მყოფი გერასიმოვი სექტემბრის დასაწყისში პირველად დასჭრეს, მაგრამ მწყობრიდან არ გამოსულა. ოცდაერთს კი. პოლტავის ოლქის სოფელ დენისოვკასთან, მეორედ დაიჭრა და ტყვედ ჩავარდა. პერმანენტული უკანდახევით ტანჯულს, ეს უბედურებაც დაერთო. როცა გონს მოვიდა, ყველაფერს მიხვდა, „აი სიკვდილიც“, — ჩაიფიქრა ვიქტორ გერასიმოვმა. სურდა იქვე მომკვდარიყო, აკი დაუყვირა გერმანელებს — „მომკალითო, არა-ვზადებო!“ მაგრამ ის არ მოჰკლეს, ტყვედ წაიყვანეს დასისხლიანებული, ფეხზე ძლივს მდგომი ადამიანი, რომელიც სრულ გონზე არც იყო. — პირველი შესაძლებლობისთანავე გაქცევა, — აი, რა იდეა დაებადა გერასიმოვს, როგორც კი აზრზე მოვიდა.

თხუთმეტი ტყვე დახვრიტეს გერმანელებმა გერასიმოვისა და მისი ამხანაგების თვალწინ. ვინც ჩამორჩებოდა, ადგილზევე ხვრეტდნენ დაჭრილ-დავრდომილ ადამიანებს. გერასიმოვი, რომელიც ძლივს მიდიოდა, გადარჩა. მაგრამ წინ მათ შემოეგებათ გერმანული ტანკი, შეიჭრა ტყვეთა რიგებში და წინა ნაწილი სულ გაასრისა მუხლუხოებით. ამ „საინტერესო სანახაობაზე“ თანმხლები გერმანელები იცინოდნენ. „ვერაფერს იტყვი, მხიარული ხალხია...“ უდიდესი გულისტკივილითა და მწარე ირონიით ამბობს გერასიმოვი.

შემდეგ სცენები საბჭოთა ტყვეების დამცირებისა — ცხენივით არბენინებენ მთელ სოფელში — ახლადმოსული გერმანული სამხედრო ნაწილების გასამხნევებლად და მოსახლეობის გულის გასატეხად. ხოლო ბანაკი, სადაც გერასიმოვი და სხვა ტყვეები ჰყავთ, რაღაც წარმოუდგენელი ჯოჯოხეთია. თვითონ გერასიმოვი ასე ამბობს: „სთქვა, რომ ეს ბანაკი იყო ჯოჯოხეთი, — ნიშნავს არაფერი არა სთქვაო“ (გვ. 104). შიმშილის, წყურვილის, დაჭრილთა მოუვლელობის, გვემა-ცემის გამო ტყვეები მასობრივად იხოცებიან. ექიმთან, რომელიც თვითონაა ტყვე და ჩონჩხად არის ქცეული, გერასიმოვი ხედავს საშინელ სურათს: „მკურნალობენ“ საჯინიბოში, ავადმყოფებს წყლულებში მატლები ჰყავთ; ვისაც შეუძლია, მატლები ჯოხებითა და თითებით ამოჰყავს წყლულებიდან; იქვე ჰყრია მიცვალებულები გროვად — წაღებაც ვერ აუდიან. ღმერთან დაბრუნებულ გერასიმოვს, რომელსაც ექიმმა, ცხადია, ვერავითარი დახმარება ვერ აღმოუჩინა, სასტიკად სცემა ჰიტლერელმა უნტერ ოფიცერმა. შემდეგაც არაერთგზის მხეცურად მოეპყრო. „ამ ფაშისტს მე ვერ დავივიწყებ თვით სიკვდილამდე, ვერა, ვერ დავივიწყებო!“, — ამბობს გერასიმოვი (გვ. 105). და გახა შეუძლია დაივიწყოს? იქამდე სცემა დავრდომილ ადამიანს, ვიდრე თვითონ არ დაიღალა, — აი, სადიზმის წმინდა ფაშისტურ-ჰიტლერული ვარიანტი.

როგორღა გაუძლო ამდენ ტანჯვა-უბედურებას ლეიტენანტმა ვიქტორ გერასიმოვმა?

არამარტო თავისი ჯანმრთელი ორგანიზმით, ფიზიკური ძალით, რომელიც მას ჰქონდა, არამედ, მთავარი იყო ის, რომ „არ უნდოდა მომკვდარიყო, წინააღმდეგობისადმი ნებისყოფა ძლიერი იყო“ (იქვე).

ენა მართლაც ვერ აღწერს, რაც გერასიმოვმა ფაშისტურ დილეგებსა და ბანაკებში გადაიტანა. ზაფხულიცა და ზამთარიც, გაზაფხულიცა და შემოდგომაც ტყვეებისათვის, ცნობილია, ერთნაირად მძიმეა. როცა ზამთარი მოვიდა, ვიქტორ გერასიმოვი ახალი ტანჯვის წინაშე აღმოჩნდა. თოვლისაგან გაწმენდილ სველ მიწაზე წოლა, ისიც დაწყლულებული, დასუსტებული კაცისათვის, შიმშილსა და სიცივეში, წარმოდგენაც კი ძნელია. და სწორედ ამ დროს გერასიმოვმა გაიგონა საბჭოთა არტილერიის ხმა, ვილა-

ცამ კიდეც დაიძახა: „ამხანაგებო, ჩვენები უტევენო!“ (გვ. 107). მთელი ბანაკი ფეხზე ადგა, ისინიც კი, ვინც რამდენიმე დღე უძლურების გამო არ ამდგარიყო. ბევრმა, მათ შორის გერასიმოვმა, ცრემლებისაგან თავი ვერ შეიკავა. „მაგრამ ეს იყო ცრემლი არამარტო სიხარულისა, არამედ სიამაყისაც ჩვენი ხალხისათვისო“, — ამბობს იგი (იქვე). ტყვეებმა წამოიწყეს „ინტერნაციონალი“. დარაჯებმა სროლა ასტეხეს; ყველანი გაწვნენ თოვლზე, მათ შორის ლეიტენანტი გერასიმოვი, რომელიც „ბავშვივით ტიროდა“. არის წუთები, როცა ბრგე, ახოვან, უშიშარ ვაჟკაცსაც არ შეუძლია უარი უთხრას ცრემლთა დენას, თუ საამისოდ ელემენტარული მიზეზი მაინც არსებობს. ლეიტენანტ ვიქტორ გერასიმოვს ელემენტარული კი არა, ყოველგვარი მიზეზი ჰქონდა სიხარულისაგან „ბავშვივით ატირებულიყო“.

როგორღა მოახერხა გერასიმოვმა გაქცეულიყო ბანაკიდან და თავისიანებთან მისულიყო ამდენი ხნის ტყვეობის შემდეგ?

მალე ტყვეთა ეს ბანაკი წაუყვანიათ სიმაგრეების მშენებლობაზე სამუშაოდ. მიჰყავდათ ბანაკიდან ჩრდილოეთისაკენ. ადამიანები ძირს ეცემოდნენ შიმშილისა და უძლურებისაგან, მათ ხვრეტდნენ და გზაზევე სტოვებდნენ. გაიარეს კარტოფილის მინდორი. ერთმა უკრაინელმა ტყვემ, გვარად გონჩარმა, აიღო ცალი კარტოფილი და სურდა შეენახა. ეს შენიშნა უნტერმა, ამოიღო რევოლვერი, ადგილზე დახვრიტა გონჩარი, თან ტყვეებს განუცხადა: „ყველაფერი ეს — გერმანიის სახელმწიფოს საკუთრებაა. ყველა თქვენგანი, ვინც თვითნებურად რაიმეს აიღებს, მოკლული იქნება“ (გვ. 108). ერთი კარტოფილისათვის დახვრეტა — აი რა იყო ფაშიზმი!

სოფელში შესვლისას მოსახლეობამ სცადა ტყვეებისათვის საჭმელი მიეწოდებინა. დაცვამ სროლა ატეხა. ბავშვები მაინც ახერხებენ მალულად პურის ნაჭრები და კარტოფილი გადასცენ ჭირში ჩავარდნილ საბჭოთა ადამიანებს. ერთი მოხარშული კარტოფილი გერასიმოვსაც შეხვდა, ნახევარი ამხანაგს გაუყო, ის ნახევარი კი, რომელიც შეჭამა, რაღაც „თავისებური“ იყო: „მთელს ჩემს ცხოვრებაში უფრო გემრიელი კარტოფილი მე არ მიჭამიაო!“, — ამბობს გერასიმოვი და რამდენი რამ არის ნათქვამი ამ უბრალო სიტყვებით!

გერმანელები სიმაგრეებს ტყეში აშენებდნენ. გერასიმოვმა პირველ დღესვე გადაწყვიტა ხელსაყრელ მომენტში გაქცეულიყო. უძლურების მიუხედავად, ვიქტორმა შეიძლო მოეკლა მცველი, ხელთ ეგდო ავტომატი, სამი სავაზნე და ტყისათვის მიეცა თავი. ძალები აღარ ეყო, დაეცა. ასე ტანჯვით, ადგომა-დაცემით, მიაღწია იმ ადგილამდე, სადაც უკვე ადვილი აღარ იყო მისი შეპყრობა. თუ გერმანელები მის კვალს მიაგნებდნენ, ვიქტორი გაიბრძოლებდა უკანასკნელ გასროლამდე, მხოლოდ ერთ ტყვიას დაიტოვებდა თავისთვის. ეს უკვე აღარ დასჭირდა. მეორე დღეს იგი იპოვეს პარტიზანებმა და თავისთან წაიყვანეს. ორი კვირა მათთან გაატარა, მიწურში. ჯერ ეშვით უყურებდნენ, შემდეგ კი, როცა ოპერაციებში ჩაება, დამოკიდებულება სულ შეიცვალა. ასამდე ფაშისტს მოუღო ბოლო გამწარებულმა ვიქტორ გერასიმოვმა!

შემდეგ ჰოსპიტალი, ერთი თვე იქ ყოფნა და მხრებიდან ნამსხვრეევების ამოღება. ბანაკებში შეძენილი რევმატიზმისა და სხვა დაავადებების მორჩენას ომის დამთავრებამდე არ აპირებს. სახლში მხოლოდ ერთი კვირით იყო და მეტი ვერ შეიძლო იქ დარჩენა. „სევდა შეეპარა“ პატრიოტს. — რაც არ უნდა თქვათ, „ჩემი ადგილი ბოლომდე აქ არისო“, — ამბობს ვიქტორ გერასიმოვი, და თქვენ გჯერათ მისი სიტყვების გულწრფელობისა — ამდენი ბრძოლის გადამტან კაცს სხვაგვარად მოქცევა არც შეეძლო!

არც ის შეეძლო, რომ გერმანელი ფაშისტებისადმი ყველაზე სასტიკი, ყველაზე ულმობელი სიძულვილი არ გასჩენოდა. „...ბრძოლაც ვისწავლეთ ნამდვილი, სიძულვილიც და სიყვარულიცო“,—ამბობს ლეიტენანტი ვიქტორ გერასიმოვი (გვ. 110). ამბობს და ის მართალია. ჩვენ უკვე ვიცით, თუ როგორ იბრძოლებდა იგი მომავალ სამ წელს ფაშისტების გასანადგურებლად. მან ხომ უსაზღვროდ შეიძულა XX საუკუნის ვანდალები. გერასიმოვი თვითონვე ამბობს: «Тяжко я ненавижу фашистов за все, что они причинили моей родине и мне лично, и в то же время всем сердцем люблю свой народ и не хочу, чтобы ему пришлось страдать под фашистским игом. Вот это-то и заставляет меня, да и всех нас, драться с таким ожесточением, именно эти два чувства, воплощенные в действие, и приведут к нам победу. И если любовь к родине храниться у нас в сердцах и будет храниться до тех пор,

пока эти сердца бьются, то ненависть всегда мы носим на кончиках штыков. Извините, если это замысловато сказано, но я так думаю»... (გვ. 110).

ასე ფიქრობს ვიქტორ გერასიმოვი და ის სავსებით მართალია. მის სიტყვებში „სიძულვილის მეცნიერების“ მთელი კვინტესენციაა. ახლა ყველამ იცის, რომ გერმანელმა ფაშისტებმა ხალხებისადმი საშინელი სიძულვილი დათესეს მთელ მსოფლიოში და თვითონვე ორმაგად მოიმკეს ამ სიძულვილისაგან. დღეს არ არსებობს უფრო საძულველი სიტყვები, ვიდრე ფაშიზმი, ფაშისტი, ჰიტლერიზმი, ჰიტლერელია. ანათემას უთვლიდნენ და უთვლიან მათ კეთილი ნების ადამიანები მსოფლიოს ყველა მატერიკიდან. ჰიტლერიზმის სამხედრო განადგურება პროგრესული კაცობრიობის დიდი ისტორიული გამარჯვება იყო. ათეულ მილიონობით სიცოცხლე შეეწირა ამ ბრძოლას, მაგრამ გადარჩა ასეულ მილიონობით ადამიანი.

და ეს ბრძოლა კაცობრიობის გადასარჩენად შოლოხოვმა ბრწყინვალედ ასახა თავის სამ ნაწარმოებში — „სიძულვილის მეცნიერება“, „ბედი კაცისა“, „ისინი სამშობლოსათვის იბრძოდნენ“. სამივე მხატვრული ნაწარმოებია, მაგრამ პუბლიცისტიკა უფრო მკაფიოდ ჩანს „სიძულვილის მეცნიერებაში“, რომელიც ჩვენ ეს-ესაა გავეცანით. აქ ისიც უნდა დავსძინოთ, რომ შოლოხოვი სრულიად ახალი ტიპის პუბლიცისტია, რომელიც წერს არა მარტო იდეებით, სულის კარნახითაც. ამიტომ მისი პუბლიცისტური და ლიტერატურულ-თეორიული წერილების კრებულს, რომელიც 1970 წელს „მოლოდაია გვარდიამ“ დაბეჭდა, უკეთეს სათაურს ვერ მისცემდნენ, ვიდრე „სულის კარნახია“. სულის ამ კარნახით არის დაწერილი შოლოხოვის პუბლიცისტური და ლიტერატურული წერილები, ნარკვევები, სტატიები ოფიციალური გამოსვლებისათვის. თითქმის ძნელია იპოვოთ ჩვენი ყოველდღიური, პოლიტიკური, სამეურნეო, ლიტერატურული, იდეოლოგიური, საერთაშორისო ცხოვრების საყვანძო პრობლემები, რომლებსაც დიდი მწერალი თავისი მადლიანი კალმით არ შეხებოდეს. პუბლიცისტიკაში შოლოხოვი ჩვენს საყვარელ, ძველ შოლოხოვად რჩება.

შოლოხოვის პუბლიცისტიკა ცალკე მოითხოვს შესწავლას, შონოგრაფიულ გამოკვლევას. ამ დიდი თემიდან ჩვენ მხოლოდ რამდენიმე საკითხს შევეხებით.

ის, რაც მხატვრულ შემოქმედებაში მეორე მსოფლიო ომის სინამდვილიდან გვიჩვენა, შოლოხოვს არაერთგზის ხაზგასმული აქვს თავის საჯარო გამოსვლებსა და პუბლიცისტურ წერილებში. ომის დროს „სიძულვილის მეცნიერების“ ავტორი სამხედრო კორესპონდენტი იყო სამხრეთის, სამხრეთ-დასავლეთისა და დასავლეთის ფრონტებზე, როგორც ეს აღნიშნულია მის ცნობილ „წერილში ამერიკელი მეგობრებისადმი“.* წერილი დაიწერა 1943 წელს, „სიძულვილის მეცნიერების“ გამოქვეყნებიდან ერთი წლის შემდეგ. შოლოხოვი აღწერს, თუ როგორ დაეღუპა დედა მისივე თვალწინ ფაშისტური ბომბისაგან, როგორ აიფეთქეს მისი სახლი და ბიბლიოთეკა გერმანელმა ნაღმებმა. დიდხანს ოჯახს მოშორებული იყო, ამიტომ მას ვაჟიშვილის მძიმე ავადმყოფობის დროსაც კი შესაძლებლობა არ ჰქონდა დახმარება გაეწია.

ასე მძიმე განსაცდელი არგუნა გენიოს მწერალს საშინელმა ომმა, რომელმაც ათეულ მილიონობით საბჭოთა ადამიანების სიცოცხლე შეიწირა. ომისაგან მოყუნებული ჭრილობა ისე დიდი იყო, რომ შოლოხოვი დღესაც, 34 წლის შემდეგ ღრმა გულისტკივილით იგონებს იმდროინდელ ტრაგედიებს. „ჩემი თაობის ადამიანთა ბედში ომი შევიდა მთელი თავისი სიმწარით, — წერდა მიხეილ შოლოხოვი ახლახან — 1977 წლის ივლისში. ფრონტის ამბებმა, ტოტალური ომის ამბებმა წარუშლელი კვალი დატოვეს. მე დავკარგე სამოცდაათი წლის დედა, რომელიც მოკლეს ჩვენი სტანიცის დაბომბვის დროს, სტანიცაში, რომელსაც არავითარი სტრატეგიული მნიშვნელობა არ ჰქონდა. ჩემი სახლი, ბიბლიოთეკა დაწვეს ნაღმებით... დავკარგე ბევრი მეგობარი. და ეს არა მარტო პირადი უბედურება, პირადი მწუხარებაა, — პირადი მწუხარებისა და დანაკლისებისაგან შედგა საყოველთაო-სახალხო, საერთო უბედურება, რომელსაც ომები განუწყვეტლივ აძლევენ ადამიანებს“.**

მგონი ადვილია მიხვდეთ, თუ რა გულისტკივილით არის აქ ნახმარი ყოველი სიტყვა, ყოველი გამოთქმა, ყოველი ფრაზა, და რა მძიმეა სულიერი დრამა მწერლისა, რომელმაც ესოდენი განსაცდელი გადაიტანა. ადამიანს მეხსიერებაში დიდხანს არ შერჩება

---

* მიხეილ შოლოხოვი, „სულის კარნახით“, 1970 წ. გვ. 110—111 (რუს. გამ.).

** გაზეთი „სოფლის ცხოვრება“, 1977 წლის 21 ივლისის ნომერი.

ის ფაქტები, რაც მის სულსა და გულს მძლავრად არ შეატოკებს. მაგრამ ამბები, შოლოხოვი რომ გვიყვება პირადი ცხოვრებიდან, ისეთია, რომლებსაც ვერავინ დაიეჭვებს. განა ყოველივე ეს, რაც შოლოხოვმა გადაიტანა, ნაკლები ტანჯვაა? რამეში ხომ წააგავს იმას, რაც გადაიტანეს ვიქტორ გერასიმოვმა, ანდრეი სოკოლოვმა და რომანის — „ისინი სამშობლოსათვის იბრძოდნენ" გმირებმა? შოლოხოვს არცერთი თავისი მხატვრული ნაწარმოები მწერლის მყუდრო კაბინეტში არ დაუწერია, ცხოვრება დახურული ფანჯრის მინებიდან არ დაუნახავს, არც ფარდების ან ჟალიუზების გახსნით შეუცნია; სამივე ნაწარმოებში აღწერილი სამხედრო ეპიზოდები მწერალმა საკუთარი თვალით ნახა და დიდძალი მეომარული წყაროებითაც განიაზრა, როცა ჰიტლერელების მხეცობათა კონვეიერს გვიჩვენებდა. ამ კონვეიერს ბადალი არ ჰყავდა მსოფლიო ისტორიაში, იგი სრულიად უპრეცედენტო იყო, მის წინაშე თითქმის არაფრად ჩანდნენ ძველი გადმოცემები, რომლებიც დამპყრობთა მტარვალობას შეეხებოდნენ. „წერილში ამერიკელი მეგობრებისადმი" შოლოხოვმა გადაუჭარბებლად თქვა: „უძველესი დროის გადმოცემები მოგვითხრობენ ჩვენ ჰუნების, მონღოლების და სხვა ველური ტომების სისხლისმღვრელ შემოსევებზე. ყველაფერი ეს ფერმკრთალდება იმასთან შედარებით, რასაც გერმანელი ფაშისტები აკეთებენ ჩვენთან ომში. მე საკუთარი თვალით ვნახე პირწმინდად გადამწვარი სტანიცები, ხუტორები, ჩემი თანამემამულენი — წიგნების გმირები, ვნახე ობლები, ვნახე ადამიანები, რომლებმაც სახელი და ბედნიერება დაჰკარგეს, საშინლად დამახინჯებული გვამები, ათასობით გამწარებული ცხოვრება"*. ნახა და აღწერა, როგორც ჩვენი დროის მართალმა, სპეტაკმა, პატრიოტმა ადამიანმა, დიდმა მწერალმა და ჰუმანისტმა.

შოლოხოვი ჰუმანისტია და განადიდებს ადამიანის სულს, რომლისაგან იმასვე მოითხოვს, რასაც თვითონ ემსახურება. დაშადასტურებელი ფაქტები ყველგან შეიძლება ნახოთ მის წერილებსა და გამოსვლებში. რომანები და მოთხრობები ხომ ჰუმანიზმის განსაბიერებას თავისთავად წარმოადგენენ. დააკვირდით ერთ

* მიხეილ შოლოხოვი, „სულის კარნახით", 1970 წ., გვ. 111 (რუს. გამ.). ციტირებას ყველგან ამ გამოცემით მოვახდენთ თვით ტექსტში.

წერილს, სპეციალურად დაწერილს ინდოელი მკითხველისათვის. ლაპარაკია მახატმა განდიზე, რომელსაც შოლოხოვმა ციტძლევა ბრწყინვალე თეორიული ესსე — „სიდიადე სულისა“.

მახატმა განდი იმდენად პოპულარულია ყველა საბჭოთა მკითხველისათვის, რომ ზედმეტია მის დახასიათებას შევუდგეთ. მაგრამ შოლოხოვის თეორიული დებულებების წარმოდგენა კი აუცილებელია, ვინაიდან განდისათვის ჯერ კიდევ არავის შეუხედავს ამ თვალით. სიკეთის, პროგრესის, თავისუფლების, ნათელი ძმობის, ეროვნული კულტურისათვის ბრძოლაში ხალხთა ოდისეის ასპექტებით ადამიანური სულის შემართების ერთ-ერთ დიდ ფიგურად შოლოხოვმა მახატმა განდი დაასახელა. ის ნამდვილად იყო „ინდოეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაბრწინებული მოღვაწე“, რომელიც ასე ახლო მიეიდა ლევ ტოლსტოის „ბოროტების წინაღუდგომლობის“ მოძღვრებასთან. განსხვავებული ისტორიული პირობების მიუხედავად, — სავსებით სწორად დაასკვნის შოლოხოვი, — პროგრესის იდეისათვის დარაზმვამ შესაძლებელი გახადა არამარტო სულიერი ნათესაობის, არამედ ერთმანეთისათვის მეგობრული ხელის გაწვდენაც. ლევ ტოლსტოიმ განდის წერილებს უპასუხა „წერილით ინდოელს“, რომელსაც თვით განდიმ, როგორც შოლოხოვი ამბობს, მაღალი შეფასება მისცა. განდისა და ტოლსტოის მიწერ-მოწერა, მისი შინაარსის დეტალური ანალიზი დიდიხანია მოახდინეს რუსმა ლიტერატურათმეტყველებმა. ამიტომ შოლოხოვი საჭიროდ აღარ თვლის შეეხოს ამ მიწერ-მოწერის, განდისა და ტოლსტოის ფილოსოფიური კონცეფციის შინაარსს და მნიშვნელობას. თავის მოვალეობად პირველყოვლისა მიაჩნია პასუხი გასცეს კითხვაზე, თუ რამ აიძულა ორი დიდი ადამიანი მთელი გატაცებით ეძებნათ „ბრძოლის გზები, ბრძოლის საშუალებები — ფილოსოფიაშიც და პრაქტიკულ სინამდვილეშიც“ (გვ. 214).

როგორია ამ რთულ კითხვაზე შოლოხოვის პასუხი?

უაღრესად ზუსტი და მეცნიერული. ჩამოყალიბებულია მთელი ფორმულა, რომელიც შემდეგი სახით არის წარმოდგენილი: „ჩაგვრის წინააღმდეგ პროტესტი, ცოდნა, იგრძნო ტკივილი და ტანჯვა შენი ხალხისა და სხვა ხალხისა — აი რა ედო საფუძვლად მათ ძიებას, აი რა აახლოებდა ორივე ტიტანს: თავდავიწყებულ მებრ-

ძოლს ინდოეთის განთავისუფლებისათვის და დიდ რუს მწერალს— კაცთმოყვარეს“ (იქვე).

ეს სრული ჭეშმარიტებაა და ვისაც მიაჩნია, რომ ტოლსტოის სიცოცხლის ძალის „არ შემიძლია გავჩუმდე“ მარტოოდენ რუსი ხალხის ტანჯვის გამომხატველი იყოს, მაშინ, როცა იასნაიაპოლიანელი ბრძენის ამხედრება იმდროინდელი რუსეთის იმპერიის ხალხთა ტკივილების ღაღადებაცაა, — მას არაფერი გაუგია არც „ჯღდგომის“ ავტორის შემოქმედებაში, არც ისტორიაში. განდიც უეჭველად ამით ხასიათდებოდა: მშობლიური ინდოელი ხალხის ტანჯვასთან ერთად, ის ორგანიულად გრძნობდა სხვა ხალხების ტკივილებსაც. შოლოხოვი აქ ორივეს შიმართ უეჭველად მართალია.

მაინც რა თვისებები მოსწონს განდის პიროვნებაში მიხეილ შოლოხოვს?

პირველყოვლისა განდის მიერ „რასიზმის, რასისტული იდეების, ერთი ერების მეორე ერებზე უპირატესობის მიუღებლობა“, „მის (განდის — გ. ჯ.) მიერ რასობრივი და კოლონიური ჩაგვრის კეთილშობილი შეუწყნარებლობა“. შოლოხოვი იქვე დასძენს, რომ „პატივისცემისა“ და დიდი ყურადღების ღირსია განდის განცხადება: „მე უკუვაგდებ იმ პატრიოტიზმს, რომელიც ცდილობს განდიდდეს სხვა ერების უბედურების ან ექსპლუატაციის ხარჯზე“. მართლაც, ჩინებულად არის ნათქვამი დიდი ჰუმანისტის მიერ!

შოლოხოვი უყურადღებოდ არ ტოვებს საკითხსაც, თუ რატომ იბრძოდა განდი მრავალი წლის მანძილზე ურთიერთმტრობისა და უთანხმოების წინააღმდეგ, რაც გამოწვეული იყო განსხვავებული რელიგიური დოქტრინებით. „იგი, ეს ბრძოლა, — წერს შოლოხოვი, — ნაკარნახევი იყო, ალბათ, საფუძვლებითაც, რომლებსაც ეყრდნობოდა ეთიკური კონცეფცია, მისი წარმოდგენებით ზნეობის ზოგადი კანონების შესახებ. მაგრამ პრაქტიკაში ხომ იგი ივსებოდა ახალი, დიდი, ძალიან მწვავე, პატრიოტული, პოლიტიკური შინაარსით: იგი პირისპირ ედგა კოლონისტთა მისწრაფებას ემოქმედათ თავიანთი შორეული წინამორბედების — სხვა ერების ძველი რომაელი დამპყრობლების ანდერძებით: „Divide et impera!» — „დაანაწილე და იბატონე“. ინდოეთიც დაანაწილეს და ბატონობდნენ!

და განდი უშიშრად გამოვიდა ყოველივე ამის წინააღმდეგ.

მან ჩაიდინა პირდაპირ სამოქალაქო გმირობა, როცა ნგრევა დაუწყო „საუკუნოებრივ, ტრადიციულ დოგმებს“, „პარიების კასტას“, რომელიც ინდოეთის მოსახლეობის ოცდმდე პროცენტს შეადგენდა. პარიები იყვნენ ყოველგვარ უფლებას მოკლებულნი, არ ეკუთვნოდნენ არცერთ კასტას, მათ არ ჰქონდათ არაფერი, გარდა ფიზიკური სიცოცხლისა და აბსოლუტურად წარმოადგენდნენ ასეულ მილიონობით სასიკვდილოდ განწირულ ბედშავ ადამიანთა მასას. განდიმ ამ შემაზრზენ მოვლენას უწოდა „შეუხებლობის სირცხვილი“ და ყველა ზომა იხმარა პარიები — აბსოლუტურ უუფლებოთა ეს უზარმაზარი მასა—ჩაერთო ინდოეთის განთავისუფლებისათვის საერთო ეროვნულ ბრძოლაში. ეს რომ არ მომხდარიყო, როგორც თვით განდი თქვიდა, მაშინ „მიუღწეველი დარჩებოდა ის ნათელი მიზანი, რომელსაც იგი განსაზღვრავდა, როგორც „სვარაჯს“ — დამოუკიდებელ საშშობლოს“ (გვ. 215). ამ „სვარაჯისათვის“ ბრძოლაში განდიმ ჩააბა თავისი ერის ცოცხალი ძალები, მათ შორის ინდოელი ქალებიც, რომელთა განთავისუფლებისათვის, კარჩაკეტილობის წინააღმდეგ, ეპიკური ომი გააჩაღა. შოლოხოვს მოჰყავს ჯავაჰარლალ ნერუს მშვენიერი სიტყვები, რომ განდი იყო „სიმბოლო ინდოეთის სიმტკიცისა მიეღწია განთავისუფლებისათვის“, რომ განდი „ინსტინქტურად გრძნობდა ხალხის მაჯისცემას“ (იქვე).

თუ რაოდენად ორიგინალურია შოლოხოვი განდის შეფასებაში, სხვა ფაქტებიც გვიდასტურებენ. მან შესანიშნავად გაიგო ერთი მომენტიც განდის მოძღვრებაში, კერძოდ, სპეციალურად გააანალიზა მოთხოვნა — ყოველი ინდოელის სახლში „სართავის მუსიკა“ ისმოდესო. თავისი ხალხის ცხოვრების ღრმად მცოდნე შოლოხოვს ძალიან კარგად ესმის სხვა ერის ცხოვრების ტკივილიც და ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ „გატეხილი ყამირის“ ავტორი, რომელმაც ადამიანების სული ასე ოსტატურად გახსნა თავის გენიალურ რომანებში, შესანიშნავად მიუხვდა ინდოეთის დიდკაცს. განდის ამ მოთხოვნაში შოლოხოვმა დაინახა, ერთის მხრივ მისწრაფება—თითოეულ ხელს სამუშაო ჰქონოდა, რაც უთუოდ დადებითია, მეორეს მხრივ კი, უეჭველად ჩანდა ქვეყნის ინდუსტრიული განვითარების ერთგვარი შეუფასებლობა (პრიმიტიული სართავის წინ წამოწევა, მანუფაქტურის გაძლიერება), მაგ-

რამ იყო მესამე ასპექტი, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლეოდა. ეს იყო ის, რის შესახებაც თვით შოლოხოვი ასე მართებულად წერს: „... განა შეიძლება დავივიწყოთ, რომ ეს იყო თავისებური ძიება, ვინაიდან მას (განდის — გ. ჯ.) სწამდა, რომ მილიონობით ინდოელების ხელით მოქსოვილი ტანსაცმელი შესაძლებლობას იძლეოდა ეთქვათ „არა“ ბატონი კოლონიზატორებისათვის მათ ცდებზე განემტკიცებინათ თავიანთი ბატონობა საფეიქრო „შეპრის“ დახმარებით...“ (გვ. 215). როგორც აქ, ისე ანალოგიურ სხვა მოთხოვნებში შოლოხოვი ხედავს განდის ხასიათის დაჟინებულობას, თავისი ქვეყნის მგზნებარედ მოყვარე ადამიანს, რომელიც კოლონიალური სისტემის თავისებურად თანმიმდევარი შეწინააღმდეგე იყო.

მაგრამ, როგორ თავსდებოდა ყოველივე ეს „მშვიდობიანი რევოლუციის“ ქადაგებასთან, განდის მოძღვრების ტოლსტოიანურ ძირითად პრინციპთან, რაც გენიალურმა რუსმა მწერალმა გამოხატა დეფინიციით — „ბოროტების წინაღუდგომლობა“?

შოლოხოვმა ამ რთულ კითხვასაც ორიგინალური ახსნა-განმარტება მისცა და ჩვენ აღარაფერი დაგვრჩენია, გარდა დიდი მწერლის ციტირებისა. შოლოხოვი პირდაპირ ასე წერს: „დიაღ, განდი მიისწრაფოდა „მშვიდობიანი რევოლუციისაკენ“, რომელიც განხორციელდებოდა „არაძალმომრეობის“ მეთოდებით. ჩვენც აგრეთვე ჩვენს ქვეყანაში მივისწრაფოდით განგვეხორციელებია რევოლუცია ყველაზე ნაკლებ დანაკლისებით, სამოქალაქო ომის გარეშე. ჩვენი რევოლუციის განვითარების არამშვიდობიანი გზა თავს მოახვიეს ჩვენს მშრომელ ხალხს შინაურმა კონტრრევოლუციამ და თოთხმეტი იმპერიალისტური სახელმწიფოს შეიარაღებულმა ჩარევამ, რომლებიც ისწრაფოდნენ ჩაეხშოთ თავისუფლება და ჩაეკრათ ჩვენი რევოლუციის ალი.

ორი სხვადასხვა გზაა. მაგრამ ამავე დროს ჩვენ არ შეგვიძლია არ შევაფასოთ განდის რწმენა ხალხის ფართო მასების ძალებისადმი. არ შეგვიძლია ჩვენ არ შევაფასოთ ისიც, რომ ბრძოლის ლოგიკამ განდი მიიყვანა ლოზუნგთან, რომელმაც მათრახი გადაჰკრა კოლონიზატორებს: „გაეთრიეთ ინდოეთიდან“!

და განა შეუძლიათ ადამიანებს დაივიწყონ, რომ იმ წლებში, როცა გაჩაღდა მეორე მსოფლიო ომი, განდი გამოდიოდა ფაშიზ-

მის წინააღმდეგ, გამოხატავდა ღრმა თანაგრძნობას საბჭოთა ხალხისადმი. ის ‹ყო იმათ რიცხვში, ვინც პროტესტის ხმა აღიმაღლა ჰიროსიმასა და ნაგასაკში ატომური აფეთქების წინააღმდეგ, ვინც გამოდიოდა ატომური იარაღის აკრძალვისათვის, ხალხთა შორის გადაუჭრელი პრობლემების მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის, მოუწოდებდა .საყოველთაო განიარაღებისაკენ“ (გვ. 215—216).

ზუსტი, ისტორიულად და თეორიულად მართალი დახასიათებაა განდისა, რომლის მთელი მოღვაწეობა ნამდვილად იყო „განუწყვეტელი ძიებანი: ჭეშმარიტების, მორალის თავისი კონცეფციის, პოლიტიკური ბრძოლის სპეციფიკური მეთოდების, ფილოსოფიური პრინციპების ძიებანი. ამ ძიებათა სირთულემ და შრავალმხრივობამ ასახეს ინდოეთის ისტორიული განვითარების თავისებურება და სირთულე“ (გვ. 216).

ასე ღრმად და სწორად გაიგო შოლოხოვმა ინდოეთის ხალხის დიდი შვილის მახატმა განდის ისტორიული მისია. არც იმის აღნიშვნა გამორჩენია, რომ „ინდოეთის ხალხმა სამუდამოდ შეუერთა განდის სახელს ბრწყინვალე სიტყვა — „მახატმა“ — „დიდი სული“. ვფიქრობ, რომ სული ხალხის ამ ღირსეული შვილისა ყველაზე უფრო მშვენიერია თავის იმ გამოვლინებებში, სადაც მან თავისში შეისრუტა და თავისთავში ასახა თვით ინდოელი ხალხის განუწყვეტელი ძიებანიც — მისი პატრიოტული მისწრაფებანი, მისი აღტყინება თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ.

ასეთი სული ჭეშმარიტად დიდია!“ (იქვე).

მაგრამ ასე რომ წერო სხვა ერის დიდ კაცზე, შენც დიდი სული უნდა გქონდეს. შოლოხოვს კი არასოდეს ჰკლებია დიდი სულის არცერთი უმცირესი ნაწილიც კი.

ჩვენ განზრახ დაწვრილებით გავეიხილეთ „სიდიადე სულისა“, შედარებით მცირე, მაგრამ უეჭველად ღრმად გააზრებული თეორიულ-ფილოსოფიური წერილი, რომელშიაც შოლოხოვის, როგორც მოაზროვნის, ჰუმანისტისა და დემოკრატის სახე ძალიან მკაფიოდ, ძალიან რელიეფურად ჩანს.

ეს ჩანს, როგორც ვნახეთ, მის რომანებსა და მოთხრობებში, სადაც ადამიანების ხასიათები წარმოდგენილია არაჩვეულებრივი სრულით, გარკვეულობით, უაბერაციოდ. ყოველივე ეს უფლებას

გვაძლევს ყოველთვის ვთქვათ, რომ შოლოხოვი ხასიათების მხატვრული გამოკვეთის ერთ-ერთი უდიდესი ოსტატია მსოფლიო ლიტერატურაში. მისი რომანები ამ მხრივაც ბრწყინავენ და კრიტიკული ანალიზის დიდ შესაძლებლობას აძლევენ მკვლევარებს. იმასაც გვიდასტურებენ, რომ მათი ავტორი განასხვავებს ერთმანეთისაგან ხასიათსა და პიროვნებას, რომ პიროვნება მეტია, ვიდრე ხასიათი, თუმცა ისინი ადექვატურნი არიან.* მწერალი ზოგჯერ ისე გვიხატავს თავის გმირს, რომ მასში პრევალირებული ხდება ხასიათი, ხოლო პიროვნება — მეორე ადგილზე გადადის. არის პირუკუ ფაქტებიც. პიროვნება იმდენად ძლიერია, რომ ხასიათი იჩრდილება — ყველაფერს თვითონ განასახიერებს, როგორც განჭორჩეული ინდივიდი.

როგორ აღწევს ყოველივე ამას შოლოხოვი ან რა ხერხებს იყენებს პიროვნებისა და ხასიათის გამოსაკვეთად?

უძირითადესია თანმიმდევრობის პრინციპი, რომელიც მთლიანად ემყარება განვითარებას, ევოლუციას, მაგრამ იქ, სადაც განვითარებაა — ნახტომიც აუცილებელია, სადაც ევოლუციაა — რევოლუციაც გარდუვალია. შოლოხოვის გმირები, როგორც პიროვნებანი და ხასიათები, მთლიანად განასახიერებენ ამ შემოქმედებითს პრინციპს; ისინი ცხოვრებისეულნი არიან, ცხოვრება კი ევოლუციისა და რევოლუციის ცოცხალი ფენომენია, ხოლო შემოქმედებითი პრინციპი, მისგანვე გამომდინარე, მხატვრულ ასპექტში თავისივე თავის ერთგული რჩება. გრიგორი მელეხოვი უფრო პიროვნებაა, ვიდრე ხასიათი, ხოლო პაპა შჩუკარი—მთლიანად ხასიათია. შოლოხოვის ყველა გმირი ან ერთია, ან მეორე, ან კიდევ ორივეს ისე განასახიერებს, რომ პიროვნება და ხასიათი ერთმანეთს ავსებენ, წინ არცერთი არ მიიწევს, როგორც ნატალიაში, მაშინ, როცა აქსინია უფრო ძლიერი ხასიათია, ვიდრე ძლიერი პიროვნება. ამ საკითხზე ვრცელი გამოკვლევა, მთელი დისერტაცია დაიწერება, სადოქტორო დისერტაცია, რომელიც თანამედროვე ფსიქოლოგიუ-

---

* დაწვრილებით იხ. გიორგი ჯიბლაძე, ესთეტიკური აღზრდის პრინციპი, 1968 წ., გვ. 372—397; Георгий Джибладзе, Принцип эстетического воспитания, 1971 г., стр. 302—323.

რი მიღწევების გამოყენებით უაღრესად საინტერესო, მეცნიერულ დასკვნებამდე მიგვიყვანდა.

შოლოხოვის მხატვრული სპეციფიკა მრავალმხრივ რთული ფენომენია, ხელოვნებათმცოდნეობის არაერთი თეორიული პრობლემის წინაშე გვაყენებს. ერთ-ერთმა ლიტერატორმა გვითხრა: შოლოხოვის რომანებში სულ მძიმე-მძიმე ამბებია მოთხრობილი, ავტორი დიდი ოსტატობით რომ არ წერდეს, არ ვიცი რა მოხდებოდა; მკითხველი თავიდანვე ისე მოჯადოებული ხდება, თუ კითხვა დაიწყო, — წიგნს ვეღარ შორდებაო! მას დაავიწყდა ისიც დაემატებია, რომ ყველა ამ ტანჯვას, სიკვდილს, უბედურებას, ტკივილს, ცრემლებს თანა სდევს სიხარული, სიცოცხლე, ბედნიერება, ნეტარება, სიცილი — ერთი სიტყვით, შოლოხოვის რომანებში ცხოვრებაა მისთვის დამახასიათებელი ინგრედიენტებით. არც ერთ მწერალს ისე ფართოდ, მრავალფეროვნად, მთელი სიგრძე-სიგანით, ღრმად, მაღალმხატვრულად არ უჩვენებია ჩვენი ქვეყნის დაბადება და ზრდა, როგორც შოლოხოვს. მაგრამ ვინ არ იცის, რომ იქ, სადაც დაბადებაა, სადაც ზრდასთან გვაქვს საქმე, არის მშობიარობის ტკივილები, ზრდის სიძნელეები, ხოლო დაბადებას — უდიდესი სიხარული ჰყვება, სიძნელეების გადალახვას — ადამიანური ნეტარება. შოლოხოვის ეპოსში ყველაფერი ეს უმაღლესი მხატვრული რანგით წარმოისახა და მგონი აქ უნდა იყოს მისი ფილოსოფიის მთავარი გასაღები. ეს ფილოსოფია ცხოვრებისეულია, არავითარი საერთო არა აქვს მეტაფიზიკურ სისტემებთან. ყოველივე ამის მტკიცება სრულიად ზედმეტია, მაგრამ ფაქტია, ხოლო ფაქტს აღნიშვნა მაინც ესაჭიროება, როგორც არ უნდა გამოვრიცხოთ დასაბუთების აუცილებლობა.

ჩვენი ცხოვრების ფილოსოფიის ამ უაღრესად საფუძვლიანმა ცოდნამ შოლოხოვის რომანებს დიდი მხატვრულ-შემეცნებითი ღირებულება მისცა, მათში განზოგადებული სახით წარმოსდგა ახალი ქვეყანა, ახალი სოფლის დაბადება არამარტო დონის ველებზე, არამედ, მთელ ჩვენს სამშობლოში, იმ განსხვავებით, შხოლოდ, თუ აქ ყურადღებას არ მივაქცევთ სპეციფიკურს (ეთნოგრაფია, ადათ-ჩვეულები, ყოფითი დეტალები და ა. შ.), რაც საკუთრივ კაზაკობისათვის არის დამახასიათებელი. მაგალითად,

ქართველი იქნება თუ უკრაინელი, ბელორუსი თუ აზერბაიჯანელი, სომეხი თუ უზბეკი — წმინდა ეროვნული და ყოფითი სპეციფიკურის გამოკლებით „გატეხილ ყამირში“ 30-იანი წლების თავისი რესპუბლიკის სახეს დაინახავს, კოლექტივიზაციის იმდროინდელ სურათებს ნათლად იხილავს. ყოველივე ეს შოლოხოვის ეპოსის უდიდესი იდეური და მხატვრული ღირსებაა, რითაც იგი სრულიად განსაკუთრებულ ადგილს იკავებს არამარტო საბჭოთა, მთელს თანამედროვე მსოფლიო რომანისტიკაში.

როცა ვკითხულობთ შოლოხოვს, ვფიქრობთ ხოლმე: როგორ ახერხებს იგი ასე ოსტატურად წერას, როგორ იცნობს ადამიანის სულს, გონებას, გულს, მისწრაფებებს, როგორ იჭრება თითოეული მოქმედი გმირის, ხასიათებით სულ სხვადასხვა ადამიანის არსებაში და გამოაელენს მთელ მათ აელა-დიდებას; როგორ იცნობს ცხოვრებას, მის უმნიშვნელო დეტალებსაც; როგორ მიჰყვება ცხოვრების მდინარებაში ტენდენციების ჯირითს, სულ დაპირისპირებული, ასობით და ათასობით პიროვნებების ვნებათაღელვას. არა, ასე წერა ნიჭიერს ან უნიჭიერეს კი არა, მხოლოდ გენიოს ხელოვანს შეუძლია. და შოლოხოვი ნამდვილად გენიოსია, ჩვენი დროის, ჩვენი ეპოქის, ჩვენი თანამედროვეობის გენიოსია, რომელმაც ჰომეროსის ძალით მხატვრულად განასახიერა XX საუკუნის არაერთი ოდისეა.

გაივლის დრო, გაივლიან საუკუნეები, ბევრ რამეს გადაეფარება დავიწყების ლივრეა, მაგრამ მიხეილ შოლოხოვის სახელი უკვდავი დარჩება საბჭოთა ლიტერატურას, როგორც მზის გალაქტიკის ყველაზე დიდი ციური სხეული ჩაუქრობელია უხსოვარი დროის მანძილზე. ასეთი რანგის მწერალს როდი დაუგვიანდებოდა მსოფლიო აღიარება!

VIII

მსოფლიო აღიარება

დიდი ადამიანი მსოფლიო სახელით აჯილდოებს იმ ადგილს, რომელმაც თვალი გაახელინა. მნიშვნელობა არა აქვს — ეს ადგილი რუქაზე აღუნიშვნელი დარჩათ, თუ სულ უცნობი იყო. შო-

ლოხოვის დაბადებამდე ასევე უცნობი იყვნენ ხუტორი კრუჟილინი და სტანიცა ვეშენსკაია. ახლა ისინი მსოფლიოში ცნობილი არიან შოლოხოვთან ერთად. „დონის მოთხრობების“, „წყნარი დონისა“ და „გატეხილი ყამირის“ გენიალურ ავტორს მთელი არსებით უყვარს ვეშკა და ეს უკანასკნელიც სიყვარულს არ აკლებს თავის დიდ შვილს. სადღაც წამიკითხავს, რომ უსაზღვრო იყო ლევ ტოლსტოის სიყვარული იასნაია პოლიანასადმი. თუ მეხსიერება არ მღალატობს, გენიოს მწერალს დაახლოებით ასე უნდა ჰქონდეს ნათქვამი: ჩემი იასნაია პოლიანას გარეშე ძნელად შემიძლია წარმოვიდგინო რუსეთი და მისდამი ჩემი დამოკიდებულება. იასნაია პოლიანას გრძნეულ მიწაზე შექმნა ბოროტების წინააღუდგომლობის ავტორმა თავისი განმაცვიფრებელი, მსოფლიო მხატვრული ლიტერატურის შედევრები — „ანა კარენინა“, „აღდგომა“, „ომი და მშვიდობა“, როგორც შოლოხოვმა ვეშკაში დაწერა თავისი უკვდავი ქმნილებანი — „წყნარი დონი“, „გატეხილი ყამირი“, „ისინი სამშობლოსათვის იბრძოდნენ“. აქ მარტოოდენ გარეგნული ეტალონები როდია. როგორც იასნაია პოლიანა განუყრელია ტოლსტოის სახელისაგან, როგორც ყვარელსა და საგურამოს ილია ჭავჭავაძეს ვერ დაუშორებთ, ისე შეუძლებელია დღეს წარმოვიდგინოთ შოლოხოვი ვეშენსკაიას გარეშე და ვეშენსკაია უშოლოხოოდ. ეს ჩვენი აზრი არ არის. თვით შოლოხოვს ეკუთვნის სიტყვები: „მე დავიბადე დონზე, სტანიცა ვეშენსკაიას რაიონში, სადაც იშლება ჩემი წიგნების ამბები, და იქვე ვცხოვრობ აწამად. ჩვენი გაყოფა შეუძლებელიაო“*. დიახ, შეუძლებელია. ვინაიდან ყველაფერი, რაც შოლოხოვის სიმდიდრეა, დონის ამ ერთ-ერთი მშვენიერი კუთხიდან მიიღო დღეს საქვეყნოდ განთქმულმა დიდმა მწერალმა.

ჩვენი მონოგრაფიის წინა თავებში მკითხველს შეეძლო დარწმუნებულიყო, თუ რა დიდი რეზონანსი აქვს შოლოხოვის მხატვრულ შემოქმედებას მსოფლიო მასშტაბით. მისი წარმატების მიზეზებიც შეძლებისდაგვარად ავხსენით, ვცადეთ გვეჩვენებინა,

* «Я родился на Дону, в районе станицы Вешенской, где разворачиваются события моих книг, и там живу сейчас. Нас невозможно разделить» («Огонек», № 21, 1975 г., гг. 26).

რომ მწერალთაგან შოლოხოვი ჩვენი თანამედროვეობის ყველაზე მართალი ისტორიკოსი, პირუთვნელი მემატიანეა. მისი უაღრესად ნაციონალური შემოქმედება, აგრეთვე უაღრესად ინტერნაციონალური, ზოგადკაცობრიულში გადასული ადამიანური ჰიმნია. ეს თვისება თითქმის ყველა გენიოსის დამახასიათებელია, მაგრამ შოლოხოვს განსაკუთრებული ძალით გამოარჩევს. დონელი კაზაკის განცდები, ტკივილები, ფიქრები, აზრები ისე აქვს განზოგადებული, რომ ათასებს შეუძლიათ მათში ბევრი რამ საკუთარი დაინახონ. ჰეშმარიტი შემოქმედება სხვაგვარად არც არსებობს. თუ კონკრეტულში ზოგადი ვერ გამოაჩინა, ეროვნულში — ზოგადკაცობრიული, ნაციონალურში — ინტერნაციონალური — ნამდვილი ხელოვნება არ არის. შოლოხოვის მთელი შემოქმედება ამგვარი ხელოვნების სრული ანტიპოდია ფორმითაც და შინაარსითაც. დიდი ხელოვნების ეს ორი პრედიკატული ფენომენი როგორც „წყნარ დონში", ისე „გატეხილ ყამირში" ერთიან გამად არის ქცეული. ეს კი შოლოხოვის დიდი მხატვრული ტალანტის დამადასტურებელია. განა ჰომეროსის, რუსთაველის, შექსპირის, გოეთეს, ბალზაკის, პუშკინის, ლერმონტოვის, ტოლსტოის, ბაირონის გმირები, მსგავსად შოლოხოვისა, ყველა ერისა და ყველა ეროვნების შვილებს გულს არ უტოკებს, საკუთარ თავს, საკუთარ ტკივილებს, საკუთარ ჭირვარამს თუ ბედნიერებას არ განაცდევინებს? ასე რომ არ იყოს, ბაშინ ვინღა წაიკითხავდა ჰექტორის ან ტარიელის, ლირის ან ფაუსტის, გობსეკის ან ონეგინის, პეჩორინის ან ნეხლიუდოვის, კორსარის ან მელეხოვის თავგადასავალს? ვის გაიტაცებდა მათი ცხოვრება?

შოლოხოვმა სრულიად ახალი ფურცელი გადაშალა არამარტო საბჭოთა, არამედ, თანამედროვე მსოფლიო რომანისტიკაშიც. მისმა მხატვრულმა მიგნებებმა ბევრი რამ სრულიად ორიგინალური სახით წარმოგვიდგინა, მსგავსად მეცნიერებაში მანამდე უცნობი აღმოჩენებისა. ასეთი აღმოჩენები უთვალავი იყო, მათი აღწერა ათეულ ტომებშიც ძლივს ჩაეტევა. იყო, მაგალითად, აღმოჩენა ღღევანდელი ცნებებისა — „ქვის ხანა", „ბრინჯაოს ხანა", „რკინის ხანა". ეს ცნებები პირველად შემოიღო დიდმა დანიელმა მეცნიერმა კ. ტომსენმა (1788—1865), რითაც ხელი შეუწყო ისტორიული მეცნიერების შემდგომ განვითარებას. მის მიერ შემოღე-

ბული ცნებები დღემდე ურყევად იხმარებიან ისტორიულ მეცნიერებებში, კერძოდ, არქეოლოგიაში. ჩვენ მათ ვიყენებთ ყოველდღიური ურთიერთობის დროს საუბრებშიც, როცა გვინდა პარალელები გავავლოთ ან რაიმე დავახასიათოთ ალეგორიულად. ტომსენამდე ისტორიკოსთაგან არავის მოსვლია ფიქრად კაცობრიობის განვითარებაში დაენახა ეს დამახასიათებელი საფეხურები, თუმცა თვით განვითარება ბევრს კარგად ესმოდა, მოყოლებული სულ უძველესი დროიდან. მე-19 საუკუნე, რომელმაც ეგვიპტოლოგია შექმნა, მარტო ამ ფაქტითაც შეიძლება მოინათლოს ისტორიულ და თეორიულ მეცნიერებათა განვითარების საუკუნედ. ანალოგიური აღმოჩენები დაუსრულებლად გრძელდება მეცნიერების ყველა დარგში. მაგრამ გრძელდება ხელოვნებასა და ლიტერატურაშიც. და არცერთ რომანისტს, საბჭოთა მწერალთაგან, იმდენი ახალი არ უთქვამს ლიტერატურაში ჩვენი საუკუნის 30-იანი წლების შემდეგ, რამდენიც შოლოხოვს. მისი სახელი მაინც ეპოქას წარმოადგენს და თანამედროვე მსოფლიოს წვდება მასშტაბურობით.

გავიხსენოთ ზოგიერთი რამ „წყნარი დონის“ ავტორის მსოფლიო აღიარების ისტორიიდან.

ჯერ კიდევ ოცდაასამი წლის ყმაწვილის — მიხეილ შოლოხოვის პირველივე წიგნს მაქსიმ გორკიმ ძალიან მაღალი შეფასება მისცა. „წყნარი დონის“ ავტორი არამარტო ტალანტად გამოაცხადა, დასძინა კიდეც — მისი რომანი მხოლოდ ლევ ტოლსტოის „ომსა და მშვიდობას“ შეიძლება შევადაროთო. ეს დიდი გამარჯვება იყო. ასეთი წარმატება მარტოოდენ გენიოსებს შეუძლიათ.

საბჭოთა მხატვრული სიტყვის მეორე ლევიათანი ალექსეი ტოლსტოი ამბობდა: „ჩვენი ლიტერატურის შესანიშნავი მოვლენაა მიხეილ შოლოხოვი. ის მთლიანად დაბადებულია ოქტომბრით და შექმნილია საბჭოთა ეპოქით. ის მოვიდა ლიტერატურაში სოციალური ბრძოლის ტანჯვასა და ტრაგედიებში ახალი საზოგადოების დაბადების თემით“.

მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის ევროპული ლიტერატურის ერთ-ერთმა ყველაზე დიდმა წარმომადგენელმა რომენ როლანმა საბჭოთა მწერლების საუკეთესო ნაწარმოებთა შორის მაგალითად დაასახელა ახალგაზრდა შოლოხოვის თხზულებანი.

ერნესტ ჰემინგუეიმ თქვა: „მე ძალიან მომწონს რუსული ლიტერატურა... თანამედროვე მწერალთაგან მე მომწონს შოლოხოვი“.

ჩარლზ სნოუმ განაცხადა: „მიხეილ ალექსანდრეს ძე შოლოხოვი დიდი მწერალია... ის არაჩვეულებრივად ამდიდრებს ჩვენს ცხოვრებას“.

ძალიან მხატვრულად სთქვა მარტი ლარნიმ: „მე პირადად მიმაჩნია, რომ სიცოცხლეში არ არის საჭირო ძეგლების აგება. მაგრამ რას იზამ, თუ კი მიხეილ ალექსანდრეს ძე შოლოხოვმა თავისი მთხრობელობითი ხელოვნებით უკვე აიგო თავისი ძეგლი მსოფლიო ლიტერატურაში. და მე დარწმუნებული ვარ, რომ ვერავითარი ახალი მიმდინარეობანი ვერ შეიძლებენ შეარყიონ ევროპის წამყვანი პროზაიკოსის მისი ურყევი მდგომარეობა“.

ყველა ეს ამონაწერი ჩვენ განზრახ მოვიტანეთ, ვინაიდან ისინი გამოაქვეყნა „პრავდამ“ თავის ფურცლებზე 1975 წლის 23 მაისს, როცა მთელმა ცივილიზებულმა მსოფლიომ დიდი მწერლის დაბადების 70 წლისთავი აღნიშნა. ეს მხოლოდ წვეთია ზღვაში. მსოფლიოს გამოჩენილ ადამიანთა აზრები მიხეილ შოლოხოვზე ერთად რომ შეიკრიბოს, მოზრდილი ტომიც ვერ დაიტევს. ამ აზრებში ნათლად ჩანს „წუნარი დონის“ ავტორის, როგორც შემოქმედის, რაღაც განსაკუთრებული ანდამატური ძალა. შოლოხოვის მხატვრული შემოქმედების ეს განსაკუთრებული მიმზიდველობა კარგად გამოხატა მარტი ლარნიმ შემდეგი სიტყვებით: „ოცდაათი წლის წინათ (ე. ი. 1945 წელს— გ. ჯ.), როცა წავიკითხე „წუნარი დონი“ და „გატეხილი ყამირი“ (იმ დროს ჩვენთან ფინეთში ეს იყო ახალი, უველასათვის უცნობი წიგნები), მე განვიცადე, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, პირველაღმომჩენის ბედნიერება. დოსტოევსკის, ტოლსტოის, ტურგენევისა და გორკის გვერდით უცებ გამოჩნდა ეს თვითმყოფი, ვეებერთელა მწერალი, რომელმაც მაიძულა ხელახლა გადამეფასებინა მთელი რუსული ლიტერატურა“*. დიახ, აიძულა, მაგრამ ერთი ვიკითხოთ: მაინც რამ მოხიბლა ასე ანდამატურად ფინელი მწერალი? ჩვენ მოხარული ვართ, რომ აღარ გვჭირდება კვლევა-ძიება, ჰიპოთეზების წამოყენება, ვინაიდან ლარნიმ თვითონვე მშვენიერი პასუხი გასცა

---

* მარტი ლარნი, „ადამიანი და მწერალი“ («Огонек», № 21, 1975 წ., გვ. 23).

დაუნებულ კითხვაზე: «Что же меня тогда так поразило, взволновало и увлекло в его романах? Может быть, богатство их народно-поэтического строя, горячее стремление к социальной справедливости, гуманизм и человечность, а так же теплый юмор. Его персонажи—совершенно живые люди с присущими им добродетелями и пороками. Писатель исключительно умело пользуется народным просторечием, но он при этом никогда не сбивается на вульгарную грубость и так называемый «дурно пахнущий натурализм». В Шолохове поражает безошибочное чувство стиля и высокой нравственной ответственности»*.

ეს მართლაც შოლოხოვია, მისი შემოქმედებითი არსების მოკლე გადმოცემაა.

მაგრამ არანაკლებ მართალია ლარნის შემდეგი სიტყვებიც: «Нисколько не умаляя значения деятельности дипломатов, я все же скажу, что хорошие писатели являются наилучшими культурными посланниками своих стран.

Писатель Михаил Шолохов—это выдающийся посол культуры Советского Союза, аккредитованный одновременно во всех странах мира.»**.

ძნელია უკეთესად გამოხატო შოლოხოვის მსოფლიო აღიარება, მისი შემოქმედების ნამდვილად დიდი საერთაშორისო რეზონანსი.

«Михаил Шолохов,—სთქვა კონსტანტინე ფედინმა.—писатель большой судьбы. Его имя сбходит землю и повторяется ею. Он принадлежит своему времени и сохранится им нетленно».*** შეუძლებელია ამ სიტყვებში ეჭვი შეეპაროთ, მსგავსად აკადემიკოს ნიკოლოზ სემიონოვის მტკიცებისა, რომელიც ასეა ფორმულირებული: «Шолохов, как я думаю, является одним из крупнейших писателей современности. ...не только у нас, но и за границей раздавались голоса о том, что если кому-то из художников и по пле-

---

* მარტი ლარნი, „ადამიანი და მწერალი." („Огонек", № 21, 1975 წ., გვ. 23).

** იქვე.

*** «Огонек», № 21, 1975 წ., გვ. 10.

чу развернуть панораму второй мировой войны, то только Михаилу Шолохову».*

თუ რა დიდი საერთაშორისო რეზონანსი აქვს შოლოხოვის წიგნებს, როგორ ეხმარებიან ისინი მსოფლიოს ხალხებს თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლაში, კარგად დაახასიათა რომეშ ჩანდრამ, როცა სთქვა: «...Я с уверенностью могу сказать: его книги вдохновили на борьбу за мир и равноправие, счастье и прогресс многих людей разных расс и вероисповеданий, живущих в Азии и Латинской Америке, Африке и Австралии, Европе и цитадели капиталистического мира—США.

Шолоховские книги, как и произведения классиков марксизма-ленинизма, помогли индийскому народу увереннее бороться за свою независимость и смело, целеустремленно отстаивать ее сегодня».**

შოლოხოვის წიგნების ამ დიდ საერთაშორისო მნიშვნელობაზე მეტყველებს არგენტინელი მწერლის ალფრედო ვარელას შემდეგი სიტყვებიც: «Автор «Тихого Дона», «Поднятой целины» и других замечательных произведений оказал глубокое влияние на литературы и писателей многих народов. У Шолохова учатся писатели Аргентины и Бразилии, Мексики и Чили».***

თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურაზე შოლოხოვის გავლენა მართლაც უტყუარი ფაქტია, არაერთი ხალხის მწერალმა განიცადა „წუნარი დონისა“ და „გატეხილი ყამირის“ გენიალური აეტორის იდეურ-მხატვრული ზემოქმედება.

შემთხვევითი არ არის, რომ ინგლისელმა ჯეკ ლინდსეიმ შოლოხოვში შენიშნა „მისი უდიდესი ძალა და მდიდრული, შექსპირული ხელგაშლილობა“. ვისაც „წუნარი დონი“ ან „გატეხილი ყამირი“ წაუკითხავს, ამ უკვდავ წიგნებში ადვილად შეამჩნევდა როგორც ოსტატობის, ისე სულიერი დაძაბულობის „მდიდრულ, შექსპირულ ხელგაშლილობას“. ეს აზრი შეიძლებოდა არაერთი ნაგალითით ცხადყოფილიყო, თუ ოდნავ მაინც გავავლებდით ლი-

---

* „Огонек“, № 21, 1975 წ., გვ. 10.

** იქვე.

*** იქვე, გვ. 11.

ტერატურულ პარალელებს. მარჯო ერთი ფაქტიც—მოქმედი გმირის სულში შოლოხოვისებური ჩახედვა, ბრძნულად ამეტყველებული, ნამდვილად შექსპირული. ეს სიბრძნე დაინახა ფრანგმა მწერალმა ანდრე ვიურმსერმა შოლოხოვის რომანში და განაცხადა: „ხელოვნების გამოჩენილ ნაწარმოებთაგან მხოლოდ ზოგიერთია ისე ღრმად მოფიქრებული, ისე ბრძნულად აგებული, როგორც „წყნარი დონი". რა განსაცვიფრებლადაა დაწერილი ეს წიგნი!"

განცვიფრება შოლოხოვის წიგნებით თითქმის ყველა უცხოელმა მწერალმა გამოხატა; ბევრჯა მათგანმა ისიც დაუმატა, რომ „იმ მწერალთა შორის, ვინც ამჟამად ცოცხალია... უდიდესი შოლოხოვიაო", — როგორც ეს სთქვა ამერიკელმა ლილიან ჰელმანმა. ფრანგი ანრი ტრუაია დასძენდა: „მე უსასრულოდ აღტაცებული ვარ შოლოხოვით. ეს არის დიდი მწერალი, რომლის მოწოდებაა ეპოსი, ტრაგიკული მოქმედება და ბუნების ლირიკული განცდა. მისი წიგნები აღსავსეა მძაფრი ძალითა და პოეზიით". ყოველივე ამის შემდეგ, რა გასაკვირია, თუ დიდი მწერლის საიუბილეო დღეებში პრესა ანშლაგებით წერდა შოლოხოვზე: „მისმა წიგნებმა პლანეტა დაიპყრესო". განა ფაქტები საკმარისი არ იყო?! სამშობლოში დაიბეჭდა 817-ჯერ 80 ენაზე, საერთო ტირაჟით — 55 მილიონამდე, ხოლო უცხოეთში — 700 გადააჭარბეს გამოცემებმა 47 სახელმწიფოს 45 ენაზე — ეს მხატვრული ტალანტის მართლაც უპრეცედენტო აღიარებაა.

შოლოხოვი ისე თამამად მიაბიჯებს მსოფლიო მერიდიანებზე, როგორც კაზაკი დააჭროლებს თავის ცხენს დონის ნაპირებთან. აი, როგორია ეს კაზაკი — შოლოხოვი! მიაბიჯებს ვეებერთელა პლანეტაზე და ყველგან, სადაც მიდის, თან მიაქვს ყველაფერი ცხოვრებისეული, სიმართლე და რწმენა, ოპტიმიზმი და ჰუმანიზმი, ბრძოლის ხალისი და ადამიანური ყოფნა-არყოფნის თანამედროვე ფილოსოფია. მიაბიჯებს და ასწავლის ყველას — რა არის ცხოვრება და როგორი უნდა იყოს! ამიტომ გერმანელ ანა ზეგერსს სრული უფლება ჰქონდა განეცხადებინა: „ჩვენ გადავულაპეთ ცხოვრების დიდი ნაწილი, რომელიც ჩვენ — სიმართლისათვის მშივრებს შოლოხოვმა გადმოგვიგდო. და თითქოს დაგვიყვირა კიდეც: „თქვენ გინდათ იცოდეთ ყველაფერი — აქ არის ეს ყველაფერი!"

მწერალმა კი მართლაც ყველაფერი უნდა იცოდეს ცხოვრებიდან, ცხოვრებაში, ცხოვრებაზე! შოლოხოვი ამ ცოდნის განსაზღვრებაა. თვითონვე ამბობს: „რათა შექმნა წიგნი, რომელსაც დიდი ხნის სიცოცხლე ექნება, საჭიროა იცოდე ეს ცხოვრება, წერო პატიოსნად, თვითონ განიცადო წიგნში აღწერილი მოვლენები. მე დავიბადე დონზე, ვსწავლობდი დონზე. აქ დაიწყო ჩემი მწერლური ბედი. 1930 წლიდან კი კომუნისტის ბედი. ვარ წრეში უბრალო კაზაკობისა, რომელსაც, იმიტომ რომ საბჭოთა ხელისუფლებას მხარი დაუჭირა, წითელი უწოდეს, და ექვსი ათეულია ვხედავ, როგორ შეეთვისა იგი სოციალიზმს, იმ წითელ კაზაკთა შთამოშავლები როგორ გახდნენ კოლმეურნეები, აგრონომები, ინჟინრები — ახალი ცხოვრების მეპატრონეები. ამ განახლებული ცხოვრების ნაწილი მოქცეულია ჩემს ნაწარმოებებში“.

ეს სიტყვები ავიღე ახალბერლინური ილუსტრირებული ჟურნალის ღაქვეთით შოლოხოვის მიერ მიცემული ინტერვიუდან*, რომელიც ძალიან საინტერესოდ არის დაწერილი, და სისრულისათვის არ შემიძლია ვსევოლოდ მარიანის განმარტებაც არ მოვიტანო: „დიახ, იგი ცხოვრობს თავისი ხალხის ცხოვრებით. „უკვე 15 წლისა ვმსახურობდი... დონის მიწაზე დავდევდი ბანდებს... და ბანდები დაგვდევდნენ ჩვენ. ყველაფერი რიგზე მიდიოდა. მრავალ ხათაბალაში ვევარდებოდით“... (მ. შოლოხოვის ავტობიოგრაფიიდან).

„ყველაფერი რიგზე მიდიოდა“... ყმაწვილი მეტყვიამფრქვევე მახნოველებმა შეიპყრეს. დასახვრეტად მიჰყავდათ. მხოლოდ უკანასკნელ წუთს მოხუცი უკრაინელი ქალის დედობრივმა მძვინვარებამ შეარყია ბანდიტთა ატამანი, რომელმაც მომავალი შეხვედრისას უეცველი ჩამოხრჩობა აღუთქვა. „ყველაფერი რიგზე მიდიოდა“... შოულობდა პურს ღატაკებისათვის, თვითონ კი შიმშილობდა. თვითონ, ღრმა ცოდნისაკენ მიმსწრაფი, ასწავლიდა წერა-კითხვას უცოდინარებს ლიზბეკში. დედაქალაქში სასწავლებლად ჩამოსულმა შავ მუშად დაიწყო მუშაობა. დღისით ქუჩებს კირწყლავდა, ქვებს ეზიდებოდა, ღამით კი წერდა... თავის სტანიცელებ-

---

* ვსარგებლობ გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ 1975 წლის 24 მაისის ნომერში გამოქვეყნებული ტექსტით.

თან ერთად წრომობდა მინდორში, შემდეგ კი კოჟრების ფასად აღწევდა ბრძნულ ცხოვრებისეულ ცოდნას და სწვდებოდა ყველა ცოცხალის სილამაზეს დედამიწაზე. „მე მომხრე ვარ, მწერალს უჩქეფდეს ცხელი სისხლი, როდესაც წერს, მე მომხრე ვარ, რომ მისი სახე ფითრდებოდეს მტრისადმი ზიზღის შეკავებისაგან, როცა ის წერს მასზე და რომ მწერალი იცინოდეს და ტიროდეს გმირთან ერთად, რომელიც უყვარს და რომელიც მისთვის ძვირფასია...“*.

აქ ყველაფერი ისე ნათლად არის დახასიათებული, რომ კომენტარს არ საჭიროებს, გარდა იმაზე მითითებისა, რაც მონოგრაფიის წინა თავებში უკვე ითქვა და გაანალიზებულ იქნა.

იმავე ინტერვიუში აუღელვებლად ვერ წაიკითხავთ სტრიქონებს, რომლებიც შოლოხოვის პიროვნების სულს გვიხატავენ. მკითხველებმა უნდა იცოდნენ, რომ „მსოფლიო სახელის მწერალმა სამამულო ომის პირველსავე დღეებში „წყნარი დონისათვის“ მიკუთვნებული პრემია თავდაცვის ფონდში გადარიცხა და ფრონტზე წავიდა. წერდა მოწინავე ხაზზე, ცეცხლის ქვეშ გადაიტანა კონტუზია, დამარხა დედა. როდესაც ფაშისტებმა შეიტყვეს, რომ იმ სტანიცასთან იდგნენ, რომელშიც შოლოხოვის სახლი იყო, გაგზავნეს ბომბდამშენები. მათ დაანგრიეს ეს მშვიდობიანი სახლი, დაწვეს შოლოხოვის ხელნაწერები, „გატეხილი უამირის“ მეორე წიგნი, შენიშვნები, წერილები. ჰურვის ნამსხვრევით დაიღუპა მწერლის დედა — ანასტასია დანიელის ასული.

და, როცა მიხეილ შოლოხოვს სთხოვეს, თავს გაფრთხილებოდა, მან უპასუხა: „არა, მეგობრებო, მე ვალდებული ვარ ვიყო ფრონტზე“.

ცოტაა თქვა — იყო ფრონტზე! შოლოხოვმა მთელი ომი ფრონტზე გაატარა, საბჭოთა მეომრების — თავისი გმირების გვერდით, ათასობით გერასიმოვი ნახა, საკუთარი თვალით იხილა საშინელებანი და უდიდესი ოსტატობით გადაიტანა მხატვრული სიტყვის ეპიკურ ტილოებზე.

თუ რა ძალა აქვთ შოლოხოვის პროზულ შედევრებს, კარ-

---

* შოლოხოვის ეს სიტყვები იხ. წიგნში: Михаил Шолохов, Собрание сочинений, т. 8, 1962 წ., გვ. 521.

გად არის ნაჩვენები ზემოთხსენებულ ინტერვიუში. წავიკითხოთ ეს ადგილიც:

„დონის მიწაზე იტალიის დიდმა შვილმა, ჯუზეპე გარიბალდიმ 1833 წლის აპრილში დაიფიცა ებრძოლა უცხოელ დამპყრობთაგან სამშობლოს განთავისუფლებისათვის. დონის სტეპებს ახსოვთ ბერბი ხალხის ლეგენდარული შვილი, ოლეკო დუნდიჩი, ჭიშიშარი ქართველი დივიზიის მეთაური ვასილ კიკვიძე, კალმიცკელი ხალხის გმირი ოკა გოროდოვიკოვი... ძველთაგან ინტერნაციონალურია ეს მხარე, მაგრამ არც ინტერნაციონალიზმის უძველეს ფესვებს ძალუძთ აგვიხსნან ახლანდელ „წყნარ დონზე სალოცავად სიარული“. 700-ზე მეტჯერ გამოიცა შოლოხოვის ნაწარმოებები უცხოეთში. ხშირად იატაკქვეშეთში, რისკის ფასად. ის ხელიდან ხელში გადადიოდა და იწერდნენ ვიეტნამელი პატრიოტები, მკერდთან ინახავდნენ ლათინური ამერიკის პატრიოტები. შოლოხოვის გმირები დაეხმარნენ მებრძოლებს გაევლოთ საპყრობილეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში, გადაეტანათ ტანჯვა-წამება, ებრძოლათ თავისუფლებისათვის“.

ასეთი ზემოქმედების ძალა მხოლოდ გენიოს მწერლებს შეიძლება ჰქონდეთ და როცა მათდამი საყოველთაო პატივისცემას გამოხატავენ, ამ ფაქტში მარტო სიყვარული კი არა, ადამიანის შემოქმედებითი ტალანტით გამოწვეული აღტაცებაც გვაგრძნობინებს თავის თავს.

ეს საყოველთაო პატივისცემა, სახალხო სიყვარული, ნამდვილად განუზომელი აღტაცება ყოველთვის იყო შოლოხოვის ერთგული კავალერი, ცხადია, დიდი მწერლის იუბილეების დღეებშიც, როცა ყველა ცდილობდა რითიმე გამოეხატა თავისი გრძნობები, რამე წვლილი შეეტანა საერთო ღონისძიებაში.

მთელი მსოფლიო ემზადებოდა 1975 წლის 24 მაისს ღირსეულად აღენიშნა თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე უდიდესი მხატვრის მართლაც სახელოვანი იუბილე — დაბადების 70 წლისთავი. საქართველოშიც არ დარჩენილა სკოლა, კულტურული დაწესებულება, ორგანიზაცია, რესპუბლიკურ საღამოებზე რომ არაფერი ვთქვათ, შოლოხოვისადმი პატივისცემა არ გამოეხატა რაიმე ფორმით.

მე წილად მხვდა ბედნიერება დიდი მწერლის სპეციალური მიწვევით ჩემს მეგობრებთან ერთად დავსწრებოდი შოლოხოვის საიუბილეო საღამოს მოსკოვში.

შოლოხოვის დაბადების 70 წლისთავი ჩატარდა მოსკოვში, დიდ თეატრში, 1975 წლის 23 მაისს. საიუბილეო საღამოს, რომელსაც დიდძალი ხალხი მოაწყდა, საჭუხაროდ, თვით იუბილარი არ ესწრებოდა ავადმყოფობის გამო. სცენაზე მისი სურათი არ იყო, არც წარწერა, მარტოოდენ 70 წელი ეხატა უკანა ფარდაზე. ნიკოლოზ ტიხონოვის თბილი შესავალი სიტყვა და პოლონეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარის შინაარსიანი გამოსვლა რომ არ ყოფილიყო, საღამოს ბევრი რამ დააკლდებოდა. მომხსენებელმა თბუთმეტი წუთი ილაპარაკა და შემოქმედების ანალიზი ვერ მოასწრო. მეორე განყოფილება, აკადემიურ სტილში დადგმული, კარგი იყო. ჩვენ, ვინც შოლოხოვმა მიგვიწვია თავის იუბილეზე, დარდი გვაწუხებდა. მაგრამ, როცა კონცერტი დაიწყო ბოროდინის «Богатырская симфония»-ს პირველი ნაწილით, რომელიც მაჟორისა და მინორის ჰარმონიულ ერთიანობას საოცარი ბუნებრივობით განასახიერებს, უმალ გავიფიქრე: რა კარგად შეურჩევიათ ბოროდინის „ვაჟკაცური სიმფონია", შოლოხოვის მხატვრული შემოქმედებაც ხომ ადამიანის განმადიდებელი „ვაჟკაცური სიმფონიაა" მხატვრულ პროზაში.

ეს სიმფონია არამარტო ესთეტიკურად ატკბობს დედამიწის ყველა კუთხეში მცხოვრებ კეთილ ნების ადამიანებს, არამედ, კიდეცაც ეხმარება მათ სიმართლის, ჰეშმარიტების, მშვიდობისათვის ბრძოლაში. შოლოხოვი ჩვენს პლანეტაზე გაუტეხელი მშვიდობის თანამოსაგრეა, აქტიური მებრძოლი, მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის წევრი. ამიტომ იყო, რომ 1975 წლის მაისში მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმმა, რომლის სხდომა სტოკჰოლმში ჩატარდა, მიხეილ შოლოხოვს მიანიჭა კულტურის დარგში მშვიდობის საერთაშორისო პრემია. ეს ჯილდო მწერალს იმავე წლის ივლისში, მოსკოვში გადასცა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გენერალურმა მდივანმა რომეშ ჩანდრამ. «Хорошо известно,—უთხრა მან შოლოხოვს,—какой большой вклад внесли Вы, Михаил Александрович, в расширение культурного сотрудничества между

народами. Вы—один из участников Вроцлавского конгресса деятелей культуры в защиту мира, были у истоков движения сторонников мира, многое сделали для объединения деятелей культуры, выступающих за мир.

Ваши выдающиеся произведения, страстные выступления в защиту мира, против угрозы новой войны снискали Вам глубокое уважение миллионов людей на всех континентах».

ამ დიდი საერთაშორისო პრემიის მიღებისას შოლოხოვმა განაცხადა: «Эта почетная награда Всемирного Совета Мира ко многому обязывает меня как писателя и участника движения сторонников мира. Я так понимаю, что от нас, писателей, от всех деятелей культуры требуется в нынешнее время еще многое сделать, чтобы помочь обеспечить прочный мир на земле и навсегда покончить с опасностью возникновения войны. Что касается меня, то я не пожалею для этого всех своих сил».*

ასეთია მიხეილ შოლოხოვის მსოფლიო მისია!

შოლოხოვის გვარი წიგნებს მიაქვთ თანამედროვე მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. მისი სახელი იმდენად პოპულარულია, რომ დიდ მწერალს ჯილდოების ვადაცემის პარალელურად ქალაქების საპატიო მოქალაქედაც ირჩევენ. 1976 წლის 12 მაისს მიხეილ შოლოხოვს გადაეცა ბულგარული ლიტერატურული პრემია — „მსოფლიო ლიტერატურაში დიდი წვლილისათვის". იმავდროულად მსოფლიო ხელოვანი არჩეულ იქნა დედაქალაქ სოფიის საპატიო მოქალაქედ.

როგორც მოქალაქე და ადამიანი, შოლოხოვი მართლაც დაუღალავია. ამის შესახებ მას შემთხვევით არ უთქვამს მშვიდობის საერთაშორისო პრემიის მიღების დროს. თითქმის იგივე აზრი — ძალები არ დაზოგოს, როგორც მწერალმა, შემოქმედმა — შოლოხოვმა გაიმეორა 1975 წლის 18 ივლისს, როცა დაბადების 70 წლისთავზე იგი დააჯილდოვეს ლენინის ორდენით. მრავალი საბჭოთა და უცხოეთის ორდენის კავალერმა მიხეილ შოლოხოვმა განაცხადა: „შემიძლია ვთქვა ერთი რამ... პენსიაზე გასვლას არ ვაპი-

---

* ეს სიტყვები დაიბეჭდა ყველა გაზეთში. ჩვენ მოგეყვანს გაზეთიდან «Правда», 1975 წლის 11 ივლისის ნომერი.

რებ. მოვიკეთებ (იუბილეს დღეებში მწერალი ავად იყო — გ. ჯ.) და ისევ ჩავდგები საბჭოთა მწერლების რიგებში, რომ ვამრავლო წარმატებანი და ხელი შევუწყო ჩვენი საბჭოთა ლიტერატურის დიდ პოპულარობასო".

როგორც სოციალისტური, ისე ბურჟუაზიული ქვეყნების მარქსისტული კრიტიკა უმაღლეს შეფასებას აძლევს შოლოხოვის რომანებს, მიაჩნია, რომ „წყნარმა დონმა", გორკის, ალექსეი ტოლსტოის, ოსტროვსკის ნაწარმოებებთან ერთად, უდიდესი როლი შეასრულა მილიონების სოციალისტური შეგნების ამაღლებასა და განვითარებაში, როგორც ამას მიუთითებს ამერიკელი კრიტიკოსი ტომ ფოული*. თუ ვინმე „აკრიტიკებს" შოლოხოვს — ეს პოლიტიკური ინსინუაციებით ნაკარნახევი თავდასხმაა და არა მხატვრული შემოქმედების კრიტიკა. შოლოხოვის დიდ შემოქმედებაზე ნამდვილ კრიტიკოსს, პროგრესულად მოაზროვნე ადამიანს, ხელოვნების ობიექტურ დამფასებელს აუგის თქმა არ შეუძლია.

„მაგიური ძალა", „მიმზიდველობა", „ეპოპეის ფილოსოფიური მნიშვნელობა", „წყნარი დონის" საიდუმლოებანი", „რომანი გავიდა ბეშმარიტად კოსმოსურ ორბიტაზე" — ასე წერენ მთელ მსოფლიოში, ასე წერს შოლოხოვის პროზის ღირსებათა შესახებ პოეტი ანატოლი სოფრონოვი. მაგრამ წერს არა რომელიმე პერიფერიული გამოცემის ფურცლებზე, სადაც იშვიათად როდი ვკითხულობთ აღტაცებულ ფრაზებს; წერს ცენტრალურ პრესაში, რომლის ყოველი სიტყვა აწონილ-დაწონილი, მეცნიერულად გააზრებული, მაშასადამე, ფაქტებით განმტკიცებულია. სოფრონოვის წერილს ეწოდება „წყნარი დონი" იბრძვის", ეხება მკვლევარ კ. პრიიმის ფუნდამენტალურ წიგნს და გამოქვეყნებულია „იზვესტიას" 1976 წლის 27 ივლისის ნომერში. არის იქ რამდენიმე უაღრესად საყურადღებო მოსაზრება, რომლებიც ურიგო არ იქნება გავიცნოთ.

წერილის ავტორი სავსებით მართალია, როცა ამბობს: რომანი დაიწერა რუსულ ენაზე, მაგრამ უმალ დაიწყო საზღვარგარეთ სულ უფრო ფართო აუდიტორიის დაპყრობა. პირველად მე „წყნა-

---

* ტომ ფოულის აზრებს ჩვენ გაეცანით მიმოხილვაში — «Марксистская литературная критика США на современном этапе». 1976 წ., გვ. 4—5.

რი დონის“ მკითხველებს შევხვედრივარ პენჯაბსა და ავსტრალიაში, ერაყსა და ნორვეგიაში, მაგრამ ეს მხოლოდ უმცირესი ნაწილია იმ ქვეყნებისა, სადაც ამაყად მიაბიჯებს შოლოხოვის ეპოსი, სადაც მისი გავლენა ნამდვილად უდიადესიაო.

ეს შოლოხოვის მსოფლიო აღიარების მხოლოდ ერთი მხარეა. არის მეორეც: ახალი ქვეყნის დაბადების უდიდესი მხატვრული მესიტყვე — „წყნარი დონის“ ავტორი იშვიათად როდი ხდება ძველი ქვეყნისა და ულტრარეაქციონერების თავდასხმის ობიექტი. არის მსოფლიოში ადგილები, სადაც შოლოხოვის ეპოსს აუტოდაფეც არ ასცდენია — ფაშისტების გარდა, „წყნარ დონს“ სწვავდნენ სხვა ჯურის რეაქციონერებიც. დღესაც არის ქვეყნები, სადაც იგი „ჯერ კიდევ იბეჭდება შემცირებულად და დამახინჯებულად, ხოლო გრიგორი მელეხოვის სახის ირგვლივ მახვილს იმტვრევენ ლიტერატურული კრიტიკის სხვადასხვა იდეური მიმართულების წარმომადგენლები“. ცოტა როდი აცხადებს მელეხოვს გარეწრად, ვერ სწვდება რა მის ურთულეს ფსიქოლოგიურ სტრუქტურასა და ცხოვრებისეულ მართალ სახეს.

ამ მოსაზრებათა გარდა, ჩვენს ყურადღებას იმსახურებს წერილის ავტორის შემდეგი სიტყვებიც: „ოდესღაც მიხვილ შოლოხოვმა ერთ-ერთ წერილში მაქსიმ გორკისადმი გამოსთქვა აზრი, რომ სამუალო გლეხთან დამოკიდებულების საკითხი კიდევ დიდხანს იქნება დამდგარი ჩვენს წინაშეც და იმ ქვეყნების კომუნისტების წინაშეც, რომლებიც ჩვენი რევოლუციის გზით წავალენო. რაოგორ მტკიცდება ეს უკანასკნელი ათწლეულებით ყველგან, სადაც ხდება ძველი საზოგადოების მსხვრევა! „წყნარი დონი“ აფართოებს თავის საზღვრებს. მართლაც, ამ უზარმაზარ ეპოპეაში თითქმის მთელი მოქმედება სწარმოებს შედარებით პატარა ტერიტორიაზე, დონზე. მაგრამ სახელდობრ აქ ხდებოდა იმ ეპოქის აზრების, გრძნობების, სახეების, ხასიათების კონცენტრაცია: სახელდობრ აქ განსაკუთრებით თვალსაჩინო და დრამატულად თვით ცხოვრებაში მტკიცდებოდა ლენინური წინასწარხედვა ახალი ცხოვრებისაკენ გლეხობის რთული გზის შესახებ“.

აქ, ამ სიტყვებში ყველაფერი სწორი და ყველაფერი მართალია.

ძალიან საგულისხმოა ფრანგი კომუნისტის ანდრე მარსელის

აზრი, რომელიც მას „იუმანიტეში“ 1930 წლის 25 მარტს გამოუქვეყნებია. „წყნარი დონის“ პირველი წიგნი მაშინ სულ ახალი გამოსული, ხოლო შოლოხოვი 25 წლის ახალგაზრდა იყო. ამ წიგნისა და ასეთი ახალგაზრდა მწერლის შესახებ ძველ ფრანგ კომუნისტს მაშინ უთქვამს: „სწორედ თქვენთან დაიბადა მწერალი შოლოხოვი, რომელმაც მსოფლიოს მისცა „წყნარი დონი“ — წითელი „ილიადა“... მე წინასწარმეტყველი არა ვარ, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ შოლოხოვის „წყნარი დონი“ ბერლინსა და პარიზში ტრიუმფის შემდეგ კიდევ დაიპყრობს თურქების, ინდოელების, იაპონელების და მთელი მსოფლიოს გულს! გაუმარჯოს რუსეთს და შოლოხოვს!“

შთამაგონებელი სიტყვებია! მაშინ სრულიად ახალგაზრდა მწერლის ასეთი მსოფლიო აღიარება მგონი ყოველგვარი კომენტარის მიღმა უნდა დავაყენოთ. შოლოხოვის გამოჩენა ლიტერატურაში ისეთი ძალისა იყო, როგორიც ბარისათვის დიდი ზვავის მოვარდნაა. ეს მხოლოდ საოცარ ტალანტს შეუძლია გააკეთოს!*.

ყველა, ვინც შოლოხოვის დიდი ტალანტის პატივისმცემელია, სადაც არ უნდა ცხოვრობდეს, მსოფლიოს რომელ კუთხეშიც არ უნდა იყოს, გულწრფელად უსურვებს გენიოს მხატვარს მისი იდეების, მხატვრული სიტყვების განხორციელებას, ხოლო ისინი, რომლებსაც ბედნიერება ჰქონდათ რამდენიმე დღე მაინც გაეტარებინათ „წყნარი დონისა“ და „გატეხილი ყამირის“ ავტორთან, თავიანთ მეგობრულ ხმას უერთებენ ამ საყოველთაო სურვილს!

IX

ᲓᲚᲔᲔᲑᲘ ᲨᲝᲚᲝᲮᲝᲕᲘᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ

მონოგრაფიის წინა თავში ჩვენ შევეცადეთ ნათელგვეყო ის ჭეშმარიტება, რომ მიხეილ შოლოხოვის სახელი დიდიხანია დაიმ-

* ჩვენ ხელთ არა გვაქვს კ. ი. პრიიმას წიგნი, რომლის შესახებაც წერს ანატოლი სოფრონოვი. მაგრამ წერილების კრებულში — «Творчество Михаила Шолохова», რომელიც 1975 წელს გამოსცა „ნაუკამ“ ლენინგრადში, სხვებთან ერთად დაბეჭდილია პრიიმას სტატია — «Мировое значение творчества Шолохова», გვ. 48—62. წერილში ძალიან კარგად არის ილუსტრირებული, დიდძალი ფაქტიური მასალის გამოყენებით, მიხეილ შოლოხოვის ლიტერატურული მემკვიდრეობის უპრეცედენტო რეზონანსთან ერთად, მისი მსოფლიო მნიშვნელობა.

კიდრა თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურამ. უკანასკნელი ორმოცდაათი წლის განმავლობაში დედამიწის ყველა კონტინენტზე მასობრივი ტირაჟებით გამოცემულ მის წიგნებს უთვალავი მკითხველი აწყდება. ძნელია მოიძებნოს რომელიმე თანამედროვე რომანისტი, ჟორჟ სიმენონის გარდა, ამ მხრივაც შოლოხოვს რომ ტოლს დაუდებდეს. რაღაც საოცარი ძალით იზიდავენ მისი მოთხრობები და განთქმული რომანები მკითხველთა სულ ახალ და ახალ მასებს.

რა არის ამის მიზეზი?

ოსტატობა, ხალხურობა, შემოქმედებითი სპეციფიკა?

უეჭველად, მაგრამ არანაკლებად ის მართლაც საოცარი ცხოვრებისეული სინამდვილე, რომელსაც მწერალი არაჩვეულებრივი უშუალობით გვიხატავს, ყოველგვარი შეფერადების გარეშე. მისი სამყარო სულ ახალია და ამ ახალს უჩვეულო ელერადობას აძლევს.

„წუნარი დონის“ ავტორს ნობელის პრემიის მიღებამდე გაცილებით ადრე უწოდეს გენიოსი მწერალი და მხატვრული აზროვნების გიგანტთა რანგი მიანიჭეს. სულ ახალგაზრდა იყო, როცა პირველივე წიგნებმა, მხატვრული ნიჭითა და ფსიქოლოგიური სიღრმით ტოლსტოის, გოგოლის, ტურგენევის, გორკის დიდ სახელებს დაუკავშირეს. ამგვარი ბედი ხომ მარტოოდენ გენიოსთა ხვედრია!

მაგრამ გენიოსი მწერლები სულ სხვადასხვა თვალით უყურებენ ქვეყანას, სულ სხვადასხვანაირად წერენ: ზოგს ისტორია იზიდავს, ზოგს უნაზესი ლირიზმი, ზოგი კიდევ თავისში ყველაფერს იერთებს, როგორც ზღვა ან ოკეანე. თუ დააკვირდებით შოლოხოვს, მიხვდებით, რომ ის სულ თანამედროვეობის* თემაზე წერს, მაგრამ ეს ისტორიაცაა და დღევანდელობაც, წარსულიცაა და აწმყოც, ფილოსოფიური განჭვრეტაცაა და ლირიკული პასაჟიც ეპოსში. ყველაფერი, რასაც შოლოხოვი „წუნარ დონში“ წერს, გინდა თუ არ გინდა, ჩვენი ქვეყნის ისტორიაა, ცხოვრებისეული სურათებია, მართალი და დიდი შემოქმედებითი ოსტატო-

---

* ხელოვნებაში თანამედროვეობის საკითხებზე დაწვრილებით იხ. გიორგი ჯიბლაძე, „ხელოვნება და სინამდვილე“, 1955 წ., გვ. 565—610, ან Георгий Джибладзе, Искусство и действительность, 1971 წ., გვ. 441—489.

ბით წარმოსახული სურათებია. არავის მხატვრულ შემოქმედებაში იმ პერიოდზე იმდენი სიმართლე არ უთქვამს, რამდენიც შოლოხოვმა გვითხრა. შოლოხოვმა ჩაგვახედა ყველა უფსკრულში, რაც მაშინ უმკაცრესმა სინამდვილემ წარმოშვა, დაგვანახა იმდროინდელი ცხოვრება, როგორიც იყო და როგორც ვითარდებოდა. არავის ამდენი რამ არ უთქვამს და არ უჩვენებია. მოგწონთ თუ არ მოგწონთ, ეს თქვენი ნებაა, მაგრამ ისტორია ასეთი იყო და „წყნარი დონის“ ავტორს არამარტო შემოქმედებით გმირობად უნდა ჩაეთვალოს თავისი ეპოსი, არამედ, მოქალაქეობრივ რაინდობადაც ის, რაც გააკეთა.

საუკუნეების შემდეგაც გადმოხედავენ იმ სინამდვილეს, რომელიც შოლოხოვმა გვიჩვენა, და ყველაზე მკაცრი, ყველაზე ზუსტი ისტორიკოსიც ვერ შეიძლებს უარჰყოს ჰეშმარიტება, რაც ახალი დროის ილიადაში გამჟღავნდა. იქ ხომ ყველაფერი ბეწვზე ჰკიდია, ყველაფერი ბორგავს, როგორც ომის გენია, ყველაფერი იბრძვის, კვდება და იბადება, ცხოვრება მთელი თავისი განუმეორებელი სილამაზით, მთელი თავისი ათასგვარი განსაცდელით თვალწინ გვიდგება, თითქოს მოგვაგონებდეს, რომ ჩვენი არსებობა ხშირად წააგავს მორღვეულ ჰიშკარს, რომელიც მზადაა ჩამოვარდეს. ბევრი ამას ორგანიულად გრძნობს, ბევრი სულ ალმაცერად უყურებს. პირველნი ტრაგიკულ ტიპთა კატეგორიას განეკუთვნებიან, მეორენი—კომიკურს. განა კომიკური არ არის უყურო ცხოვრების საშინელებათა მორევს უზრუნველად, წარბიც არ შეიხარო, წამოუწევ მისი ტალღების მოხეთქებას, შემდეგ კი გაითელო, როგორც მთიელის ნაბადი?! თქვენ მეტყვით — ეს ტრაგი-კომიკურიაო, და მეც დაგეთანხმებით! ამგვარ ადამიანთა მთელი პლეადაა წარმოდგენილი შოლოხოვის „წყნარ დონში“ — ტრაგიკულნი და ტრაგი-კომიკურნი! ამიტომ შოლოხოვზე წერა ძნელიცაა და ადვილიც. ძნელია იმიტომ, რომ უნდა იყო ყველგან ზუსტი, როგორც შოლოხოვი. ადვილია იმიტომ, რომ აღფრთოვანებული და შთაგონებული ხარ მისი ოსტატობით. როცა კრიტიკოსი აღფრთოვანებული და შთაგონებულია, უკეთესი სულიერი განწყობილება მისთვის ძნელად მოიძებნება. ამ სულიერი ინტეგრაციის დროს ჩვენ მთლიანად გვიპყრობს ისიხარული, ვწერთ თავისუფლად, ძალდაუტანებლად,

და გულის სიღრმეში მადლობელი ვრჩებით იმ ადამიანებისადმი, ვინც ეს ბედნიერება მოგვანიჭა.

ასეთი მასშტაბის მწერალთან ყოფნა, მის გვერდით თუნდაც რამდენიმე დღის გატარება — დაუვიწყარია ყველასათვის, ვისაც ეს ბედნიერება პირადად განუცდია.

ჩვენ სიამაყით აღვნიშნავთ, რომ ქართველ მწერლებს შოლოხოვის სახით მართლაც დიდი მეგობარი ჰყავთ, რომელიც ბევრ მათგანთან ახლო ურთიერთობით არის დაკავშირებული.

არის რაღაც სიმპტომატური, რომ „წყნარი დონისა“ და „გატეხილი უამირის“ ავტორმა თავის მეგობრებთან ერთად სამჯერ მოიარა საქართველო. პირველად 1961 წლის ივნისში ჩამოვიდა. მოწვევის ინიციატივა ეკუთვნის ცნობილ ჟურნალისტსა და საზოგადო მოღვაწეს დავით მჭედლიშვილს, რომელმაც უეჭველად ბევრი გააკეთა დიდი რუსი მწერლის ქართველ მოღვაწეებთან დამეგობრებისათვის. ეს მეგობრობა დღემდე გრძელდება, უანგაროდ და საქმიანად. ამ დროიდან მოყოლებული, ჩვენ გვესმის შოლოხოვის უშუალო, თბილი სიტყვები საქართველოსა და ქართველ ხალხზე, სიტყვები, რომლებიც აღბეჭდილია პირადი განცდებით. 1961 წლის 19 ივნისს შოლოხოვი წერდა: «Ступив впервые на землю славной Грузии, просто не могу не передать моим читателям самый сердечный привет и самые добрые пожелания». იმავე წლის 24 ივნისს ქართველ მეჩაიეებს მწერალი შემდეგი სიტყვებით მიესალმა: «К моему стыду я не знал, до приезда в Грузию,— как тяжел ваш труд». შოლოხოვი ყველაფერს გულმოდგინედ ეცნობოდა, ყველაფერს ყურადღებით აკვირდებოდა.

ექსკურსიის ღირსშესანიშნავი ადგილების, მათ შორის გრიბოედოვის საფლავის დათვალიერება, სახელმწიფო მუზეუმში ქართული კულტურის მატერიალური ძეგლების გაცნობა, გორის სტალინის სახლ-მუზეუმისა და წინანდლის სანახების ხილვა — ყოველივე ამან დიდ მწერალზე უაღრესად სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა.

მე ბედნიერება მქონდა ჩემს რამდენიმე მეგობართან ერთად ახლოს გამეცნო ეს დიდი კაცი, ნამდვილად განსაკუთრებული მოვლენა საბჭოთა ლიტერატურაში. რამდენიმე დღე მის გვერდით ყოფ-

ნა სჯა-ბაასი და ხელოვნების ათასგვარ თემაზე მეგობრული საუბარი ჩემს მეხსიერებაში დარჩენილია, როგორც უძვირფასესი მოგონებანი. მიუხედავად ქარიშხლიანი, ბრძოლებით აღბეჭდილი მძიმე ცხოვრებისა, შოლოხოვი წყნარი და მშვიდია, ადამიანურად თბილი გრძნობებით სავსეა. მსოფლიო ხელოვანია, მაგრამ არასოდეს გაგრძნობინებთ ზევიდან გადმოხედვას, პირიქით, თქვენს გვერდით დგას, თუმცა ვერასოდეს შორდებით ფიქრს, რომ ის ოლიმპის მწვერვალზეა. ზოგჯერ გეჩვენება: შენ კი არა ხარ მისი სტუმარი, თვითონ მოვიდა შენთან, როგორც ტკბილი, სათუთი უფროსი მეგობარი. არის აქ რაღაც დიადის წამიერი გადასვლა ტრივიალურში და ჩვეულებრივის ასევე წამიერი მიახლოება დიადთან. თუნდაც ამიტომ გაცნობის პირველივე დღიდან მორალურ ვალად მიგიჩნიე დამეწერა ეს მონოგრაფია.

საქართველოს უმშვენიერეს სანახებში — თბილისის შემოგარენია თუ ალაზნის ულამაზესი ველი, დარიალის მრისხანე ხეობა თუ კავშაურის აყოლებით საარაკო ხედები, მცხეთის ჯვრის მონასტერი, თუ ზღაპრული არქიტექტურის სვეტიცხოველი, რომელიც დისჰარმონიით ულამაზესი ჰარმონიის მიღწევის კლასიკური ნიმუშია, წინანდლის ჰავჰავაძისეული ბაღი თუ ვარძიის ფანტასტიკური ქალაქი კლდეში, ნატანების ხალიჩისებური პლანტაციები თუ შავი ზღვის განთქმული სანაპიროები — შოლოხოვი ყველგან დიდი კმაყოფილებით ლაპარაკობდა ივერიის გმირულ წარსულსა, მშვენიერ აწმყოსა და კიდევ უფრო უკეთეს მომავალზე. მის სიტყვებსა, აზრებსა და გრძნობებში გამოკვეთილად ჩანდა ღრმა სიყვარულთან ერთად გულწრფელი პატივისცემა ქართველი ხალხის მამაცობის, მხნეობის, კულტურისადმი. ჩვენ ყველა, ვინც მას ვახლდით — გიორგი ლეონიძე, დავით მჭედლიშვილი, მიხეილ დავითაშვილი, გრიგოლ და ირაკლი აბაშიძეები, მოხიბლული ვიყავით შოლოხოვის ადამიანობით, ძმობის სითბოთი, რაზაც აცისკროვნებდა გენიოსის შარავანდედი. და ბედნიერი ვარ, რომ ასეთი დიდი შემოქმედის ნასახსოვარი „პარკერით" უკანასკნელი წერტილი დავუსვი პროფესიული მეგობრული გრძნობით დაწერილ ვრცელ მონოგრაფიას — „შოლოხოვის ეპოსი". ამ მონოგრაფიას ვწერდი ათეული წლის მანძილზე, დიდი მონდომებით, სიყვარულით, ვცდილობდი ამეხსნა ის საიდუმლო, რომელიც შო-

ლოხოვის მხატვრულ შემოქმედებაშია, როგორც დიდი ადამიანის ადექვატურ სულიერ აქტში.

როგორც ადამიანი, ვიმეორებ, შოლოხოვი მშვიდი, თავმდაბალი, მიმზიდველია. პირველი შეხვედრისთანავე გრძნობით მოგხიბლავთ და გაგიხდით სამუდამო მეგობრად. მის პიროვნებაში თითქოს რაზინის გლადიატორული სული ტრიალებს, შეუპოვარი და უტეხი სული, რომელიც ყოველთვის მზადაა საბრძოლველად. შოლოხოვმა ხომ მთელი თავისი ცხოვრება ბრძოლაში გაატარა — როგორც სამოქალაქო, ისე მეორე მსოფლიო ომის ფრონტებზე. მისი კლასიკური რომანები, მოთხრობები, გამოსვლის ტექსტები სულ მებრძოლი, დიდი შემოქმედებითი სულითაა დაწერილი, ტიტანური შრომითა და უაღრესი პრინციპულობით. მან არ იცის უკანდახევა, როგორც დონელმა კაზაკმა, არც დათმობა, როგორც გრიგორი მელეხოვმა.

ამ პირადი ღირსების გარდა შოლოხოვს ახლისა და ძველის, დიდისა და მცირის სწორად გაგების არაჩვეულებრივი უნარი აქვს. როცა ჩვენს უძველეს მცხეთაში სვეტიცხოველს ათვალიერებდა, რამდენიმე კითხვა დამიყენა. დასავლეთის ფასადზე შენიშნა არქიტექტურული დისჰარმონია, ხოლო როცა განმარტება მივეცი — ხელოვნების თეორიაში, როგორც მოგეხსენებათ, არის თეზისი — დისჰარმონიით სრული ჰარმონიის მიღწევა შეიძლება-მეთქი, ღიმილით შენიშნა: „ძველებს მშენებლობაც შეეძლოთ, გემოვნებაც მაღალი ჰქონდათ და ესთეტიკურის საიდუმლოებანიც კარგად ესმოდათ. სვეტიცხოველი ამ ჰეშმარიტების დიდებული მონუმენტიაო".

შემდეგ, დარიალის ხეობაში ყოფნის დროს, დიდხანს უცქირა ცადაწვდენილ გოლიათებს. განცვიფრებაში მოვიდა მასტადონტი კლდეებით. ყური დაუგდო გაშმაგებული თერგის მრისხანე ღრიალს. შეეატყვე, რომ ოცნებით ვადავიდა გრიბოედოვის, პუშკინის, ლერმონტოვის ეპოქაში. ყურადღებით დაათვალიერა საუკუნეობრივი ფორტის ნანგრევები. ახედა ციცაბო მთებში აშენებულ კოშკებს, და მომეჩვენა, თითქოს წარსული განმეორდა ახალი ვარიაციით — მე-19 საუკუნის გენიოსებს, რომლებმაც აქ გაიარეს, მე-20 საუკუნის გენიოსი შეხვდა საქართველოს უძველეს კარებთან. დონის ტრამალებიდან მოსული შოლოხოვი საქართვე-

ლოს ამაყ მთებში ხედავდა წარსულისა და აწმყოს ცოცხალ სურათებს. ის ბუნების ლაღი შვილივით ეტრფოდა დარიალის უცნაურ პალიტრას. თვითონ შოლოხოვსაც ხომ ასეთივე ერთი, მრისხანებით უხვი ერთადერთი პალიტრა აქვს, მაგრამ იმდენი სინაზითა და საღებავით სავსე, რამდენიც თვით ბუნებას გააჩნია. ბუნებრივობა მისი შემოქმედების ალფა და ომეგაა. შეიძლება სრულიად თამამად ითქვას, რომ შოლოხოვი არაფერს არ წერს ბუნებრივობის გარეშე და არსად ბუნებას არ არღვევს, მთლიანად ჩამჯდარია ბუნებაში და ბუნება ძნელად იპოვიდა თავისი სასახლის უკეთეს „კარის მხატვარს“.

არასოდეს დამავიწყდება პირველი გაცნობა შოლოხოვთან, რომლის „წყნარმა დონმა“ ალტაცებაში მომიყვანა დაჸწყები კრიტიკოსი. 30-იან წლებში ვკამათობდით შოლოხოვის მხატვრული მეთოდის საკითხებზე. ვდაობდით ტოლსტოისთან მისი რომანის სახელოვნებაზე. ვაკრიტიკებდით „უშუალო შთაბეჭდილების თეორიას“, რომელიც მაშინ ერთგვარ მოდად იყო ქცეული. ვამტკიცებდით, რომ შოლოხოვი უკვე დიდი მწერალია, რომ მისი „წყნარი დონის“ პირველივე წიგნი შეუდარებელ ეპოპეას წარმოადგენს. სამწუხაროდ, დონის მოთხრობებს მაშინ არც მე, არც ჩემი ამხანაგები ჯერ კიდევ არ ვიცნობდით.

შოლოხოვი მაშინ ჩვენ უკვე გვესახებოდა ლიტერატურულ კოლოსად, რომელმაც ერთბაშად გამოაჩინა მთელი თავისი მხატვრული შთაგონების ყველა განზომილება. და თურმე არ ვცდებოდით, როცა მწერლობაში გამოუცდელი იუნგები ლიტერატურული ადმირალების ასეთ შეფასებას ვახდენდით. ის კი არ ვიცოდით, რომ შედარებით ამ პატარა ტანის კაცში რაღაც დევგმირული იყო, არამარტო სულიერად, ფიზიკურადაც. ეს ჩვენ ვიგრძენით საქართველოში მისი ყოფნის დროს. შოლოხოვმა ვარძიის გამოქვაბულა ოთახების სანახავად ქარიან ამინდში ისე უშიშრად გაიარა ციცაბო ბილიკები, როგორც კაზაკი თავის იორღას მიაგელვებს დონის ტრამალებზე. მოგზაურობის დროს დაღლა არ შეგვიტყვია. როცა მისი ჩიჩერონეები შესვენებას ვსაჭიროებდით, თვითონ მოუღლელი იყო და სულ წინ მიდიოდა.

გასაოცარი ნებისყოფა აქვს! წინანდალში ყოფნის დროს ნახევრად იხუმრა თავის მოთმინებასა და ნებისყოფაზე: მოწმედ და-

მასახელა — გიორგი, უნდა დამიდასტურო, რომ მე, შოლოხოვი, წინანდლის სამოთხისებურ მარნებსა და სარდაფებში ბახუსის მადლს არ მივკარებივარ, თუმცა ვინ დაგვიჯერებსო! იუმორის განსაკუთრებული ნიჭი აქვს და პაპა შჩუკარი მარტო ფოლკლორული სახე კი არ არის, როგორც ზოგიერთ კრიტიკოსს ჰგონია, შოლოხოვის სულის უშუალო ანასხლეტია. ჭეშმარიტებას, სიმართლეს პირდაპირ და მოურიდებლად ლაპარაკობს. როცა ერთი დიდი თანამდებობის პირი (მისი დაჟინებითი თხოვნით), როგორც იქნა მიიღო (მხოლოდ გიორგი ლეონიძე და მე დავესწარით ამ სცენას წუნეთში), ნახევრად ირონიულად ისე გაჰკილა, რომ არ ვიცოდით რა გვექნა. აუდენციის დამთავრებაც უცერემონიოდ ანიშნა. ის გაისტუმრა, ჩვენ კი ცისკრის ვარსკვლავის უკანასკნელ ნათებამდე გვესაუბრა. იმ ღამეს ჩვენი თხოვნით დაწერა მშვენიერი სიტყვები ვაჟა-ფშაველაზე, დაწერა ისე, რომ გასწორება არსად დასჭირვებია, ლაღად, თავისუფლად, სულმოუთქმელად, კალიგრაფიული ხელით. ახლა ეს სიტყვები ყველა ქართველი ლიტერატორისათვის ცნობილია.

თავისი ხელნაწერის გადმოცემის დროს, შოლოხოვმა მითხრა: ვაჟას იუბილემდე, ძალიან გთხოვ, არ გაახმაურო, არსად გამოაქვეყნოო. ეს იყო 23 ივნისს, ღამის 3 საათზე. ვაჟას იუბილემდე ერთ თვეზე მეტი იყო დარჩენილი — 27 ივლისს ტარდებოდა. მე, ცხადია ისე მოვიქეცი, როგორც დიდ მწერალს სურდა: პრესას მხოლოდ 26 ივლისს გადავეცი და 27 ივლისს გაზეთებმა თვალსაჩინო ადგილზე გამოაქვეყნეს.

უსაყვარლესი კაცია! ბევრ რამეს დავკარგავდი შოლოხოვი რომ არ გამეცნო, დაუკარგავდი ადამიანურად, პირველყოვლისა ლიტერატურულად. შოლოხოვისაგან ბევრი რამ გავიგე ამ ქვეყნად, რასაც უმისოდ ვერასოდეს შევიტყობდი, ბევრი რამ ვისწავლე ლიტერატურაშიც.

შოლოხოვი ყოველთვის ანდამატივით გიზიდავთ. მეგობართა წრეში ყოფნის დროსაც შოლოხოვი არაჩვეულებრივად მიმზიდველია. რა არ შეუძლია მოჰყვეს და რა არ შეუძლია გაიხსენოს, დაწყებული სტალინთან შეხვედრებით დილამდე, დამთავრებული რიგითი ადამიანებით. ჰყვება ცოცხლად, დამაინტერესებ-

ლად, გონებამახვილურად, შეგიძლია უსმინო დიდხანს, დიდხანს, და მოწყენა სულ არ იგრძნო. რამდენი გვაცინა ერთი რუსი ემიგრანტი პოეტის პარადოქსებზე. როცა შოლოხოვი ამბავს ჰყვება, ეს უკვე რომანისტი შოლოხოვია!

დაუსრულებლად შეიძლება წერო „წყნარი დონისა“ და „გატეხილი უამირის“ ავტორის, როგორც დიდი ადამიანის ღირსებებზე.

როცა 1961 წლის 20—24 ივლისს შოლოხოვთან სტუმრად ვიყავით ვეშენსკაიაში, მოგვხიბლა მწერლის უშუალობამ, ზრუნვამ და ამაგმა*. დელეგაციის ყველა წევრი ცდილობდა ტაქტი არ დაეკარგა, მაგრამ ყოველთვის ვერ ახერხებდა, თვით მასპინძლის მიზეზით. ქართული ლირიკული სიმღერებით საქართველოშივე მოხიბლული შოლოხოვი მთელი გატაცებით უსმენდა (უკვე მერამდენეჯერ!) ციცინო ცოცქიშვილსა და ნათელა კირვალიძეს. მათ ვირტუოზულ შესრულებას მუსიკალურ აკომპანიმენტს უკეთებდა ავტორი, ჩვენი უნიჭიერესი კომპოზიტორი სანდრო მირიანაშვილი. მეორედ სტუმრობისას ყველა მოხიბლა მედეა გონგლიაშვილის უბადლო აკომპანიმენტმა და ვენერა მაისურაძის დიდი გრძნობით შესრულებულმა ლირიკულმა სიმღერებმა. შოლოხოვი თითქოს მთლიანად იძირებოდა მომხიბლავი ქართული ჰანგების ზღვაში.

მიღება ისეთი გულითადობის ატმოსფეროში მიმდინარეობდა, რომ აღტაცებულმა გიორგი ლეონიძემ სთქვა: „ასე ალერსით, უშუალოდ, მთელი გულით მიღება მხოლოდ ჰეშმარიტ დიდ კაცს, სტუმართმოყვარეობაშიც გენიოსს შეუძლიაო“. მე მაშინ გავბედე და ანალოგიით გორკისა, რომელმაც სტალსკი „ილიადას“ ავტორს შეადარა, შოლოხოვს ვუწოდე XX საუკუნის ჰომეროსი პროზაში. გიორგი ლეონიძეს ძალიან გაეხარდა. თვითონაც რამდენჯერმე ასე მიმართა შოლოხოვს. ახლა ეს უკვე ტრივიალური ფრაზაა, თუმცა ჩვენ მაშინ არ ვიცოდით, რომ ევროპამ პირველმა უწოდა

---

* მიხეილ შოლოხოვთან ვეშენსკაიაში სტუმრობანი მწერლის მეგობრებისა და ახლობლებისა მშვენივრად აღწერია პოეტ ანატოლი სოფრონოვს წიგნში: «Шолоховское», М., 1975 წ., გვ. 3—174.

შოლოხოვს ჩვენი დროის ჰომეროსი, ხოლო „წყნარ დონს" — წითელი „ილიადა".

შოლოხოვს არ უყვარს რაიმე ტრივიალური, მის არც შემოქმედებაში, არც პიროვნებაში ტრივიალური მართლაც არაფერია. ორიგინალურობა მისი შემოქმედებითი სულის ყველაზე ძლიერი შინაგანი სტიქიაა, მაგრამ არა ხელოვნური, ბუტაფორიული, გარეგნულად არტისტული, არამედ, თავიდან ბოლომდე ბუნებრივი, სადა, უშუალო. მისი ორიგინალურობა მისსავე ბუნებრივობასა და სისადავეშია, უშუალობაში, რომლითაც დიდი მწერალი ასე მკაფიოდ გამოირჩევა.

ეს ბუნებრივობა, სისადავე, უშუალობა მოჰყვა მას ჩემს ოჯახშიც, როცა 1961 წლის ივნისს მესტუმრა გიორგი ლეონიძესა და დავით მშვილდიშვილთან ერთად. სტუმართა შორის ბევრი იყო შოლოხოვის უანგარო პატივისმცემელი, მაგრამ არანაკლებად იყვნენ ჟურნალისტები და ფოტორეპორტიორები. ისინი მოსვენებას არ აძლევდნენ „წყნარი დონის" ავტორს, იღებდნენ ყველა რაკურსით, პროფილით, ანფასით, თვითონ კი ამ დაუსრულებელ ცერემონიას თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევდა.

როცა ბორჯომში ღამე გავათიეთ და ვარძიისაკენ გასამგზავრებლად პარკში გამოვედით, დამსვენებელთა დიდი ჯგუფი გარს შემოერტყა მწერალს, სთხოვეს ჩვენთან ერთად სურათი გადაიღო. თურმე ისინი ადრე გამოვიდნენ თავიანთი პალატებიდან, „პიკეტი" მოაწყვეს შოლოხოვთან შეხვედრისათვის. უალრესად ზრდილობიანი ფორმით შოლოხოვმა უარი თქვა სურათის გადაღებაზე— დღეს ბევრი რამ უნდა მოვასწრო, აქ დროს ვერ დავკარგავო. მაშინ საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ შოლოხოვს არ უყვარს ამგვარი ცერემონია, თუ იგი აუცილებლობით არ არის გამოწვეული.

ყველამ იცის, ყველას აღნიშნული აქვს, რომ „წყნარი დონისა" და „გატეხილი უამირის" ავტორი სხვისადმი განსაკუთრებულ ზრუნვას იჩენს. პირველი შეხვედრისთანავე ჩემს მეუღლეს ჰკითხა, რატომ ვარ მე ასე გამხდარი (მაშინ ნამდვილად გამხდარი ვიყავი მეტისმეტი გადატვირთულობის გამო — ყოველდღიურ მძიმე მუშაობას სხვაც ბევრი რამ ემატებოდა). შემდეგ დარიგებები მისცა, რა გაეკეთებინა, რომ მე ნორმალურ ადამიანურ კონდიციამდე დავსულიყავი.

პროზაული საკითხებიდან ჩვენ გადავედით ლიტერატურული პრობლემების განხილვაზე, მეგობრულ სჯა-ბაასში შოლოხოვმა გაშოამეღავნა ქართული კულტურის, ქართული ლიტერატურის საფუძვლიანი ცოდნა, რამაც ყველა აღტაცებაში მოგვიყვანა. გიორგი ლეონიძე თავის სიხარულს ვერ მალავდა, რომ ასე დიდმა კაცმა ასე კარგად იცოდა არა მარტო რუსთაველი, ბარათაშვილი, ვაჟა, ილია, აკაკი, არამედ, ქართული ფოლკლორის არაერთი ნიმუშიც, ხოლო ვაჟას ლექსზე სიმღერა — „გამოღმით მე ვარ, გაღმა შენ“ რამდენჯერმე გაამეორებინა ჩვენს პროფესიულ თუ არაპროფესიულ მომღერლებს.

ეს საღამო ჩემს ოჯახში მართლაც დაუვიწყარი იყო!

შოლოხოვის საქართველოში ყოფნის დროს ქართველებს არაფერი დაგვიკლია ჩვენთვის დამახასიათებელი სტუმართმოყვარეობისათვის, მაგრამ, როცა „წყნარი დონის“ ავტორი თვითონ იყო მასპინძელი, ძნელი შეიქნა გადაგვეწყვიტა ნახევრად ჰუმორით დაყენებული „პრობლემა:“ ვინ ვის? ვეშენსკაიადან 20—30 კილომეტრის დაშორებით, მდინარე ხოპერის ნაპირებზე შოლოხოვმა თევზაობის შემდეგ ფართო კარავში მართლაც დიდი ნადიმი მოგვიწყო. ეს იყო 1961 წლის 21 ივლისს, პაპანაქება სიცხეში. ნორვეგიელი დიდი გამომცემელი, თავის მეუღლესთან ერთად, გაოცებული იყო და ჩვენს აღტაცებას ორივე ერთსულოვნად იზიარებდა. რა არ ითქვა და რა არ მოვისმინეთ! ჩვენი შესანიშნავი მომღერლები ჯადოსნური ქართული ჰანგებით ატკბობდნენ იქაურობას, დონის ტრაქალებს, სადაც ოდესლაც „წყნარი დონისა“ და „გატეხილი ყამირის“ უკვდავი გმირები ცხოვრობდნენ, ხოლო უფრო ადრე, მართალი გულის ადამიანები, თავდადებული უშიშარი კაზაკები რაზინი და პუგაჩოვი იორღებს მიაგელვებდნენ. იყო რაღაც მშვენიერი, პათეტიკურად ამაღლებული და გმირულ-რომანტიკული ხოპერის ამ შოლოხოვისეულ სიმპოზიუმში.

არ დავმალავ, მთელი იმ ოთხი დღის მანძილზე, მიუხედავად გართობისა, თამადობისა, სხვა საქმეებისა, განუწყვეტელი ფიქრი მაწუხებდა, რომ 27 ივლისს ვაჟა-ფშაველას იუბილე იყო, ათასგვარი საზრუნავი მიტოვებული მქონდა, მოხსენება დაუწერელი. ყველაფერი ეს შოლოხოვმა იცოდა. მეორე დღეს, საღამოს, როცა შედარებით ადრე დავამთავრეთ ნორვეგიელ გამომცემელთან

შეხვედრა (იგი მეუღლესთან ერთად სტუმრობდა დიდ მწერალს), შოლოხოვმა მოულოდნელად შემიყვანა თავის სამუშაო კაბინეტში და მითხრა: აქ რამდენიმე გვერდის დაწერას მოასწრებო. გაოცებული დავრჩი მისი გულისხმიერებით. დიდი მადლობა გადავუხადე. მივუჯექი შოლოხოვის მაგიდას და მართლაც დავწერე, მაგრამ ორი გვერდის მეტი ვერ შევიძელი. ესეც დიდი საქმე იყო. ყოველ შემთხვევაში, თვით შოლოხოვის დახმარებით მოხსენების ყამირი გატეხილი მომეჩვენა!

როცა მეორედ ვესტუმრეთ შოლოხოვს, მთელი დელეგაცია, რომელშიაც პირველისაგან განსხვავებით შედიოდნენ სახელოვანი კომპოზიტორი რევაზ ლაღიძე და პოეტი ირაკლი აბაშიძე, დონზე გაგვასეირნა, გვიჩვენა ის სოფელი, სადაც „წყნარი დონის“ გმირები „ცხოვრობდნენ“ — ეს არის ჩეში ტატარსკიო. მრავალსაათიანი მოგზაურობის დროს გემზე შოლოხოვი იჩენდა მისთვის ჩვეულ გულისხმიერებას, პირდაპირ იდეალურ მასპინძლობას.

შეორე დღეს დავათვალიერეთ სოფელი კრუჟილინი, სადაც შოლოხოვი დაიბადა. სამწუხაროდ, ის სახლი, სადაც პირველად გაახილა თვალი მომავალმა მწერალმა, უკვე აღარ არის. მეორე სახლი კი, რომელშიაც შოლოხოვმა ბავშვობა გაატარა, დღემდე არსებობს. კრუჟილინელებმა დიდი სტუმართმოყვარეობით მიგვიღეს და ჩვენც ვალი არ დაგვრჩენია ძმობის, მეგობრობის, სიყვარულის გრძნობაში. კრუჟილინელები ამაყობდნენ, რომ გენიოსი შოლოხოვი მათი თანასოფლელი იყო, ჩვენ კი ვამაყობდით, რომ ასე დიდი ადამიანის პირადი მეგობრები ვიყავით.

შოლოხოვი მართლაც არამარტო დიდი მწერალია, დიდი ადამიანიცაა!

დიდ ადამიანებს ხშირად განსაკუთრებული ბედი აქვთ: თავისი ტალანტით შურს ბადებენ უნიჭო ან საშუალო ნიჭის ავტორებში, რომლებიც სიცოცხლეს ისე ამთავრებენ, რომ ვერაფერს ღნიშვნელოვანს ვერ ჰქმნიან, სხვისი ცილისწამებით კი პირდაპირ „ინკვიზიტორებად“ ევლინებიან საზოგადოებას, აღთებიან როგორც უნიჭობის ჰიაკოკონები. ეს ინკვიზიტორები მაშინაც არსებობდნენ, როცა ინკვიზიციის ხსენება არ იყო და ჯერ კიდევ ათზე მეტ საუკუნეს უნდა გაევლო, ვიდრე პირველი ინკვიზიტორი დაიბადებოდა. ამ ინკვიზიტორებმა შეჰქმნეს აბსურდული ლეგენდები,

რომ თითქოს პლატონმა თავისი ბრძნული აზრები მოსე წინასწარმეტყველს მოჰპარა; არისტოტელეს „ორგანონი“ სხვა არაფერია, თუ არა ინდური თხზულება, რომელიც ბიძამ უსახსოვრა დიდ ფილოსოფოსს, ამ უკანასკნელმა კი ლიტერატურული ხელცივობა ჩაიდინა — ხსენებული ნაწერები თავისად გაასაღა; რუსთაველს თავისი გენიალური პოემის არც პროლოგი და არც ინდო-ხატაელთა ამბავი არ ეკუთვნისო; შექსპირიც ქურდია, არცერთი ტრაგედია მას—უნიჭო მსახიობს, უსწავლელსა და უჩინო კაცს, არ დაუწერია. გრაფ როჯერ მინერს რეტლენდს ეკუთვნისო; ჰეგელი პლაგიატორია, მაგრამ სხვა ლიტერატურული ქურდებისაგან იმით განსხვავდება, რომ ყველაზე „მძლავრი პლაგიატორიაო“; ინკვიზიტორებმა სასამართლოებში არბენინეს რენე დეკარტე, გენიოსი ოსტროვსკი... ხველას ვერ ჩამოვთვლით, საჭიროც არ არის.

ისტორიაში დიდი ადამიანების ეს საოცარი ბედი დიდხანს გაინაწილა შოლოხოვის გენიამ. როგორც კი „წყნარი დონის“ პირველი წიგნი გამოვიდა, გულგახეთქილმა მოშურნეებმა ცილი დასწამეს შოლოხოვს, ისე, რომ მას არც კი გაუგია, მაშინ შეიტყო, როცა ჭორს ბოლო მოეღო. დღეს კი ერთი საშუალო ნიჭის მომწერლო კაცუნა, რომელმაც თავი ბურჟუაზიულ ევროპას შეაფარა, თითქმის ნახევარსაუკუნოვანი მტვრით დაფარულ ცილისწაშებას იმეორებს, უკვე არა ლიტერატურული გვირგვინების, წმინდა პოლიტიკური შანტაჟების ინტერესებისათვის, რათა იუდა ისკარიოტელის ვერცხლი მიიღოს. აქ სულ მარტივი ანგარიშია: ბურჟუაზიული სამყაროს აპოლოგეტებს, როგორც ოდესღაც ჰიტლერელებსა და თხუთმეტი წლის წინათ მისტერ სოლსბერის, დღესაც გულზე როდი ეხატებათ „სოციალისტური რომანების“ გენიოსი ავტორი მიხეილ შოლოხოვი. რას ვიზამთ: ვინმეს რაიზეს იმედი ხომ უნდა ჰქონდეს?!

დიდ ადამიანს ხშირად არაჩვეულებრივი სულიერი კდემამოსილებაც ახასიათებს. შოლოხოვი უეჭველად ასეთ დიდ ადამიანთა კატეგორიას მიეკუთვნება. ამ კდემამოსილებით ყოველთვის ხიბლავს მეგობრებს, რომლებსაც იგი უანგაროდ უყვართ, როგორც ჩვენი დროის გენიოსი მხატვარი, და ანიჭებს მათ ადამიანურ სიხარულს.

ვერასოდეს დავივიწყებ იმ განუზომელ აღტაცებას, რაც

განვიცადე ჩემი დაბადების სამოცი წლისთავზე, როცა გადმომცეს მიხეილ შოლოხოვის მოსალოცი დეპეშა ხუტორ ვეშენსკაიადან: „გილოცავ დაბადების დღეს, გეხვევი, გკოცნი ჩემს ძველ მეგობარს. იყავი ვაჟკაცურად და მხნედ. შენი მ ი ხ ე ი ლ შ ო ლ ო ხ ო ვ ი“.

ჩემთვის ეს დიდი პატივი იყო და მართლაც ვერასოდეს დავივიწყებ.

ვერ დავივიწყებ შოლოხოვის კიდევ ერთ დეპეშას, რომელსაც იმ დროისათვის ალეგორიული მნიშვნელობა ჰქონდა.

1964 წლის 26 დეკემბერს შოლოხოვს მივულოცე კარსმომდგარი ახალი წელი და დეპეშა დავამთავრე პუშკინის ცნობილი სიტყვებით:

«Прошу разрешения крепко обнять Вас с надеждой увидеть «на холмах Грузии...»

დიდმა მწერალმა პასუხი გამოგვიგზავნა პუშკინის ორი ლექსის ვარიაციული გამოყენებით:

«Надеюсь обнять дорогого академика на холмах Грузии **беспечальной** летом этого года. Сердечный привет.

Шолохов»

მაგრამ 1965 წელს შოლოხოვი საქართველოში ვერ ჩამოვიდა.

დიდი მწერალი გვესტუმრა 1968 წლის აგვისტოში, მოიარა დასავლეთ საქართველო, რამდენიმე დღე დაჰყო მეჩაიეებთან, აირჩიეს ნატანების კოლმეურნეობის საპატიო წევრად, დარგო მანდარინის ხეები კოლმეურნე კონსტანტინე გუჯაბიძესთან ერთად, რომლის ოთხი ვაჟიშვილი ჰიტლერელებთან სამამულო ომში დაიღუპა. შოლოხოვს კარგად შეეძლო გაეგო მისი სულიერი ტანჯვა; სამხრეთის, სამხრეთ-დასავლეთისა და დასავლეთის ფრონტებზე სამხედრო კორესპონდენტად მუშაობის დროს მან საკუთარი თვალით ნახა ომის საშინელებანი, რაც ასე დიდი ოსტატობით აღწერა „სიძულვილის მეცნიერებაში“ (ვიქტორ გერასიმოვის ცხვირდასაცემი), „ჯაცის ბედში“ (ანდრეი სოკოლოვის ტრაგედია), რომანში— „ისინი სამშობლოსათვის იბრძოდნენ“. თვით შოლოხოვმა პირადად განიცადა მეორე მსოფლიო ომის არაერთი გაუგონარი ტანჯვა. გერმანელების ბომბმა თვალწინ მოუკლა ქალიშვილი,

სამოცდაათ წელს მიღწეული დედა, ფაშისტურმა ნაღმებმა აუფეთქეს საცხოვრებელი სახლი და გადაუწვეს ბიბლიოთეკა. ასეთ ოდისეაგამოკლილ კაცს, გენიოს მწერალს, ცხადია, ღრმად შეეძლო გაეგო ოთხი ვაჟკაცის დამკარგავი მამის გულისტკივილი და გულწრფელად თანაეგრძნო მისთვის.

იყო რაღაც შოლოხოვისებური სიმბოლიკა ნატანების საკოლმეურნეო ბაღში დიდმა მწერალმა ოთხი შინმოუსვლელი ძმის სახელზე მანდარინების ხეები რომ დარგო!

მაგრამ ყველაზე ძვირფასი, რასაც შოლოხოვი რგავს მსოფლიო მერიდიანებზე თავისი დიდი შემოქმედებით, ესაა. ადამიანობა, სიმართლე, ჰუმანიზმი, კაცთმოყვარეობა, ახალი სამყაროს იდეა, საბჭოთა ლიტერატურის უმაღლესი ოსტატობა. რომ არ ყოფილიყო გორკი და მაიაკოვსკი, საბჭოთა ლიტერატურას მსოფლიო დიდებისათვის მარტო შოლოხოვის სახელი ეყოფოდა. იმდენად დიდია ეს პატარა დონელი კაზაკი, როგორც მწერალი, რომ მთელი მხატერული აზროვნების ისტორიაში მხოლოდ გიგანტების გვერდით შეიძლება დავაყენოთ. სხვა ადგილი მას არ გააჩნია. შოლოხოვმა ისე შორს გასწია ჩვენი ხელოვნების საზღვრები, რომ თანამედროვე მწერალთაგან პირველ ადგილზე გამოვიდა. მისი პროზა ოსტატობით ისეთივე სიხარულს გვანიჭებს, როგორც სასიამოვნო მუსიკა — ეიძირებით ჰანგების მორევში! ეიძირებით, ვინაიდან საოცარი ძალა აქვს მუსიკას: სად არ წაგვიყვანს, რას არ გვაჩვენებს, რას არ განგვაცდევინებს! ბახს მიწიდან ღვთაების სამფლობელოში ავყავართ, მიწაზე ზეციურ ჰანგებს გვასმენინებს; ბეთჰოვენს გამოუცნობ ქვეყანაში მიეყევართ, უჩვეულო გრძნობები მოაქვს; მოცარტი გვანცვიფრებს; ვერდი გვაღელვებს და აღტაცებას გვაზიარებს; ჭლექისაგან ჩონჩხად ქცეული შოპენი კოლოსად წარმოგვიდგება განუმეორებელი ნოქტურნებით; ბიზეს ხალხით სავსე მოედანზე გავყავართ, რომ სიყვარულით დაგვათროს; ჩაიკოვსკი გვანაზებს და ლირიზმით გვათრობს; ფალიაშვილი გვაჯადოებს და შთაგვაგონებს, რომ მუსიკას ყველაფრის თქმა და ყველაფრის გამოხატვა შეუძლია.

შოლოხოვის ეპოსიც ცხოვრებისეულ მუსიკას უნდა შევადაროთ. იქაც ყველაფერია — სად არ წახვალ, რას არ დაგანახებს, რას არ გაგრძნობინებს; ბეთჰოვენივით გამოუცნობ ქვეყანას გი-

ჩვენებს, უჩვეულო გრძნობებსაც აღგიძრავს; მოცარტივით განგაცვიფრებს; ვერდივით აგაღელვებს და აღტაცებას გაზიარებს; შოპენივით კოლოსად გაგხდის, თუნდაც ჩონჩხად იყო ქცეული; ბიზესავით ხალხით სავსე მოედანზე გაგიყვანს, რომ სიყვარულით დაგათროს; ჩაიკოვსკივით გაგანაზებს და ლირიზმით დაგათბობს; ფალიაშვილივით მოგაჯადოვებს და შთაგაგონებს, რომ პროზას, როგორც მუსიკას, ყველაფრის თქმა და ყველაფრის გამოხატვა შეუძლია.

ასეთია შოლოხოვის ეპოსიც! მისი პროზა ზოგიერთმა პოლიფონიურ მუსიკას შეადარა, მათ შორის დაინახა ნათესაური კავშირი, როგორც შვილი მშობელს, ხოლო მშობელი შვილს ემგვანება, ბუნების იმ კანონის ძალით, რომელსაც შეიძლება იდენტივობის სახელი მივცეთ. მე არ ვიცი ეს მსგავსება როგორ დამტკიცდება, მაგრამ აქ რომ ჰეშმარიტებას ინტუიტურად ვგრძნობთ, სრულიად უეჭველია. დავანებოთ თავი პარალელს, უფრო მართებული იქნება, თუ შოლოხოვის პროზას თავისი ბუნებრივი მდინარებით, შინაგანი ქღერადობითა და ფრაზების მრავალხმიანობით პოლიფონიურად მივიჩნევთ. როგორც პოლიფონიური მუსიკა ყურთასმენას ატკბობს ტონების მრავალფეროვნებით, ისე შოლოხოვის პროზა გონებას ხიბლავს ყველა იმ თვისებით, რაც ზემოთ დავასახელეთ. ეს არის მუსიკა, სიმღერა, ხოლო ვინც მღერის, აპოლონის მადლს ემსახურება, როგორც მუსიკოსი, და როგორც პოეტი. შოლოხოვი უაღრესად მუსიკალურია თავის შემოქმედებაში, ამიტომ პოეტია, რომელსაც ჩვეულებრივი ღობეები მოურღვევია პროზასა და პოეზიას შორის, პირველის ფორმები მეორისათვის გადაუცია შინაგანი არსების ხელუხლებელი დატოვებით. პოლიფონიური პროზა — ეს შოლოხოვის პოეტური ტალანტის შინაგანი სტიქიაა, რომლის ძალა ასე ორიგინალურად გაიშალა დონის ეხარის „ილიადაში“. გაიშალა როგორც ახალი ეპოსი, თანამედროვეობის პირქშო, რომელიც უკვდავად დარჩება კაცობრიობის მხატვრული აზროვნების ისტორიას, მსგავსად ჰომეროსის, რუსთაველის, ბალზაკისა და ტოლსტოის გენიალური ქმნილებებისა.

როცა ვამბობთ სიტყვას — მ ს გ ა ვ ს ა დ, სრულებით არ ვგულისხმობთ შედარებას, თუმცა დაინტერესებული მკითხველის წი-

ნაშე უეჭველად წამოიჭრება კითხვა: ვის შეეძლოთ შოლოხოვი — ან ვინ შეედრება შოლოხოვს?

მე დიდი ხანია ვიცი დეფინიცია: ფეხმარდი აქილევსი ვერასოდეს დაეწევა კუს, მაგრამ როგორი ფეხმარდიც არ უნდა დაიბადოს კუ, ის ვერასოდეს დაეწევა თუნდაც ყაყარჯნიან აქილევსს. შედარება მხოლოდ მსგავსის შეიძლება, დანარჩენ შემთხვევაში მარტოოდენ განსხვავებაა. მსგავსშიც ბევრი განსხვავებაა, მაგრამ ძირითადი მათი ნიშანი მსგავსებაა და არა განსხვავება. ეს უკანასკნელი მეორადია. ამიტომ შედარება ძალიან ხშირად სათუო ან პირობითია. მას უნდა მივმართოთ აუცილებელ შემთხვევაში. მე არ მიგრძვნია რომელიმე მწერალთან შოლოხოვის პარალელის ან შედარების საჭიროება. შოლოხოვი იმდენად თავისებური, იმდენად ორიგინალური, იმდენად განსაკუთრებულია, რომ შედარების ობიექტს ვერ ეხედავ — შეუდარებელი მწერალია! ერთადერთი, რაც შეიძლება ითქვას ყოველგვარი შედარების გარეშე, შემდეგი ფორმულით ჩამოყალიბდება: შოლოხოვი XX საუკუნის ჰომეროსია! შოლოხოვის ეპოსი — XX საუკუნის ჰომეროსის ეპოსია!

შინაარსი

1. შ ე ს ა ვ ა ლ ი ——————————— **გვ. 5—19**

ევრიპიდეს მაგნიტი და შემოქმედების ძალა. დიდი ეპოქის სულიერი ცხოვრების დიდი გამომხატველები. გენიოსების მოვლინება. შოლოხოვის პოპულარობა. შოლოხოვის პროზის გამომსახველობითი სიძლიერე. ლიტერატურული ყამირების ვადახვნა. ცხოვრების ენციკლოპედიური ცოდნა. ტოლსტოი და შოლოხოვი. რეალიზმი ნატურალიზმის წინააღმდეგ. დეტალების შემოქმედებითი სუნთქვა. ცხოვრებისეული გმირები, ტიპები, სახეები. ტრაგიკულის მიუხედავად ოპტიმისტური. ცხოვრება ბრძოლაა. შოლოხოვის ბიოგრაფიული შტრიხები. პირველი გამოსვლა ლიტერატურაში. შოლოხოვის იუბილეები. ჩვენი ცხოვრების სამი დიდი პერიოდი. დიდი მწერალი — დიდი მოქალაქე. ლიტერატურაში არწივისებური გაფრენა.

II. ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა შ ო ლ ო ხ ო ვ ი ს უ ზ ა დ ო ტ ა ლ ა ნ ტ ი. დონის მოთხრობები — გვ. 19—80.

„ხალი“ (გვ. 20—22), „მწყემსი“ (გვ. 23—24), „სურსათის კომისარი“ (გვ. 24—26), „შიბალკოს ოჯახი (გვ. 26—28), „ილიუხა“ (გვ. 28—29), „ალიოშკას გული“ (გვ. 30—31), „მებალჩე“ (გვ. 31—32), „გზა-ბილიკი (გვ. 32—33), „ნაბიჭვარი“ (გვ. 34—35), „მორევი“ (გვ. 36—38), „ოჯახის კაცი“ (გვ. 38—39), „რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე“ (გვ. 39—41), „მრუდე საცალფეხო გზა“ (გვ. 41—43), „განაწყენება“ (გვ. 44—45), „ორქმრიანი“ (გვ. 45—47), „მომაკვდავი მტერი“ (გვ. 47—49), „კვიცი“ (გვ. 50—51), „ჭიანაჭამი“ (გვ. 51—54), „ლაზორევის ტრამალი“ (გვ. 54—56), „მოჯამაგირეები“ (გვ. 56—60), „დონის სასურსათო კომისრისა და დონის სასურსათო კომისრის მოადგილის ამხანაგ პეტიცინის განსაცდელთა შესახებ“ (გვ. 60—62), „კალოშები“ (გვ. 62—64), „კოლჩაკის ჭინჭრისა და სხვათა შესახებ“ (გვ. 64—67), „ერთი ენა“ (გვ. 67—68), „სხვისი სისხლი“ (გვ. 68—71), „გამოცდა“, „სამი“, „რევიზორი“ (გვ. 71—80).

III. ა ხ ა ლ ი დ რ ო ი ს „ი ლ ი ა დ ა“ — „წ უ ნ ა რ ი დ ო ნ ი“— გვ. 80—298

პ ი რ ვ ე ლ ი წ ი გ ნ ი ——————————— **გვ. 107—185**

„წყნარი დონი“ და ლიტერატურული კრიტიკა. შოლოხოვის ეპოსის ზოგადი დახასიათება. ეპოპეა-რომანი. ამაღლებული შოლოხოვთან. შოლოხოვის გმირების სიყვარული ცხოვრებისადმი. სტერლიადნიკოვის სიკვდილი და შეუკრავი ღილი. ავტოფსიქოთერაპია, ავტოჰიპნოზი, ჰიპნოფსიქოთერაპია. ფროიდის კრიტიკა. ისევ ამაღლებული. რას გვასწავლის „წყნარი დონი“. ცხოვრების დიდი მხატვარი. გრიგორი მელეხოვის ზოგადი დახასიათება. გორკი, მაიაკოვსკი, შოლოხოვი. შოლოხოვის „მძაფრი სიუჟეტები“. მერიმე და სტენდალი. „წყნარი დონის“ მონუმენტალობა. პუმანიზმი. ირონია, ჰუმორი და სატირა. ჰეშმარიტი იდეა. ეპისტოლარული ხერხი — ლონგი, ხარიტონი, მერჩულე, რუსთაველი. ეპისტოლარული ხერხი შოლოხოვთან. ფოლკლორის გამოყენება. დიალოგების ოსტატი. შოლოხოვის პეიზაჟები და პანორამები. ლირიკული პასაჟები. ცოცხალი კლასიკოსი. ტოლსტოის მხატვრული მეთოდი და შოლოხოვი. შოლოხოვის პასუხი 1934 წელს ინგლისურ კრიტიკაზე. რაზინი და პუგაჩოვი. ლიტერატურული გამბედაობა. რუსულ-უკრაინულ-კავკასიური კულტურის სპეციფიკური თავისებურებანი კაზაკების სულიერ ცხოვრებაში.

ტეტრალოგია „წყნარი დონის“ კრიტიკული ანალიზი. ხუტორ ტატარსკში მელეხოვების კარ-მიდამოს აღწერა პირველი წიგნის ექსპოზიციაში და იგივე კარ-მიდამო მეოთხე წიგნის ფინალში. პროკოფი მელეხოვი და მისი ცოლი — ტყვე თურქი გოგონა. მისი სიკვდილი. პანტელეის დაბადება. პროკოფის დაბრუნება კატორღიდან. პანტელეის ცოლი ილინიჩნა და შვილები — პეტრე, გრიგორი, დუნიაშკა. გრიშკა მელეხოვს უყვარს აქსინია ასტახოვა. პანტელეიმ ვერ შესძლო მათი დაშორება. აქსინიას ქმარი სტეფანე დაბრუნდა. საბტიკად სცემა ცოლს. მეზობლებიც დაერივნენ ერთმანეთს. ნატალიას დახასიათება. დამთავრდა გრიგორისა და აქსინიას სიყვარულის პირველი დიდი ფურცელი. ქორწილი. ვაჭარი სერგეი პლატონოვიჩ მოხოვი. მისი წინაპრების წარსული. სერგეის შვილები — ლიზა და ვლადიმერი. „ს. ა. მოხოვისა და ე. კ. ატეპინის სავაჭრო სახლი“. ლიზას და მიტკა კორშუნოვის მარცხი. მოხოვი უარს ეუბნება მიტკას სიძეობაზე. აქსინია და ნატალია. შტოკმანი და მისი ცოლი. გრიგორისა და აქსინიას სიყვარულის განახლება. ნატალია სტოვებს მელეხოვების ოჯახს. ნატალია

ცდილობს თავი მოიკლას. გრიგორი და აქსინია იაგოდნოეში, ლისტნიცკებთან. აქსინიას შვილი შეეძინა გრიგორისაგან. გრიგორი ოთხი წლით ჯარში მიჰყავთ. გენერალი ლისტნიცკი და ლაქია ევნიამინი. შტოკმანი ტატარსკში ავრცელებს მარქსის იდეებს. 1914 წელია. ომი დაიწყო. შტოკმანის დაპატიმრება. რაძივილოვის ტრაგედია და გრიგორის სისპეტაკე. პირველი მკვლელობა და გრიგორის საშინელი განცდები. ტიმოფეი ივანიჩის „დღიურები" და ხელიდანწასული ლიზა მოხოვა. მელეხოვის ადამიანური, კეთილი ხასიათი. გრიგორის დაჭრა და ჰოსპიტალში მკურნალობა. მონარქისტ ევგენი ლისტნიცკის წასვლა მოქმედ არმიაში. ბუნჩუკი და ლისტნიცკი. გრიშკა არ მომკვდარა. ნატალიას მისვლა აქსინიასთან — გთხოვ ქმარი დამიბრუნეო. აქსინიას უარი — მე უკვე გრიგორის ბავშვის — ტანიუშას დედა ვარო. ორი განსხვავებული ხასიათი — ნატალია და აქსინია. ტანიუშას გარდაცვალება. ევგენი ლისტნიცკი შინ ბრუნდება. მწუხარებაში მყოფ აქსინიას იმორჩილებს. გრიგორი მოსკოვშია, სნეგირიოვის თვალის საავადმყოფოში ვინმე გარანჯა მას ბევრ რამეს აუხსნის. გრიგორი ბრუნდება იაგოდნოეში. ყველაფერს შეიტყობს. ევგენი ლისტნიცკის გაიტყუებს და სასტიკად სცემს. აქსინიასაც ღალატისათვის მძიმე დღეს გაუთენებს. განშორდება აქსინიას, ისევ ნატალიას უბრუნდება.

მეორე წიგნი ——————— **გვ. 180—179.**

პოლესიეს სანგრები. ხორუნჟი ბუნჩუკი. მისი აგიტაცია. ლენინის წერილის დამოწმება. ევგენი ლისტნიცკის აღშფოთება. აბეზღებს ბუნჩუკს, მაგრამ ეს უკანასკნელი გაპარულა. ოფიცრების „წმენდა". ბუნჩუკი უკვე „მკერდში დაჭრილი" ჯარისკაცი უხვატოვია. ბატალური სცენები. გვამები. რატომ ხოცავენ? ვალეტი ათავისუფლებს ტყვე გერმანელს. დაძმობილება. ლიხოვიდოვის გაგიჟება ომის საშინელებით. გრიგორი ისევ აქსინიაზე ფიქრობს. ნატალიასაც იხსენებს. ასტახოვი და მელეხოვი. ჩუბატი და მელეხოვი. ნატალიას ტყუპები—მიშატკა და პოლუშკა. პეტროს ცოლი დარია ღალატობს ქმარს, მაგრამ ქმარიც უყვარს. დარიას უკაცოდ ცხოვრება არ შეუძლია. ასე უთხრა მამამთილს. მიტკა კორშუნოვის მხეცობა. ჯოჯოხეთის ტარტაროზი. მოხოვის შიში და სინანული. მოახლოებული რევოლუციის განცდა. ლისტნიცკებთან. უიმედო-

ბა. გასუქებულ და დამშვენებულ აქსინიასთან შეხვედრა. ემელიანესაგან აქსინიამ შეიტყო, რომ გრიგორი შინ არის, ტყუპი ქალვაჟი ჰყავს. მეფე ჩამოაგდეს. კაზაკი მანეულოვი. პეტრო მელეხოვი, ანიკეი და იაკობ ფომინი. დარია ჩამოვიდა ქმრის სანახავად. ორი დღის წინ კი ვაგონში ინებივრა ვეტერინართან. ევგენი ლისტნიცკი და ივანე ლაგუტინი. გენერალ კორნილოვის აღზევება და გაძევება. კერენსკი ორ დოლაბს შორის. როძიანკოს „პატრიოტიზმი“. ლუკომსკი, კრიმოვი, კალედინი, სავინკოვი. ჯარისკაცების განწყობილება. ივან ალექსეევიჩის ცდები — კაზაკობა არ გაჰყვეს კორნილოვს. „ველური დივიზიის“ წარმომადგენლებთან მოლაპარაკება. ვითარება მონარქიის დამხობის შემდეგ. ილია ბუნჩუკი და ლუშა. ბუნჩუკი ჰკლავს კორნილოველ კალმიკოვს. სიკვდილის გვერდით სიყვარული. გენერალმა კრიმოვმა თავი მოიკლა. კორნილოვი გადაყენებულია. უმაღლესი მთავარსარდალი ალექსეევი აპატიმრებს კორნილოვს, ლუკომსკის, რომანოვსკის. მეორე დღეს აპატიმრებენ დენიკინს, მარკოვს, ვანოვსკის, ერდელს. ბიხოვის ქალთა გიმნაზია. ოქტომბრის ამბები. კორნილოვი, დუხონინი, კალედინი. კონტრრევოლუცია ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წინააღმდეგ. დაპატიმრებულები გააქციეს. მიშკა კოშეოი და ალექსეი ბეშნიაკი. გრიგორი მელეხოვი ბოლშევიკებს მიემხრო. პროხორ შამილის დაღუპვა და მისი ცოლის გლოვა. ავტორის ლირიკული პასაჟი. დაღუპულებს სოფელი გლოვობს. გრიგორის ხორუნჟის წოდება აქვს. ავტონომისტი იზვარინი მასზე გავლენას ახდენს. ნოვოჩერკასკი—ოქტომბრის საწინააღმდეგო ცენტრი. უდღეო ტრიუმვირატი. ალექსეევის მოხალისეთა არმია. ნოვოჩერკასკში არიან ალექსეევი, დენიკინი, ლუკომსკი, მარკოვი, ერდელი, კორნილოვი. მათ წინააღმდეგ მუშაობდნენ ბოლშევიკები. ბუნჩუკი ჩავიდა მშობლიურ ნოვოჩერკასკში. შემდეგ გაემგზავრა როსტოვში. ბოლშევიკური პარტიის კომიტეტში. ილია ბუნჩუკი და ანა პოგუდკო. მათი სიყვარული. ბუნჩუკის ავადმყოფობა. მოხუცი გრიშაკა ბოლშევიკების წინააღმდეგ. ფრონტელთა კამენსკის ყრილობა. ნოვოჩერკასკში კალედინის მთავრობასა და სამხედრო რევოლუციურ საბჭოს შორის უშედეგო თათბირი. ისევ იზვარინი და მელეხოვი. რა არის მელეხოვშჩინა? ორი უდიდესი გრძნობის ტყვეობაში. მელეხოვი და პოდტელკოვი. ჩერნეცოვისა და მისი

40 ოფიცრის სიკვდილით დასჯა. გრიგორის სასტიკი პროტესტი. დაჭრილი გრიგორი შინ მიჰყავს პანტელეის. ტატარსკში შეიტყვეს — კალედინმა თავი მოიკლაო. გრიგორის ოჯახური იდილია. ტიფით დაავადებული ბუნჩუკი. ანა პოგუდკოს წასვლა როსტოვში სამუშაოდ. ბუნჩუკის მარტოობა. კალედინის ადგილზე გენერალი ნაზაროვი. გენერალი კრასნოშჩეკოვი. სივერსის მიერ შევიწროებული კაპიტან ჩერნოვის რაზმი. ლისტნიცკი ფიქრობს მამასა და აქსინიაზე. როსტოვიდან გაიქცნენ კორნილოველები. კორნილოვი ცხენით და როძიანკო უცხენოდ. სამხედროების თათბირი. შეუთანხმებლობა. კორნილოვი და პოპოვი ცივად დაშორდნენ ერთმანეთს. წითლების შეტევა ნოვოჩერკასკში. ბუნჩუკი გოლუბოვის ნაწილში. ბუნჩუკი და ანა როსტოვში. შეხვდნენ. მორალურად ორივე სპეტაკია. ბუნჩუკი ცხოვრობს ანას სახლში. ილაჯგამწყვეტი მუშაობა რევოლუციურ ტრიბუნალში. ტრიბუნალიდან ბუნჩუკის წასვლა. ანასა და ბუნჩუკის სიყვარულის უცნაური დაგვირგვინება. როგორ მყარდება საბჭოთა ხელისუფლება დონის ველებზე. კამათი ოჯახებში — დარჩნენ თუ წავიდნენ? გრიგორის მერყეობა. პეტრო მელეხოვის რაზმი. ძველი ავანტურისტი ლიხოვიდოვი. ტატარსკის ატამანი მირონ კორშუნოვი. კაზაკებისა და წითლების ბრძოლა. ბრძოლა როსტოვთან და ანა პოგუდკოს დაღუპვა. ბუნჩუკის სულიერი დეპრესია. პოდტელკოვის ექსპედიციის კატასტროფა. გრიგორი და პოდტელკოვი. ჯოჯოხეთის გენიი. პოპოვი, სპირიდონოვი, ფევრალოვი და მიტკა კორშუნოვი. ერთად იღუპებიან ბუნჩუკი, პოდტელკოვი, კრივოშლიკოვი, ლაგუტინი, ლისიკოვი. ხუტორიდან გაქცეული მიშკა კოშევოი და ვალეტი. მისი დაღუპვა. ვალეტის საფლავი და სიცოცხლის ალეგორია.

მეხამე წიგნი ——————— **გვ. 179—239**

ფრონტელი კაზაკების „დიადი გაყოფა". ნოვოჩერკასკში შეკრება. ტატარსკის დელეგატები — მირონ კორშუნოვი, პაპა ბოგატირიოვი, პანტელეი მელეხოვი. გენერალი კრასნოვი მწერალი ცაცაო. არც გენერლად და არც მწერლად ვარგაო. ბოგაევსკისა და დენიკინის ძაგება. კრასნოვის ანტიბოლშევიკური სიტყვა. პანტელეის მოსწონს კრასნოვი. მძიმე დრო. უიმედობა და ურწმუნოება. გრიგორი და პეტრო მელეხოვები. გრიგორის ფიქრი მომავალზე. ღამის გათევა პატარა ხუტორში და ლამაზი ქალმერკა.

ეროსის სტიქიაში. მიზეზი თურმე სხვა ყოფილა. მაგრამ ჟალმერკას მართლა შეჰყვარებია გრიგორი, ის ტირის გამოთხოვებისას. მიშკა კოშეკოის ფრონტიდან დაბრუნება და ცხენების მწყემსად გაგზავნა. სტრუკოვი, კოშეკოი და სოლდატოვი. ჰექა-ქუხილის დროს კოშეკოი კინაღამ დაიღუპა. სტანიცა მანიჩში კრასნოვის, ბოგაევსკის, კისლოვის, ფელიმონოვის ჩასვლა დენიკინის, ალექსეევის, რომანოვსკის რისხიანსკის, ეკალდის მონაწილეობით სპეციალური თათბირისათვის. დენიკინი ამხელს გერმანელებთან კრასნოვის თანამშრომლობას, კრასნოვს უწოდებს „უჭკუო კაცს", საოლქო მასშტაბის ნაპოლეონს". როსკიპი და მისი კატა. ოფიცრებით გაჭედილი როსტოვი და ნოვოჩერკასკი. სპეკულაციები, მაქინაციები, ჭორები და სიმართლე. კრასნოვის ერთგულქვეშევრდომული ვრცელი წერილი გერმანიის კაიზერისადმი. ლისტნიცკის ორჯერ დაჭრა. როტმისტრ გორჩაკოვის მეუღლე ოლგა ნიკოლაევნა. გორჩაკოვის სიკვდილი. ლისტნიცკის ხელი მოსჭრეს. ოლგას ცოლად შერთვა. იაგოდნოეში მისვლა. აქსინიასთან შეხვედრა. კიდევ ერთხელ ცხოვრება. აქსინია ტოვებს ლისტნიცკების სახლს. უბრუნდება ქმარს. სტეფანეს აღსარება. ისევ მიტკა კორშუნოვი. გრიგორის სიმპათია წითელარმიელებისადმი. გრიგორის ძმულს მაროდიორობა. ვინ არის გრიგორი მელეხოვი? იაკობ ფომინის აჯანყებული პოლკი. კარგინსკის მიტოვება. კაზაკები შინ ბრუნდებიან. კრასნოვი და ფომინი. კრასნოვის სიტყვის გაქარწყლება. წითლები ტატარსკში. ძაღლის მოკვლა. ტიურნიკოვის ტრაგედია. კეთილი წითელარმიელი. ლხინი ანიკუშკასთან. გრიგორის გაქცევა. ისევ დაბრუნება. ხუტორის ხელისუფლების თავმჯდომარე ივან ალექსეევიჩი და მისი ამხანაგი მიშკა კოშეკოი. მელეხოველებიც იარაღს აბარებენ. ფომინი იცავს პეტრო მელეხოვს. მირონი და პანტელეი. მირონის აღშფოთება. გრიგორის კონტრად აცხადებენ. აი, რა არის პოლიტიკა. წრე იკვრება. მარტო სიმართლე არ არის. გრიგორის მცდარი ფიქრები. მირონის და მისი ჯგუფის მოსპობა. შტოკმანის აზრები. ივან ალექსეევიჩი და სოფელი თანახმა არ არის. შეიდი ტატარსკელი არ უნდა დაესაჯათ. მარტო კორშუნოვი იყო ღირსი. ტიფს გადარჩენილ პანტელეის დაპატიმრება. გრიგორი გაქცეულია. გადატრიალება. გრიგორის დაბრუნება. ლიხაჩოვის დამარცხება, გმირობა და გრიგორის ადამიანობა. ლიხაჩოვის წამებით სიკვდილი. ადა-

მიანებში მხეცური ინსტინქტები არ უნდა გავაღვიძოთ. პეტრო მელეხოვისა და მისი 10 მებრძოლის დაღუპვა. პეტრო მიშკა კოშევოიმ მოჰკლა. პანტელეი თვითონ აკეთებს შვილის კუბოს. კერძო წერილი მელეხოვისადმი. ტყვეებს ნუ დახოცავთ. გრიგორის გაცოფება. კუდინოვი და მელეხოვი. გრიგორის მიერ ხოპერელის გადარჩენა. გრიგორის მხედრული ნიჭი, ვაჟკაცობა, ადამიანობა. ვასილ კიკვიძის ხსენება. დონის აჯანყების გავრცელება. 35 ათასი მონაწილე. ხუთი დივიზია და ერთი ბრიგადა. გრიგორი მელეხოვი—„პირველი დივიზიის მეთაური. გრიგორის არ მოსწონს რეაქციონერ გეორგაძის მოქმედება. უსწავლელი მელეხოვი მაღლად დგას ნასწავლ კუდინოვზე. ფიქრები გაორებული ადამიანისა. ღამე ჩუკარინოში. სასაცილო სცენა. შტოკმანის, კოშევოისა და ივან ალექსეევიჩის ბედი. კარგინსკში გამარჯვება. გრიგორი მთელი კვირა სვამს არაყს და ქალებთან დროს ატარებს. სიმთვრალეშიც ფხიზლობა — არ უნდა სარდალ კუდინოვის ადგილი დაიკავოს. ერმაკოვისა და მედვედევის ეს წინადადება დამღუპველად მიაჩნია. დამსხვრეული კაცის აღსარება. აჯანყებულებთან გრიგორის ყოფნა ტრაგედიაა. სმამ, გარყვნილებამ, ომმა ადამიანები გაამხეცა. გრიგორის ბნედა მოუვიდა. ზიკოვის თანხლებით გრიგორი ვეშკაში ბრუნდება. კუდინოვის მიერ დაპატიმრებულ წითლების ოჯახების 100 კაცს ციხიდან ათავისუფლებს. უფროსი ბოდიშით ელაპარაკება ხელქვეითს. გრიგორი მთელი არსებით არც აქეთაა, არც იქით. ტატარსკში გატარებული ერთი კვირა. ლუკინიჩნას და გრიშაკას მონახულება. კამათი ბიბლიაზე. ნატალიას ცივი დამოკიდებულება ქმრისადმი. „ომმა ჩემში ყველაფერი ამოწრიტა. მე თვით ჩემთვისაც საშინელი გავხდიო“, — ამბობს გრიგორი. კლასიკური სახე. დიდი გლოვის მიუხედავად, დარიას სევდა გამქრალი ჩანს. დარიას და გრიშას საუბარი. ავხორცა დედაკაცი. ვორონოვსკის ღალატი. კუდინოვი და ბოგატირიოვი ატყუებენ ეოლკოვს და ვორონოვსკის. შტოკმანის დაღუპვა. გრიშკა ისევ შეხვდა აქსინიას, ერთი ღამე მასთან გაატარა. ნატალიამ იგრძნო, რომ ქმარმა... გრიგორის სურს სიკვდილისაგან იხსნას ივან ალექსეევიჩი და კოშევოი. პეტრე ბოგატირიოვი თვითმფრინავით ეახლა კუდინოვს. დატყვევებული 25 კომუნისტის ხუტორებში ცემა, ბრბოს შურისძიება. დარია ჰკლავს ივან ალექსეევიჩს, ჰგონია მან დახვრიტა პეტრო მელეხოვი.

ვახმისტრი საზონოვი ამტკიცებს — „კომუნისტები ადამიანები არ არიანო“. დონის და ზემოდონის აჯანყებულთა სარდლობის კავშირი დამთავრდა. 25 კომუნისტის დაღუპვა. სიკვდილის წინ ივან ალექსეევიჩის სურვილი ცოლ-შვილმა არ მნახოსო. გრიგორის ერთი საათით დააგვიანდა. არაყისაგან მკვდრად მიგდებული დარია უგრძნობელია. გრიგორის აღშფოთება, დარიას მუხანათური მოქმედებით. რა იყო მიზეზი სამი თვის მანძილზე წითელი არმიის წარუმატებლობისა დონზე? საერთაშორისო რეაქციის ცდა — დაეხრჩო საბჭოთა რუსეთი. არ შეიძლებოდა დიდი ხანძრის ჩაქრობა ჭიქებიდან წყალის დასხმით. გარდატეხა დაიწყო. მელეხოვის და კუდინოვის დიალოგი. გეორგაძის სიკვდილის ბნელი ისტორია. „ცპუტის“ წერილი — „აჯანყება ზურგში“ და გრიგორის რეაგირება. აქსინიას ჩასვლა ვეშკაში. გრიგორისთან შეხვედრა ორ დღე-ღამეს. მესამე დღეს გრიგორი ტატარსკშია. ნატალია ტიფით არის ავად. კორშუნოვების სახლ-კარი კოშევოის გადაუწვავს და გრიშაკა მოუკლავს, რაკი სახლი არ მიუტოვებია. გრიგორი ისევ თავის დივიზიაშია. წალაპარაკება კუდინოვთან. მელეხოვი გრძნობს აღსასრულის მოახლოებას. შტოკმანისა და კოტლიაროვის დაღუპვამ კოშევოი გააცოფა — კონტრების შვიდი სახლი გადაწვა. წყნარი დონი ცეცხლის ალშია.

მეოთხე წიგნი ——————— გვ. 239—298

ზემო დონის აჯანყების შემდეგ არსებული რთული სიტუაცია. შოლოხოვი — სამხედრო ისტორიკოსი. სტეფანე ასტახოვის ოხვრა. აქსინიას ჩამოსვლა. სტეფანეს‌თანაა და ისევ გრიგორიზე ფიქრობს. სიყვარულისა და სიძულვილის შესაყართან. აქსინიას ცხოვრება — გაბმული ტანჯვაა. აქსინია და ბეატრიჩე. წითლები ამარცხებენ კაზაკებს. გრიგორიმ ვერ იცნო მამა. პანტელეის გულმოსულობა და შვილის ძაგება-ქება. გრიგორის ცხენის სიკვდილი. მწერლის ოსტატობა. „წყნარი დონის“ მოკლე შინაარსის სრულ კრიტიკულ ანალიზს ორი ტომიც არ ეყოფა. ლაკუნები შინაარსში. გრიგორის და აქსინიას სიკვდილის ხასიათი. სიყვარული ანტიკურ ტრაგედიებში და აქსინია-გრიგორის სიყვარული. წითლებისა და თეთრების წასვლა-მოსვლა. ომის საშინელებათა გზებზე. ომის გენიაშიც ძლიერი სიყვარული თავის თავს არ ჰკარგავს. გრიგორი ნა-

ჭულობს ტანიუშკას საფლავს იაგოდნოეში. მარხავს პაპა საშკას. ნადიმი გენერალ სეკრეტოვთან. ნასვამი გრიგორი მიდის აქსინიას სანახავად. სტეფანეც იქ არის. შეყვარებულების პირდაპირობა — შენი ცოლის სანახავად მოვედიო. „მაგის სადღეგრძელოს დავლევ!“ უხერხული, დაძაბული სცენები. გრიგორის შინ მისვლა. გრიგორის ცრემლები და ნატალიას ტირილი. უბედურების წინათგრძნობით, მძიმე გულით ტოვებს გრიგორი მელეხოვი თავის სახლს, ნატალიას, ხუტორს. ომის შემზარავი სურათები. ბოკლული ახალგაზრდა ქალი. სამრევლო სკოლადამთავრებულ, მცირე განათლების მქონე გრიგორი მელეხოვს ცხოვრებამ რა არ დააკისრა. გაუთავებელმა ომმა მოტეხა ბრგე ვაჟკაცი. გრიგორისა და პროხორ ზიკოვის დიალოგი. რა ეშმაკი მოერევა ყველას. მელეხოვი ოფიცრების საზოგადოებას ვერ ეგუება. თეთრი ყვავი. გრიგორი გრძნობს თავისი საქმის განწირულობას. ის ძველის მომხრეცაა და კიდევაც წაიბოლშევიკებს, — კოპილოვის აზრით. გრიგორი უარყოფს, მაგრამ კოპილოვის ფაქტები? ზრდილობა და განათლება აკლია. ხარებთან არცერთი არ დამჭირდებაო, — ამბობს მელეხოვი. გენერალ ფიცხელაუროვთან კამათი და უთანხმოება: მელეხოვის დივიზია „წითელ არმიელთა ბრბოა“, რომელიც „ბოლშევიკური წესების შემოღებას“ აპირებსო. „თუ თითს დამაკარებთ — აქვე აგჩეხავთო“, — ეუბნება გრიგორი მელეხოვი გენერალ ფიცხელაუროვს. ოფიცრებსაც წაეკიდა. „თავგზააბნეული მაქვს“. საკვირველი გულგრილობა. ბრძოლაზე უარის თქმა. „მეყოფა, რაც ვიომე“. მიტკა კორშუნოვი არავის ინდობს — „ვეშაპია და არა ადამიანი“. კოშევოის სახლს გადაუწვავს, მოხუც ქალს და ბავშვებს ამოხოცავს. ამ მტარვალობის გამო პანტელეიმ ნათესავი მიტკა კორშუნოვი სახლში არ მიიღო. ნატალია და მიტკა — ანგელოსი და ეშმაკი ერთი სახიდან. პანტელეის ცოლის მეტი არავინ ემორჩილება. დარია მთელი კვირაა არა ჩანს — გარყვნილებას ეწევა. დუნიაშკა გულამრეზილია — რატომ კოშევოიზე არ მათხოვებენო. ნატალია შვილებს ვერ შორდება, მძიმედ განიცდის გრიგორისა და აქსინიას განახლებულ ურთიერთობას. პანტელეი მოტყდა — ყველაფერზე ხელი ჩაიქნია. გრიგორი — „თვითნება და ახირებული კაცი“, გადაარჩენს წითელ ოფიცრებს. მელეხოვი დივიზიიდან გადააყენეს. მხოლოდ ასისთავის ხარისხი და მადლობა. გამომშვიდობება მებრძო-

ლებთან. „ბინებში წადით და ენა დაიმოკლეთო“. უბედურება იყო, რაც მოხდა. ახლა მთავარია თუნდაც „უვარგისი თავის“ გადარჩენა. ბოლო დროის გრიგორი მელეხოვის „პრაქტიკული ფილოსოფია“. ნატალიას მოულოდნელი სიკვდილი. გრიგორის ძმის განცდები და ტანჯვა. გლოვის დღეები. ეტყობა ცხოვრებამ უკვე გათელა. ღრმა შინაგანი გულისტკივილი ნატალიას ტრაგიკული აღსასრულის გამო. ორი კვირა ტატარსკში და მხოლოდ ორჯერ შეხვედრა აქსინიასთან. ჰკვიანი და ტაქტიანი ქალი. გრიგორის ხასიათის სიკეთენი. არმიის გახრწნა. გრიგორის შეხვედრა ინგლისელ კემპბელთან და პორუჩიკ შჩეგლოვთან. ვენერული სენით დაავადებულმა დარიამ თავი დაიხრჩო დონში. აქსინიას განცდები. პანტელეის დეზერტირობა. შეპყრობა. გასამართლება 14 დეზერტირთან ერთად. გაროზგვას შვილის დამსახურებამ გადაარჩინა. ნაწილში გამწესების მაგიერ ისევ სახლში გაიქცა. პანტელეიმ ოჯახი გაიზიზნა. პანტელეის ტრაგედია. ბრძოლების აღწერა სამხედრო ისტორიკოსის სიზუსტით. პანტელეის ისევ შინ დაბრუნება. სიხარული, რომ გრიშკას დეზიზია ისევ ჩაებარეს. პანტელეიმ ვერ დაიტირა ანიუშკას და ხრისტონიას გვამები. ტყეში— ბუნების წიაღში! ზარების რეკვა. ტიფით დაავადებული გრიგორი ზიკოვმა სახლში მოიყვანა. ოჯახური ალიაქოთი. გრიგორი საშინელ ავადმყოფობას გადაურჩა. საუბარი შვილებთან — პოლუშკასთან და მიშატკასთან. აქსინიასთან გრიგორის მისვლა ტატარსკიდან წასვლის წინ. შეთანხმდნენ მეორე დღეს დასტოვონ ტატარსკში. ვეშკადან დაბრუნებული გრიგორი მიდის ზიკოვთან. პროხორის მიერ ტყუილ-უბრალოდ შეყრა საძრახი სენისა. გრიგორის, აქსინიას, პროხორის ღამე ტატარსკიდან გასვლა. გზაზე განცდები და დიალოგები. პროხორისათვის ქალი ჭინჭრის თესლია, ღმერთის ყველაზე ცუდი საქმე დედაკაცის გაჩენაა. საშინელი ღამისთევები: სიცივე, სიბინძურე, მკბენარების უწყალო შემოსევა. აქსინიას ტიფი შეეყარა. გრიგორიმ აქსინია უცნობ ოჯახს დაუტოვა მოსავლელად. ფულიც გადაუხადა. პანტელეის გარდაცვალება ტიფით ბელაია გლინაში, საშინელი პირობები. გრიგორის მიერ მამის დატირება და დაკრძალვა უცხო მიწაში. გრიგორიც დაავადდა შებრუნებული ტიფით. სასწაული იყო მისი გადარჩენა. თეთრი არმიის გახრწნა და დაშლა. ევაკუაციები. ნოვოჩერკასკის

პორტი, ინგლისური დრედნოუტი — „ინდოეთის იმპერატრი“ და საშინელი სცენები. გრიგორი არ ტოვებს ნოვოჩერკასკს, არც მისი თანამებრძოლი პლატონ რიაბჩიკოვი. „კაზაკების თავზევით ინგლისური ყუმბარები“. ტიფს გადარჩენილი აქსინიას შინ დაბრუნება. მელეხოვების ოჯახთან კეთილი დამოკიდებულება. აქსინია მზრუნველობს უდედოდ დარჩენილ ობოლ ბავშვებს — გრიგორის შვილებს. ცალხელა ზიკოვის შინ დაბრუნება და პირველი ცნობები, რომ გრიგორი ცოცხალია, ბუდიონის ცხენოსან არმიაში იბრძვის, წარსულ ცოდვებს ინანიებსო. „პეტროს მკვლელი“ მიშკა კოშევოი ცოლად ირთავს დუნიაშკას. ჯვარს ეკლესიაში იწერს. მიშკა იჩენს მუყაითობას. ილინიჩნა გარდაიცვლება. აქსინია თავისთან იწვევს გრიგორის ბავშვებს და ზღაპრებს უყვება. მიშკა კოშევოი თანდათან გულს იცრუებს ოჯახში მუშაობაზე. ცოლქმარს შორის პირველი უკმაყოფილება გრიგორის გამო. მიშკა კოშევოი ტატარსკის რევკომის თავმჯდომარე. ცოლს ეჩხუბება — შენი ძმა კონტრაა — სიკვდილს ვერ აცდებაო. გრიგორი დაბრუნდა. შეიტყო, რომ პლატონ რიაბჩიკოვი სიკვდილით დაუსჯიათ, როგორც კი შინ დაბრუნებულა. მას რაღა მოელის? იგივე ბედი. სიძეც — მიშკა კოშევოი, რომელმაც ძმა პეტრო მოუკლა, კონტრად აცხადებს და ემუქრება. დაძაბული, შეუთანხმებელი დიალოგი სიძე-ცოლისძმას შორის. მტრებად გაწშორება. გრიგორის მწარე ფიქრები: რა ეშველებათ პოლუშკას და მიშატკას მამაც რომ დაჰკარგონ? გრიგორი მელეხოვის იმდროინდელი სულიერი მდგომარეობის ავტორისეული დახასიათება. გრიგორი არაყს სვამს ზიკოვთან. მისგან გებულობს, რომ მოხუცი ლისტნიცკი ტიფით მომკვდარა მოროზოვსკაიაში, ევგენი ლისტნიცკის თავი მოუკლავს ცოლის ღალატის გამო. გრიგორის აღსარება — ჩვიდმეტი წლიდან მთვრალივით დავბარბაცებ, თეთრებს ჩამოვცილდი, წითლებს ვერ შევურიგდი, ბოლომდე უნდა დავრჩენილიყავი წითელ არმიაშიო. ეშელონში საიმედო ვერაფერი გაიგო. ფომინმა ურჩია — დაიმალეო. გრიგორის გაქცევა ტატარსკიდან, რაკი დაშერას უპირებენ. გრიგორი ფომინის ბანდაში. მაგრამ ფომინს როდი თანაუგრძნობს, მისი ბანდის დაღუპვა გარდუვალად მიაჩნია. გრიგორის აქსინია მიჰყავს ტატარსკიდან. განზრახული აქვს სადმე შორს, ცალკე იცხოვროს მასთან ერთად, ფიზიკური შრომით. მაგრამ გზაზე მო-

უკლავენ აქსინიას, რომელსაც თვითონვე გაუთხრის საფლავს და დამარხავს. ფომინთან აღარ ბრუნდება გაწამებული კაცი, იარაღს დონში ჩაჰყრის და სახლს მიაშურებს. სახლში მხოლოდ მიშატკა და დუნიაშაა, პოლუშკა მომკვდარა, სიძე ჯარშია. „წყნარი დონის“, როგორც ახალი დროის „ილიადას“ ზოგადი შეფასება.

IV. საფლად რევოლუციური გარდაქმნებისა უტყუარი ხარკე. „გატეხილი უამირი“ გვ. 299—364.

ტრადიციული პოეტიკური თეორია და შოლოხოვის პროზა. „გატეხილ უამირშიც“ შოლოხვი „წყნარი დონის“ შოლოხოვია. ახალი სიტყვა, ახალი გზების გაყვანა მხატვრულ აზროვნებაში. მსოფლიო ლიტერატურის პირველი მაგალითი. რომანის ფაბულა მოიცავს პერიოდს 1930 წლის იანვრიდან ოქტომბრამდე — 10 თვეს. პერიპეტიები და პარალელური შინაარსები. „გატეხილი უამირის“ კრიტიკულ ანალიზში ზოგიერთი პარადოქსი. შოლოხოვის პასუხი მისტერ სოლსბერის კრიტიკაზე — დავიდოვმა თავი მოიკლაო! ცხოვრებისეული ტიპები და სახეები — დავიდოვი, ნაგულნოვი, რაზმიოტნოვი, შაიდანიკოვი, პაპა შჩუკარი. „გატეხილი უამირის“ მსოფლიო რეზონანსი.

პირველი წიგნი ——————— გვ. 302—348

ვინ არიან ახალი სოფლის ხელმძღვანელები სემიონ დავიდოვი, მაკარ ნაგულნოვი, ანდრეი რაზმიოტნოვი? დავიდოვის მოქმედება რთულ სიტუაციაში. ღარიბი გლეხების ნიკიტა ხოპროვისა და მისი მეუღლის მარიას მკვლელობა ბანდის მეთაური პოლოვცევის, მისი ერთგული ოსტროვნოვისა და კულაკ ფროლ რვანის შვილის ტიმოფეის მიერ. მეფის არმიის ყოფილი ესაული ალექსანდრ ანისიმოვიჩ პოლოვცევი. მისი საიდუმლო ცხოვრება იაკობ ლუკიჩ ოსტროვნოვის — გრემიაჩი ლოგის კოლმეურნეობის საწყობის გამგის სახლში. პუტილოველი მუშა, ბალტიის ფლოტის ყოფილი მეზღვაური, ახლა კოლმეურნეობის თავმჯდომარე დავიდოვი ცდება ოსტროვნოვის შეფასებაში, პარტიული ორგანიზაციის მდივანი ნაგულნოვი, ყოფილი პარტიზანელი — მართალია. ღარიბი გლეხობა — სოფლის ძირითადი დასაყრდენი. ოსტროვნოვი ასრულებს პოლოვცევის დავალებას. ოცდასამი ხარი დაიღუპა. ოსტროვნოვი ისევ დარჩა. დავიდოვმა ისევ შეცდომა დაუშვა.

დავიდოვის ჭკუა, საზრიანობა, სწორი პოლიტიკური ალღო, ერთგულება, თაყვანება. დავიდოვის კამათი რაიკომის მდივან ბეგლიხთან. დავიდოვი მზადაა მოკვდეს, ვიდრე გააკეთოს საქმე, რომელიც არა სწამს. დავიდოვისა და ნაგულნოვის ხასიათების მსგავსება-განსხვავება. ნაგულნოვის ცოლი ლუშკა. კამათი მორალის საკითხებზე. დავიდოვისათვის ნაგულნოვის პიროვნებაში „ბევრი რამ გაუგებარია". კამათი პრაქტიკული პოლიტიკის საკითხებზე. პოლოვცევ-ლიატიევსკის ბანდა — „დონის განთავისუფლების კავშირი". თესლს არ აბარებენ. ნაგულნოვი სარგებლობს დავიდოვის არყოფნით და პარტიზანული მეთოდებით იწყებს მოქმედებას. სამი კოლმეურნის დაპატიმრება და ბანდის წევრის გრიგორი ბანიკის ცემა. კრება სასტიკ საყვედურს უცხადებს ნაგულნოვს. დავიდოვი უფრო დიდია, როგორც ხელმძღვანელი, თუმცა რაზმიოტნოვიც მართალია—მაგრამ რომ ძალაუფლება მისცე—რას არ იზამს. „მოშენტის დამჭერები"—ტურგენევი და შოლოხოვი. შოლოხოვმა „გატეხილი ყამირით" ლიტერატურული ყამირიც გატეხა. ნაგულნოვი სწავლობს ინგლისურს, რათა მომზადებული შეხვდეს მაოფლიო რევოლუციას. ოთხ თვეში რვა სიტყვა შეისწავლა, ტექსტის გაგებას აბერხებს, რაკი ინგლისურშიც არის „პროლეტარიატი", „რევოლუცია", „კომუნიზმი". შოლოხოვის ნაგულნოვის, ჩერნიშევსკის რახმეტოვისა და ტურგენევის ბაზაროვის სიძულვილი. ნაგულნოვის გადახრების კრიტიკა. დავიდოვის პრინციპულობა და ნაგულნოვის ჯიუტობა. ნაგულნოვის საბრძოლო ბიოგრაფია რამდენიმე კაცს ეყოფა. დავიდოვთან ნაგულნოვმა ბევრი რამ შეიძინა, თვალი აეხილა. გარყვნილ ლუშკას გაეყარა. დავიდოვმა უსაყვედურა— უნდა აღგეზარდა. სამოხინის დასკვნის საფუძველზე რაიკომი ნაგულნოვს პარტიიდან რიცხავს რევოლუციური კანონიერების დარღვევისათვის. პოლოვცევ-ლიატიევსკის ბანდამ ხუტორი ააჯანყა. სოფლის საბჭოს თავმჯდომარე ანდრეი რაზმიოტნოვი შეიპყრეს, სცემეს, დაჰპატიმრეს. აქტიურად მოქმედებენ ოსტროვნოვი, ბანიკი, ტიმოფეი რვანი, მისი მეგობარი ხულიგანი დიმოკი, ეფიმ ტრუბაჩოვი. როცა დავიდოვი მოვიდა, ისიც შეიპყრეს, გალახეს. ნაგულნოვი დაბრუნდა. აჯანყებულები გაჰფანტეს. მეორე დღის კრებაზე დავიდოვის ბრწყინვალე გამოსვლა. 50 კაცი შედის კოლმეურნეობაში. დავიდოვის ორგანიზატორული ტალანტი. მოხუცე-

ბულების დელეგაცია — წვიმა არ მოდის, მღვდელს უნდა შევალოცვინოთო. დავიდოვისა და ნაგულნოვის განსხვავებული რეაგირება. დავიდოვი მართალია, ნაგულნოვი ცდება. „მაკარი გამოუსწორებელია“. რაიკომის ხელმძღვანელები კორჩეინსკი და ხომუტოვი მოხსნეს, ახალმა მდივანმა ნაგულნოვი აღადგინა პარტიაში საყვედურით. ორი ერთგული და ორივე განსხვავებული. გმირების მოქმედებაში ჩვენება. ანდრეი რაზმიოტნოვი, რომელსაც ცოლ-შვილი ტრაგიკულად დაეღუპა და ქვრივი მარინა პოიარკოვა. მარინასთან განშორებით ანდრეის ტანჯვა. მარინა ცოლად გაჰყვა დემიდ მოლჩუნს, რამაც სულ გამოიყვანა მოთმინებიდან. დავიდოვთან იტირა კიდეც. შოლოხოვის გრადაციები. განკულაკებულ, მრავალშვილიან გაევის ხუტორში დაბრუნება. გაევის განკულაკება ნაგულნოვის შეცდომა იყო. დავიდოვისა და ნაგულნოვის შეხედულებათა არაერთი პოლარულობა. საშუალო გლეხი, ახალი სოფლის ერთგული მაიდანიკოვი არ შედის პარტიაში — კერძომესაკუთრული გრძნობებისაგან ჯერ გათავისუფლებული არა ვარო. საშუალო გლეხის ფსიქოლოგია. ღარიბი გლეხობა. პაპა შჩუკარი. პარტიაში შესვლის განზრახვა — თანამდებობისათვის. შჩუკარის კლასიკური სახე. ფიგარო, სანჩო, ულენშპიგელი, ბრუნიონი, სიმპლიცისიმუსი, შვეიკი. შჩუკარი — ახალი დროის ახალი სგანარელი. მიუნჰაუზენის მსგავსი ტყუილები. ძაღლის გაპარსვა. უდარდელის დარდები. მოუსვენარი, შეუპოვარი. პროლეტარიატად ყოფნა სჯობიამოვნოა, მაგრამ არა ცარიელი კუჭით. უცხო სიტყვების შჩუკარისეული განმარტებანი. ლექსიკონის „მიხვედრით“ კითხვა. კუპრიანოვნა და შჩუკარი. შჩუკარის „კბილის ტკივილი“. მთავარია სიყვარული — აგაფონ დუბცოვისათვის, მთავარია — ჭამა-ყლაპვა პაპა შჩუკარისათვის. სოკრატეს ფილოსოფიასთან სიახლოვე. შჩუკარის დამოკიდებულება ნაგულნოვის, დავიდოვის, რაზმიოტნოვის, მაიდანიკოვისადმი. კრებაზე ვერ გააჩერეს. „სურიეზული“ ადამიანების წინააღმდეგ. პარტიაში ჩემისთანა მხიარულები უნდა იყვნენო. ვარკა და შჩუკარი. შპინიაც ვერ ამშვიდებს. თვითკრიტიკის მოყვარული. შჩუკარი არ მალავს, რომ „ლერიგიულია“ კაცია. მაიდანიკოვის მკაცრი კრიტიკის მიუხედავად, მხარს უჭერს პარტიაში მიღონ. მთავარი კრიტიკა იყო. გრაჩის რჩევა უარჰყო. ართისტობაზე ხელის აღება. რაკი ვერ გააჩე-

რეს, შჩუკარი ცოლს ძალად წააყვანინეს სახლში. ანტიპ გრაჩი მარ-
თალია — უშჩუკაროდ ხუტორში მოწყენა იქნებოდა. ხულიგან-
დიმოკი გაქცევისას მოუკლავთ. დაძაბული ვითარება სოფლად.
1930 წლის 2 მარტი. სტალინის ცნობილი წერილის გამოქვეყნება —
„თავბრუდახვევა წარმატებებისაგან“. სულზე მოსწრება. კეთილის-
მყოფელი გავლენა. დავიდოვისათვის ნათელი გახდა დაშვებული
შეცდომები. ნაგულნოვს „ტყვიასავით მოხვდა გულში“. პოლოვ-
ცევ-ოსტროვნოვის ბანდამ ვოისკოვოიში აჯანყება ვერ გამოიწვია.
პოლოვცევი და ლიატიევსკი გრემიაჩი ლოგიდან გაიქცნენ. მშედე-
ლი შალი — ცხოვრებისეული სახე. პროტოტიპი — კრამსკოვი და
შოლოხოვი. შალი სამართლიანად აკრიტიკებს დავიდოვს. შალი
თვალს უხელს დავიდოვს, ამხელს ოსტროვნოვს. დავიდოვი კრი-
ტიკას ღებულობს. შალი ამხელს დავიდოვის სამარცხვინო ურთი-
ერთობას ლუშკასთან. ნაგულნოვის ნაცოლარმა თავი ძალად შეა-
ყვარა ამ საქმეში გამოუცდელ დავიდოვს. თვით ნაგულნოვი იცავს
დავიდოვს და არა ნაცოლარს. შალი სთხოვს დავიდოვს—ლუშკას
გაბშორდი, ის მონასტერშიც გიღალატებსო. ტიმოშკა რევანთანაც
ცხოვრობსო. დავიდოვი მადლობას უხდის შალის. ტიმოშკა მა-
ლულად დაბრუნებულა. ცხოვრობს ლუშკას და ალექსეევნას და-
ხმარებით. ორივე ქალს აპატიმრებენ. ლუშკას დიდი ხორციელი
სილამაზე. რაზმიოტნოვი და ნახევრადშიშველი ლუშკა. ნაგულნო-
ვი ჰკლავს ტიმოშკა რევანს. ლუშკას გათავისუფლება ნაგულნოვის
მიერ და უკანასკნელი გაშოთხოვება. გრემიაჩი ლოგში პოლოვცე-
ვისა და ლიატიევსკის დაბრუნება.

წიგნი მეორე ——————— **გვ. 348—364**

ძველი თავიდან იწყება. ორი მგლის კამათი. ლიატიევსკის
„ფილოსოფია“ და პოლოვცევის აღშფოთება. ბანდის გადარჩენი-
ლი წევრების აღიარება (ანდრიასოვის გამოკვლევის მიხედვით).
ყოფილი არტილერისტი უსტინ რიკალინი და დავიდოვი. რიკა-
ლინს ცოლი ავადმყოფი ჰყავს, ექვსი ბავშვი სარჩენი, მარჯვენა
ხელის თითები მოწყვეტილი ვრანგელის ფრონტზე. დავიდოვი
ცდებოდა რიკალინთან. შემდეგ ორმხრივი ერთგულება და სიყვა-
რული. ექსპრესიული წარმოსახვა. დავიდოვი და პოლიანიცი. ორი-
ვე ოცდახუთიათასელია, მაგრამ ისე განსხვავებული, როგორც

გრემიაჩი ლოგი და ტუბიანსკი. სრული კონტრასტი. დავიდოვი ეხმარება ხელმოკლე, ახალგაზრდა მასწავლებელ ლუდმილა სერგეევნას. ოსტროვნოვის ცილისწამება: დავიდოვი ჯერ ლუშკას, შერე ვარკა ხარლამოვას, ახლა სერგეევნას ჰკვებავსო. დავიდოვი და მოსწავლე ფედოტკა უშაკოვი. ბანდის იარაღის საწყობს მიაგნეს. ორი „დამამზადებელი“ ბოიკო და ხიუნიაკი. კრებაზე შალი ამხელს ოსტროვნოვს. შალი პარტიაში შედის. დავიდოვი აწყობს საბავშვო ბაღს. ვარკა ხარლამოვას არ უყვარს ობნიზოვი. ის დავიდოვს უმეღავნებს სიყვარულს. დავიდოვი საცხოვრებლად გადადის ჩვიდმეტი წლის ვარკასთან, რომელიც ძალიან ლამაზია, ჯეირანივით გოგოა, როგორც მაიდანიკოვი აღწერს. დავიდოვი მისი პირველი სიყვარულია. დავიდოვი არჩენს ვარკას უმამო ოჯახს, მის დედას და პატარა და-ძმებს. ვარკა მიჰყავს მილეროვოში სასწავლებლად. ვარკასთან ხელს მოაწერს და ცხოვრებას დაიწყებს მხოლოდ მაშინ, როცა საცოლე სკოლას დაამთავრებს. დავიდოვი და შჩუკარი მილეროვოდან ბრუნდებიან. ვარკა მიიღეს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში. ხარიტონოვის დახმარებით ლიატიევსკი ჰკლავს ხიუნიაკსა და ბოიკოს. რაზმიოტნოვი ცოლად ირთავს ქეზობლის გოგო ნიურკას. ოსტროვნოვის სახლზე წესდება მეთვალყურეობა. კატასტროფის წინ: პაპა აგეის სიკვდილი, ორი ბავშვის დაბადება, სალამოს პოლოვცევთან ნიკოლსკი-სედოის და კაზანცევის მისვლა. მათ მიერ აჯანყების გეგმის განხილვა. შჩუკარის თხის — ტროფიმის უცნაური სიკვდილი და „გლოვა“. „არ იყო და არ არის ასეთი თხა მთელ ქვეყანაზეო“,— აღტკიცებს შჩუკარი. თავდასხმა ოსტროვნოვის სახლზე. პოლოვცევი ჰკლავს ნაგულნოვს და გადაიკარგება. დავიდოვის სასიკვდილოდ დაჭრა და გარდაცვალება. ხუტორის მოედანზე მათი დაკრძალვა. შჩუკარი უვლის შვილიერთ საყვარელი მეგობრების საფლავებს. ვარკაც ჩამოვიდა, მან ცხარედ დაიტირა უსაყვარლესი ადამიანი. იმ ღამეს რაზმიოტნოვის ტყვიას ლიატიევსკი მოუკლავს. მალე პოლოვცევიც შეიპყრეს — ტაშკენტში. ლენინის ტომები და პოლოვცევი. პოლოვცევისა და ნიკოლსკის მიერ როსტოვში ყუელაფრის აღიარება. ბანდის ექვსასზე მეტი მონაწილის შეპყრობა. ბანდის აქტიურ ხელმძღვანელთა დასჯა. სოფლის ახალი ხელმძღვანელები — რაზმიოტნოვი, მაიდანიკოვი, ნაიდენოვი. ხარლა-

მოვა სწავლას აგრძელებს. რაზმიოტნოვის შეხვედრა ლუშკასთან ქალაქ შახტში. ლუშკა უკვე ხელახლა გათხოვილა — ახლა ლუკერია ნიკიტიჩნა სვირიდოვაა. ფინალში ავტორის რემარკა, რაზმიოტნოვი ცოლის — ევდოკიას საფლავზე და იმავე ავტორის რემარკა — წლის უკანასკნელი ჰექა-ქუხილი. შოლოხოვის პროზის მუსიკალობა. პარალელური ფაბულები. „გატეხილი ყამირის“ ზოგადი დახასიათება.

V. ქვეყანა ერთი ადამიანის პრიზმაში.

„ბედი კაცისა“ ——————————— გვ. 365—383

მოთხრობის ზოგადი დახასიათება. ანდრეი სოკოლოვის უცნაური ბედი. კიკვიძის დივიზიის ვეტერანი. ანდრეის მეუღლე ირინა. სამი შვილი. ათი წელი საჰესთან. ანატოლის მათემატიკური ნიჭი. ანდრეისა და ირინას ოროთახიანი ბინა ავტოქარხნის ახლოს. მომავალი ტრაგედიის სათავე. ომის დაწყება. ანდრეის აცილებენ ცოლი ირინა, შვილები — ტოლია, ნასტია, ოლია. ყველაზე საცოდავი — ირინა. საბედისწერო ხელისკვრა. მძიმე და საშინელი განშორება. ფრონტზე, 1942 წლის მაისში ანდრეის ტყვედ ჩავარდნა, ინკვიზიციის საშინელებანი გერმანელ ფაშისტთა ტყვეობაში. გამცემი კრიჟნევი და მისი ბოლო. პოზნანში ყოფნისას მარცხიანი გაქცევა. შეპყრობა და კარცერი. ანდრეის ტანჯვით მოატარეს საქსონია, რურის ოლქი, ბავარია, ტიურინგია. დრეზდენის ახლოს კიუსტრინის ბანაკში. კომენდანტი მიულერი სიკვდილით ემუქრება 331 ნომერ ტყვეს ანდრეი სოკოლოვს. სიკვდილის წინ სამჯერ არაყის მიწოდება და გადარჩენა. რურის ოლქში 1944 წლამდე. პოტსდამში ისევ მანქანის საჰესთან. გერმანელ ინჟინერ-მაიორის ტარება პოტსდამიდან ბერლინში. 29 ივლისს გაქცევა და გატაცება. ჰოსპიტალში მკურნალობა. მეზობლის საშინელი წერილი. ივან ტიმოფეევიჩი ატყობინებს ანდრეის, რომ ფაშისტურმა ბომბმა სულ მოსპო მისი სახლ-კარი, დაიღუპა ირინა ქალიშვილებიანად, მარტო ტოლია გადარჩა. ტყვეობაში ორი წლის მანძილზე საშინელი სიზმრების სინამდვილე. ფეხით მოვლა იმ ადგილებისა, სადაც ანდრეის ოჯახი ცხოვრობდა. ბედის გაღიმება — კაპიტან ანატოლის წერილი მამისადმი. გამარჯვების დღეს ანატოლის დაღუპვა და ანდრეის დატირება. უკანასკნელი სიხარულის დამარხვა.

ურიუპინსკში მეგობრებთან წასვლა. ისევ საქესთან. ელევატორიდან პურის ზიდვა. უდედმამო პატარა ბიჭუნა საჩაიესთან. მამა ჟრონტზე დაეღუპა, დედა მატარებლის დაბომბვის დროს. ანდრეის შეეცოდა და შეუყვარდა ეს ბიჭი — ვანიუშკა. იშვილა. გულის და გრძნობის აღმძვრელი ადამიანური სცენები. მამიკო და შვილიკო. დიდი ფსიქოლოგიური სიმართლე. სად არის „ტყავის პალტო"? ურიუპინსკიდან კაშარაში წასვლა. ომი დამთავრდა, მაგრამ ტკივილები და ჭრილობები არავინ იცის როდის მოშუშდება. ანდრეი სოკოლოვის გული. რა იქნება შემდეგ? როგორ უნდა მოიქცნენ ვანიუშკები. ორი ობოლი ადამიანი. მთავარია ცრემლი არ გამოაჩინო! პროტოტიპის საკითხი. ანდრეი სოკოლოვი და დოლნიკოვ-სოკოლოვი. გ. ბუდაშევსკის წერილი. დოლნიკოვ-სოკოლოვის ცხოვრება. პირადი საუბარი სოკოლოვის პროტოტიპთან. შოლოხოვის პასუხი პროტოტიპთან დაკავშირებით. „მიზანში მოხვედრა".

VI. სამუშაოს უსასრულო ეპოპეა. რომანი „ასეთი სამშობლოსათვის იბრძოდნენ" ——————— გვ. 388—440

შოლოხოვის რომანის განმასხვავებელი ნიშნები. რა მიზანი ჰქონდა ავტორს? შოლოხოვის „წერილი ამერიკელი მეგობრებისადმი" 1943 წელს. ისევ ტოლსტოი და შოლოხოვი. ომის თემა ჟენიოსების შემოქმედებაში. შოლოხოვის პირადი ტრაგედია: გერმანელების ბომბმა თვალწინ დედა მოუკლა, სახლ-კარი, ბიბლიოთეკა დაუწვა, დიდი ხნით ოჯახს მოსწყვიტა. მეგობრების დაკარგვა ფრონტზე. ანალოგიური ტრაგედიები რომანში.

1. მშვიდობიანი სოფელი ომის წინ. უფროსი აგრონომი ნიკოლაი სტრელცოვი. მძიმარე ცოლისადმი სიყვარული და სიძულვილი. მიზეზი — ოლგას საეჭვო ურთიერთობა მასწავლებელ ოერაჟნიჩთან. სტრელცოვის საუბარი დირექტორ ივან სტეპანიჩთან ლაფში ჩაფლულ ტრაქტორზე. დაშმუშვნილი პაპიროსები.

2. ივლისის ცხელი დღეები ფრონტზე. სტრელცოვი და სუხოი ელმენისათვის ბრძოლაში გადარჩენილი პოლკის 117 მებრძოლი. მეორე ბატალიონის კონტუზებული მეთაური კაპიტანი სუმსკოვი. დაღლილნი, მშიერნი, ძლივს მიაბიჯებენ. სუმსკოვმა პოლკის მეთაურის დაღუპვის შემდეგ მისი ადგილი დაიკავა. დამსხვრეული პოლკის ავტორისეული დახასიათება. სტრელცოვი და „დაწყეველი-

ლი ხუთი დღე". ომის გზების საშინელებანი. მტრის ოთხი სატანკო შემოტევა. „კარგად ვიბრძოდით, მაგრამ ვერ გავუძელით". შეჩერება ხუტორში. პოლკის განლაგება მდინარის პირას. ყოფილი კომბაინერი, 35 წლის ვანია ზვიაგინცევი. პეტკა ლისიჩენკო საჭმელს გაგვიკეთებსო. ზვიაგინცევისა და სტრელცოვის დიალოგი. ოლგას სტრელცოვი მიუტოვებია. ორი ბავშვი ბებიასთან ცხოვრობს — ზვიაგინცევი აწვიდებს სტრელცოვს — ქალი არაფერია, ბავშვები — ყველაფერი. ვაშლის ხის ქვეშ ჩრდილში. სტრელცოვი გარეგნულად იდენია. ზვიაგინცევის ცოლის ნასტიას ისტორია — სტრელცოვის დასამშვიდებლად. ნასტია ამაღლებული სიყვარულის შესახებ მხატვრულ ლიტერატურას შეუცვლია. „ერთხელ მაინც ჩემთვის ამაღლებული სიყვარული აგეხსნაო". სტრელცოვს ჩასძინებია. პეტკა ლოპახინის საუბარი მზარეულ ლისიჩენკოსთან — სულ ფაფას გვიკეთებ, არავითარი გამოგონების უნარი არა გაქვსო. მეწაღე ხარ და არა მზარეულიო. გონებამახვილ, უშიშარ მებრძოლ ლოპახინისა და ლისიჩენკოს დიალოგში საბჭოთა მებრძოლის ხასიათი მჟღავნდება. ლოპახინისა და სტრელცოვის დამეგობრება. პირველი შახტიდანაა, მეორე როსტოვის ოლქიდან. სტრელცოვი თავშეკავებული, ჩუმია, ლოპახინი — ენით უკუღმართი, ქალების მოტრფიალე, ხუმარა. ხანში შესული პოპრიშჩენკო ამიტომ ამბობს: ორივეს ცომისაგან შეიძლება ერთი ნამდვილი კაცი ან სულ არავინ გამოსულიყოო. ბანაობა მდინარეში და კომბაინერ ზვიაგინცევის პროფესიული გატაცება.

3. სტრელცოვი ფიქრობს, რომ მოხდა კატასტროფა. „რა თვალებით გვაცილებენ". ლოპახინის სწორი აზრები. ომი უკეთესად უნდა ვისწავლოთო. სტრელცოვს დამშვიდება არ ესაჭიროება. ლოპახინისა და სტრელცოვის არითმეტიკა. ლოპახინს არ სურს გენერლობა — მძიმე საქმეა. ცეცხლსა და ბრძოლაში გამომუშავებული ლოპახინის „რეალისტური ფილოსოფია". ელვისებური უკანდახევის მძიმე შედეგები.

4. ლისიჩენკოს ისევ ფაფა მოუხარშავს. დაჭერილი კიბოები და ლოპახინის დამარცხება კამათში. ულმობელი დედიკო. სამი შვილი და სიძე ფრონტზე გაუგზავნია. შვილებსაც ასე მოვექცეოდი — სახლში არ შემოვუშვებდიო. თუ იბრძვით — იბრძოლეთო. ლოპა-

ხანის სიმწრის ოფლი. დედაბერმა მაინც მისცა ვედრო და მარილი კიბოების მოსახარშავად. „ჩვენ ამაყი ადამიანები არა ვართო!“ ლოპახინის ნაამბობი: „პირდაპირ სატურფეა და არა დედაბერიო!“ ომი მარტო ბრძოლა კი არ არის, კატორღული შრომაცაა. თოთხმეტი ტანკი ქვეითებიანად. ორი შეტევის მოგერიება. კოჩეტიგოვის, ბორზიხის, სტრელცოვის, სუმსკოვის, ლოპახინის, ზვიაგინცევის ვაჟკაცური ბრძოლა. ბატალური სცენების ოსტატური აღწერა. სტრელცოვი დაიჭრა. ჩაძინებული ზვიაგინცევი მიდის და გვერდზე უხვევს. ლოპახინი აღვიძებს — სალაშქრო წესებს ნუ არღვევო! სტრელცოვის დაჭრამ და სტრელცოვისადმი პატივისცემამ ლოპახინი უფრო დაამეგობრა ზვიაგინცევთან.

5. ბრძოლის დროებით შეწყვეტისთანავე ლოპახინი ქალებთან გარბის. ფერმაში ლოპახინის საუბარი ლუკა მიხაილიჩთან. ლოპახინი უმალ მამაკაცურად ეძგერა ფერმის გამგეს, მშვენიერ ქვრივს ლუკერიას, მაგრამ მიხაილიჩის გამოჩენამ ხელი შეუშალა. არესის მრისხანება და კუპიდონის მადლი. ლოპახინმა ისევ გასწია მშვენიერი ქვრიესაკენ, მაგრამ 14 თვითმფრინავის თავდასხმამ ხელი შეუშალა. საშკა კოპიტოვსკი სპობს მტრის თვითმფრინავს. მოდის 30 ბომბდამშენი. ლოპახინმაც ჩამოაგდო მტრის თვითმფრინავი. გოლიშჩეკოვისა და ბორზიხის გმირული ბრძოლა. ბზარეული ლისიჩენკოც იბრძვის. ლოპახინის აღშფოთება ცხრება — სადილი უკვე გაკეთებული ყოფილა. ბრძოლა ისწავლეს. ზვიაგინცევის ფიქრები და ვანცდები. სიმშვიდე ჭექა-ქუხილის წინ. რადიკალური კონტრასტების დიდოსტატი. მეცნიერის ანალიტიკური გონება. ბელეტრისტიკის ფერწერად გადაქცევა, პროზის აყვანა პოეზიის სიმაღლეზე. ზვიაგინცევი და ვაზნების მომტანი უტიშევი. ლოპახინის მოწაფე გეგონება. ზვიაგინცევის წამიერი შიში. ცეცხლის გენიაში ვაჟკაცობამ უღალატა — ბაგბაგი და ლოცვა დააწყებინა. მაგრამ ლოცვიდან გინებაზე გადავიდა. ლანძღვის ოსტატ ლოპახინსაც შეშურდებოდა. ნეტავი მალე მოჰკლავდნენ. სინანული შიშისა და ლოცვისათვის. მაგრამ სიკვდილი ბიცოლა ხომ არ არის. ეშინია ლოპახინმა არ გაიგოს. გერმანელი ოფიცრების ფსიქიური შეტევა. ზვიაგინცევი დაიჭრა. ბორზიხი მოჰკლეს. აღარ არის კოჩეტიგოვი. მეგობრების დაკარგვის გამო ლოპახინის მძიმე განცდები.

6. ომის სურათების შოლოხოვისეული ჩვენების სპეციფიკა. ომის შთლიანი სახით ჩვენება. ერთიანის მრავალსახეობა და მრავალსახეობის ერთიანობა. ვარიაციების ოსტატი. კოპიტოვსკის ნაამბობი: მოანგარიშემ ცოლი შეირთო და ქორწილის ღამეს ხინკალმა დაახრჩო. მე ცურვა არ ვიცი—დონი დამახრჩობსო. გოლოშჩეკოვი გარდაიცვალა. ლოპახინის გულისტკივილი. ზვიაგინცევის, ლისიჩენკოს, კოჩეტიგოვის, ნიკიფოროვის, ბორზიხის დაკარგვის გამო ტყეში წასვლა ტანჯვის განსაქარვებლად. არ უნდა ზურგში წასვლა. შეხვედრა დაყრუებულ სტრელცოვთან. მოურჩენელი სტრელცოვი ჰოსპიტალიდან ექიმებს გამოექცევა. ბრძოლა მეგობრების გვერდით ყრუსაც შეუძლიაო. სტრელცოვისა და ლოპახინის საუბარი. ზვიაგინცევი არ მომკვდარა. „ომს უყვარს წესიერებაო", — ამბობს პატარა სანიტარი ქალი. ზვიაგინცევს უკვირს — ომი რა წესიერებაა? დაჭრამდე მშვიდი ზვიაგინცევის აუტანელი ჭირვეულობა ჰოსპიტალში. მისი საუბარი სანიტარ გოგონასთან. „ლოპახინს უყვარს ბუნება". მაგრამ ახლა ამისთვის არ სცალია. სტრელცოვს და ლოპახინს სურთ ზურგში კი არა, ისევ მოქმედ ნაწილში წავიდნენ. კოპიტოვსკისა და პაველ ნეკრასოვის საუბარი გუგულზე. გულღია ლოპახინის ცხარე კამათი „კარჩაკეტილი ხასიათის" პაველ ნეკრასოვთან. ნეკრასოვს თურმე ზურგში წასვლა და დასვენება უნდა. ლოპახინი აღშფოთდება — რა დროს დასვენებააო. ლოპახინის მშვერმეტყველებას ნეკრასოვი ადარებს პოლიტხელ ასტახოვისას. „შენ კაცი ხარ, თუ შაქრის ჭარხალიო". საჭირო სიტყვა გულისაკენ ყოველთვის გზას იპოვნის. „უფასო კარუსელით" მთელ წელს სეირნობა. ყველა ერთწლიან მებრძოლს დასვენება რომ მოეთხოვა. ორ ფეხზე შემდგარი კუჭის კიბო. სტრელცოვი ახლა მწარე დარდია და არა მებრძოლი. ნეკრასოვიც „მწარე დარდია". ნეკრასოვის უცნაური „სანგრის ავადმყოფობა" — ძილში ღუმელზე აძრომა 90 თუ 100 წლის დედაბერთან. კოპიტოვსკი იცინის. ლოპახინი განგებ სერიოზულადაა. მაისწვერს იანვარ-წვერად გაქცევო. ნეკრასოვს „სანგრის ავადმყოფობა" სწვამს, დასვენება უნდა. ახლოს საჰაერო ბრძოლაა.

7. „სანგრის ავადმყოფობა" გადამდები ხომ არ არისო? შენისთანა ჯანმრთელს ციმბირის წყლულიც ვერ მოგეკარება. ნეკრასოვის ჭალიშვილი მაშუტკა 15 წლისაა, პირველი ფრიადოსანი. შვილების

სახეებს ვერ იგონებს. დასვენება უნდა. ლოპახინმა ისევ სასტიკად გალანძღა ნეკრასოვი — უნამუსო და „უცნობი ეროვნების ნეხვი“ უწოდა. კოპიტოვსკი ურჩევს ნეკრასოვს — აქაურობას გაეცალოს. ნეკრასოვი უარს ამბობს ზურგში წასვლასა და დასვენებაზე. ნეკრასოვს სხვისი თამბაქოს „წვრილად შეხვევა“ არ ეხერხება. ხმიზას სასტიკად ტუქსავს პოპრიშჩენკო — როგორ თუ ზურგში არ წახვალო. სხვა ოთხსაც წასვლა არ უნდა. ლოპახინმა ველარ გაბედა თხოვნა. რაკი დროშა შეინარჩუნეს, პოლკს არ დაშლიან. მშვენიერი პერიპეტიული სცენა. ხუტორ ტალოვსკში პოპრიშჩენკოს ჩრული ფიასკო თავმჯდომარესთან. საკუთნაო ცარიელი მაქვს, ყველა გამორბის, ყველაფერი წაიღესო. მხოლოდ 2 კილოგრამ ფეტვს ჰპირდება. პური ოჯახებში იშოვეთო. სახლში ცოლისა და კატის შეტი არაფერი მაქვსო. ამხანაგების დასაპურებლად ლოპახინი იძულებულია შეარყიოს „ზნეობრივი ბურჯები“, მაგრამ სასტიკად ნაცემი ბრუნდება „დაზვერვიდან“. 26 წლის ლამაზმა, ახოვანმა ქალმა სასტიკად სცემა ლოპახინს. „ქალი კი არა ძეგლიაო“. პოპრიშჩენკოს „ისტორიული ცოდნა“. „ალექსანდრ მაკედონსკოვმა“ მხოლოდ რუსეთს უჩვენა ზურგიო. მაკედონელ — ცეზარის ლოზუნგით შეიარაღებული ლოპახინი სასტიკად დამარცხდა. მარჯვენა თვალი გასიებული აქვს ცემისაგან. „მე ერთი კოპი შევიძინე, შენ კი ის თორმეტს დაგაკრავსო“. მეორე დღეს უცნაური ამბავი მოხდა: დიასახლისმა ნატალია სტეპანოვნამ ასე სასტიკად რომ სცემა ლოპახინს, მებრძოლები დააპურა, რაკი შეიტყო, რომ ისინი უკან კი არ იხევდნენ, ზურგში შესავსებად მიდიოდნენ. ნატალიას ვანმარტება და ლოპახინის მიერ შეცდომის აღიარება. დივიზიის შტაბი ტალოვსკში. დაჭრილი მეთაური მარჩენკო და შტაბის უფროსი გოლოვკო. 27 მებრძოლია, დროშა შეინარჩუნესო. ამ პოლკში ომამდე მარჩენკოს რვა წელი უმსახურია. ძლივს ადგა, მაგრამ პოლკის ნარჩენებთან მაინც მივიდა, ვაქკაცური, გმირული. ადამიანურად თბილი სიტყვა უთხრა. პოპრიშჩენკოს გული აუჩუყდა, ცრემლი მოერია, მაგრამ ხელს მაღლა არ სწევს ცრემლების მოსაწმენდად, როგორც ეს ლოპახინმა შენიშნა...

VII. პუბლიცისტიკა და მხატვრული სიტყვა. „სიძულვილის მეცნიერება“ ——————— გვ. 410—422

პუბლიცისტიკისა და მხატვრული შემოქმედების ორგანული

სინთეზი. კლასიკური ნიმუში — 1942 წელს გამოქვეყნებული „სიძულვილის მეცნიერება". ჰიტლერიზმის მომაკვდინებელი ლახვარი. თვითეული დიდი მწერალი ომის დროს ერთი დიდი სამხედრო შენაერთის საქმეს აკეთებდა. სამი მოქმედი პირი: ომი, მწერალი და ლეიტენანტი ვიქტორ გერასიმოვი. გერმანელის აღზევება და დაცემა გერასიმოვის თვალში. გერასიმოვისა და სოკოლოვის მსგავსება-განსხვავება. ექსპოზიციის ალეგორიული მნიშვნელობა. „ომში ხეებს, ისევე როგორც ადამიანებს, თვითეულს თავისი ბედი ხვდება". ყოფილი ტყის ვეებერთელა მასივში ერთადერთი გადარჩენილი არყის ხე. ალეგორია გერასიმოვთან და სოკოლოვთან. მუხა ფიქვისაგან განსხვავებით კვდება, მაგრამ ცოცხლობს. გერასიმოვს „ცოცხალი ჰიტლერელების" დანახვა არ შეუძლია. ბრძოლაში გერასიმოვი საშინელებაა. 1941 წელს, 9 ივლისს გერასიმოვი, ციმბირელი მექანიკოსი, ცოლის, ორი შვილის, ინვალიდი მამის პატრონი, მშვიდობიანი კაცი დასავლეთის ფრონტზე მიდის. ცოლი და მამა ჭკუას არიგებს — კარგად იბრძოლე, არ გაცივდეო: რას ამბობ, ნადია, იქ კლიმატი ჩინებული და ძალიან ზომიერიც არისო. მწარე გამოთხოვება. 27 ივლისს პირველი ბრძოლა. 14 ტყვე. პუმანურად მოეპყრნენ, „კამარადაც" უწოდეს. მაგრამ გადამწვარმა სოფლებმა, დახოცილმა მოსახლეობამ, ენით აუწერელმა მხეცობამ პირველად შეაცნობინა გერასიმოვს, თუ რა ყოფილა ნამდვილად ფაშიზმი. 11 წლის მოსწავლე გოგონას გაუპატიურება, ცემა და მოკვლა. სისხლში მოსვრილი რვეულები და სკოლის სახელმძღვანელოები. სასკოლო ჩანთა მკვდრის ხელში. სოფელ სკვირას ახლოს „ხორცის დუქანი". რაც გერასიმოვმა ნახა, სიტყვით არ გადმოიცემა. ტყვედ ჩავარდნა. სიკვდილი უნდა, არ ჰკლავენ. 15 ტყვე დახვრიტეს გერასიმოვის თვალწინ. ტანკი სრესავს ტყვეებს — „საინტერესო სანახაობა" გერმანელი ფაშისტებისა. სთქვა ჯოჯოხეთიაო, ნიშნავს არაფერი სთქვა. ჩონჩხადქცეული ადამიანების მასობრივი ხოცვა. წყლულებში მატლები. მიცვალებულთა წაღებას ვერ აუდიან. ნამდვილი სადიზმი. ბანაკიდან გაქცევა. დახვრეტა ერთი კარტოფილისათვის. პარტიზანებთან. ჯერ ეპვით უყურებენ. 100 ფაშისტს მოუღო ბოლო გამწარებულმა გერასიმოვმა. ჰოსპიტალში. მორჩენა, შინ წასვლა ერთი კვირით და ისევ ნაწილში დაბრუნება. „ბრძოლაც ვისწავლეთ ნამდვილი,

სიძულვილიც და სიყვარულიცო". გერასიმოვს უსაზღვროდ სძულს ფაშიზმი. სიყვარული გულში სამშობლოსადმი და სიძულვილი ხიშტის წვერზე ფაშიზმისადმი, — ასე ამბობს გერასიმოვი. „სიძულვილის მეცნიერების" კვინტესენცია. შოლოხოვის ჰუმანიზმი და დემოკრატიზმი. შოლოხოვის თეორიული ესსე — „სიდიადე სულისა". მახატმა განდის შოლოხოვისეული დახასიათება. ტოლსტოი და განდი. ძველი რომაელი დამპყრობლების ანდერძის უკუგდება — „დაანაწილე და იბატონე". პრობლემა „პარიების კასტისა". ბრძოლა „სევარაჯისათვის" — დამოუკიდებელი სამშობლოსათვის. „სართაუის მუსიკა". განდის „მშვიდობიანი რევოლუცია" და „ბოროტების წინაღუდგომლობა". ორი სხვადასხვა გზა. შოლოხოვის მხატვრული სპეციფიკის ზოგადი დახასიათება.

VIII. მსოფლიო აღიარება ——————— გვ. 462—477

ტოლსტოის იასნაია პოლიანა და შოლოხოვის კრუჟილინ-ვეშენსკაია. ნაციონალური, ინტერნაციონალური, ზოგადკაცობრიული. კლასიკური გმირების ხასიათი. ახალი ფურცელი მსოფლიო რომანისტიკაში. მეცნიერული და მხატვრული აღმოჩენები. შოლოხოვის პირველი შეფასებანი: გორკიმ „წუნარი დონი" ტოლსტოის „ომსა და მშვიდობას" შეადარა. ალექსეი ტოლსტოი — შოლოხოვი შესანიშნავი მოვლენააო. რომენ როლანისა და ერნესტ ჰემინგუეის აზრი. ჩარლზ სნოუ და მარტი ლარნი. შოლოხოვი უცებ აღმოჩნდა დოსტოევსკის, ტოლსტოის, ტურგენევის, გორკის გვერდით. „მწერალი მიხეილ შოლოხოვი—ეს არის საბჭოთა კავშირის კულტურის გამოჩენილი ელჩი, რომელიც ერთსა და იმავე დროს აკრედიტებულია მსოფლიოს ყველა ქვეყანაში",—ამბობს ლარნი. ფედინისა და სემიონოვის აზრი. რომეშ ჩანდრამ აღნიშნა შოლოხოვის წიგნების დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა. ალფრედო ვარელა ამბობს: შოლოხოვისაგან სწავლობენ არგენტინისა და ბრაზილიის, მექსიკისა და ჩილეს მწერლებიო. ჯეკ ლინდსეი — შოლოხოვში შექსპირული ხელგაშლილობაა. ანდრეი ვიურმსერი — შექსპირული სიბრძნე, განსაცვიფრებლად დაწერილი წიგნი. შოლოხოვი უდიდესია, — ამბობს ლილიან ჰელმანი. ანრი ტრუაია — დიდი მწერალი, ეპოსი, ტრაგიკული მოქმედება, ბუნების ლირიკული განცდა, მძაფრი ძალა, პოეზია. შოლოხოვის „წიგნებმა პლანეტა დაიპყრეს". ანა ზე-

გერსი — შოლოხოვთან ყველაფერია. ცხოვრების ცოდნა შოლოხოვის გაგებით. „პატიოსნად წერა“. ავტობიოგრაფიული შემოქმედებაში. „ვალდებული ვარ ვიყო ფრონტზე“. გარიბალდის ფიცი დონის მიწაზე 1833 წელს. დუნდიჩი და კიკვიძე. დონი — ინტერნაციონალური მხარე. შოლოხოვისადმი საყოველთაო პატივისცემა. შოლოხოვის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო მოსკოვში, 1975 წლის 23 მაისს, ბოროდინის „Богатырская симфония“. შოლოხოვის დიდი მისია. ვინ აკრიტიკებს შოლოხოვს. მსოფლიოში წერენ შოლოხოვზე: „მაგიური ძალა“, „მიმზიდველობა“, „ეპოპეის ფილოსოფიური მნიშვნელობა“, „წყნარი დონის“ საიდუმლოებანი, „რომანი გავიდა ჭეშმარიტად კოსმოსურ ორბიტაზე“. პრიშვინის წიგნი — „წყნარი დონი“ იბრძვის“. პირველად „წყნარ დონს“ წითელი „ილიადა“ 1930 წელს უწოდა ანდრე მარსელმა. ასე დაიწყო შოლოხოვის მსოფლიო აღიარება!

IX. დღეები შოლოხოვის გვერდით — გვ. 477—498

რა არის მიზეზი შოლოხოვის პოპულარობისა მსოფლიოში? გენიოსების სხვადასხვა თვალი. სულ თანამედროვეობის თემები შოლოხოვთან. მაგრამ ისტორიაც და დღევანდელობაც. ტრაგიკული, ტრაგიკომიკური და კომიკური. ძნელი და ადვილი. სულიერი ინტეგრაცია შოლოხოვის კითხვის დროს. ქართველი მწერლების დიდი მეგობარი — შოლოხოვი. პირველი შეხვედრა 1961 წელს. ივერიის ღირსშესანიშნავი ადგილების დათვალიერება. გრიბოედოვის საფლავთან. სახელმწიფო მუზეუმში. გორში სტალინის სახლმუზეუმი. წინანდალში. ალაზანი, კაიშაურის ველი, დარიალის ხეობა, ჯვრის მონასტერი, სვეტიცხოველის ჰარმონია დისჰარმონიაში. ვარძიის ფანტასტიკური ქალაქი კლდეში. ნატანების პლანტაციები. გიორგი ლეონიძე. ქართველ მოღვაწეებთან ერთად. როგორ იწერებოდა მონოგრაფია „შოლოხოვის ეპოსი“. შოლოხოვი როგორც ადამიანი. დარიალის ხეობაში ფორტის ნანგრევებთან ფიქრებით წასვლა გრიბოედოვის, პუშკინის, ლერმონტოვის ეპოქაში. წარსულის ახალი ვარიაციით განმეორება. ერთადერთი პალიტრა. ბუნების „კარის მხატვარი“. 30-იანი წლების „უშუალო შთაბეჭდილების თეორია“, შოლოხოვი და ახალგაზრდა ქართველი კრიტიკოსები. მაშინაც ვიცავდით და ვეტრფოდით შოლოხოვს. კოლოსად გვეჩვენებოდა. ლიტერატურული იუნგები არ ცდებოდნენ.

ბახუსის უარყოფა წინანდლის მარნებში. პაპა შჩუკარი — შოლოხოვის სულის ანაკლიტია. საუბარშიც პირდაპირობა. მშვენიერი სიტყვები ვაჟა-ფშაველაზე. დაიწერა 23 ივნისს, ღამის 3 საათზე, წუნეთში, გამოქვეყნდა 27 ივლისს. შოლოხოვის ადამიანური მიმზიდველობა. სტალინთან გვიან დილამდე. ემიგრანტი პოეტის პარადოქსები. 1961 წლის 20—24 ივლისს ვეშენსკაიაში სტუმრობა შოლოხოვთან. დიდი კაცის სტუმართმოყვარეობა. გიორგი ლეონიძის აღიარება. გორკის ანალოგიით შოლოხოვის ჰომეროსად აღიარება. შოლოხოვი ჩემს ოჯახში სტუმრად. ღამის გათევა ბორჯომში. სურათის გადაღებაზე უარის თქმა. სხვისთვის ზრუნვა. ქართული კულტურისა და ლიტერატურის საფუძვლიანი ცოდნა. ვაჟას ლექსზე სიმღერა — „გამოღმით მე ვარ, გაღმა შენ“ განსაკუთრებით მოეწონა. ნორვეგიელ გამომცემელთან ერთად დიდი ნადიმი მდინარე ხოპერის ნაპირებზე 1961 წლის 21 ივლისს. ჩვენი მომღერლების ჯადოსნური სიმღერები. ორი გვერდი ვაჟაზე მოხსენებისა შოლოხოვის კაბინეტში. მეორედ სტუმრობა ვეშკაში. დონზე გასეირნება. ერთ-ერთი ხუტორის ნაპირების ჩვენება შოლოხოვის მიერ — ეს არის ჩემი ტატარსკიო. კრუჟილინის დათვალიერება. დიდი ადამიანების განსაკუთრებული ბედი. ინკვიზიტორები უნიჭოებიდან გამოდიან. აბსურდული ლეგენდები დიდ ადამიანებზე — პლატონი, არისტოტელე, რუსთაველი, შექსპირი, ჰეგელი, დეკარტე, ოსტროვსკი, შოლოხოვი. დიდი შოლოხოვის დაუვიწყარი პასუხები და საიუბილეო მოსალმება. იქვე სტუმრობა საქართველოში. მანდარინის ხეების დარგვა დაღუპული ჯარისკაცების მამასთან ერთად. ნატანების კოლმეურნეობის საპატიო წევრი. შოლოხოვის მისია თანამედროვე მსოფლიოში — ჰუმანიზმი, სიმართლე, ადამიანობა, კაცთმოყვარეობა, ახალი სამყაროს იდეა, შემოქმედებითი ოსტატობა. მუსიკის საოცარი ძალა — ბახი, ბეთჰოვენი, მოცარტი, ვერდი, შოპენი, ბიზე, ჩაიკოვსკი, ფალიაშვილი. შოლოხოვის ეპოსის ცხოვრებისეული მუსიკა. შოლოხოვის პროზა — პოლიფონიურ მუსიკას ჰგავსო. ფეხმარდი აქილევსი ვერასოდეს დაეწევაო კუს. შეუდარებელი მწერალი — XX საუკუნის ჰომეროსი!

ДЖИБЛАДЗЕ ГЕОРГИЙ НИКОЛАЕВИЧ

ЭПОС ШОЛОХОВА

МОНОГРАФИЯ

(На грузинском языке)

Издательство «Мерани»
Руставели, 42
Тбилиси 1980

რედაქტორი ლ. თურმანიძე
მხატვარი ა. თოდრია
მხატვრული რედაქტორი სპ. ცინცაძე
ტექნიკური რედაქტორი დ. რაზმაძე
კორექტორები: მ. სანადირაძე, ნ. ლოლაძე, ნ. ლომაძე
გამომშვები გ. მინდიკაური

ИБ — 616

ჩაბარდა წარმოებას 15.02.80 წ. ხელმოწერილია საბეჭდად 7.07.80 წ. უე 00412. ფორმატი 60×84 1/16. ქაღალდი საბეჭდი № 1. გარნიტურა ჩვეულებრივი. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 30,23. საღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 24,72. ტირაჟი 5000 ეგზ. შეკვეთა № 603. ფასი 1 მან. 90 კაპ.

გამომცემლობა „მერანი", რუსთაველის 42, თბილისი, 1980

საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19